

მეცნიერება

114/3
1997



5

1997



მართალი

წელიწადი 73-ე

№ 5

1997 წელი

საქართველოს მწერალთა კავშირის ორგანო

შ ი ნ ა ა რ ს ი

გიგლია, ძველი აღთქმა, გაგრძელება 3

პ რ ო ზ ა, პ ო ე ზ ი ა

მთარ ჩხიძე — ჩივი სავანე (ხასიათები და პორტრეტები). გაგრძელება 15

გივი ძეგლაძე — ლექსები 55

ზუნა კვარაცხელია — ლექსები 63

ტაბუ მებერიძე — ლექსები 69

თინათინ ჩხიძე — ტრიტიკი 72

ქ რ ი ბ ი კ ა, კ უ ბ ლ ი ც ი ს ტ ი კ ა

გიორგი ქაშთარაძე — საქართველო და კავკასიონი. დამასრული 103

სალომე კახანაძე — ტიციან ტაბიძის ერთი წიგნის ბავშვ 122

გიორგი არაბული — „გველს გვაგველს“ პროგნოზები და ლიტერატურული კრიტიკა. წერტილი პარველი 125

მ ი ნ ი მ ა

გიორგი ნაღიძე — წიგნები 137

ვახტანგ გომილაძე — რატომ არ მოწონებდა იმპერატორი პიკაკალი 628 წელს თბილისის აღებაზე? 148

ლავროსი ჯანიშვილი — რამდენიმე საკითხი ვესხეთის მართლ კათოლიკეთა ისტორიიდან 158

გიორგი ნაფარიძე — ფეოდალური ხანის მართლ ისტორიულ-რეკონსტრუქციის საბუთების ორი კლასიკური შესახებ 164

მ ე მ უ ა რ ე ბ ი

ენესტონ ჩიჩილი — გულული საფრთხე (ნაწყვეტები წიგნიდან „მეორე მსოფლიო ომი“) გაგრძელება. ინგლისურიდან თარგმნა რუსუდან მახაოძემ 170

წ ი ბ ნ ე ბ ი ს მ ი მ ო ნ ი ლ ა

სოფიო მახაოძე — სტრუქტურული ჩატაული სიბრძნე და ფიციები 181



ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი არჩილ სულაკაური

სარედაქციო კოლეგია:

რეზო ამაშუკელი, მერაბ ბერკენიშვილი, გურამ
გვერდშითელი, გურამ ღოჩანაშვილი, ვანო კალან-
დია, მურმან ლუბანიძე, ელგუჯა მაღრაძე, ლადო
მრეღაშვილი, ვიორგი ნატროშვილი, რამაზ პატა-
რიძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, ვაჟა ჩორღელი (პახუხი-
შვებელი მდივანი), ნოდარ წულეისკირი, ოთარ ჭილაძე,
ბესიკ ხარანაული, რევაზ ჯავარიძე.

ბ ი ბ ლ ი ა

კვილი აღმშა

მსხამ მაკაბელთა

თავი პირველი

2555

1. როცა ფილოპატორმა უკან დაბრუნებულთაგან შეიტყო, რომ ანტიოქოსი დაეპატრონა მის კუთვნილ მიწებს, უბრძანა მთელ ლაშქარს — ქვეითებს და მხედრობას, წაეყვანა თავისი და არსინოე და გაემართა რაფიას მხარეში, სადაც ანტიოქოსის ჯარები იყო დახანაკებული. 2. მაგრამ ვიღაც თეოდოტოსმა გადაწყვიტა ჩანაფიქრის შესრულება — წამოიყვანა მისდამი პტოლემეოსის განკარგულებით მონდობილი შეიარაღებული ხალხი და ღამით პტოლემეოსის კარავში შეაღწია, რათა პირისპირ მისჭროდა და მოეკლა მეფე და ამით ბოლო მოეღო ომისთვის. 3. მაგრამ დაადლატა იგი დოსითეოსმა, დრიმილოსის ძემ, ტომით იუდაელმა, რომელმაც მოგვიანებით უარყო მშობლიური რჯული და მამა-პაპის მცნებებს უცხოური ამჯობინა. მან შეუსვა კარავში ვიღაც უაზრო კაცი, რათა პტოლემეოსისთვის გამიზნული სა-

სჯელი მას დასტეხოდა თავს. 4. როცა მოხდა სასტიკი ბრძოლა და ანტიოქოსის საქმეები გამოუსწორდა, არსინოემ მოიარა ჯარები, ცრემლებითა და მუღარით, თმაგაშლილი ემუდარებოდა მათ; მხნელ ებრძოლათ საკუთარ თავისთვის, საკუთარი შეილებიხა და ცოლებისთვის. გამარჯვებულებს იგი თითოეულს ორ მნა ოქროს აღუთქვამდა. 5. ხელჩართულ ბრძოლაში მტერმა მარცხი განიცადა და ბევრი ჩაუარდა ტყვედ. 6. საწაფელი რომ აღისრულა, პტოლემეოსმა განიზრახა, მეზობელ ქალაქებშიც ჩასულიყო და გაემხნეებინა ისინი. 7. ეს რომ გააკეთა და ხალოცავებშიც ძღვენი ჩამოარიგა, გაამხნევა ქვეშევრდომებიც. 8. როცა იუდაელებმა საბჭოსგან და უხუცესთაგან გაუგზავნეს მას ულჩები მისალოცად, ძღვენის მისართმევად და სიხარულის გამოსახატავად მომხდარი ამბების გამო, მანაც მოისურვა, რაც შეიძლება მალე შეხვედროდა მათ. 9. იერუსალიმში რომ ჩაი-
და, მსხვერპლი შესწირა და მადელიც

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

აგო უზენაეს ღმერთს; ყველაფერი შეასრულა, რაც ამ ადვილს ეკადრებოდა. როცა ამ ადვილზე მოხვდა და მისი დიდებულებითა და მშვენივით მოიხიბლა, 10. საწმიდარის პეროვნებით განცვიფრებულმა წმიდათა წმიდაში შესვლა მოიხურვა. 11. უთხრეს: წესი არ არის, არა მარტო ჩვენს ხალხს ეკრძალება იქ შესვლა, არამედ მღვდლებსაც კი. მხოლოდ მღვდელმთავარს აქვს ამის ნება და ისიც წელიწადში ერთხელ. მაგრამ კერაფრით ვერ დაარწმუნეს მეფე. 12. გააცნეს რჯულიც, მაგრამ არც ამან გადაათქმევინა მეფეს განზრახული. ამობდა, რომ მას უფლება აქვს, შევიდეს ტაძარში: თუ ისინი არიან მოკლებული ამ პატივს, მე არაფერი დამაბრკოლებსო. 13. იკითხა, თუ რატომ არაივს არ შეაჩერა იქ მყოფთაგან, როცა სხვა კრივიებში შედიოდა? 14. მაშინ ვილაყას დაუფიქრებლად წამოცდა, რომ ცუდი იყო, რაც მოხდა. 15. რაკი ეს უკვე მოხდა, თქვა მეფემ, რაღაც მიზეზის გამო, რაღაც არ შევიდეს, იმისდა მიუხედავად, გსურთ თქვენ ეს თუ არა? 16. მაშინ მღვდლები, სრულად შემოსილნი, დაემხნენ მიწაზე, შეწყვენას თხოვდნენ უზენაეს ღმერთს, რათა დაეოკებინა ბოროტი ზრახვებით შემოჭრილი მოძალადე, და მოთქმითა და ცრემლებით აავსეს ტაძარი. 17. ქალაქში დარჩენილნი, შესფოთებულები გამოცვივდნენ გარეთ; იფიქრეს, რაღაც უცნაური რამ მოხდარ. 18. თავიანთ ოთახებში ჩაკეტილი ქალწულები დედებთან ერთად გამობოდნენ, ნაცარს იყრიდნენ თმებზე, მოთქმა-გოდებით ავსებდნენ ქურებს. 19. საქორწინოდ მოკაზმული ქალიშვილები სტოვებდნენ სიძესთან შესახვედრად გამზადებულ სანთილებს და კვამლადკარგულნი უწესოდ დარბოდნენ ქალაქში. 20. დედები და ძიძვები ტოვებდნენ ახალშობილ ბავშვებს, ზოგი ხახლში, ზოგიც ქუჩაში და უკანმიუხედავად გარბოდნენ უზენაესი ტაძრისკენ. 21. შრავალკვარი იყო ვედრება ტაძართან დაემოყრილი ხალხისა, მეფის მკრეხე-

ლური განზრახვის გამო. ^{ქრისტიანული} ქალაქე შეეცადა კიდეც, ხელი შეესალა მეფისთვის განზრახულის შესრულებაში. 23. მოუწოდეს ხალხს, იარაღი აეღოთ და თავი შეეწირათ რჯულის დასაცავად და არეულობა გამოიწვიეს წმიდა ადვილას. მაგრამ უხუცესებმა და მღვდლებმა დაამოშშინეს და ისინიც სხვებივით ლოცვა-ვედრებას მოჰყენენ. 24. ხალხი კვლავ ლოცულობდა, 25. მეფესთან მყოფი უხუცესები კი ყველანი-ირად ცდილობდნენ დაეყოლიებინათ მეფე, ხელი აეღო თავხედურ განზრახვაზე. 26. მაგრამ გათავებებული მეფე ყველაფრის უგაულებელმყოფელი, წინ მიიწევდა, რათა ბოლომდე შეესრულებინა ნათქვამი. 27. ამის შემხედვარე მეფის თანმზლებმა პირებმა ჩვენთანთან ერთად დაიწვეს ლოცვა ყოველადმღიერისადმი, რათა ეხსნა ისინი გასაჭირისგან, არ ენახებინა მათთვის ურჯულო და კადნიერი საქმე. 28. ერთი გუგუნი იდგა სასოწარკვეთილი ხალხის გაბმული მოთქმისა და შეძახილებისაგან. 29. კაცს ეგონებოდა, რომ არა მხოლოდ ადამიანები გამოსცემენ ხმას, არამედ კვლებიცა და მთელი არემარეც. ამ დროს ყველას სიკვდილი ერჩია ადვილის შეგინებას.

მთავი მხორა

1. მაშინ სიმონ მღვდელმთავარმა ტაძრის წინ მოიყარა მუხლი, მოწიწებით გაიწვინა ხელები და წარმოთქვა ეს ლოცვა: 2. უფალო, უფალო, ცათა მეუფეო და ყოველი ქმნილების გამრიგვე, წმიდაო წმიდათა შორის, თვითმყრობელო, ყოველადმღიერო, შეგვეწიე, შეჭირვებულთ ულუთისგან და მკრეხელისგან, ძალითა და მძლავრობით გათავებებულისგან. 3. რადგან შენ, განსჯი მათ, ვინც თავხედურად და კადნიერად იქცევა. 4. შენ ხომ ადრეც შევიმუხრავს უსამართლობის ჩამდენნი და მათ შორას ბუმბერაზებიც იყენენ,



ძალაში და სიმაძაქვეში თავდაჯერებულნი, მიუღვარე მათ უზომო წყლები და დაღუპე. 5. შენ გადაბუგე ცეცხლითა და გოგირდით თავგასული სოდომელები, რომლებიც ახდითად ჩადიდნენ უკეთურებებს და საარაკოდ ვახდელ ისინი შთამომავლობისთვის. 6. შენ უწევნე შენი ძლევაშისილება თავხედ ფარაონს, შენი ერის, წმიდა ისრაელის დამატყვევებელს და მრავალი და მრავალფერი სასჯელით ჰკვემე იგი; დაანახვე შენი ძლიერება. 7. ეტლებითა და დიდძალი ჯარითურთ შენი ზალხის მღვენელი დანთქე ზღვის სიღრმეში, ხოლო შენი, ყოველი ქმნილების გამრიგის მოსაენი ცოცხლები გამოიყვანე. 8. და განგადიდეს ყოვლისმპყრობელი შენი ზელის ნამოქმედართა მხილველებმა. 9. შენ, მეუფეო, რომელმაც შექმენი უნაბირო და უსაზღვრო მიწა, გამოარჩიე ეს ქალაქი და აკურთხე შენი სახელით ეს ადგილი, თუმცა არაფერი ვაკლია, და განადიდე იგი შენი დიადი გამოცხადებით, რათა ვეკცია იგი შენი დიდი და პატიოსანი სახელის სადიდებლად. 10. ისრაელის სახლის მოყვარული გვიბრდებოდი — თუ უბედურებაში და გასაჭირში მყოფნი ამ ადგილზე მოვიდოდით და ვილოცებდით, შენ შეისმენდი ჩვენს ლოცვას. 11. მისანდობელი ხარ შენ და ჭეშმარიტი, 12. რადგან ხშირად შეწვენიხარ გასაჭირში ჩავარდნილ ჩვენს მამა-პაპას და დიდი ბოროტებისგან ვიხსნია. 13. და ახლაც, წმიდაო მეუფეო, ჩვენი მრავალი და დიდი შეცოდებების გამო ვიტანჯებოდით ჩვენს მტერს დამორჩილებულნი და უძლურებულნი. 14. ჩვენი დაცემის ჯამს ეს თავხედი და მკრეხელი ღამობს შეურაცხყოფს ამ ქვეყანაში შენს დიდებულ სახელზე ნაკურთხი წმინდა ადგილი. 15. შენი სამყოფელი, ცა ცათამიუწვდომელია ადამიანთათვის, 16. მაგრამ შენი მოწყალებით მოჰმადლე შენს ერს, ისრაელს, შენი დიდება და აკურთხე ეს ადგილი. 17. ნუ მოგვკითხვ ჩვენ ამით უწმინდურობას, ნურც

დავსჯი მათი მკრეხელობისთვის, სხვით რომ არ მოქვენენ ტრახანს უკულოები, არ გათავებდნენ და არა თქვან კადნიერი ენით: 18. ვათელეთ საწმიდარის სახლი, როგორც თელავენ წაბილწულ სახლებს. 19. განგვაშორე ჩვენი ცოდვები და გაფანტე ჩვენი შეცოდებები, გამოიჩინე შენი მოწყალება ამ ჯამს. 20. სწრაფად გარდამოვიდეს ჩვენი შენი სიბრალული; ხოტბის მადლი მოინაჭე ვათელილთა ბავებს, მშვიდობა მიჰმადლე სულით შემუსვრილებს. 21. მაშინ შეისმინა რჯულიერი ლოცვა-ვედრება ყოვლისმჭვერეტელმა-ღმერთმა, პირველმამამ, წმიდამ წმიდათა შორის, და დასაჯა გაკადნიერებული და თავგასული. 22. აქეთ-იქით შერახია იგი, როგორც ლერწამი ირხევა ქარისაგან და დაეცა იგი მიწაზე უშწილად, ასოვანრდვეული, ხმის ამოლება არ შეეძლო, რადგან სამართლიანი მსჯავრით იყო ნაკვეში. 23. შიშმა მოიცვა მისი მგლობრებიცა და პირადი მცველებიც, ამ საშინელი სასჯელის შემსწრენი; შეეშინდათ, სიცოცხლე არ მოესწრაფოსო მეფეს, და სასწრაფოდ განარიდეს ამ ადგილს, თავდაც თავზარდაცემულებმა. 24. მცირე ხანს მოეგო ვონს და, თუმცა დახჯილი იყო, არც კი მოუნანიებია; პირიქით, სასტიკი მუქარის სიტყვებით დასტოვა იქაურობა. 25. ვგვიბტეში ჩახულმა უმატა ბოროტის ქმნას, წაქეზებულმა შემთვრალე თანამეინახეთიგან, რომლებიც შორს იყვნენ ყოველგვარი სამართლიანობისგან. 26. არ დასჯერდა უთვალავ უკეთურ საქმეს, არამედ იმ ზომამდე გაკადნიერდა, რომ ღანძლვა-ვინებას უთელიდა იქაურ ადგილებს. მეფის ბევრი მეგობარი, ვინც ხშირად უყურებდა მის საქციელს, მის ნებას იყო აყოლილი. 27. ბოლოს, გადაწყვიტა მან საჯაროდ დაემცირობინა იუდაელი ზალხი და ამისთვის გოდლის ეზოში დადგა სვეტი წარწერით: 28. ვინც მსხვერპლს არ სწირავს, არავინ შევიდეს საწმიდარებში; ხოლო იუდაელი, ვკლანი გამოცხადნენ, რათა აღ-

წერილ იქნან მონების სიებში. გაურჩე-
ბული ძალით უნდა მოიყვანონ და სი-
კვდილით დასაჯონ. 29. აღრიცხულნი
უნდა დაიდალონ: ცეცხლით უნდა ამო-
წვვათ ღიონისეს ნიშანი — სუროს ფო-
თოლი და უფლებები შეეზღუდოთ.
30 ყველასთვის საძულველად რომ არ
ქამოინილიყო, მიაწერაჲ საიდუმლო
ღვთისმსახურებასთან ზიარების მსურ-
ველი აღექსანდრიელ მოქალაქეებთან
გათანასწორდება. 31. ზოგიერთებმა მო-
ქალაქეობის უფლებათა გამო საკუ-
თარი რჯული მოიძულეს და ადვილად
დანებდნენ, თითქოს მეფესთან ურთიერ-
ობით სახელს მოიხვეჭდნენ. 32. მაგ-
რამ მრავალნი სულით მტკიცენი აღ-
მოჩნდნენ და არ განუდგნენ ღვთისმო-
საყობას; ფულით ყიდულობდნენ სი-
ცოცხლეს და უშიშრად ცდილობდნენ,
აღწერისგან თავი დაეღწიათ; 33. ღვთის
შეწვევის იმედით საზრდობდნენ, გან-
დგომილებს გაემიჯნენ, ერის მტრებად
ჩათვალეს ისინი და მოიკვეთეს თავიან-
თი საზოგადოებისგან და ურთიერთშემ-
წუობისგან.

თავი მესამე

1. ეს რომ შეიტყო იმ უღვთომ, ისე
გამბიწვარდა, რომ უკვე მხოლოდ აღ-
ექსანდრიელ იუდაელებზე კი აღარ ბო-
ბოქრობდა, არამედ საერთოდ ქვეყნის
ყველა მცხოვრებსაც სასტიკად დაუ-
პირისპირდა, ბრძანა, ყველასთვის დაუ-
ყოვნებლივ თავი მოეყარათ ერთ ადგი-
ლზე, რომ უსასტიკესი სასჯელით მოეს-
წრაფათ სიცოცხლე. 2. სანამ ეს საქმე-
ები გვარდებოდა, კიდევ გავრცელდა
მტრული ხმები იუდაელთა ხალხზე მი-
სთვის ავის განზრახველთა წყალობით,
თითქოს იუდაელები მათი კანონების
დაცვას არიდებდნენ თავს; 3. თუმცა
იუდაელები კეთილგანწყობას და ერთ-
გულებას იჩენდნენ მეფისადმი, 4. მაგრამ
რაკი ისინი თავიანთ ღმერთს ესავენ და
რჯულს მისდევენ, გარჩევა აქვთ საჭ-
მელში და ამ მიზეზით სიძულვილით
უურუბენ მათ ზოგიერთნი. 5. ხოლო

სამართლიანი და ქველმოქმედების მქონე
კობილი იუდაელები ბევრნი იყვნენ
ვისცემას იმსახურებდნენ; 6. მაგრამ მა-
ინც ამ ხალხის სიკეთით სახე ცხოვ-
რებას უცხოობიდან არაფრად მი-
იჩნევდნენ; 7. ისინი ჭირაობდნენ მათ
ღვთისმსახურებაზე და მათ საჭმელ-
ზე. ამტკიცებდნენ, თითქოს არც მე-
ფის, არც მისი ხელისუფლების ერთ-
გულნი არ ყოფილიყვნენ, მტრულად
ყოფილიყვნენ მათი საქმეებისადმი გან-
წყობილნი. და ასე განზრახ უვრცელე-
ბდნენ მათ ცუდ ხმებს. 8. ხოლო ქალაქ-
ში მცხოვრებმა, რომელთაც იუდაელ-
თაგან ცუდი არ ახსოვდათ, დაინახეს რა
მოულოდნელი აღშფოთება მათ წინა-
აღმდეგ და ბრბოების თავმოყრა მათ გა-
რშემო, თუმცა არ შეეძლოთ მათი დახ-
მარება, რადგან სამეფო განკარგულებას
გვერდს ვერ აუქცევდნენ, მაინც ცდი-
ლობდნენ მათ ნუგეშისცემას, სწუხდნენ
და იმედოვნებდნენ, რომ შეიცვლებოდა
ვითარება. 9. რადგან არ ეგებოდა ამ-
დენი უდანაშაულო ხალხის ბედის ანა-
ბარა მიტოვება. 10. თუმცა ზოგიერთი
მათი მეზობელი და მეგობარი, ვისაც
მათთან საქმე აკავშირებდა, ფარულად
იღებდა ზოგიერთ მათგანს და აღუქვა-
მდა, რომ ყველაფერს იღონებდა მათ და-
საცავად. 11. ხოლო მეფემ თავისი კე-
თილდლეობით გათავხედებულმა, არა-
ფრად რომ არ ავდებდა უზენაესი ღმე-
რთის ძალას და დაბეჯითებით განიზ-
რახავდა ჩანაფიქრის განხორციელებას,
ასეთი წერილი დაწერა მათ მიმართ: 12.
მეფე პტოლემეოს ფილოპატორი თავის
სარდლებს და ჯარისკაცებს ეკვიპტე-
ში და მის ყველა ადგილას ესალმება და
ჯანმრთელობას უსურვებს. 13. კარგად
ვარ და ჩვენი საქმეებიც კარგად მიდის.
14. აზიაში ჩვენი ლაშქრობის დროს,
სადაც თქვენც უწყით, ღმერთთა მოუ-
ლოდნელი შეწვევით, წარმატებით ადვა-
სრულეთ განზრახული, 15. ჩვენ არა ია-
რალის ძალით, არამედ მოწყალებითა
და ღიდი კაცთმოყვარეობით ვზრუნავ-
დით კოილესირიის მოსახლეობაზე და



ვედილობდით ფინიკიის ხალხებსაც კეთილად მოექცეოდით. 16. ქალაქთა საწმიდარებს მრავლად შეეწირეთ დიდძალი ქონება და ასე მიუადექით იერუსალიმს, ავედით ამ უკეთური და უგუნურებაში დაუოკებელი ხალხის საწმიდარის პატივსაცემად. 17. სიტყვით კი მიგვიღეს, მაგრამ საქმით მზაკურულად მოგვექცნენ. როცა მოვისურვებთ მათ ტაძარში საკადრისი და ღირსეული შესაწირით შესვლა, რათა პატივი გვეცა მისთვის, 18. თავხედურად მოგვიყარდნენ და შესასვლელი გადაგვიკეტეს. ჩვენ კი არც გვიფიქრია, ძალისათვის მიგვემართა იმ კაცთმოყვარეობის გამო, რომელსაც ყველასადმი ვინჩნთ. 19. ჩვენდამი აშკარა მტრობის გამოჩენით ერთადერთი ეს ხალხი შეიქმნა ყველა ხალხს შორის, რომელიც გაუდიდგულდა მეფეებსა და თავიანთ კეთილისმყოფელთ და არ სურთ კეთილშობილურად იქცეოდნენ. 20. მაგრამ ჩვენ არ აუფევთ მათ უგუნურებას და გამარჯვებით დაბრუნებულბმა ევვაბტემიც კი შესაფერისი კაცთმოყვარეობა გამოიჩინეთ, როგორც ყოველი ხალხის მიმართ ვიქცევით. 21. ამასთან ერთად ჩვენ გამოუუცხადეთ ყველას, რომ ვიფიციებთ ყველაფერ ცუდს, რაც მათ თანამემამულეთაგან გვინახავს; რადგან ჩვენს მოკავშირეებად მიგვანია ისინი და უამრავ საქმეში დიდსულოვნად ვენდობით თავიდანვე. ერთი ცვლილება კი გავბედეთ გადავწყვიტეთ ალექსანდრიის მოქალაქეობის ღირსად და ჩვენი სიწმინდეების მუდმივ თანაზიარად გავგეხადა ისინი. 22. მათ კი თანდაყოლილი სიავის მიზეზით უკუღმა მიიღეს ეს ყოველივე, უარყვეს სიკეთე და, სულმუდამ მზაკვრობებისაკენ მიდრეკილებმა, 23. არა თუ არა იკადრეს ეს დაუფასებელი მოქალაქეობა, არამედ მეტიც: საჯაროდ თუ დაფარულად გაწყვიტეს კავშირი იმ თანამემამულეებთან, ვინც ჩვენდამი გულთბილად იყვნენ განწყობილნი, მათ იღუმალ სჯერათ, რომ მათი სამარცხინო ცხოვრება მალე შეგვაცვლევინებს

ჩვენს წესრიგს. 24. ამიტომ ჩვენს კმარისი მაგალითი გვაქვს იმისათვის, რომ დარწმუნებული ვიყოთ მათ ყოველად მტრულ განწყობილებაში ჩვენდამი, და თუ ჩვენს წინააღმდეგ უცერად სადმე ჯანყი ატყდება, გვეცოდინოს, რომ ზურგს უკან ეს გამყიდველი და ბარბაროსი ხალხი გვყავს. 25. ამიტომ განკარგულებას ვიძლევი: როგორც კი ამ წერილს მიიღებთ, თავიანთი ცოლ-შვილითურთ წარმოასხით ჩვენთან ისინი, რკინის ბორკილდადებულნი, ტანჯვითა და შურააცხებით, რათა სამარცხენო სიკვდილი დაიმსახურონ, როგორც მტრებს შეჰფერის. 26. რადგან თუ დახჯილნი გვეყოლებიან ყველანი, მომავალში კარგად წაგვივა სახელმწიფო საქმეები და წესრიგი დაგვიმყარდება. 27. და თუ ვინმე შეიფარებს იუდაელს — მოხუცებულს თუ ბავშვს, ჩეილსაც კი, სამარცხენო წამებით ამოხდება სული მას და მთელს მის ოჯახს. 28. ხოლო ვინც მოისურვებს, რამე შეგვატყობინოს, ჯილდოდ მიიღებს დაჯილის ჩამორთმულ ქონებას, ორიათას დრაქმას მეფის ზახინიდან და თავისუფლებას. 29. ყოველ ადგილი კი, სადაც იპოვნიან თავშეფარებულ იუდაელს, განადგურდეს და გადაიბუგოს, რომ მოკვდეთათვის. ყოველად გამოსადეგარი იყოს სამუდამოდ. 30. ასეთი იყო მეფის წერილი.

თავი მეოთხე

1. ყველგან, სადაც კი გამოცხადდებოდა მეფის განკარგულება, წარმართების სახელმწიფოს ხარჯზე, იმართებოდა ზმურანი და მზიარული ნადიმები, რადგან საამკარაოზე გამოვიდა მანამდე ფარული, გულში ჩამარხული სიძულვილი. 2. იუდაელებში კი განუწყვეტელი მოთქმა-გოდება და ცრემლის ღერა იყო; ყველგან ოხვრაკნესა გაისმოდა; ხალხს გული უწუნ-

და, ასე უეცრად დასაღუჰად განწირულს. 3. რომელი ოლქი ან ქალაქი, ან საერთოდ, რომელი დასახლებული ადგილი თუ ქუჩა არ შეუძრავს მათ მოთქმას და ტირილს? 4. ჯოჯოვით ერეკებოდნენ მათ ქალაქებიდან სასტიკი და უღმობელი სარდლები, ისე რომ ეს უწვეულო სასჯელი იუდაელთა ზოგიერთი მტრის თვალშიც კი საწყალობელ სანახაობად იქცეოდა და იწვევდა ფიქრებს წუთისოფლის სიმუხთღებზე, და ისინიც მწარედ დასტიროდნენ უსამართლოდ დევნილებს. 5. მიათრევდნენ ჭაღართ შუშკობილ მოხუცებს, და უძღურებულთ და ასაკით წელში მოხრილთ; უსირცხვილოდ აიძულებდნენ, სწრაფად ევლოთ. 6. ვოდებდნენ ახლად დაქორწინებული ყმაწვილი ქალები ნაცვლად იმისა, რომ გაეხარათ სანთიობოში; ნაცარს იყრიდნენ მირონნაკურებთაზე და თავშიშეუღნი, საქორწინო სიმღერების ნაცვლად, ერთხმად ტირიოდნენ უცხოტომელთა სასტიკი მოპყრობით გამწარებულები. 7. ბორკილგაყრილი ძალადობით მიჰყავდათ ისინი ქვეყნის თვალწინ, ვიდრე ზომალდში ჩაყრიდნენ. 8. ზოლო მათი ქმრები, ახალგაზრდული ასაკის მწვერვალს მიღწეულნი, კისერზე თოკუმოჭერილნი გვირგვინის ნაცვლად, ღხინისა და ჭაბუკური სიხალისის წილ გლოვაში ატარებდნენ ქორწილისთვის განკუთვნილ დღეებს, რადგან ფეხქვეშ უკვე პირაშემულ ჯოჯოხეთს ზედაუდნენ. 9. მხეცებივით აჰყავდათ ზომალდზე რკინის ბორკილებში; ზოგს კისრით აჯაჭვებდნენ მერხებს, ზოგს კი მაგარ ხუნდებში ჰქონდათ ფეხები გაყრილი. 10. ზემოდან სქელი ფიცარნავი ჰქონდათ სახურავად, რომ დღის სხივი არ ენახათ, და აუასზრახველთა მსგავსად, მთელი გზა ბნელში მსხდარიყვნენ. 11. როცა სქედიად წოდებულ ადგილს მიადგნენ, დასრულდა მოგზაურობა თანახმად მეფის ბრძანებისა, და გამოამწვედიეს ისინი იპოდრომზე, რომელიც უზარმაზარი გალავნით იყო შემო-

ზღუდული და მოსახერხებელი იყო მათ სამაგალითოდ დასჯილთათვის. 12. თვალწინ, ვინც კი ქალაქში შემოსვლელი იყო ან ქალაქიდან გამსვლელი ქვეყნის შიგნით; განწირულთ არც მეფის ჯარებთან უნდა ჰქონოდათ ურთიერთობა და არც ქალაქის მოსახლეობასთან. 13. როცა ეს შესრულდა, შეიტყო მეფემ, რომ ქალაქიდან ჩუბ-ჩუმად გამოდიან დასასჯელად თავშეყრილთა თანამეამულენი და მწარედ დასტირიან ძმათა უსახელო აღსასრულს, 13. განრისხებულმა ბრძანა, ამათაც ისევე მოქცეოდნენ, რომ არანაკლები სასჯელით დასჯილიყვნენ. 14. გასცა განკარგულება, მთელი ტომი სახელდებით არა სამუშაოზე გასაწვევად, როგორც ამასწინათ ჰქონდათ გამოცხადებული, არამედ სატანჯველად, რათა ერთხელ და სამუდამოდ მოეღოთ მათთვის ბოლო. 15. თუმცა ზღვის აღწერა სწრაფად და ბევრითა მიმდინარეობდა მზის ამოსვლიდან ჩასვლამდე, მაგრამ მაინც ვაკვიანურდა და ორმოც დღეშიც ვერ დაასრულეს. 16. მეფე კი მეტისმეტი სიხარულით აღტაცებული ნადიმს ნადიმზე იწვევდა და ყველა კერპის წინაშე ფიქრითაც და ბილწი ბავითაც დიდად სცოდავდა ჭეშმარიტებას, ხოტბას აღავლენდა მათ წინაშე, ვისაც არ ჰქონდა არც მეტყველების, არც შემწეობის უნარი უზენაეს ღმერთზე კი შეუფერებელ სიტყვებს ამბობდა. 17. აღნიშნული დროის გასვლის შემდეგ მწერლებმა მოახსენეს მეფეს — რომ აღარ შეუძლიათ იუდაელთა აღწერა მათი სიმრავლის გამო. 18. კიდევ უფრო მეტნი მთელს ქვეყანაში იყვნენ გაფანტულნი, ზოგნი იყვნენ დარჩენილნი, სხვანი კი გზაში იყვნენ; 19. როცა მეფე დაემუქრა მათ და ბრალა დასდო, რომ მოქრთამულები ხართ და ყოველმხრივ ცდილობთ თავის დაძვრენასო, დაუწყეს მას დარწმუნება. 20. მოახსენეს, რომ გამოვლიათ აღწერისთვის საჭირო ქალაქი და



კალმები. 21. აქ გამოჩნდა მოქმედება უძლეველი განგებისა, რომელიც ზეგარდამო შეეწეოდა იუდაელებს.

თახი მესუთა

1. მაშინ მეფემ მოიხმო ჰერმონი სპილოების ზედამხედველი, და რისხვითა და დაუოკებელი ბრახით აღსავსემ 2. უბრძანა, მეორე დღისთვის უზუად ექმნათ საკმეველი და შეესმიათ განუზავებელი ღვინო ორმოცდაათივე სპილოსთვის, რამდენიც ჰყავდათ, და გაშმაგებული ცხოველები მიეხიათ იუდაელებისთვის მათ დასალუპად. 3. ეს განკარგულება რომ გასცა, გამართა ნადიმი და მოაწვია მეგობრები და მეომრები, ისინი, ვინც განსაკუთრებით მტრულად იყო განწყობილი იუდაელების მიმართ. 4. ხოლო სპილოთა ზედამხედველმა ჰერმონმა პატიოსნად შეასრულა ბრძანება. 5. ხალამოხანს ამ საქმის აღმსრულებელნი მივიდნენ და ხელები შეუკრეს იმ უბედურთა და ყარაული დაუყენეს; დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ერთი ღამეც და ეს ტომი მთლიანად განადგურდებოდა. 6. მაგრამ ბორკილდადებული იუდაელები, წარმართებს რომ ყოველმხრივ შევიწროებულნი და ყველანიარ მფარველობას მოკლებულნი ეგონათ, 7. ცრემლის ღვრითა და დაღადისით მოუხმობდნენ ყოვლისმპყრობელ უფალს და ყოველი ძალის გამრიგეს, თავიანთ მოწყალე ღმერთსა და მამას, 8. შესთხოვდნენ, განერიდებინა მათგან ავიზრახვა და დიადი გამოცხადებით დაეხსნა ისინი მათთვის გამზადებული ბედისწერისგან. 9. მათი მხურვალე ღოცვა-უედრება ავიდა ცაშდ. 10. როცა მძივნეარე სპილოებს უზომო ღვინო შეასვა და საკმევლით გააძლო, ჰერმონი დილით ადრე სასახლეში წარდგა, რათა მეფისთვის მზადყოფნა მოეხსენებინა. 11. მაგრამ უფალმა მოგვარა მეფეს ძილი - ეს კურთხეული ქმნილება, რომელიც დასაბამიდან, დღისით სრულდებოდა მით, მის მიერ მიემადლებოდა ყველას, ვისთვისაც მოისურვებს. 12. მეფის წყალობით მოიცვა იგი ღრმა და ტკბილმა ძილმა და სრულიად ჩაიშალა მისი უღვთო ჩანაფიქრი და ურყევი გადაწყვეტილება. 13. ხოლო იუდაელები, რაკი მოსალოდნელ სასჯელს გადაურჩნენ, ადიდებდნენ თავიანთ წმიდა ღმერთს და კვლავ შესთხოვდნენ მათდამი ღმობიერად მომხედავს, ენკენებინა თავისი ყოვლისშემძლე მარჯვენის ძალა გათავხედებული წარმართებისათვის. 14. შეათვ საათის ნახევარი არ იყო გასული, როცა მეტეტყრეთუხუცესმა დინახა თავშეყრილი სტუმრები და გასაღვიძლებლად ეახლა მეფეს. 15. ძლივს გააღვიძა იგი და აუწყა, რომ უკვე იწურებოდა ნადიმის დრო და ანგარიში ჩააბარა შესრულებული დავალების თაობაზე. 16. როცა კონს მოევო, მეფე კვლავ მიუბრუნდა მას და უბრძანა ნადიმზე მოწვეულებს, ინახით დამსხდარიყვნენ მის წინ. 17. ბრძანება რომ შესრულდა, მეფემ თანამეინახეებს მოუწოდა, ნადიმის დარჩენილი დრო მხარულად გაეტარებინათ. 18. როცა ღვინოში შევიდნენ, მეფემ დაიბარა ჰერმონი და მკაცრად ჰკითხა, თუ რა მიზეზით გადარჩნენ დღევანდელ დღეს იუდაელები. 19. მან მოახსენა, რომ წინა ღამითვე ჰქონდა განკარგულება შესრულებული; მეფის მეგობრებმაც დაადასტურეს ეს. 20. მაშინ ფელარისზე უარესად გაშმაგებულმა მეფემ თქვა: დაე, დღევანდელ ძილს უმადლოდნენო იუდაელები, და უბრძანა ჰერმონს, მეორე დღისთვის, დაუყონებლივ, განკარგულებისამებრ იმგვარადვე მოემზადებინა სპილოები ურჯულო იუდაელების შესამუსრავად. 21. მეფის ამ სიტყვებზე ყველა იქ მყოფმა ხალისით გამოხატა კმაყოფილება და თავთავიანთ სახლებში წავიდნენ. 22. მაგრამ ის ღამე ძილში კი არ გაატარეს, არამედ ფიქრობდნენ, როგორ დაემციერებინათ ხალხი, რომელიც სა-

მელიც დასაბამიდან, დღისით სრულდებოდა მით, მის მიერ მიემადლებოდა ყველას, ვისთვისაც მოისურვებს. 12. მეფის წყალობით მოიცვა იგი ღრმა და ტკბილმა ძილმა და სრულიად ჩაიშალა მისი უღვთო ჩანაფიქრი და ურყევი გადაწყვეტილება. 13. ხოლო იუდაელები, რაკი მოსალოდნელ სასჯელს გადაურჩნენ, ადიდებდნენ თავიანთ წმიდა ღმერთს და კვლავ შესთხოვდნენ მათდამი ღმობიერად მომხედავს, ენკენებინა თავისი ყოვლისშემძლე მარჯვენის ძალა გათავხედებული წარმართებისათვის. 14. შეათვ საათის ნახევარი არ იყო გასული, როცა მეტეტყრეთუხუცესმა დინახა თავშეყრილი სტუმრები და გასაღვიძლებლად ეახლა მეფეს. 15. ძლივს გააღვიძა იგი და აუწყა, რომ უკვე იწურებოდა ნადიმის დრო და ანგარიში ჩააბარა შესრულებული დავალების თაობაზე. 16. როცა კონს მოევო, მეფე კვლავ მიუბრუნდა მას და უბრძანა ნადიმზე მოწვეულებს, ინახით დამსხდარიყვნენ მის წინ. 17. ბრძანება რომ შესრულდა, მეფემ თანამეინახეებს მოუწოდა, ნადიმის დარჩენილი დრო მხარულად გაეტარებინათ. 18. როცა ღვინოში შევიდნენ, მეფემ დაიბარა ჰერმონი და მკაცრად ჰკითხა, თუ რა მიზეზით გადარჩნენ დღევანდელ დღეს იუდაელები. 19. მან მოახსენა, რომ წინა ღამითვე ჰქონდა განკარგულება შესრულებული; მეფის მეგობრებმაც დაადასტურეს ეს. 20. მაშინ ფელარისზე უარესად გაშმაგებულმა მეფემ თქვა: დაე, დღევანდელ ძილს უმადლოდნენო იუდაელები, და უბრძანა ჰერმონს, მეორე დღისთვის, დაუყონებლივ, განკარგულებისამებრ იმგვარადვე მოემზადებინა სპილოები ურჯულო იუდაელების შესამუსრავად. 21. მეფის ამ სიტყვებზე ყველა იქ მყოფმა ხალისით გამოხატა კმაყოფილება და თავთავიანთ სახლებში წავიდნენ. 22. მაგრამ ის ღამე ძილში კი არ გაატარეს, არამედ ფიქრობდნენ, როგორ დაემციერებინათ ხალხი, რომელიც სა-

სიკვდილოდ განწირულად მიიჩნდათ. 23. დილაადრიაანდ. როგორც კი მამალმა იფივლა, მოამზადა ჰერმონმა მხეცები და დიდი პერისტრონიდან დაძრა ისინი. 24. ბუერმა მოიყარა თავი ქალაქიდან ამ საცოდლობის სახილველად და მოუთმენლად ელოდნენ გათენებას. 25. იუდაელები კი სულგამწარებულნი ცრემლებს ღვრიდნენ და გოდებით იწვდიდნენ ხელებს ცისკენ; ყვედრებოდნენ დიდ ღმერთს, კვლავაც მოეველინა მათთვის ხსნა. 26. ჯერ კიდევ შზის სხივების მოფენამდე, როცა მეფე თავის მეგობრებს იღებდა, მოვიდა ჰერმონი და მოახსენა, რომ ყველაფერი მზადაა მეფის განკარგულების აღსასრულებლად, და გასასვლელისკენ იწვევდა მათ. 27. ნათქვამითა და გასასვლელისკენ მოულოდნელი მიწვევით განცვიფრებულმა მეფემ, რადგან სრულიად დაციწყებული ჰქონდა თავისი განკარგულება, იკითხა, თუ რა საქმეს აღასრულებენ მისთვის ესოდენი გულმოდგინებით. 28. ასეთი იყო ქმედება ყოვლისგამრიგე ღმერთისა, რომელმაც დააიწყა მეფეს ყველაფერი, რაც მოფიქრებული ჰქონდა. 29. ხოლო ჰერმონმა და მეფის მეგობრებმა მიახედეს მხეცებისკენ და ჯარისკენ და უთხრეს: ყველაფერი მზადაა, მეფეო, შენი განკარგულებისამებრ. 30. ამ სიტყვების გაგონებაზე მეფე დიდად განრიხდა, რადგან ღვთაებრივმა განგებამ გონებიდან გაუფანტა ჩანაფიქრი და სახეგამწყრალმა მუქარით თქვა: 31. შენი მშობლები და შეილები რომ ყოფილიყვნენ აქ, მათ გავამზადებდი მხეცებისათვის სანადიმოდ იუდაელების ნაცვლად, რომლებმაც თავდადება და ერთგულება დამიმტკიცეს. 32. რომ არ მიფვარდე, რადგან ერთად ვართ გაზრდილნი და არ მჭირდებოდე, მათ ნაცვლად შენ გამოეთხოვებოდი სიცოცხლეს. 33. ასე დაატყდა თავზე ჰერმონს მოულოდნელი და სახიფათო მუქარა და შეეცვალა მზერა და სახე. 34. მეფის მეგობრებიც ყველანი მოღუშულნი წავიდნენ, წვეულება დაი-

შალა და თითოეული თავისი საშენს ეწია. 35. იუდაელებმა კი მეფეს მითხრეს ეპი რომ შეიტყვეს, აღიდეს გამოცხადება ღმერთისა, მეფეთა მეფისა, რომელმაც მოუტანა მათ ხსნა. 36. ეს რომ დაადგინა მეფემ, კვლავ გამართა ნადიმი და სამზიარულოდ მოიწვია სტუმრები. 37. ხოლო ჰერმონი მოიხიშო და მუქარით უთხრა: რამდენჯერ უნდა გიბრძანო უმჯინისო, ეს საქმე? 38. კიდევ მოამზადე სპილოები ზეალისთვის იუდაელთა განსადაგურებლად. 39. ხოლო მეფის დაახლოებულმა პირებმა, რომლებიც სუფრას უსხდნენ მასთან ერთად, გაიკვირვეს მეფის მერყეობა და მოახსენეს: 40. ვიდრემდის უნდა გეცდიდე, მეფეო, როგორც ბრიყვებს? აქი უკვე მესამეჯერ ბრძანებ იუდაელთა მოსპობას და საქმე საქმეზე როცა მიდგება, ცელი და აუქმებ დადგენილებას. 41. მოლოდინშია მთელი ქალაქი და შფოთავს; უამრავი ხალხით არის ავსებული და გაძარცვის მუღმიუ საფრთხეშია. 42. ხოლო მეფემ ყველაფერში ფალარისის მსგავსმა და უგუნურებით აღვიხილა, ჩაიხშო იუდაელთა მიმართ აღძრული სინანულის გრძობა და სასტიკი ფიცით დაიფიცა, რომ დაუყოვნებლივ შვეითში გაგზავნიდა ცხოველთა ფეხქვეშ გათელილ იუდაელებს. 43. შემდგე კი იუდაზე გაილაშქრებდა და ცეცხლითა და მახვილით მიწასთან გაასწორებდა მას; სწრაფად დაამზობდა მისთვის მიუწვდომელ ტაძარს, ცეცხლით გადაბუგავდა და სამუდამოდ გააუკაცრიელებდა მსხვერპლის შემწირველთაგან. 44. მამის მეფის მეგობრები, დაახლოებული პირები დიდი სიზარულით დაიშალნენ და გულდაჯერებულებმა ჯარები ქალაქის ყველაზე მოხერხებულ ადგილებში განალაგეს დასაცავად. 45. როცა სპილოთა ზედამხედველმა გამაბრუებელი სასმელით-საკმეველნარევი ღვინით ღამის სიციქმდე მიიყვანა ცხოველები და საშინელი იარაღებით აღჭურვა ისინი, 46. და ქალაქიც აივსო იპოდრომისკენ მიმავალი ურიცხვი ბრბოებით, ეახლა იგი



მეფეს და შეახსენა აღსასრულებელი საქმე. 47. მეფეც, მძიმე რისხვითა და უღუთო განზრახვით აღძრული, მთელს ამაღასთან ერთად გავიდა იპოდრომზე, რათა გულგაქცევებულს საკუთარი თვალთ ვურუბინა განწირული ხალხის უწყალო განადგურებისთვის. 48. როგორც კი იუდაელებმა შეამჩნიეს კარიბჭიდან მომავალი სპილოების, მათი თანხლები ჯარებისა და ბრბოს მსვლელობით ავარდნილი მტერის კორიანტელი, და გაიგონეს ყურთასმენის წამლები ხმაური, 49. იფიქრეს, სიცოცხლის უკანასკნელი წუთებიდა დაგვრჩენიარ და დასრულდა ჩვენი მოლოდინიო, მოთქმაგოდებით დაუწყეს ერთმანეთს ყელზე კოცნა, ეხვეოდნენ ერთმანეთს ნათესავები: მშობლები — შვილებს, დედები — ფრშებს, ზოგი მკერდში იხუტებდა ახალშობილ ჩვილებს, უკანასკნელად რომ სწოვდნენ ტუბუს. 50. მაგრამ როცა გაიხსენეს ამასწინათ ზეცით მოვლენილი სასწაული, ერთსულოვნად პირქვე დაემხნენ, მოიცილეს რა მკერდიდან ჩვილები; 51. ხმამაღლა შეღაღადეს ძალთა გამრიგეს და შესთხოვეს, გამოცხადებულიყო და შეეწყალებინა შავეთის კარიბჭეს მიყენებულნი.

თავი მეთხუთსე

1. მაშინ ვინმე ელვაზარმა, ქვეყნის სამღვდლოებაში განთქმულმა კაცმა, რომელიც მოხუცებულობის ასაკს იყო მიწვენილი და ყველანაირი ღირსებით შემკობილი, დააწყნარა თავის ირგვლივ მოხუცებულნი წმიდა ღმერთისადმი ღაღადებისგან და ასე ილოცა: 2. მეუფეო ყოვლადძლიერო, უზუნავსო, ყოვლისმპყრობელო, ღმერთო, ყოვლის გამრიგეე მოწყალებით! 3. მოხედე, მამაო, აბრაამის მოდგმას, კურთხეული იაკობის შვილებს, შენს წილხვედრილ კურთხულ ერს, უცხო მიწაზე, როგორც უცხო, უსამართლოდ რომ იღუპება. 4. შენ შთანთქე ზღვაში ფორაონი,

ამ ეგვიპტის წინანდელი ხელმწიფე, თავზედი და მზვარობარი, თანადა და ძალი ეტლიონითა და ამაყი ლაშქრითურთ, და დაღუპე, ისრაელის მოდგმას წყალობის ნათელი გამოუბრწყინე. 5. შენ მოუდრიკე ქედი სანქერებს, აშურელთა სასტიკ მეფეს, ურიცხვი ლაშქრით გათამამებულს, რომელმაც თითქმის მთელი დედამიწა დაიმორჩილა შუბით და შენს წმინდა ქალაქზეც გაილაშქრა, მწარე სიტყვებს რომ ლაპარაკობდა ტრაბახითა და შეურაცხებით, შენ გააცამტვერე იგი, მეუფეე, რათა მრავალი ხალხისთვის შენი ძალა გეჩვენებინა. 6. ის სამი ყრმა ბაბილონში, რომელთაც ფუჭი კერპების თყვანისცემაზე უარის ნიშნად ნებით მიანდეს ცეცხლს სიცოცხლე, აგიზგიზებულ ღუმელში ცვარისკურებით ისე იხსენი, რომ თმის ერთი ღერიც არ დაშავებიათ, ცეცხლის ალი კი მათი მტრებისკენ მიმართე. 7. შენ ამოიყვანე უვნებლად დღის სინათლეზე დანიელი, რომელიც შურიანთა ცილისწამებით ხაროში იყო ჩაგდებული ღომების შესაჭმელად. 8. შენ მოხედე იონას მოწყალე თვალთ, მამაო, როცა მას სიღრმის მკვიდრის, ეშაპის სტომაქში გახრწნა მოელოდა და უვნებელი მოუვლინე იგი მისიანებს. 9. და ახლაც შენ, რომელიც მოხულე ხარ შეურაცხებისა, მრავალმოწყალე და ყოველთა მფარველი, სწრაფად გამოეცხადე ისრაელის მოდგმას, ურჯულო და ბილწი წარმართებისგან შეჭირებულს. 10. და თუ უკეთურად გავიტარებია ცხოვრება გადასახლებაში, ჯერ გვიხსენი მტრის ხელიდან და, როგორც ინებებ, ისე დაგვღუპე, მეუფეე. 11. მაღლი არ მიაგონ ფუჭმორწმუნეებმა თავიანთ ფუჭ ღმერთებს რჩეულების დაღუპვის გამო, არა თქვენ: საკუთარმა ღმერთმაც ვერ იხსნაო ისინი. 12. ხოლო შენ, ყოველგნით ძალმოსილო, მარადიულო, ახლა მოგვხედე და შეგვიწყალე ჩვენ, უკუნურად გამძვინვარებულ ურჯულოთა ხელში ბოროტმოქმედთა მსგავსად რომ კილუბებით. 13. შიშით შეტრას

დღეს წარმართები შენმა უძლეველმა ძალამ, პატიოსანო, რომელსაც ძალგამს იაკობის მოღვმის გადარჩენა. 14. შენ გვედრებდიან ცრემლის ღვრით უამრავი ბავშვი და მათი მშობლები. 15. დაინახონ წარმართებმა, უფალო, რომ ჩვენთან ხარ, და ნუ იბრუნებ პირს ჩვენგან, არამედ როგორც ვითქვამს: მტრების მიწაზეც არ მივატოვებო მათ, ისე აღასრულე, უფალო. 16. დაასრულა თუ არა ლოცვა ელვაზარმა, შემოვიდა იპოდრომზე მეფე ცხოველებითა და მთელი თავისი ზვიადი ლაშქრითურთ. 17. დაინახეს იგი იუდაელებმა და ისეთი ხმით შეღალადეს ცას, რომ მახლობელ ხეობაში გაისმა გამოძახილი, და აუტანელმა შიშმა მოიცვა მთელი ჯარი. 18. მაშინ გააცხადა თავის წმიდა სახე სახელოვანმა ყოვლისმპყრობელმა, და ჭეშმარიტმა ღმერთმა და გაიღო ციური კარიბჭენი, და ორი დიდებული, საშინელი სახილველი ანგელოზი ჩამოვიდა იქიდან; ყველა ხედავდა მათ, იუდაელების გარდა. 19. წინ გადაუდგნენ მტრის ლაშქარს და შიშითა და ძრწოლით აავსეს იგი, და შეურყეველი ხუნდები დაადეს. 20. მეფეს მთელი ტანი აუცახცახდა და დააეიწყა ამაართანობაც და რისხვაც. 21. ცხოველები შეტრიალდნენ და აღჭურვილ ლაშქარს ეკვეთნენ, ფეხით გადათელეს და მუსრი გაავლეს. 22. მაშინ მეფის რისხვა შეცვალა სინანულმა და ცრემლმა იმის გამო, რაც განზრახული ჰქონდა იუდაელთათვის. 23. რადგან, როცა გაიგონა მათი ყვირილი და დაინახა დასალუჰად განწირულნი, ატირდა და შუქარით უთხრა თავის მეგობრებს: 24. მეფის უფლებებს აჭარბებთ და ტირანებზე სასტიკად იქცევით; ჩემ-ჩემად იმასაც გიციილობთ, რომ მე, თქვენს კეთილისმყოფელს, ძალაუფლება და სიცოცხლე წაპართვით სამეფოსთვის საზიანო მოქმედებით. 25. ვინ გამოაყარა სახლებიდან და ვინ გამოამწყვდია აქ უგუნურად ეს ხალხი, რომელსაც საიმედოდ ეპყრა ჩენი ქვეყნის ციხე-სიმაგრეები? 26.

ვინ სტანჯავს ასე უსამართლოდ მხალხს, ყველა ხალხისგან განსხვავებულ დასაბამიდან ჩვენდამი ერთგულებაში, რომელსაც ხშირად უნახავს სიფათი? 27. ახსენით, ჩამოხსენით ამ უღანაშაულო ხალხს უსამართლო ბორკილები! მშვიდობით გაისტუმრეთ უკან და პატიება სთხოვეთ ყველაფრისთვის, რაც წინათ ჩავიდინათ. 28. გაათავისუფლეთ შვილები ცის ყოვლისმპყრობელი ღმერთისა, ცხოველისა, რომელიც წინააღრთა დროიდან დღემდე დიდებასა და სიმტკიცეს ანიჭებს განუწყვეტლივ ჩვენს სახელმწიფოს. 29. ეს თქვა მეფემ. ხოლო ეს-ეს არის სიკვდილს გადარჩენილი იუდაელები კმადლოდდნენ წმიდა ღმერთს, თავიანთ მხსნელს. 30. შემდეგ, როცა ქალაქში დაბრუნდა მეფე, მოიხმო მეღვინეთუხუცესი და უბრძანა მას, გაემზადებინა იუდაელებისათვის ღვინო და ყველაფერი, რაც საჭირო იქნებოდა შეიდღიანი ნადიმის გადასახდელად; გადაწყვიტა, რომ მათ დიდი სიხარულით ეზემათ გადარჩენა სწორედ იმ ადგილზე, სადაც თავიანთ აღსასრულს უნდა შეხვედროდნენ. 31. მაშინ იუდაელები, რომლებიც ამის წინ დამცირებულნი და შაკეთის პირს მიმდგარნი იყვნენ, განემზადნენ გადარჩენის საღვინოდ ნაკელად მწარე და საწყალობელი სიკვდილისა, და სიხარულით ავისილებმა სადღესასწაულოდ გადააქციეს ადგილი, რომელიც მათ სასიკვდილოდ და დასასამარებლად იყო განწესებული. 32. შეწყვიტეს გლოვა და მათი მხსნელი და სასწაულოქმედი ღმერთის მაღიდებლებმა წამოიწყეს მამაპაპეული საგალობელი. კუნესა და ვაება უკუაგდეს და დააბეს ფერხულები სამშვიდობო სიხარულის ნიშნად. 33. ასევე მეფემაც გამართა დიდი ნადიმი ამ ამბის გამო და დაუცხრომლად კმადლობდა ზეცას, რომ შეესწრო იუდაელთა სასწაულებრივ გადარჩენას. 34. ხოლო ისინი, ვინც იუდაელნი დასალუჰად და ფრინველთა საჯაჯვანად გაწირა და სიხარულით აღრიცხა ისინი, ახლა სირ-



ცხელისგან ოხრავდნენ და ცეცხლივით ავიზიზებულა მათი თავხედობა სამარცხინოდ დაცხრა. 35. იუდაელებმა კი, როგორც იოქვა, ნადიმის შემდეგ ფერხული დაბეს და სავადლობელ სიმღერებში და საკალობელთა ვალობაში გაატარეს დღესასწაული. 36. დაადგინეს საყოველთაო წესად, რომ ყველგან, სადაც კი იუდაელები ცხოვრობენ, თაობიდან თაობაში, სიხარულით ეხვიმათ ეს დღეები არა სმა-ჭამისა და ღრეობის მიზნით, არამედ ღვთისგან მოვლენილი მათი ხსნის აღსანიშნავად. 37. მეფე მეფეს ეახლნენ და დაეთხოვენ თავ-თავიანთ სახლებში წასასვლელად. 38. მათი აღწერა მიმდინარეობდა პაქონის ოცდამეხუთე დღიდან ეპიფის მეოთხე დღემდე — ორმოცი დღის განმავლობაში. მათი განადგურების დღეებად დადგენილი იყო ეპიფის მეხუთე დღიდან მეშვიდე დღემდე — სამი დღე; 39. ამ დღეებში დიდებულად მოუვლინა მათ წყალობა ყოვლისმპყრობელმა და ერთიანად იხსნა ისინი. 40. მეფის ნაწყალობევით ნადიმობდნენ მეთოთხმეტე დღემდე, რა დღესაც ეახლნენ მეფეს დასათხოვანად. 41. მეფემ შეიწყნარა ისინი და მისწერა ქალაქში მეომ მხედართმთავრებს დაბეჭდილი წერილი, დიდსულოვნად გამოხატა რა თავისი ზრუნვა იუდაელებზე:

თავი მეშვიდე

1. მეფე პტოლემეოს ფილოპატორი გვიპატის სარდალს და ყველა ხელისუფალს მშვიდობით მოვიკითხავ. 2. კარგად ვართ ჩვენც და ჩვენი შვილებიც, რადგან ჩვენი სურვილებისამებრ წარმართავს ჩვენს საქმეებს მაღალი ღმერთი. 3. ზოგიერთი ჩვენი მეგობარი, ჩვენთვის ავის განმზრახველი გვიპიულებდა სამეფოს მკვიდრი იუდაელებისათვის ერთიანად მოგვეყარა თავი და უსწველო სასჯელით დაგვესაჯა ისინი, როგორც მოღალატენი. 4. იმასაც დას-

ძენდნენ, ჩვენი სახელმწიფო განმტკიცდება, ხანამ არ აღუარებულა ამ საქმეს, რადგან ყველა ხელხისაღმი სიძულვილი აქვთ იუდაელებსო. 5. ძალით წამოასხეს იუდაელები, ბორკილდადებულნი, როგორც მონები ან უფრო, დანაშაუენი; ექცეოდნენ მათ უფრო სასტიკად, ვიდრე სკვითები მოექცეოდნენ და ყოველგვარი გამოძიებისა და განკითხვის გარეშე სურდათ მათი დაღუპვა. 6. ჩვენ კი მაკატრად ავუკრძალეთ ამის ჩადენა და იმ კეთილგანწყობილებისამებრ, რასაც ყოველი აღამიანისაღმი ვიჩენთ, სიცოცხლე ვაჩუქეთ იუდაელებს; ზოლო როცა მიეხვდით, რომ ცთაა ღმერთი ნამდვილად მფარველობს მათ, როგორც მამა შვილს, 7. როცა გავიხსენეთ მათი მეგობრობა და ერთგულება ჩვენდამი და ჩვენი წინაპრებისადმი, სამართლიანად მივიჩნიეთ, რომ ყოველგვარი დანაშაული გვეპატიებინა მათთვის, 8. დაეადგინეთ, რომ ყველანი დაბრუნებულიყვნენ თავ-თავიანთ საცხოვრებელ ადგილებში და არავის არ ევნო მათთვის და არ წაეყვედრებინა მომხდარი ამბის გამო. 9. იცოდეთ, თუკი ჩვენ რაიმე ავს განვიზრახვთ მათ წინააღმდეგ, ან უბრალოდ, შევანუზებთ მათ, ყველაფრისათვის პასუხს მოგვკითხავს უცილობლად არა აღამიანი, არამედ ძალთა გამრიგე — უზენაესი ღმერთი, მშვიდობით იყავით. 10. წერილი რომ ჩაიბარეს იუდაელებმა, არ აჩქარებულან გასამგზავრებლად, არამედ მეფეს თხოვეს, რომ იმ იუდაელებს, რომლებიც ნებით განუდგნენ წმიდა ღმერთს და ღმერთის რჯულს, მათი ხელით მიედოთ დამსახურებული სასჯელი; 11. თან დასძინეს, რომ კუჭის გამო ღვთიურ მცნებათაგან განდგომილნი არც სამეფო საქმეების ერთგულნი იქნებიანო. 12. მეფემაც შეიწყნარა თხოვნა და დაუდასტურა, რომ მართალნი არიან, და მისცა მათ ნება, რომ ღმერთის რჯულისგან განდგომილნი მოეხსოთ ყველგან, მის სამეფოში, მეფის მოხელეთა ნებართვისა და მეთვა-

ლუერობის გარეშე. 13. მაშინ შეასხეს ხოტბა მეფეს, როგორც ეკადრებოდა, და მღვდლებმა და მთელმა ხალხმა ივალღობეს ალილუია, და სიხარულით წავიდნენ. 14. ხოლო თავიანთ გზაზე, ვისაც კი ხვდებოდნენ წაბილწულ თვისტომთაგან, საჯაროდ სჯიდნენ სამარცხვინო სიკვდილით. 15. იმ დღეს გაანადგურეს სამასზე მეტი კაცი, და ხარობდნენ, რომ ზოცავდნენ განდგომილებს. 16. სიკვდილამდე ღმერთის ერთგულნი კი, რომლებიც ხსნის სიხარულით იყვნენ აესებულნი, გამოვიდნენ ქალაქიდან მრავალფერი სურნელოვანი ყვავილებით დაგვირგვინებულნი, ხმამაღლა და სიხარულით მადლობდნენ თავიანთი მამა-პაპის ღმერთს, ისრაელის საუკუნო მხსნელს, აღუკლენდნენ სადიდებელ სიტყვებს და საგალობლებს. 17. როცა ჩავიდნენ პტოლემეისში, რომელსაც ადგილის თავისებურების გამო როდოფორისი (ს ა ვ ა რ დ ე) ეწოდებოდა, აქ საერთო გადაწვეტილებისამებრ, შვიდი დღე ელოდათ ზომადლები; 18. და აქაც გამართეს სმურობა გადარჩენის აღსანი-

შნავად, რადგან მეფემ მოამბრკვეს მხსნის საკმარისი საგზლით, რომ სახლებში დაბრუნებამდე ყოფნოდათ. 19. რაკი აქამდე მშვიდობით მიაღწიეს, ჯეროვანი მადლი მიაგეს უფალს და გადაწვებტეს, რომ აქ დგომის დღეებიც დღესასწაულებად გაეხადათ. 20. აკურთხეს კიდევც ეს დღეები და ნაღიმის შემდეგ წარწერიანი სვეტები ლოცვის ადგილებში აღმართეს, მერე ზღვით, ხმელეთით და მდინარით ყველანი თავ-თავიანთ სახლებში დაბრუნდნენ უვნებლნი, თავისუფალნი, გახარებულნი, მეფის განკარგულებით დაცულნი. 21. უწინდელზე მეტად ძალმოსილებმა დიდება და რიდი მოიხვეჭეს მტერთა შორის, და მათი საბადებელი აღარავის მიუტაცებია. 22. ყველამ თავისი კუთვნილი ქონება დაიბრუნა სიის მიხედვით; მათ დიდის მოკრძალებით მოქონდა ჟკან, რადგან დიადი საქმეები მოიმოქმედა მაღალმა ღმერთმა მათი ხსნისათვის. 23. კურთხეულ იყოს ისრაელის მხსნელი სამარადღამოდ, ამინ!



ჩემი სახანი

ხასიათები და კორტრატები

VIII

და აი ერთხელ, რახან მართლაცაო, მართლაც გადასწვებოდა, ყველანი გორში რო დაბინავებულიყენენ, ყველანი არუ ჩამომსვლელეები. გადასწვებოდა. ქალაქის ხელმძღვანელობამ გადასწვებოდა. ალგა და გადასწვებოდა. გადასწვებოდა. თვითონ რო ბინები არ გააჩნდა რაღა თქმა უნდა, არც რო თავს არ გაიცხლებოდა, გადასწვებოდა, — უნდა დაბინავებოდა, როგორც გენებოთო, დიახ, დიახ, როგორც გენებოთო. თითქოს კარგიცაა, როგორც გენებოთო, თუკი თავი შენი შენს ხელთ არისო, კარგიც იქნებოდა რაღა თქმა უნდა. როგორც გენებოთო.

ასე გადასწვებოდა.
ამასაც მოჰყვა ბევრი სერიი.
ოღონდ ჯერ მაინც ნიკო მილორავეას მოვაყოლებშეთქი.

მოვაყოლებ და აი მოვაყოლებ: ყველაზე მარჯვე ის არ გამოდგა... იმან მიავნო სადღაცა ბინასა, ანთუ ერთ ოთახსა. მიავნო. მოურიგდა. იქირავა. დაბრუნდა ინსტიტუტში გახარებული. ჩქარაო, მოითხოვდნენ. ჩქარა გორში ჩაუწერეთო, რახან რო გორში მსახურობთო, ჩქარაო, ჩქარაო, თუ არაო და... მილორავეას მუქარა აღარ შეეხებოდა

მილორავეა გახარებულიყო. წამო, მანვენეო, მანასემა სთხოვა, იგივე მანასემა, იგივე მიხელაშვილმა, ეგება მეც იქვე სადმე დაუსახლდეო...

წავყვიო. ვარვენეო.
ჰყვებოდა ნიკო მილორავეაი.
აღბათ ართ წუთს თუ დატოვე მართო, გარეთ გაიხედე, თვალი მოვაუღეო. გამოვიდა დიასახლისი, ზე დამბრუნა, ოთახს აღარ ვაქირავებო. ვეხვეწე, ვეშუღარე, აღარაფერმა აღარ გასჭრაო. ვეღარც მიზეზი ვეღარ ვაგვიგეო. მერეღა ვაგვიგეო, თურმე მანასეს გადაუბრებია იმ ერთ წუთშიო, მე დამითხოვა და ის დააყენაო. გესმით, რა მოხდაო. ოღონდ ახლა ეს მოთხარითო, — საპროფესორიოში კითხულობდა ნიკო მილორავეაი, — თუ შეიძლებ დარჩეს ჩვენს კათედრაზე მაგ მორალის კაციო. ჩვენს კათედრაზეო — მარსიზმ-ლენინიზმის კათედრაზეო.

არ შეიძლებო, მიუგეს ერთხმადა, სინანულითა და უცნაურის გაკვირვებითა: ეგაა და სინათლის შუქი მანდღან მოდისო, — დიმილიანი გაკვირვებითა. ახლა მთლადაც ნუ ვაქვირავთო, შეიბრაღა ზოგმა.

სხვა კათედრაზე გადავიყვანოთო, ვიდაცას მოუვიდა აზრადა.

ერთობოდნენ.
გადავიყვანოთო, დათანხმდნენ ყველანი.

გაგოილება. იბ. „შინათბი“, № 3-4.

ფიზიკის კათედრაზე გადავიყვანოთ, წამოიძახა ვილაყამა.

ცეცხლი დაანთო ფიზიკის კათედრის გამგემა, გიორგი ჩიტაიამა, გაცხარდა, გაცოფდა, ძლივას დაამშვიდეს.

გვიგრაფიის კათედრაზე გადავიყვანოთ.

ახლა იქ აწიოკდა კათედრის გამგე. ქალი გახლდა და აწიოკდა ქალურადა, ვინ არის შავათი სასაცილოთო. არა და არავეინ არ იცინოდა, თითქოს რო მართლაც გადავიყვანო, თითქოს რო მართლაც ამითი კითხულია ვველაფერიო. პედაგოგიკის კათედრაზე გადავიყვანოთო.

აღშფოთდნენ იქაცა.

შემოატარეს ასე ვველა კათედრაი, ვველამ თურა და მაშინ სოსომა თქვა: ისევ იქ იყო, სადაც არისო. იქ უფრო შესაფერისიაო, მაგ მორალისა იქ ვველაო.

მაშინ მე გადავალო, არ ივაბულა ნიკო მილორაყამა. მაგრამ არც ის მიიღო არავეინა და იყო ერთი ამბავი, რჩევანი, მოლაპარაკებანი, დათმობანი, შეთავაზებანი, თავს რო იბრუებდნენ თუ ისულებდნენ თავსა ამითი, ანთუ აღბათ თუ სულს მოითქვამდნენ, თან რო მოსდებოდნენ ქალაქსა, ბინას რო ეძებდნენ და რო ვერა ჰპოებდნენ, რო ვერა ჰპოებდნენ და რო შეახხენებდნენ ინსტიტუტში დაბეჯითებითა: ან აქ დასახლებითი, ანდა წახვალთო. დაბეჯითებითა. შეახხენებდნენ. დაბეჯითებითა.

ოღონდ ესაა, რო ადვილი ვერ აღმოჩნდა, ვერც რო დასახლებავი გორშია, ვერც რო წასვლავი თუ წაბრძანებავი. ვერ აღმოჩნდა ადვილი.

მერე იხვეწებოდნენ ინსტიტუტში, ჩაწერით მაინც ჩაწერეთო, გორშია ცხადია, საბუთი რო ვკვირდესო. ჩაწერეთო.

არც ეს აღმოჩნდა ისე ადვილი. თავი ვერ გაართვა ვერავეინა. ვერც თვითონ იმათა, ვინც რო გადასწყვეტეს. თავი ვერ გაართვეს. და მიფუნდა, მიფუნდა, მიფუნდა ესეცა, როგორც ბევრი სხვა შეუფერებელი, ახრებელი თუ

გაუგებარი, მიფუნდა, მიფუნდა, მიფუნდა.

მოიხადეს ესეცა, როგორც რამ სახადი, ბევრი სხვა მოეხადათ, მოიხადეს ესეცა. გულდაწყვეტილი დაგვრჩა თამარი, მხოლოდ თამარი, — თამარ ფხაკაძე, წყნარი, მშვიდი, უშფოთველი, დარბაისელი ქალი, — ეს ასე, ჩვენს თვალში, ვველას თვალში, გარეგნულადა, თორემ ისე, გაუნელებელი დარდი უტრიალებდა გულში, გაუნელებელი, მოუცილებელი, თავდაუღწველი, უტრიალებდა და უთუთქავდა გულსა, უთუთქავდა რაღა თქმა უნდა; სახეზედაც ანდა თუ როგორ ჩათუთქოდა გული.

რუსული ენის კურსსა კითხულობდა თამარი, ერთ კურსსა კითხულობდა, ნახევარ შტატზე მოეწვიათ თუ თვითონვე გამოქცეულიყო თბილისიდანა, თავი დაედწია თუ როგორც თუ რა იყო, კვირიდან კვირამდე რჩებოდა გორშია, საერთო ბინაში რაღა თქმა უნდა, ოთახში — ათნი რო ეტეოდნენ რო მიდიოდნენ და მოდიოდნენ იმისი კოლეგები, რო მიაცილებდა და მოაცილებდა; ის იქვე გახლდათ, იქვე, იქავე, კუთხის საწოლს დაუფლებოდა, ეს იყო და ესა, მეტი აღარც აღარაფერი უნდოდა, აღარაფერი, გადაბრუნდებოდა კედლისაკენა, რომ მეტი აღარაფერი დაენახა, რო მეტი აღარაფერი გაეკონა, და თითქოს ხსნაც ეს იყო, თუ რო ხსნა იყო რაღა თქმა უნდა.

რუსული ენის კურსსა კითხულობდა მეტი, ერთ კურსსა კითხულობდა, ოღონდ თანდათან მთლად იმას შერჩა ვველა კურსი, მოკიდებული ძველი სლავურიდანა, ღამის რო მთლად იმას შერჩა, რო რჩებოდნენ თბილისში თბილისელები, თბილისის ინსტიტუტებში რო ეწვობოდნენ, უფრო პუშკინის ინსტიტუტში, თითქოს რო იმისი კადრების სამკვდელოდა ქცეულიყო გორის ინსტიტუტი. შერჩა ერთხანსა, თამარსა ცხადია, რო მაინც იქ იყო, რო მაინც არავეინ არსაბით ეწეოდა, რო თვითონაც არ მიუწავდა გული თბილისისაკენა; შერჩა და ველარ ეტეოდა ცხრილ-



ში, ვეღარც ესა, თუღო ჟორდანიასი არ იყოს. ეს ისე. მხოლოდ შედარებისთვისა, ამისი დრამა სულ სხვა რამ გახლდა. ეგება რი ტრაგედიაც გახლდა, ეგება, ვინ უწყის, გამოუთქმელი ქალი იყო, გამოუთქმელი, ჩათუთქული, ჩამწყვარი, ჩაფურფლილი.

თუ რაც ვიცოდით თუ რასაც რი გაქნაშებინა თამარი, ეს იყო ვკონებ მთაწმინდის, 12, თბილისში ცხადია, ლამის რი იქვე, მთაწმინდასთანა, ლამისაცა და მართლაც რი იქვე. უკეთესი ადგილიც რი აღარ მოიძებნებოდა ქალაქში, უფრო კმაყოფილიც რი არც არავინ უნდა ყოფილიყო, — მთაწმინდა იქვე, ქალაქი პო ხელის გულზედა, ლამაზი ქალაქი, სანატრული ქალაქი, ასე რი უყვარდა თამარასა და რი განწირულიყო ასე უმოწყალოდა. ეს სახლი ახლაც იქავე დგას, ცოტა შეკეთებული, ცოტა მოლაზათიანებული, მაშინ წახრილიყო, თითქოს რი აი უნდა წაიქცესო, აივნები — ლამის რი აი უნდა ჩამოსცდესო, ხოლო კიბეი, ხელში უნდა სჭეროდა ვინმესა, ისე ვერ ახვიდოდი, ანთუ თოკებითა თუ მავთულებით ვადავკრიხათ, ალბათ ესეც რი სამოწყალოდა; ონკანი მოშლილიყო ეზოში, ასხურებდა და ასხურებდა წყალსა, თითქოს რაი და შდრევანიო; საპირფარეშოც იქავე იდგა, ფიცრული, გვერდებშელეწილი, კარებიც რი ვერ იხურებოდა, ეზოსაც რი არ ება კარი, მესერიც რი გადაწოლილიყო; ძველი აივნებიანი სახლი გახლდა ერთისიტყვითა, ძველი თბილისური, რი აღარ მოსწონდათ, რი ჩამოველო ისეთ არქიტექტორულ გემოვნებასა, თუ მოდასა ისეთსა, თუ სტილსა ისეთსა არქიტექტორულსა, რი მალავდნენ ასეთ სახლებსა, აივნებიან სახლებსა; სადაც მიასწრებდნენ რი ანგრევდნენ, სადაც რი ვერა, რი ჩამოაფარებდნენ ვეებერთელა კედლებსა, რი მალავდნენ, თითქოს რი დიდად საპირცხვინიო. ერთი კედელი პო ასეთი კედელი ბარათაშვილის ქუჩასაც გასდევდა ერთხანსა, რი მალავდა თუ

ჩქმალავდა ანჩისხატის უბანსა, უბანსა, — კედელი, რაღაც უკუმოვრო პანოთი, ვითომ რი თანამედროვეობას რი ეხმიანებოდა, ოღონდ მხოლოდ რი ჯიბებს ეხმიანებოდა, ჯიბეებს რი ეხმიანებოდა გამოგონებულთა თუ ამგებთა იმისათა. აქ ვერ გაივლებოდა იმხელა კედელი, ანთუ აქ ალბათ ვერავე ვერაფერს მოიგებდა და მისდგომოდნენ თამარსა, როგორც რი მფლობელსა სახლისასა, შენობისასა, შეაკეთეო; ეს რი მისდგომოდნენ, გარედანაო, ახლა შიგნითაც თუ იკითხავდი: შეესახლებინათ უამრავი მდგურეო, დაეტოვებინათ ამისთვისა ერთი ოთახი, პატარა ოთახი, ვველაზე უხვირო ოთახი. იყო ასეთი დროცა. ამას აქ ვერ გვაზარევე. იყო. ვადაეკეთათ რი ქირაცა, თითო ოჯახი ორსა თუ სამ მანეთს უხდიდა. თამარს არ უნდოდა არც ის დგმურები და არც იმათი ქირა არ უნდოდა. აარა ღებულობდა ქირას, არც რი მაშინა, ორსამ მანეთს რი ძალა ჰქონდა ცოტაოდენი მაინცაო, არც რი შერეო, ბევრნაირად რი შეიცვალა კურსი ფულისა, ბევრნაირადა, ახლა ამასაც რი აქ ვერ ჩამოვთვლი. არა ღებულობდა ერთისიტყვითა. მდგმურებს საღაროში შეჰქონდათ, პირნათლად რი ვიყოთო, გასამართლებელი რი არაფერი ჰქონდეს ამ ჩვენს სახლის პატრონსაო, — შეჰქონდათ და პირნათლადაც იყვენენ და რიხიანადაც მოითხოვდნენ კაპიტალურ რემონტსა სახლისა, ბინებისა, თავიანთი ბინებისა, — აბა მაშ რაო, ისინი პო პირნათლად იყვენენ.. რიხიანადაც მოითხოვდნენ და მკაცრადაც მოითხოვდნენ და თამარს აღარ ეღვომებოდა იქა, რი არ შეეძლო არაფერი, სახლის შეკეთება რი არ შეეძლო, ამათი ბინების შეკეთება რი არ შეეძლო, რი არაფერი შეეძლო ერთისიტყვითა. ესეც შიგნითაო. ის პო ვარეთაო. და იხევენებოდა თამარი: მიიღეთ სახლი, ინებეთ, თქვენნი იყოს, სადმე ოღონდ ერთი ოთახი მიმიჩინეთო, ასეთივე პატარა ოთახიო, ერთი ადამიანი რი დაეტოვოსო. არ ითქმის რი არ აქოლოდნენო — აქოლოდნენ და მხურ-

საქართველოს
 ეროვნული
 ბიბლიოთეკა

ვალედაც აქოლიანო, რაისაბჭოშიცაო, ქალაქის საბჭოშიცაო, მაგრამ იმათაც შეშინებით იმა უამრავი მღვმურისაო და ხელი აუღიათო. იცვლებოდნენ ხელმძღვანელებიო, იცვლებოდა დაპირებანიო, მხურვალე დაპირებანი, მხოლოდ მღვმურები რო არ იცვლებოდნენო, იცვლებოდა და იცვლებოდაო, და აღარც შინ ედგომებოდა და ველარც გარეთ გამოიყო ცხერი თამარსა. მაშინ რო გამოასწრო, გამოასწრო და აღარცა ბრუნდებოდა. მერე ეს იყო, რო აქ დასახლდითო, გორშიო ესეიგი და გაიხარა თამარმა, გაიხარა, ეკება, როგორმე აქ მაინც გადაეცვალო ბინაო. ზოგი ჭირიც მარგებელიაო, სხვებს რო ჭირად ვეცევათ, ამას თითქოს რო სიხარული მოუტანაო. გაიხარებდა აბა მაშ რაო, — რო აყვნენ გორულები, რაღას რო არა ჰპირდებოდნენ!.. ერთი იმასაცა ჰპირდებოდა: იმ სახლსაც გავმართავ, აქაც სახლს ავიშენებო, არაფერი არ მიხდა შენო, არაფერიო, შენა იგოს და შენვე გამოიყენეო და ჩემი ერთერთი ვაჟიც შეილად აიყვანეო. მეტი რა უნდოდა თამარსა, — მეტი უზრუნველობაც აღარ იქნებოდა სიბერის დღეებში, არა არა, აღარ იქნებოდა. მაგრამ და რაო, იმ დღეებებს რო შეჰხვდა, მერე მგონი რო აღარ ჩასულა თბილისში, მგონი რო შიშობდა, — კეთილისმოსურნი თამარისაი რაღა თქმა უნდა, — ვაი თუ გორშიც აღარ დამავენნო. ჩამოეცალა რაღა თქმა უნდა. ჩამოეცალნენ აგრეთვე სხვებიცა, ქალაქმაც ვერ იტვირთა, ვერც ვერაფერი გამოუშენა ისედაცა, ვერც რო სხვებისაო, ვერცა თამარსა რაღა თქმა უნდა, — ისედაცა, ისედაცამეთქი, მღვმურების გაგონება ჰო არც არავის უნდოდა, მღვმურებისაი, თამარის მღვმურებისაი. კაცმა რო თქვას, ვინ იცის რო იმათაც დააფრთხეს, რო დაეხსნენ სხვებსაცა, როგორც რო ვივლიათ, ისევე იარეთ თუ არ მოგებზრდათ და თუ ეგრე გნებაეთო. დაეხსნენ ასე ერთისიტყვითა. და დაგვრჩა თამარი გულდაწყვეტილი. იმ ერთი წუთით მაინც გაიხარა. თურმე რა

ცოცხალი თვალები ჰქონდა... როგორ უბრწყინავდა... ვერა, ვერა აღეწერ, დაეხსნა სჯობან.

მანასე მაინც გადაჰყავდათ კათედრიდან კათედრაზედა. ერთობოდნენ მაინცა,, ამითი, ამითაცა, სხვა გასართობს თუ ველარ იპოვნიდნენ.

სოსო იცავდა თავის აზრსა, იქ უნდა იფოსო. იცავდა. ამტკიცებდა.

ნიკო უარობდა, მაშინ მე აღარ გავჩერდებო. ისევე ისევე რაღა თქმა უნდა. ოღონდ მაინც სხვა რამ უნდა მეთქვა, რახან მიღორავა რო ამოტივტივდა:

ასპირანტურის წლები გამახსენდა, ანთუ ბოლო წელი ჩემი ასპირანტობისა; რექტორი რო შეიცვალა თბილისის უნივერსიტეტში, ნიკო კეცხოველი რო მობრძანდა რექტორადა. მობრძანდა და მიჰხედა საქმესა, რიკრივად მიჰხედა და ასპირანტები შემორჩა ბოლოსა.

ჩვენც შეგვაგროვეს როგორც რო იქნა.

შემოვიდა.

გადმოგვხვდა. გაიკვირვა: მე ვერ მოვალწიე, ვერ მოვალწიე თქვენამდისა, თქვენ მაინც მოსულიყავით ჩემთანაო. აქამდის ერთმანეთი არ გავვიცენია, სად გაგონილაო. არა ჰგვანებხართ მიღორავასაო, გუშინ მიიღეს და უკვე ახჯღრ მომაკითხაო. ახლაც აი აგერა წინ მიზის, თქვენ სად წასულხართო, მოიწიეთ ახლოსაო, კარგად რო შეგხედოთ, რო შეგხვდეთ, რო გაცნითო.

წინ წაიწიეთ მართლაც თუ არაო, ეს იმდენი არაფერიო, თვალი მაინც იმას მივაცივეთ, იქვე ვინც უჯდა, რო არავის ეცნობოდა და რო ასე დაახლოებოდა რექტორსა, — უჯდა თუ თითქოს რო გადარკალოდა მერხსა, გადარკალოდა და ჩასთრევედა ცხერი, მოსწრებული ცხერი, ლამის რო ლამის იატაკამდისაო, გადარკალოდა და ხითხითებდა თუ კუჭკუჭებდა, ალბათ რო ჩამტკბარი, ნახიამოვნები, ასე შინაურულად რო მოიხსენიებდა რექტორი უნივერსიტეტისა, ახალი რექტორი, ნიკო კეცხოველი, ასე გულთბილად რო მო-



იხსენებდა, სხვები რო ღამის რო ძრწოლით ელოდნენ იმის მოსვლასა, „რკინის დისციპლინას“ დაამყარებს უნივერსიტეტშიო, ელოდნენ და ჯერ-აე რო არ განელეობდათ ძრწოლაი იგი; მერე იმდენიე არაფერიო, ანთუ მართ-ლაც რო დაამყარა „რკინის დისციპლი-ნაი“, მაგრამ თუ რაც იყო, უნივერსი-ტეტს აქ აღარ შეეყვები, ეს თუ რაც ითქვა, მილორავას მოჰყვა, მილორავა-სთან გაცნობასა, და რო შეუდგი ფეხი გორას ინსტიტუტში პირველადა, ის შემეფეთა პირველადე; და შეეხვდი როგორც რო ძველ ნაცნობსა, გული-თად ნაცნობსა.

იმას იქ უკვე სახელი მოეხვეჭა. ჰევებოდნენ ასე ანეგლოტურად: ჯიბგირები დაჰხვდნენ ხიდის ყურეს-თანო. პორთფელი გამოხატაცეს და გა-ფატრეს იქვეო, დიდი, გაჭედილი პორ-თფელიო, გაფატრეს, გაფარწყლეს, ფუ-ლი ვერ იპოვნეს და მერე ჯიბეები გად-მოუბრუნესო. იქაც კაკიკი არ აღმოაჩ-ნდო. შეეცოდითო. მერე თვითონ მოი-ქაქეს ჯიბეებიო, ფული შეუგროვეს და გამოისტუმრესო. პორფელშიც იხევე ჩაუტენეს კონსპექტებიო, ერთი სამმა-ნეთიანი აქაც ჩაუდეს, ეგება ბარაქა მოიკიდოსო.

ჰევებოდნენ: აუდიტორიაში შევა და ორი სტუდე-ნტი თუ დაჰხვდებაო. აყვირდება, აქა-ქანდება, მე თქვენ ვიხეხებთ სეირსო, მომეცით ჟურნალიო, ჩამოვიმწკრივებთ „არაებსა,“ წადით და გაეცით პასუხიო. მიუტანენ ჟურნალსო. ჩაჰკიდებს თავ-სა და კითხულობს გვარებსა, კითხულ-ობს და კითხულობს ვერე თეჩაიგდუ-ლი თუ ცხვირიც რო მაგიდაზე დუღვი-აო, კითხულობს გულმოსული, კითხუ-ლობს გარეილი და მისდევს იხევე ვა-რეილიო: „ვარ!“ „ვარ..“, „ვარ!“ მი-უგებენ სტუდენტებიო, ის ორნი მიუგე-ბენო, სხარტადა, სწრაფადა, თანმიყო-ლებითაო. ვაეა ბოლომდისა და გაჰყე-ვიან ბოლომდისაო. ყველანი ყოფილ-ხართო, დაასკნისო და შეუდგება ლექ-ციასაო.

აქ თითქოს ფილოსოფიურ დანეშ-ლობა გამოჰყავდათ იმისი, რახან რო კითხულობდა დიალექტიკურ მატერია-ლიზმსა, ფილოსოფოსებს რახან ახსე-ნებდა, კანტი თუ ჰეგელი რახან გამო-ედებოდა ენაზედა, — თითქოს თუ ვითომა რაღა თქმა უნდა, რადგან რო ისე არაფერში დაიბნეოდა რაღა თქმა უნდა, არც იბნეოდა რაღა თქმა უნდა, თედო ჟორდანია რო ის არ გახლდა, არც რო მინამგვანი ოდნავადაცა, სია-ლალისა თუ გულბრყვილობისა რო არა ეცხო, არც დაიბნეოდა და არც იბ-ნეოდა, არ გამოეპარებოდა არც არაფერი, გაგულისდებოდა ის, ისე არ ას-ტეხდა აურზაურსა, იცოდა, თვითონვე გა-ამტყუნებდნენ, და ისე ერჩივნა, თუნ-დაც რო მართლაც რო მოეაბღღებინა თავი, ისე ერჩივნა, სტუდენტებთან რო მოეაბღღებინა თავი, ვიდრე რო აღმი-ნისტრაციას ჩავარდნოდა ყბაშია, ისე ერჩივნა..

ამასაც თავისი ფილოსოფია ჰქონდა, ყველას რო თავისი ფილოსოფია ჰქონ-და.

ხარი ხართან დააბიო... ფილოსოფი-აში ტივტივებდა.

ჰევებოდნენ და ჰევებოდნენ: წიგნებს რო დაახროვებს მაგიდაზე-დაო, კონსპექტებს რო დაახროვებს, რო ჩაჯდება და ლექციას რო დაიწყებს, მერე აღარაფერი ახსოვსო. ჰევებოდნენ და ჰევებოდნენ. გაფურდებიან ფიზკულ-ტურელებიცაო, გაფურდებიანო, თითქოს სმენად გადაქცეულანო, გაფურდებიან და შეჰყურებენ ისე; თითქოს ესაა და ამა-ზე ამოსდით მზე და მთვარეო. მიერე-კება ესეცაო, მიერეკება და მიერეკე-ბაო. სხვა ხმა არ ისმის. არ ისმის თუ რო მიაწევა მერხი მერხსა, მერხი მე-რხსა, მერხი მერხსა, მერხი მაგიდასა, მილორავას მაგიდასა, მაგიდა მილორა-ვასა, მილორავა სკამსა, სკამი ჩახოხ-დება, არც ისმის და არც არა ეტყობა ჩახოხდება და ჩახოხდება, ჩახოხდება და მიებჯინება სკამი კედელსა, სკამს მილორავა მიეჭეჭეჭება, მაგიდა აწევა მილორავასა, აწევა, აწევა, ღამის

შუაზე გადაბალიოსო და შეკვირებს იგი, შეკვირებს, მიშველეთო, სადღაც პირველ დიალექტიკოსებსა თუ მექანისტ-მატერიალისტებს შორისაო, ანთუ იქაცაო და იქაცაო, სხვაგანაცაო და სხვაგანაცაო, რადგან რო ახეა, ასე მეორდება, მეორდება და მეორდებაო. მერხები ისევ უკანაა, — უცებ დაიხვეს მერხები უკანაო, მაგიდა რჩება კედელთანაო, მაგიდა და ლექტორი რჩებიანო. და უკვირს ლექტორსა, აქ რა მინდაო. უკვირს და ითხოვს, მომეშველეთო, მიმატანინეთ მაგიდაი თავის ადგილასაო, მაიტანინებენ. მაბრძანებენ. გადმოუცვივით წიგნები, კონსპექტები. აუკრეფენ. გადმოუცვივით. აერევით ერთმანეთშია. აერევიაო. ვეღარა პოულობს, რაც რო ნებავსო. რასა კითხულობდა აღარ ახსოვსო. რაც რო მიხედება, იქიდან განაგრძობსო, ისევ ისევეო, რო დაუბჯენია ცხვირი მაგიდაზედა და რო მიიჩინავს მაგიდაი, მიიჩინავს, მიხობავს, ვიდრე რო კედელს არ მიეჭეჭეება ჯერ სკამი, მერე მილორაგაიო.

ჰყვებოდნენ და ჰყვებოდნენ სხვადასხვანაირადა, სხვადასხვა ეშხითა, ჰყვებოდნენ მატარებელსაო თუ ავტობუსშიო, ქუჩაშიო თუ ისე შესვენების დროსაო, ჰყვებოდნენ, რა ექნათ ერთობოდნენ, ისიც რო ასდევდა და ხითხითებდა სხვებზე მეტადა.

თუმცა კმარაო.

ჩაწერილს მაინც ის ეშხი არა აქვს, ცოცხალი სხვაა, მერე ისიც თუ იქვე გახლავს, ანთუ თვალწინ მაინც გიდგას.

ცოცხალი სხვა არის. ყველაფერი ცოცხალი სჯობიანო.

ეს მილორაგა მაინც რატომღაც ამოტივტივდა. რამდენი სხვა მიღგას თვალწინა, სიტყვას მაინც ვერ მოკვილია. ეს ამოტივტივდა. ტივტივებს, ტივტივებს. ვერცა ტივტივებდა. არავის ეხლებოდა. აიცურებდა ყველასა, ყველაფერსა. მალეც იშოვა ადგილი თბილისში.

ან აქამდის როგორ შეეფერებოდა სიო.

გინგლინოთიქა

თითქოს ვერც აუხსნა ხოსო ზარშილაძესა.

ან ამით როგორღა ელევა თბილისიო. და ჩამოთვლიდა კიდევ რამდენიმესა, ჩამომსვლელთაგანა რაღა თქმა უნდა, ჩამოთვლიდა და მიაყოლებდა მიხელაშვილსადა, ბევრს ჩამოთვლიდა, ჩამოთვლიდა და ფიქრობდა, ფიქრობდა და ფიქრობდა, ვერც რო ვერაფერი მოეფიქრებინა, ნაღვლობდა, სწუხდა, ჩემი ჰქუა რო ვერ ეყოფა ამის ახსნასაო.

ჩამოთვლიდა და ჩამოთვლიდამეთქო. მე არ ჩამოთვლი, — მიხელაშვილი მაინც რო გამოუყვავი, მხოლოდ იმიტომ, რო არ გამოძრეხეს ერთი შემთხვევა-

საგულისხმოა.

ანთუ ეგება არცთუ საგულისხმოა, რაც არის არის — აქ იმისი თქმა მინდა, მიხელაშვილი რო ამტკიცებდა: ებრაელობა რელიგიაა და არა ეროვნებაო, ქართველი ებრაელები ეროვნებით ქართველები არიან, მხოლოდ რელიგიით არიან ებრაელებიო, ისე, როგორც რო ქართველი კათოლიკნი, ქართველი მაკმადიანები, ქართველი გრიგორიანელებიო, — ამტკიცებდა, შეეგინა ვრცელი წერილი, ეგება რო ტრაქტატია, წამაკითხა, მიხობა, სიმონ ჩიქოვანთან მიშუამდგომლე, ეგება „მნათობი“ დამბეჭდოსო.

შუამდგომლობა გამიჭირდებათქო, ისე კეთილი, მიგვებიძეთქო.

სიმონმა ცოტა შორს დაიჭირა, — მოდი, ეს იღია ერენბურგს გაუფუხავნოთო.

გაუხარდა მიხელაშვილსა, გაუხარდა, მეც ვერე ვფიქრობდიო, მაგრამ მაინც ჯერ თქვენ გაჩვენეთო.

მალე დეკემა მოუვიდა ერენბურგისაგანა, მოაფრიალებდა ინსტიტუტში, მიხელაშვილ რაღა თქმა უნდა, გაციხკროვანებული მოაფრიალებდა.

გაგულისხმულიყო ერენბურგი: რასაც რო თქვენ წერთ, ნონსენსიაო.



მიხელაშვილს არეოდა სიტყვები, ერთმანეთში არეოდა: ნონსენსი და სენსაცია არეოდა ერთმანეთშია; არეოდა და ეგონა, ჩემი აღმოჩენა სენსაციად მიანიხია ერენბურგსაო, ეგონა და მოაფრიალებდა, გაციხკროვანებული მოაფრიალებდა. არ ვიცი ვინა აუხსნა, არ ვიცი. მალე აღარც ის დეკემბა გამოუჩენია, აღარც ის წერილი, აღარც ერენბურგი უხსენებია.

ჰოდა მაინც ისევ იქა ვარ, — როგორ ელევა თბილის ამათაო... და ეტყობა, რო ვერ ელვიდა, ხელნელა რჩებოდნენ, თანდათან იტოვებდა თბილისი თავისიანებსა: იტოვებდა. ზოგნი „მაგრდებოდნენ ადგილზე“ — გორში ესე იგი „მაგრდებოდნენ“, როგორც რო იტყოდნენ, როგორც რო მოითხოვდნენ, მაგრდებოდნენ.

ახლა აშენდება გორის ინსტიტუტი. სოსო იტყოდა ამასაცა, ბეჯითად იტყოდა, თითქოს რაღაცა იცისო. ოღონდ ეს მერე. მერე.

მანამდე კიდევ დრო გველო წინა. დრო ერთობოდა. მანამდე კიდევ ახლები კვერქვა, ვინც რო იმ წლებში მივსულიყავით, თუმცა რო ინსტიტუტშიც არ გახლდა ძველი, ერთი ათეული გადაეტანა, ერთადერთი ათეული წელიწადი და ნანობდნენ, ათი წლის იუბილე ვერ გადავიხადეთო, ამ ოხერმა ომმა შევეშალა ხელიო. ნანობდნენ.

რაც უნდა იყოს, იყვნენ ისეთნიცა თუ ისინიცა, უკვე ძველებად რო მოქონდათ თავი, იქვეც რო დაჰხვედროდნენ ინსტიტუტსა, რო თან გამოქყოლოდნენ დაარსების დღიდანვე. თედო პო იქოვა?.. ითქვა. ნიკოლოზიც ითქვა. და აი სერგი... სერგი მაკალათია.

გაქურდებდა და გაქურდებდა გორის ციხესა, — თუ მიდიოდა, ისე მიდიოდა, თუ იდგა, იდგა ისე იმგვარადა, აუღიტორიაც ისეთი ერჩივნა, საიდანაც რო ციხე მოსჩანდა. შეჰხედეთ ციხესაო, შეახსენებდა სტუდენტებსაცა, რო შევიდოდა, რო გამოვიდოდა მაშინაცაო. მოველო ციხენი, ისტორიულნი რაღა თქმა უნდა, მოველო ტაძარნი, მიმოიწ-

ხრიკა ტაძარნიცა სულისა, ^{გადავიწყებული} რა ნანგრავებიცა, ნადგილბორონიცა წინაპართა, რაც რო ეგონა, შევეგროვებინა, გაუწმინდა, გაეპრიალებინა, თავი მოეყარა, აღუწერა, მუზეუმისათვის და ელო საფუძველი, გორის მუზეუმისათვისა, და ინსტიტუტსაც იქვე დაჰხვედროდა უკვე ცნობილი ეთნოგრაფოსი, არქეოლოგოსი, ისტორიკოსი, — საქართველოსი, საქართველოსი, სხვა ისტორია თუ ისტორიები, — თუ ამისი მრავლობითიც ივარგებს, — თავისთვის რო იცოდა, თავისთვისა, რო არაფერს იტყოდა სხვა ისტორიაზე, არც რო არავის მიუვადებდა ფურსა, სხვა ისტორიას თუ მოიშველიებდა. ყველამ თავისი უნდა იცოდესო, სხვისიც უნდა იცოდეს ყველამაო, ოღონდაო: თავისი თავისადაო, სხვისა სხვისადაო. ყველამაო. ყველამაო.

უფრო ღრმადაც შესტოპავდა ხელმე. შესტოპავდა.

რაღაც დაავიწყდებოდა. დრო თუ გამოეცლებოდა ფეხქვეშ. ისევ ციხეს მიანერდებოდა:

ცხრა სარტყელი ერტყა, ცხრა შეუვალი სარტყელიო. „ცხრაკარიანა“ ამას გვანიშნებსო. შეუვალიო. შეუვალიო. როცა რო შეველოთ თუ როცა რო აედოთ თუ დაერბიათ და დაჰპატრონებოდნენ სხვანი და სხვანი, უცხონი, მტერნი რაღა თქმა უნდა, იმისი გახსენება აღარ უნდოდა, არა, აღარა, უნდოდა, გამოერიცხა ისტორიიდანა. თვალებსაც დაჰხუჭავდა, გადაიბრუნდა ისე, თვალს რო არც გაახედდა. მერეღა გაახედდა, მერეღა, მერე, რო განდევნიდა, ანთუ განდევნიათ.

ლულავდა თვალთა ისედაცა, უამურ ხალხს თუ გადაეყრებოდა.

ბევრი არ მოსწონდა. ლულავდა თვალთა..

ხან დაიჩივლებდა, მართლაც რო სულმთლად რო ვერ გაეცნოდა წუთისოფელსა:

დრო გავა და მე აღარ ვიქნები. აღარც ის იქნებო, აღარც ისაო, აღარც ისაო. ჩამოთვლიდა ღირსეულ ადამიან-

ნება, ინსტიტუტისათვის ღირსეულთა რაღა თქმა უნდა. სამაგიეროდ ეს დარჩებაო, ესაო, ესაო, ჩამოთვლიდა და მაინიშნებდა ზოგზოგ ფაწვილსა, ინსტიტუტში რო დაეტოვებინათ სამეცნიეროდ მოსამზადებლად; რო დაეტოვებინათ და რო ემზადებოდნენ ვითომცაო, ოღონდ რო არ გააჩნდათ სულ მცირე ნიშატი საამისოდა, სულ მცირე ნიშატიც არაო. სამაგიეროდ სხვა ნიჭი ეტყობოდათ, სხვა ნიჭი და სხვა მოხერხებანი. ეტყობოდათ. ატყობდა. მე აღარ ვიქნები და ესენი დარჩებიანო. მაშინ ინსტიტუტიც აღარ იქნებაო. რა იქნება, ვერ ვეტყვიო, ოღონდ ეს ვიცი, ინსტიტუტი რო აღარ გადარჩებაო.

ვინ უწყის თუ რა ხალხი დადგენს.

შეედავებოდნენ გამოძევებადა.

არ დაიჯეროთო, არ დაიჯეროთო, არ დაიჯეროთო, კეთილს არ ელოდეთ მათავანაო.

გაცხარდებოდა სერგი, გაწინმატდებოდა წაიდიოდა, გაეცლებოდა და ბურტყუნებდა მარტომდმარტოდა.

ეს იმიტომაცა, თითქოს იმას ეჯიბრებოდნენო, ვინც რო მოსწონდა სტუდენტთაგანა, არ სტოვებდნენ, ვინც არ მოსწონდა, იმასა სტოვებდნენ, მაინცდა მაინც იმასა სტოვებდნენ ინსტიტუტშია.

ამათ ვეღარ მოერჩი, მიიბრუნებდა სახესა გვერდითა, ისევე თვალეში მენხირებთან, მეგონა, მეშველებოდა, მეგონა, ამათვან მოვისვენებდიო.

ცოტა თითქოს უცნაურიოა, — სერგის არაფერს არ უშავებდნენ, არა, არაფერსა. ვერც დაუშავებდნენ, თვითონ გახლდა სერგი ასეთი. მაინც არ მოსწონდა, რატომცაო არაო, რატომცაო, და რახან არაო, არ მოსწონდა და არ მოსწონდა, და არ მოსწონდა, სალამიც არ უნდოდა იმათი, სალამიც არა, სახეს იმიტომაც მიიბრუნებდა ხოლმე, სალამი არ მომცენო.

არა, არ მოსწონდა ისინი და აღარც იმათი დამტოვებლები მოსწონდა.

ცოტა ის უკვირდა, რო უსმენდნენ, რო ეთანხმებოდნენ, რო აღუთქვამდნენ

ერთსა და აკეთებდნენ მეტრებსა და წინააღმდეგოსა, დამტოვებლებსა და თქმა უნდა. და აღარც ისინი მოსწონდამეთქი.

IX

რექტორს იმათში არა გულისხმობდა. რექტორი კარგი კაციოა.

დაურთაჲდა დაბეჯითებითა, ოღონდ ესენიო, აი ესენიო, — და სახელებსაც როლი ჩამოთვლიდა, ისე უნდა მიმხვდარიყავი, რო მივანიშნებდა, რაც რო არ მოსწონდა იმისი თუ იმათი, რო რაღაც არ მოსწონდა თვითეულისა, უსათუოდ გამოაჯავრებდა.

არ მოსწონდა თავისი კათედრის გამგეცა. არ მოსწონდა. არცა ჰყარავდა. სახელს იმისას არც ახსენებდა.

„ის!..“

იტყოდა, — ის იგულისხმებოდა. მაგასაც რო პროფესორი დარჩევს, რაღა ფასი აქვს პროფესორობასაო. და ეგონა, რო ვეღლაფერი იმისი ბრალი იყო, ის ერგებოდა ამის რჩეულ სტუდენტებსა, ისა სტოვებდა უვარგისებსა თუ უხეიროებსა, მეცნიერებისათვის უხეიროებსა რაღა თქმა უნდა, ის ამბობდა და იმას უჯერებდნენ სხვანი ცხადია, სხვა უფროსები, რექტორი არაო, — რექტორი კარგია, კარგი კაციოა, დასძენდა ხშირად, და კარგად ექცეოდა რექტორი სერგისა. კარგად ექცეოდა.

ანთუ რად უნდა მოქცეოდა ცუდადა: მე შენ გეტყვი, ლექციას გააცდენდა, ანთუ დაიგვიანებდა ოდესმე, მე შენ გეტყვი, დროზე არ წარმოადგენდა გემიურ ნაშრომსა, ანთუ წესიერად არ წარმოადგენდა, მე შენ გეტყვი, რამეს მოითხოვდა, ანთუ აუხირდებოდა ვინმესა, მე შენ გეტყვი, სტუდენტები გაქცეოდნენ, ანთუ გაუცდენდნენ უმიზეზოდა, — რა სათქმელია, რა პირიდან ამოსაშვებია!.. მე შენ გეტყვი, რო თვითონვე არ წაუძლევებოდა სტუდენტებსა ექსკურსიებსა თუ საწარმოო პრაქტი-

კახელა, ძნელად მისავალ ხეობებშიცა, ციხე-მონასტერთა მოსახილველადა და შესასწავლადა, მე შენ ვეტყვი, რო ას-ისტენტებს ანდობდა, — რა სათქმელია, რა პირიდან ამოსაშვებია!..

ცოტა ესაა, რო ბიძინა დოლიძე აუჯანყდებოდა ხოლმე იანერის სესიებზე და აუჯანყდებოდა, ოღონდ მალეც დამშვიდდებოდა ხოლმე. ბიძინა „სესერეკას“ ისტორიასა კითხულობდა, სერგი კი — საქარველოსი. გამოცდა ერთადა ჰქონდათ, ანთუ სერგი საპატიო გამოცდელად თუ მიეწვიათ, თორემ ისე, საგამოცდო ფურცელში „სესერეკას“ ისტორია აღნიშნულიყო, საკითხებიც ვერეთვე განლაგებულიყო საგამოცდო ბილეთებშიცა, პირველი შეფასებაც ბიძინას ეკუთვნოდა და ნიშანსაც ბიძინა წერდა. სერგისაც მოაწერინებდა ხელსა, ალბათ რო ესეც საპატიოდა, ალბათაცა და მართლაცა, თორემ ხელმოწერა ბიძინასი უიმისოდაცა სჭრიდა. კი, მოაწერინებდა ხელსაო. დავა მანამდე იმართებოდა, ბიძინა თუ სამზე შეაფასებდა პასუხსა, ხუთიო — მოითხოვდა სერგი, ბიძინა თუ ორზე შეაფასებდა პასუხსა, ოთხიო — მოითხოვდა სერგი, ბიძინა ასაბუთებდა, მეტი არ ეკუთვნისო, სერგი არ ასაბუთებდა, მოითხოვდა, მშვიდადა, წყნარადა, მოითხოვდა, — სამი და ორი იგივე გახლდა სტუდენტისათვისა, სტიპენდიას ვერ მიიღებდა და არც არაფერს ასაბუთებდა სერგი, მოითხოვდა და არცა სთმობდა. ბიძინა ცხარობდა, ცეცხლს იკიდებდა ბიძინაი, უმტკიცებდა და ვერაფერს უმტკიცებდა, ვეღარც რო მოითმენდა, გავარდებოდა გარეთა, რო შეეჩივლა ვინმესათვისა, რო მოექარვებინა გული და დროს იხელთებდა სერგი, და მოუხმობდა სტუდენტებსა ერთბაშადა და ხუთიანებსა წერდა, ჩქარობდა და აჩქარებდა, ვიდრე ბიძინა გარეთ გასულაო, ვიდრე ბიძინა მოგვისწერებდესო. მოუსწრებდა ცხადია. არა თანხმდებოდა სერგის ნიშნებსა ცხადია, მე არ გამოვიცდიაო, ბრაზობდა, ცხარობდა, მე მაინც უნდა გამოვიცდო; და შეახსენებდა სერგი, —

ორჯერ გამოცდა არ შეიძლება, ერთდროულად, შეახსენებდა მეტი არაფერი, შეახსენებდა მშვიდადა ისე, სტიკვი რა გაცხარებსო, რო უკვირდა. მე ამასთან გამოცდაზე შემსვლელი აღარა ვარო, განაცხადებდა ბიძინაი. ცუდი კაცი არ არის ბიძინაიო, სერგი იტყვოდა, გურულიაო, ისე ცუდი არ არის, არა, ცუდი არ არისო. ასე ჩაივლიდა ეს აჯანყებაცა. მერე ბიძინა თვითონვე ჰყვებოდა, ასეთ დღეს მაყრისო, ხუმრობითა ჰყვებოდა.

ბიძინა!
 მერე ეკვებ რო აღარ ამოტივტივდეს, ბარემ დაურთავ:
 ერთბაშად შემოგვესიენ ახალი კადრები, იმათში ერთი ღრ-ვახლდა. შემოვარდებოდა და გავარდებოდა, შემოვარდებოდა და გავარდებოდა, ადვილად ვერ დაკარავდი თვალსა, თითქოს ვიღაცას დაუფრთხია, თითქოს ვიღაცას გაკიდებიაო. ერთიც ვნახოთ და შევეჩებ, კარებში შევეჩებ ინსტიტუტისა, დილის ლექციები დამთავრებულიყო, — წავიდეთ სადილად გეპატიეებითმეთქი. რაღაც მოიმიზეზა, მომეპოდიშა. მეორედ რო შევეჩებ, იგივე შევთავაზებ. ისევე მომეპოდიშა, გამცილდა თითქოს რო დამფრთხალივითა. მეც აღარ მოვეშვი და შევანერე მესამედაცა. აღარ მოვეშვი, რატომღაც ამეხირებინა: უნდა გაემასპინძლებოდი ახალჩამოსულსა. სხვებს უხაროდათ, მიზეზს არ მოიღებდნენ არასოდესა, ამას მიზეზი არ ელყოდა. ამ მესამედ ვეღარ მეუარა. გამომევა ცოტა არ იყოს ფეხისათრევიტა. „ქართლში“ შევედიტ. ვისადილეთ. ღვინოს არ გაეკარა. საუბარიც არ აეწყო. ჩემთვის ის ისევე გამოცანად დარჩა. დარჩა და დარჩენილიყო, მეც აღარ გამომიღვია თაეი. გამოცანების მეტი რა იყო და თანაც ამოუხსნელი არაფერი დარჩენილა ბოლოსდაბოლოსა... მალე თბილისშივე იშოვა სამსახური. იშვიათადლა ჩამოდიოდა: დაუსწრებელზე თუ შეინარჩუნა საათები, ანთუ რა იყო, აღარცა ვკითხულობდი. მოხდა ისე, რო თბილისში შევხვდი დაკრძალვაზედა,

სიმონ გაჩენილადისა, მერე ქელეხზედა. ერთიმეორის პირისპირ აღმოეჩნდით მაგიდასთანა. გულიანად მესაუბრებოდნენ. სვამდა ღვინოსა, სვამდა ქელეხისათვის შეუფერებლად. შეეცყო კიდეგაცა, მალე შეეცყო. ერთად წავიდეთო, რო ავიშალებნით. ერთადაც გამოვედით. მაშინ გამომიტყდა:

შენთან დალევას ვერიდებოდიო.

ერთი რამა მჭირს: ღვინო თუ დავლიე, ენაზე არ მადგება არაფერიო. ამიტომ არცა ვსვამო. ვერიდებიო. გერიდებიო. ახლა დავლიე და იმიტომაც დაველიე, რო მეთქვაო.

გოგოლაძე ჰო იციო.

რომელი ერთიმეთქი.

გორში რო ჰყავდათ, ახლა ბორჯომს რო გაამწყესო.

ჩვენთან დაამთავრა. მაშინ ლ-ჩ არც იყო ჩვენს ინსტიტუტში. ჰო ჩვენთან დაამთავრა. ორიოდე წელს თვალს მიეფარა, მერე მოვეველინა უშიშროების უფროსის მოადგილედა, გორში ცხადია. ინსტიტუტში ხშირად მოდიოდა. რო არ შემოვიარო, არ შემიძლიანო, ეს ინსტიტუტი ჩემი მშობლიური გარემოაო. მშობლებივით მივევარხართო. გულგახსნილიყო. უხაროდა. ეხვეოდა ყველასა. ისე, მახსოვდა: იგივე სისუსტე სჭირდა იმასაცა, ღვინოს ვერ იტანდა. დათვრა ვახშმადა, გამოსაშვებ სალაშქრად, დათვრა, დავემუქრა. ის აღარ ახსოვდა, ანთუ არ ენება, რო ვინმესა ჰსომებოდა. რაც იყო, იყო ჰო იციო.

ვიცი და ძალიან კარგადაც ვიციმეთქი.

გორიდან ბორჯომში გადავიყვანეს, იქ მთლად უფროსად განამწყესეს. მალე თავი მოიკლა. რისთვისაო, არ გამომიკითხია. ღვინოს თუ დალევდა, არაფერი არ გაუკვირდებოდა: არც ის, რო ვინმე მოეკლა, არც ის, რო თავი მოეკლა, — არაფერი, არაფერი არ გაუკვირდებოდა.

ახლა უნდა ვითხრაო.

ნურც ახლა მეტყვიმეთქი.

არაო, უნდა ვითხრაო.

ბატონი ბრძანდებოდა იმეთქი, ^{გორისა} გორში რო ჩამოვედი, ^{შემიჩხდაო:} შემიჩხდაო:

უნდა შემეკრაო. ვეუარებოდი, გაგურბოდი. აღარ მინდოდა. თბილისიდან იმ იტომ წავედი, აღარ შემეძლო. გამიჭირდა. ამათ ვავექციეო. იქ ის დამხვდა: უნდა შემეკრაო. ბევრი ვეუარე. არ გამივიდა უარიო. ბოლოსდაბოლოს ესეც ვუთხარიო: აბა აქ ვინ არიან, ვის ვუგდო ყური, ჩხეიძესა და დოლიძესა?! სწორედ მაგათაო, მაგ ასეთ ისეთებსაო. ლ-ჩ-მ გამიგორა ის სიტყვები ისევე და იმისსავე ხმის კილოხედა. მე ვერ გავიმეორებ რაღა თქმა უნდა, ვერც ხმის კილოსა და ვერც იმ სიტყვებსა. ლ-ჩ განავრძობდა, ჭკუას მარიებდა: ახლა ყველაფერი საშიშიაო. შენ ერთხელ წამოგცდაო: მე ახალგაზრდობას უკეთესი საზოგადოებისათვისა ვზრდიო. ქართველებდა ვზრდიო. არ წამომცდენიათმეთქი. საშიშიაო. შგლის შიშითმეთქი, ცხვარი ვის გაუწყვეტია-მეთქი. მე ჩემი ვითხარიო.

ეს ზაფხულში იყო.

სექტემბერში, ინსტიტუტში რო დაგბრუნდით, ბიძინა დოლიძე მივევბოდა დიდი კმაყოფილებითა: ზაფხული ბორჯომში ვავატარეო. გოგოლაძე შემხვდაო. ახლა იქ არისო. კარგი ბიჭიაო. იმან დამაბინავა. ხშირადაც მაკითხავდა. კარგი, კარგი, კარგი ბიჭიაო. სამაგიეროდ ის ამ აზრისაა შენზედამეთქი, შენზედაცა და ჩემზედაცამეთქი: და მოვახსენე ლ-ჩ-ს მონაყოლი, ისევე, იმავე სიტყვებითა, დაწერით რო არ დაიწერება რაღა თქმა უნდა. ენა ჩაუვარდა ბიძინასა. ალბათ რო ჩამხამდა ის ზაფხული, ალბათ რო არ უნდა მეთქვა. მაგრამ სიფრთხილე არ აწყენდა არავისა, მითუფრო ბიძინასა: ისეთს იტყოდა, ეხუმრებოდნენ, — წაიმეწმევიკებო. არ აწყენდა. თუმცა მაინც წაიმეწმევიკებდა ხოლმე ამის მერეცა. რას იხამ: რაცა ხარ, ვერ მოიშლი, ანდაზისა არ იყოს: მგელი არ მოშლის მგლობასა, კაი ყმა მამაცობასაო.

რაც უნდა იყოს, ისევე სერგის მივებრუნდები.

თუმცა:

ერთხელ ბიძინაც გაჩხდა ავადა. კარგახანს იავადმყოფა. გამოკეთდა. დაბრუნდა ინსტიტუტში. თითქოს იგივე ბიძინა იყო, თითქოს არცაო. დაბრუნდა. ყოველშემთხვევაში მე ერთხელ შევხვდი. გამიხმო. ნეკროლოგი შენ დამიწერეთ. შორს დაეჭირე. შენ სამაგისო არაფერი არ გეცნობა, ერთმა ავადმყოფობამ ეგრე არ უნდა შევამინოსმეთქი. არ დამიჯერა: თხოვნა გამიპურა. მეც არ დაუჯერე. არა და თურმე გრძნობდა აღსასრულსა, აღარც გამორჩენილა და მალეც გარდაიცვალა. წიგნები უყვარდა. ბევრს არ უყვარდა. ბიძინა ვამოიარჩეოდა. ერთხელ უყვებოდი: პირველი მსოფლიო ომის შემდგომ დამარცხებული, დავრდომილი გერმანია თუ როგორ ეძებდა ძლიერ პიროვნებასა, ვინც რო ადამაღლებდა გერმანულ ხელსა, ვინც რო შემართავდა გერმანულ ძღვევამოსილებასა. ოთხი თუ ხუთიოდე გამოსძებნეს ასეთი. პირველი ქართველი გახლდა. პიტლერი მეორედ ითვლებოდა. პირველს მოერიდნენ სინაზულითა, გერმანელი რო არ არისო, ის ერჩივნათ. მოშვეცი ევ წიგნიო, მე თვითონ უნდა წაეკითხოო. მე აღარც ავტორი მახსოვს. სხვაგანაც ვეღარსად წააწყდი საამისო ცნობებსა.

რაც უნდა იყოს, ლ-ჩ-ს უცნაური არაფერი უთქვამს ჩემთვისა. მეთვალყურეები არ მაკლდა. ვიცოდი. ვიცნობდი. ეტყობოდათ. ერთხელ ერთი იქამდისაც მივიდა, - ისიც სიმთვრალეში, - შემომიტია: ჩვენ პო ჰხედავ ყველაფერსა ელაპარაკობთ, არაფერს არა ეფარავთ შენთანაო, შენ რატო არაფერს ვაკვირებლო. შემომიტიაშეთქი. ვითომ ხუმრობითა. ვერ მოესწრებამეთქი, მეც გაუშტარე ხუმრობაშია, მეც სიმთვრალეში რაღა თქმა უნდა. უფრო უბერიოებიც ამჩნებთან, უფრო გამოცდილებიცა, მაინც ეტყობოდათ, ყველას ეტყობოდა.

თუმცა არა პირობა...

სერვის ვახსენებდი, საიდან სადაო?!. ისევე სერვი: გამოცდები გამოცდება-

დაო, ლექციები ლექციებადაო, ერთხელ და მაინც საფელე პრაქტიკაში წაგვიყვანებდა სერვისა.

მუხლი უჭრიდა მოხუცობაშიცა. წინ მიუძღოდა სტუდენტებსა. მიუძღოდა. და თუ ვინმე ჩამორჩებოდა, ვინმენი თუ ჩამორჩებოდნენ, გადახედავდა ხევიდანა, გადახედავდა და ჩაიცივებდა:

არცა სცხვევნიათ მოხუცისაო. მე წინ მივდივარ, ესენი რჩებიანო. შეფუცხუნდებოდნენ ახალგაზრდები, შეხალისდებოდნენ თუ შეფუცხუნდებოდნენ დაჰკრავდნენ ფეხსა, წინ გაიჭრებოდნენ, თავსმოექცეოდნენ, ავადრებოდნენ.

და ითაკილებდა სერვი:

არცა სცხვევნიათო. მოხუცსა სტოვენ და თვითონ მიხტიან ქურციკებივითაო.

ქურციკს ამბობდა და თხასა გულისხმობდა, უფრო მოსწონდა, ასე მოსწონდა, ქურციკს რო ამბობდა და თხასა გულისხმობდა.

შეფოვნდებოდნენ ახალგაზრდები, ჩამორჩებოდნენ თუ დაირცხვენდნენ, მართლაც დაირცხვენდნენ, გაიძლოლებდნენ სერვისა ისევე და მიიწვედა სერვი და მალდებოდა სერვი, მალდებოდა და მალდებოდა, მოიღერებდა მერე კისერსა, გადმოსძახებდა ისევე ამაყადა:

არცა სცხვევნიათ მოხუცისაო. მე მიუძღვებოდა, ესენი მოჩანჩალევენო.

ცოტასაც ერთობოდა სერვი, რო ამავობდა კიდევაცა, ბევრი საქმე რო გააკეთა, დიდხანსაც რო შერჩა შრომის უნარი. ამაყობდა. ერთობოდა.

შენ გართობა თქვი და ქართლის ხეობების აღწერილობანი, თავის დროზე რო ქვეყნდებოდა ცალკე წიგნებადა: „ლიახვის ხეობა“, „ფრონის ხეობა“, „მეჯუღის ხეობა“, „ლეხურის ხეობა“, „ქსნის ხეობა“, „ატენის ხეობა“, „თემის ხეობა“, „კავთურის ხეობა“, „ძამის ხეობა“, „ბორჯომის ხეობა“... ნაწილობრივ ამ გასელებთანაც არის დაკავშირებული ნაწილობრივად და თითქმისაცა...

და ბარემ აქვე შევნიშნავ:

სტუდენტური

მისი წიგნებისა და ნაშრომების რაოდენობა გაცილებით მეტია.

ამ ბოლო ხანებში ხელახლა გამოვიდა „ხევსურეთი“ და „თუშეთი“, ყური მოვკარი რო „ფშავეცი“ მალე გამოვაო. ბარაქა და მადლობა ვინც რო ამისათვის იზრუნა, ვინც რო გაიხსენა და იზრუნა ცხადია, ოღონდ ეს უფრო იმის შედეგეცაა, მთის პრობლემებიც რო ასე მწვავედ დადგა ჩვენი ცხოვრების დღისწესრიგშია, დიდიხანია რო მოვკარებულიც ისევ მოსაგვარებელი ვაგვიხება, თორემ ისე დავიწყებას ეძლეოდა სერგი მაკალათიას სახელიცა და ნაღვაწიცა მისი, როგორც რო დავიწყებული ბევრი სხვა სახელი, ჩუმი და თავაულებელი მოღვაწის სახელი. და ისიც არ გახლდათ ისეთი კაცი, პრემიებისა და იუბილეებისათვის რო გადაეკლა თავი, რო ეხმურა თავისი სახელის გარშემო, რო მოეთხოვა და მოეთხოვა, — არა არ გახლდათ ასეთი კაცი და არც არაფერს მიავება, არაფერსა რაღა თქმა უნდა. რაც უნდა იყოს ნაღვაწი აცოცხლებს სახელსა, უღვაწლო სახელი ფუჭია ცხადია, არა ჰღირს არც რო ჭიან კაკლადა.

და მაინც იქა ვარ:

უფლისციხე ჰო დაქნილი ჰქონდა, — ამას გვემაში არც შეიტანდა, არც რო პრაქტიკად ჩათვლიდა სტუდენტებსა: იქ უნდა ყოფილიყვნენ და ხშირადაც უნდა ყოფილიყვნენ. ყურებზე ხელებს აიფარებდა თუ ვინმე ეტყოდა, არა ვყოფილვარო. შეაგროვებდა ასეთებსა, ლექტორები იქნებოდნენ თუ სტუდენტები იქნებოდნენ, ვინც იქნებოდნენ სულერთია, შეაგროვებდა და წაუძღვებოდა, წაუძღვებოდა და უხსნიდა, უხსნიდა და უჩინინებდა. უჩინინებდა და უჩინინებდა.

ლექციებიც რო ასეთი ჰქონდა, — დაწერილებითი, საბუთიანი, რო არ აკყვებოდა ზოგად მსჯელობებსა, არც არავითარ ტენდენციას არ აკყვებოდა, რაც უნდა მოდური ყოფილიყო, არ აკყვებოდა; არაფერი არ იცვლებოდა იმისთვისა ამ ქვეყანაზედა, არაფერი

არ იცვლებოდა, მითუმეტეს არც ერთხანია არ იცვლელიოდა, არ იცვლებოდა, არ იცვლებოდა; არც არავის მიუპყრობდა ყურსა, არც არაფერს მიუვლებდა ყურსა. ცოდნა ის იყო, თვითონ რაც იცოდა, თვითონ რაც იცოდა, თვითონ როგორც იცოდა, განსხვავებული არ მიაჩნდა ცოდნადა.

არც ავიხიარდებოდა,

არც ავახიარებდა,

ცოდნა ის იყო, რაც თვითონ იცოდა, როგორც რო იცოდა თვითონა. ცოდნა ის იყო იმისთვისამეთქი.

და ერთიც ვნახოთ ლექცია დაუნიშნეს ერთერთ ნაწილში, — გორის გარნიზონში — საჯარო ლექციაი რაღა თქმა უნდა. მანამდისაც კითხულობდა საჯარო ლექციებსა, როგორც რო სხვანი, ვინც რო კითხულობდა, როგორც რო შეეძლო თუ როგორც რო მოუხერხლებოდა საინსტიტუტო ლექციების შემდეგა, ზოგჯერ რო დაქანულიცა თუ თავმოებურებულიცა. ოღონდ აქ დაქანცვა არაფერ შუაშია, არც თავმოებურება არაფერ შუაშია, — სერგი არც ისე დაიქანცვდა თავსა, არც ვაპებრდებოდა არაფრითა, ვაერიდებოდა და ის იქნებოდა, არც მოუშაღებელი გამოცხადებოდა, არა, არავითარ შემთხვევაშია. კოსტუმი რო კოსტუმი, დააუთოებიანებდა იმასაცა საგანგებოდა, პალსტუხსაც შეურჩევდა, სამაჯურების სამაჯურებსაცა. დაიყვებდა ისედაცა სამაჯურებსა. ოღანავ, ზოლად რო წამოსდენოდა სახელურებსა. ვაიყოლებდა წიგნებსაცა რაღა თქმა უნდა, ჩანიშნული ადგილებითა, შიგ ჩალაგებული ფერადი ფურცლებითა. მოემზადებოდა ერთისიტყვითა, საგულდაგულად მოემზადებოდა, სადაც არ უნდა ვაგეზავნათ, სადაც არაო, მითუმეტეს რო სამხედრო ნაწილშიო.

ამ მხრით ვერაფერს დაუწუნებდი.

გაკვრით შევიწმინავ; მდგომარეობა რო დაძაბულიყო, — 56 წელი გახლდა, დაძაბული წელი, მითუმეტეს რო გორში დაძაბული. შევნიშნავ ვაკვრითა.



და ის მოჰხდა, რო შეეღაუნენ, რუსი ოფიცრები, ჯერ რო იქვე ლექციაზედა ბატონ სედვისა, მერე საჩივარიც აღძრეს, არასწორად გააშუქა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიული საფუძვლებით.

იარა საჩივარმა, იარა, იარა, მოაღწია ინსტიტუტამდისა. ინსტიტუტს დაეკლა ემსჯელა ამაზედა. საყვედურის გამოცხადებაც ინსტიტუტს დაეკალა, — სერვისადმი ცხადია, სერვისადმი რაღა თქმა უნდა.

ჯერ ეს კათედრამ განიხილა. კათედრამ გამოუცხადა საყვედური.

სერგიმ ეს რექტორთან გაასაჩივრა. საყვედური არ მიიღო რაღა თქმა უნდა. ეს რა კათედრაო, ყველა ისტორიების კათედრაო, საკუთრივ საქართველოს ისტორიის კათედრა არ არისო, საქართველოს ისტორია აქ არავინ არ იცის, ხოლო კათედრის გამგემ კო საერთოდ არაფერიც არ იცისო. ყველაზე მეტად იმაზე მოსდიოდა გული რაღა თქმა უნდა, სხვები თავს უქნევენ ასკილივითაო.

ვითომ ვეც პროფესორიაო, კათედრის გამგესა ჰქილავედა სერგი, — იმანაც მოასწრო, პროფესორი რო გამხდარიყო, — ერთი ღერი რა არის, ერთი ღერი ჭაღარა არ ურევია თმაშიო. ჰალსტუხის შეკვანდა მაგან არ იცისო. შეჰხედეთ, შეჰხედეთ, როგორ ჰქიდიო. ჰქილავედა ასე მანამდისაცა, ჰქილავედა, იცინოდა, ჩუმი, ჩუმი, თავისებური სიცილითა, ჩამტკბარი სიცილითა.

ეს მანამდისაო. მაშინ გაგულისდა. ვეღარ ისვენებდა. ბორკავდა. ბორკავდა. გადიოდა. გამოდიოდა. კათედრაზე აღარ შედიოდა. ჩამოსდებდა თავის პორფელსა ფანჯრის რაფაზედა, კათედრის პირდაპირა, კარის პირდაპირა რაღა თქმა უნდა. ჩამოსდებდა. აყევებოდა და ჩამოჰყევებოდა ღერეფანსა, თითქოს პორფელსა ჰყარაულობსო. გაგულისდა. გაგულისდა. გაგულისდა უჩვეულოდა. ვეღარ ამშვიდებდნენ.

რექტორმა მაინც დააშოშმინა სერგის მოახერხა, საყვედურიც რო მიუღწესებოდა, კმაყოფილიც რო დარჩენილიყო. ისე მოახერხა.

საბჭო ვითომ იმის საჩივარს განიხილავდა.

სერგიც მოიწვიეს. არა და — კათედრის წინადადებას განიხილავდა.

კათედრის გამგეს სიტყვაც არ დააცადა, სერგიმა, ხელი აიწია, ადგა.

რექტორმა ნება დართო.

სერგიმ თავისი ლექცია გაიმეორა თავით ბოლომდისა. საათნახევარზე მეტი მაინც ილაპარაკა. ეს ყველაფერი ასე იყო და ასე იქნებო, კათედრა ცდებდა და ტყუის ჩემთანაო, დაასკვნა ასე, მაღლობა გადაიხადა ყურადღებით მოსმენისათვისა; ახლა დაგტოვებითო, ბრძანა ესეცა თავაზიანადა, აიღო პორთფელი და გავიდა კმაყოფილი, ნასიამოვნები გავიდა, როგორც რო გავიდიოდა ჩვეულებრივად ლექციიდანა, კარგი მსმენელები რო შეჰხედებოდნენ, რო მიიღებდნენ გულითადადა, გულითადად რო გააცილებდნენ. ასე გავიდა.

საბჭომ დაამტკიცა კათედრის წინადადებაი, დაამტკიცა რაღა თქმა უნდა.

სერგის გამოხედა მიიჩნია აღიარებდა შეცდომებისა. რაღა თქმა უნდა.

და წავიდა ოქმი თავის გზაზედა. სერგი წავიდა თავის გზაზედა. ოქმი წავიდა თავის გზაზედა, ამონაწერი თავის გზაზედა, წავიდა, წავიდა.

სერგის ის აღარ ეკითხებოდა. დაახიჯებდა ამაყად, კმაყოფილი დაახიჯებდა. შეაჩერებდა თანამშრომელებსა, ანთუ სტუდენტებს შეაჩერებდა, შეაჩერებდა ვინც უნდა ყოფილიყო, შეაჩერებდა და სთხოვდა, მიდით და ჰკითხეთ იმ ვაუბატონსაო, კათედრის გამგესა გულისხმობდა, ჰკითხეთ თუ რა დღე დაეყარეო.

რექტორს აქებდა. კაცი ვე არისო. კაკიც ვე არის და ინსტიტუტიც ვე არისო. ღმერთმა დიდხანს აცოცხლოსო, მაგრამ ვე რო აღარ იქნება, ინსტიტუტიც აღარ იქნებაო. ვიდრე ვე

არის, ღვთის უბეში ვართ, მერე ეშმაკის წილი ვიქნებითო. ეს ცუდი ხალხია საქმეს რო აფუჭებს, რო მოიშორებდეს, კარგი იქნებაო. ნეტავი როგორმე მოიშორებდესო, ეშმაკის მახესაც აეცილებდითო. ასე მსჯელობდა და აქებდა ასე რექტორსა ცხადია.

პო:

ვე რო აღარ იქნება, ინსტიტუტიც აღარ იქნებაო.

მაშინ იცინოდნენ, სერგი რო ბრძანებდა.

მერე აღმოჩნდა, წინასწარმეტყველება რო ყოფილიყო. მერე აღმოჩნდა.

ასეცა ყოფილა: წინასწარმეტყველნი ვერ უცვნიათ თავის დროზედა.

ის მაინც კმაყოფილი გახლდა. დასეირნობდა ღერეფანშია. თუ შეიხედებოდა

საპროფესოროში იშვიათადა, იშვიათადა, იქ ბევრი არ ესიაშოვნებოდა, არ უნდოდა, მისალმებოდა, არ უნდოდა,

დალაპარაკებოდა. უფრო სტუდენტებში ტრიალებდა. იკვლევდა თუ ვინ საიდან ჩამოსულიყო. იკვლევდა. მართლაც იკვლევდა. მოსწონდა ისინი, ანთუ უფრო

მოსწონდა ისინი, რომელნიც უფრო ახლოს იყვნენ უთვალსაზიროებს ძველებთანა საქართველოს ისტორიისა.

მოსწონდა. მოსწონდა. უახლოვდებოდა. უხაროდა, თითქოს იმათ რო აეშენებინოთ,

ანთუ იმათ რო განეახლებინოთ, ანთუ იმათ რო გადაერჩინოთ იმა სერგეისა თუ მუსხერის წლებშია, ანთუ იმათა, თვითონვე იმათა, ანთუ წინაპრებსა იმათსასა, სულერთიაო. უხაროდა.

უხაროდა. თითქოს რო ზელახლა უბრუნდებოდა იმა ადგილებსა, ერთხელა თუ რამდენჯერმე რო უკვე შემოველო და კვლავ რო ჰქონდა სურვილი შემოვლისა, კიდევ რამდენჯერმე შემოვლის სურვილი. უხაროდა, არც ივიწყებდა,

რო დაამთავრებდნენ ინსტიტუტსა, იმახსოვრებდა ძველების მიხედვითა. ზოგჯერ კიდევაც გაეხუმრებოდნენ, დაუსახლებდნენ სხვას სხვა ძველთანა. შეუსწორებდა, მყისვე, მყისვე შეუსწორებდა. აიყოლიებდნენ მერე მაინცა,

რაზან რო ერთს გაეხუმრებოდნენ:

„ლევანიც გეხსოვებათ...“

„რას ჰქვიან მეხსოვება... ჩემი სტუდენტი იყო. მისმენდა. უურჩევდი. ჩემი სჯეროდა. რასაც ვეტყვოდი: ეს წაიკითხე, — წაიკითხავდა, ეს გადააგდე, — გადააგდებდა; აქეთ წადი, — აქეთ წავიდოდა, იქით არ წახვდებოდა, — ვერაფერს შეაგდებდა, მე მიყურებდა, მე მისმენდა. ამაზე არ შეჩერდებოდა, თბილისს წადიმეთქი. წავიდა. მე რასაც ვეტყვოდი... ჩემი სტუდენტი იყო.“

„მინიმუმში ჩაუბარებია.“

„მე ვუთხარი. არც გადავიღოდა.“

„დისერტაციაც მოუძახლებია.“

„ვიცი, ვიცი, ყველაფერი ვიცი. მაშ რას იზამდა?! ჩემი სტუდენტი იყო!“

„აბოლონი?!“

„ჩემი სტუდენტი იყო. მე მისმენდა. მე უურჩევდი. რასაც ვეტყვოდი: ეს წაიკითხე, — ამას წაიკითხავდა, ეს გადააგდე, რა გიჭირავს ზელში, ფუჰ... — გადააგდებდა. მე რასაც ვეტყვოდი!.. მე რასაც ვეტყვოდი!.. აქეთ წადი, — აქეთ

ვიდოდა, ვერაფერს გადააგდებდა... ვერ გადააგდებდა. მე მიყურებდა. მე მისმენდა. ფეხს არ გადაადგამდა უჩემოდა. ჩემი... ჩემი... ჩემი... ჩემი სტუდენტი იყო!...“

„ხელი ჩაუქნევია დისერტაციაზე...“

„მა!..“

„ხელი ჩაუქნევია...“

„რა ჩემი ბრალია!.. მე ჰქვას ვარიგებდი, ის ჩხეიძეს უჯერებდა... რა ჩემი ბრალია...“

თავს იმართლებდა სერგი და ერთობოდნენ, ტრაბახობდა სერგი და ერთობოდნენ, ხან გააღიაზიანებდნენ კიდევაცა, რო გაახსენებდნენ კათედრის გამგეა და ერთობოდნენ ამითაცა. მაშ რა ელონათ იმა გაუთავებელსა თუ უსასრულო გზაზედა თბილისიდან გორამდისა, გორიდან თბილისამდისა, მერე ისიც რო საგარეუბნო მატარებლებშია, ამ ჩვენს ცალფა რკინიგზაზედა, ხშირად დიდხანს რო შეაყოვნებდნენ, რო არ დაბრკოლებულიყო სატვირთო მატარებლები, სწრაფი მატარებლები რო არ დაბრკოლებულიყო, — რა ექნათ თუ



რა ელონათ მამა, დროც რო არ მოქ-
ლათ ასე, ამგვარადა, ის ერთფეროვანი
თუ მომაბეზრებელი დროი. სერგიც
ერთობოდა რაღა თქმა უნდა, თუმცა
რო თითქოს რო ბრაზობდაო, მაინც
ერთობოდა, მაინც ეამებოდა, რო ჰკი-
ლავდა გამგესა თავისასა: ივანე ჯავა-
ხიშვილიც არ წაუკითხავს და ისტო-
რიკოსად მოაქვს თავიო, ასეცა ჰკილა-
ვდა და იფიცებდა, არ წაუკითხავსო.

მაგას მაინც ვერ დავიჯერებო.
თავს გამოიდებდა სოსო ხარშილა-
ძეი.

მე ტყუილს არ ვიტყვიო.
მტკიცედ აცხადებდა სერგი.

ეგ ვიციო, მაგრამ მაინც დამტკიცება
უნდაო.

არ ეშვებოდა სოსოი.

რო წაუკითხოს ჰო შეეცდებოდაო.
აა მოთხარი, რა ეტყობაო. მეტი რა-
ღა დამტკიცება უნდაო.

უკირდა სერგისა. და თანმხლებოდნენ
ველანი, მეტი დამტკიცება აღარც უნ-
დაო.

X

მეტი საბუთიცა ჰქონდა სერგისა:
რამდენჯერმე იმოწმებდა ივანე ჯა-
ვახიშვილი სერგი მაკალათიას ეთნო-
გრაფიულ დაკვირვებებსა, ოღონდ ერ-
თან შენიშნავდა, ასეთი ეტიმოლოგიე-
ბი ცოტა არ იყოს უხერხულიაო; ეს
იქა, სერგი რო ამტკიცებდა: ფალოსის
კულტი და ფალუსტაკი ურთიმეორის
შედგევიო.

ამის გახსენება აღარ უნდოდა სერგი-
სა. აღარც აღარაინ ვაახსენებდა. თა-
ვისი გამგე ვაახსენებდა, რო სცოდნო-
და, ისე მოსდიოდა გული, ისე ბრაზობ-
და, რო არად ავლებდა სერგი, ვაახსე-
ნებდა, დაჰყრიდა ხმასა, არ დაინდობდა,
იცოდა სერგიმა.

არ დაინდობდა რაღა თქმა უნდა.

და ამტკიცებდა სერგი ბეჯითადა, არ
წაუკითხავსო. ოღონდ ამ საბუთს არ

გამქლავუნებდა, არა ცხადია რა
თქმა უნდა.

ვერ ვიტყვი სოსო თუ რად ჩასციე-
ბოდა, ახსოვდა იმასაცა თუ რა იყო, —
აღბათ რო ეჭვდა, აღბათ რო ბუნდა-
და, აღბათ თუ ჰგრძნობდა, სადაც რო
რადაც იმალებოდა, თორემ რო კარგად
რო გაჰხსენებოდა, თვითონვე დაჰყრი-
და ხმასა, ისე თუნდაც რო გასართობა-
და: ფალუსტაკი და ფალოსის კულ-
ტიო, — გასართობადა რაღა თქმა უნ-
და.

გასართობადაო.

ანთუ ვეღარც გაერთობოდნენ ამითი,
ვერა, ვეღარცა, რო მოძველებულიყო,
გადაველო, დავიწყებოდათ. მოძველე-
ბულიყო, დავიწყებოდათ. და აღმოაჩ-
ნდნენ მერე ვილაცანი, — აღმოაჩნდნენ..
აღმოაჩნდნენ.. და დასცხებდნენ ნაღა-
რასა, აი თუ რა მოვიბოვეთო, გაიოცე-
თო, გაიხარეთო, ავიტაცეთ და ხელით
გვატარეთო. და აღმოაჩნენ კვლავაცა
სხვანი, — არ გავიკვირდეს, — აღმოა-
ჩნენ, შეუნდოთ ღმერთმა!..

მაინც რო ესეც გასართობია, ესა თუ
ამგვარი აღმოჩენანიო.

სერგი გაჰყურებდა ისეც ციხესა, ან-
თუ იქ გახლდათ, იქაც გახლდათ და
გაჰყურებდა კიდევაცა, გაჰყურებდა და
არ უჯერებდა თვალსა, საკუთარ თვა-
ლსა, რაღა თქმა უნდა; არ უჯერებდა
და ეკითხებოდა ვილას აღარაო; ეს რა
არისო, ეკითხებოდა გაკვირვებული, მა-
რთლა ხეები დარგეს იქაო თუ თვალი
ამეჭრა, თვალი მატყუებსო.

მართლა დარგესო.

არა სჯეროდა.

ციხის კალთებზე ტყეს რა უნდაო.
არა სჯეროდა.

ნუთუ არაფერი წაუკითხიათ, ნუთუ
არაფერი ვაუკონიათ, ნუთუ არც ჩემ-
თვის მოუსმენითო, ციხის კალთებზე
ტყე სადა თქმულაო.

თქმულაო თუ არა თქმულაო, ქალა-
ქის გამწვანება რო დაედგინათ, ამწვა-
ნებდნენ ციხესაცა. ნერგებს მიყრიდ-
ნენ, ბარებს მიყრიდნენ, ხალხს მი-
ყრიდნენ და რგავდნენ იხინიცა, სადაც

რო მოჰხედებოდათ, რაც რო მოხვედ-
ბოდათ, რგაედნენ და რგაედნენ, ამშვე-
ნებდნენ ვითომ რო ქალაქსა, ამშვეანებ-
დნენ და ამშვენებდნენ, — ღმერთო დი-
დებულოო, თვალი თუ ამეჭრა, თვალი
თუ მატყუებსო, თავს იმშვიდებდა მხო-
ლოდღა ამითი.

მაინც ციხესაც ვეღარ გასცქეროდა.

მერე ხმებოდა ის ნარგავები, უწელო-
ობითა რაღა თქმა უნდა.

და უხაროდა სერგისა, რო ხმებოდა
ნარგავები ციხის კალთებზედა.

მაგრამ და რაო, მაინც მოიკიდა ფეხი
თანდათანობითა, იფეხვა უჩხუმა, მოი-
კიდა და მოიკიდა, როგორც რო მტე-
რიც მოიკიდებდა ფეხსა. მოიკიდა და
მოიკიდა. მოიკიდებდა და აიღებდა ცი-
ხესა.

და აღარც რო ციხეს გაჰყურებდა სერ-
გი, აღებულ ციხესა, თავი ჩაეკიდა, თი-
თქოს რო მკლავები ზურგითუკან გაუკ-
რავთო, თითქოს რო სტამბოლის ბაზ-
არზე მიჰყავთ დამარცხებული მეციხო-
ვნეო.

მაინც რა ფასად გახვიდოდიო, ეზუმ-
რებოდა ხოლმე სოსოი.

სერგი ძველი ფულითა ანგარიშობდა.

სოსო მითითხოვდა, ახალით მითხა-
რიო.

ისე არ მითითხოვდა, ალბათ რო რა-
ღაცასა გულისხმობდა სოსოი, რაღაც
ისეთსა, ვასაკილავად რო გამოადგე-
ბოდა; ასე სჩვეოდა, ეხერხებოდა და
სჩვეოდა, გაიმეტებდა, ვინც უნდა ყო-
ფილიყო, გაიმეტებდა, რაც უნდა ყოფი-
ლიყო, ხანთუ გულმოსულადა, ხან ისე
უბრალოდა, ვასართობადა რაღა თქმა
უნდა. გაავლებოდა რო ზოგჯერ უეც-
რადა, დაეცხრებოდა უეცრადაცვე, ზოგ-
ჯერ ყოვლად უწყინარსაცა. ეტყოდნენ,
მაგას რაღას ერჩიო. ვიცნობ მე მაგის-
თანებსაცაო, არ დასთმობდა სოსოი, არ
დასთმობდა და ამტკიცებდა, ყველა ცო-
დვილია, თუნდაც რო ვერ გამოამტყავე-
ნოსო, ცოდვილია, მაინც ცოდვილიაო;
გამომტყავენების უნარი არა აქვს ყვე-
ლასაო, ზოგს რო ჭარბადა აქვს, ზოგს
სულაც არ გააჩნიაო, ვისაც რო მოს-

ჭარბებია, ქვეყანას ამოიტყამსო, ვისაც
არაო — თავის თავსაო, საკუთარ თავ-
საო.

მაშ ეს უკეთესი გამოდისო. ეტყოდ-
ნენ.

რომელიო.

თავის თავს რო ამოიტყამსო.

არაო. სულერთიაო.

ვეღარ გაუგებდნენ.

იმასაც ეს უნდოდა.

ვერ გადაარწმუნებდნენ. არც ეცდე-
ბოდნენ. თავისი ფილოსოფია ჰქონდა.
თავისი, თავისია, ვერ გადააცდენდნენ.
და ერჩივნა ასე, ყველა გაეკილა; იტ-
ყოდა კარგსაცა და უკვირდა თვითონვე,
ეს რა მომივიდა, ეს რა დამემართაო.
უკვირდა. უკვირდა.

უფრო ვასაკილად ემეტებოდა ყვე-
ლანი, ემეტებოდა.

ისე რო —

ერთხელ განუცხადეს: ნდობით აღ-
ჭურვილი პირი იქნებო;

ქალაქის საბჭოში ირჩევდნენ რეკ-
ტორსა, მაშინ რეკტორს არც ეღაუბო-
და. არა. პირიქითა. წამოსცდებოდა ის-
ეთი კარგიცა, თვითონვე რო უკვირდა
ხოლმე. გაჰკარავდა კიდევცა, გაჰკენწლავ-
და, უამისობაც რო არ შეეძლო, ისე,
ისე — უამისობა რო არ შეეძლო. არ
ეღაუბებოდა ერთისიტყვითა.

რა შევალეზაო.

იკითხა სოსომა.

უნდა აქო შენი კანდიდატიო.

აუხსნეს.

არაო, არავისი ქება არ შემიძლიანო.
თქვენ ეს მითხარით, ვინა ვამაგოო.
ქება არავისი არ შემიძლიანო.

არა ხუმრობდა, არა, არა, არა ხუმ-
რობდა, ვერ მიიბრუნებდა საქებრადა
ენასა, რას იზამ, კაცია და გუნებაო.
ოლონდ ჯერ ისევ სერგისთანა ვარ...
თუმცა არაო, რო არ გამოიმჩნეს, რად-
გან ეს რო სხვა დროისაა, ითქვას ბა-
რუღამა:

ომის დროინდელია. მაშინ თბილის-
ში გახლდათ სოსო ხარშილაძეი. რომე-
ლილაც ინსტიტუტში მუშაობდა: ფსი-
ქოლოგისაო, პედაგოგიკისაო თუ სუ-



ლაც პუშკინის ინსტიტუტში, — ეს სულერთია. მთავარი სხვა გახლავს. ნაკვეთები მიეცა მუშამოსამსახურეთა და პროფესორებსაც მიეცა ნაკვეთები ქალაქს გარეთა რაღა თქმა უნდა. სიმინდი დათესეს. მიდიოდნენ. უკლიდნენ. რწყავდნენ. თონხიდნენ. იმედოვნებდნენ, იმედოვნებდნენ. თითო ხელი გახრისილი კოსტუმი თუ ჰქონდათ, ეფერებოდნენ ინსტიტუტისთვისა რაღა თქმა უნდა. ეფერებოდნენ. ყანაში ძველებით მიდიოდნენ. ვის კალთა შემოხეოდა, ვის შარვალი ვარდებოდა, ვინ ფეხსაცმელს ძლივს მიათრევედა. გამხდარიყვნენ. გაძვალტყავებულყვნენ: ომი იყო. ომი გახლდა, მსოფლიო ომი. იქნევდნენ თოხსა. ვერც იქნევდნენ. იწურავდნენ ოფლსა. ვერც იწურავდნენ. აქეთ აღარ იყვნენ. სოსო შეწერდა. დაერკალა თოხსა. ეგრე გაჰყურებდა. გაჰყურებდა. გაჰყურებდა გაძვალტყავებულსა და ჩამოძენძილ პროფესორებსა. გაჰყურებდა. გაჰყურებდა. შეწერდნენ ისინიც: რატო აღარა მუშაობო. თემაზე ემუშაობო. რა დროს თემაო. არ დამიფანტოთო. რა იპოვნე ასეთიო. შრომის როლი ადამიანის გამამიუნებაშიო. „აჰ!.. შესძახეს პროფესორებმა. შალვა ნუცუბიძემ შეჰკივლა თურმე: ეგ მე უნდა მიმეგნოო. შენ გავოფა ქართული რენესანსიცა და პეტრე იბერიც გავოფაო. არ დაუთმო თურმე სოსომა. ომის დრო გახლდა. თუ ის იყო დამთავრებულიყო ომი. რას გავყო. თემა თემაა და შემურებაც შემურებაა, მეცნიერებსაც რო ემართებათო.

გახსენებდნენ ხოლმე სოსოსა.
აბა!.. შალვა ნუცუბიძესაც შემურდაო.

ტრაბახობდა სოსოი.

ოღონდ ჯერ მაინც სერვისთანა ვარ, და საპროფესოროში რო არ შედიოდა სერვი, ამასაც თავისი მიზეზი ჰქონდა, თუცა სტუდენტებში უყვარდა ტრიალი, — მაინც თავისი მიზეზი ჰქონდა:

მიზეზი გახლდა იპოლიტეი — იპოლიტე ვართავაჟი. მიზეზი გახლდა.

ის სულ იქ იჯდა, ძველებურ გვეგერთელა საფარძელზე იჯდა, გრუნდებდა იჯდა, ძველებურსა და გამძლეზედა, მაგარზედა, ვკონებ გიმნაზიიდან რო შემორჩენილიყო, ანთუ სასულიერო სასწავლებლიდან; რაც იყო, იყო, იჯდა და უძლებდა იმა ვეება ტანსა, უძლებდა, არც რო ხრჭიალებდა, არც რო ჭრაჭუნობდა, არც ირწყოდა, არც რო ირზეოდა, რო წარმოდგებოდა ბატონი იპოლიტეი ბოლოსდაბოლოსა, არც ირზეოდა, ისეთი გამძლე რამ შემორჩენილიყო.

იჯდა და ჰყვებოდა.

იჯდა და მჭევრმეტყველებდა.

ფანჯრიდან შუქი დასცემოდა, შუქი დასცემოდა და უღაფლაფებდა წამობურცული ლოყები, გადატკეცილი სახე უღაფლაფებდა, უციალებდა პატარა წვერი ნიკაპზედა, ოღონდ მთავარი მაინც ის იყო, ის სახე გახლდა, ვარაყი სახისაი, რო ვერ იტყოდი თუ რა ხნისა იქნებოდა, ას წელსაც რო მიატანა, მაშინაც რო ვერ იტყოდი, და რო გვეგონებოდა, რო აი კაცი, ვისაც რო ავი არც უნახავს ცხოვრებაშიო. იტყოდი. გვეგონებოდა.

ისეცა ჰყვებოდა, ისეცა ლაპარაკობდა შეხუმრებულ კილოზედა და უქცევდა ცოტა ზემოიშერულადა, განგება ცხადია, ზოგჯერ რო უქცევდა მომეტებულადაცა, მომეტებული ეშხისათვისა. ხმა ჰქონდა წერილი, აშხელა კაცისათვის ასე წერილი ხმა გაიკვირდებოდა.

იჯდა და იჯდა...

ლაპარაკობდა და ლაპარაკობდა, ხან რო ლექციაც გამორჩებოდა, — ჰო არ დაელოდა მსმენელი: მიდიოდნენ, მოდიოდნენ, გაიკრიფებოდნენ, ვიღაცა მაინც შემორჩებოდა, შემორჩებოდა, — არა, მსმენელი არ დაილეოდა, და იმისთვისაც სულერთი გახლდა თუ ვინ უსმენდა, თუ ვისთან დაიწყო, თუ ვისთან აგრძელებდა, თუ ვინ გაეცალა, თუ ვინ შემოესწრო, სულერთი გახლდა.

იჯდა და ჰყვებოდა ერთისიტყვიითა, არ ელეოდა რო მოსაყოლი.

აი თუნდაც რი:

ოცდართი წელიაო. ოცდახუთი თებერვალიო. მღუმარებს თბილისიო. გასუსულა ჰაერიცაო. მენშევიკები გაიქცნენო. ბოლშევიკები უნდა შემოვიდნენო. გასუსულა მოედანიო. შე იქვე ეცხოვრობ სასტუმროშიო. ჩაკტილია ვველაფერი, კარები, ფანჯრები, ჩამოსეპებულია ფარდებიო. ახლოსაც არ ვეკარებიო, ჭუჭრუტანიდანაც არ ვიხედებიო. რაღაცას ველოდები, მეც არ ვიცი თუ რას ველოდები. არა და რაღაცა ჰო უნდა მოხდესო. მოლოდინი მძიმეა. და შევბოჰილვარ მოლოდინითაო. აღბათ რო რაღაც დამემართება, ისე შევბოჰილვარ, ისე ვავთანვულვარო. და მესმის უცერადა „იოლიტივეეე... იოლიტივეეე!“ ჩემი სახელი მესმისო. მეგონა, რო იატაკიდან ამომძახესო, მეგონა, რო ჭერიდან დამკვილესო, მეგონა, რო კარს მოაწვდნენო, მეგონა, რო ფანჯრებიდან შემოიყვიერესო, საით გაექცეულიყვი, აღარ ვიციო. მივაწყყდი კედელურესო. ხმაც არ მეშეება: იოლიტი, იოლიტიო. ვიახრე როგორც იყო, ვარედან მიძახოდნენო. ვადება არ ვინდა, ვასვლა არ ვინდაო. „იოლიტივეეე... იოლიტივეეე...“ აივანს შემოსძახის, აივანს აზანზარებს ვიდაც არისო. შეშინდა ოჯახი, ბავშვები შეშინდნენ, უნდა გავიდე სხვა გზა არ არისო. გავედიო და რასა ვხედავო: ეტლი დგას ჩემი აივნის წინაო, ეტლში პაოლო იაშვილიაო, წითელი დროშა აღუმართიაო და შემოსძახისო: მე ბოლშევიკებს უნდა შევეგებო, შენ წადი და სარაჯიშვილისეული სახლი დაიკავე მწერალთა კავშირისათვისაო. შემომძახის და მესმისო, მესმის, მაგრამ არც არაფერი მესმისო. რას ჰქვიან, დავიკავო. მე როგორ უნდა დავიკავო მთქი. ვლარცა ვითხავო, ეტლი მიჰქრისო, აბანოებისკენ დაეშეებაო. მე ისევ მივკვტავ კარსაო. ისევ ბნელში ვარ და მგონია, რო მომელანდა, რო მომეწვენა, თორემ რა უნდოდა პაოლოსა ეტლში წითელი დროშითა, ანთუ რომელი კონფისკატორი მე ვარ, ვფი-

ქრობო. რამდენხანს დავიკავებ ვივინებო, ოღონდ ესა, ვერა-მთხრე-მთხრე მოვედი ვარეთაო, მაინც იმ ხმამ ამიყოლიაო, ცოტას წავდექო, სარაჯიშვილისეული სახლიც ჰო იქვეა, მოედანთანაო, ცოტას წავდექი და რასა ვხედავო: მიჰყვია ხალხი სარაჯიშვილისეულ სახლსა და აკრავენ ზედა რაღაც წარწერებსა. ერთი რო გააკრავს, მეორე ჩამოხვესო, მესამე რო გააკრავს, მეოთხე ჩამოხვესო. ვველას რაღაც კომიტეტი ეწერა, ვველა კომიტეტი შიგ მიიწვედაო. ავდექი და მეც ავყვიო. დავწერე და ვავაკარიო „სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირი“. ვავაკარი და ვავიქცი კოტე მყაშვილთანაო. არიქა, წამოდი, დავიკავოთო, ვუთხარიო. რას ამბობო, ვაიოცაო, როგორ უნდა დავიკავოთო, რადროსიაო. პაულე ინგოროყვა მიხშეთო. სწორეთ დროსიაო პაულემა თქვაო. ვაკეშურეთ და დავიკავეთო. ჩემი წარწერა ჩამოხვეული დავგვხდაო. ვიდაც-ვიდაცანიც გადავივდგენო. მაინც ჩვენ დავიკავეთო. მერე პაოლოც ჩამოგვეშველაო. ვერ რო იმათ შეჰკებებოდა, მერე ჩვენსკენ გამოჩქარებულიყო! ვველა იმ შენობას ეტანებოდა, ვველა იქ მიიწვედა, ძლივსძლივობისას ჩავიგდეთ ხელშიო.

ასე ჰყვებოდა...

„მოგონებებში“ ცოტა სხვაგვარად შეუტანია ეს ამბავი იოლიტესა. შეიძლება რო რედაქტორის ხელიც ურევია. შეიძლება, შეიძლება, რო თვითონვე ჰყვებოდა სხვადასხვა დროს სხვადასხვაგვარადა. შეიძლება... ვოველმემთხვევაში მე ასე ჩამიწერა თავის დროზედა და ასევე გამომაქვს.

ჰყვებოდა ასე ძველსა თუ ახალსა, არ ელოდა რო მოსაყოლი, არც იღლებოდა, არცა ბეზრდებოდა.

და რო ჰყვებოდა, რაც არ უნდა ვატაკებულებო, რაოდენ დიდი გუნდიც არ უნდა დამხვეოდა მსმენელებისა, შესწყვეტდა სიტყვასა, მიატოვებდა ზედ შუაზედაცა, თვალი რო მოეკრა სერვისათვისა, მიატოვებდა, იხმობდა თავის-

თანა, სერგისა ცხადია, იხმობდა რიხითა, სიხარულითა, ზარზეიმით იხმობდა თავისთანა და წარუდგენდა ხელსა, თითქოს პირველად წარუდგენდაო:

„ი ეს ჩემი მოწაფე იყო, მე ვასწავლიდიო, — სადღაც რომელიღაც სასწავლებელშია რაღა თქმა უნდა, ვინ უწყის რო სად რო აღარ ესწავლებინა იპოლიტესა, რუსეთშიაოცა და ჩვენშიაოცა, ათასჯერ წარუდგინა, ათითასჯერაც წარუდგენდა, იგივე ხალხსა, განა იმიტომა, რო ავიწყლებოდა, — არა, არა არაფერი არ ავიწყლებოდა, არ ვტყვობოდა არაფერი ხიბურისაი, — ეგება ეს ბერი ლაპარაკიო, — მაგრამ არაო, ეგეც ალბათ რო თავიდან მოხდგამდაო: არ ავიწყლებოდა ერთისიტყვიითა, არაფერი არ ავიწყლებოდა, იხმობდა და აღარ ვაუშვებდა, ჩააელებდა ხელსა, მოისვამდა გვერდითა, მოისვამდა და ჰკეებოდა ისე, ისე იშვავარი ალტაცებითა, გვეკონებოდა, შურს იძიებსო, რატომღაც ასე გვეკონებოდა:

„აი ნიმუში თუ რისი მიღწევა შეიძლება შრომითა, აი ნიმუში!...“

შესახებდა იპოლიტეი და მოჰხვევდა, ხელსა, სერგისა ცხადია, არ გამქცესო, ისე მოჰხვევდა, თუ მოიგდებდა ხელში ცხადია, თანდათან ვეღარც მოიგდებდა ხოლმე, უფროსოდა სერგიცა, უფროსოდა, უფროსოდა, მაინც ხანდახან მოიგდებდა ხოლმე:

„უნიჭიერესი მოწაფეები მყოლია. ახლა იშვიათად თუ წააწყდებით ისეთ ვაწაწილებსა. გასაოცარი ახალგაზრდები იყვნენ. მაგრამ და რაო: ბერი გადაჰყვა სიზარმაკესა. ბედმაკ უმუხთლა ბევრსა, რაც მართალია, მართალია, ძალიან ბევრს უმუხთლა ბედმა. დიდძალი ნიჭი დაგველუპა. დიდი ერებიც განაწავდებოდნენ, ისეთი ახალგაზრდობა გიიწირა. განაწავდებოდნენ. ბევრმა მაინც ხელი ჩაიქნია, ზოგი რას გადაჰყვა, ზოგი რასა, ზოგი ლოთობასაც გადაჰყვა. ესეც დრომ მოიტანა. დროა ფელაფერი. დრონი შეფობენო, ეს იმათში არაფერი არ იყო, მთლად უნიჭო ყმაწვილი 3. „ნათობი“, № 5.

ბრძანდებოდა. მე სიმართლისთვის ვარს. არ მიწყენს. მე ამისი მასწავლებელი ვიყავი. ნატამალი, ნატამალი არ გააჩნდა ნიჭისა, ნწ.. ნატამალი.. მაგრამ შრომით ინაზღაურებდა ბუნებრივ ნაკლსა, მეცადინეობით ინაზღაურებდა, მეცადინეობდა, მეცადინეობდა, მეცადინეობდა, იკლავდა თავსა. და აი შედეგი.. ჰხედავთ?. ჰაჰაჰაჰაჰა.. აი შედეგი.. მე ამის სტუდენტებსაც ვუყვები, უნდა იცოდნენ, აი მაგალითი იმისა, შრომი რო ნიჭის ბადალია, აი მაგალითი!..“

„ბატონი იპოლიტე...“
თითქოს ვილაცა შეიცხადება.

„ჰკითხეთო!.. ჰკითხეთო!.. თვითონვე ჰკითხეთო!..“

არ დაიშლიდა იპოლიტე რაღა თქმა უნდა, მიიხუტებდა გულზედა სერგისა, მიიკრავდა გულზედა:

„მართალს არ ვამბობ?!“
ჩაეკითხებოდა.

„რაღა თქმ ა უნდა მართალს ვამბობ, ჭეშმარიტს ვამბობ: აი ნიმუში უნიჭობისა, აი ნიმუში ნიჭის გამოუმუშავებისა შრომითა. ჰა?!. ჰაჰაჰაჰაჰა...“

დაიდასტურებდა თვითონვე ცხადია, დაიდასტურებდა და იცინოდა, იცინოდა და იხუტებდა სერგისა, არ გამქცესო, კიდევ შემოვლენ და იმათაც გავაცნო, იხუტებდა, იხუტებდა უღმობელი მოხუცი. უღმობელი.

არაფერს იტყოდა სერგი. როგორმე მაინც გაქცეოდა. არაფერს იტყოდა. რადგან რო უარესს მოადევნებდა იპოლიტეი, ისეც ისე, იმა გადაკრიპლებული თუ გადადაქვლებული სახითა, თითქოსა ზუმრობსო, უარესაც იტყოდა და გაბრუნებაც არ დაეტყობოდა. გაქცეოდა. ანთუ წამოხტებოდა გაქცეამდისა. ეძგერებოდა გრძელი მკლავი, ეკება ხელი, ეკება თითები იპოლიტესი, ეძგერებოდა, ჩაეჭიდებოდა პიჯაკის კალთასა, სერგისასა რაღა თქმა უნდა. ჩაეჭიდებოდა. არ უშვებდა. იქით სერგი მიითრევდა თავის კალთასა. მერე იხსორებდა, იუთობდა ხელის გულებითო. გულში რას ამბობდა არავინ იცის. ხმამაღლა არ უთქვამს არაფერი

იპოლიტიკეზედა, არც ავი უთქვამს, არც კარგი უთქვამს. არც ახსენებდა. თუ ახსენებდნენ, მოიფრუებდა ყურსა. მეტი სიკეთე აღარც ეკებოდა.

რა ენაღვლებოდა. იპოლიტესა, — სხვა სამყაროდან სხვა სამყაროში გადმოსულიყო, საუკუნეს გადასწვდებოდა, აგერ მოსულიყო დიდი ილიას თაობის შერე და აცინებდა ბევრი რამა რაღა თქმა უნდა, ბევრი რამეც რო უკლავდა გულსა.

ოღონდ ის დაწვები, ის დაწვები, — როგორღაც უნაური რამ გახლდა.

რაც იყო, იყო, —

განრიდებოდა ხალიტერატურო ასპარეზსა, ედავა, ებობოქრა და განრიდებოდა. ბობოქარი წლებიც გამოეკლო, ბობოქარი, ბობოქარ თაობებშიც გამოეკლო და განრიდებოდა.

და აღარც აღარავის ახსოვდა თითქმისა, ლიტერატურაში რაღა თქმა უნდა, თითქმისამეთქი. თუ მოიგონებდნენ, მოიგონებდნენ მკვლევარები ვაჟა ფშაველასი, ისიც ვაჟას პასუხთან დაკავშირებითა, ცნობილ პასუხთან, იპოლიტესადმი რაღა თქმა უნდა.

მოიგონებდნენ, როგორც გარდასულსა, ვაჟას დროინდელსა, რო გარდაცვლილიყო თითქოს რო ისიცა კარგახანია, ანთუ ვადაპოლოდა მართლაც მშფოთვარესა, მღელვარე წლებსა, რაღან რო არც გახლდა ისეთი მშვიდი კაცი, როგორც ლიტერატორი, როგორც კრიტიკოსი, არ გახლდა ისეთი, შურიხმამაძებელი რო არ გამოსჩენოდა.

და აკი მართლაც რო გარდაცვლილი ჰკონებოდა ერთ პიროვნებასა!. მართლაც რო გარდაცვლილი ჰკონებოდა. პიროვნებისა. პიროვნებასა: შალვა რადიანსა ესეიგი.

ჰკონებოდა.

და გადმოელო წერილი იპოლიტესი, ვრცელი წერილი, გადმოელო, გადმოეწერა თავისთავისა, გამოექვეყნებინა თავისი სახელითა. თავისი სახელითა. რაზან გადმოელო. რაზან გადმოეწერა.

ეს წერილი რაფიელ ერეკლეშვილებოდა: ის წერილიცა, მხოლოდმთავად ეს წერილიცა, პიროვნებისა. რაღა თქმა უნდაო, იტყვი ცხადია, მაგრამ თქმა უნდა, ზოგჯერ ისე რო გადმოიდებდა, რო სცვლიდა სახელებსა, დანარჩენი მოსდევდა ისე, რო არ იცვლებოდა კორექტურებიცა, წერტილ-შიმეც რო არ იცვლებოდა.

აქ სახელიც არ შეცვლილიყო. ახეცილოდა.

ოღონდ ერთია: დაემატებინა დასაწვინსში რამდენიმე სტრიქონი, საკუთარი, ორიგინალური, რო ედავებოდა იპოლიტე ვართავაჟასა, როგორც რო წერილბურჟუაზიული იდეოლოგიით შეზღულულ კრიტიკოსსა, შეზღულულსა, რო ვერ გაივო, რო ვერ ჩასწვდა არსსა რაფიელ ერისთავის პოეზიისა, ვერა, ვერ ჩასწვდა, და ვერც ჩასწვდებოდა იდეოლოგიური შეზღულულობის გამო; ედავებოდა და განმარტევდა, რო შემოქმედება რაფიელ ერისთავისა, ისევე, როგორც ყველა სხვა მოვლენა, აიხსნებოდა მხოლოდამხოლოდ მარქსისტული დიალექტიკური მატერიალიზმის საფუძველზე, რაც რო ვერ მოიმარჯვა თავის დროზე რევოლუციამდელმა ქართულმა კრიტიკამო.

ვერ მოიმარჯვაო ერთისიტყვითა.

და აი ახლა მე მოვიმარჯვეო.

და შერე მოსდევდა იპოლიტეს ნარკვევი გადაწერილი წმინდადა, სუფთადა, თავიდან ბოლომდის გადაწერილი, წმინდადა, სუფთადა, ნაშუსიანადა.

და ბოლოს დასკვნა:

აი ამგვარად წარმოვიდგება შემოქმედება რაფიელ ერისთავისა მარქსისტული დიალექტიკური მატერიალიზმის შუქზედაო, — ესეც გადამწერს რო ეკუთვნოდა. ეკუთვნოდა. ზოგი თხისენაო, ზოგი რო მგლისენაო. ეკუთვნოდა.

და ვიღარ გავგო იპოლიტი ვართავაჟასა, ვიღარ გავგო და იხვეწებოდა, ამიხსენითო, ეს როგორ არისო, როგორღა გამოვიღვარ წერილბურჟუაზიული იდეოლოგიით შეზღულული კრიტიკო.



სიო, თუ მარქსისტული ახსნაც ეს არის; იხვეწებოდა, ამიხსენითო, ეს წერილებურფაზიული ამიხსენითო, ეს ვერ გაეგო თუ ემინოდა კიდეცა ამისი, — ემინოდა, დიდი ბრალდება რო გახლდა. პლაგიატზე არაფერს ამბობდა, ანთუ აღბათ რო არაფერს იტყოდა, სხვასაც აჩუქებდა, ბევრი რო გააჩნდა, ბევრი, ბევრი, ბევრი რო დაეწერა და კიდეცა წერდა და წერდა. პლაგიატზე არაფერს იტყოდა. ა

იხვეწებოდა, ამიხსენითო.

და აფრიალებდა ძველ ჟურნალსა, რევოლუციამდელ „განათლებლას“, — აი ჩამხედეთ, შეადარეთო. აფრიალებდა და კოცონი ენთო თითქოს ლოყებზედ, ისე უღვიოდა, წამოგზნებოდა.

მოდი ეს საჯაროდ ვიკითხოთო, ურჩიეს კოლეგებმა, გაჩეთით ვიკითხოთო. გაეხარდა იპოლიტესა, დიდიხანია რო აღარაფერი დაებეჭდა: სწორედაც რო გაჩეთით ვიკითხოთო.

დაჯდა და დაწერა. მე შენ გიტყვი, არ ეხალისებოდა.

დაწერა და ააწყვს. თუმცა შუემოკლეს. ის ისე ხვარიელადა წერდა, რო ვერ გაუძლებდა გორის პატარა გაჩეთით-შუემოკლეს, მაინც მეხვიეთ გავარდებოდა.

უცებ ჩაიფუშა დიდი სამზადისი.

თბილისს დაიბარეს რედაქტორი იმა თევისსავე ანაწყობიანადა. დაიბარეს და დაბრუნდა. თვითონ დაბრუნდა, უანაწყობოდა. არაფერს ამბობდა. ვაგონებაც არ უნდოდა. ბანზე ააგდებდა სიტყვასა, ეახლებოდნენ თუ დაურეკავდნენ თუ რაც იქნებოდა თუ როგორც იქნებოდა, ბანზე აუგდებდა სიტყვასა.

უკვირდით კოლეგებსა იპოლიტესი, უკვირდა ცხადია იპოლიტესაცა, ყველას უკვირდა, ვინ გაგვცა თუ ამბავი ვინ გაიტანათ. უკვირდით. ოღონდ არ უნდა გაკვირებოდით, ლაბარაკობდნენ რო თვითონვე, ყველგან, ყველგანა ლაბარაკობდნენ, ვაგონშიაცა, სვარეუბნო ვაგონშიაცა, რო გადახსნილიყო თავიდან ბოლომდისა, ესენი რო ხმას არ დაუწევდნენ და ყველას რო ესმოდა ყველაფე-

რი, ყველასა, ყველასა, შინაურებსაც, გარეულსაც, მტერსაც, მოკეთესაც, ავსაც, კარგსაც, ისე რო ჩემთანაც ჩამოუტანიათ ამბავი ყელქცეულში, ბაზრებიდან დაბრუნებულ გლეხებსა: ასე და ასეო, ასე ამბოდნენო, და მე მიცვნია ჩვენი ინსტიტუტის ლექტორები, ადვილად მიცვნია.

XI

ეს პო ასეო და გამცემი ისედაც გავიდოდა რაღა თქმა უნდა.

იქ თუ რა მოხდა, ეს ვეღარ გაეიგე. იპოლიტემაც რო არ იცოდა, ავანჩავანმაც რო არ იცოდა იმისამა, ოღონდ მაინც სავარაუდოა: მოერიდნენ ვიღაც ვიღაცანი სახელის გატეხვასა პიროვნებისა, პიროვნებისა, რო რედაქტორობდა ერთხანს ვაზეთსაცა, კათედრაც რო ეჭირა თბილისის უნივერსიტეტში, ინსტიტუტსაც რო განაგებდა, ლიტერატურის ინსტიტუტსა, რო წერდა წერილებსა პანტაუნტითა, რო სცემდა წიგნებსა პანტაუნტითა, სახელმძღვანელოებსაცა — პანტაუნტითა, პანტაუნტითა, ყველგან რო იმითი ასწავლიდნენ, საშუალო სკოლებშიცა და უმაღლეს სასწავლებელშიცა, და რო ვერც სკოლას დაამთავრებდი ისე, რო ვერც უმაღლესში ჩაირიცხებოდი ისე თუ არ გეცოდინებოდა ციტატები, გამოფშუტული ციტატები, იმა წიგნებიდანა. ვაგლახს!.. არ ვასახელებ. ისედაც ყველა მიხედება ახლა, მერე იქნებ რო გამოცანად იქცეს. ანთუ რაო, მერეც ვეოლებათ ამგვარები. თუმცა ერიპა: აკი უკვე დავასახელებ!!!.

მეტს აღარას ვიტყვი. ანთუ რაღა ითქმება მეტი?! ვაგლახს!..

წერილი შეაჩერეს ერთისიტყვიითა, მაგრამ იპოლიტესაც პო ვერ შეაჩერებდნენ, — ვერა ცხადია: წერილი ვაზარდა, გაჭიმა, გააფუა, აქცია ლამის რო მონოგრაფიადა, როგორც იტყვიან ხოლმე, ლამისა, ლამისა, სადაც რო გა-

მოძღვნი იმა წიგნების ავლადიდებაცო, რო გამოდიოდა პანტაუნტიოთა, და აპხსნა ისიცო თუ როგორ შეიძლებოდა, რო ასეთი პიროვნება, პიროვნება, თავს მოჰქცეოდა ქართულ სალიტერატურო კრიტიკასა თუ აზროვნებასა, — აპხსნა და აპხსნა, კარვადა, ნათლად, პიროვნულად, უკეთესად რო სხვა ვერ ახსნიდა.

ტყვილად ეხვეწებოდა სხვებსა, ამისენითო. მშვენიერად იცოდა ავი თუ კარგი, განასხვავებდა დიდებულად, განასხვავებდა და არცა მალავდა.

ამას მითუფრო ვერ დაბეჭდავდა, მაშინა, თორემ ახლა აღბათ დაიბეჭდებოდა, და აუცილებელიცაა, რო დაიბეჭდოს, ასე რო მომრავლებულა პლაგიატი ჩვენს ლიტერატურაში და განსაკუთრებინც დისკრტანტთა შორისა, განსაკუთრებითა, მომრავლებულა და მერე ისე მომრავლებულა, რო აღარც აღარავის უკვირს, — არა, აღარავის უკვირს; და იპოლიტესაც ისევე მარცვავენ და ისე მარცვავენ, რო აღარც ვდავებთან, აღარც წვრილბურჟუაზიულ კრიტიკოსს არქმევენ, არა, ცხადია, არც ახსენებენ, არა, არა, არ ახსენებენ რაღა თქმა უნდა, გზაზე რო არავინ არ დააყენონ. დამაღვით მაინც არაფერი არ დაიძალბა, არა... ჩანს, ჩანს და ისე ჩანს, რომ მეტიც რო აღარ შეიძლება, ჩანს, ჩანს, ყველაფერი ჩანს!..

მაინც ვიმეორებ: ამას მით უფრო ვერ დაბეჭდავდამეთქი, ანუ სხვასა, ისეთივესა, ისევე პიროვნულსა, პირდაპირსა, დაუთმობელსა, რო უპირისპირდებოდა გამოცხადებულ აზრსა ამათუიმ პიროვნებისა თუ ამათუიმ სალიტერატურო მოვლენის მიმართა, უპირისპირდებოდა ასეთი გახლდა, ასე ამგვარად აწყობილიყო, უპირისპირდებოდა, ასეთი გახლდა აღრევაცა, უპირისპირდებოდა, არ შეცვლილიყო იპოლიტეი.

თუ ეთანხმებოდა, აღარც გამოიდებდა თავსა. არ შეცვლილიყო, ასეთი გახლდა იპოლიტეი.

არ შეცვლილიყო.

ყველაფერი იცვლებოდა, არცა არცა შეცვლილიყო. ჩაველო იმ დამაღვით, მობელ სალიტერატურო ბრძოლებსა, ჩაველო ამისთვისა, არ შეცვლილიყო.

და რო არ დამავიწყდეს, ანთუ დამისაა რო დამავიწყდეს თუ რად გავიხსენე ეს მაგალითი:

გარდაცვლილი ეგონათმეთქი, —

და რო თანაუგრძნეს იმ პიროვნებასა, პიროვნებასა, ეს რა მოგსვლიაო, რო თანაუგრძნეს, თავი ამითი იმართლა თურმე: მკვდარი მეგონაო.

თავისმართლებაც ასეთი უნდა, არა?.. თანამგრძობელნიც ასეთნი უნდა, არა?..

თუმცა არც მინდა, რო დავეუროთ შენიშვნები თუ განმარტებანი, არა, არ მინდა, იყოს ეს ასე, როგორც რო იყო.

ანთუ რაღა განმარტება უნდა? — მკვდარი ეგონა.

ხოლო იპოლიტე წერდა და წერდა. ჩამოჰქონდა ზელნაწერები. უცვლებოდა ხელში. უდავდებოდა. იქავცა წერდა. ვერაფერი შეუშლიდა ხელსა. ოღონდ აქ ვამბობ, უდავდებოდამეთქი, და რექტორიცი აქ წამოეშველა: ჩამოატანინა, რაც რო გააჩნდა, დასხა შემანქანენი ინსტიტუტისა, გადააბეჭდინა, დააკაზმინა, და უბოძა იპოლიტესა რამდენიმე ტომადა. ტომები შეეღვინა.

მერე ის დაკაზმული ტომები დაჰქონდა. აღარ ეხსოვდა, აღარ უდავდებოდა.

ამოიღებდა პორთფელიდანა. მუხლზე დაიდებდა. ფურცლავდა. ფურცლავდა. და თუ შენიშნავდა ვინმესა ისეთსა, ერთიორჯერ თუ მოესმინა, არ აკმარებდა, მიხმობდა, კიდევ ერთხელ წაუკითხავდა.

გამოცემა უნდოდა. გამოუცემლობასა ნაღულობდა. ნატრობდა გამოცემასა. ნატრობდა და აუხდა, დიდხანს იცოიხლა და აუხდა ნატვრათი. ნატვრასაც დრო უნდა, როგორც ეტყობა, დროი, დრო უნდა ყველაფერსაო, არცერთი ნატვრა ისე არ ჩაივლის, ოღონდ დრომ უნდა დაგვაცადოსო. იმას დააცადა. იმას აუხდა. გამოუცეს მოგონებანი, ნარკვევები, ყველა არა რაღა თქმა უნდა, სწორედ ის არა, რაც რო ყველა-



ზედ მეტად ენება, მაგრამ გული არ ეთანადრებოდა, ისიც გამოვაო, ეტყობა ეგონა, სულ იცოცხლებდა, ან ამ საუკუნეს მაინც გადაუვლიდა.

მანამდე მაინც გულს იოხებდა. გვიკითხავდა. და გვიკითხავდა. მოუბეზრებლად გვიკითხავდა, ოღონდ სწორედ იმ ადგილებსა, რაც რო გადაედოთ, რაც რო წიგნებში არ შეეკანათ.

უუსმენდი მეცა.

საბაბადაც გამომიფვანდა ხოლმე, ხერვისა არ იყოს, თუალს თუ მომკრავდა, მიხმობდა მაშინვე, მოდი, წაეკითხო, შენ რო მოვწონსო, კიდევ დაუუმატე, კიდევ შევასწორეო. მოდით თქვენიცაო. მოიკრებდა სხეებსაცა. და გვიკითხავდა ხელახლად, თავით ბოლომდის გვიკითხავდა, ორი სიტყვაც რო დაემატებინახ, უმატებდა და უმატებდა, მართლაც უმატებდა, ამძაფრებდა და ამძაფრებდა, მართლაც ამძაფრებდა, ზოგისთვის ეგება ისიცა სჯობდა, ღროზე გამოეცათ აღარ ინდობდა, ვინც რო არ მოსწონდა. აღარ ეშვებოდა, ჩასდევდა რჯულამდისა.

შემოიკრებდა ერთისიტყვითა.

ზოგი ლექციასზეც შეაგვიანებდა, ვითომ და რაო, — ზრდილობის გამოო, თავაზიანობის გამოო, ხატრი რო ვერ გაუტეხო.

რექტორი შენიშნავდა, რო არა სჯეროდა ზრდილობაი იმათი, თავაზიანობაი იმათი რო არა სწამდა. შენიშნავდა. იპოლიტეს არაფერს შენიშნავდა, თუმცა იცოდა, პრაქტიკაზე იფენენ სტუდენტები, იქავე, უახლოეს სკოლაში, და იპოლიტეც რო იქ უნდა ბრძანებულყო. იცოდა.

გადასვლა თუ გადმოსვლა უჭირდა იპოლიტესა, — თუ გადავიდოდა, იქავე რჩებოდა, სამასწავლებლოში, სართულებზე სიარულიც უჭირდა, რჩებოდა და უკითხავდა მასწავლებლებსა; თუ გადმოვიდოდა, პო გადმოვიდოდა და ის იყო, მერე თვითონ იცოდა, შემოირტყამდა წრესა მსმენელთა, შემოირტყამდა, აღარ გაუშვებდა, — გადასვლა და გადმოსვლა უჭირდა, საბერეც ამითი დამ-

ნხოდა, მხოლოდ ამითი, მეტად არაფერი რითა, ასე, გარეგნულად მეტი არაფერითა.

შორსაც არ მიჰყავდა თავისი სტუდენტები. და აინუნშიაც არ ავლებდა თავკამოდებასა ნიკო ჯულაბიშვილისა თუ თედო ჟორდანიასი, არც რო მაშინა თვითონ რო თაოსნობდნენ, არც რო წესად რო შემიღეს, რო საჯალდებულად იქცა ფველასათვისა, — აინუნშიც არ ავლებდა შეთქი, და არც ამან შენიშნავდა რექტორი, არა, არა, არც ამასა და არც იმასა, მეტად მცირე დატვირთვა რო ჰქონოდა ბატონ იპოლიტესა, მეტად მცირეი, ნახევარი შტატის საათებსაც რო ვერ უფრიდა თავსა და მაინც მთელი შტატი ეჭირა, ეჭირა და ეჭირა ხელშეუხებლად, თუმცა რო გვიწვედა შემცირებაი შტატებისა, ანთუ გადანაცვლებაი კონტიგენტისა, როგორც რო იტყოდნენ, ანთუ გეგმები რო იცვლებოდა, ანთუ ვინ უწყის რაღა და რისთვისა, — გვიწვედა, გვიწვედა ერთისიტყვითა. იმას არაფერი შეეხებოდა. არც უნდა შეჰხებოდა რაღა თქმა უნდა სხვა საუკუნიდან მოდიოდა, სხვა საუკუნეში მოხვედრილიყო, დაე ეცხოვრა იმ საუკუნეთა თუ როგორც ენება, ისე ეცხოვრა.

მაგრამ ერთხელაცა...

ოღონდ მანამდე...

ერთიც ენახოთ და კათედრები შევიმჭიდროვდა, სხვა გზა არ იყო, შევიმჭიდროვდა.

რუსული ენისა და ლიტერატურის კათედრას შეუერთდა კათედრაი უცხო ენებისა და ლიტერატურისა. შეუერთდა თუ შეუერთეს.

კათედრის გამგე, რუსული ენისა და ლიტერატურისა, თბილისს მიიწვიეს, პუშკინის ინსტიტუტში, და მე შევრნი გამგედა გაერთიანებულ კათედრასა.

არც ეკითხებოდა თუ არც ენადლეუბოდა ესა თუ ამგვარები იპოლიტესა, როგორც არც შტატები ეკითხებოდა, არც საზოგადოებრივი დატვირთვანი, არც ხილის კრეფის გეგმაი საკოლმეურნეო ბაღებში თუ გეგმაი გორის სა-

ფეიქრო კომბინატისა, სტუდენტებს რო მიაშველებდნენ ხოლმე, არც ეკითხებოდა თუ არც ენაღვლებოდა, არც მოისმენდა, არც აპყვებოდა. დადუმებოდა, თუ ვინმე იქვე ამასაც იტყოდა, დადუღებოდა, დადუმებოდა, მოკუტავდა თვალთაცა, თითქოს ჩასთვლემდაო, ანთუ მართლაც რო ჩასთვლემდაო, ანთუ წავიდოდა თავის წარსულშიო.

ეგრეც დარჩებოდა, შემოეცლებოდნენ, თვლემდა თავისთვისა, აღარავინ შეაწუხებდა.

ისედაც არ შეაწუხებდნენ, არას ავალებდნენ, იყო ნებისადა, როგორც რო უნდა ყოფილიყო რალა თქმა უნდა.

მაგრამ მოვლენები არას დაგიდედა, არასა და არც არავისა, არც რო იპოლიტე ვართავავასა ცხადია და რალა თქმა უნდა.

და მოჰხდა ისე, სწორედ იმ ერთხელაცა, კათედრები რო გაგვიერთიანდა, შტატებიც უნდა შემცირებულყო, ანთუ კონტიგენტი უნდა გადადგილებულიყო, — ასე გვირჩევდნენ, ასე თქვითო, ასე სჯობიანო. გვირჩევდნენ და ვამბობდით, ოღონდ ეს მაინცა, ეს ორი მოვლენა დაემთხვა ერთმანეთსა, ერთად აშალა თუ ააფორიაქა ხალხი. ინსტიტუტი რალა თქმა უნდა.

შედარებით სიმშვიდე სუფევდა ჩვენთანა. მეტი დატვირთვა ვეღარ მოხერხდებოდა, მეტი შემცირება ვეღარ მოხერხდებოდა, ცხრილში ვერ ჩატევდნენ, სხვა თუ არაფერი, თედო ფორდანიასი არ იყო. თამარ ფხაკაძეც პოვერ ეტეოდა ცხრილში?.. მეტი ველარაფერი მოხერხდებოდა.

მხოლოდ იპოლიტე გახლდა თავისუფალი.

და იპოლიტეს არაფერი არ ეხებოდა. არ ეხებოდა, მაგრამ შეეხო, სხვა ხსნა არ იყო, შეეხო, შეეხო, შეეხო თვით იპოლიტესა.

თურმე შეეხო.

შე ჯერ არ ვიცოდი.

მიხმეს რექტორთანა.

თავიც არ აუღია რექტორსა. ჩაჰკირკიტებდა რალაცასა. იქავე უჯდა პრო-

რექტორიცა. ჩაჰკირკიტებდა ასწია, ანთუ დაეღუნა თავი, ისე დაეღუნა, რადგან რო ისიც ბრძანებას ელოდა, თვითონ რო ვერაფერს ვერ გადასწევტა და არცა ფიქრობდა რალა თქმა უნდა, არც არაფერს ჩაჰკირკიტებდა, ისე დაეღუნა თავი. შემხვდნენ ამგვარადა, თითქოს ვერც გაიგეს, რო ვიღაც შევიდა.

„ნახევარი შტატი!..“

ბრძანა რექტორმა. ასწია თავი რექტორმა. პრორექტორმაც ასწია. შემომანათეს ორი წვეილი თვალი. შემომანათეს.

„მე რა შემიძლიან?!..“

ეკითხე უმწყოდა. ველოდი. და ვიცოდი, რო არაფერი შემეძლო.

„გველგან ყველაფერი ამოვწურეთ. სხვა საშუალება აღარ გავვაჩინია...“

წარმოსთქვა უჩვეულო თანავარძობითა, რექტორმა ცხადია.

„აი ჰკითხე!..“

დაიმოწმა პრორექტორიცა, თავის დაქვეითაცა და სიტყვიერადაცა, გვინდოდა როგორმე შენ აცილებოდიო, არაფერი არ გამოიღისო.

ეგება კიდეე გადახედოთმეთქი, შევევედრე უიმედოდა.

გადავხედოთ თუ ეგრე გინდაო, დამთანხმდა რექტორი თითქოსაო, თუ გინდა ერთადაც გადავხედოთო, მაგრამ ტყუილია დროს დაკარგვაო, ისეე და ისეე შენთან მოვალთო.

მე რა ვქნამეთქი, წარმოეთქვი მერე მთლად უმწყოდა, მაგრამ ცხადია ვერას ვიხსნიდი უმწეობითა, ვერას ვიხსნიდი.

„გადეღვანე... კო!.. კო!.. კო!.. იპოლიტე კო!.. ნახევარ შტატზე...“

მოსჭრა რექტორმა, როგორღაც ისე გულმოსულადა, დაძაბულადა ისე, იმეგვარადა, თვითონაც რო უჭირდა, დიდხანს რო ფეიქრა და ვერაფერი მოეფიქრებინა მეტი.

„შეუძლებელია!..“

აღმომხდა ისე, დაუფიქრებლად, დაფიქრებაც რო არ უნდოდა.

„სხვა რა შეგიძლიან?!..“

იკითხა რექტორმა, თითქოს იმედი-
თა, თითქოს ელის ჩემგანაო.

„არაფერი...“

მიუვკე ცხადია.

არ მოეწონა რაღა თქმა უნდა:

„პო... ეს ყველაზე ადვილია: მე არა-
ფერი... მე დამეხსენით... ადვილია, მე-
რე ჩვენ რა ვქნათ?!“

„მოგეხსენებათ უნეშოდაცა, კათედრა
როგორი დატვირთულია...“

„იპოლიტე?!“

მომიჭრა რექტორმა.

„ერთ კაცს ვაიტანს, კათედრა ისე
დატვირთულია.“

თითქოს რაღაცას მოვეკვიდეო.

„ველარ ვაიტანა, ველარა, მორჩა!..“

ვაიქნია ხელი რექტორმა.

ველარაო, პრორექტორმა თავი გაიქ-
ნა.

„მოგეხსენებათ, რო...“

თითქოს კიდევ რაღაცა ვცადეო.

„არაფერიც არ მომეხსენება. მე არა-
ფერი არ ვიცი: მომეცი ნახევარი შტა-
ტი. ისედაც დავაგვიანეთ. რეკავენ და
რეკავენ სამინისტროდან. ნახევარი
შტატი!..“

„რეკავენ...“

დაუდასტურა პრორექტორმაცა რაღა
თქმა უნდა დაუდასტურა, ანთუ რაღა
დასტური უნდოდა.

„ინებეთ!..“ მოვახსენე, „მე ვადამიყ-
ვანეთ ნახევარ შტატზე... მე!..“

მოვახსენე და გაუუსწორე თვალი,
მეტი რო აღარ გველაპარაკა ამაზედა,
რო არა ჰკონებოდათ, თითქოს რო
ვითომ ისე ვამბობდი, გამომწვევდა თუ
სადაოდა.

„გადიფვანე!..“

უბრძანა პრორექტორსა, რექტორმა
ცხადია,

„თავისუფალი ხარი!..“

მე ასე მიბრძანა, თითქოს გულმო-
ხულმა მოლოდინელი შედეგის გამო.

ხოლო იპოლიტე იჯდა ისევე საპრო-
ფესოროში და უკითხავდა გარსემო-
ხვეულთა პორტრეტსა კორნელი კეკე-
ლიძისასა, თავისეულსა რაღა თქმა
უნდა: ახლა რო ჰხედავს მხცით აგრე-

რიგად დამშვენებულსაო, ასედაც ხელდათ
ახალგაზრდობაშიო...

შესჯავახებოდნენ ერთმანეთსა ახ-
ალგაზრდობაში, — ცოტა არ იყოს სა-
ტირული პორტრეტი გახლდა.

მოიგონებდა. კითხულობდა.

იქ გახლდა, იქა, ეს აქაურიც აღარ
გაუგია. არც უნდოდა. არც ეკითხებო-
დამეთქი.

და მაინც კონფლიქტს ვერ გადაურ-
ჩი, — იპოლიტესთანა, სწორედაც რო
იპოლიტესთანა; თუმცა კონფლიქტი რო
სხვამ დაიწყო, მე იპოლიტეს ვერ გადა-
ვურჩი. ის სხვა გვარად ედელშტიინი
გახლდა, — ედელშტიინის ქალი. რუს-
ულ ლიტერატურასა კითხულობდა. თა-
ვიდან ბოლომდისა კითხულობდა, რო-
გორც სხვანინა პატარა ინსტიტუტებში,
პატარა ფაკულტეტებზედა. ესეც არ
მოსწონდა, ალბათამეთქი, მიხეილ კან-
კავამ რო ასე განმიცხადა: ჩამიბარებია
კათედრა და ედელშტიინიო. შეერთებ-
მდე ის განაგებდა რუსულ კათედრასა
და ასეც ვადმომცა: კათედრა და ედელ-
შტიინიო, — ორად ვადმომცა, ორ სიმ-
ძიმედა, ორ სიძნელედა.

თავისებური ქალიც გამოდგა.

თუმცა ეგებ რო არც თავისებური,
ანთუ არც განსჯი, თუ ვიტყვი, მხოლ-
ოდ მაგალითებსა. აი თუნდაც რო:

ერთხელ რო იყო, ყველა რო ჩართეს
პრესის გაერცელების გეგმაში, კათედ-
რებიც ჩართეს რაღა თქმა უნდა. ააგდო
ქვია ედელშტიინმა, ააგდო და შუშუვი-
რა თავი, არ გამოვიწერო. და შე-ვიწ-
ერდი იმის მაგივრადაც, ისედაც მეტს
რო გვაველებდნენ უფრო მეტსა თუ
ცოტა მეტსა, კათედრის წევრთა რაო-
დენობაზე მეტსა. იმასაც მე ვიწერდი.
და რო მოიხსნიდა ფოსტალიონი გაჭე-
ქილ ჩანთასა, რო მომითვლიდა თითო
გაზეთსა თუ თითო ფურნალსა რამდე-
ნიმე ეკზემპლარადა, თანაც თვალსაც
არ მამორებდა, გამომცდელს თვალსა,
ნეტავი რად უნდა ამდენ-ამდენიო, ნე-
ტავი რა ჰქუის პატრონი ბრძანებდაო.

ედელშტიინსაც ასევე უკვირდა: გა-
ზეთები ჰო ბიბლიოთეკაშია, იქვე წავი-

კითხავ, სახლში რაღა ეშმაკად მინდაო..

ვერ ედავებოდი, ვერა, ვერა, ვერ ედავებოდი. სხვა მოტივი არ არსებობდა იმისთვის. თუ რაშეს ეტყოდი, ხარხარებდა მწვავედა, მწარედა, დამცინავადა, ანთუ ენება ძარღვებს აიშლიდა, ვერა, ვერაფრით ვერ მოუვლიდი, ვერ ედავებოდი ერთისიტყვიათ.

თვითონა დაობდა გაუთავებლად: ჩვენ აი რა დღეში ვართ, ზოგი ისე თავისუფალიაო. ეს ზოგი იპოლიტე გახლდა, იპოლიტე ამოელო თვალში, იპოლიტეს დატვირთვა არ მოსწონდა.

არც ის ეკითხებოდა იპოლიტესა, არც იმისი ბუზღუნი და დავაო, ანთუ არც აღწევდა ამის ყურამდისა.

სხვებს ეკითხებოდათ. ის სხვები ქალები გახლდნენ, სულ ქალები, ახლარო ასე მომრავლდნენ ყველგანა და ყველა კათედრაზედა, მაშინ მხოლოდ ენებს ეტანებოდნენ, ენების კათედრები დაუპყროთ. ეკითხებოდათ და ასდევდნენ. ბუზღუნებდნენ. წაქეზდებოდნენ, ანთუ რაღა წაქეზება უნდოდა ედელშტეინის ქალსა?!

ვერ უხსენებდი, წლოვანიო, — იპოლიტეიო რაღა თქმა უნდა.

ჩემზე მეტი შეუძლიანო, ამტიციებდა ედელშტეინი, იმდენსა წერს, იმდენსა ლაპარაკობს, ლაპარაკობს და ლაპარაკობსო, ლექცია ვითომ სხვა რაღა არისო.

ვერ ედავებოდი. ვეღარც სხვებს რო ვერ ედავებოდი, შეთქმულიყვენ, დარაზმულიყვენ, ანთუ მოშლილიყვენ, აღრენილიყვენ, საქმე უწყვედობდა.

რაღაცა უნდა მეღონა ცხადია, სიტყვა არა სჭრიდა, აღარა სჭრიდა.

და თითქოს რაღაცა აღმოვაჩინე, ვიფიქრე, აქამდის სად ვიყავიმეთქი, — ვითომ მეც რაღაცა აღმოვაჩინე: ჩამოვაჭერი ერთი კურსი ედელშტეინისა, — გაჩუმდესმეთქი, — და დავაწერე იპოლიტესა, — ცოტა საათები მოემატება, ხელის ჩასაჭიდი მექნებამეთქი.

თითქოს გამოსავალი ვიპოვე.

დავაშოშმინე თითქოსაღო დავაშოშმინე პირველი კონფლიქტი შემომატებულ კათედრაზედა.

იპოლიტე იქ არა ბრძანდებოდა იმხანადა. დეკანი მაჩქარებდა, საათები ცდებო. განა თუ მარტო ბუზღუნებდა ედელშტეინი, აღარც შედიოდა იმ ერთ კურსზედა. ჩამომატყერიო. ზედმეტიო. აღარ შედიოდა. შევიდოდა ბოლოსდაბოლოსა, გატყდებოდა თუ მოიოხებდა გულსა, რაც იქნებოდა, შევიდოდა ბოლოსდაბოლოსა, მაგრამ თუ მაინც მოვაჭიდე ჩემს აღმოჩენასა: იპოლიტე პირუსულ ლიტერატურას ასწავლიდა თავისი დღენი, რუსეთშიაცა, ჩვენშიაცა, ინსტიტუტშიც მეთოდიკასა კითხულობდა რუსული ლიტერატურის სწავლებისა, ბარემ ერთ კურსსაც წაუკითხავდა, ორსაათიან კურსსა კვირაში, დიდად სამწელი ირ იქნებოდა, უცხო და უცნაური არ იქნებოდა. მისწრება იქნებოდა ყოველის მხრითა. როგორც რო მეგონა და როგორც რო ვმსჯელობდი.

და შევხაროდი ჩემს აღმოჩენასა.

დეკანმაც მომიოწნა, ჩაბუჭდა ცხრილშია, იპოლიტე ჩაბუჭდა.

და გაცხარდა ბატონი იპოლიტეი, გაცხარდა.

გაცხარდა. გრგვინავდა.

მატარებელშივე გრგვინავდაო. ვგრევე გრგვინეთ ამოვიდაო. ეტყობა, ეახლნენ, შინ ეახლნენ და ისე მოახსენეს, ტელეფონიც რო არ ედგა იპოლიტესა, შინ ეახლნენ, ისე გაისარჯნენ, ისეთი გულშემატკივარნი ჰყოლოდა. რას იზამი.. ეგებ უკეთ წარმართულიყო ყველაფერი, რო არა ხლებოდნენ გულშემატკივარნიო, მაგრამ რაღა დროსაო, რო გრგვინავდა ბატონი იპოლიტეი, უკვე ინსტიტუტში, საპროფესოროში გრგვინავდა და თავს ეხვივნენ მოსეირენი თუ გულშემატკივარნი.

კათედრამდის არც მოვიდოდა.

არცა სცნობდა რო არაფერსა და არც რო კათედრასა, — არ მოვიდოდა რაღა თქმა უნდა, — მე ვეახელი:



არ შეგონა თუ გუენაურებოდა ამეთქი. რახან არა გხურს, თავისუფალი ბრძანდებისმეთქი.

და დაცხრა იპოლიტი, მაშინვე დაცხრა, მაშინვე პორფელს წაავლო ხელი, მოდი, უნდა წავიკითხოო, ახალი დაეწერო.

მითავდა ამითა.

ჩაიარა ისე უჩრდილოდა და უჩინჯოდა. ჩვენ ისევ მეგობრებად დაერჩით. მხოლოდ ესაა, რო აღარ დაიბრუნა თავისი საათები ედელშტიინის ასულმა. სხვასაც ვერაეის ველარ შევებდავდი რაღა თქმა უნდა და შევე მოძიხდა ამ კურსის წაკითხვაცა. ჯერ ჩემი კურსები: ლიტერატურა საზღვარგარეთისა, დასაბამიდან დღევანდლამდისა, და მერე ესეცა, დამატებითა, რო არც ითვლებოდა ჩემს სპეციალობადა, როგორც რო ჯილდოი დიდებული აღმოჩენისათვისა, — შეკუთვნოდა რაღა თქმა უნდა, შეკუთვნოდა!

ჯილდო ჯილდოა რაღა თქმა უნდა.

შეკუთვნოდა და კიდევაც მებოძა.

ოღონდ თურმე ჯერ ხადა ხარო.

სრული დატვირთვა პო ისედაც შეპრჩა, დამემატა ახალი კურსიცა, შტატში ნახევარში ვითვლებოდი, ხელფასსა ვდებულობდი ნახევრისასა, ეს პო ცხადია და რაღა თქმა უნდა, მაგრამ და თურმე აღარც კათედრის გამგეობის გასამრჯელო მერგებოდა, აბა, აღარც მერგებოდა.

ერთბაშად პო ვერ ვაიგებს კაცი ყველაფერსა, — ვერა ცხადია, თანდათანობით თუ ვაიგებს და, რაც იმჟამად რო ვაიგებ, რო არც ვამეგო, ის მერჩინება. ანთუ ვამეგო, ანთუ არაო, სულერთი გახლდა რაღა თქმა უნდა. ვაგებით მაინც ის ვაიგებ, რო თუ ითვლებოდი ნახევარ შტატში, შემთავსებელი გერქვა, — შემთავსებელი, რაც რო ნიშნავდა, სხვაგან რო გქონდა ძირითადი შტატი, ძირითად ხელფასს რო იქა. ლებულობდა ყველა წესისა და კანონის მიხედვითა. შეთავსება მეთვლებოდა დამატებით გასამრჯელოდა. ამას მიიღებდი. ოღონდ კათედრის გამგეობაც თუ დაგვეა-

ლებოდა შემთავსებელსა, — ეს განსმარდა. ჯელო აღარ ვეკუთვნოდა, შემთავსებელს ეს არ ვეკუთვნოდა. ნახევარ შტატში შემთავსებელი გერქვა. ეს ასე გახლდა, ასე დამტკიცებულიყო. რა ვუფოთ თუ მე არსად ვითვლებოდი ძირითად შტატში, სხვაგან არსადა, რო ძირითადი ეს გახლდა ჩემთვისა, რა ვუფოთ მერეო, — ეს არ ეწერა დებულეებაში, არსად არ ეწერა, არც რო შენიშვნებში, არც რო განმარტებებში. არ ეწერა. თავისით ვერაეინ ვერაფერს დამატებდა, მითუმეტეს ჩვენი რექტორი, ვერა ცხადია.

დებულება არ ითვალისწინებდა არავითარ გამოწაკლისსა, ალბათ რო ამგვარი არც იქნებოდა. მერე დამჭირდა, ბევრჯერ გადავქექე წესები თუ დებულეებანი, დანართები თუ განმარტებანი, ბრძანებანი თუ დადგენილებანი, ყოველგვარი შენიშვნებიანადა, ყოველგვარი ცვლილებებიანადა, — ამას არაფერი ეხებოდა, ეს იდო ისე ხელუხლებლად, შეურყევლად. დამჭირდა ცხადია სხვარამისათვისა. ამან ჩაიარა მიმავიწყდა.

იპოლიტი ისევე წერდა, წერდა და ჩამოქონდა ახალახალი მოგონებანი, კრიტიკული წერილები ახალახალი, ნარკვევები ახალახალი, წერდა და წერდა, გამოცოცხლდა ისე, ე.წ. მოწინავე კრიტიკოსებსაც რო დაასწრებდა თანამედროვე ნაწარმოებთა შეფასებასაცა. ისე გამოცოცხლდა.

ერთი მოგონება მეც დაუბეჭდე „მერანში“. სხვასაცა მპირდებოდა. ოღონდ „მერანი“ ველარ ვაგრძელდა, ისედაც რო ვერ გამოდიოდა პერიოდულად.

ჩვენ ისევ მეგობრებად დაერჩითმეთქი, აქაცა, იქაცა, ანთუ ვორშიაცა და თბილისშიაცა, მემუქრებოდა, ველქეულშიაც უნდა დაგვარბიო.

XII

ველქეულისა რა მოგახსენო, ოღონდ თბილისში ერთხელ „ბურუსის“ განხილვაზეც გამოცხადდა, რო არაეის მი-

უწვევია, ისე გამოცხადდა, გამოცხადდა და სიტყვატ მოითხოვა, სიტყვატ მოითხოვა და აღიმართა ტრიბუნაზედა, რო აღარავის ახსოვდა თბილისშია, რო აღარა მონაწილეობდა დიდიხანია ასეთ განხილვებსა თუ პაექრობებზედა, არა, აღარა, და მაინცდამაინც „ბურუსისათვის“ გამოიღო თავი, „ბურუსში“ გამოიჩინა თავი.

„ბურუსს“ ჰო თავისი ბურუსი დაეხვია თავის დროზედა და რატომღაც ეს აკადემიიდან აიშალა, ეს ბურუსი „ბურუსის“ ვარშემო, თუმცა უფრო სწორად რო ითქვას — ლიტერატურის ინსტიტუტიდანა, ოღონდ ინსტიტუტიც იქვე ბინადრობდა, იმხანადა, ძერჟინსკის ქუჩაზედა, სადაც რო ბინადრობდა პრეზიდენტიცა აკადემიისა, სხვა ინსტიტუტებიც იქვევე ბინადრობდა, და ყველაფერს აკადემია ერქვა.

სხდომათა დარბაზიც ერთი ჰქონდათ, ვეება დარბაზი. ანთუ რამხელაც უნდა ყოფილიყო, აქ მხოლოდ იმისი აღნიშვნა მინდა, იქვე, კარებშივე რო ჩამჯდარიყო იპოლიტე, ყოველი ნაბიჯის გადგმა რო უჭირდა, იქვე ჩამჯდარიყო. მერეც ძლივს წამოდგა, ნელა ჩაიარა დარბაზი, თავმჯდომარემ რო გამოაცხადა, კიდევ ჰო არავისა სურს აზრის გამოთქმაო; მე მსურსო, გაისმა კართანა, ბოლოშია. ნელა წამოდგა და ნელა ჩაიარა, ტანი რო წინ ეხილებოდა, თითქოს რო ხელიც უნდა მიამუკლონო. მაგრამ არაო, მიშველება ჯერ არა სჭირდებოდა, ჯერკიდევ მაგრობდა. მაგრობდა.

და მიატანა ტრიბუნდამდისა, ეგება რო გულიც გაუწყალდა თავმჯდომარესა, მიატანა ბოლოსდაბოლოსა. მიატანა. ავიდა. მოერგო ტრიბუნასა. მოერგო თუ აღიმართა, — აღიმართა: ტრიბუნა ქვევით დარჩა, ის აღიმართა. აღიმართა და მოიმართა. მერე აღარაფერი უჭირდა, ენა ბასრი ჰქონდა, ხმაი მჭაბუი თუ გაცხარდებოდა, მუხლის სისუსტე არ გადასცემოდა ხმასა თუ ენასა, არა, არაფერს არ გადასცემოდა, მუხლი მუხლადა, ენა ენადა, მოიმართა, ილაპარაკა

კა ერთისიტყვითა. დაიწყო ამითა და ლამთავრა ამითა; ავტორის დონისადა ისიც მიმანია, რო მოკხსნა ცენზორი თავის თავშიო.

როგორ თუ მოკხსნაო, — ამას გამოეღო თავმჯდომარეი თავის საბოლოო სიტყვაშია, — როგორ თუ მოკხსნაო.

სიტყვა უჭირდა თავმჯდომარესა: სხდომას რო გახსნილად ვაცხადებო, ისიც დაწერილი უნდა წაეკითხა, სხდომას რო დახურულად ვაცხადებო, ისიც დაწერილი უნდა წაეკითხა, ეს ეთელეზოდა შესავალ სიტყვადა, შეჯამებადაც ეს ეთელეზოდა, მაგრამ იპოლიტეს მაინც გამოეღო, რატომღაც გამოეღო, — როგორთუ მოკხსნაო.

მოგახსენებთო, — და აიწია იპოლიტეი, იქვე რო ჩამჯდარიყო, ტრიბუნასთანა ჩამჯდარიყო და აიწია, ოღონდ ადგომა ვედარ მოაწრო, რო განაცხადა თავმჯდომარემა: სხდომას დახურულად ვაცხადებო. — ცივებულად განაცხადა.

თავმჯდომარეობდა ის პიროვნებაი, პიროვნებაი, იპოლიტე რო მკვდარი ეგონა. ლიტერატურის ინსტიტუტს განაგებდა იმჟამადა, მეცნიერებათა აკადემიის ლიტერატურის ინსტიტუტსა.

მკვდარი ჰგონებიაო, იცინოდა ალექსანდრე ლლონტი; იოსებ მეგრელიმე ბურდლუნებდა, მკვდარი ჰგონებიაო, ოღონდ ეს მაშინა, რო აღარ დაიბეჭდა გორის გაზეთში იპოლიტეს წერილი და რედაქტორი იხვეწებოდა, ნულარ მომავგონებთო; აღარც მოუგონებიათ. აღარც ეცალათ. იოსებსა და ალექსანდრესა, ეს ბევრად ადრე „ბურუსამდისა“ რაღა თქმა უნდა. ბევრად ადრე.

აღარ ეცალათ. გართულიყვნენ ნიკო მართა. მარის კაბინეტი მოეწყოთ გორის ინსტიტუტში, მოეწყოთ და აესებდნენ, აფართოებდნენ; მართავდნენ სემინარებსა ნიკო მარის ჰიპოტეზებისა თუ პრობლემების ვარშემო, კონფერენციებსა მართავდნენ; გულში ჩადლოთ და იქადიდნენ კიდევაცა, მარის მომღვრების ბასტიონი იქნება გორის ინსტიტუტიო.

რექტორის „ბლოკნოტში“, ცნობილ „ბლოკნოტში“ ცალკე თავი რო ეთმო-ბოდა კაბინეტ-ლაბორატორიების მოწყობასა, ეს კიდევ უფრო ცალკე გამოყო, ცალკე გაიტანა და ვისმენდით და ვისმენდით: რო შეიქმნა... რო პირველია რესპუბლიკაში... რო ერთადერთია რესპუბლიკაში... რო პირველია ამიერკავკასიაში... რო ერთადერთია ამიერკავკასიაში... კავკასიაში... რო პირველია საბჭოთა კავშირში... და რო... ვისმენდით და ვისმენდით.

ვისმენდით ყველანიერ კრებაზედა, ყველანიერ კრებაზედა, რახან რო გამოვიდოდა რექტორი, რახან ილაპარაკებდა, რაზედაც არ უნდა ყოფილიყო, მოადუნებდა ამასაცა უსათუოდა, მოადუნებდა, ეამყებოდა და მოადუნებდა. მალე რო ალბათ კიდევ დაუდგენდენ თუ გაავონებდენ, მსოფლიოში პირველიაო, და იტრაბახებდა, იტრაბახებდა. თუმცა მე ტრაბახი არ მიყვარსო, მაგრამაო, ვართო და არა ვთქვითო.

მაგრამ იქამდის ვეღარ მივალწიეთ, მოუსწრო ცნობილმა დისკუსიაში საერთოეცნიერო საკითხებზედა; მოუსწრო და განრისხდა რექტორი, შეგვაცდინებსო, განრისხდა, გაგულისდა გამოქვინებდაო, ქირქილებდენ მარისტების მოწინააღმდეგენი. ანთუ რაც იყო, გაასწრეს ორთავენი: ალექსანდრემაც გაასწრო, იოსებმაც გაასწრო. გადაიხვეწენ ცხინვალშია. იქურ ინსტიტუტს შეაფარეს თავი. მერე თბილისში ამოკვეეს თავი. მერე ცნობილია ღვაწლი ამათი საერთოეცნიერო თუ სალიტერატურო ასპარეზზედა. რაც შეეხება გორის ინსტიტუტს: იოსები კიდევ მიუბრუნდა, ე.წ. შემთავსებლად, ზან ე.წ. საათობრივადაცა. ის ვნებანი დაცხრა და გული მოიბრუნა რექტორმა, იოსებმაც მოიბრუნა გული, ალექსანდრემ თითქოს აღარაო, ანთუ დრო რო აღარა ჰქონდა, ანთუ აღარ ემეტებოდა თავი გორის გზების სათელავად, — ალბათ რო აღარ ემეტებოდა თავი.

იპოლიტეს მაინცა ჰხვდებოდნენ, მერე, იპოლიტეს რო აღარ დაბრძანდ-

ბოდა გორსა. აღარ დაბრძანდებოდა აღარც შეეძლო. ვეღარა ჰხვდებოდა თვალმა უმტყუნა. მეტი არაფერიო. ისევე უჭრიდა გონებაი, ისევე ლაჟღავნებდა. და იდგა ეგრე ყოფილი ქართული კლუბის წინა, — იმ მიდამოზედა დაახლოებითა, — იდგა და იგონებდა წინადროინდელ დისკუსიებსა, ქართული კლუბის დისკუსიებსა, თუ მარტო რჩებოდა, გატყურნილიყო და იგონებდა თავისთვისა, თავისთვის იგონებდა.

შემოეხვეოდნენ ხანთუ ნაცნობები, იგონებდა ხმამაღლაცა, იგონებდა ილიას დროსა, ისევე რო იქ გახლდა, ილიას დროშია.

თავსწაადგებოდნენ ალექსანდრეცა და იოსებიცა. ჩათავებდნენ რუსთაველის გამზირსა, უსათუოდ ჩათავებდნენ, იპოლიტე რო იქ გუვლებოდა.

და ბურტყუნებდა იოსები, მკედარი რო ევონეო.

და იცინოდა იპოლიტეო: ცოტაცა და ამოვიღებ საუკუნის გასაღებსაო.

ასე იცოდა, თანაც რო ჯიბეში ჩაიყოფდა ხელსა, თითქოს რო მართლაც გასაღები უნდა ამოიღოსო, რაღაც უცნაური გასაღებიო, მაგრამ რო გულისხმობდა მხოლოდ იმასა, ახ წელიწადს რო უკაკუნებდა და მიუკაკუნა კიდევაცა.

ჩემდენი იცოცხლოს იმანაცაო, კუჭკუჭებდა, ჩემთავად ასე მიხურებიაო, თუ მეტი ნებავეს, თვითონ იცოდესო.

იმანაცაო,

იმანაცაო,

ჩამოსთელიდა, ვინც რო არ მოსწონდა, იმანაცაო, აღარავისზე აღარ მოსდიოდა გული, აღარავისზე, იდგა გასაღებითა საუკუნის წინა...

ანთუ ითქმებოდა:

საუკუნის ბოლოში იდგა, თავისი საუკუნისა, რო ჩაეკეტა, — უფრო ეს ითქმოდა.

რაც შეეხება იმ შემთხვევასა, ნახევარ შტატზე რო გადამიყვანეს, — წლის ბოლომდისაც აღარ ვაგრძელებულა.

მოულოდნელად, ფული რო მეტი მომალწოდა მოღარებმა, ანთუ სრულიად რო

მომაწოდა ხელფასი, უკან დაუბრუნე, შეცდომა უნდა იყოსმეთქი.

ბულალტერიაში გაარკვიეო.

გავარკვიე. ბრძანება გადმომიღო ბულალტერიაში, მოელ შტატში აღდგენის ბრძანებაი. მოვითხოვეთო, დავეთანხმდნენო, ამისხნა რექტორმა. მეტი აღარაფერი უთქვამს, ასეთ რაღა უნდა ეთქვა მეტი?! მეც ისე ვამბობ, რახან ის წამომცდა, ასე და ასე მოხდამეთქი, ამასაც დაეძენ, ასე ამკვარად გამოსწორდამეთქი, ალბათ რო წუთითაც არ დაეინწყებია რექტორსა, ალბათ რო ელოდა სათანადო შესაძლებლობასა, ამასაც დაეძენ.

ოღონდ მთავარი მაინც სხვა რამეა:

ეს არ მოხედხდებოდა უიმისოდა, ურექტოროდა რაღა თქმა უნდა, და წუთითაც არ შეეყომანებულა, ერთი წუთითაც, ეს არის მთავარი.

ისეც მეგონა, თითქოს ელოდა კარგახანია და თითქოს მევე დაეავიანე, ესეც მეგონა, ისე დამთანხმდა, ისე უცება, უმაღვე, სწრაფადა, უყოყმანოდა.

კრებულზე ვამბობ, მხატვრულ კრებულზედა, იმ ჩვენს „ციხკარზე“ მერე „მერანა“ რო დაერქვა და ახლა „ლიახვად“ რო მოდის, იმაზე ვამბობ.

ეს მაშინ ოცნება თუ იქნებოდა, ოცბაც გახლდა. რაღა თქმა უნდა: კრებული გორში, სალიტერატურო კრებული გორში, როცა თვით თბილისში ერთი ჟურნალი და ერთი გაზეთილა შემორჩენილიყო, სალიტერატურო გაზეთი და სალიტერატურო ჟურნალი ცხადია, თითოთითოდა შემორჩენილიყო.

ომი დამთავრდა.

წლები გადიოდა.

საჭიროება იგრძნობოდა ერთი ახალი ჟურნალისაცა, მეტად ამკარად იგრძნობოდა. ახალგაზრდები გრძნობდნენ უფრო რაღა თქმა უნდა, გრძნობდნენ და გამოსთქვამდნენ; კრებას არ გაუშვებდნენ, სხდომას არ გაუშვებდნენ, მოითხოვდნენ, ასაბუთებდნენ. და უცნაურია, არ ასდევდნენ მწერალთა კავშირში, თვით მწერალთა კავშირში არ ასდევდნენ, მხარს არ გვიჭერდნენ, გაგონებაც

აღარ უნდოდათ „ჩვენი ფიქრების“ დედუე ახსოვდათ, რაღაც უნდა მოსწონდათ თავის დროზედა. ახსოვდათ და საგრძნობიც ვახლდა, თუ არა ომი, გაიმართებოდა ცხარე ბრძოლები სალიტერატურო ასპარეზზედა. გაიმართებოდა. დაწყებული კიდეცა. თუშეცა არაფერი ისეთი არ გამოუცხადებიათ ახალგაზრდა მწერლებსა, მანიფესტებით არ გამოსულან, აურზაური არ აუტეხიათ, თავზიანად შემოდდიოდნენ, თავზიანადა და ტრადიციული მოტივებითა, — ლირიკული მოტივითა, პატრიოტიკული მოტივითა. და სწორედ აქ იყო რაღაც ისეთი, რაც არ მოუწონა მაშინდელ კრიტიკასა, აქ იყო, აქა. გადახედვენ ლიტერატურის ისტორიკოსები, შეისწავლიან, უფრო ბეჯითად გამოიკვევენ. აქ მხოლოდ ისაა თუ იმას აღვნიშნავ, რო აღარ უნდოდათ გაგონებაი „ჩვენი თაობისა“, სწორედ კრიტიკოსებს რო აღარ უნდოდათ და მაინც რო აღსდგა ახალი ჟურნალი, სწორედ კრიტიკოსები დაესხნენ თავსა. ოღონდ ეს ცოტა ადრე მომივიდა, — რო არ უნდოდათ გაგონებაი „ჩვენი თაობისა“, იმას ვამბობდი.

თუ უნდა შეიქმნას ახალი ჟურნალი, სახელი მაინც სხვა უნდა ერქვასო.

ერქვასო, თანხმდებოდნენ, რაც უნდა ერქვასო.

მაინც უარობდნენ, ასაბუთებდნენ: „მნათობსაც“ ვერ ვავსებთო.

ვერ შეავსებდნენ, ზოგჯერ ისეთი ხალხი განაგებდა „მნათობსა“, ვერ შეავსებდნენ; ჟურნალი უფრო რთული მოვლენაა, ვიდრე ზოგ პოეტს რო წარმოუდგენია რაღა თქმა უნდა, — არც ტრამპლინია კარიერის გზაზედა, არც მალაშო პატივმოყვარეობისა, არა ცხადია, მაგრამ სიტყვამ ამიყოლია. გორის კრებულზე ელაპარაკობდი... და ალბათ სწორედაც ამიყოლია: ასეთ ყოფაში გორის კრებული სასაცილოდაც არ ეყოფოდა. ესეც მოგერიების საშუალება თუ იყო, სასაცილოდაც რო არ ეყოფოდათ, — ალბათ ცხადია, რო ეშინოდით ყველასი, გველა ახალი სახელისა, რო



თავს ესხმოდნენ ყველასა, რო არც გა-
არჩევდნენ, ნიჭიერია თუ უნიჭო,
სულერთია მუშტებს უღერებდნენ ყვე-
ლასა, ცოფავდნენ ყველასა, ვინც უნდა
ყოფილიყო, როგორიც უნდა ყოფილი-
ყო, ხოლო თუ ნიჭს თუ შეატყობდნენ
მართლა ვინმესა, ვაი იმისი ბრალიცაო.
ამას ასე უეცრად შევნიშნავ, მაგალი-
თები უნდა ცხადია, აღიწერება მაგალი-
თებიცა, გამოძხურდება რაღა თქმა
უნდა, არც შეიძლება რო დაიფაროს,
რა ცხადია და რაღა თქმა უნდა. ეს
ყო ჯგუფი, რატომღაც მძვინვარე თუ
გაავებული ჯგუფი, რო აღარავითარი
კვალი აღარ დარჩენია ჩვენს ლიტერა-
ტურაში, მაგრამ როგორღაც მამინ უფ-
ლება ჰქონდათ, გადაეწყვიტათ ბედი
სხვებისა, და სწვევდნენ ავადა, ცუდ-
ადა სწვევდნენ. რაც უნდა იყოს, მწიფ-
დებოდა დაარსება ახალი ჟურნალისა.
მოვლენებს თავისი გზა და კვალი აქვს,
სიავე ყოველთვის ვეღარა სჭრისო.
მწიფდებოდა ახალი ჟურნალი, ახალ-
გაზრდებისა, ჟურნალი, თუმცა რო უკ-
ვე ეთხოვებოდნენ ახალგაზრდობასა,
ვინც რო დავობდნენ ამისათვისა, მაგრ-
ამ ახალგაზრდობას ახალგაზრდობა
მოსყვებოდა, ახალგაზრდობა რო მარა-
დიული გახლდა. ახლოვდებოდა ახალი
ჟურნალი. ეს თბილისშიო რაღა თქმა
უნდა, გორისათვის ჰო სასაცილოდაც
არ უყოფოდამეთქი.

და ისევ წრეებითა თუ წრეობანობით
ვერთობოდით გორშია.

იმართებოდა ხალიტერატურო ხაღა-
მოები, ზმირადა და თანმიყოლებითა.
ვიწვევდი მწერლებსა თბილისიდანა.
გვეწუოდნენ დაუზარებლად. ჩამოდი-
ოდნენ განხილვებსა თუ დისკუსიებზე-
და. თითქოს რო დაბრუნებაც აღარ უნ-
დოდათ. აქ უფრო ნამდვილი ხალიტე-
რატურო ცხოვრებაა, ვიდრე თბილის-
შიო, — გვაქვებდნენ თუ რა იყო სულ-
ერთია, ამბობდნენ, იმეორებდნენ, აზრი
იქმნებოდა, და ესეც არ იყოს, ახლა
რო ვიკონებ, არ მინდა ეკვით რო მო-
ვიკონო, არ მინდა ეკვი რო შემეპაროს
ვინმე იმათგანის გულწრფელობაშია.

იგულისხმებოდა წაქეზებაცა, აღებოდა
თუ რაღა თქმა უნდა. ოღონდ რაღა
რაც უნდა იყოს, ეს მაინც ლიტერატუ-
რის მოყვარულთა ღინისძიებანი გახლ-
და, ანთუ ხელსუწყობა ლიტერატუ-
რით გატაცებასა გორში, სხვას მეტს
ვერაფერს შეეწყოდა. ეს ცოტა არ იყო
რაღა თქმა უნდა, ოღონდ გააჩნია თუ
ვინ რასა ფიქრობდა, — მე ჩემი მანუ-
ხებდა: კრებული უნდოდა გორსა, მხა-
ტვრული კრებული, აღმანახი, ჟურნა-
ლადაც რო უნდა გადაქვეულიყო მერე
და მერე რაღა თქმა უნდა, მერე და მე-
რე, ჯერ რო თბილისშიც ვერ აღდგენი-
ლიყო მეორე ჟურნალი, მერე და მე-
რე, თანდათანობითა. თბილისს საქმეს
მოვევლებოდა. მე აქ მანუხებდა. მანუ-
ხებდა. გამოსავალი ვერ მიმეკვლია.

მანუხებდა.

და ერთიც ვნახოთ ამეჩეჩა „თეზისე-
ბი“ —

„თეზისები“:

ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლე-
ბელთა სამეცნიერო კონფერენციის
„თეზისები“,

სტუდენტთა სამეცნიერო კომფერენ-
ციის „თეზისები“, —

ამეჩეჩა და მენხირებოდა თვალშია,
ხადაც არ უნდა ვყოფილიყავი, რა
ღროც არ უნდა ყოფილიყო.

წელიწადში თითოჯერ იმართებოდა
ის კონფერენციები. თითოჯერ „თეზის-
ებიც“ გამოდიოდა, — პატარა, პატარა
კრებულები „თეზისებისა“, სტამბური
წესითა რაღა თქმა უნდა.

ამეჩეჩა. ამეკვატა. ავიღებდი და ვატ-
რილებდი ხელშია. ჩავიდებდი ჯიბეში.
დამქონდა. დაგატარებდი. ამოვიღებდი.
ვეურცლავდი, მართო ვიყავი თუ მეზ-
ვივნენ ვინმენი. ვეურცლავდი, ვეურც-
ლავდი, თითქოს რო პოეტური შედევ-
რების ანთოლოგია მჭეროდეს ხელშია.
ახირებდა მექცა, შემნიშნეს. ერთობო-
დნენ. ასეთი კრებულიმეთქი, თუნდაც
ასეთი, ამ მოცულობისა, ამდენივე, ასე
მცირე ტირაჟითამეთქი, დახაწყისი იქ-
ნება, მაინც დახაწყისი იქნება, ყველა-

ფერი მცირეთი იწყებაშეთქი. ერთობო-
დნენ.

„შრომების“ კრებულიც გამოდიოდა ინსტიტუტში, ე.წ. სამეცნიერო შრომებისა. ცოტა მოზრდილი ვახლდა, თბილისის სტამბებში იბეჭდებოდა. ვერ გასწვდებოდა გორის სტამბაი. იქაც იბეჭდებოდა რის ვაივაგლახითა, ჯერ რო წერა უჭირდათ ამ მამაცხოვრებულ მეცნიერებსა, მერე სტამბები რო გადაჭედოდიო, სტამბები თბილისისა; ჭიანჭრდებოდა წლობითა, წლიდან წლებზე გადადიოდა. ის ფორმატი თუ ის მოცულობა არ ივარგებდა. მისწრება ეს იყო: „თეზისების“ ფორმატი, „თეზისების“ მოცულობა, „თეზისების“ ტირაჟი, უფლებანი „თეზისებისა“ — ხელნაწრის უფლებითა, უფასოდა, მისწრებაც ეს იყო, საიმედოც ეს იყო, თუ დაიძვრებოდა, — აქედანა და მხოლოდ აქედან დაიძვრებოდა.

ნიმუშიც ეს იყო, მაგალითიცა, მისწრება ვახლდა.

სხვა თუ სხვაგვარი ვინ უწყის თუ რა წინააღმდეგობას აღარ გამოიწვევდა, ჯერ იქვე, იქვე, ინსტიტუტშია, რო ვერ გამოდიოდა „შრომებიცა“ წლიდან წლამდისა და რო ბუზღუნებდნენ ისედაცა მეცნიერები, ძლივას რო დაეწერათ თუ როგორღაც რო დაეწერათ თუ ძლისძალიად რო დაეწერიხებიანთ, ლამის ძლისძალიადა, რო ეკალებოდათ, რო გათვალისწინებულყო, ოღონდ შესრულება რო ეზარებოდათ თუ რო უჭირდათ, უჭირდათ, მაგრამ რახან შეასრულებდნენ, ანთუ შეასრულებინებდნენ დამალებითა თუ როგორც იქნებოდა, აღარც ითმენდნენ მერე, არა, აღარა, — მანამდე ითმენდნენ, ითმენდნენ, ითმენდნენ, მერე აღარა, აღარ ითმენდნენ, აღარ აცდიდნენ, ჩქარა კრებული-აღარაფრის გაკონება აღარ უნდოდათ. აღარაფერი აღარ მიანდათ მიზეზადა, რახან სხვაზე იყო დამოკიდებული, რახან მათ აღარ შეეზებოდა. გადაუხვიეთ?.. თუშეცა არაო, არცთუ მაინცდამაინცა: მოსარიდალი ვახლდნენ ისინიცა-მეთქი.

მთავარი მაინც რექტორი ვახლდნენ. არ ვიცი თუ რა გუნებაზე ბრძანებოდა, ანთუ რამ ვახალისა, არ ვიცი, მართლა მელოდა თუ რა იყო, არ ვიცი, მე მხოლოდ ესაა, რო გაუუშვირე „თეზისები“, გაუუშვირე და ვკითხე, ვკითხე, მეტი არაფერი: არ შეიძლება რო სალიტერატურო კრებულიც გამოიცეს, სტუდენტების სალიტერატურო კრებულიც, სწორედ ასევე, აი ამ „თეზისებისა-ვითა“ მეთქი.

ვკითხე და მომიგო: შეიძლებაო, მომიგო მყისვე, თითქოს დიდიხანაა გადაეწვიტათ, თითქოს გაუკვირდა ჩემი შეკითხვაიო, თითქოსაო, ალბათ რო თითქოსაო, თვითონაც რო დაატანა მაშინავე:

„რატო არ შეიძლება?!“

დაატანა და ახსნა მაშინვე:

სამაგისო ქალაქი მოგვეძებნებო, ხარჯებსაც აუვალთო.

ახსნა ადვილადა. ვაჰკრა, გამოჰკრა საანგარიშოსა, ძველებურ, ვეება საანგარიშოსა, რო არ იშორებდა მაგიდიანა ბოლო დრომდისა. ბოლოს მოიშორა, ალბათ რო მოჰკრა ფური, ერთობიანო. ვაჰკრა, გამოჰკრა ერთისიტყვითა:

„აუვალთ!..“

ბრძანა და მიჰყარა კოჭები თითქოს თამაშითა, თითების თამაშითა, მოხდენილი თამაშითა, — და მაინც კიდევ რაღაცა სჭირდება, სრულყოფილად რო გამოიხატოს: ჰო.. ჰო!.. — ვაწაფული თამაშითა. მიჰყარა.

და გადაწყდა.

ასე გადაწყდა. შედგა კრებულიცა სულმოუთქმელადა, შედგა და გამოიცა ინსტიტუტის „ცისკარი“, გორის „ცისკარი“, ერთადერთი კრებული „ცისკარის“ სახელწოდებითა. ასე დაედო დასაბამი გორის სალიტერატურო კრებულსა, აღმანახსა, ვიმედოვნებ რო ფურნალსა, ვიმედოვნებ, „ცისკარით“ დაედო დასაბამი, მერე რო „მერანი“ ეწოდა, მერე „ლიახვი“.

„ცისკარი“ „ცისკარმა“ წაიღო, — ფურნალმა, „მერანი“ „მერანმა“ წაიღო, — გამომცემლობამა, „ლიახვს“ აღარა-



ვის შეგვეცილება. შეგვეძლო დაგვეთმო, დაგვეთმო ესეცა, ოღონდ შექმნილიყო კიდევ ერთი ახალი ჟურნალი, ერთი ახალი გამოცემლობაც დაარსებულიყო, შეგვეძლო ცხადია, სიამოვნებოდა.

ოღონდ ეს ისე, სიტყვად რო ითქმის, ხოლო მთავარი მაინც ისაა, ის უცარი თანხმობა რექტორისა, როცა ამბობდნენ, ყველა დებულება ზეპირად იცისო, ყველა დამატებანი, ახსნანი თუ განმარტებანი, დანართები ყველანაირი ზეპირად იცისო, და არ გადაუხვევს ოღონდად-ცაო, არაფერს დასთმობს არაფრისთვისა, არავისთვის არაფერს დასთმობს არავითარ შემთხვევაშიო, ამბობდნენ და ასედაც ვახლდა.

ზოგი ამას შიშით ახსნიდა, ზოგი სიჯიუტითა, სიმტკიცითა თუ ნებისყოფითა. ყველაფერი ითქმოდა ზურგთუკანა. ახლაც ვინ უწყის რაღა არ ითქვას, თუმცა ნაკლები სიფიცხითა, ნაკლები სიმწვავეითა რაღა თქმა უნდა. ოღონდ მე არ მინდა, რო გავხვე სიტყვას, კამათში რო ჩავება, არ შეხალისება, კამათში, ხილულსა თუ უხილავ ოპონენტებთანა, ანთუ აზრდილებთანა, რო აღარ არიან ამა ქვეყნადა, ანთუ მაშინდელ მწაფილებთანა, ხანში რო შევიდნენ და რო დაბრძენდნენ, თუ დაბრძენდნენ რაღა თქმა უნდა, — არა, არ მინდა, კამათში ჩავება, რადგან კამათი უნაყოფოა მაგალითისა თუ მაგალითების გარეშე, მოქმედებისა თუ საქმის გარეშე. სიტყვა ქმნაა, ქმედებაა, შემოქმედია, სიტყვა, ისე სიტყვაც არ არისო.

ამას ასე ვერაფერს გადასწყვეტდა, ამასა, კრებულის გადმოცემასა, სხვა ყველა ტყუის, ყველა ტყუილად დაიტრახებებს. სწორედაც რო დებულებანი იცოდა ზეპირადა, იცოდა, რისი უფლებაცა ჰქონდა: „თეზისები“ უნდა გამოეცა, ის გატანჯული „შრომები“ უნდა გამოეცა, იცოდა, აქა თაქედობდა იმისი უფლებანი. შერე „შრომების“ საერთო სარდაქციო კოლეგია შედგა რესპუბლიკის პედაგოგიური ინსტიტუტებისათვისა თბილისში, გორი ამისგანაც განთავს

ვისუფლდა, „თეზისებისგანაც“ განთავსვისუფლდა გორის ინსტიტუტში, მხოლოდ რო გვემას თუ დაბეჭდავდა კონფერენციისა, ანთუ — მოსაწვევ ბარათსა, ცოტა ვრცელ ბარათსა. განთავსისუფლდა. შერე, ეს შერე. ოღონდ იმჯერადა ის შეეძლო და მეტი არაფერი, არც რო უფლება არა ჰქონდა, არც რო საშუალება რო არ გააჩნდა. და მაინცა. მაინცამეთქი, მაინც გამოსძებნა ქალაქი, ხარჯებიც გამოსძებნა, გამოჭრა თუ ჩამოაჭრა „თეზისებსა“, უფლებაც იქავე, „თეზისების“ მუხლიდან აიღო და დაედო საფუძველი სალიტერატურო კრებულსა, გორის სალიტერატურო კრებულსა, აღმანახსა გორისასა და შესაძლოა პერიოდულ ჟურნალსაცამეთქი, — შესაძლოა თუ ნათელიც ვახლავს. უნდა ვიშელოვნებდეთ. ყველაფერი კი ყოველთვის წინ არის, — წინ არის, უკანა ჩავლილია, და თუ მოვიგონებთ იმა ჩავლილსა, საქმით მოვიგონებთ რაღა თქმა უნდა, საქმითა, მომზდართა, შესრულებითა; კამათით სხვებმა იკამათონ, იკამათონ, ვისაც რო ენა ექავება, იკამათონ, მეტი თუ არაფერი ეხერხებათ, იკამათონ, იკამათონ.

აქ თითქმის რაღაცა წამოშლია მწვავედა, — რაც უნდა იყოს, გამბობ ისე ალაღგულადა, უბრალოდ ვამბობ: იკამათონ, იდაონ, იტრაბახონ თუნდაცა, — ვისაც რა ძალუქს, იქმს იმასაო.

ასე დაიწყო ერთისიტყვითა, დაიწყო კარგადა, რო ვერ წარიმართა ისევე კარგადა...

ოღონდ მანამდე: კრებულს მთავლიტის ბეჭედი უნდა და რაღა თქმა უნდა.

ამ მოვალეობას ჩვენი ყოფილი სტუდენტი ასრულებდა: „თეზისებს“ ურტყამდა ბეჭედსა, ზელნაწერის უფლებითაო, ამასაც უთაქა ბეჭედი, ზელნაწერის უფლებითაო, ამ ჩვენს „ციხისარსა“ ცხადია და რაღა თქმა უნდა.

შეიხსნა ციხისარი, „ციხისარი“ ამოვიღა.

და ჯერ ისევე რო ცხელციხელი კრებული გვეჭირა ხელშია, რო ვუბერავ-

დით სულსა, ძლიერს რო გვეჭირა, რექტორმა გამომიხმო და მიიხრა, თურმე ამისათვის ცალკე ნებართვა ყოფილა საჭიროო, მიიხრა ისე, არცთუ საყვედურითაო, არცთუ ხინანულითაო, მიიხრა, რახან რო ალბათ შენიშნეს, ანთუ მოსწერეს, ანთუ დაურეკეს, ანთუ დაიბარეს კიდევაცა, თუ როგორ თუ რა იყო, მუ ასე მიიხრა და ისიც დასძინა, შემდეგისათვის ნებართვა ავიღოთო, წინასწარ დავიჭიროთ უველაფრის თაღარავი, ცუდად რო არაფერი გამოგვივიდესო. უკეთესად აღარც ითქმოდა, იღონდ ეს იყო, რო ნებართვა რო ჭირდა. მაინც თაღარავი თაღარავიაო.

რაც შეეხება ჩვენს ყოფილ სტუდენტსა, — დამაწინაურეს, ანთუ თვითონვე როგორც რო ამბობდა: დამაწინაურესო, გადაიყვანეს დირექტორადა რესტორანისა. „მთავლიტის“ რწმუნებულის შტატი გააუქმეს გორში. დამაწინაურესო, სიხარულით გვებებებოდა. მოსაწონად გვიმასპინძლებოდა. თუ მოიცლიდა, დაგვეწვოდა კიდევაცა, შეჭიჭინებოდა და ტრაპახობდა, პო კარგი საქმე წამოვიწყეთო, ტრაპახობდა.

აქ არ იფიქრო, თითქოს რო რექტორიც ვითომ რო თან გვახლდა რესტორანშია, არა, არ იფიქრო; თუ გვეწვოდა ვინმე ისეთი, — მაშინ შეიძლება, ისე არა, არა ცხადია. ვინმე ისეთიც — იგულისხმება უფროსთავანი თანამდებობითა, სამსახურებრივად, სამსახურებრივ მოვალეობადა, თორემ ისე, მიიქვამს და ვიტყვი: ვალაკტიონი გვეწვია და არ დაგვეწვია, კონსტანტინე გამსახურდია გვეწვია და არ დაგვეწვია, ანთუ რას ჩამოთვლი, — სიმონ ჩიქოვანი პო უფრო ხშირად ჩამოდიოდა, სხვა საღამოებზე, სხვა შეხვედრებზედა, თვითონ ეზებოდა თუ სხვას ეზებოდა, რო არ გაარჩევდა, ვიორგი შატბერაშვილიცა აგრეთვე, სხვებიცა, სხვებიცა, (ლიტერატურის ცენტრმა გორში ვადმონა-იკვლამეთქი, — ეხუმრობდი) იღონდ სიმონ აქ იმად გამოვიყოფ, რო გამიხმო ერთხელ კლუბში ინსტიტუტისა, გვერ-

დით გამიხმო, და ჩუმადა, მიიხრა: რა ფერის კაცია ეგ თქვენი რექტორი? მის რიდან მაინც დამანახვეო. მერე შეგხვდნენ. კმაყოფილიც იყვნენ ერთმანეთისა. ესწრებოდა საღამოებსა რაღა თქმა უნდა. მერე ბოდიშობდა. ავადმყოფობას იმიზეზებდა. მაშინ რა ექნა, უფროსები თუ ეწვეოდნენ, ავადმყოფობა მიზეზებში ვერ გაუიღოდა, რო არც რო უყვართ ავადმყოფები უფროსებსა. ვერ გაუიღოდა. აქ გაუიღოდა. ვერც ვერავინ დაამალებდა თუ არც არავინ დაამალებდა, ასეც რო ერჩინათ: ის თვითონ ღვინოს კრიდებოდა, სხვები იმას კრიდებოდნენ, როცა რო სუფრას მიუჯდებოდა ხოლმე. ეს თავიდანა რაღა თქმა უნდა, ვიდრე... მონასტერი აირყოდა, ითქვა, წყალი ამღვრეოდაო, ითქვა... ვიდრე ეშმაკი შეუჩნდებოდაო, პო, პო ვიდრე ეშმაკი შეუჩნდებოდათ.

მიუბრუნდები ჯერ ისევ კრებულსა, ესეც ჯერ ისევ რო ინსტიტუტია.

პირველს მეორე უნდა მოჰყოლოდა. ერთჯერადად არ იყო ჩათქმული.

მეორეს „მერანი“ დაერქვა, „ცისკარი“ რახან გამოგვეცალა ხელიდანა. თუმცა ეს მხოლოდ ისე თუ ითქმის, ხატოვანების გამოისრობითა, თორემ ისინიც ეხმაურებოდნენ ვიორგი ერისთავის „ცისკარსა“, ჩვენი არ იყოს. ეხმაურებოდნენ. ვეხმაურებოდით. დაერქვა „მერანი“ ერთისიტყვითა. უფლებაზეც ვიარე. მივიღე როგორც იქნა, მაგრამ ამასობაში რაღაც შეიცვალა და დავრჩით ასე, სახელწოდებისა და უფლების ამარადა. სახელი გვექონდა, უფლება გვექონდა, საშუალება აღარა გვექონდა.

ის რაღაცა რო შეიცვალა, ის შეიცვალა, რო აღარც „შრომები“ გამოიცემოდა ინსტიტუტშია, აღარც „თუზისები“ გამოიცემოდა, აღარც ქალაქი გამოეყოფოდა და აღარც ხარჯები გამოეციმისათვისა. ვეღარც ვერაფერი გამოიჭრებოდა კრებულისათვისა ცხადია და რაღა თქმა უნდა. ვრჩებოდით ასე ხახამშრალები, — ხატოვანიც როა და სწორიც რო არის ამშემთხვევაშია.

რა გვეღონა აღარ ვიცოდით.

სანდრო შანშიაშვილის სეირი მოგვე-
წია, ანეგლოტივით რო ჰყვებოდნენ ხო-
ლმე:

თავის სოფელში წისქვილი გაემარ-
თა სანდროსა. წისქვილის იდეალიზა-
ცია მოსდებოდა ქართულ მწერლობასა.
იმა მართლა გაემართა წისქვილი, მა-
რთლა შთაგონებას ელოდა წისქვილი-
საგანა. მაგრამ და რაო, — კერძო საკუ-
თრების ნაციონალიზაცია რო გამოცხა-
და, აღნენ და იმასაც ჩამოართვეს
წისქვილი. ჩამოართვესო.

არ დათანხმებულა სანდროი, მიუმარ-
თავს მოაურობისათვისა: ჩემთვის ის პო
წისქვილი არ არის, საშუალებაა ხალხ-
თან სიახლოვისაო, იქიდან კერძო ხიუ-
ფტებსა, ზასიათებს იქიდანა ვკრეფო,
იქა ვწერ და იქა ვსულდგმულობო. არ
შემიძლიან უიმისოდაო. ჩემი წისქვილი
ღამობრუნეთო.

გაუგონესო. დათანხმდნენო თვით შა-
ხარაქმ წაწერა, დაუბრუნეთო, თვით
მხარაქმეაო: წისქვილი დაუბრუნეთო.
დაუბრუნეთო და დაუბრუნესო, წის-
ქვილი დაუბრუნესო.

წისქვილი დაუბრუნეს ოღონდ რუ
მოუშაღესო, სათავე მოუშაღესო.

გაბრაზდა სანდროი, გაგულსდა სან-
დროი, მიეჭრა სოფლის მოთავეებსაო:
ეს რაა, ეს სად გაგონილაო.

თავისი განცხადება დაუდეს წინაო,
რუხოლეუციაზე დაუდეს თითთი: დაუბ-
რუნეთო წისქვილიო. ე წისქვილი ღაგი-
ბრუნეთო, სხვა რაღა გინდა, რაღას
კვლავებო. წყალზე აქ არაფერი არა
წერიაო. არაფერიო.

და დარჩა წისქვილი უწყლოდაო.

ჰყვებოდნენ ასე ანეგლოტივითა. და
ერთხელ კეითხეს ახალგაზრდა მწერ-
ლებმა სანდრო შანშიაშვილსა: მართა-
ლი თუ არისო.

გაიცინა სანდრომა. გაიცინა. თქვენ
ჯერ ძალიან ახალგაზრდები ხართო,
ბრძანა. კიდევ გაიცინა და გაუყვა თა-
ვის გზასა.

იმა იცოდა თავისი გზაი, ჩვენ არ
ვიცოდით თუ რა გზას დავედგომოდით.

რაც უნდა იყოს, უნდა მიგვემართოს
მინისტროსათვისა, მინისტრისათვისა.
რექტორმა მიმართვა მოამზადა. შენ
თვითონ ეახელი, მოელაპარაკე პირადა-
დაო.

XIII

დიდი მოლაპარაკება არც დამჭირვე-
ბია, რაც მართალია, მართალია, ვუთხა-
რი თუ არა, გაეუწოდე თუ არა თხოვ-
ნის ფურცელი, მაშინვე წააწერა: გაე-
ციტ ქალღმერთო.

ისე გამეხარდა, ენაც რო აღარ მომი-
ბრუნდა მადლობის სათქმელადა, არც
რო გამახსენდა, ისე გამეხარდა, ისე
გამოვიქციე; ისე ვეახელი, ვისაც რო
ეხებოდა, ვისაც რო უნდა გაეცა; და ის-
ეც მეგონა, რო წავიღებდი, მაშინვე წა-
ვიღებდი, მაშინვე ჩაუშვებდი სტამბა-
ში კრებულსა. სახელწოდება გვექონდა,
უფლება გვექონდა, ქალღმერთო გვექონდა,
სტამბაში თანახმანი იყვნენ, მეტი
რაღა გვინდოდა?! და გამეხარდა, გამე-
ხარდა. ატაცება იცის უეცარმა გახარე-
ბამა.

მაგრამ ამიხსნეს: რო ეს არსად არ იყო
ვათვალაისწინებული აქამდისა, გვეგმა-
ში არ იყო, რო ვერ გასცემდნენ ასე
პაიპარა, ასე უგვეგმოდა, რო უნდა წაე-
ღოთ ჯერ იმათა, ვისაც ერგებოდათ,
რო შეიძლებოდა მერეღა ეფიქრათ ჩვენ-
ზე, იმათ რაიმე თუ მორჩებოდათ, მაგ-
რამ არაფერი არ მორჩებოდათ. რად-
გან ყოველთვის გვაკლდება ხოლმეო, —
ამიხსნეს, ამიხსნეს, კარგად ამიხსნეს:
თქვენ ამიერიდან თუ შეგიტანთ გვეგმა-
შიო, სამერმისოდა რაღა თქმა უნდაო,
ოღონდ უნდა წარმოადგინოთ ესა და
ეს საბუთი, ესა და ეს ფორმაო, თუმცა
თქვენ რად გინდათ, იმათ იციანო,
თქვენ მხოლოდ ამბავი ჩაიტანეთო, —
ამიხსნეს, ამიხსნეს ერთისიტყვითა, კა-
რგად ამიხსნეს და ზედმეტოც არ დამა-
კალეს. გამოიმისტუმრეს ხელცარიელი.
ამისი ლოდინი არ ივარგებდა.

და აღარ მოეპყვები თუ როგორ შეგროვდა საბეჭდი ქაღალდი, აღარ მოეპყვები, ყდა თუ როგორ აღმოვაჩინეთ, აღარ მოეპყვები, ცოდვის კითხვა იყო, მართლა რო ცოდვისა. ვინმეს თუ ახსოვს მაშინდელი საფენები საწერი მაგიდისა, აღმრიცხველები რო ხმარობდნენ ხოლმე კოლმეურნეობებში, ის საფენები შემოვაკარით ყდადა. და მერე: ყდა ღადო გუდიაშვილმა დაგვიხატაკიდევაც შეგვიცვალა შემდგომი ნომრისათვისა, ოღნაუ შეგვიცვალა, — ბარათაშვილი გაფრენილ მერანზედა, — და ისიც აგრეთვე იმავე საფენებზე დაებეჭდათ.

მერე რო „მერანიც“ აღარ შეგვარჩინეს სხელწოდებადა, ღმერთმა შეარგოთ, მერე თვით „მერანი“ გვეხმარებოდნენ შემდგომი კრებულების გამოხატვამადა. გამოცემლობაზე ითქმის ცხადია, რევაზ მარგიანი მოვიდა დირექტორადა. რევაზი გვეხმარებოდა. ცოტა ბუზღუნებდა, ცოტა ჯუჯღუნებდა, მაინც გვეხმარებოდა. თავისი წიგნებისათვის ვერ მიუხედაო, რას გადაჰყოლია, ვინ დაუფასებსო, ერთ მშვენიერ დღეს გამოაპანღურებენ, — ეს მე ცხადია, — გზასაც ვერ გაიგნებს, საით წავიდესო. ბუზღუნებდა. ჯუჯღუნებდა. მეტყვოდნენ ხოლმე. არც მე მიმაღავდა, ოღონდ ესაა, — გამოაპანღურებას არ მიხსენებდა, შენს წიგნებს მიჰხელო, ის გირჩევნიანო, ამას თუ მეტყვოდა.

ჩემს წიგნებს მაინც ვეღარ მიგზებავდი. ჩემზე მოეცალა მთელს მაშინდელ ქართულ კრიტიკასა, პრესასაც ჩემზე მოეცალა, ყველანაირ პრესასა. მწერალთა კავშირის მუშაობათ ჰო ეს ითვლებოდა: რომელიღაც მწერალი უნდა ამოეღოთ თვალშია, შეიძლება ორიცა, შეიძლება სამიცა, ერთი ჰო მაინც უსათუოდა, უნდა ამოეღოთ თვალშია და უნდა შეჰსეოდნენ ყველანი ერთბაშადა. მუშაობად ეს ითვლებოდა. პრედიხიუმი მუშაობდა. უკვე ურიგდებოდნენ თუ ისაა, რო შერიგებოდნენ კონსტანტინე გამსახურდიასა, ახლა მე ამოვეღეთ თვალშია.

„მნათობიც“ ამოეღოთ თვალშია, ერთი ფურნალია შერჩეულია „ცისკარიც“ წამოეწია, — ეს „ცისკარი“ რაღა თქმა უნდა, — და მერე „ცისკარი“ ამოიღეს თვალშია, სიმონ ჩიქოვანი რო გაისტუმრეს „მნათობიდანა“, — ეს იყო ესა, მუშაობა ეს იყო მწერალთა კავშირისა და მუშაობდა, მუშაობდა, მწერალთა კავშირი.

მომართულიყვნენ კრიტიკოსები, მიწერდნენ მრისხანე წერილებსა. ჩემს წიგნებს ვეღარას ვუშველიდი.

მუშაობდა მწერალთა კავშირის მაშინდელი ხელმძღვანელობაი, მუშაობდა. მერე გონს მოეგო თუ რა იყო თუ როგორ რა იყო, მერე რუსთაველის რვაასი წლის იუბილე იმოვნა სამუშაოდა. ღმერთიც უშველის ისევ რუსთაველსა!.. აღარავის ეცალა ჩემთვისა, აღარც ხელმძღვანელობასა მწერალთა კავშირისა, აღარც კრიტიკასა. ახლა პავლე ინგოროყვას შეეხივნენ. ეს მერე, მერე. წიგნებს რო მაინც საშველი არ დაადგა, ჩემს წიგნებსა რაღა თქმა უნდა, მაგრამ ამაზე სხვა დროს ითქმის. ითქმის.

აქ იმას ვამბობ: რეზო ბუზღუნებდიმეთქი. ეს იმიტომ, რო გზა აღარა გვქონდა უიმისოდა, ეს იმიტომ, რო წესად შემოვიდა, ყველა გამოცემას რო გრიფო ჰქონდა უსათუოდ რომელიმე გამოცემლობისაი. წესად შემოვიდა. დაკანონდა. ისე ვერაფერი გამოიცემოდა. ამაზე ბუზღუნებდა, ამაზე ჯუჯღუნებდა, გორელების კრებულია მაკლიაო. დიახნხმადა როგორც იქნა: გრიფს დაგიომობო, ოღონდაო ქაღალდიც შენ იეცი თაუშიო, სტამბადაო, ჰონორარზე ლაპარაკა ჰო ზედმეტიო.

რაღა თქმა უნდა.

ჰონორარზე არც არავინა ლაპარაკობდა. არც ვკითხებოდა, არც იცოდა, არც გააჩნდა საამისო არაფერი ინსტიტუტსა. ვეღარც ჩაერეოდა ინსტიტუტი ამ საქმეშია, მორჩა, დაიბანა

ხელი, ანთუ დაბანინეს და დაიბანა. მორჩა. შემოგვეცალა ეს დასაყრდენი.

რა ვქნაო, იჩქნდა რექტორი მხრებსა, მართლა რო აღარაფერი შეეძლო.

თითქოს რო აღარც იმედი მოსჩანდა. მაგრამ არც შეიძლებოდა რო არ გამოჩენილიყო. იმედი მაინც არ დაგვებდა კაცსა, არა, არა, არ მიატოვებდა. მაინც იმედი თვალდახუჭული მივდევი ჰოუნებსა, ბრძალ მივდევი ერთი-სიტყვითა. გამოჩნდებოდა შუქი რაიმე, სახსარი ხსნისა გამოჩნდებოდა. ესეც იმედი, ანთუ ნასახია იმედისა.

რაც უნდა იყოს, გამოჩნდა მხსნელი, მოგვევლინა მხსნელი: გორის კულტურისა და დასვენების პარკის მაშინდელი დირექტორი. — გვარად: ვარძელაშვილი. რა უცნაური სახელია. არა, დირექტორი არა, — კულტურისა და დასვენების პარკი, რა უცნაური სახელია?.. რაც უნდა იყოს, ვილა შევიდოდა ამის განსჯაში?! გორელებს მაინც ახალბადი ურქმევიათ, — შეერქვა და მოქვეება ასე, რაც უნდა დაარქვან, რო არ შეიცვლება: ახალბადი ახალბადია. არ შეიცვლება. მოგვევლინა ერთისიტყვითა.

მოგვევლინა და გვარწმუნებდა:

საბაგირო გზა უნდა გაკვილო გორი-ჯვარამდისაო. გორიჯვარიო და მთლად ბურეთის მთა უნდა შემოვიერთოო. თუ ატრონი უნდა ვაეშართო გორიჯვარზეო. ბილიკებით უნდა დაქსელო ტერები ბურეთისა, ლამპიონებით უნდა დაქსელოო. ფანჩატურები უნდა ჩაეღგაო. უნდა ბრიალებდეს ფანჩატურებიო, ვარსკვლავებამდე უნდა ბრიალებდესო. მტკვარი და ლიახვი შიგნით უნდა მოვიქციოთო. უნდა ავაგო ნავსადგური იქვე, ლიახვის შესართავთანაო. აფრებიანი ნაგები უნდა ჩაუშვა, — გართობა ჰო გართობადო, საკაეშირო თუ მსოფლიო შეჯიბრებანიც უნდა მოვაწყოო. — გვარწმუნებდა და გვარწმუნებდა ფხიზელიცა და ცოტა შემთვრალიცა.

იქვე, ახალბადში რესტორანში ვხვდებოდით ხოლმე ზედ ლიახვის პარკსა. რესტორანს „ლიახვი“ ერქვა. სახელი აღარა გვეჩონდა და ეს სახელი ავირჩიეთ კრებულისათვისა, ლიახვის პარკსა, ზედ ლიახვის პარკსა, მომავალი კრებულისათვისა რაღა თქმა უნდა, სახელწოდებაც რო უკვე დაგვარგეთ, დაგვარგეთ რო თანამდგომელიცა, გრიფი რო გვეჩონდა, მხოლოდღა გრიფი, მეტი რო არაფერი აღარ გავგანჩნდა. გრიფსაც დაგვარგავდით, როგორღაც ისეთი პირი უჩანდა. და ვისხედით ლიახვის პარკსა. და ვისხედით ამ გაბედულ გეგმებსა, მაშინ გაბედულსა, მეტისმეტად გაბედულსა, ფანტასტიკურსა, მაშინა, მაშინა, მაშინა ცხადია, და ეს თუ უფრო განუხორციელებლად მეჩვენებოდა, „ლიახვის“ გამოცემა მაინც წარმომედგინა რეალურად.

ასე დაისახა იმედი. დაისახა. რო არ ველოდი, იმ გზით მოვიდა.

და ვისხედით ლიახვის პარკსა ფარღალა რესტორანშია.

და გადავყავდი დირექტორსა საბაგირო გზითა ბურეთის მთაზედა, ზედ წვერზედა, უდიდებულეს რესტორანშია, უბრწყინალებს დარბაზში, ჩვენთვის ცალკე რო მოაწყობდა, მხოლოდ ჩვენთვისა: ლიტერატორთათვისა, მხატვართათვისა, მუსიკოსთათვისა, მსახობთათვისა, ხელოვანთათვისა ერთისიტყვითა, საქეიფოდაცა და საბაექროდაცა, ანთუ ჯერ საბაექროდა, მერე საქეიფოდაო, — ღვინო რო ჭეშმარიტებაო და რო იკამათებო, ჭეშმარიტებადის რო მიხვალთო.

გადავყავდით და გადმოვყავდით.

გადავდედით და გადმოვდედით.

„ლიახვის“-ადმი ღვაწლი რო არ დაკარგოდა, იმისი გვარი და სახელი მოვაწერე „ლიახვის“ იმ კრებულსა, როგორც ვითომ რო ტექნიკური რედაქტორისა. რედაქციის მისამართადაც ახალბადის მისამართია ჩაბეჭდილი, ტელეფონის ნომერიც იმისია. ასე გაიმართა რედაქცია. ასე გამოიცა კრებული.

შერე დირექტორი პასუხისმგებლობაში მი-
სცეს, რაღაც შეეძთხვა. იცინოდა,
ხელს ვინ მახლებსო, მე ისეთი დამსა-
ხურება მაქვს, ჯიღღოხედაც წარმად-
გენთო, თორემ მადლობას რაღაც მემარ-
თლებითო.

პროკურორიც იცინოდა თურმე, — ის
თავისებურადა, ეს თავისებურადა: რო-
შელი ზაქარია. ჭიჭინაძე და ექვთიმე
ხელაძე შენა მყევხარო, წივნიხს გამო-
ცემას ვინ გეკითხებოდაო.

ის კრებული ისედაც დაინახვა:

ჯერ იყო და პირველივე თაბახი გად-
მოიტანეს სტამბიდანა და ქალაქკომში
მიხმეს. პირველივე თაბახიმეთქი, უკვე
დაბეჭდილი პირველი თაბახი. სტამბა-
ხაც რო უჭირდა, გორის სტამბასა, რო
მოძველებულიყო, ლამის რო აღარაფე-
რი შეკმატებოდა იმ წასული საუკუნის
შერე, ისედაც ვერ ახდოდა ერთ პატა-
რა გაზეთსა და ჩვენმა კრებულმა პო-
ტარაბუა დაახეია. მაინც თანავევიკმ-
ნობდნენ, როგორც რო შეეძლოთ. და
ასედა შეეძლოთ: ააწყოდნენ და და-
ბეჭდვდნენ თითოთითო თაბახობითა,
და უცებ დაგვაბრკოლეს პირველივე
ვე თაბახზედა.

გაუზაჩივრებინათ: „ბელადზე არაფე-
რი არ იბეჭდებაო“. აქ ისინი სტა-
ლინსა გულისხმობდნენ რაღაც თქმა უნ-
და. მისი სამშობლოა, მისი ძეგლი ის-
ვეა დგას, ლექსებიც ისევე უნდა იწერ-
ებოდეს, ისევე უნდა იბეჭდებოდესო,
სხვაგან თუ არა, აქ უსათუოდა, მის
ქალაქშიო.

ამას მოწივრები ამბობდნენ.

პასუხი მე უნდა გამეცა.

ანთუ რა პასუხი უნდა გამეცა, — ნა-
თელი უნდა ყოფილიყო ყველაფერი
იმათთვისა. ნათელიც იყო. სწორედ ის
დაძაბული პერიოდი გახლდა. პიროვნე-
ბის კულტის პერიოდი. ნათელიც იყო.
პასუხს ისინი ჩემგან მოითხოვდნენ. რა
კარგად მახსოვს ის სახეები, — ღირს
რო აღვადგინო. აქ არა ცხადია, თით-
ქოს ისედაც რო ვშორდები ინსტიტუტ-
სა, ვშორდები თითქოსა. პასუხს იხინი

ჩემგან მოითხოვდნენ, სხვაგან უნდა
ვის მოითხოვდნენ პასუხსა.

მოითხოვდნენ და მიუუკე ცხადია,
რაც რო მე შეკითხებოდა, ის მიუუკე
რაღაც თქმა უნდა:

კრებული შესდგა წარმოდგენილი მა-
ხალეების მიხედვითამეთქი. წარმოდგე-
ნილიდან აირჩია უკეთესი, და უკეთე-
სიც ესაა, მეტი აღარაფერი გაგაჩნია-
მეთქი. თუმცა შეიძლება რო ვეცადოთ-
მეთქი. და კიდევაც ვეცდებითმეთქი.
ვეცდებით თუ რამე მოგვიხერხდებამეთ-
ქი.

ასე მიუუკე.

უნდა ეცადოთ, ასე გადაწვიტეს.

რაც მოგვიხერხდებამეთქი, მაინც ჩა-
ვურთე.

ასე გადაწვიტეს.

და ყველაზე მეტად, რამაც იქ გამა-
კვირვა, ქალაქკომის მაშინდელი პირვე-
ლი მდიანის დასკვნა გახლდა:

პო იცით, რო ამ საქმეს ეს კაცი თა-
ოსნობს, ჩვენ იმდენს ვერაფერს ვერ
ვეშველებითო. მოდით და ხელს მაინც
ნუ შევეშლითო.

გამიკვირდამეთქი.

არც მეგონა თუ მიცნობდა. მართა-
ლია რო ისიც გორელი გახლდა, მაგ-
რამ არა გვექონია ურთიერთობაი, პირ-
ისპირ რო არც შეგვედროდით ერთმა-
ნეთსა, — ის პირველი შეგვედრა გახლ-
და. ხელს მაინც ნუ შევეშლითო, მეტი
რა ელონა, მეტი როგორღა შეეჩერები-
ნა ის მოდავენი?..

თითქოს ჩამომეხსნენ კიდევაცა.

ოღონდ თურმე დროებითაო, თურმე
კრებულის გამოსვლას უცდიდნენ, თუ-
რმე ხერხიც სხვა შეერჩიათ, უფრო
მუხთალი თუ უფრო მრისხანეი. განხი-
ლვა მოაწვეს და ახლებდნენ დამსწრე-
თა: აჯერა ძეგლი და აჯერა კრებულიო,
ძეგლი დგას და კრებულში არაფერია
ამ ძეგლზეო. ახლებდნენ. ახლა არა-
ფერი, მაშინ ეს ცოტა რთული გახლდა,
ცოტაცა და უფროცა, მაგრამ და მაინც,
რაც უნდა იყოს, მშვიდობით ჩაიარა
ყველაფერმა. იმჯერად მომეტებულად
ჩვენი სტუდენტები ესწრებოდნენ გან-



ხილვასა და ადვილად არ აპყენენ იმა მოკამათითა თუ სხეებისგან გალიზიანებულთა, „ლიახვისა“ თუ ლიახველებზე რი უნდა ეძიათ შური, — ადვილად არ აპყენენ ადვილად არ ენდუნენ.

სხვა განხილვას აღარ ვაყოლივარ. სხვაგანაც ხცადეს. ცდები ცდებად დარჩა. ჩაიარა. მიწელდა. მიყუნდა.

ჩამოეღწია ამ ამბავსა რეზომდისაცა. გალიზიანებულყო. გატხარებულყო. თავისი „კრიფის“ დარდიცა რი ჰქონდა ჩემზედა რი მოსდიოდა გული:

რატომ არ გამოეცლები მაგ ვორელებსო. შენს მამა-ბიძას რა ხეირი დააყარეს, შენ რაღა ხიკეთეს ელოდებით. იცოდე, შენს მტრებსა ზრდი და მტრები ისედაც არ გაკლია მწერალთა კუშირშიო. გამოეცალე. წამოდი. შენს თავს მიჰხედო.

ისე რი ვორელებიო, თბილისშიც თურმე უკეთესი დღე არ გველოდა: „ციხკარმა“ აივლო „ლიახვი“, აბუნად აივლო და ლაფი გადაახზა ეს იმის შემდეგ ვახტანგ ჭელიძე რი წავიდა „ციხკრიდანა“. ყოვლად საშინელი, ყოვლად იქედური რეცენზია დაიბეჭდა „ციხკარში“. აქ „იქედური“ რეცენზენტისვე ნათქვამი ვახლავს. მერე ამბობდა, წლების შემდეგა, ახლა გადავხედო და იქედური რაღაცეები გამიშვილო, ამბობდა ცოტა სინანულითა. მერე, მერე, მოგვიანებითა, ის ანდაზა რი აღარაფრის მაქნისი ვახლდა: სჯობს გვიან, ვიდრე არასოდესო. და ყოველთვის რი ის ანდაზა ჭეშმარიტი: თავს სინანული სჯობიან, გვიან ვაშს დანანებასო. „ციხკარს“ მაინც რა აკაკნებდა?! ოღონდ და მაინც რა უნდოდათ თუ რამ შეამფოთათ, მაშინ ვერ მივხვდი და ახლაც ვერაფერი ვერ ვამიგია. რა უნდოდათ?.. რამ შეამფოთათ, ვისი რა შეშურდათ, ვისი შეეშინდათ?.. ანთუ რა შეშურდათ „ლიახვისა“?.. თვითონ კაბინეტებში ისხდნენ, მიერთმეოდათ ყველაფერი მზამზარეულადა, მხოლოდ ესაა, რი ხელი უნდა მოეწერათ, — მეტი არა-

ფერი, მეტი არაფერი, მერე დროს მოეკლათ და ჰკლავდნენ დროსა კითხო, დღეში 60-60 ხელსაც რი თამაშობდნენ და ტრაბახობდნენ: აი ეს ჩვენა ვართ 60-ანელებიო, ჰმ!..

ისე კაცმა რი თქვას, თითქოს კიდე-კაცა მეგობრობდნენ ლიახველებსა. თითქოს რი არ აკლდათ საღამოეზი ვორში. ჩამოდიოდნენ ისედაცა, გასართობადო თუ რაც თუ რა იყო, ჭადრაკი ჰო ჭადრაკადო, და ფეხბურთის სათამაშოდაც ჩამოდიოდნენ, მატჩები იმართებოდა ქალაქის სტარიონებზე. ვინა ჰკადრებდა უბრალო მოვედანსა. სტადიონის ადმინისტრაცია ემსახურებოდა. მაყურებელი „ციხკარს“ ემზრობოდა. ქართული მასპინძელურ დიდსულოვნებითა. „ციხკარი“ იგებდა. მერე ჰო სუფრა მოხდევდა ცხადია. მურწა უფვარდით ლიახვისაი. არჩევდნენ მურწასა. არჩევდნენ და ურჩევდნენ. მღეროდნენ და ცეკვავდნენ. ეხვეოდნენ. ხელის გაშვება აღარ უნდოდათ. აღარ ეთმობოდათ. თითქოს რი ისაა, ვახსენებაც რი აღარ უნდათ თბილისისაო. აქ გვირჩევიანო, კიდევაც ამბობდნენ, ნეტავი ხულ აქ დაგვარჩინაო, — პირი გამოეტყნათ მურწითა, თვალეშში ატყურე ენთოთ და ამბობდნენ, ამბობდნენ.

ისე ამბობდნენ, აღარ შეგრჩებოდა ნასახი ეჭვისაი.

ასე ამბობდნენ და ისე მოიქცნენ, თითქოს როგორც რი არ ეკადრებოდათ.

ანთუ რა უნდა ვაკვირებოდა, — 60-ისანელობა ჩამოერთმიათ ილიასა და აკაიისათვისა, — ჩვენ რა უნდა ვაკვირებოდა?! ოღონდ ერთს მაინც უთუოდ ვავიხსენებ: რი ჩამოჰყავდათ პროფესიონალები ფეხბურთისა, რი ასალებდნენ ახალ ლიტმეშაეებადა „ციხკრისა“ — თორაძე მოჰყავდათ, თვარაძეო, — და რი ჭედავდნენ და ჭედავდნენ „მერანიისა“ თუ „ლიახვის“ კარსა, — ლამის თავს იკლავდა დავით ჯოხაძეი, მწვევედ განიცდიდა, ავარჯიშებდა, წრთვინდა დიდი თავგამოდებითა, ვვონებ რი

პირველად იმას შემოჰქონდა ბრაზილი-
ული სისტემაი ჩვენში, მაგრამ და რაო,
საშუალო არ იყო, — ჰედაუდნენ და ჰე-
დაუდნენ. შეარგოთ ღმერთმა!.. ამას გა-
ვიხსენებ და ვითომ ამის მეტი არაფე-
რი მითქვამს, შეარგოთ ღმერთმა, თუ
ისიაშოვნეს თუ დატკბნენ მაშინა, შეარ-
გოთ ღმერთმა!..

იმხანად სიტყვაც არ დამცდენია ამა-
ზე არაეისთანა, არც საღამო შემშილია,
ვითომ რო არც წამიკითხავს, ანთუ
არც არაფრად ჩამიგდია ის წერილი,
არაფრად, სულ არაფრად. ესაა რო
აღარა გვწვევიან, ახალგაზრდა ვაჟბა-
ტონები, აღარა გვწვევიან, თორემ მი-
ვიღებდით ისევ ისევე, ისევ ჩაუთელი-
დით ლიტმუშაკებადა პროფესიულ ფეხ-
ბურთელეებსა, ისევ დაუჰქერდით მურ-
წასა, ატენურსაც მივართმევდით ისევ
ისევე, აღაღ ატენურსა, მართლაც აღ-
ალსა და დახვეწილსა, ისე, ისე, ფერიც
რო აღარ ეტყობა ხოლმე ჭიქაშია. მაგ-
რამ და რაო, აღარა გვწვევიან.

აღარცა გვწვევიან და ისედაც შემოგ-
ვრწყნენ, თითქოს რო ჩვენ რო დაგვე-
შაუბინოს, თითქოს რო ჩვენ აგვეგლოს
იმათი ყურნაალი, თვითონვე შემოგ-
ვრწყნენ, ერთი ანდაზისა არ იყოს, ცო-
ტა უხერხული ანდაზისაი; თვითონვე
შემოგვრწყნენ და მალე მოაყოლეს მრი-

სხანე წერილი ბარემ და შემუშავდნენ
ეტიუდებზედა მაშინ ჯერ კიდევ ვინმე
ნოდარ ნათამისაი. ალბათ თუ იმიტომა,
ის რო ვერ გაეიგე ვითომაო, ის რო შე
არ მეხებოდა ვითომაო, და ბარემ ასე
გამაგებინეს, ბარემ გამიღანძღეს ეტი-
უდებიცა, „ჩემი სოფლის ეტიუდების“
პატარა კრებული, დიდს რო არ გამო-
მიცემდნენ რაღა თქმა უნდა, გამიღანძ-
ღეს და გამითათხეს. და ეს უნდოდა გა-
მომცემლობასაცა: ა ბატონო, რო გეუბ-
ნებით და არ გვიჯერებო. ეს უნდო-
და გამომცემლობებსაცა.

არც ეს ჩამიგდია არაფრად, არც ამ-
ისათვის შემშილია საღამო, თორემ აგ-
ერა ბრძანებიან ჯანმრთელნი და გუ-
ლით მზიარულნი, საღსაღამათნი და
საღლონებაზედა, ჰკითხე თუ გნებავს,
თუ რამე მითქვამს, თუ რაიმეთი შემიმ-
ჩნევიან. თვითონ თუ აღარ ჩამობრძან-
ებდოდნენ, ანთუ აღარც მუუბნებოდნენ,
უნდა გეწვიოთო, რა ჩემი ბრალია, რა
ჩვენი ბრალია, — არა ცხადია. ჩემში ეს
მაშინ ტკივილს არ იწვევდა, არც სინა-
ნულს იწვევდა, არაფერს, არაფერს ეს
არ იწვევდა უკეთესს რო არას მოვე-
ლოდი, ისეთი მუხთალი ხალხი ჩამსხ-
დარიყო და ჩასაფრებულყო. და მერე
როგორა მხედებოდნენ ხოლმე, — ღმერ-
თო დიდებულო!..

□ ბაზრქმეზბა იტნება □

ნიგნიღან: „გაკლეგა“

„ეუქელ მე დატოვებას საწუთროისა,
ვიდრე მე არ დამიტოვა საწუთრომან“...

ღაპით ალგაჰეგეგალი

ღროღადღრო ღარღით ღავღიჰარ...

საათს ჰგონია.
ღროს წამ და წამ
ჰხერხავს და სციცქნის, -
წუთ და წუთ ჰჰქეკავს და
ა-ნა-წე-ვრებს
პაწია ისრით!..
10. 12. 7. 4. 5 თუ 6.
კი არ ტიკტიკებს,
მე რომ მკითხო -
ტივილით კენესის:
ღროს არაფერი არ აკლდება,
ღრო კი... ვილატას
ღრღნის და...
საცოდავ სხეულს სცივივა
წამნი და წუთნი...
(კაცის შვექმნისას ვერ აფსკენიდა

ღმერთი თიხასა -
ისე მოქნილად,
ვით მე გრძნობას
სიტყვებში ვფუთინი!..)
... საათი ახლაც ტიკტიკებს და
ჰკუთავს და ჰკუთავს -
კი არ ტიკტიკებს -
წკმუის!.. წკაწკაუებს!..
ბგერები მაინც ამოა და
ბროლსაებრ სუფთა,
ვითა ტყვის წყარო -
მოხასხასე და მოწანწყარე!..
... საათს ჰგონია -
ღროს წამ და წამ
ხერხავს და ღერღავს -
ღრო კი, ეჰ, ღრო კი -
რა ხილია, რა იცის ლელემა!..

ამ ღაპარაკ-ღაპარაკში...

„ღაპარაკი - ღაპარაკს, -
ცხენი გაჰვეა ამხანაგს...“

სალსური

წარსულს რა ეშველება,
მომავალს კი... ვნახეთ!..
მომავალი გულისხმობს
თავისთავად ახალს!..
წარსულს რა ეშველება,

წარსულს ვეღარ შეცვლი...
შეცოდება წარსული,
შენანება წარსული, -
გულზე ცეცხლი შეკიდება,
ცეცხლი!..

... მომავალი მე მკითხეთ! —

მომავალი — ჩვენია!..

თუმცა, მჯერა,

ამას ხედები შენც კი!..

... ამ ლაპარაკ-ლაპარაკში...

ერთი რამე მართლა გამოვგრჩენია:

აწმყო თუ არ შეიცვალა —

მომავალს ვერ შეცვლი!..

უცნაურ კაცივით გადისარხარა!..

... წუხელის ღმერთი გამომეცხადა, —

თავზე თეთრი თმა ეხურა ქუდად..

ტანზე მზისფერი კაბა ეცვა და

მარჯვენა ხელი მიედო გულთან..

არცა რამ მკითხა...

არც რამ მახარა,

არ მომაცილა კარგა ხანს თვალი!..

მერე... კაცივით გადისარხარა!..

გამეღვიძა და... ვიფიქრე მკვდარი!..

კომოდი

თვალი ქართულ ცას ხარბად შესცქერის,

გულზე მატყვია მზისგან დამწვრობა...

სიტყვა ითავსებს ღვას ქვესკნელის

და ეკალბარდის დანაკაწრობას...

სული კვამლივით ადის ზევ-ზევით,
უსაზღვრობაში სწადის განვრცობა...

... სიკვდილო! —

ალარ გემიზეზები, —

კეთილი იყოს ჩვენი გაცნობა!..

ცარცხის ყანა...

... შევყარე ცერცვი კედელს —

აბიბინდა ცერცვის ყანა...

ზალხურობამ ანდაჩისამ

შეცდომაში შემეყვანა!..

ვალში ვარ და... ნეტა კიდევ

ამისთანა მომცა ვალი...

ახლა უფიქრობ: იმ კედელზე

როგორ მოემყო მოსავალი!..

პოი, სამშობლოვ, —

ტანჯულო დედავ, —

დღეს შენს წინაშე

დამნაშავედ თავს გრძნობს ყოველი:

მზეც, ცაც და მიწაც. ქარიც. წვიმაც.

კაციც — რომელიც...

კაციც — რომელიც...

კაცს სად ხედავ—კაცებს სად ხედავ!..

... გამოერევა, —

როგორ არა, —

ათასში ერთი!..

დანარჩენი კი — დედლებია! —

მათ შორის — მე თვითი!..

მთავრდება — კვლემა ...

მოდის — სიკვდილი ...

(კვლემა სხვაა და სიკვდილი სხვაა!..)

ვასკდება წამი მწარე სიკვილით, —

სიკვდილის მერე — ცრემლების ზღვავა!..

მთავრდება ...

ჯერ არ დამთავრებულა!..

დგანან და ანძებს ჰვეანან ხეები ...

ნახევარმთვარე დამთავრებულა,

ვერცხლნარში ბზინვენ სანახებები!..



კადახვესებულ გზას ბნელად ვხედავ,
 (ცალი თვალით ვარ (მარჯვენით!..) კოკლი..
 მთავრდება მზერა და ბოლო ხედი
 ფართხალ-ფართხალით სივრცეებს
 ფხოვნის!..

ღამის სიზმრებზე უფრო ბუნდოვან
 სიზმრებს დღისით და უძილოდ ვხედავ..
 მალე სამყარო გადაბრუნდება, —
 ქათქათა ხეზე ყვავები სხედანს..

ვინ თქვა, თითქოს ზარატუს ტრა
 აზროვნებდა არაზუსტად:
 ზარატუს ტრამ,
 სულ ერთ წამში,
 მზის სიდიდე დააზუსტა!..

... ის მზე მალე დედამიწას
 ერთიანად გადატრუსავს!..

კაფკა! —

ანუ — შვებისგან მხუთიანს
„პარაბოლები“

ოთახში ცხელა...
 ვიღაცა ითხოვს
 ფანჯრის გაღებას:
 „— ხვარ აბოლებენ?!“
 კარვია
 კარგი წიგნების კითხვა, —
 ჰ, თუნდაც
 კაფკას „პარაბოლები“.

აზრი მიჯრით და
 ჯარ-ჯარად შფოთავს,
 ხვატი დვას, ხვატი:
 „— ხვარ აბოლებენ!“
 შეაღეთ მართლა ფანჯარა ცოტა, —
 შუკებისგან მხუთავს
 „პარაბოლები“.

... მოსწვეთავს სვედა
 და ტვინს ხერეტს: — „—კაპ!.. კაპ!..“
 მუხტი მუხტს კაწრავს...
 ნათელი შტება!..
 ოთახში ცხელა...
 ვკითხულობ კაფკას
 და მეუფლება წუხილით... შუკბა!..

სიტყვის წვეთები
 სულში სწევთს:
 „— კაპ!..
 კაპ!..“
 დიდი წუხილით
 შუკბას მგერის კაფკა!..

შაბრუნეაული შიში...

„ეს ქვეყანა, ძირითადად,
 მკვდრებითაა დასახლებული“.

ფოლკნერი

ყოველ წუთში ვკვდები, — თუმცა
 ცოცხალი ვარ ჯერჯერობით...

რაც ებოძნა მაღლით უფალს —
 სულ მცირედსაც ვჯერდებოდი!..

შავი ღამე ტანჯვით, სიმწრით —
შავად ამოხენქვილია, —
სული იწვის... იწვის... იწვის...
მეშინია... მეშინია...

ჩემით მივალ გოლგოთამდე...
არ მხურს ხელის შემქმნელი...
სიცოცხლე რომ არ გათავდეს —
რა ჯენა, — რაღა შემსველებს!..

ახე იყო...

კლდის ქიმი ჩანდა შვერილად, —
აქ მზეც სხვაა და სხვა მზეს ჰგავს...
მინდორი — იწვა მშვენივრად,
მთა — იდგა უღამაზესად!..

ბულბული სტევენდა მყუდროდან,
ფშვინავდა სანაპირო და
ზღვას სადღაც წასვლა უნდოდა,
არ უშეებდნენ და... ტიროდა!..

ჩხაჩხის სინდიოფალა!..

დღემ ღამეში თავი ჩარგო, —
სეკლამ სივრცე მოფარა...
აუწყობელ ჩონგურით
ჩხაჩხის სინდიოფალა...

... აღარც „ლილე“,
აღარც „რიპა“,
აღარც „გუთნიდედური“...
ნახევრად ბედნიერი ხარ,
მთლიანად — უბედური!..

დედამიწა კარგა მაგრა გადაგვერდდა,
ძალიან ჭირს
თავისუფლად გავლა-გარება!..
მოტორტმანე გემპანივით

გადაფერდდა, —
ჰაერში მწიფს
ვარდუვალი
გადაგვარება!..

ორივეს პიკიპირს!..

— როგორც დაფივარ — ისე დაფრინავს,
(უცებ, ჩამოვდა ხეზე!)..

— როგორც დაფრინავ — ისე დადისო, —
ის ჩიტო ფიქრობს ჩემზე!..

ჰჰჰჰჰჰ მითქვამს...

დღისით ღამეა...
და ველარ ვხედავ —
სხვისას კი არა —
საკუთარ თვალებს...
თვალეებში ბნელი
ყვაეები სხედან, —
ჩუმაღ ჩავიდა
მზეცა და მთვარეც!..
... გონით —
მაგარი ბიჭი ვიყავი,

ლომს, —
ჩიტის გული მქონდა, ძმოსას!..
ველარ ვკითხულობ
საბას ივაეებს,
ბიბლიასა და ვეფხისტყაოსანს!..
... ერთად ჩავიდა მზეცა და მთვარეც...
მეყოლეთ კარგად, —
მეც ჩაეალ ბარემ!..



მკიფე წუთში ჩაწერილი -

გუნების გაწონასწორებად

იმ მარიკას, ამ მერიკას -

მოუვლიათ ამერიკა...

იქის ამბებს უყვებიან

ქმრებს, -

კარლიკას, კალენიკას!

თუ ღმერთი გწამთ,

როგორ ფიქრობთ, -

ან - მარიკა,

ან - მერიკა, -

ველაფერს ჩაუკაკლავენ

კარლიკას და კალენიკას?!

იწყება მოვარის ხანა...

ცხოვრების ჭიდან

მე ჩემი წილი

ამოვხაპე და ამოვამთარე...

მზე მალე ჩავა ფერდშელეწილი

და მედიდურად ამოვა მთვარე...

... რიტმობა, მარად ქებული,

იცვლება ხანდისხანა...

მზის ხანა დამთავრებულა, -

იწყება მოვარის ხანა!..

იფუნარე ჩანახატი...

ცივი ქარი

სოფელ-სოფელ

გადანავარდებულა...

ეზოებში ვარდნარები

გადა-ნაეარდ-ეხულა!..

ხეებს ტანზე შემოაცვლათ

ფოთლოვანი კაბები,

კაცბური მიხედვით და

კაცბური გავებით, -

გაიხარეს ხეებმა და...

არა ძალდატანებით, -

დაინახეს ერთმანეთის

მკლავები და ტანები!..

...მოწყვნილა სოფელი და

ქარი დაჰქრის ვერანი...

აღარ ისმის ძველებურად

გამღერ-გამომღერანი!..

მიწაშიც!..

განცდას ჩემუელს-

შენუელს, სხვეულს,

სიზმარულ განსჯას

საფუძვლად უდებ:

ხანდახან სული

აკითხავს სხვეულს,

ვითარცა მტრედი -

შარშანდელ ბუღეს!..

მოდინი

ხეზე იჯდა ჭრელი ჩიტი,

მიწას აკვირდებოდა...

ხეს ტოტებზე ეტყობოდა -

მალე აკვირდებოდა!..

ჩიტმა ფრთები დაწურა და

აფრინდა და გაფრინდა...

ტოტი მართლა გააკვირტა,

ვაზი მართლა ატირდა...

ჩიტი ბუღეს განასკვავდა,

ხეში წყალი ჩადგებოდა...

გაზაფხული დადგებოდა -

ვაზი ატირდებოდა!..

- მოდი, მოდი გაზაფხულო

(ნატურა გულში დამკვიდრდა!)

... არაფერი არ გამოვა

მარტო ლაპარაკიდან!

ჩ ა კ ა ხ ი ლ ი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

(ჯურხას, იორამს, და სხვებს...)

... ღამე თენდება
თქვენზე ფიქრში
და დღე ღამდება!..

... როგორ მახსოვხართ,
რომ იცოდეთ,
გავიხარდებათ!..

მ უ ღ ა რ ა

რა მელექს, რა მერიტიმება, —
ცეცხლს უნდა ვერიდე პირიდან...
ვინცა მოყვასი მეგონა, —
განმიშორა და მირიდა ...

უთქვამს, ხალხს უთქვამს — წაიღებს
ქარიო ქარის მოტანილს!..
მოდი, თუ ძმა ხარ, მომხედე —
წამომეშველე ცოტაი!..

გავდივარ ახლა მკვლარივით,
თავზე ხე მადგას ჩრდილობით ...
მტკივა სული და ვიტანჯვი
განუკურნელი ჭრილობით!..

მოდი!.. იქნება, ვინ იცის,
მთლად განწირული არა ვარ!..
რაც ვთქვი — ცოტა ვთქვი, — ნამდვილი
წუხილის დასაფარავად!..

ღ ა კ ა ხ ე ლ ო ბ ა

ათო სიხარულიძეს

წელს არაფერში არ ჩაეტევა —
ვენახს იმდენი აღესა ება...
ამ უფმურ დროში დეინის წვეთები
გამოგვადგება დარდის აბებად!..

... ქვეყნად ახალი დადის ამბები —
დაუბოძებით ადისაბედა...
როგორც ეტყობა —
მღვთმარეობა
მაღე, სულ მაღე
დაიძაბება!..

მ მ ხ ნ დ ა ვ ი ..

... დღეს სულთმოფენის დღეა!..
გკლესიათა ეზოებში ნისლეულ —
სიზმარული სიმშვიდით
დგანან რინდის მომგვრელი მეძინიები...
... მე ვხედავ: თათთავიანთ საფლავის
ქვებზე

ფეხმორთხმული მიცვალებულები
ბედნიერ-მადლიერი სახეებით,
უხმოდ შეექცვიან ახალშემოსულ
ხილუებს!..

18. VI. 94 წ.

სოფ. ბურნათი.

ნ ა ბ რ ა მ ო ბ ი ხ ე ლ ვ ა ..

ღია კარიდან სახლი მოჩანს, —
მეზობლის სახლი ...
მთვარე ღრუბლიდან გამოჩინდა, —
გამოჩნდა ძალღი ...

ამ ფართიფურთში მოიღლება,
მოითენება ...
და როს ცის კარი მოიღება
და შეთენდება, —

ძაღლის ლეკვივით ბათურაა
ყვითელი მთვარე, —
მთვარე თბილ თითებს აფათურებს
ცნობისმოყვარედ...

მთვარე ამოქნარებს,
ე. ი. — ღამეს ამთავრებს, —
ერევა რული და ლეკვივით
მიღულავს თვალებს!..



ჩვერ იმანო..

თავი მოიკლა ქრისტეფორემ,
თავი მოიკლა!..

შერე? — რაიმე მოიმატა,
ანდა მოიკლა?!..

... „ლურჯა ცხენები“ თუ დაწერე,
ან რამე მსგავსი —

ჩემო იმანო, —
თავის მოკვლას მაშინ აქვს ფასი!..

კორიზონტზე გაბვირების თხაღი..

რომ შეიძლებოდეს,
უფრო სწორად —
შე რომ შევძლებდე
განვლილი დროის მანძილად ქცევას,
შერე კი იმ მანძილის,
ანუ მანძილად ქცეული დროის
აღმართვას ვერტიკალურად, —
შენ მაშინ ნახე,
შენ მაშინ ნახე — რამოდენა
უფსკრულის პირას
დავდგებით ყველა!..

რამხელა უფსკრულის პირას
აღმოუჩნდებით ერთბაშად ყველა! —
ვისაც დღეს, —
წარსულის ხსენებისას, —
მხოლოდ უხაფრთხო კორიზონტზე
გავვირბის თვალი!..

... ვიტყვი:
„— წარსული!“ —
და არაეინ გულისხმობს უფსკრულს!..

ხალც მინდა ეიწვებ და
ხალც მინდა ვამთავრებ, —
სათქმელს გეტყვი ცხადლივად.
მისახვედრებს მიხედვები:

იხე გეტყვი — კითხვისას,
ვიცი, არ დაამთქნარებ, —
ოღონდ, როგორც დაწერო —
იხე წაიკითხვი!..

გვერ, გვერ კონტს..

...რაციონი, მოციონი...
მოციონი, რაციონი...

რომ იცოდეთ — რა ძნელია, —
თქვენ გვინათ რაც იოლი!..

შე ერთი ვარ ხანდახან,
არა რიცხობობრივად, —
შე ერთი ვარ ხანდახან —
სულით, თვისობრივად!..

რაც გვალკაში გადახმა —
წყალში გადაცვივა!..

ავერ-ავერ, ჰა და ჰა
(ნუ მიფურებ ცივად!..)

წყალი უბედურია,
არ გვეონოს „ეისკი“, —
თან (რაც უფრო რთულია!..), —
წყალი მიდის ზღვისკენ!..

ქორწილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა


ვარსკვლავმა უთხრა ვარსკვლავსა:
— საქმაროს ვეძებ ვაჟკაცსა! —
შერცხვა და ფერი დაჰკარგა
ქალწულმა მთვარემ — კაშკაშამ!..

... ამ ცუგრუმელა ვარსკვლავმა
თავი რით უნდა იქოსო,
პირზე რძე
არ შეშრობია
და გათხოვებას ითხოვსო!..

... ზოგს —
მოკლე კაბა აცვია,
ზოგი —
არც იცვამს კაბასო...
ვაი, დრო რაღა გაფუჭდა,
რას მოვესწარიო ამასო!..
... ცაზე ვარსკვლავნი როკედნენ,
ლაპლაპით მოკიაფენი...
ნაღდად, —
ქორწილის სუფრაზე
ენთო ათახი ხანთელი!..

ქათმებს მისდევდა
ბატი სისინით
და ბატთან ერთად —
ბატის ისინი!..
რა ჰქვია იმას? —
ბატის ჭუკები —

შენი ჭკუის და
შენი გაგების!..
... ეზოში დგანან
ვარდის ბუჩქები,
ვით ზოლიპარკში —
ფარშავანგები!..



მახინჯი ჩრდილი

(კრიპტომნეზია)

გურამ დონანაშვილს

მახინჯი ჩრდილი საზიზღარი ჩემი არაა მე კი დამდექს მახინჯი
მაგრამ ჩემი არაა შეიძლება მე ჩამომვარდა ტანიდან ჩამომცურდა მაგრამ
ჩემი არაა ცუდად მეცემა შუკი არასწორად მხედება სინათლე ჩემი
სხეული დაბრეცილად ისახება ასფალტზე დანარცხებული ჩემი სხეული
კი არა ჩემი ჩრდილი ასფალტზე დაბერტყეული უპატიო კი არა
პატივცემული მაგრამ დაბერტყეული ძნელად გასაგები ეტიკეტით კი არა
კარგად გასაგები კარგად მიღებული დავარცხნილი ეტიკეტით კარგად
ჩათვლილი ქცევის წესით გამოჯანმრთელებული მივდივარ ნურაფერს ნუ
მომაძახებთ იქამდე მაინც არაფერი ჩამყვება ახალი სისხლი ყოველთვის
ერთნაირად დულს და ამასი არაფერია ახალი იმ ნახსაყუდეღმაც ნოტიო
ბურუსი დამხვდება სხვა არაფერი ღტოლვილის იმედიანი

დევნილი ხომალდით
მივცურავ იქითკენ სადაც ნოტიო ბურუსის მეტი არაფერი დამხვდება სად
არის ნათესაური ძარღვებით დაქსაქსული და შეკრული მსოფლიო თუ მისი
ნაგლეჯი ნოტიო და ცივი ბურუსია ღტოლვილის თავშესაფარი ენის წკლაპუნით
გადამდის წვიმები თავზე გულს მიხანჯლავენ გაქერქილი იმედები როცა რაღაცა
გამოუსწორებელი ხდება ვიგანტური ცხოველების მოვნიასე განგაში ჩამესმის
მირიადი წლების სიღრმეიდან ნიჟარის ორ ლებანს შორის დარჩენილი ხმაური
გამამდიერებლებით გადიდებული მე ვპატარავდები ყურის დაფებიც
მიპატარავდება

რომ რხევებმა არ დამიხეთქოს ასე ვლინდება ორგანიზმში შეგუების ფაქტი
პატარა ყურში პატარა ფრაზა მიძერება მაყრუალასავით „დამოუკიდებლობა
ჯერ კიდევ თავისუფლება არაა“ სისხლისმწყურეალი ფრაზა

პატარა არაა ვილაკამ
ჩამიარა ყური ჩამომათალა ჩამიარა ვილაკამ ჩემი ნაწილი წაიღო ტახტის
მემკვიდრის უფლებიანმა ჩამიარა და ნაწილი ჩამომათალა მშუთრიანი ჰაერი
დატოვა მხრჩოლავი ნამივით მშვიდი თვალები მოუკირწყელა კედელზე
წმინდანს რომლის ფერხითი უთვალავი საღამოები ცოცხლებიან და

ეროვნული
კულტურის

თავს იყრიან უთვალავი ხმები ეპასუხებიან ერთმანეთს სადღაც სადღაც კი შეთქმულები ჩურჩულებენ ყველა დროის შეთქმულები ერთად ამდგარი და მოსული ყოველთვის ორი იყო სინამდვილე შეტყუებული ერთ არსად ქცეული ოღონდ მაინც სხვადასხვა ჯამში ვარდება მთვარის დიმილივით ცივი მაგრამ თილისძიანი სიტყვა „მოთმინება“ ღვინოში ჩაძირულის თავზე იშლება რგოლები და ქრება ეს რგოლები ჩემი არაა ჩემია ფიქრების მერხვეი ბადე რომელიც მოძველებულ აზრებს იჭერს „გაზრდილი სიმდიდრე შემცირებული სახელი“ ფხიზელი ზედამხედველის მისტიკა ბოროტი ჯადოქრობით კრავს სიერცეს სადაც ბუზიყლაპიებს პირები ებრიცებათ მთქნარებით და ასევე შემდებიან როცა ვიღაცა იფინებს ისტერიულად „არ მინდა წითელი კაბა არც ბერიკაცია ქმრადო“ უაზრობის წინააღმდეგ იმდენი აზრია საჭირო რომ სიმძიმეს ვერ უძლებს ფიქრების მერხვეი ბადე ივლიჯება და ვერაფერს კვლავ აკავებს ცეცხლოვანი ტანგოს თავბრუდამხვევი რიტმით მწვედებიან აზრები და მიბზრიალებენ გზადაგზა ვახტები ლამაზმტყუნა სიტყვების შერიბთულ წვეილთა გუბებებს გვერდს ვუვლი მეტაფორათა მეკობრულ ექსპედიციებს რომელთა შეხლა-შემოხლით მდიდრდება ჩვენი თვალსაწიერი და ფერმკრთალდება იაფფასიანი რომანსების სიღამაზე აღბომურ-საღონური ენა სწობურად მოჩლექილი და ინტონირებული უკანასკნელი ტანგო მოლიპულ ყინულზე უსაფრთხოა რადგან ფეხის დაკურება ორთოგრაფიული შეცდომის დარად უწყინარია აქ წაქცეული ნამდვილად კვლავ მოხვდება დაულალავი და მოკირკიტე პოზიტივისტების მიერ შექმნილ უკიდევანო სასაფლაოზე სადაც დამარხულია ყოველივე ცოცხალი მდიდრულად განისვენებს მოვარაგებული სიტყვების ზუჭუჭა რიტორიკა მწველი ეპითეტებით დაბანგული და უპროტესტო მიტოვებული წლები მიტოვებული კნუტებივით აკნაულდებიან როცა ახლოს ჩაუვლი წაგებულია წარსული სულელურ თამაშში დაკარგულია მყოფადი ნოტიო ბურუსის მომცველი სიციარიელე მყოფადი ხსოვინდან ამოღებული მომავალი წარსულში როგორც გრამატიკული დრო სადაც ვარდისა და ბულბულის ტკბილ-მწარე ამბები ითხზებოდა გულისმომწვეველი და ამავდროულად როგორც სამომავლო განაჩენი შეუვალი ბავით გაცხადებული ურყევი ხელით ბეჭედლასმული თითქოს ის რაც გუშინ იყო დღევანდელით არ ჩაიხშობა უღარდულობის უღრუბლო სიხარულის ზღვევაა მთელი ცხოვრება საკუთარ არსში გაქვევებული ჩაკეტილი ტკივილებთან და დარდებთან ერთად სადაც უკანდაუბრუნებლობის ელდა ატკობს იღუმაღ გზებს სადაც „გულგრილობის პური“ უნდა ჭამო და „აბსურდის ღვინო“ დაყოლო ზედ იცხოვრო ტერიტორიის ისტორიის ლოკიკის გარეშე როგორც

ფილოსოფოსმა

რომელსაც ჩრდილი ასფალტზე დაუვარდა და დააფრთხო ყველა გუშინდელი კი დღევანდელით მაინც ვერ ჩაახშო სამი ათასი წლის წინანდელი ოქროს ნიღაბი ჭაბუკი მეფის თავი აფხიზლებს კაცობრიობის მთვლემარე მუხსიერებას იეროგლიფებით ნაქარგი თებლისკები უკვდავებით დაქანცული წერილები გვაძენობენ დაუმთავრებელი სიმღერები გვაძენობენ შეწყვეტილი პანგები მიქელანჯელოს მოუწერტილებელი პიეტა სიკვდილის წინ ოთხი დღით ადრე მიტოვებული ქაშანურის თევზი პიკასოსი უბრალოდ ფერი ჭიაფერი გვაუწყებს რაღაცას ეს ვარსკვლავებიც ტკიპები სისხლისმსმელი წურბლები რამსიმორიდან გვიმონებენ და გვმართავენ გუშინდელი დღევანდელით ჩაუხშობელია ბრმა მღერის ჰეგზამეტრულად მოუტაცინათ

მენელაოსის ცოლი გზის ნაპირს კი მრავალძარღვები სამყურები ვაჩვენებდა
 ვეაილები მიჰყვება ხანგრძლივი პაუზებით დახლენილი დაეწყებისა
 და განშორების დრო სპირალურად დახვეული უკანვე გვიბრუნდება იმიტომ
 რომ არსად წახულა ჩვენ ვიტკეპნებით სევდის თიხას ეზელო და ადგილს
 ვერ ვწყლებით სიტყვების ტყვეობაში ვართ რადგან ყველაფერი
 სიტყვებითაა შემოსილი მხოლოდ ისინი გვიდასტურებენ რომ ვმოყოფებით
 დროსა და სივრცეში სადაც ზოგჯერ ფხვიერი თოვლის სინრუმე იდგა
 ზოგჯერ მთვარის პატარა გუბე ტოკავდა ყოველთვის კი უცოდნელი
 სივრცეების სიცივე ქსინავდა უსარგებლო სევდით შედედებული
 ყოველთვის კი ერთად იყო ის რაც არის და ის რაც უნდა იყოს რასაც
 ხელს ვკიდებთ და რაც მოუხელთებელია მისტიკური ქორწინება მისტიკურ
 ნაყოფს შობს თავის უფაღნი ვართ მხოლოდ აზროვნებაში მხოლოდ ის
 გვაცხოვრებს სიკეთის შუქში და იმაში რაც აუტანლად მოსაწყვენ
 ცხოვრებას შეალამაზებდა მხოლოდ იქ შეიძლება დივინიუო ბუნების
 კანონი და არაფრისგან შექმნა მთელი სამყარო პოეტური
 ნათელმზილველობით მარტოობის ორი მილიარდი სინათლის წელი
 დაასახლო სიკვდილითა და სიცოცხლით რომელთა ანატომია შეიძლება
 დასძლიო პოეტური ლოგიკით რაც ჩვეულებრივ ლოგიკას თუნდაც იმიო
 სჯობს რომ ეს შეუძლია არარსებული არანაკლებ არსებობს კიდრე
 არსებული მხოლოდ ამ სიბრძნით შეიძლება აითვისო სამყარო უდანაკარგოდ
 გუშინდელს დღევანდელით ვერ ჩაახშობ რადგან ყოველი აზრის უკან
 ვიდაცის აზრდელი კრთის და მორალური ანარქიიდან წესრიგისაკენ
 მიგვათრევს სადაც ყველაფერს თავისი ადგილი აქვს მიჩენილი
 უფიქრელობის ეიფორიისმიერ დაბინდვას სამშობლოს დეკორაციულ
 სიყვარულსა თუ დამყრობლის უტიფარ თარეშს ყველაფერს აქვს თავისი
 ადგილი და ტყუილია რომ გადარჩება ის ვისაც არ ახსოვს ჩრდილის
 ძონებებით ივლის ულაზათო ბელეშა რომელიც წარსულს გამოტოვებს
 თუნდაც ის წარსული წაგებული იყოს ჩოქვით შემოვლილი ვეაილების
 ქვეყანა სიმღერის საუფლო წარსულიდან მოდის სადაც ფანტისზმის
 მიაზმები ვერ იბუდრებდნენ ჩელივით წმინდა მაშინაც უცოდველი
 როცა ცოდვას სჩადის ვეაილების ქვეყანა ანონიმური მტრების
 სამოვარი მარადიული მარბული მოიმედე ხსნის რომელიც სადღაც
 მზადდება მისთვის ყოფის თოვლ-ჭყაპში ჩაფლული ვეაილების ქვეყანა
 სასიყვარულო ქვეშაგებად გაგებული არ მინდა არ მინდა არ მინდა
 არ მინდა არ შემძლია ამის ატანა ამ გაჩერებაზე ჩამოვალ ახლავე
 ჩამოვხტები საფასურს ჩემს შემდეგ ჩამომსვლელები გადაიხდიან
 სიმდიდრემ გავეთისმა სიღარიბემ დაგვაახლოოს არაფერია თუ ვიდაც
 გაკოტრდა ესე იგი ვიდაცა გამდიდრებულა მახინჯი ჩრდილი საზიზღარი
 ჩემი არაა მე არაფერი დამეარდნია ჩემი არაა მხოლოდ სიტყვები
 ჩამომცვივდა სხვაზე იაფი ჰუმანურ დახმარებასავით თითქმის უფასო
 მე იმათ ისე მომჭირნედ ვხარჯავ ისე ვაწებებ ერთმანეთზე არ
 მჭირდება გუმიარაბიკი ორი სიტყვიდან ერთი გამომყავს ერთ ასოს
 და ორ ადგილს ვიკებ ამინდკარგში კი ზოგჯერ უფრო მეტს პურხმელი
 წყალცარიელი ნაცარმშრალი ნალველმწარე მნელსაშოვარი შურმგლური
 რაც გადამრჩება ასოები შავი ღღისთვის ტომარაბნელში გამოვიზოგავ
 და იქნება გამოვიზამთრო მე არაფერი დამეარდნია ჩემი არაა...

პეპროტი 093636
**საქართველოს
 მწერთა კავშირი**

ისინი ბევრნი იყვნენ, ჩვენ კი — მხოლოდ ორნი.

იმათი შემწყნარებლური ირონია

ლუპავდა ჩვენს რომანტიზმს,

რომლის რეკვიზიტა:

ცაში ვარსკვლავი, მიწაზე ვარდი და ტოტზე ჩიტი

ანემიურ ქალღღებზე სისხლნაკლული დაეხატათ

წყნარ ვერნისაფებსა და ჩუმ ღერეფნებში

გამოსაფენად.

ისინი ბევრნი იყვნენ, დალაგებულ-დაწმენდილი

შაბათ-კვირებით მაცხოვრებლნი. ჩვენ კი — ორნი,

დაყრუებული საკუთარი გულების ცემით

და მწვანე ცეკვით მალაღი ხეების,

რომელთა ჩრდილებში თავშერგული იმღებოდა

ეროტიკული ეპიგრამები, შეკურხებები სკაბრუული,

ბზარებად რომ მიჰყვებოდა ქვისფერ კედლებს.

ქალაქის ბოლოს წისქვილი ბრუნავდა ნისიად.

აუღვამზდარი ყაჭვიით თავდაღმა ეკიდა

ტელეფონის ფორმილი უშუშო ჯიხურში.

პურიც გვიან მოქიწნდათ.

— „ღარიბი აცხობს, მდიდარი ყიდულობს“, —

გვეხუმრებოდა გაძვიდველი და უკანასკნელ

კაპიკამდე გვაძღვედა ხურდას.

ეცხოვრობდით ჩიტივით უკომფარტოდ და ლაღად.

გვეცოდებოდა ცოლის ნაწითელი დასახლებული

ან ცოდვისქმნით გამდიდრებული კაცი

გულწრფელად. ჩვენ ორნი — ვეყავით.

ისინი კი ბევრნი იყვნენ, ბევრნი.

შობარნაგული სიპროტი

ბალაგანის ფიცარნაგული გასაქანი ღიაა, მაგრამ

ვისაც დროზე ხურს მოსვლა, უნდა მოვიდეს საკმაოდ ადრე.

ხის იატაკზე ფაცახი მატყლი დაუფენიათ, ხეშუში.

შევ ბავშვები კოტრიალობენ. „რაო, ბავშვები?!

ო, აქ თურმე ჯერ კიდევ უყვართ!“

და შესათხველი ლექსების უპაერო სიერცეხებში

შენელებულად მოცურავე სიტყვები თანდათან იძენენ წონას,

სათითაოდ ეშვებიან მიწაზე და ქმნიან რეალობას,

რაც იქნებ ასეთად არც ქვეულიყო, რომ არა

ბავშვების სიცილი, რომელშიც შევდივარ, როგორც

სინათლის დაუცველ ზონაში. ყველაზე უსაფრთხო ადგილი,

მე რომ შეგულება, ჩემი გუგუზია, იქ გადაგმალავთ.

ნაყანევად ქცეული სამშეკვიდრო მამულებიც

საჭირო გახდება, რაკი ბავშვები კოტრიალობენ,

სიმართლის კალთაში გამოსაზრდელი ბავშვები,

ცხოვრებას მინდობილები — ჯერ კიდევ
ყველაზე ბრძენი და ღრმა მაინც ისაა.
სწორედ ამ დროს შემოდის ნაცარქექია —
არაისტორიული პერსონაჟი ისტორიაში და
პერსონაჟი ეპიზოდებში ისე იქცევა,
შეიძლება სილა დამტყუოს.
შემდეგ ქოშინით ამობობდება ფიცარნაგზე
დანის პრინცი (დედაშის უფრო დაეჯერება —
მსუქანი და ქოშინა იყო,
ფერდაკარგული კაფანდარა სულ არ ყოფილა),
ისეთ სიტყვიერ ატმოსფეროს ქმნის, რომ
ხომ ისედაც ღამეა ღამე — დღესაც აღამებს.
მტანჯველად ფიქრობ, დილას როდის მოიყვანს ჩვენთან
სინათლის დედა?
მერე ვიდაცა ამოვარდება — მომავალში შევარდნას სწრაფობს.
დასდევს მსახობს მოკარნახის ჩქარი ჩურჩული:
— „ისტორიები ემოციური ბელადების დაღუპულია!“
უემოციო ბელადებს კი ხერხემალი აქვთ ჩაკირული.
იმით ქანდაკდქეულ მხრებზე ჩამომსხდარან და
ისვენებენ საუკუნენი, როგორც შეთამამებული
მტრედები ქალაქის მოედნებსა და სკვერებში.
გაქვავებული პოზით უკვე ვეღარ აუქმევ
და ვერც ვერაფერს ვერ გადმორგავ
წარსულიდან სხვების აწმყოში, სადაც ბავშვები
ვირას გადადიან, თავზე იმხობენ ყველაფერს.
ზორცშეუსხმელად დამსხვრეული პიპოთეზური ყოფა,
შიშშილით, შიშითა და სიკვდილით ნალოლიაეები,
ნელ-ნელა გეტოვებს.
ყველაზე უსაფრთხო ადგილი ჩემი გუგებია,
იქ გადავმალავთ. იქ ვერ შეაღწევს ტოქსიკური
აზრები და აბსტრაქციები,
ნუგასაც ნუგის გემო ექნება.
საბოლოოდ რომ არ დახეიბრდეს
უქმადმყოფი პატიოსნება,
სიყვარული რომ სულ არ დაკუტდეს უმოქმედოდ,
პროტაგონისტიც გამოჩნდება
მოჯანყური ნართაულებით
და ერთს იმათაც შემოუძახებს,
საკუთარი დაღუპვის გასამართლებლად
ქვეყნის დაღუპვა. რომ სურთ.
პატარა რეტრო:
მოცურავს ჩვენკენ რეპტილიების შავი ღრუბელი,
რქოვანი ქერცლი ჭვარტილივით გვათოვს
და გვიბნელებს მშით გამთბარ ლანდშაფტს.
ღრუბელი მღერის „ლილი მარლენს“ და წვავს ქალაქებს.
ღუმელებიდან კვამლს შერეული ამოდიან ლანდალ სულები
გაუგონარი ამბის გარეთ გამოსატანად.
თეთრი თრითინა თეთრ თოვლზედა თეთრადა თრთოდა.

თრია კი სტვენდა.
 მე თქვენ დაგმალავთ ჩემს თვალებში.
 მე უსაფრთხო ადგილი ვიცი!
 ღიაა სივრცე ფიცარნაგული.
 ვისაც დროზე სურს მოხვლა, უნდა მოვიდეს საკმაოდ ადრე.
 ის არ მოდის. ყველასგან უღვთოდ დაციხული,
 ამხედრებული როსინანტზე
 (ვინც დაცინოდა, თავისსავე ოცნებას სრესდა,
 შენ კი იქ დარჩი, სადაც ფლოქვი და ჩლიქი ვერ მოგწვდა.
 შენს როსინანტზე ზიხარ ისევ, მისახსრებული,
 ოღონდ დროდადრო უნდა გვეჩვენო —
 ბავშვებისათვის საჭიროა ილუსტრაცია).
 იმაზე უკვე არაფერს ვამბობ,
 ფალსტაფის ფაში რომ უთიმთიმებს,
 აგერ, სხვაც მოდის —
 ფრივოლურპალსტუხიანი ფრანტი,
 ჩვენებურს მოჰგავს კოხტაპრუწა,
 ჩვენებურად განათლებული
 კალენდრის ყოვლისმცოდნე ფურცლებით,
 გაზეთების სათაურებით, კორიკუნულად რომ
 წინ უსწრებთ ენა:
 „მშვიდობით, ჩემო რობინ პულო!
 ღრო ღამდგარა ანტიკმირების!“
 ამასობაში მარიამი ტარ-კვირისტავით
 ძაფს ძაზავს და თან,
 არაფერი მოიწიოსო,
 ჯრმა იესოს გახედავს ხოლმე ცალი თვალით,
 ჩემელიც იქვე, ტოლებთან ერთად,
 ზი რულად თამაშობს მატყლში.





ნ ა ტ ვ რ ა

საგამზრდელი არ მახსოვს—
ვანი, ჭალა, რიონი...
ერთ ნატურაზე დავიდა
ჩემი სანატრიონი.

აღარ მახსოვს შიმშილი,
სიცივე და სიშიშველე,
სიმწრით მჯილის ცემისგან
შეკრდი რომ გავისისხლე.

მობინადრე მიწაზე
და ცაში მობინადრეც —
დღემუდამ რომ ვნატრულობ,
კვლავ იმ ნატურას ვინატრებ —

ღმერთო, შენ ამიხდინე
ნატურა, მართლაც მთავარი —
საქართველოს მიჰკერძე
საქართველოს მთა-ბარი!

გვლავის მიხრობა

ტყვილს როგორ ვიკადრებ —
ღმერთი მიცქერს ძაღლით.
შემბრალე სიყვარულით
მიყვარს ყველა ძაღლი.

ჯიშინი, უჯიშო,
ფინია თუ დოვი...
იმათ ლოკვას, მზადა ვარ,
უპასუხო ლოკვით.

მთელ ქვეყანას მოვდებდი
მათ სიყვარულს ღირით,
მაგრამ ძაღლთა არ მომწონს
მე ცხოვრების ნირი.

ამაყი სიყვარულით
მიყვარს ყველა მგელი,

თუმც ჩემთვისაც კი არი
იგი შიმშის მგერული.

ძაღლებს არა, მაგრამ მგლებს
დღესვე მიუგებრობი,
უფოყმანოდ გავხდები —
წვერი მათი ხროვის.

მგელი მგლის ტყავს რო არ ხევეს,
ეგ რად მიღირს მარტო?!
მე იმათ უთვალთმაქციო
მეგობრობას ვნატრობ.

ერთ სურვილსაც გავიმხვდით
თვით ზეცამდე მართალს, —
ჰიმნი თავისუფლების
მსურს ვიფუქლო მათთან.

სიცოცხლე ლხინით, სიკვდილი
კი მოდის ვაით და ვიშით...
ნაკლებად — ძაღლატანებით,
მეტად კი ოდენ თავისით.

ტრფიალიც და სიძულელიც —
არცა ვინა მყავს მოდავე, —
თუმცაღა სხვადასხვა გზებით,
თავისით მოდის ორთავე.

თავისით მოდის სახადიც —
კარგი ზნითა თუ ავი ზნით...
ამ ქვეყნად თავისუფლება
არ მობრძანდება თავისით.

თავისუფლებას მდინარე
ნაპირზე არ გამორიყვავს,
მას მხოლოდ საკუთარ თავთან
და მტერთან ომი მოიყვანს.

სისხლით გასაბანია

ეროვნული
ნიმუში

ყველა მიყვარს, ვინც ცეცხლს და
სიკვდილს ეთამაშება,
ვინც კი არი შეთქმული
საქართველოს საშველად.

ოდენ გაუტეხელი
მიყვარს მოძმე შეთქმული,
წინასწარვე ვინცაა
უკვდავებას შერთული.

აშკარად რო გიცხადებს
ძველ-ახალი ურდო ომს,

დროულია სიკვდილი
თვით ძალიან უდროოდ.

მოაგვლევებს ცოტენ რაშს
დოუ, ნანა, დოული...
ოდენ თავგანწირვაა
ქვეყნად მარად დროული.

ბანი ვინც დაგვაქცია,
დავაქციოთ ბანია...
ეგ წაძრაბი სიცოცხლე
სისხლით გასაბანია.

ს ა რ კ ე ს თ ა ნ

ჩემს თავს უუცქერ აქედან,
ის მიყურებს იქედან...

წამით იმ თვლებიდან
მამამ გადმოიხედა.

მამას ვგავარ, დედასაც
მოცოტაოდ, მომციროდ...

ნეტაე ახლა სარკიდან
დედამაც შემომცინოს.

როა მოუსყიდველი...

გახუნდა შემოდგომის
ფურადების ფართალი,
წყალს ნაფოტი ჩამოაქვს, —
წაბლის ხის მონათალი.
ლოლუების ვერცხლისფერ
ბრჭყალებს აჩენს ზამთარი,
ხარობს ქუდბედიანი,
ნაღვლოებს ზედგანათვალი;

დედაძინა თბილია
ნამზავი და ნამთვარი
ვერ აშინებს ყინვების
მკაცრი შემონათვალი...
წამხდარია ამინდი
ამ ჩონგურის, ამ თარის,
როა მოუსყიდველი,
როა ალაღმართალი.

ტრაგიკული გამასკინება

ეჭვიანი თვლით ცქერას
ღმერთი როგორ მოგვიშლის,
იმპერატორს სამშობლო რო
ჩაუფორეთ ლოგინში.

ხომ ვიცოდით ჩვენ თვითონვე,
ხომ იცოდა მაიკომ,

რომ ის მხოლოდ ორბელიანთ
ქალიშვილი არ იყო.

უზვარაკეუ ჭლექს და ჯვარცმას
ანგელოსი ციერი...

სახელიც კი არ არსებობს
ჩვენი იმ საქციელის.

ახლა მათი ოცნება,

ჩვენი სტიქოსნება.



აოჯონთი ვამისადა სანატრელი

იყო, დღეს კი არ გამხდარა
ეს ცხოვრება ასე ნასი...
მაკანკალებს ამ ცივ ცხადში,
ამ ზმანებულ ნირვანაში.

მაინც მიყვარს ეს ცხოვრება —
ხან მოყვასი, ხანაც ტრული...
თუმცა, ზოგჯერ, ჯოჯობებით
ვამიხადა სანატრელი.

არ მკლავს, სიზმრად გადმიქცია
სამუდამო მყუდრო ბინა.
ეურიგდები, რადგან ჩემს თავს
მეც არა ეთელი ქერუბიშად.

კოვტის დაბრავება

სიმონ ჩიქოვანს

გაფრინდა ჩინი, კელაბტრები ჩაქრა მამულის
ლურჯი, ყვითელი, მწვანე, თეთრი და მეწამული.
— ვერაფერს ვხედავ! — კურცხლებივით მოწყდა ბავიდას
და ლექსში, როგორც საცრემლეში, ისე ჩადინდა:
ველარ აყუაუდა კვლავ, სამოთხე ველარ ამწვანდა,
მკვდარი გედივით ვგლო აფრა გამტყდარ ანძასთან.
მხოლოდ და მხოლოდ ფერები და შუქი შიოდა
და მშობლიური სოფელი და სოფელში ოდა...
ხოლო სამშობლომ, ხინანულის ცრემლმომადლებით,
მოისაკლისა მოფერება მგოსნის თვალების.

სიკვდილი და უკვდავება

მოდის გვერდაუქცევი ანუ აუარი,
არ გაგია სიკვდილთან ხვეწნა და უარი...

მიჰყავს დროით, უდროოდ, მოდრმთეც და ურწმუნოდ,
გინდა მოუწონე და გინდა დაუწუნე.

არ დაგიდეკს კაცის დაცემას თუ ოსანას,
სუ ერთია მისთვის ბნელი და სხივოსანი...

რომ ჰგონია, ისე ყოელის შემძლე როდია,
უკვდავები ვერ მიჰყავს სიკვდილს საწუთროდან.

ძვრა ვერ უყო რუსთაველს, აკაკის, ილიას...
სიკვდილის ჩაკეტილი გზაც მათთვის ხსნილია.



ტრიბუნი

1. სულთანანა

მოთხრობა

თვალს მისთვის ვხუტავ, ჩავიხედო
ხულის სიღრმეში.

ბაირონი, „შინფრედი“.

სჯობს, სულ გაჭირეს კაცი, რად-
განც მტვერია!

აკაკი.

იწვა ბნელს შეფარებული, გასუღ-
რული, როგორც თევზი ჭილეში. ბნე-
ლი თქვი, არადა შეედრებოდა ამას სი-
ნათლეს? შეედრებოდა ამ ვანს, მშვიდს,
მყუდროს?

სად გამჭრალიყო ის უსიამო შეგრძ-
ნობა, თითქმის პანიკური შიში, რაც
ზოგჯერ შეიპყრობდა ზოლმე თვალე-
ბის იძულებით დახუჭვისას? სულ ოცი-
ოცდაათი წწამი თუ გაივლიდა, სანამ,
თავპირგასაპნული, ხელის ნერვიული
ფათურით დაუწყებდა ძებნას შემრევის
რეგულატორს და გადმოატრიალებდა,
რომ შხაპი მოეშვა, თავქუდმოგლეჩით
გამოცეოდა გულშემზარავ უკუნს.
სრული წყვარამი ბრტყელი, უხეში,
უღმობელი ძელივით ზედ მოსტყლე-
ტოდა თვალებს; ლამის სული შეკბუთ-
ვოდა, ლამის ეყვირა...

ალარ, ალარ აწუხებდა სიბნელე. არ
გრძნობდა მას. თვალები თუმც დახუ-

ჭული ჰქონდა, ახელილივით იყურებო-
და სიღრმეში. რაღაც ფერადოვან, ლა-
მაზ გამოსახულებებსა თუ სურათებს
ხედავდა იქ, იმ სიღრმეში; რაც უფრო
დაეინებოთ აცქერდებოდა უცნაურ სი-
ღრმისეულ ეკრანს, მით უფრო იზი-
დავდა მზერას, ილუზია სულაც არ
ერღვეოდა.

ასე ჩაძირულს თავის თავში უნებუ-
რად ამოუტივტივდებოდა ერთი სურა-
თი. ამას წინათ ნანახი: ჩვილის სახე,
ახალგამოდვიძებულის, ძილ-ბურანი-
დან ჭერ ნახევრად გამოღწეულის. შო-
რიახლობელ მოყვრებს შეხვდა შემთ-
ვევით პარკში. შვილიშვილი გამოეყვა-
ნათ ჰაერზე. მზე აცხუნებდა და დიდი,
ტოტებგანიერი ფიჭვის ჩრდილში ეყე-
ნათ მაღალი, ლამაზი საბავშვო ეტლი,
რომელშიც პაწაწინას ეძინა. წუხუნენ
ბებია და ბაბუა: ჭამია დრო დაუდგა,
რძე უნდა მოეტანა მამამისს, ნეტა რა-
ტომ იგვიანებსო. რომ მოვიდა და თან



რძიანი ბოთლი მოიტანა, თავზე საწოვარაწამოკმული, ჩვილის ვალვიძებს აღარ დალოდებიან, სათუთად ამოიყვანეს ეტლიდან თვის თუ თვენახევრისა იქნებოდა, და მისი სახე რომ დაინახა, ძილის იღუმალ-სანეტარო სამყაროდან ჯერ ისევ გამოუღწეველი თოთო ბავშვის მშვიდი, წყნარი, ყოველად უშფოთველი სახე, ერთბაშად ერთმა უცნაურმა და მოულოდნელმა აზრმა მოსტაცა გულისყური: ნეტავ, სად იყო ახლა ეს ბავშვი? ამგვარი კითხვა არასდროს გასჩენია აქამდე. ეგებ არც ახლა გასჩენოდა, ეს ჩვილი ყმა რომ სადღაც, ძილ-ბურანის გამოუცნობ საუფლოში მყოფი არსების იშვიათი განსახიერება არ ყოფილიყო ამ წუთს ერთ-ერთ პატარა ნაოჭი, წოლისაგან დაჩნეული კრიალა კანზე, ერთი ცვარი ოფლი პირზე, ერთი შეკუმუხვნა ან, მით უმეტეს, წამოტირება და ალბათ, ვერ აღიძვროდა ის უცარი შთაბეჭდილება, რამაც ეს უნებური კითხვა დაბადა ერთი-ორჯერ ნახევრად გაახილა თვალები ჩვილმა, ბებიის მზრუნველობისაგან მყუდროებადარღვეულმა; უნდომლად ხვდებოდა, უნდომლად ეთვისებოდა ახალ, ბილულ გარემოს, უინტერესოდ აღიქვამდა თვალის ზანტად ახელისას ამათაც, ვინც თავს დასტრიალებდა და ვისაც თავისიანებად შეიყნობდა შემდგომ, ჯერჯერობით კი იჭიჭე, ერთჩინა, საიდანაც ძალისძაღად გამოჰყავდათ. ეს ზედ სახის იერზე ეტყობოდა...

ის მოულოდნელი, უცნაური კითხვა რომ გაიკბადა, იმგვარი გრძნობა დაეუფლა თითქოს საკვირველი რამ აღმოეჩინოს.

რატომ უტრიალებდა თავში ახირებული კითხვები და ფიქრები? რად გადაექცა ჩვეულებად თვითდაკვირვება, თვითგანჩხრეკა? მე შენ გეტყვი, რამე სახარბიელო ყოფილიყო ამაში. სახარბიელო კი არა... არაფერი, გარდა იმის შეგნებისა გულის სიღრმეში, გინდ ყოფილხარ, გინდ არაო...

აი, ეთქვათ, მიდის სამსახურში მშვენიერი დილაა, არც ცუდ გეგნობსა უცაბედად შუა გზაზე დაგდებული ძაღლის ლეში დაინახა, თვალში შეეჩხირა ლელველი დატყულებული, მოწითალო მასა. გადადის მეორე მხარეს, ჩარბის ფერდოზე, რომ მოჭრას ხვეული სამანქანო გზა, თან მოულოდნელად ეკვიტება ფიქრი: რა განსხვავებაა, კაცმა რომ თქვას, მასა და იმ... გასრეხილ ძაღლს შორის? უყვირს... უყვირს ის კი არა, ამგვარი აზრი რად გამოიჩნდაო, უყვირს, რა მშვიდად, თითქმის გულგრილად იცნობიერებს ამ აზრს!

როცა ჩაიდაბლა და კვლავ გავიდა მოასფალტებული გზის პირას, ქვევიდან ამ დროს დიდმა წითელმა „იკარუსმა“ ამოუხვია; ფრთხილად გამოხედა მძღოლმა, ისედაც მძიმედ ამომავალმა ოღნავ კიდევ შეაწელა სვლა, ცოტა იქით განზე აიღო გეზი „რა იცის ამ პატიოსანმა ადამიანმა, თუ მე, ასე მხნედ რომ ჩამოვირბინე ეს თავდაღმართი, რა ფიქრი ამკვიტებია ახლა“.

როდის იყო, პირველად რომ შეეცადა, შეხიზვნოდა წარმავლობის ფიქრს? ეს კი ახსოვს: პირველად ისე, მხოლოდ ყრუ ნუგეშის სახით გაუელვა თავში ერთხელაც იქნება, მოელემა ბოლო ამ უაზრო, ვიანჩრულ არსებობასო.

მანამდე, პირიქით, უფროთხოდა არ ყოფნაზე ფიქრს. ასაკის ბრალი თუ იყო, წარსულს რომ ჩაბარდა კუკუმლობანას თამაში. თანდათან ნათლად შეიგნო: მოვა დრო, და შენ აღარ იქნები ამქვეყნადო. დღისით იშვიათად, ისიც ყრუდ თუ წამოუვლიდა ეს ფიქრი. მაგრამ ლამით მომხდარა, უეცრად გამოღვიძებია და ძლიერ შეუკავებია თავი დაყვირებისაგან, ცხადზე უცხადესად უგრძნია, აღარასოდეს, აღარასოდეს ვიარსებებო. თან ისე წარმოუდგენლად, შეუძლებლად მიიჩნდა ეს ამბავი, კიდევ წამით რომ გაგრძელებულიყო ამგვარი მდგომარეობა, ალბათ, სიგიჟე სძლევდა. პო, ასაკის ბრალი თუ იყო. სიკვამლეში ან ბავშვობაში უცხო იყო ამგვარი ფიქრი, უკეთ, ამგვარი სი-

ცხადე აზრის- თუმცა ერთხელ... ერთხელ.. შეიდი-რვა წლისა იქნებოდა მაშინ. მამაც ჭერ ისევ ცოცხალი ჰყავდა, დედაც. იმ საღამოს ყველანი ერთ ლოგინში დაწვნენ დასაძინებლად. დიდი, ძველებური ნიკელის საწოლი ედგათ. თვითონ მამის გვერდით დაწვა, მეორე მხარეს, თავშეკეცივით — დედა და უმცროსი ძმა. სიამტკბილობის რაღაც განსაკუთრებული განწყობილება დაუფლათ, ლაღობდნენ ძმები. ხან დედას ეფერებოდნენ, ხან — მამას, ისინიც არ უშლიდნენ. სწორედ რომ აღერისის მორევში ცურავდნენ. კარგა ხანს არ ჩაუჭრიათ სინათლე. ბოლოს ტკბილად ჩაეძინათ. ალბათ, დიდხანს არ გაუვლია, უეცრად გამოეღვიძა გულძვრებულს; მყია ლოგინზე წამოჭდა სიხნულეში, თვალები დაეკეცია, აუწყრელ ზაფრას აეტანა. გულს ისეთი ბაგაბუვი გაქონდა უეცირდა კიდეც, როგორ არ უკრთებათ ძილი დედას და მამასო. თან რცხვენოდა, არ უნდოდა, გაღვიძებოდათ, ამ დღეში ენახათ იგი. „სულ ხომ არ მეყოლება დედა და მამა, ხომ დასრულდება ერთ დროს ეს ნეტარება, ეს ბედნიერება“, — აი, რა აზრის საოცარმა სიცხადემ გაუფრთხო ანაზღად ძილი. რამ დასცა ელდა (თვითონაც ხომ არ იქნებოდა სულ მუდამ, ეს აზრი ჭერ არ უშფოთებდა გონებას). მამის ხმამ დააწყნარა ნელ-ნელა, მამის მშვიდი ხმის გაგონებამ; გაღვიძებოდა და თბილი აღერსიანი კილოთი ესიტყვებოდა, იმ კილოთი, რაც მხოლოდ მშობლივ ხმას აქვს. მეტად აღარ განმეორებულა იმ დამის კოშმარი. გახსენებას ყოველნაირად ერიდებოდა.

საზიზნავს კი მიაგნო თითქოს, მაგრამ ერთხანს მაინც ენანებოდა თავი, სიბრალული იპყრობდა საკუთარი თავის მიმართ. თავდაპირველად გამოუთქმელი განუახლებელი რამ იცავდა, რაღაც ზენა, უხილავი ძალის თბილი კალთა იფარავდა მერე და მერე დედა გაახსენდებოდა მოულოდნელად და ეს შველოდა. დედის გახსენებაზე კვლავ აღეძვროდა წინანდებური სიბრალულის

გრძნობა თავისი თავისადმი. გრძნობდა თავს უპირობო სიყვარულის ღირსად; ეგ კი არა, ის რომ მოაგონდებოდა, რა ჭაფას, რა გაჭირვებას იტანდა დედამისი, რათა ობლობა არ ეგრძნობინებინა უმამოდ დარჩენილი ორი ბიჭისთვის, როგორ დაქანკალებდა ორივეს თავზე, როგორ შეზაროდა მათ, როგორ უნდოდა, შეიღების დაეცაკეცებას, შეიღების ბედნიერებას მოსწერებოდა, ეს რომ გაუცოცხლებოდა სსოენაში, ლამის მკრეხლობად მიეჩნია უხეირო ფიქრების აყოლა: კარგა ხანს იფარავდა დედის სახე..

ჰო, იფარავდა, ოღონდ მისსავე მოგონებასთან იყო დაკავშირებული ყველაზე მწვავე სინდიას ქენჯნა. ქენჯნა კი არა, ნამდვილი წამება, თანაც გულში ღრმად ჩამარბული, ფარული, სხვას ვერავის რომ ვერ გაუმხელდა..

ახლა დანამდვილებით არ ახსოვს, ვისმა პატარა მოთხრობამ აღერევინა ის ჩემი, მდულარე ცრემლი ბავშვობაში. ერთი დაობლებული ბიჭის ამბავი წაიკითხა; დედა მოუყვდა იმ ბიჭს. ყოველ კვირას მიდიოდა დედის საფლავზე და მიქონდა ცოცხალი ყვავილები. დილას, ჭერ ისევ ძილდებილში მყოფს, ლოგინში ჩათბუნებულს, კვლავ მოაწვა ის წუხანდელი გრძნობა, გული ეფლითებოდა, ვერ გაერჩია, იმ ბიჭია თუ საკუთარი თავისა და საკუთარი დედის სიბრალულ-სიყვარულით. თვითონაც იმ ბიჭივით იქცეოდა თვითონაც ყვავილებით.. ცრემლი ებჯინებოდა ყელში, გრძნობდა, ცუდს ჩადიოდა, ასეთ ფიქრს რომ აპოლოდა; მაინც ვერ დაეოკებინა გულის აჩუყების მტანჯველი გრძნობა.

რა განსხვავებული გამოდგა წარმოდგენა და სინამდვილე!..

ხომ ეგონა, დარწმუნებული იყო, დღემუდამ დედის საფლავთან იქნებოდა ჩაჩოქილი, გულმდულარე ცრემლებით სახედასველებული, ვერ მოსცილდებოდა იმ ძვირფას, იმ უშმინდეს ალგას. მერე?!..

სტუდენტი რომ გახდა და პირველ წელს ჩავიდა მშობლიურ ქალაქში საზღვრულად. ერთ დღეს უცებ სირცხვილი იგრძნო გულში. „ამდენი ხანია აქ ვარ და სასაფლაოზე არ გავსულვარ“. გაუკვირდა და შეშფოთდა. „ნუთუ ასეთი უგულო ვარ?!“

მაინც სხვამ მისცა ბიძგი. გურიმ უთხრა მოულოდნელად გავნიძემ, კლასის ამხანაგმა: მოდი, ბიჭო, ერთი სასაფლაოზე გავიდეთო. იმას ბაბუა ემარხა იქ. მამა ომში დაეკარგა, და დედასთან ერთად ბაბუა ზრდიდა, რომელიც საოცრად უყვარდა.

წავიდნენ, მაგრამ ვაგლახ იმ წასვლას. ისეთი რამ შეემთხვა იქ. მერცხე, მრავალი წლის შემდეგაც, უცაბედად რომ წამოაგონდებოდა ის შემთხვევა მარტო მყოფს, საკუთარ თავთან პირისპირ დარჩენილს, გრძნობდა, როგორ ეკიდებოდა აღმური სახეზე, როგორ იწვოდა სირცხვილით. არც ერთი სხვა ფარული სირცხვილის გრძნობა, რაც ოდესმე განეცადა და გულს სიდრმეში ეტარებინა, ასე საშინლად არ აქამებდა.

გურიმ შესასვლელთან ბუდრუგანაში მოფაციფუცე დარაჯს თოხი და ბარი გამოართვა (ხელზე რაც აღმოაჩნდა მას). სწორედ წინდახედულად მოიქცა: იმ ზევისპირა მადლობის თავი, სადაც ბაბუამისი იყო დასაფლავებული, ერთიანად დაეფარა ხშირ, წელამდე წამოზრდილ გვიმრას. გურიმ ბარი გაუწოდა, თვითონ თოხით შეუდგა კაფვას. მოდი, ბარემ ვავსუფთაოთ აქაურობა, მერე დედაშენის საფლავზე მივიდეთო უთხრა. იქ გულიანად მუშაობდა, ძალაუნებურად ავიყოლიებდა. აუბა მხარეცელივით ხმარობდა ბარს. ამასობაში ჩამოცხა. სანახევროდ რომ გააკაფვინა და გააწმენდინა იქაურობა, ვერ მოითმინა, ბარი მხარზე გაიდო და გაემართა იქით, სადაც, ასიოდე ნაბიჯის დაშორებით, ბილიკის იქითა მხარეს, მოჩანდა მავნოლია და სადაც დედამისის საფლავი იყო.

კაცმა რომ თქვას, აქ ბარი აქვე აღავსდებოდა. ხელით გლეჯდა მწირ ალაგს ამოსულ მეჩხერ ბალახს დედისა და იმის მშობლების (იმათ არ მოსწრებია) საფლავებზე, რომლებსაც თუჯის დაბალი ლობე ჰქონდა შემოვლებული. საქმეს რომ მორჩა და ცოტა ხანს კიდევ იდგა უაზროდ, წამოსვლა დააპირა. ბარი აიღო და, ის იყო, გადმოდგა რამდენიმე ნაბიჯი. უეცრად განზე მიიხედა და გაშეშდა. ზედ ცოკოლის ძირას ტანის ზღაზენით მიიწევდა მიწის ქვეშ უხსენებელი. თვალი იმ დროს შეასწრო, ის-ის იყო, თავი შეუშფოთებლად რომ წაჰყო მიწაში. ზერელი თითქოს არ შეუნიშნავა, არადა, ისე იოლად მიარღვევდა მიწას (ასე მოეჩვენა), გეგონებოდა, ბლანტ რამ სითხეს მიაპობსო. „რაღას უყურებ! მიდი, მოჰკალჩქარა! დაჰკარ ბარი!“ — ჩასძახოდა შინაგანი ხმა, მაგრამ ფეხი ვერ წაედგა წინ, ვერ მიახლოებოდა, ვერ დაეძლია საშინელი ზიზღის გრძნობა. სახე დაემანჭა, კინაღამ გული აერია, ის რომ წარმოუდგა, როგორ დაიწყებდნენ სხმარტალს ბარის პირით შუაზე გაქრილი ნაწილები. „გველი კი არა, ძლოკვი უნდა იყოს“ — გაჰკრა თავში. როცა გახევებული მიშტერებოდა ნახევრად უკვე მიწაში ჩამალულ ტანს, რომელიც სლიპინა და რაღაც ხორკლიანი, ხოლო ამის გამო განსაკუთრებით ამაზრზენი ეჩვენებოდა. ეს ყველაფერი გაცილებით უფრო სწრაფად და მოულოდნელად მოხდა, ვიდრე ამ სურათის აღწერის მიხედვით იფიქრებდა კაცი. იგრძნო, როგორ დაასხა შუბლზე, ცხვირპირზე სიმწრის ოფლმა. ეს რა მოუვიდა, რა სილაჩრე გამოიჩინა, რა სილაჩრე! უღალატა დედას, ვერ დაიცვა! როგორ ეშინოდა, როგორ ეშინოდა საწყალს ქვეწარმავლის. ახსოვს, აქ რომ ამოვიდოდნენ ხოლმე (ეტყობა, აღდგომა დღეს ამოჰყავდა) და დასხდებოდნენ მიწაზე, უცებ შეკრთომით მიიხედ-მოიხედავდა, სადმე უხსენებელი არ იყოსო. იდგა ისევ ისე და თითქოს წამების გასასკეცებლად უკან მიჰყე-

ბოდა იმ მგლინაეს, თავისდაუნებურად მიჰყვებოდა კვალდაკვალ, ვერ შეეკავებინა თავი. თვალგზებზე ხელს იფარებდა, ყურებს იცობდა, არ დაენახა, არ გაეგონა, რაც მერე ხდებოდა, რაც შეიძლებოდა მომხდარიყო. დაგმანულ ყურებშიც ჩაესმოდა ის... ის... ის ერთბაში შიშინ-წრიბინი!; ოჰ, ნეტავ ეგ მაინც შესძლებოდა, ეღრიალა, ებღავლა ამ წუთს, ასე ხმაჩავარდნილი და გახვეებული კი არ მდგარიყო. ის მიამიტური რწმენა მაინც ჰქონოდა, უწინ რომ ჰქონდათ, რა არი განრისხების გრძნობა ამოენთხია, აღშფოთება გამოეხატა ყოვლის გამჩენის მიმართ მისეული წესისა და რიგის გამო...

ბავშვობაში ძლიერ უყვარდა დროს რომ შეურჩევდა დედას და მიეაღწერებოდა. თვითონ დედამის აგრეტივად არ უყვარდა მოფერება და არც ეცლა მოსაფერებლად. მაგრამ ზოგჯერ, როცა დივანზე წამოწვევებოდა და ისვენებდა, ოთახშიც განსაკუთრებული მუჟდროება დაისადგურებდა, მიუჭდებოდა გვერდით, მიუტანდა ტუჩებსა და ცხვირს ყელთან და ფრთხილად დაუწყებდა კოცნას. არაფერი იყო ქვეყნად ამაზე ტკბილი, ამ სურნელოვანი სიღბოსა და სითბოს სადარი. რაც უნდა მოწყენილი, რაც უნდა უგუნებოდ ყოფილიყო, წამსვე ყველაფერი გადაეყრებოდა გულოდან. ნეტა სულ სულ ასე ცხვირჩაყოფილი ყოფილიყო იმ სიღბოსა და სურნელებაში. ერთი რამ ვერ გაეგო მხოლოდ, რატომ მოიშორებდა ხოლმე დედა მალე თავიდან, რატომ ენანებოდა, ეცლია მისთვის ამ შეუღარებელი ნეტარებით დატკობა. თუმც იმ მკირედი, ხანმოკლე ალერსითაც ბედნიერი იყო ყველაფერა იფიქრებდა, იმას კი ვერ წარმოიდგენდა იმ წუთებში, თუ ამ ბედნიერების წყარო, ეს სიღბო და სითბო შეიძლებოდა გამქრალიყო. და ეს წარმოუდგენელი რამ სიკბადედ ექცა როცა თქვესმეტი თუ ჩეიდმეტი წლის ყმაწვილი კუბოზე დაიხარა ახალგაქრილი საფლავის პირას და, გამოთხოვებისას, ხელი დაადო

შუბლზე დედას (პირველად თავის სიციხულში შეაბო ხელი მიცვალბულს). მოულოდნელად განცვიფრების თუ გაოგნების გრძნობამ მოიკცა. ნაცვლად ჩვეული სიღბოსი და სითბოსი, რასაც თურმე ყოვლად გულუბრყვილოდ მოელოდა, დახვდა რაღაც უცხო, ცივი და მაგარი. არა, ეს არ იყო დედა, დედის სხეული. ეს სულ სხვა რამ იყო. სულ სხვა რამ...

ჰო, ვერ ეცრუებოდა თავის თავს, ვერ იტყოდა, დედის საფლავიკენ გული მიმიწვევსო. არადა, ხომ იყო განსხვავებული ზალხიც, ვინც მხოლოდ მოვალეობის გრძნობის კარნახით როდი მიდიოდა დედ-მამის საფლავის სანახავად-მეტადრე ერთი შემთხვევა აღებეჭდა მესხიერებაში.

ერთ ზაფხულს მშობლიურ ქალაქში რომ ჩავიდა არდადეგებზე, ახალი მეზობლები დახვდა: ქმარი, ცოლი და პატარა ბავშვი. ოთახის მეზობლები იყვნენ. საერთო კედელი ჰქონდათ, საერთო დერეფანი; დერეფანში გამოავალი ფანჯარა მეტწილად ღია იყო. ცოლ-ქმარს, ეტყობა, დიდი სიამტკბილობა არ ჰქონდა ერთმანეთში. თითქმის ყოველდღე უნებლიე მოწმე ხდებოდა არტუთ სასიამოვნო ოჯახური სცენისა: საღამოს შინ მობრუნებული კაცი დაისვამდა წინ ახალგაზრდა ცოლს და კარგა ხანს უკითხავდა ნოტაციას კატეგორიული, მენტორული ტონით, უკითხავდა მეთოდურად, დაკინებით- ეს იყო ხმა ადამიანისა, რომელიც შეპასუხებას, შედავებას ვერ მოითმენდა. ცოლი საკმაოდ მოსული ქალი ჰყავდა; თვითონ ერთი ტანმოორჩილი, ხმელ-ხმელი კაცი იყო, მაგრამ, რომ დააკვირდებოდი, ერთხანს თვალს მიადევნებდი, რადაცნაირ აუხსნელ, უცნაურ, მჭახე ძალას გაგრძნობინებდა. გულში ცოტა არ იყოს, ანტიპათიის გრძნობა გაუჩნდა ამ პატარა დესპოტის მიმართ. და აი ერთ საღამოს მოულოდნელად ახმედმა (ასე ერქვა ახალ მეზობელს) თავის ოთახში შეიპატიეა. რატომ წამოუარა ამ სურვილმა, ღმერთმა იცის. მა-



ნამდევსიერად არც კი გამოლაპარაკებოდნენ ერთმანეთს. დაუჯდა და ბაასი გაუბა, თავის შეხედულებებს უზიარებდა ცხოვრების ავკარგზე. ლაპარაკობდა მკვეთრი, მკაფიო გამოთქმით, ოღონდ დაბალი ხმით. თანდაყოლილი სიმკაცრე და სიმკანხე იყერიგად არ ემჩნეოდა ხმაში. ლირიკული აღსარება და ეს პირქუში ადამიანი შორისშორ იყვნენ ერთიმეორისგან, ეგ კია, გული ოღნავ გაეღო ახლა- ლაპარაკს მოჰყვა და ძალზე ბუნებრივად, ძალზე ადამიანურად თქვა: ყველაზე დიდ შვებამს დედის საფლავზე ვპოულობ; დედის საფლავზე როცა ვარ, თავს ბედნიერად ვგრძნობო. როგორ შენატრა ამ კაცს, ეს რომ გაიგონა, როგორ შეშურდა მისი; იგრძნო, როგორ ერყყოდა საფუძველი წინანდელ ანტიპათიას.

თვითონ რალა სკირდა? არაერთხელ ჩაღიქრებია ამას, უცდია, საკუთარ გრძობებში გარკვეულიყო, გულისგულში ჩაეკვირებია. ერთხანს გარშემო უტრიალებდა ნამდვილ მიზეზს. მერე ჩასწვდა კიდევ, თუმცა იმ ნაწვდომ ბრს ჩემად ინახავდა, საკუთარ თავსაც კი უზალისოდ და, ცოტა არ იყოს, კოჰმანით უმტლავნებდა, არ შორდებოდა ია ფიქრი თუ ეკვი, იმ მიზეზს ჩემი უგულობის. ჩემი სიგლახის საფარად ხომ არ ვიშველიებო- ამ ექვს ერთხელ შემთხვევით მოელო ბოლო. მოგონებას კითხულობდა ერთი მგონის შეილისას, რომელიღაც გაზეთში დაბეჭდილს. კითხულობდა და უცებ განცვიფრებისა და სიხარულის წამოძახილი აღმოხდა, აღლეებისაგან გაზეთი კვირდზე გადადო. „გულქან, გულქან, — ბუბუბუტებდა გრძობამორეული, — ნუთუ ჩემს გულში იყექი; მაშ, შენც გამოგიცდია ეგ სატანჯველი. ბარაქა-ლა შენ, მაგ შენი გულახდილობისათვის, მაგ შენი პირდაპირობისათვის“. ეს ქალი უკვე ხანში შესული, თანამოსაუბრეა უმხელდა, რომ თავისი სათაყვანო მამის სამარე ერთხელაც არ ენახა ვერ მივდივარ მამის საფლავის

სანახავადო. ეინც მიყვარდა, იმყოფებულაღს რა მანახებებს. წარმოვიდგინე მისი მხედველობა და რანაირად ავიტანოო. ამ აღსარებამ მოსიყვარულე შეილისამ ერთბაშად შვებით ამოასუნთქვინა, თავისი განსაკუთრებული მდგომარეობის კანონიერება დაუდატურა, ფარულ მიზეზს ცხადყოფის უფლება მიანიჭა. „ჰო, იქ კი არა, აქ არის დედა, აქ, — ახლა უკვე გაბედულად ამბობდა იმას, რასაც წინათ, ზოგჯერ, უამური ფიქრით გაწამებული, გაუბედავად, ყოყმანით იტყოდა ხოლმე გუნებაში. „აქ არის“, — იტყოდა და ხელს გულზე მიიდებდა. ამით არ უცდია, მოვალეობის გრძობისაგან მთლიანად გაეთავისუფლებინა თავი, ოღონდ ის უთქმელი ტანჯვა კი შეუმსუბუქტა.

სამაგიეროდ უცნაური ფიქრი დასჩემდა. მთელი ქალაქი, ხალხით სავსე მოედნებითა და ქუჩებით, ლამის ნეკროპოლისად — მოაჩვენებოდა ხოლმე. მიდიოდა სადმე ქუჩაში, ისეთ ადგილას, სადაც მომეტებული ხალხმრავლობა იყო, სადაც ადამიანები ქიანტველებით ირეოდნენ და მყის ახირებული ფიქრი შეუძგრებოდა თავში: „სად უნდა დაიტიოს მიწამ ამდენი ცხედარი?!“ მერე იმასაც წარმოიდგენდა, რამდენი ათასი წელი იყო, რაც ადამის ტომი არსებობდა, მრავლდებოდა, თაობიდან თაობაზე მიწას ებარებოდა და გულწრფელად შეწუხდებოდა: „წაიბილწა და აყროლდა დედამიწა!“ ლამის მთელი მიწისქვეშეთი ერთ დიდ, ლეშით გაცხებულ სასაფლაოდ ქცეულიყო. აწუხებდა ისიც, წესიერი, სერიოზული ადამიანისათვის შეუფერებელი ამგვარი ფიქრი რომ უტრიალებდა თავში. არადა, ვერაფერი მოუბერებებინა თავისი თავისთვის. „რა ვქნა — იტყოდა ხოლმე გუნებაში, — რა ჩემი ბრალია, თუ თვალი ვერ ამირიდებია სინამდვილისათვის?!“

ჰო, იწვა ახლა ბნელს შეფარებული, გასუღრული, როგორც თევზი ჯილეში...

თუმცა ძნელი სათქმელი იყო, სად უფრო იწეა ახლა — აქ, თუ იქ... მდინარის ფაქტზე...:

არამხოლოდ ხედავდა გარედან საკუთარ თავს, თანაც ხედავდა საკმაოდ მკაფიოდ, როგორ ირწყვოდა ოდნავად შლამზე, არამედ ვერც გრძნობდა შინაგანად დიდ განსხვავებას ამ ორ მდგომარეობას შორის. ამას არ ეთქმოდა წარმოსახვის რაღაც უცნაური თამაში; ეს იყო ცივი, ფხიზელი გონების ნაშობი სიცხადე, თითქმის სინამდვილის ბადალი სურათი, რომელსაც მშვიდად, გულშეუძრავად მზერდა და რომელსაც ლამის შერწყმოდა კიდევ იმ სამშვიდეს ვერ უფრთხობდა ისიც კი, რომ ხედავდა როგორ წაეიტანებოდა საძიძვანად გვერდით ჩავლილი ონავარი თევზი. არ ეშინოდა, თავს ეულად არ გრძნობდა არათუ დღისით, არამედ ღამითაც, როცა აქ, ამ სიღრმეზეც ჩამოაღწევდა ხოლმე სიბნელე. ავირვებდა მხოლოდ ის, თუ რა სუფთა, გამკვირვალე ჩანდა ამ ადგილას წყალი-

მტკვარი და ანკარა?!

ფერი კიდევ არაფერი, გემო უნდა გეკითხა. თითქოს გაეხსინოს კიდევ იმ გემო, ისეთი შეგრძნება დაუტოვა ერთმა ხუმრობამ.

პატარა წვეულებაზე არიან თანამშრომლის ოჯახში. სასმისით ხელში ფეხზე დგას მათი კარლო, მათი შეფი, მათი ქურნალის მესვეური. ტურფა საქართველოს სადღეგრძელო თუა (ვერ მიატანა თამადის სიტყვას დროზე გულისყური). საგანგებოდ მტკვარზე ამხვილებს ყურადღებას კარლო. ამბობს, რამდენი სიბინძურე ჩადის შიგ ამოდენა ქალაქისა, რომ იგი მოწამლულია. მოულოდნელად ეშმაკური ღიმილი აუთამამდება სახეზე და იქ მსხდომთ გადახედავს:

— ასე რომ, თუ ვინმე თავის მოკვლას დააპირებთ, მტკვარში თავის დაბრჩობას არ ვირჩევთ.

შეიძლება იმიტომ, რომ უგუნებოდ იჯდა სუფრასთან, თუმცა გარეგნულად არაფერი ეტყობოდა, ამ, კაცმა რომ

თქვას, უწყინარი ხუმრობაა. ნიკიტა ხუმრობდა გულზე უკბინა. „რა შორსა ვართ ადამიანები ერთმანეთისაგან მაშინაც კი, — გაიფიქრა მწარედ, — როცა გვერდივერდ ვსხედვართ და თითქოს მხიარულად ველაპარაკებით ერთმანეთს“.

არა, არ გინდა მინც, იმისთანა ახირებული აზრი მოგივიდეს კაცს თავში, რანაირი წყალი ყლაპო დაბრჩობისას, სუფთა თუ ქუჭყინი?! თითქოს პაფიკინტელა ცინიზმიც ერია კარლოს, ჩვეულებრივ ტკბილად მოლაპარაკე ადამიანის, უწყინარ ოხუნჯობაში. ის პაწაწკინტელა ცინიზმიც კი ხინჯად ჩაჩაა...

განა რა საოხუნჯო, რა საქილიყო რამა თვითმკვლელობა. არადა, ზოგიერთი საქციელი სწორედ გაგაოცებს.

ერთი აეტორი პყავდათ შემოჩვეული. არც ფლავი იყო, არც ჩლავეი. რაღაცნაირი ჩემი, უსიტყვო შეუპოვრობა მოსდგამდა. დავა, კამათი არ იცოდა, არც საჩივლელად ზევით-ქვევით სირბილი სჩვეოდა, როგორღაც ისე ახერხებდა ეპიდან ეპაზე თავისი ლექსების ბეჭდვას. გავიდა ხანი და თვალში დააჯულდა ეს კაცი, ვისთანაც მხოლოდ ცივი, ზრდილობიანი სალაში აკავშირებდა. ველარ ხედავდა ჩვეულებრივად კარლოს მისაღებში მოყურყუტეს ანდა დერეფანში მომლოდინეს თავისი განუშეორებელი ააქალადღით ხელში. „რა არი, ცილა, რაღაც არ ჩანს ეს ერთი ხანია ჩვენი სამსონ აბულაძე,“ — შეეზრახა ისე, სხვათა შორის, თავის კოლეგას, ვინც პოეზიის განყოფილებას განაგებდა, როცა ერთხელ გვერდით ჩაუარა დერეფანში. „თავი მოიკლა“, უბასუხა ცილამ, სანახევროდ მოაბრუნა სახე. ოდნავ შეანელა ნაბიჯი და ისევ გააგრძელა გზა. „როგორ თუ თავი მოიკლა?! რითი მოიკლა?“ — შედგა და მიტრიალდა, გაოცებული მისჩერებოდა მიმავალს. „მტკვარში გადახტა“, — ცოტა უფრო მეტად მოაბრუნა თავი და ცოტა უფრო მეტხანს შეაყოვნა ნაბიჯი ცილამ. ეს რომ თქვა, თან რაღაცნაირმა დამცინავმა იერმა გადაჰკრა სახე-

ზე. არადა, ცილა მესხს, რაც უნდა იყოს, კულტურული ქალის სახელი ჰქონდა დაწესებულებაში. თვითონ სინანული იგრძნო ერთბაშად, რად მალიზიანებდა ის კაცი, რაღა მქონდა იმ უბედურის მიმართ გულში ცივი დამოკიდებულება.

თუკი ცილა მესხი, სოლიდური მანდილოსანი, ასე მოიქცა, რაღა მოეთხოვებოდათ იმ უბირ დალაქებს. ახლაც თვალწინ ედგა ერთი იმ დალაქთაგანის სიფათი, ჩიქორთული ქართულით მოლაპარაკის. წუხელის თერამეტი წლის გოგომ ჩვენს მეზობლად თავი ჩამოიხრჩო, ხმამალა, სასერიო ამბავივით ამცნო მეორეს და ხეპრულად გაიღრიქა. რუსეთიდან ჩამოსული ვიღაც გოგო ყოფილიყო, როგორც ჩანს, უთვისტომო, მდგმურად მდგარიყო. ვინც ყვებოდა, ის კლიენტის სავარძელში მოკალათებულიყო (მუშტარი არ ჰყავდა), სავარძელი მეორე დალაქისკენ შეეტრიალებინა; იმ მეორეს გაზეთი ეჭირა ცალ ხელში და ცნობისმოყვარედ უსმენდა. თვითონაც ყურს უგდებდა, იჭდა ყბებგააპანული და ცდილობდა, შიგნიდან უნებურად მოწოლილი ბრაზი დაეოკებინა. ვინ იცის, რა გასაჭირი ადგა იმ უბედურ დღეზე გაჩენილს. თანაც თერამეტი წლისა, გოცა სიცოცხლე უნდა უხაროდეს ადამიანს! რატომღა, რომ ზოგს სხვისი უბედურების გაგება თითქოს რალანაირ ხალისიან გუნებაზე აყენებს? „თქვე საცოდავებო, მოგეწყინათ აქ უსაქმობით და ნახეთ, რაღა, თავშესაქცევი. ხომ არ გგონიათ, ცას გამოეკრებოთ? ადრე თუ გვიან თქვენც მატლებით ამოგვეყვებათ პირი“, ცხარობდა გუნებაში.

პო, ვინ იცის, რა გასაჭირი ადგა იმ უბედურ დღეზე გაჩენილს..

რას იფიქრებდა, თუ აგერ შალვა ბართელისთანა მკვირცხლ, მოძრავ ადამიანს, რომლისთვისაც არასდროს, როცა კი სადმე შემთხვევით გადაჰყარა მეტროთი ან ტროლეიბუსით მგზავრობისას, არ შეუნიშნავს დაღვრემილობა, მოწყენილობა, ადამიანს, რომელიც

შეგზედებოდა თუ არა, ვაცხოვეტებდათ გაგზამდა ლაპარაკს, და ეს მრავალჯერ სრულიად ბუნებრივ ჩვეულებად, პო, რას იფიქრებდა; თუ ამ ადამიანს ისე გაუჭირდებოდა, რომ ჩაიცვამდა ერთ დღეს ძველ ტანსაცმელს, წაიღებდა თოკს, წავიდოდა ტყეში და... რამდენიმე დღის მერე შემთხვევით წააწყდებოდა მილიციელი ტოტზე ჩამოკიდებულს. იმ სიმაღლეზე ეკოდა, ნადირი ვერ შესწვდებოდა. „ნებისყოფია რა ძალა უნდა გამოეჩინა, თემო, ნებისყოფის რა ძალა, — ეუბნებოდა რეზო. ვინაი მეშვეობითაც იცნობდა შალვას და ვისგანაც შეიტყო ეს ამბავი, — რომ პირი მოკუმული ჰქონოდა... ენა არ ვადმოვარდნოდა.“

ბოლოს ტროლეიბუსში შეხვდა საწყალს. შეაღწია ხალხმრავალ სალონში და უცებ მის გვერდით აღმოჩნდა როგორ ხარო, შეეკითხა ჩვეული, ყოველდღიური, განურჩეველი ტონით. რაღაც უჩვეულოდ აფორიაქებული გამოეპასუხა და თითქმის მაშინვე წინ გაიქრა, მგზავრებს შორის დაფინებით მიიკვლევდა გზას, ტროლეიბუსი სწორედ გაჩერებას უახლოვდებოდა. სიძე მომიკვლათო ამის თქმაღა მოასწრო. როდის, როგორო, სახტად დარჩენილმა დაადევნა, მაგრამ იმან ორივე ხელი სწრაფად შეასწია, გაასავსავა, მეტი არაფერი ვიცი, ახლა სწორედ იქ მივდივარო. ბოდიში, თემოო, კარებიდან მოაძახხა (ამ ბოდიშით, ეტყობა, იმ ყესტის — ხელების მკვეთრი გასავსავების — შერბილება სურდა, ყესტისა, რომლითაც თითქოს უთხრა, რა დროს ეგ უქმი შეკითხვებიო).

ნამდვილად შეწუხდა. ცალკე იმ უდროოდ მზუდაბნელებულ ახალგაზრდა კაცზე შესტიოდა გული, ცალკე შალვა ებრალებოდა. ამაზე იყო ნათქვამი, გაჭირვებულ კაცს ქვა აღმართში მიეწიო. აი, ხათბალა, თუ გინდოდა... არცერთმა ჩვენგანმა არ ვიცით, რა ხიფათი გვიდარაჩებს კარის ზღურბლთან გულის-სიღრმეში მწვავე სირცხვილი იგრძნო, რასაც საკუთარ თავსაც ძლივს

უმხელდა, რატომ არ შემოძლია, ამის-თანა უბედურების დროს მხარში ამო-ვულგე კაცს, დახმარება გაეუწიო. აბა, რისი მაქნისებები ვართ, ერთმანეთის კი-რი თუ არ გავიზიარეთო. საკუთარი უმ-წეობის გრძნობა თრგუნავდა.

სალამოს, სამსახურიდან დაბრუნე-ბულმა, რეზოს დაურეკა. სხვა თუ არა-ფერი, მისასამძიმრებლად მაინც მივი-დოდა, უბრალო ზრდილობის ვალს მა-ინც მოიხდიდა. რეზო არ აღმოჩნდა შინ, ქალაქიდან გასულიყო. მერე ნო-დარის ტელეფონის ნომერი აკრიფა. კარგა ხანს ეწვალა. ნოდარს გაეგო ეს ამბავი და ბინაც სცოდნოდა, მაგრამ რაღაც უღიშლამოდ და გაურკვევლად უთხრა, ბანაშვილზე წასვლას, ალბათ, ვერ მოვახერხებო. არადა, ეკონა, შე-წუხებული გამოგვასუხებოდა და მაშინ-ვე დაუთქვამდა შეხვედრას. ასეთ დროს დაზარება არ იცოდა. სულო ცოდვი-ლო, იმასაც კი მოელოდა, მანქანა ჰყავს და ბარემ მანქანით წავიდოდიო. ერთი სიტყვით, სამძიმარზეც ვერ მივი-და. არ გასულა ამის მერე თენახევიარი თუ ორი თვე, ეს ამბავი შეიტყო.

საბრალო შალვას დელიკატურობა, თუ ეს სიტყვა შეიძლება ვიხმაროთ აქ, ამ საზარელ შემთხვევასთან დაკავ-შირებით, დიას. დელიკატურობის გრძნობით ნაკარნახევი ნაბიჯი, ვარი-ღება სახლა, ოჯახს და სხვაგან, მოშო-რებით, ძალღვივით გაეგდო სული, ეტ-ყოზა, მთლად საკმარისი არ უნდა ყო-ფილიყო. ამას ბუნდოვნად შეიძლება მანამდეც გრძნობდა, ამ მიხვედრით კი მოგვიანებით მიხვდა ერთი უბრალო შე-მთხვევის წყალობით.

რიგში დგას. გაბეზრდნენ ლოდინით. აღარ დაადგა საშველი პურის მოტანას-ვილაც ხანდაზმული ქალი მის წინ ჩი-ვილით ეუბნება მეორეს: „პურის ფასი გაათავადა. ყველაფერი გაძვირდა. რო-გორ უნდა იცხოვრო“. მერე დააყოლა: „სასახლე“ ჯდება ხუთი ათასი მანეთი“. „აბა, კვლარ მომკვდარხარ ადამიანი“, — ჩაიცინებთ თქვა იქვე მდგომმა მალა-

ლმა, თანხმელმა მამაკაცმა/წიგნთმწიკ ჩაეცინა. ჩაფიქრდა უნდა... მსჭვტე შეახსენებდა ხოლმე თავს ეს ფრაზა.

ჰოდა, იწუა ახლა ბნელს შეფარებუ-ლი, გასულდრული. ნელა ირწეოდა შლა-მის თავზე სუფთა, გამჟვირვალე წყალი... ვის არ ჰქონია რაიმე სანუკვარი ოც-ნება ბავშვობისას. მასაც ჰქონდა იღუმე-ლი ნატვრა, ცოტა არ იყოს, გულუბრ-ყვილო, ღიმილის მომგვრელი. ჰაუუ, როდის იყო ეს? რამდენი საუკუნის წი-ნათ?...

უყურებს ფილმს, რომელიც აჟე იწ-ყება: ჩალა დაუფენიათ ქუჩაბანდზე. შემოუხვევს ეტლი, მგზავრი თავს გა-მოყოფს სარკმელში და გამვლელს ეკო-თხება, ეს ჩალა აქ რად დაუგიათო. გამვლელი მოწინებით მიათითებს მე-ორე სართულის ფანჯრებს და იტყვის! მავსტრო (ესა და ეს) ავად არიან, ხალ-ხი უფრთხილდება, ეტლის რახრახმა არ შეაწუხოსო. ამ სურათმა შეძრა. „აი, როგორი სიყვარული უნდა ჰქონდეთ შენი. აი, რას ჰქვია ბედნიერება“. — ფიქრობდა თავის გულში.

„ახალგაზრდა კარუზოს“ ნახვამ სა-ღერღელი აუშალა. არადა, ერიდებოდა სულელური სურვილის გამჟღავნებას. როგორც იქნა, დადგა სასკოლო არდა-დეგები, გაეშურა სოფლიაკენ. იქ კი, მოგეცა ლხენა, შუაგულ ყანაში შევი-და, ტანაყრილ სიმინდებში შეიმალა, საიმედო ადგილას დაიგულა თავი, ვერც ვერავინ დაინახავდა, ვერც ვერავინ გა-იგონებდა, გინდაც მთელი ხმით ელრი-ალა. ჰოდა, სულწასულმა სქეჟა მანრი-კოს არია. დამახინჯებულად გაპყვი-როდა იტალიურ სიტყვებს, ისე. რო-გორც არაერთგზის მოსმენისას მოკყუ-რებოდა და დახსომებოდა. თითქმის სჭეროდა, ტოლს არ დაუღებდა იანკო-პურას, ვისითაც აღტაცებული იყო. ეს ერთი ხანია ფიზიკურ ვარჯიშს მისდევ-და და რატომღაც ეკონა, ღონესთან ერ-თად ხმის სიძლიერეც არაჩვეულებრი-ვად მომეტებოდაო. რაც შეეხება ტემპრს... ნუთუ მისი ხმა გულში არ ჩასწვდებოდა ყველას, ვინც კი გაიგო-

ნებდა? მას ხომ ისე უყვარდა ყველანი და ისე უნდოდა, ყველას ჰყვარებოდა, პოდა, ამ მის სულსა და გულს რა გა-
მოხატავდა უკეთ ვიდრე მისი ხმა, ხმის
ტემბრი... პირველ სამ ჰქვარს ომახი-
ნად დასძახოდა, მაგრამ მეოთხე სტრი-
ქონს რომ მიადგა და მალალი ნოტის
აღება სცადა, ერთბაშად ჩაუწყდა ხმა...
იმ მხედარივით დაემართა, თითქმის და-
რწმუნებული რომ არის, ყველა დაბრ-
კოლებას გადავლახავ და გავიმარჯვებ
ჩემი ბედაურის წყალობითო, უიმე-
დოდ კი ჩაფლავდება... რალა გაეწყობო-
და, უნდა შერიგებოდა სრულ ფიასკოს.

თუმცა მას აქვთ ბევრმა წყალობა ჩა-
იარა.

მადლობა ღმერთს, კარგა ხანია უკვე,
ღღარ ღრღნიდა პატივმოყვარეობის კია.
შინაგანი თავისუფლების საზღვრები
გაფართოებოდა, რაც თავისებურ შეე-
ბას ანიჭებდა. გრძნობდა, დასრულებუ-
ლიყო ის გზა, რომელსაც ხანგრძლივ
შეუღწნევლად მიჰყვებოდა... პირველად
რომ შეეპარა გულში არყოფნის ფიქ-
რი, ვილაც უსახელო იფარავდა, უკრ-
ძალავდა ამ ავბედ ფიქრს. შემდეგ დე-
და დედის სული ევლინებოდა ხოლმე
მფარველად. გაახსენდებოდა დედა და
გრძნობდა, რომ, მართალია, წინანდებუ-
რად აღარა, მაგრამ მაინც კიდევ ებრა-
ლებოდა თავისი თავი; მერე როგორ-
ღაც დედის ხაოვნაც მისუსტდა. აღარა-
ფერი უშლიდა ხელს, განურჩევლობის
გრძნობა დაუფლებოდა საკუთარი თავისადმი.

ზოგიერთი უწინდელი შემთხვევა მო-
აგონდებოდა და იმის ნიშნად, იმის თავისებურ მიჯნად გამოადგებოდა ხოლმე,
თუ რამდენად დაშორებოდა თავისსა-
ვე წარსულს.

მანქანით მიდიან. დედა გარდაეცვა-
ლა თანამშრომელს. გამოსვენებას უნდა
მიუსწრონ. წინ კარლო ზის, უკან —
თვითონ და კარპე, მათი თანამშრომე-
ლი, ცოტა უცნაური, ზოგჯერ როყოოდ
მოლაპარაკე კაცი. ცხელა, ცხელა, გიზ-
გიზებს თბილით. გმირთა მოედანზე
6. „მნათობი“, № 5.

მიაქროლებთ მანქანას. ცხელა, ცხელა, ცხელა
ხორშაკით სცემთ პირსახეში. ტვინს
ოდნავი მოდუნების საშუალებაც არა
აქვს, უაღრესად ფიზიკალია ყველა-
ფერს რასაც ხედავ თუ ისმენ, ძალზე
ცხადად აღიქვამ და განიცდი.

— სად ასაფლავებენ, თუ იცით? —
კითხულობს კარპე.

— მუხადგვერდში, ალბათ. „საბურ-
თალო“ დაიხურა.

— ამის ღმერთი არ იყოს, — მოუ-
ლოდნელად გული მოსდის კარპეს, —
მოკვდები და თბილისში ვერ დაიმარ-
ხები. ესეც სანატრელი უნდა გქონდეს
კაცს?! — ამას ისეთი ტონით ამბობს და
ისეთი სახით მიაბრუნებს თავს ღია სა-
რკმლისკენ, რომ მაააც ამ სიტყვების
გამგონებს, ლამის ტრაგედიად მოეჩვენ-
ნოს ეს ამბავი.

ახლა, ეს შემთხვევა რომ გაახსენდე-
ბა, უკვირს კიდევ, ასე როგორ იმოქმე-
და მაშინ ჩემზე კარპეს ამ ნათქვამმაო.
ჰმ, სად დაიმარხები... როგორ დაიმარ-
ხები...:

გულწრფელად აკვირვებდა მარმარი-
ლოს ქვებზე ამოკვეთილი წარწერები:
„დამსახურებული ექიმი“, „დოქტორი“,
„პროფესორი“, „აკადემიკოსი“... ან რა
დააიწიყებდა, ვთქვით, ბატონ დავითის,
მისი ყოფილი უფროსი კოლეგია, სა-
ხეს, გამოიმეტყველებას, როცა ერთხელ,
კარგა ხნის უნახავი, რუსთაველზე შეხუ-
და მიწისქვეშა ჩასასვლელთან და, ჩვე-
ულებრივ, ამ დინჯი ჭკვიის კაცმა, ცო-
ტა არ იყოს, აფუსფუსებულ-ამჩატებუ-
ლმა უთხრა, სამინისტროში მიმეჩქარე-
ბა, „კულტურის დამსახურებული მუშა-
კის“ წოდებაზე უნდა წარმადგინონო.
და აქ განსაკუთრებული ხმითა და იე-
რით, თითქოს ინტიმურ რამ საიდუმლოს
ანლობსო, დააყოლა: „წოდება რომ მე-
ქნება, ნეკროლოგი დაიბეჭდება“. ისე-
თი უჩვეულო სიხარული გამოეხატა სა-
ხეზე, ძალაუნებურად გაოცებული მი-
აჩერდა: „ერთხელ მოხვედი ამ ქვეყ-
ნაზე, — გაიფიქრა, — და წახვალ სა-
მუდამოდ, შენს იქით მარადიული უკუ-
ნია, უსასრულო წყვილიდი, და ეს ვი-

თომ არაფერი, რაღაც ქალაღდის ნაღ-
ლეჯი კი ამსთან შედარებით დიდი რა-
მე გგონია“. დავითი სისწრაფოდ გას-
ცილდა, სამინისტროსკენ ეშურებოდა,
თვითონ კი ერთხანს ისევე ისე იდგა ჩა-
ფიქრებული...

„განა უღარესი ეგოიზმი არაა, განშა-
სხვაგებელი ნიშნები, განსაკუთრებული
ადგილი, გამორჩეული საფლავი გინდო-
დეს შენთვის? სადღაა აქ თანაზიარო-
ბის გრძნობა მოყვასისადმი?“ პირცხ-
ვილით იგონებდა, რომ იყო დრო, როცა
მასაც სურდა განსაკუთრებული ალაგი-
როგორ არ ესმოდა მაშინ, რომ ამით,
სხვა თუ არაფერი, ღალატობდა შინაუ-
რებს, თავისიანებს, დიას, ღალატობდა
სულმდაბლურად, ლაზრულად. რო-
გორ?! იმათ განა რა დააშავეს, რატომ
უნდა გამორჩეოდა, რატომ უნდა გან-
ცალკეებოდა, რატომ უნდა განკერძო-
ებულყოფო? ან რითი სჯობდა, კაცმა რომ
თქვას, მათ? რითი სჯობდა სხვებს?...“

მიანც უქმაყოფილო იყო თავიკი
თავის. რაღაც ქენჯნა აწუხებდა ფარუ-
ლი. „ბარემ ბოლომდე გამოიჩინე პირ-
დაპირობა, ბოლომდე გაუსწორე ანგარი-
ში შენს თავს!“ — ეტყოდა ხოლმე ში-
ნაგანი ხმა, როცა შედარებით სიმშვი-
დის ეპი დიდგებოდა და უნებურად
ჩაიხედავდა საკუთარი სულის სიღრმე-
ში. „შენც ამხანაგი გეთქმის, მეგობარ-
ი გეთქმის!.. ერთხელ არ მოგიკით-
ხავს გურის ცოლშვილის ამბავი იმ უბე-
დურების მერე...“ დებეშა რომ მიიღო
და წაიკითხა, ერთი პირობა ვერ დი-
ჯერა, ვერ მიმხედარიყო, რა უნდა მოს-
ვლოდა ჟერ კიდევ ახლგაზრდა, საღ-
ალამათ კაცს ასე უეცრად. მეორედ წა-
იკითხა დებეშა. მესამედ... „გარდაიცვა-
ლა გური გავნიძე“ მერე რიცხვი და-
დღე ეწერა დასაფლავების. ხელს აწე-
რდა ლევან ბერიძე, მათი თანაკლასე-
ლი. რკინიგზის სადგურზე რომ ჩამოხ-
ტა და გურის სახლისკენ გაემართა,
გულის სიღრმეში მიანც კიდევ გაპკრავ-
და იმედის ნაპერწკალი, ეგებ ყველაფე-
რი ეს რაღაც გაუგებრობა იყო-
სო... რისი გაუგებრობა: დაღუპვა

და თანაც ასე უაზროდ...
მოველო მანქანით, საქორწინოდ ყვე-
ლი მაქვს საშოვნელი და ქარხანაში
წამყევით. წაყვავა და: მკედარი მოასვე-
ნეს უკან. ვიღაც ოხერი დასჯახებოდათ
გზაში. საცოდავი მარო დეიდა! წვითა
და დაგვით გამოზარდა შვილიო, სწო-
რედ მასზე ითქმოდა. ქმარი ომში დაე-
ღუპა, მერე მამა მოუტევა (გურის საყ-
ვარელი ბაბუა). დარჩა მარტოხელა ქა-
ლი. მბეჭდავად დაიწყო მუშაობა,
ძლივს გააქონდათ თავი ომი ახალი და-
მთავრებული იყო, ჳირდა ცხოვრება...
ასე დაამთავრებინა სკოლა, მერე —
დაუსწრებელი და ფეხზე დააყენა-
ბინად ერთი პაწია ოთახი ჳქონდათ, შიგ
თავი კედს ვერ მოიქნევადა. ბედად
(თუმცა, ვაი ამისთანა ბედს!) გვერდით
ერთი მოხუცი, უშვილიძრო ცოლქმარი
ცხოვრობდა. დაიხოცნენ და იმათი ოთა-
ხი შემოერთება მოახერხეს. წინ პატა-
რა, კოხტა აივანიც ჳქონდა ქუჩის პირზე
გამომავალ იმ ოთახს. სწორედ ამ ოთა-
ხში ესვენა. საბრალო მარო დეიდა (დი-
დი ძალის დატანება მოუხდა თავისი
თავისთვის, ამ გაუბედურებული ადა-
მიანისთვის შეეხება) გვერდით მისჯ-
დომოდა, ორივე ხელისგული მის მკე-
რღზე დაედო და თავითაც თითქმის ზედ
დანდობოდა.

მეუღლე კედელთან იჯდა სკამზე-
ორი ბიჭუნაც ნახა მიაი. ერთი-მეორე-
ზე უეკეთესები, წყნარები, ჳრდილები,
მოვლილები. რა ქნეს იმ ბიჭუნებმა,
რას შერებოდა უკაცო, მარჩენალის გა-
რეშე დარჩენილი ოჯახი? იცოდა რამე
მათი?.. კი, მართალია, საზრუნავი და
ჳპაანწყვეტა თვითონაც არ აკლდა, ლა-
მის თავი მობეზრებოდა ყოველდღიური
დაძაბული ყოფისაგან, მაგრამ, ნუთუ
ვერ უნდა მოეხერხებინა, ერთხელ მი-
ინც ჩასულიყო თავისი სიყრმის ქალაქ-
ში და მოენახლებინა მეგობრის ცოლ-
შვილი, საბრალო დედამისი?.. განა ამ-
ას არ მოითხოვდა გულითადი მეგობ-
რობის გრძნობა? განა ჩასვლა რომ მო-
უხდებოდა ხოლმე დიდი ხნის წინათ მი-
ბოვებულ მშობლიურ ქალაქში, სიხა-

რულს არ ჰკვრიდა იმის გაფიქრება, აქ გური გაგნიძე მეგულებათ? განა გული მოუთმენდა, ისე წმოსულიყო იქიდან, ერთი წუთით მაინც არ შეერბინა მასთან და არ მოენახლებინა? ბოლოს რა?.. დიდი ამბავი. თუ ხშირად ასხენდებოდა და გული ეთანადებოდა სინანულისაგან. ან რა დიდი ბედენა იყო, თუ ერთბაშად შეეცვლებოდა, წაუხდებოდა ხოლმე გუნება, როცა, ვთქვათ, ფანჯარას გამოადებდა, რა არი გრილი, სუფთა ჰაერი შემოსულიყო და თან წვიმის შხაპუნისთვის ეგდო ყური. პოდა, სრულიად მოულოდნელად წამოაგონდებოდა, ის ახლა იქ ღია ცის ქვეშ წევს უმწუოდ, მარტოდმარტო, წყალი თავპირზე დასდის, შენ კი აგერ მყუდროდ მოკალათებულხარ ოთახშიო. პო, რა დიდი ბედენა იყო, თუ ვთქვათ, დამკრახულ ყურძნის ბტევანს აიღებდა ხელში და უეცრად გაუშემდებოდა ხელი, ის ერთადერთი აზრი დაეფიქრებოდა მის გონებას, დაეფიქრებოდა ცხადად და დაუკითხავად, შენ აქ შეგიძლია პირი ჩაიგემრიელო, ის კი მოკლებულია მის საშუალებასო, და ყელში აღარ გადასდიოდა ყურძნის მარცვლი. ვისთვის რა ნუგეში იყო ამნაირი ფიქრი და ქცევა?..

ან ვისთვის რა ნუგეში იყო, თუ სიბრალულით გასცქეროდა ახალგაზრდა ქალს, რომელიც ცოტა უხერხულად ჩამომქდარიყო მიწისქვეშა გვირაბიდან ამოსასვლელ ცივ კიბეზე და რალაცნაირი ბავშვურ-მიამიტური ხმით ითხოვდა მოწყალებას — „დაეხმარეთ უსინათლოს“. მახვილს ბოლო მარცვალზე — „ლოს“ — სვამდა და უეშმაკო, გულუბრყვილო ინტონაციასთან ერთად ესევ თუ ქმნიდა გულზე მომხვედრ თხოვნის კილოს. ცრიატი დღე იყო, მოკამუელი ნაშუადღევი; უსიამოვნო, შემპარავი სიცივისაგან ოდნავ იბუზებოდა და მოშივებულს, მოლლილს შინისაკენ ეჩქარებოდა. შინისაკენ!.. ეგ კი, ეგ უსინათლო გოგო, აქ ქვის კიბეზე იჯდა ხელგაშვერილი და ვინ იცის, კიდევ რამდენ ხანს უნდა მქდარიყო ასე. ნე-

ტა ვის მოჰყავდა, ვის მიჰყავდა, ვინ მოჰყავდა ვინ მოჰყავდა? პირველად დაეხდა თავში ეს მარტივი კითხვები..

ამ დროს ვიღაც ცალფეხა მამაკაცი შენიშნა გვერდით. ფეხი მუხლს ზემოთ ჰქონდა მოკვეთილი. ყავარჩენს დაბეჭენილი ენერგიულად მიაბიჭებდა. ყავარჩენზე, იქ, სადაც ხელი ჰქონდა ჩაქიდებული, ბადურა ჩამოეკონწალებინა, შიგ რალაც ედო გაზეთში ვახვეულები. ფეხის ყოველ გადადგმაზე ის ბადურა წაქანდებოდა-წამოქანდებოდა, წაქანდებოდა-წამოქანდებოდა. უნებურად მიაცილებდა თავს. მოსწონდა, მხნედ, ყოჩაღად რომ მიაბიჭებდა ხეიბარი. გამოიარეს ხელიხელგაყრილმა კაცმა და ქალმა. შეჩერდნენ „სამხედრო ვაკრობის“ მაღაზიის წინ. ვიტრინაში გამოფენილ წიგნებს გადაავლეს თვალი. ის ხეიბარი არც შეუშინებიათ. ახლა ორად მოხრილ ბერიქალს შეეჩება მზერა. ძლივს მოლოდავდა საცოდავი. უკან, გამოქუხელ წელზე, ჯობი შემოედო გარდიგარდმო და ორივე ხელი ზედ გადაეწყო, რა არი ცოტათი შეღავათი ჰქონოდა სიარულისას. ჩამოიარა ორმა ბრგე ახალგაზრდამ. ბერიქალისთვის არც შეუხედავთ. თვითონაც რამდენჯერ ჩაუვლია გვერდით მოკაცული დედაბრძოლის და ყურადღება არ მიუქცევია, განსაკუთრებული არაფერი დაუნახავს ამაში. ახლა კი საგონებელში აგდებდა ეს ამბავი, თითქოს ჭვალი პირველად გაახილათ. ვინ იცის, რა წვანებას იტანდა ეს მოხუცი ქალი. როგორ იძინებდა ღამით? ალბათ, სულ წამომქდარი უნდა ყოფილიყო ლოგინში, უკან ბალიშები შემოეწყო. ერთს ადამიანურად ვერ დაწვებოდა. თვითონ, რაგინდ დაღლილიც ყოფილიყო, დიდხანა წრიალებდა საწოლში; როდის-როდის, გამთენიის ხანს ძლივს ჩაეძინებოდა ხოლმე. ეს მოხუცი ქალი კი... მიხედავი მაინც თუ ეყოლებოდა ვინმე? პოი, რამდენი ტანჯვაა გარშემო. რას უძლებენ ადამიანები!..

„ჯობს, სულ გაქრე. მიიკარგონ შე-

ნი საფლავი. ნუ გინდა, მოგაკითხოვნ ხანდახან შინაურებში და დაგხედონ. იყავ მარტო. ამით მაინც გაიზიარე დედ-მამის ბედი, იმათი საფლავების ბედი”.

ჰო, იწვა ბნელს შეფარებული, გასუდრულად...

სად უფრო იწვა — აქ, თუ იქ — წმინდა, გამჟღავნებულ წყლის ფსკერზე?

ნუთუ შენდრებოდა შმას სინათლე? შეედრებოდა ამ ვანს, მშვიდს; მყუდროს?

საოცარია, რა სიწყნარე დაისადგურებს ხოლმე ზოგჯერ ირგვლივ.

არსაიდან ჩამიჩემი.
არსაიდან ხმა.

ჩუ.
რადაც ხმა თითქოს მაინც აღწევდა სმენამდე.

შიაყურადა.
არა, არ ატყუებდა სმენა.

გულისყური იქით მიიპყრო, განაბული უგდებდა ყურს.

თუ რამე უყვარდა ცხოვრებაში, თუ რაიმეს სიყვარული შემორჩა, პირველ ყოვლისა — მუსიკის. სიკაბუყეში ზოგჯერ უნებურად გაუფიქრია: აი, ამ მელოდიის გაგონებაზე, ალბათ მკვდარიც რომ ვიყო, წამოვდგებო.

იმას, რაც შეეპოდა, ვერაფერით მელოდიას ვერ შეადარებდა, ყოველგვარ მელოდიაზე უფრო... ეს იყო ტიკტიკი... ტიკტიკი...

იგი მოისმოდა თხელ ტინარს იქიდან, სამზარეულოდან.

„ყოჩაღ, მაკა — შეაქო გულში მეუღლე, — გამოუვლია სამსახურიდან და წამოუყვანია. მართლა: დღეს ხომ პარასკევია“.

საბანში ჩამალული სახე ამოყო, ოდნავ გაახილა თვალები. გარინდებული უსმენდა.

უსმენდა.

სახეზე ნელ-ნელა ემჩნეოდა სუსტი ღიმილი.

ნეტა რომელი ოსტატის ფენჯი შეძლებდა იმ უცნაური ღიმილია გამოსახვას?!

2. პრემიისდროინდელი

ლადო კანდელაკი

„ე... წუთით მაინც დაბრუნდებოდეს ჩვენი ბავშვობა და ხალამაზე“.

ლადო ასათიანი

დღეს ვატო ჩამოდის! მიდის, მიეშურება. დილაა ადრიაანი. გზისპირებზე ბალახი დაცვარულა ჭერისევ გრილა. ირგვლივ სიწყნარეა. მამალი თუ დაიცივლებს სადმე, ეს კი არ არღვევს, უფრო გამოკვეთს ადრიაანი დილის ამ რინდა.

როგორ ელოდებოდა, მეტადრე ეს ბოლო დღეები! ცოტა შეუთვინდა ჩამოსვლა. გამოცდები ერთი კვირის წინათ დამთავრებულია კონსერვატორიაში (რომელ კურსზე გადავიდა ახლა მესამეზე?). ანეკო დეიდა უკვე ვეღარ ფარავდა ნერვიულობას („რატომ არ ჩამოდის? რა უნდა ამდენ ხანს თბილისში?“) კიდევ კარგი, გუშინ დაურეკავს ფოსტაში, ამაღამ „ბათუმს“ მოყვებენ, ბილეთი უკვე აღებული მაქვსო, შემოუთვლია; ვაგონის ნომერიც კი უთქვამს, ალბათ მეტი დამაჩქარებლობისათვის.

ყოველდღე გადადიოდა ხოლმე ანეკო დეიდასთან ამბის გასაგებად, ცდილობდა, მის გვერდით ეტრიალა. თქმით კარის მეზობლებად ითქმოდნენ. ისე კი ორივე ოჯახის წევრები ახლო ნათესავებივით გაშინაურებოდნენ და შეთვისებოდნენ ერთიმეორეს.

გუმანით გრძნობდა, ანეკო დეიდას რომ უნდოდა, მისის ბალი დაეხვედრებინა შეილისთვის. ბაღჩაში ურგიათ, ოდის გვერდით. დაბალი, უკენწერო, ფართოფოთლიანი ხეა. თითებზე ჩამოითვლიდი, რამდენი ცალიც ება. ეს კია, დიდრონი, წითელი, ხასხასა ნაყოფი აქვს. უნებლიეთ გაეპარებოდა ხოლმე მზერა ფოთლებს შორის მოკიანთე ნაყოფისკენ. განა რამეს ეტყოდა ანეკო დეიდა, გადასულიყო ბაღჩაში, მოეწყვიტა და ეგემნა. თავადაც სურდა, ხელუზლებელი ყოფილიყო ის ხე,

ერთი-ორი ნაყოფი მინც დახვედროდა ვატოს. თუნდაც ისე, თვალის საამებლად ობლად შერჩენილ რტოზე. გადაშწიფდა და სულ ონავარმა ბელურებმა გაკენეს. არა უშავს. თავად კახაშხალი უღვაა. უკვე შეითვალა. საცაა, დამწიფდება კიდევ.

ეს მსხალი, ცოტა არ იყოს, გამოშწივებად გადმოკიდულა აქეთ, ზედ გზის პირისკენ. ვილაცას ქვა უსერია, მოუხვედრებია, ის ადგილი დასჩეჩქვია; ჭერ უმწიფარია, ყუნწი მავარი აქეს და ვასძალიანებია. სხვა დროს ვერ მოითმენდა თვითონაც დასწვდებოდა ქვას და სტყორცნიდა, უფრო — ხელის ვასავარჯიშებლად (უყვარს მიზანში სროლა); ახლა ფიქრადაც არ მოსვლია ეს. კილაძეები ცხოვრობენ ამ ეზოში. ზაფხულობით ჩამოდიან ხოლმე. ნელი მისი ტოლა გოგო იქნება. თვალი მოუკრავს ზოგჯერ, ეზოში გამოსული დაუნახავს. ქვეცნობიერად უცდია, გული შევარდნოდა მასზე. ვერ მოუხერხებია. ტანფებს არა უჭირს რა, ცხვირი აქვს ჩაწყლუტული და ეს აფუქებს საქმეს. აფსუს, რა მოხდებოდა, ხელი არ შეშალა ცხვირს. აგერ, სამიოდე მოახლის იქით იდუმალი ნანდაური ეყოლებოდა. რა ფარული სიამის წყარო იქნებოდა მარტოოდენ ამის ცოდნაც. ეპ, იღბალი უნდა ყველაფერს.

უცებ შედგა. ერთბაშად სახე გაუბრწყინდა აღტაცებიაგან. ხარბი მზერით მისჩერებოდა იმ სილამაზეს, მის წინ რომ აიჭრა პაერში და მთელი ის არემარე გადაამშენიერა. თვალს მიაყოლებდა, როგორ მიფრინავდა, რა უცნაურად იქნევდა ფრთებს, თითქოს წრიულად ამოძრავებოს მათ, თანაც წაღმა კი არა, უკუღმა და ეა შობაბეჭდილება საკვირველ ეფექტს ქმნიდა. გადაუფრინა სიმინდებს და სადღაც იქით, იმნაიშვილების მხარეს, ტოტებგაფარჩხულ ხეებს შორის გაუჩინარდა. ეგერ მჭდარა, ლობის ძირას; ვერ შენიშნა, თორემ ერთ რამედ ღირს უეჭვრო, როგორ დაგოგავს ბალახში ლამაზფერება, გრძელნისკარტა..

საკვირველი ამბავი! ^{მისივე ხელით} თუნდაც სამი-ოთხი წლის წინ, (ახლა თექვამეტი უსრულდებოდა), უმაღ გავარდებოდა, აქოშინებული მიირბენდა ბიჭილოსას, ჩქარა თოფი გამოიტანეო, შესძახებდა; გამოეშურებოდნენ ორივენი გაფაციცებულები, თითქოს რაღაც სასწაულად — არც შეტი, არც ნაკლები — ზოხობი შემოფრენილა ამ მიდამოშიო; გზად-გზა სხაპასუპით ეტყობდა, სად დაენახა, საით გაფრენილიყო, ბიჭილოს გამახვილებული ბლლო ჰქონდა მონადირის, პოდა, ყოველ კუთხეს, ყოველ მოლიან ადგილს მიზევერავ-მოზევერავდნენ. ახლა არც მოპონებია ბიჭილო. ახლა ველურ აღტყინებას, ველურ ფინს მონადირისაა აღტაცების გრძნობა სკარბობდა. არადა, რა ახლოს იყვნენ ერთ დროს ერთმანეთთან ისა და ბიჭილო! ომის დროს, ბაეშეობის ხანაში, ალბათ ერთი დღეც არ გაუტარებიათ უერთმანეთოდ. ბარე ხუთი-ექვსი წლით უფროსი იქნებოდა ბიჭილო, მაგრამ ისეთი უწყინარი, დამყოლი ხასიათი ჰქონდა, არასდროს უგარძენია, ეგ დიდიო, მე კი პატარაო. რამდენჯერ მოულოდნელად გაუხარებია მას. ერთხელ ზამთრისპირზე, უკვე დაღამებული იყო, დასაწოლად ემზადებოდა დაღვრემილი, მობუზული; შემარლო უცებ კარი და ფეხზე გრძელქაფგამობული კულუმბური შემოაფრთხილა ოთახში. გრეცივით წამოხტა, აღარც სცივეს. გრძნობდა, აღარც უცანშიობა ახაოვდა. ერთხელაც — რა დაავიწყებს ამას! — დიდთოვლობაა, ახალშებინდებულაია, კოლონდლაშაა ჭერს არ აუნთიათ (ნავთს გამოზოგვა უნდოდა), პოდა, საგანგებოდ მისთვის გადმოვიდა იმხელა თოვლში, რომ უჩვენებინა.. არც მანამ, არც შემდეგ აღარ ღირსებია იმ იშვიათი, კეთილშობილი ფრინველის ნახვა. იმ ერთხელ გაიგონა და ისიც მისი პირიდან გაიგონა მესხიერებაში სამუდამოდ აღბეჭდილი სიტყვები:

„ა, ესაა ბოლოშავი“.

მერე, ომი რომ დამთავრდა და კლავ ჭალაქს დაუბრუნდა, მხოლოდ ზაფხულობით, არდადეგების დროს ესტუმრებოდა, ხოლმე მამისეულ ფუძეა ამასობაში, წამოიზარდა, შეღერდა, ჰოდა, მეორე კარის მეზობელი, ვატო „აღმოაჩინა“, მისკენ გაუწია ანგარიშმიუცემლად გულმა...

აი, ანდრო ებრაელიძის ეზო-კარი: ზედ ჭიშკართან ამოსულ წითელი ტყემლის ხეს შეავლო უნებურად მზერა. უჩვეულო, მუქ-მოწითალო ფერის ხშირი ფოთლების დანახვაზე (ნაყოფი უკვე მოღეული იყო) რაღაცის ცხარე სურვილი აღეძრა. თუმცა რისი სურვილი იყო ეს, ვერ გეტყვიათ. მერე გასცდა ტრიფოლიატი მალალ ღობეს, ასალო ბარამიძის დიდრონი ხეებით დაბურულ ეზოს რომ გასდევდა; ეზოს ბოლოში მომცრო მდელობი ესაზღვრებოდა გათავდა ის მდელობიც და მარცხნივ გადაუხვია. გზის ერთ მხარეზე ხშირი სიმინდი მოსჯაროდა უკანა ეზოების ფიცრულ ღობეს. აჰა, სადგურსაც მიატანა. ქვის დაბალი, მოგრძო შენობა იქსაქსებოდა ხეებს შორის. ბაქანზე რომ გავიდა, დამშვიდებული სცემდა ბოლთას. არც გაუგია, ისე გავიდა დრო. გული შეუჩქროლდა. როცა სადგურის მორიგის მიერ შემოკრული ზარის ხმა შემოესმა, იმის მიუწყებელი, მატარებელი მეზობელი სადგურიდან გამოვიდა და სულ მალე ჩამოდგებოდა. იდგა და ერთთავად აღმოსავლეთისკენ გაიქვირებოდა, როდის გამოილანდებოდა შორს ორთქლმავლის შავი სილუეტი. ისე მარჯვედ გამოეთვალა და შეერჩია ადგილი, დგანდგარით შემოჭრილმა მატარებელმა სვლამ რომ უკლო, ვაგონების ნომრებზე თვალეზმიცეცებულმა პატარა მანძილიდა გაიბრინა და სწორედ მეთავე ვაგონის კარების წინ აღმოჩნდა. მაშინვე დაინახა ვატო. ტამბურიდან ვაგონში შესასვლელი კარი ღია იყო და ჩანდა, იქვე, სარკმელთან მიმდგარი ახალგაზრდა ქალს რომ ელაპარაკებოდა.

— ვატო!
გამოიხედა, დაინახა, ^{მისკენ} ~~მისკენ~~ მოვდივართ. თუმცა არ დაძრულა. მატარებელი სულ ნახევარ წუთს ჩერდებოდა აქ. ის კი აჰ, ჩქარობდა... ვერ ოდნავ ეწყინა გულში, დანახვისთანავე რად არ წამოვიდაო, მერე ერთბაშად იგრძნო, როგორ დაწყნარდა. როგორ გაუარა იმ შეუმჩნეველმა მდელობებამ. რასაც სადგურის, მოლოდინის, დახვედრის ატმოფერო ქმნის ხოლმე. იდგა და შესტკვროდა ორივეს... ის ახალგაზრდა ქალი, ეტყობა, კარგი ნაცნობი იყო, ისე დანდობილად ემუსიფებოდა. ეგაც კონსერვატორიის სტუდენტი იქნებოდა, ალღომ უკარნახა (მერე გაიგო, რომ არც შემცდარა). ქალიშვილს, შესახებდავად ტანთხელს, თითქმის სულაბი აღნაგობის მქონეს, რაღაც ნაირი სალუჭი, „ქალაქური“ იერი ედო. გემოვნებათ შეგერილი იიაფერი კაბა ეცვა ნაზი ქსოვილისა (ფაიდეშინის?), თუმცა კაბაზე მეტად მიმზიდველობას სძენდა ფაქიზი იერი, თითქოსდა ალბეჭდილი მუსიკის, ხელოვნების სამყაროსთან ზიარების მადლით, სპეტაკი პირისკანი, აგრეთვე — კრიალა წვივები (არ ჰგავდა აქაური გოგონების ხორკლიან ფეხებს). მისი ქალური სინატიფა სურნელი აქაც კი სწვდებოდა... ქალიშვილს რომ მოსწყვიტა მზერა და ვატოზე გადმოიტანა (უნდა მოესწრო, საცა იყო, დაიჭვრებოდა მატარებელი), იგრძნო, მასაც როგორი ინტერესით მიაკვირდა, რა ცნობისმოყვარედ აკვირდებოდა, როგორ ეჭირა თავი. ლამობდა, არცერთი ძესტი მისი, მცირედი ნიუანსიც მიმიკისა, გამომეტყველებიან არ გამოპაროდა. სიამოვნებით რწმუნდებოდა, რა თავისუფლად, შინაგანად რარივ შეუბოჭავად ეჭირა თავი ვატოს სანდომიანი ქალიშვილის პირისპირ. იმე დაემშვიდობა მას და წამოვიდა კარებისკენ, ოდნავ ცვლილებასაც ვერ შეატყობდი სახის იერზე, ვერ იტყვოდი, „წელან“ (როცა ქალიშვილს ელაპარაკებოდა) და „ახლა“ (როცა უკვე დაშორებოდა) ორი განსხვავებული, ურ-

თიერთგამიჯნული დრო ყოფილიყოს მისთვის; იმ („განსაკუთრებული“) დროიდან ამ („ჩვეულებრივი“) დროში სრულიად უცვლელმა გადმოაბიჯა... აბა, თვითონ ყოფილიყო ვატოს ადგილას (თავისი მცირე გამოცდილებია მიხედვით წარმოიდგინა თავი მის ალაცს), რამოდენა ძალ-ღონის მოკრება დასჭირდებოდა! სულ ერთთავად დაჭიმული უნდა ყოფილიყო შინაგანად; ხომ შეიძლებოდა ვინმე უტიფარი თვალებით მოშტერებოდა შენთან მყოფ ქალიშვილს, ან მხარი გაეკრა ვითომ უცაბედად, ანდა რაიმე ფარსავი მომხდარიყო. ქალიშვილისკენაც ხომ უნდა გქონოდა მიპყრობილი ყურადღება, მუნჯივით ხომ ვერ იდგებოდი, ხომ უნდა შეგგეტკია ძალდაუტანებელი საუბრით. პოდა, როდისღა უნდა მოგეხერხებინა, როდისღა გეხელთა დრო, თავისუფლად, ხელშეუშლელად გესრუტა მისი სიახლოვის ნექტარი...

მემანქანე ვატოს ვაგონიდან ჩამოსვლას თუ ელოდებოდა, იმიტომ რომ, ჩამოხტა თუ არა (მანამდე თემური შეეშველა და ჩემოდანი ჩამოართვა, მეორე ხელში ჩანთა ეჭირა ვატოს), პო, ჩამოხტა თუ არა, მატარებელიც ნელა-რაყუნით აიძრა. ჩამორთმეული ჩემოდანი თემურმა მიწაზე დადგა, ვატომაც ჩანთა ძირს დადო, ერთმანეთს გაუღიძვს და გადააკონეს ერთმანეთით.

მიკითხვ-მოკითხვის ცერემონია არ გაუმართავთ, ფუქსიტყვაობას არ მოპყლიან.

აუჩქარებლად მოაბიჯებდა ვატო, ცალ ხელში ჩემოდანი ეჭირა, მეორეში — ჩანთა.

საშუალოზე მაღალი ეთქმოდა. შალის შარვალში ჩატანებული მოკლესახელოებიანი, მუქი კაკოსფერი პერანგი ძვალმსხვილ, ჭმუხ ტანს უჩენდა. თხელი შავი თმა უქან ჰქონდა გადავარცხნილი. წმინდად, საულვაშიანად ვაპარსულ შავგვრემანი პირისახის კანს მოათეთრო-მოლურჯო ელფერი დაკრავდა, თავისებური სიღბოს ელფერი, თბილისური შპრალი პავის ზეგავლენის

შედგე, რაც მის ვაგონში... მკერვი ბუნებრივ აღნაგობას სისიამოვნოდ ეხამებოდა. სალად, სუფთად გამოიყურებოდა. ნამგზავრობა, მოთენთილობა სულ არ ეტყობოდა.

თემური ჩემოდანს წაეტანა, თემცა ვატოა საკმაოდ მსუბუქად მოჰქონდა თავისი ხელბარგი. „მსახურისაა ეს ჩემი საქციელი, თუ თანაზიარისა?“ — უმაღლ იქვეუვლად გაჰკრა გულის კუნძულში. ვატო ფრად უბრალოდ დაჰყვანებას. არც გადაეცემა უჩქარია, ისე, თითქოს იქით აჩეჩებს. თითქოს ვალდებულადა თვლის, წამომიღოსო, არც გაპრანქვა-გაძლიანება უცდია. ძალდაუტანებლად, ბუნებრივად მოხდა ხელიდან ხელში გადასვლა და თემურს გუშინაა უთხრა, რომ ეს იყო თანაზიარობის, ურთიერთთანააწრობის გამო-მხატველი და არა ორთა შუა შინაგანი იერარქიის მანქანებელი ქცევა-

გზა შეუმჩნევლად მოკლდებოდა. თემური დროის ისეთ დინებას შერწყმობდა, როცა ადამიანს შენი ფიზიკური არსებობის შეგრძნობა გახარებს.

თავიანთი უბნის შუქას რომ შეუყვინენ, ეზოში თალიკო დეიდა დაინახეს, კაფანდარა, თავსაფარწაკრული ხნიერი ქალი. კუტიკარს მოადგა ვატოც მივიდა, მიესალმა, მოიკითხა. თალიკო, კუტიკარს იქით მდგარი, შინაურულად უღიმოდა, ეკითხებოდა რაღაცას. თემური შორიახლო შემდგარიყო და ძალაუწებურად თვალს ადევნებდა ამ შეხვედრას. თვითონ აქ რომ ჩამოვიდა ამ ზაფხულს, ასე პირველად შეხვედრისას მეზობლებთან, სულ ერთი წლის უნახაობის მერე, მაინც რაღაც უცხოობის ელემენტი იგრძნო, და იმაზე მეტი ემოციის გამოვლენა დასჭირდა, იმაზე მეტი შინაგანი ძალისხმევა, ვიდრე ეს საჭირო უნდა ყოფილიყო ძველებური ურთიერთობის აღსადგენად. ვატოს არავითარი ძალდატანება საკუთარ თავზე არ დამჩნევია, ისე განაახლა შინაურულ-მეზობლური კონტაქტი. თემურა მისი ეს უნარიც მოსწონდა.

დედასთან შეხვედრასაც არ გამოუწვევია გადაჭარბებული მგრძნობიარობა. ორივემ ბუნებრივი, ოდნავ თავშეკავებული გულთბილობა გამოამჟღავნა. ის დღე თვალსა და ხელს შუა გაიპარა.

მთელ სახლში ჩემი სიხალისის ატმოსფერო სუფევდა.

როცა ვატომ ჩემოდანი ვახსნა და ტანსაცმლის ამოღაგებას შეუდგა, ერთი ძველებური ფოტოსურათი ამოიღო და თემურს გაუწოდა უხმოდ, მრავლისმეტყველი ენატი: თემურმა ჩამოართვა, ცნობისმოყვარედ დახედა. სურათიდან ტანმომსხო მამაკაცი შემოპყურებდა, უცნაური ჩაცმულობით მორთული. ქვეშ ლათინური ასოებით ეწერა: „ენრიკო კარუზო“.

კარუზოს სახელი იცოდა (ვამაყებოდა კიდევ, რომ იცოდა; ბევრს ჭერაც არ გაეგონა ეს სახელი, ჭერ არ ეჩვენებინათ ეკრანებზე „ახალგაზრდა კარუზო“).

— რა როლშია აქ?

— ნადირის როლში უნდა იყოს.

სურათი მოწიწებით დაუბრუნა უკან.

ვატომ საბანაო ქუდი ამოიღო და დაანახა. მერე საბანაო ტრუსი უჩვენა.

— როგორია?

— მშვენიერია.

— ამხანაგმა მიმიპატიყა ქობულეთში. იქაურია.

— ჰოდა, გამოწყობილხარ კიდევ საქობულეთოდ. წასვლამ აპირებ?

— შეიძლება, ვნახოთ.

არ შეუმჩნევენიებია დაღონება, ვართუ მალე ზღვაზე წავიდეს ვატო, მე კი ისევ მარტო დავრჩეო.

სალამო ხანს სიურპრიზი ელოდა.

ანიკო დეიდა ლოგინს რომ უშლიდა ვატოს წინა აივანზე, თემურს ჰკითხა, ხომ არ გინდა, ამაღამ აქ დაიძინო. როგორ არ უნდოდა?! კიდევ კარგი, დედა არ იყო ახლა აქ. კვირადღობით ჩამოაკითხავდა ხოლმე ბათუმიდან ბებუის ანაბარა იყო დატოვებული. დედა დაუშლიდა: რა წესია სხვაგან ღამის გათევაო, უქმყოფილოდ ეტყოდა. შე-

იძლება, ბევრი ხევწნა-ლიქნით თავმებურებულსა და ოდნავ გულმომბაღის დაერთო ნება. ბებია კი არაფერს უშლიდა- მასთან თავიუფლად გრძნობდა თავს.

ანიკო დეიდამ ორი ხელი ლოგინი გაშალა, თვითონ ძირს ჩავიდა ქროხის მოსაწველად.

წამოგორდნენ გაშლილ ჰაერზე ტრუსის ამარა, ზემოდან ზეწრები წაიფარეს. ირგვლივ ბინდი და ღრმა, იღუმალი სიჩუმე ჩამოწოლილიყო. მხოლოდ საიდანაც კრიტიკობელას მოდუნებული კრიტიკი ისმოდა. მუქი ცის ფონზე გარინდებით მდგარი ხეების სილუეტები აღანდულოყო. თემურს ეგონა, გრძელ მუსაიფს შეჰყებოდნენ გვერდიგვერდ ნებივრად წამოწოლილები, ქვეყნის რამეზე ილაპარაკებდნენ, შიგადაშიგ კიდევ სასაბამოვნო განწყობით აღსაყვ დუმილს მიეცემოდნენ ხოლმე. მაგრამ მთელი დღის შთაბეჭდილებებით დაღლილებს მალე ძილი მოერიათ.

მორჩა, მზად არის!

თემური უკან დგამს ნაბიჯს, მონუსხელივით შეჰყურებს.

მერე, ყოველი შემთხვევისთვის, თოკს ხელს ჩასკიდებს, ჩამოწევს, ამოწმებს, მაგრადაა ჩამობმული.

მიდი, ბიჭო, იჯერე ახლა გული!

არა, ჭერ — ვატო.

— მოდი! — ეპატიყება.

ვატოს უარი — იგი იქვე ზის ჯორკოზე და ვერ გაიგებ, აღგომა ეზარება თუ ხათრს უწევს თემურს — წამით აბნეეს. აქ სწორედ ვატოს დაებადა ეს აზრი. თუმცა ხალისი და ეინი იმის გამო, რომ მხარი არ აუბეს, არ განელეზბია; აღარც დაუხანებია. ჭერ მარცხენა შემოპკრა, მერე მარჯვენა მიაცოლა- მუშტების ნანატრი დაშენა და „ფუიზ“ შექანება ერთი იყო. სქელი მტვერი შიგ ცხვირში შეეყარა, კინაღამ ხელა აუტყდა. იმავე წამს ნახერხით გატენილი ტომარა მიწაზე დაებერტყა.



პირი გადაუხსნა გულმოსულმა ტომარას, ტორით ამოიღო ნახერხი, ოდისქვეშიდან გაიტანა და გადაყარა ერთხელ, მეორედ, მესამედ... იმ ზომით ამოაკლო, ტომარის ყელი იმდენზე წაგრძელებულიყო, თოკი საიმედოდ შემოსჭეროდა, აღარ გამოცურებულყოფისევე ჩამოვიდა ვატოს დახმარებით, თავი წაუგრძობა და გადაუყვია, იმ გადანაკეცზეც მოუჭირა ყულფი. ახლაც დაიძვრინოს თავი! მერე მოგრძო რტო მოატეხა ოდისქვეშ კუთხეში მიყრილ, დანასხვებზე ბოლოს ტოტებს, მისდგა და ურტყა აქეთ-იქიდან, ბერტყავდა, ბღღვირს ადენდა, თითქოს ჭავრს იყრისო. „მგონი, კმარა“, — გაიფიქრა. ჭერ მაინც ფრთხილად ჰკრა მუშტი, გატიკნილი ტომარა მძიმედ შექანდა, მერე და მერე ვაუთამამდა, დასცხო და დასცხო; ის იყო, ეშში შევიდა... გაჩერდა ძალაუნებურად. მჭიდებზე დაიხედა. უხეშ ძვალს, ნახერხით გამაგრებულს, ხელის მტევის ძვლებზე კანი გადაეხეხა, საცაა, გადაეყვლიფებოდა, ეწვოდა.

— ეს თხერი... რამე კინკი უნდა შემოვიხვიო.

— ბინტი ჭობია ადი ზევით, კამოდის უჯრაში ნახე.

ფრიალ-ფრიალით ჩამოარბენინა ბინტის ორი ნაჭერი. ერთი ერთ ხელზე გადაიხვია, მოკეცილი თითები ზურგზე, მეორე — მეორე ხელზე. თავისუფალი ბოლოები მომუქულ ხელისგულეებში მოიჭკია ისევე განაახლა „იერიში“...

აქამდე კუნთების დაკიმვა-გავარჯიშებას უმთავრესად სიმძიმის აწვეითა და ტანის აზიდვით იყო ხოლმე ჩვეული. სიმძიმის ასაწვევად იყენებდა რაგინდარა საგანს: ქვას, უთოს, სადღაც ნაპოვნე ენგვიან რკინის ბურთულას... პანტელები მხოლოდ ოცნებაში წარმოესახებოდა. ასევე იყენებდა ტანის ასაზიდვად ყველაფერს, რასაც კი შეიძლებოდა შეხტომოდა და ჩამოკონწიალუბოდა. ამიტომ ეს ახალი სახეობა ვარ-

ჯიშისა, კრივის ილეთების შესრულება ახლებურ, მანამდე უჩვევედ გამოიყენებოდა. სიამოვნებას ანიჭებდა. ვარჯიში გულის სიღრმეში სხვაგვარ კმაყოფილები გრძნობასაც ჰგვრიდა. როცა იქნებოდა, ხომ გაიცნობდა ვინმე ღამაზ ქალიშვილს, აი, ისეთს, როგორც ეოცნებებოდა, ჰოდა, გულუშიშრად გაჰყვებოდა გვერდით, ვაღაზად ვერავინ ვერაფერს შეჰბედავდა...

ოღმა დაუცვარა შუბლი, ლოყები. ქშინავდა. აიქნია მკლავები, ჩამოყარა მოადუნა, თან წაიხარა. გაიმეორა იგივე მოძრაობა დაუწყენარდა სუნთქვითანი კვლავ აღგზნებული ჰქონდა. კიდევ სურდა ენერჯის დახარჯვა. ამოჩემებულ ალაგთან მივიდა. ოდა-სახლს შეყენებულ, ხის მაღალ, ორ მსხვილ ბოძს შუა, რომელთაგან ერთი სამზადის ფიცრულ კედელს ებჯინებოდა, კადონივით ფიცარი იყო მიჭედებული (იქვე იყო გაკეთებული საბუღარი). შეხტა ზედ ჩამოეკიდა. ერთხანს ირწეოდა. გაჩერდა. აიწია ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი... ითვლიდა გულში. ჭერ სწრაფად და იოლად აქქონდა ტანი, თანდათან შეუწუნლდა ტემპი. მეთერთმეტედ გაჭირვებით, ცალი ფეხის გაქნევით, აზიდა ტანი, მაინც შეეცადა, მხრისთავებით შეხებოდა კადონს. უცებ მის ცხვირწინ შავმა დედაღმა ამოყო თავი საბუღრიდან, დაკუყტილი თვალი შემოაფეთა და თავი უმაღლვე ჩამალა. მეთორმეტედ დაიწყო კიფხვა. „თორმეტი“ ქვედა ზღვარი იყო მისთვის. „ნორმის“ შეუსრულებლობა არ იქნებოდა. უკანასკნელი ღონე მოიკრიბა, ძალისძალად, მკლავების ძიგძიგით აქქონდა დამძიმებული ტანი, სისხლი სახეში მოაწვია. ჩამოხტა ვალმოხდილივით კმაყოფილი, მხარ-მკლავების უკიდურესი დაკიმვისაგან, კუნთების დაბერვისაგან სასიამოვნო შეგრძნობა ჰქონდა. ახლა შეიძლებოდა, ცოტა შეესვენა.

წინა აიგანზე ასასვლელი ხის კიბის ქვედა საფეხურზე ჩამოჯდა, ისე, რომ თავისუფლად დაენახა პირდაპირ, სამ-

ზადის კედლისკენ მჭდომი ვატო, საკრივე ტომარა ან ბოძი არ ჩამოჰფარებოდა. აქ, ოდისქვეშ, ჯერ კიდევ ვერ შემოელწია მზის მცხუნვარებას: დილიდანვე სუფთად დაგვილი, წყალმონასხურები სოხანე (რომელსაც ანიკო დეიდას ხელი ეტყობოდა) ჯერაც ინარჩუნებდა ცოტაოდენ სივარილეს. ვატო ისევ ისე იჯდა ჭოროჯზე. მისი იერისგან თუ არსებისგან რალაცნაირი სიმშვიდე იფინებოდა ირგვლივ. ნაწყვეტ-ნაწყვეტად ელაპარაკებოდა თემურს, დაბალი, თანაბარი, საკმაოდ მეტყველი ინტონაციის მქონე ხმით. კონსერვატორიის ამხანაგებს ასხენებდა. ერთ-ერთი — ლირიკულ-დრამატული ტენორი, როგორც თვითონ — კარგი მომღერალი დადგებოდა. მეორე იმედის მომცემი ახალგაზრდა კომპოზიტორია, მშვენიერი საამხანაგო უზიარებდა თბილისურ შთაბეჭდილებებს. იღუმელი ხიბლი ჰქონდა იმ ვარემოს, რომელში ყოფნაც ვატოს ბედმა არგუნა. მერე ფეხბურთზე ჩამოაგდო სიტყვა. „პაიჭაძე“... წარმოთქვა ხმადაბლა, გრძობით და, როგორც სჩვეოდა ხოლმე ზოგჯერ, მარცხენა თვალი ოდნავ მოექუტა. „საოცარია პაიჭაძე... ვინახავა მისი თამაში, თემო?“ — თვალბში შემოხედა მეყსეულად. თემურმა თავი გააქნია, არაო; სულაც არ უგრძნია თავმოყვარეობის პწყენა ან რაიმე უხერხულობა ამ ცნობისმოყვარედ, მაგრამ უზაკველი ინტონაციით დასმული შეკითხვისაგან. „ეს უნდა ნახო შენი თვალით... აი, გაიჭრა ბურთიანად კარისკენ. მის წინ ორი მცველია. ერთი აქეთ ეცემა, თემო, მეორე იქით ვარდება, ისე, რომ არცერთს არ გაკარებია“. ამას რომ ამბობს, ოდნავ მოკუტულ მარცხენა თვალს ზედიზედ აპაჭუნებს. თემურს აღტაცების გრძობით ევსება გული („თუ ხარ, ამითანა უნდა იყო!“ ეს ლეგენდა ბავშვობის თუ ყრმობის ხანისა ისეთ ღრმა კვალს დააჩნევს მის სულს, რომ ველარასოდეს შეურიგდება, ვერასდროს მერე გულმშვიდად ვერ მოისმენს, როცა ვინმე შეეცდება, პაიჭაძის

გაუტოლოს ან, მით უმეტეს, საამოჯობინოა სხვა ფეხბურთელს, ვისც ვინმე იყოს ის სხვა, გინდ შინაური, გინდ უცხოელი).

დრო ნელა, ამოდ, თითქმის შეუშინებლად მიედინება, ხან სულ ქრება მისი შეგრძნობა...

ქათამი აკრიახდა, გადმოფრინდა საბუდრიდან ფრთების ფათქუნით, კაკანო ატეხა.

თამაში მოუნდათ.

— წადი, ბურთი გადმოიტანე.

თემო გაიქცა, ალაგვზე ფეხით შედგა, თავისი სახლის უკანა ეზოში ჩახტა. რეზინის ბურთი ოდის ქვეშ ეგდო. სირბილითვე გამობრუნდა ბურთი ხელში შეათამაშა ვატოს წინ. თაკარა მზეში გავიდნენ წინა ეზოში. ძალაუნებურად აჩქარდნენ,

— მიდი, კარში ჩაღექი.

თემური ღობისკენ გაიქცა. ერთი ქვა იქით დადო, მეორე — აქეთ. შუა „კარში“ ჩაღვა, წაიხარა, გაფაცოცდა. ვატოს დარტყმულს მარცხენა ფეხი დაუხვედრა, მოიგერია, ბურთი უკან გაგორდა ბტუნვა-ბტუნვით, ვატომ მეორედ მოუნაცვლა, მარჯვენა მხარეს გაუტანა დაბალი ბურთი.

ხომ ისე სურდათ, ერთმანეთთან თამაშით გართულიყვნენ, მეტხანს გაძლებდა შეუძლებელი იყო. მზე ცოფიანი ძაღლივით იკბინებოდა. გწვავდა, ტანში გზრინავდა. შემოცივიდნენ ოდის ქვეშ, შემოაფარეს თავი. ჩამოსხდნენ ისევ.

მოშუაღდეგდა. პაპანაქებამ თანდათან აქაც შემოაღწია. შუადღის სიცხეს ამძაფრებდა ხის ბაყაყის გაბმული ბაიათი კიდევ უფრო — გულისწამლები ზუზუნ-ზრიალი და გაწულიება, ელექტროხერხის, სამხერხაოდან რომ მოისმოდა და ხვატით გათანგულ სივრცეს ავსებდა.

— წამო, ჩაის ფაბრიკის აუზში ვიბანაოთ, — თქვა მოულოდნელად ვატომ.

— სა-ად? ჩაის ფაბრიკის?!.. — თემურმა იფიქრა, ხომ არ მომეყურაო.

ჩაის ფაბრიკის ვეება შემოღობილი ტერიტორია ლამის „აქრძალულ ზონა-



სავით" შეუვალი ჩანდა. იქ გარეშე ვინმე აგრე ადვილად ვერ გაიქაჰანებდა. ის კი არა, ხბო ან თხა რომ შეპარულიყო მის ვრცელ ეზოში საიდანმე, გამორღვეული ღობიდან, მაშინვე „დატუსაღებული“ აღმოჩნდებოდა მრისხანე და უწყალო იასონას ხელით. ტანმკვრივი, თავგადაპარსული, გრძელღვავაშეპაკევეტილი, თვალეზბასიხლიანებული იასონა ნამდვილი არგუსი იყო. პატრონის ვიწვიში, ხეწნა-მუღარა მასზე არ ჰკრიდა. თუ რა დავიდარაბა გადახდებოდა ხოლმე საცოდავ პატრონს და რად უღირდა გაჭანჭლებული დავის მოგება, ეს იქიდანაც ჩანს, რომ ქალბატონმა თალიკომ, როცა მისი თხა ერთხელ ტყვედ ჩაუყარდა იასონას და დიდი ბრძოლის შემდეგ გამოიხსნა, სასწრაფოდ დეკემე აფრინა თბილისში. სასიხარულო ამბავს ატყობინებდა თავის ქალიშვილს, რომელიც იმხანად იქ უმალეს განათლებას იღებდა, და თავის დას, რომელთანაც ეს ქალიშვილი ცხოვრობდა დეკემეს ტექტსი (თავდაპირველი), როგორც მეზობლები ამბობდნენ, სიტყვასიტყვით ასეთი ყოფილა:

„თბილისი
გულნარას და კვასუნას
თხა მოვიგე
თალიკო“.

მართალია, ეს ამბავი ომის დროს მოხდა, მას შემდეგ აგრე შვიდი თუ რვა წელი ვასულიყო, ეს ერთი ხანია არც იასონა ჩანდა, მაგრამ უხილავი არგუსის მკაცრი თვალი მაინც დასტრიალებდა იქაურობას.

— მერე, შეიძლება? — იმის მაგიერ, შორს დაეჭირა, ვადათქმევიანებას ცდილიყო, თვისდა გაააყვრადვე თითქმის თანხმობის კილოთი იკითხა თემურმა.

— რატომ არ შეიძლება, — ისე უბრალოდ მიუგო ვატომ, რომ თემურმა უეცრივ გაიფიქრა, მეტისმეტად ხომ არ ვაზეიადებ ამ ამბავს; მართლად, ქვეყანა ხომ არ დაიქცევა, ამისთანა სიცხე-

ში წყალში ჩახტე კაცი და ცრტა/ტანმ...
გაიგრილოო.

ვატო კიბეს აუყვა და მალევე ჩამოვიდა ძირს ხელში რეზინის საბანაო ქუდი ეჭირა.

ეზოს გადაღმა გადავიდნენ. ოციოდენ ნაბიჯის იქით ხის მალალ მესერს მიადგნენ დაუყვენ მესერ-მესერ, და აადაც უფრო მოხერხებული ალაგი ნახეს, იქ გადაძვრნენ.

მდელობზე მიაბიჯებდნენ. პირდაპირ მიზნისკენ. თემური ცდილობდა, თავი აქეთ-იქით არ ეტრიალებინა. უხიფათოდ დაუახლოვდნენ დაბალ, წაგრძელებულ ადმინისტრაციულ შენობას, რომლის წინ, ცოტა მოშორებით, მოწყობილი იყო მომცრო მრგვალი აუზი-დიამეტრი ოთხი-ხუთი მეტრის სიგრძისა თუ ექნებოდა. თემურმა ქურღულად მიიხედ-მოიხედა. ირგვლივ კაცი-შვილი არ ჩანდა. ვატოს არ დაუყოვნებია, ტანთ გაიხადა, ყავისფერი საბანაო ტრუსის ამარა დარჩა (შინვე ჩაეცვა); თავზე მომწვანო ფერის საბანაო ქუდი მოირგო და ხელადვე ჩაეშვა წყალში. ნელა გაეყრა ბაყაყურით, მოპირდაპირე კიდემდე მივიდა, მოტრიალდა. ისევ იაე, ნება-ნება მოცურავდა აქეთ. ნიკამამდე წყალში ჩამალულს უთქმელი ნეტარება ეხატებოდა სახეზე. მისი ცქერის ბრალი იყო თუ სხვა რამ მიზეზმა დაახანებინა, ამას გარკვევით თემური თვითონაც ვერ იტყოდა. ის იყო, დააპირა შარვლის გახდა, რომ პირდაპირ, ასე, ოცდაათ-ორმოც ფეხის ნაბიჯზე, ვილაც კაცი დაინახა, მოასფალტებული ვანიერი ბილიკით აქეთკენ მოდიოდა. ამ კაცს ამ ვაგანია სიცხეში პიჯაკი ეცვა, ქვეშ ბოლომდე, ზედ ყანყარათომდე ღილებზე შეკრული მუჭი ფერის პერანგი მოუჩანდა. სახის გამომეტყველება მკაცრი, უფრო სწორად, გულდახურული, გაუცინარი კაცი-ნა ჰქონდა. მოვიდა, ზედ წამოაღვა აუზს და უფლებამოსილი კაცის კილოთი განაცხადა: „აქ ბანაობა არ შეიძლება“. ხმისთვის არ აუწყვია, მაგრამ მისი ნათქვამის კატეგორიულობამ,

მთელი მისი იერის პურიტანულმა სიმკაცრემ ისეთი დამთრგუნველი შთაბეჭდილება მოახდინა, ისეთი მრისხანე განკიცხვის ატმოსფერო გაამეფა ერთბაშად ირგვლივ, თემურს ეგონა, უმძიმეს დანაშაულზე წაგვასწრეს, რალაც საშინელება მოგველისო.

ვატო ამოვიდა წყლიდან, სველ ფეხს შარვლის ცალ ტოტში უყრიდა.

კანონიერების ცოცხალი განსახიერება ისევე ისე, მყარად, ფეხმოუცვლელად იდგა.

— არ ვიცოდი, თუ არ შეიძლებოდა, — თქვა ვატომ. აჩქარება არ ეტყობოდა, არც ადღეღებდა. ოდნავ ბრაზნარევი შინაგან დაძაბვას თუ შეამჩნევდი.

— როგორ არ იცოდი!

— არ ვიცოდი.

— ძალიან კარგად იცოდი.

— მტყუნის?..

გულმოსულმა ასწია თავი ვატომ, ამ დროს იგი პერანგს იტანიებდა შარვალში.

ამ მოულოდნელმა დაქაღნებამ, ბიჭურ-მამაკაცური ღირსებია მაჩვენებელი ტონით რომ იყო გამოთქმული და იმავე დროს, შესაძლოა, ოდნავ გულბერყვილობის ელფერს დაიკრავდა თუ ერთგვარი კეთილი ღიმილის მომგვრელად ქდებდა სიტყვა „მტყუნის“ თავისებური ფორმით ხმარების გამო, ბოლო მოუღო დავას. კანონიერების განსახიერება ერთი კი შეეყოყმანდა თითქოს, მაგრამ თქმით აღარაფერი უთქვამს. იგი განიარაღებული თუ არა, ღირსეულად მოგერიებული უთუოდ იყო. უკან თუმცე გაუზილებულნი ბრუნდებოდნენ, თემურს გუნება მაინც არ წახდენია. უგუნებობა, სჯაზნიდა ფარული სიამაყის გრძობა — აქი მათი მამაკაცური ღირსება შეუღახავი დარჩა ძნელი გამოცდის ეამს.

„Мин... миная Ан.!“ — ვატომ ჩაახველა ყელის ჩასაწმენდად, თავიდან იწყებს:

„Миная Анидаа“...

იგი შუა ოთახში დგას, წელზემით

წიშველი. თემური განაბტონს მისსურები. ისე უნდა მოისმინოს მისი ხმა გაიგოს, ერთი როგორ იმღერებს, ისე უნდა, პირდაპირ აული მისდის მოლოდინში.

— გააგრძელე, რა.

— იცი, რა ძნელი უაკომბანემენტოდ — თითქოს თავის თავს ეუბნება ვატო.

ანიკო დეიდა შემოდის. კარებთან ჩერდება. ცოტა ხანს ჩუმადაა.

— ურმული გვიმღერე, ვატუნი.

— მერე, დედა.

„ურმულს“ წინათ მღეროდა ხოლმე დედის ან რომელიმე მეზობლის თხოვნით, როცა ჭერ კიდევ მუსიკალურ ინტერნატში იყო თბილისში და არდადეგებზე ჩამოდიოდა შინ.

თემურმა დრო იხელთა:

— მაშინ „თავო ჩემო“.

თვალებით მისციებია სახეზე. ჩანს, ვერ დაიყოლია.

— მალხაზის გამოსათხოვარი არია — არ ეშვება.

— როგორ მღეროდა ამ არიას ვანო სარაჯიშვილი!.. შესანიშნავი ფალცეტით ამთავრებდა.

— მაგას ფალცეტი არ ჰქვია, დედა, ფილირება ჰქვია.

ანიკო დეიდა უსიტყვოდ შესცქერის. შეკამათებას არ უპირებს. ახლოს მიდის ვატოსთან, უყნოსავს.

— დასაბანი ხარ.

დასაბანი იქნებიან, აბა რა, რაც დღეს ამით ამ ალბში იარეს, ნასაუზმევესვე გაუდგნენ გზას იმ სიშორეზე.

ეს სურვილი ვატომ გამოთქვა: წავიდე, არხში ვიბანათო. ეტყობა, ბანაობის ყინით იყო ატეხილი. გუშინდელმა ხელის მოცარვამ უფრო თუ გაუცხოველა ეს ყინი. არბი (ამ სიტყვას აქაურები მდინარის სახელწოდებასავით ხმარობდნენ) სოფლიდან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით იყო გაყვანილი. ვატოს თან მოჰქონდა თავისი საქობულეთო აღჭურვილობა. გადავიდნენ რკინიგზის გადასასვლელზე

და გაუყენენ არხის ბოგისაკენ მიმავალ თემშარას, რომლითაც საქონელს მიღნიდნენ ხოლმე სამოვრისაკენ. მარჯვნივ გასდევდა წნული ღობე, ღობის გაყოლებაზე მყავლის ბუჩქები გაბარდულდნო. ხელმარცხნივ გაშლილი იყო მინდორი, სტადიონად გამოყენებული. თავსა და ბოლოში უზადებებო კარები იდგა, ჩვეულებრივი ზომის ძელებისაგან გაკეთებული. უფრო იქით მჭირი საბალახოები მოჩანდა. მზე საშინლად აცხუნებდა, თემურს მაინც მოსწონდა ასე სიარული. ეს ადგილები ნაცნობი და საყვარელი იყო მისთვის, მაგრამ იმ განცდას, რასაც ბავშვობიდან შეთვისებული მიდამოების კვლავ ნახვა იწვევდა, ამჟამად ერთვოდა რაღაც სიახლის ბუნდოვანი გრძნობა. მარტოდენ საბანაოდ, ტანის გასაგრებლად როდი მიაბიჯებდა, თითქოს რაღაც თავისებური, ნიშანდობლივი ცერემონიალის ელფერი დაჰკრავდა ამ ერთობლივ სვლას წყლისკენ, წყლის ტურფა საუფლოსკენ, თითქოს წინასწარ ასინჯინებდა იგი მომავალი ნამდვილი ცხოვრების გემოს, იმგვარი ცხოვრებისას, ხელოვნება სიყვარულით, ხელოვნებასთან ზიარებით ვაფაქიზებული სულის პატრონს რომ შეეფერებოდა და შეშვენოდა. ვაბოს სიახლოვის ზეგავლენით, მის გვერდით სიარულისას აღტრბოდა ეს ქვეშეცენული გრძნობა.

ბავშვების გნისაი შემოვსმათ. გზის პირიდან ცოტა მოშორებით ფართო ოთხკუთხა ორმო იყო ამოღებული. შიგ, თიხისფერ წყალში, შეიღობრვა წლის ტიტლიკანა ბიჭუნები ჭყუმპალაობდნენ, წუწობდნენ, ყრიაშობდნენ. იქვე, ნაპირზე, გახურებულ მიწაზე პირქვეჩამხობილი იწვა რამდენიმე მათი თანატოლი. წამოხტა ერთი, გაქანდა დედიშობილა, აასაცილოდ სარცხვინელგაბზიკინებული, დაკრა ფეხი და ისკუპა წყალში. მას შეროე მიჰყვა...

გაცდნენ მოყრიაშულე ბავშვებს. კარგა ხანს იარეს კიდევ ბოლოს უწიეს არხის ბოგას.

ხარბად დაუწყეს თვალიერება. ვისებურად ღრმად ჩათხრილ ფლატეებიან კალაპოტს, აყოლ-ჩამოყოლეს თვალი. ვაგლახ! არხში წყალი დაწრტილიყო, გვალვისაგან სულს ღაფავდა, ალაგ-ალაგ ძლივს მიწანწკარებდა; მხოლოდ ერთგან, ცოტა ქვევით, პატარა საგუბარი ჩანდა, ტალახისფერი, კამეჩის ნაწოლივით მღვრიე. შიგ რომ ჩავდგე, წელამდე თუ მომწვდება წყალიო, ვარაუდობდა თემური. მაინც სძლევდა სურვილი. ოღონდ ერთი წყლის შეხება ეგრძნო, მეტი არაფერი უნდოდა ახლა. თავ-პირზე ხვითქი გადასდიოდა მიწას აღმური ასდიოდა. არემარე მირაყივით თრთოდა ამ თაკარა სიცხეში.

— ჩავიდეთ, ვიბანათ.

ვატოს ყოყმანი შეეტყო. იმ უზადრუე საგუბარს გასცქეროდა დაყინებით. მერე ნელა გაარხია თავი უარის ნიშნად. სახეზე ოდნავ ამრეზილობა დაემჩნა.

— ჩადი შენ, თუ გინდა.

ალარე თემურმა ინდომა, თუმც ცოტა კი დასწყყდა გული.

ერთხანს კიდევ იდგნენ, თითქოს ენა ნებათ აქაურობის დატოვებამ.

მერცხალმა ჩამოიჭროლა, ჩაეშვა ხევში, გააჩერა დაწურა ფრთები, თითქმის გაეკრა კალაპოტს, ერთხანს ასე მისრიალებდა, მერე აიჭრა მაღლა, გაინავარდა ცაში.

რალა გაეწყობოდა, გაბრუნდნენ უკან.

ხომ ვერ აისრულეს გულისწადილი, ხომ ტყუილად გამოიარეს ამსიგრძე გზა ამ პაანაქებაში, თემური მაინც არ ნანობდა აქ წამოსვლას. დაღვრემილი არ იყო ყურები არ ჩამოუყრია. ის უჩვეულო, ძნელად ასახსნელი გრძნობა გულში ღრმად დასადგურებული ბედნიერი სიხალისისა, რასაც ვატოსთან ერთად ყოფნა ჰგვრიდა ხოლმე, არც აქეთობისას განშორებია, განუყრელად თან ახლდა...

ჩადიან დაბლა, სამზადში. იქ ანიკო დეიდას ბუხარში ცეცხლი დაენთო კეცის გასახურებლად. ჩადგეს შიგ რკინის სამფეხა, ზედ წყლით სავსე ვედ-

რო შემოდგეს. მონახეს ძველი თუნუქის გუჯა, აიტანეს მალა, უკანა აივანზე. ანიკო დეიდა გააფრთხილეს, ერთხანა აივანზე არ ამოსულიყო.

თემურს უნდოდა, ჭერ ვატოს ებანავა არ გაუვიდა. სანამ თავს იბანდა, ვატო თავისი ხელით უსხამდა თავზე წყალს. ცხელმა წყალმა, საპონმა და ნეკამ საოცარი შვება აგრძობინა. „თითქოს ხელახლა დავიბადე“, — თქვა გულში. მერე ვატომ დაიბანა ტანი.

ამასობაში სამხრობის დრო დამდგარიყო.

გამოიტანეს სასადილო ოთახიდან მუშამბაგადაფარებული ოთხკუთხა მაგიდა, დადგეს აივანზე; გამოაყოლეს კამები. დალაგეს მაგიდაზე თეშვები. თემურმა ხელი წამოავლო აივნის მოაჯირზე შემოდგმულ დოქს, კიბე ჩაირბინა, გვიმთან მივიდა, ჯაჭვი ჩამოსწია, ოწინარმა კრიალი გაიღო. ვედრო სწრაფად ეშვებოდა ძირს. თემური თავის ანარეკლს ხედავდა ჰის ფსკერზე, სანამ ვედრო ჩასცდებოდა ჩაბინდულ სიგრილეში აქეთ-იქიდან უხვად გადმოშვებული სქელი, უცნაური იერის მქონე ფოთლების სარტყელს, დაეცემოდა წყლის ზედაპირს და წაპირქვევდებოდა. ამოსწია ვედრო, ამოიღო გაავსო დოქი, დარჩენილი წყალი გვერდზე, ლობის გასწვრივ გაყვანილ კვალში გადაღვარა. მაშინვე იქ გაჩნდნენ მოზრდილი იხვის კუჭულები, ბრტყელ ნისკარტებს უტვლიაბინებდნენ ახალგაჩენილ კონკყოს.

სველი დოქი მაგიდის შუაში დადგა. ქვევიდან უკვე მოისმოდა მკადის ფხეკის ხმა; ანიკო დეიდა ცაცხვის ფოთლებს ჩაუფენდა კეცს და იმას აცილიდა ახალგამომცხვარ მკადს, დანით ფხეკა და ხრიკინა ქერქს.

ვატომ შუაზე გაჭრა სქელი კეცის მკადი, გაჭრილ მკადს ორთქლი და მადისაღმძვრელი სუნი აუვიდა. მერე ერთი ნახევარი დიდრონ ნაჭრებად დაჭრა. ანიკო დეიდამ დერგიდან ყველი ამოიღო, პიტნიანი ნაღული გამოიტანა ფიალით. „ბოსტანში გადავალ, ახლავე

დავბრუნდები“, — დაიბრუნდა ჩაუყვია.

ისევ რომ გამოჩნდება, ცალი ხელით აკეცილი წინსაფრის ბოლო უჭირავს, მეორით პამიდორს, ქორფა კიტრს იღებს, მაგიდაზე აწყობს. ვატო შუშა კიტრს დასწვდება, ხელში შეატრიალებს, ჩაქებჩს, ახრამუნებს. „ამას გათლა რათ უნდა“, — ამბობს.

პამიდვრებში ერთი სულ პატარა ერია, მტრედის კვერცხის ოდენა თუ იქნებოდა. თემური იღებს ხელში, ჭერ ისევ თბილია მზისგან, ყუნწი ზედ შერჩენია. ყნოსავს. რა სუნი აქვს! სიამის ღიმი უკრთია სახეზე.

— დედა, დაჭეკი შენც

შეექცევიან უხმოლ ნაყრდებიან. ჰის ცივ წყალს აყოლებენ.

ნეტავი, მეფეები თუ სადილობდნენ ასე ვემრიელად?

მოსილამოებულა. წამოუჭროლა ნიავმა, აივანთან ახლო მდგომი კაკლის ფოთლები ააშრილა.

მოშორებით, იქ, საიდანაც ხეხილის ბალი იწყება, შავი ლეღვის ხეებია ჩარეგებული; მაღალი, სწორად აწვდილი ტანი აქვთ. კარგად დაუსხამთ.

მწუხრის ბინდი ეპარება მიდამოს.

სულს მშვიდი ნეტარება დაუფლებია და თითქოს ტკბილ ნირვანაში გადასულა.

დღეს წვიმიანი ამინდია. ოთახში არიან. მუჟაფთობენ, მასლაათობენ.

ვატო ფოტოსურათს უწვდის თემურს.

— ვინ არის, თუ იცი?

თემური დასცქერის. ვილაც ქალიშვილის სურათია. ოდნავ იჩეჩს მხრებს.

— დინა ღურბინია.

— კარგი ერთი.

— ჰო.

კიდევ დახედა ფოტოს; წინ უღვეს, მაგიდაზე. არავითარი მსგავსება. „თვალს მიხვევს, თუ რა?!“..

— დინა ღურბინი კი არა, ის არ გინდა.. — ცოტა არ იყოს, აგდებული ტონით ამბობს. — დინა ღურბინის სახე ვიცი.

ვატო ხედავს, ვერ დავარწმუნებო-
უტყდება:

— საცოლვა ჩემი.

ახლა სხვანაირი ყურადღებით აკვი-
რდება. სუსტი, ფაქიზი აღნაგობის ქა-
ლიშვილი. ბაღში, მერხის კიდზე ჩამო-
მჯდარა გვერდულად. თემური რატომ-
ღაც მოელოდა, ვატოს რჩეულს თვალ-
ში საცემი გარეგნობა ექნებოდა.

— მაგიტომ დამიგვიანდა ჩამოსვლა,
— უმატებს ვატო საიდუმლოს განდო-
ბის კილოზე. — ბორჯომში ავაკითხე-
იქ ისვენებს. მივაგენი პარკში, სკამზე
იჯდა. მივეპარე უკნიდან და ჩემებურად
დაუუძახე: „სიოუ“. უნდა გენახა, როგორ
წამოხტა და მოტრიალდა, რა გაოცე-
ბული თვალებით მიყურებდა

აი, ამას ჰქვია მამაკაცი, გული უბ-
რუნდება ვატოზე. წელანდელი უწყი-
ნარი მისტიფიკაციის ცდამ წყენა
აგრძნობინა. სატრფო ჰყავს, ააქო-
თხა, ნახა. თან რა მშვიდად ლაპარა-
კობს. არა, თავად ვერ შეძლებდა ამა-
ყოველ შემთხვევაში, ჭერჭერობით —
ვერა. სატრფო კი არა, უბრალოდ პი-
რისპირი რომ შეხვედეს ლამაზ ქალიშ-
ვილს. ძალა არ ეყოფა.

— რუდოლფ ვალენტინო გაგიგონია,
თემო?

— არა.

— მუნჯი კინოს მსახიობი იყო. ულა-
მაზეს მამაკაცად ითვლებოდა მსოფ-
ლიში.

თემური ინტერესით უსმენს. მწველი
სურვილი უჩნდება, ნეტა ერთი მანახა
იმისი სახე, როგორი იყო.

— ის რომ მოკვდა, ათასმა ქალმა
მის საფლავზე თავი მოიკლა.

— კარგი ერთი.

— კი-მეთქი.

როგორ დაიჭეროს ეს ლამაზი ზღა-
პარი? არადა, ისე ძალიან უნდა, დაიჭე-
როს თითქმის იჭერებს კიდევ.

— მას შემდეგ, ყოველ წელიწადს
მისი გარდაცვალება დღეს, ქალები მი-
დიან მის საფლავზე და დებენ თითო
ვარდს.

თემური არ უწყევს წინააღმდეგობას
გრძნობს, მოხიბლულია თავის გულში.
მართალია ეს თუ არაკი, არ ენაღე-
ლებო-ოდნავ შურს ვატოსი. საიდან
იცის ამისთანა რამეები?! აი, რას ნიშ-
ნავს თბილისი, ხელოვანთა გარემო.

თვითონაც შეუძლია, სწაღია, ელაპა-
რაკოს ხელოვნებაზე, გაუზიაროს თა-
ვისი შთაბეჭდილება, თავისი აღტაცება.
ბოლო წლების განმავლობაში ძლიერ
შეეცვალა გემოვნება, უვითარებოდა
თანდათან, ეხვეწებოდა. ამ მხრივაც
პოულობდა მეტ შინაგან სიახლოვეს
ვატოსთან.

რა იყო მისი ბავშვობის გატაცება, რა
შინაარსის კინოსურათებს ნახულობდა,
რა მოსწონდა? ომი. თავგადასავალი.
განსაკუთრებით ომი. გულიანად ხარხა-
რებდა, როცა, ვთქვათ, ეკრანზე ხედავ-
და, როგორ სდრუხავდა „ფრიცს“
თავში ჩაიდანს, პო, ჩაიდანა, რუსი მა-
ტროსი ივან ნიკოლინი, როგორ და-
რეტიანებდა და გააგორებდა.

გარდატეხა, ალბათ, ჩემი საოცნებო
ქალიშვილის“ ნახვამ მოახდინა. პირვე-
ლად მაშინ თუ იაზრა, მაშინ თუ მიხვ-
და, რომ ომზე, თავგადასავალზე მეტა-
დაც, სხვა რამე ყოფილა უფრო მიმზიდ-
ველი ხელოვნებაში.

უფრო და უფრო იზიდავდა მუსიკა
ლური ფილმები.

რამ დააეწიყოს „საყვარელი არიები“.

სიუჟეტი დიდი არაფერი, თუმცა სი-
უჟეტს რას დაეძებდა. სამაგიეროდ, რა
სიმღერებია, რა სახელებია..

ის როგორია, ჭინო ბეკი რომ თვით
მფრინავის ფრთაზე გავა და იქიდან და-
აცხებს ფიგაროს კავატიანას, რა არის
ხალხის ყურადღება მიიზიდოს, თორემ
თვითმფრინავიდან ჩამოსვლა არ გინ-
და?! რა შეაკაგებს გაგიცებულ თავყე-
ნისმცემლებს, ხომ გაბდღვნიან საწყალ
ტიტო გობის..

ცოტა არ იყოს, ეეკვებოდა, ფილ-
მად გადაღებული ოპერა თუ მოეწო-
ნებოდა- ამასაც გაუგო გემო „ჩამბა-
ზების“ წყალობით. ეს ფილმი ბოლო
დროს ნახა იგი მიაჩნია თავისი გემო-

ენების ახალი საფეხურის დამადასტურებლად და სწორედ მისზე სალაპარაკოდ ეშლება ახლა საღერდელი...

— „ჯამბაზები“ ვნახე, კინოფილმი... მაგარია...

პაუზა.

— მაინც რა არის ტიტო გობი, — ამ სახელის ხსენებაზე თითქოს ნათელი ეფინება ოთახს. — სამი როლი შეასრულო ერთ ფილმში, სამივე სულ სხვადასხვანაირი... მერე როგორ ასრულებს!...

ვატო უსმენს: ემოციას არ ამჟღავნებს.

— „პროლოგი“ დიდებულია, ტონიო — გადასარევი, სილვიო კი, სილვიოს ნულა იტყვი... ჩერ მარტო თვალტანადობა, თავდაპერა, მიხრა-მოხრა რად ღირს მისი.

მერე დასძენს:

— ერთი ვერ გამოვიდა მხოლოდ. რა უნდა ლოლობრიჯიდას, ამ ლამაზ თოჯინას, ამ ცოცხალ მანეკენს ნედას როლში.

ვატოს შეხედავს, ხომ არ გააკვირვა, ხომ არ შეაცბუნა ამ ჩემმა ნათქვამმაო. არადა, გულწრფელად ლაპარაკობს; რასაც ფიქრობს, იმას ამბობს.

ვატო ღინჯად, ოდნავ შემწყნარებლურად შემოსცქერის.

მან ყველაფერი მოისმინა, ყველაფერი იგრძნო, მისცა თემურს გულისხმადების გამოთქმის საშუალება, გაიზიარა კიდევ მისი ალტაცება, თვითონ კი შინაგანად მღვრადი დარჩა, არ აფოფინებულა, ემოციის გადმოღვრის სურვილს არ შეუპყრია. თემურს გულის სიღრმეში ეს თვისებაც მოსწონდა მისი.

ნასადილევს ვატომ წიგნი გამოიტანა „ზალიდან“, თავის საწოლზე წამოწვა და გადაშალა. ახალი ლექსების კრებული იყო ცნობილი პოეტისა. ეტყობა, ანიკო დეიდას ეყიდა აქაურ „ცეკვავშორის“ მაღაზიაში. ორივეს სასიამოვნო მოლოდინის გრძნობა დაეუფლა. ვატომ კითხვა დაიწყო:

თბილისო, ჩვენი თბილისო
ფეთქვა ხარ ჩვენი გულისა.
პირს დაიყარე ვარდები
ათასი გაზაფხულისა.

მოეწონათ ეს პირველი სტროფი. ვატომ კითხვა განაგრძო. მერე უფერული სტრიქონები მოჰყვა ერთიმეორეს. ჩათაეება აღარ ღირდა. ვატო ხან ერთი ლექსის კითხვას დაიწყებდა, ხან — მეორისას. მალე სულ გაიანება თავი. არც ერთი სტრიქონი გულს არ ეკარებოდა. პეტრისმეტად ნაცნობი განწყობილებანი. შაბლონური გამოთქმები.

ვატო წამოდგა, ლექსების კრებული უკან წაიღო. სხვა წიგნი გამოიტანა, თხელტანიანი; ავტორს უცნაური გვარი ჰქონდა „ხინველი“. ვატო ლოგინზე ჩამოჯდა, კითხვას შეუდგა, ხმადაბლა, ოღონდ თემურის გასაგონადაც.

კოტა ხანში უესტ-მიმიკა გამოუცოცხლდა. ასწევდა თავს, შემოხედავდა იქვე სკამზე მჯდომ თემურს. აზიდავდა ცალ წარბს, ერთს ჩაიღიმებდა თუ ჩაიციინებდა მისებურად, მარილიანად, თან ოდნავ ეპუტებოდა მარცხენა თვალი. ხანდახან ორივეს ფხუკუნი წასცლებოდა. თემური ადგა სკამიდან და საწოლზე გადაჯდა, ისიც ჩაპყურებდა წიგნს. „რა ეშმაკის ერთია“, — ჩაეციინებოდათ მოთხრობის გმირზე შიგადაშიგ. „ნახე ერთი, — სურათს დააცქერდნენ, — ბახმაროს პაერი მოაქვს გულით, გულა მხარზე მოუგდია და რავა გულიანად როხროხებს“.

სხვა დროს, სხვა ვითარებაში ეგებ ასეთი ყურადღება არ მიექცია ამ წიგნს, ახლა კი გუნება გაუმზიარულდათ. ან იქნებ ემზიარულებოდათ, ეციინებოდათ და ეს წიგნი მხოლოდ საბაბი იყო? ეგ კია, აეკვირებოდათ ამ წიგნის ყოჩალი, მოხერხებული, უღარდელი გმირის სახელი და სულ პირზე ეკერათ. „ლევარსი“, წამოიძახებდა მოულოდნელად ვატო, შემოაჩერდებოდა თემურს, ოდნავ მოწყურავდა მარცხენა თვალს. „როხროხადე“, დააყოლებდა თემური, ვატო გაიციინებდა მისებურად, მარილიანად,



თიბის უხმოდ, თითქოს ოდნავ კუქ-
კუქით თან მოწყურულ თვალს დააპა-
კუნებდა. თემურიც აპყვებოდა, იცინო-
და უღარდელად.

მთელი იმ საღამოს განმავლობაში
ხან ერთი, ხან მეორე ადგილიდან ისმო-
და: „ღვეარსი“, „როზროხაძე“. ამას
მოჰყვებოდა სიცილი: ეს უმიზეზო,
უზრუნველი სიცილი უახლეროების
ინსტინქტურ შეგრძნებას ამხელდა.

ეგპ, როდის გავიდოდა ნეტავ ორი
წელიწადი, როდის მოესწრებოდა სკო-
ლის დამთავრებას. გული ერთსა და იმა-
ვე დროს ტკივილითა და ნეტარებით
შევექმშებოდა ამის გაფიქრებაზე. სჯე-
როდა და არცა სჯეროდა, თუ ეს დღე-
სასწაული როდისმე დაუდგებოდა. დღე-
სასწაული იქნებოდა. აბა, რა... რა
ლაღად გამოვიდა ფრთას... რაოდენი სი-
ამე, რაოდენი სიხარული ელოდა წინ.
სისიამოს, სასიხარულოს რა გამოღვე-
და ამქვეყნად!

3. კვანძა გულიანა...

...დიდი დროშა დაიშალა-

ილია:

იმ თებერვლის დღეს დილიდანვე ეტ-
ყობოდა ნავსიანობა.

კი, წადილი, სიხარული წინანდებუ-
რადვე ძლიერი იყო გულში (ან, იქნებ,
არც იყო წინანდებურად ძლიერი?),
ოღონდ ძველებური ეშხი არ ჰქონდა
ჩვენს ადგომას, ჩვენს შინიდან გასვლას.

წინათ უთენია ავდგებოდით ხოლმე
მე და ბიძაჩემი, ჭერ ისევ დილაბნულ-
ზე; ჩვენი მარხი, ირლანდიური სეტე-
რი, ერთ ამბავს შექმნიდა, გადარეულს
დაემსგავსებოდა, წინა თათებით ხან
ერთს, ხან მეორეს მოგვახტებოდა, გარ-
შემო დაგვტრიალებდა. გარბოდ-გამორ-
ბოდა, წყმუტუნებდა, ზოგჯერ ყეფაც
წასდებოდა, ბიძაჩემი მყის დაუტევ-
და, დატუქსავდა, მეზობლებს ჭერაც
გულის ძილით ეძინათ. გარეთ, ქუჩაში
7. „მნათობი“, № 5.

რომ გავიდოდით, იქაც სრულად მოს-
რება სუფევდა. კაციშვილი არ ჰკვანძე-
და. ჩვენი ფეხია ხმა ასფალტზე, უნე-
ბური ჩახველებაც კი უხერხულ, მყუდ-
როების შემლახველ ხმაურად გაისმოდა.
გავუყვებოდით ფეხით (ავტობუსები
სად იყო) და უკვე კახაბერს, სანადირო
ადგილს მიტანებულებს შემოგვათენ-
დებოდა.

ახლა რატომღაც გვიან გამოგვეღვი-
ძა, გვიან წამოვდექით: ფანჯარაში სი-
ნათლე ლიცლიცებდა. ბიძაჩემი მაინც
დამაინც არ ჩქარობდა. აღარც მარსს
აუტეხია აღიაროთი, აღარც იყო ამ-
ქვეყნად. ახალი ლეკვი არ მოუყვანია
ბიძაჩემს. ეტყობა, გაზრდის, გაწვრთ-
ნის, მოვლა-პატრონობის თავი აღარ
ჰქონდა. ასაკიც აღარ უწყობდა ხელს.
ერთი გულსატეხი ცვლილებაც მომზ-
დარიყო: თავის კოხტა, შეჩვეულ „ზა-
ურს“ შელეოდა, გაეყიდა, მაგივრად
„იე“-ს დამკერებოდა.

ქუჩაში რომ გამოვედით, უკვე კარ-
გად მოსინათლებულიყო. აქა-იქ გამე-
ლელ-გამომვლელნი მოჩანდნენ. ბიძა-
ჩემს განეზრახა, ავტობუსს გავყოლო-
დით. სადგურის უკან რომ პატარა მო-
ედანია, იქითყენ ავიღეთ გეზი, ავტობუ-
სები იქიდან დადიოდა.

აქ იძულებული ვარ, შეეჩერდე. უკ-
ან დახევა მომიწევს, ცოტა რამ უნდა
გავიხსენო წარსულის, უფრო აღრინ-
დელი დროისა. ისე ვაითუ ვერ გაიგოს,
ბოლომდე ვერ მიხვდეს ამის წამკით-
ხველი იმ შეხვედრის მნიშვნელობას,
რაც იქ, მოედანზე გველოდა. მართლაც
და რა მოხდა იქ? გარეგნულად თუ ვი-
მსჯელებთ, არაფერი განსაკუთრებული.
შეხვდა ბიძაჩემს ერთი ვიღაც ნაცნო-
ბი, ილაპარაკეს ცოტა ხანს, მერე დავ-
შორდით. ეს იყო და ეს. მაგრამ, როცა
ის თავისი გზით წავიდა, ჩვენ კი ჩვენი
გზით წამოვედით, გულში ისეთი ღრმა
ტკივილი, ხოლო ბიძაჩემისა ისეთი სი-
ბრალული მქონდა, როგორც ჩემს
დღეში არ მქონია. არადა, ბიძაჩემი იმ
ყადის კაცი არ იყო, იმ ჭურის ადამი-
ანებს არ ეკუთვნოდა, ვისაც რაიმე

სკირს შესაბრალოსი. სულით სუსტი არასდროს ყოფილა, დრო-ვამამდე ჯანიც მოსდევდა. ჩხუბის მოყვარული იყო-მეთქი, სულაც ვერ ვიტყვი, ოღონდ წყენას არ შეირჩენდა, მცირედ შეურაცხყოფასაც არავის აპატიებდა იქვე მიუზღავდა სამაგიეროს; ამის მოწმე რამდენჯერმე ვყოფილვარ ბავშვობაში.

ის, რაც მან იქ, მოედანზე, იმ შეხვედრისას ჩემი თანდასწრებით, ჩემ თვალწინ განიცადა (ექვი არ მეპარება, რომ განიცადა) შეურაცხყოფაზე უფრო მწვავე იყო. ბავშვისთვის ის ვითარება, იმ ვითარების ფსიქოლოგიური თავისებურება გაუგებარი იქნებოდა. მაგრამ მე ხომ ბავშვი აღარ ვიყავ, სტუდენტი გახლდით იმეამად მეორე თუ პირველი კურსისა; არა, მეორე კურსის; სწორედ იმ ზაფხულს წაგვიყვანეს ყამირზე მოსავლის ასაღებად. მაშ, ეს ყოფილა ორმოცდაჩვიდმეტი წელიწ ბათუმში კი მანამდე, ზამთრის არდადეგებზე ვიყავ ჩასული.

შესაძლოა, ამ შეხვედრის თავისებურება, განსხვავება სხვა, აღრინდელი შეხვედრებისაგან, რომელთა უშუალო მოწმეც არაერთხელ ვყოფილვარ, მეც გამომპაროდა. თუ აგრე კარგად არ მცოდნოდა, როგორი იყო ხოლმე, ჩვეულებრივ, ეს შეხვედრები ბიძაჩემისა ნაცნობ-ამხანაგებთან, რა განწყობა, რა ურთიერთდამოკიდებულება მქლავდებოდა ხოლმე ამ დროს მათ შორის.

ერთი აღრინდელი შემთხვევა მახსენდება. ექვსი თუ შვიდი წლისა ვიქნებოდი მაშინ. მშობლიური ჩხუბის შემოგარენში ვართ. არზის ბოგა ვადმოვიარეთ მე და ბიძაჩემმა, მელორეები სადგომიდან მოედევართ, სადაც ჩვენი აყრილი ნეზეი გვყავდა დასამაიკებლად. რომელსაც ახლა შინისაკენ მიედენით. ირგვლივ მდებოდა, ეგერ-აგერ ძროხები ბალახობენ. წინიდან ბავშვების ყვირილ-წიოკი შემოგვესმა: „აპოლია ჩითა ხო! აპოლია ჩითა ხო!“ ეს სურათი მანცდამაინც არ გამკვირვებია: მანამდეც

წავსწრებივარ, როგორც ^{ერკონესული} ~~საშინელი~~ შესახედაობის არსებას — გონჯს, მაიმასს, სახედალანჯულა, ენაბლუს. მეც თუ არ მიმიბაძავს თანატოლების საქციელისთვის, უფრო იმიტომ, რომ ვერავითარ გასართობს ვერ ვხედავდი ამ მახინჯი არსების გაბრაზება-წვალებაში. როცა მშვიდად იყო, ჯერ მაშინ შეზარავდა კაცს მისი დანახვა, გაანჩხლებულს, სახეშეშლილს ხომ ნულარ იკითხავთ. ჩვენ რომ გავუსწორდით, აბეზარი ონავრები მოგერიებული პყავდა (ან, იქნებ, თვითონ დახსროდნენ, უკვე დასცხრომოდანზარტი); თუმცა ჯერ ისევ ზეზე იდგა თვალგადამოკარკლული. სახეჩაფითრებული (ჩვეულებრივ, მოლზე იყო ხოლმე წამოწოლილი; ძროხება თუ მწყემსავდა). ის იყო, გამოვცდით, უცებ, ბიძაჩემი მიბრუნდა მიაკენ წავიდა, მიესალმა, და საკვირველი სანახაობის მოწმე გავხდი, თვალებს ძლივს ვუჭერებდი: ორივენი იქვე პატარა კორდზე დასხდნენ ერთმანეთის გვერდით, საუბარი გააბნეს წყნარად, ძველი ნაცნობებივით. გაშტერებული ვიდექი. ჩემი ბავშვური წარმოდგენის თანახმად, აპოლია ჩითახოს (ასე ეძახდნენ ყველანი) იმიტომ ერჩოდნენ, იმიტომ აბრაზებდნენ, რომ იყო ბოროტი და საშიში არსება, რასაც მოწმობდა მისი სიმახინჯე და საშინელი შესახედაობა. აქ კი, ათი-თხუთმეტი ნაბიჯის დაშორებით იჭდა, მშვიდი, თვინიერი ადამიანი, რომელსაც გვერდზე დაედო თავისი ჯოხი და თანამოსაუბრისთვის მოეპყრო. მე ხომ ვხედავდი მისი დიდრონი თვლების გამომეტყველებას, ხომ ვამჩნევდი, რა გრძნობა გამოკრთოდა იქიდან. ბიძაჩემს ძალზე ბუნებრივად ეჭირა თავი ცოტა ხნის მერე ადგა, დაემშვიდობა და წამოვიდა. ერთი სიტყვა არ გვითქვამს ამის შესახებ. ან კი რა მოხდა იმეთი: კაცი კაცს შეხვდა, დასხდნენ, ილაპარაკეს, თანახიარობა გამოამქლავნეს. მაგრამ ჩემზე ძლიერ იმოქმედა ამ უბრალო ადამიანურმა საქციელმა, სამუდამოდ დამამახსოვრდა.



ზოგჯერ უდროოდ დროს გადაპყრობა ვინმე ნაცნობს. მე, ჩვეულებრივ, სიამოვნებას მგვრიდა ხოლმე გულში ამ იდილიური შეხვედრის სცენების მოწმედ ყოფნა და ბიძაჩემისადმი გამოხატული განწყობის უნებლიე მოზიარეობა. მაგრამ ერთხელ გავგულისდი. ცხარედ წაგვამათლით, თუმცა ბავშვობიდან სულთა და გულით ვიყავ მას შეთვისებული და თითქმის მამასავით მიყვარდა, ან რა გასაკვირია: მიწვევა კიდევ მამობას.

მესამე თუ მეოთხე კლასში ვარ, სანადიროდ წავეყვი კახაბერში. ვიარეთ, ვიარეთ, ავუყუვე-დავუყუვეით სიმიწდის ყანებს ნაპირ-ნაპირ, ხელმოცართული დავეხეტებით, ერთი მწყერი ვერ მოვკალით (უბაღლოდ ვიყავით წამოსული, გვყავდა პოინტერი და დაგვეყარგა). არადა, ნადირობის სეზონი ახალგაზსნილია, აგვისტოს მზემ ლამის ტვინი აგვიღულოს თავში. გამოვევლით ბოლოს „სტამანოვიკის“ მინდორზე. მინდორის ბოლოში, იქ, სადაც სიმიწდის ყანა ჩანს, ვხედავ, გვრიტი შემოქდა მავთულზე, ხის ბოძის ცოტა იქით. გული ამოფართქალდა. დავეჩაჩე გიყვივით ბიძაჩემს, არიქა, ჩქარა, გვრიტი ზის ეგერმეთქი, თან ხელით უჩჩვენებ. შენიშნა თვითონაც. ის იყო, უნდა დაძრულიყო, სწორედ ამ დროს, ჩემდა ჭირად, ვილაც ნაცნობი გამოუტყვრა (იქაური მეურნეობის მუშაკი იყო, ეტყობა). გაუხარდა ამ კაცს. ღიმილმა გაუნათა სახე (ამგვარ შეხვედრას უკვე ვიყავ ჩვეული), ხელი ჩამოართვეს ერთბაშით. მოიკითხეს გულთბილად ერთიმეორე, მისხდნენ ჩრდილში ბალახზე და გააბეს ტბილად უკუკუეთი. თუ არ გადავირეოდი, არ მეგონა ცოტათი ის მანუგეშებდა, — აი, ახლა, აი, ახლა შეწყვეტს ლაპარაკს და წამოდგება, ან გული ამდენ ხანს როგორ უძლებს-მეთქი. ვიდექი მზეში, დასიცხული, ოფლი წურწურით მდიოდა სახეზე, წამწამებს მისველებდა, ხედვას მიშლიდა. „არ გა-

ფრინდე, რა არ გაფრინდებოდა“ — ხეყნა-მუღარით, შელოცვასავით ვიშეორებდი გულში; ცალი თვალი იმ გვრიტისკენ მეჭირა, ცალიც — მომსიაფე ბიძაჩემისკენ. „თვალებით ვბურღავდი, ჯერ წყრომით მიგჩერებოდი, მერე საწყლად ვახედებოდი მისკენ, იქნება შევბრალებოდი თქვენც არ მომიკვდეთ; ვატყობდი, თვალს მარიდებდა. არ ვიცო, რცხვენოდა, ვრიდებოდა თანამოსაუბრისა, წამომბტარიყო პატარა ბიჭვივით და ჩიტს გამოჰკიდებოდა, თუ საუბარს გაეტაცებინა ისე. ან რა ჰქონდათ ამდენი სასაუბრო, ამდენი მოსასიყვარულებელი ერთმანეთთან? ნუთუ ჩემი გულისთვის ზრდილობის წესი ვერ უნდა დაერღვია. აკი არ ცნობდა პირობითობას, ყოველთვის თავისუფლად, გულის კარნახით მოქმედებდა ხოლმე. როცა, ბოლოს და ბოლოს, იჯერეს გული და წამოდგა, გვრიტი უკვე გაფრენილიყო. დაბმული ხომ არ იყო იქ, ბოლმა მახრჩობდა. მაშინვე არაფერი მითქვამს. რაც უნდა იყოს, იმ კაცისა მერიდებოდა. ცოტა რომ გამოვშორადით იქაურობას, მაშინ კი ვიყარე გულის ბუხარი, გავცხარდი, ვაკადრე და ვაკადრე საყვედური. ერთხანს მოიმენდა, თითქოს დამნაშავედ გრძნობსო თავს ჩემ წინაშე. მერე მასაც მოუვიდა გული, გაჯავრდა. ერთხანს უბრაღ ვიარეთ. თუმცა ჩვენი უბრაღ ყოფნა დიხანს როგორ გაგრძელდებოდა.

თავისებური კაცი იყო. ან იქნებ სწორედ ისეთი. როგორიც ყოველ ჩვენგანს გვინდა, იყოს მოყვასი ჩვენი? არასოდეს უფიქრია ჭონებაზე, სიმდიდრეზე. ვინც იცნობდა, ვისაც ოდესმე რაიმე საქმე, ურთიერთობა ჰქონოდა მასთან, შეეძლო ბრმად ნდობოდა: უანგარობა და პატიოსნება სისხლხორცში გასჯდომოდა, რჯულად ჰქონდა.

ერთხელ ოძის დროს, იმ საშინელი გაპირვებისას, როცა ჩვენში ბევრი ოჯახი შიმშილის პირას იყო მისული და სიმიწდის ოქროს ფასი დაედო, ერთ



გვიან შემოდგომაზე ჩვენი ოდაქახლის ქვეშ თეტრი ტაროების ვებერთელა ხეაქი დადგა. ვიცოდით, დათა ბიძისთვის შობებარებინათ დროებით შესანახად. მათი პატრონები, მერადი და მაჰმუდი, თავზე ყაბალახმოხვეული, მკვიდრად ჩადგმული აქარლები, სულ ორჯერ გამოჩნდნენ, მოტანისას და წაღებისას: სიმინდის ტაროების ის გორა ბარე სამი თუ ოთხი კვირის განმავლობაში იდგა ჩვენს ოდის ქვეშ. მაგრამ ვერც ერთი შინაურთაგანი ვერ გახედავდა, ვერც დიდი, ვერც პატარა, არც მოუვიდოდა ფიჭვად, თუნდაც ერთი ტარო აეღო იქიდან. დათაა შიშა თუ უფროსე რიღს ამგვარ შემთხვევაში თითქოს რალაცნაირი მისტიკური ხასიათი ჰქონდა.

ერთადერთი, რითაც იგი თავს იწონებდა, რაც ემაყებოდა, ის იყო, რომ თავისიანებში იცოდა თქმა: „აქარაში ყველა სახლის კარი დიაა ჩემთვის“. ეს მიაჩნდა თავის ყველაზე დიდ საგანძურად. ჯილდო, კარაიერა, ოფიციალური აღიარება არ იტაცებდა. ის კი არა, ყველაფერ ამას თავის გულში, მე მგონი, ცოტა აგდებულადაც უყურებდა. საკმაოდ კარგად ვიცოდი მისი ხასიათი. ბუნება, რომ ეს თამამად ვთქვა.

ოცდაათზე მეტი წლის წინათ, მიეღო თუ არა აგრონომის დიპლომი თბილისში, მუშაობა დაეწყო ამ მხარეში. დიდხანს იღვწოდა ხულოსა და ქედის რაიონებში იქ სწავლა-განათლების გასაავრცელებლად, სინათლის შესატანად, სოფლის მეურნეობის განსავითარებლად. ვინ იცის, რა გასაკვირი არ გადაეტანა, რამდენი სიძნელის გადალახვა მოსწუოდა.

რამხელა გზა გამოიარა. რა ჯანი, რამოდენა ჯანა შეიწირა ცხოვრებასთან ბრძოლაში.

ავტობუსი არ ჩანდა. მოვიდოდა თუ არა დანამდვილებით არავინ იცოდა. ხან დადის, ხან არაო.

გვეკარგებოდა დრო. ლრუბინცა შეგებებდა.

ზოგჯერ ცას გავხედავდით, გაწვიმებას ხომ არ აპირებდა. შუე ხან გამოიქვეტდა, ხან ღრუბლებში იმალებოდა. ვიდექით მოედანზე და ვყოყმანობდით, ვერ გადაგვეწვივებოდა, კიდევ დაგვეცადა ცოტა ხანა, თუ ბარემ გავდგომოდით გზას ფეხით.

სწორედ ამ დროს ჩამოიარა იმ ახალგაზრდა კაცმა, თუკი ასე, ოცდაათზე მეტი-ორმოცი წლისას შეიძლება ახალგაზრდა ვუწოდოთ. დაინახა ბიძაჩემი მოესალმა და გაუჩერდა.

ცოტა არ იყოს, გუნება გვექონდა დამკავებელი და გვესიამოვნა კიდევ ნაცნობის გამოჩენა, პატარა გულს გადააყოლებდა კაცი.

ბიძაჩემი, ჩვეულებისამებრ, გულლიად შეხვდა. მე ანგარიშშიუცემლად ველოდი, რომ მათ შორის წარმოქმნილი ჩვეული გულითადობის განწყობილების მოწმე და ერთგვარი მოზიარე ვიქნებოდი. პირველი სიტყვა და პირველი ქესტი ახალმოსულია პატივისცემის, კეთილგანწყობის გამომზატველი იყო. მაგრამ მოულოდნელად მისი სიტყვის კოლოს, მისი ქცევის მანერას რალაც უცნაური ცვლილება დაეტყო. მე ეს დისონანსი უმალვე ვიგრძენი, ისევე, როგორც ხელად ვიგრძნობთ, როგორ გვერის ყურს რალაც უცხო, შეუფერებელი ჰანგი, რომელიც ჩვენს საყვარელ მუდამ ამაოდ სასმენ მელოდიას საიდანაც შერევიდა, შეჭრია და სრულიად გადაუსხვაფერებია. სახეზე ვაკვირდებოდი იმ ახალგაზრდა კაცს, რომელმაც ჩემი ყურადღება მიიჭაჭვა, ყურს ვუგდებდი მის ლაპარაკს, და თანდათან ვამჩნევდი, როგორ ფერმკრთალდებოდა მისი პირვანდელი სახე და როგორ იქებოდა მის ალაგს რალაც სხვანაირი, უცხო სახე და იერი.

აქ ისევ უნდა შეეჩერდე. მივადექი ჩემი თბრობის ასე ვთქვათ, კულმინაციურ წერტილს და მინდა, იმ მომენტის

შთაბეჭდილებია რაც შეიძლება ზუსტად და სრულად გადმოცემა მოვასერხო. ჩემს ხელთ კი ფრიალ ძუნწი მონაცემები და ნიშნებია. მე შემიძლია ვთქვა, რა იყო იმ კაცის ლაპარაკის ძირითადი საგანი. შემიძლია შევეცადო, შეძლებისდაგვარად აღვწერო მისი სახის გამომეტყველება, იერი. მაგრამ ყველაფერი ის, რაც საკმარის საფუძველს ქმნის ხოლმე გარკვეული შთაბეჭდილების მოსახდენად, გარკვეული აზრისა და განწყობისა გასაცნობიერებლად უშუალო, ცოცხალი კონტაქტისას. შეიძლება მთლად საკმარისი არ აღმოჩნდეს შუალობითი გზით სიტყვის მეშვეობით გადმოცემისას. იმედს ის მაძლევს, რომ, სამაგიეროდ, ვგონებ, მოვახერხებ იმ განცდის, იმ ფიქრის ზუსტად გადმოცემა. რაც იმ კაცთან შეხვედრამ და მასთან ხანმოკლე საუბარმა გამოიწვია.

ამ კაცმა თავის შინაურ ვითარებაზე ჩამოაგდო სიტყვა და, როგორც მახსოვს, უმთავრესად იმაზე ლაპარაკობდა, რომ საკუთარი სახლის მშენებლობა წამოეწყო. თქვა, რამდენთვალისანი იქნებოდა მისი სახლი, როგორი აივნის მიშენებას აპირებდა; თქვა ისიც, ზის მასალა რომ ჰქონდა საშოვნელი და იმედოვნებდა, ამ საქმეს რამენაირად გაახერხებდა. თუმცა მთავარი მაინც იმდენად თვით ფაქტი როდი იყო სახლის მშენებლობისა. რამდენადაც ის, თუ რა ყაიდაზე, რა მანერით ლაპარაკობდა ამის შესახებ. მთავარი იყო, რა გენიშნებოდა მისი ლაპარაკით, რა ფარულ ზრახვას აშხელდა მისი უცნაური მიმიკის ნიუანსები. ო, რა ვირტუოზულად, რა მეტყველად ძალუქს ზოგჯერ ჩვეულებრივ ადამიანს, გაამელავნოს თავისი გულისანდები; რომელი დახელოვნებული მსახიობი შეედრებოდა მას ამ მხრივ! ამ კაცს ჯერ თითქოს ერთგვარი უხერხულობა ეტყობოდა ლაპარაკისას, უსიამოვნო. ზეთოვანი სიწითლე დაემჩნა ლოყებზე, იმავე დროს

გამოხედდა თამამი და უტყუარად. მერე რაღაცნაირი ეშმაკურ-დამცინავი, კოტა არ იყოს, ტაქიმასხარული დომილი აეგრია სახეზე, უხეიროდ გაიღმიჭა; დამცინავი ნაპერწკლები გაუჭრთებოდა ხოლმე თვალებშიც, თვალებს კი თანამოსაუბრეს არ აცილებდა. ვუტყუროდი მას, ეუსმენდი და თანდთან საცნაური შეიქნა ის ქარაგმა, რასაც შეგნებით თუ გაუცნობიერებლად თავისი ქცევა-ლაპარაკის უცნაურ მანერაში აჭრავდა. ეს ქარაგმა თანამოსაუბრეს თითქოს ეუბნებოდა: „სიმართლე შენს მხარეზე კი არ არის, ჩემს მხარეზეა!“ ვერ ვიტყვი, თითქოს მაინდამაინც ნიშნის მოგებით აკეთებდა ამას. მზაკერულ-დამცინავი კილო და იერი, მართალია, უმთავრესად თანამოსაუბრეს მიემართებოდა, მაგრამ ნაწილობრივ საკუთარი თავისადმიც იყო მიმართული. ამით თითქოს წინასწარ ატრიზავებდა, წინასწარ იგერიებდა თანამოსაუბრის შესაძლო საწინააღმდეგო არაქციის რაიმე გამოვლინებას, თანაც უტიფრად ცხადყოფდა, რომ არ ერიდებოდა თავისი პოზიციის გამოაშკარავებას, რომ ეს პოზიცია მიაჩნდა თვითღამვეიდრების ერთადერთ ძირითად საშუალებად და ფორმად.

აქ ერთბაშად ვიგრძენი უმძაფრესი ტკივილი. გული მეწვოდა ბიძაჩემის ცოდვით- ისეთი გრძობა მქონდა, თითქოს აგერ ჩემს თვალწინ გასრისეს, გააბურთავეს, იმ საგანძური მოპარეს, რაც სიცოცხლედ უღირდაო.

ვერ ვიტყვი, რატომ მოხდა, რომ ასეთი ფართო მნიშვნელობა მიიღო ჩემს თვალში ერთი კაცის ნამცნევმა პოზიციამ, მრწამსმა, რატომ მენიშნა ამ კაცის უცნაური მანერით გამოხეილი თვალსაზრისი ლამის დროის ნიშნად. მე მხოლოდ შემიძლია დავდასტურო მაშინდელი ჩემი განცდის, მაშინდელი ჩემი ფიქრის სიწრფელე და უტყუარობა.

ვიდეტი გახევებული, ერთიანად ფიქრით შეპყრობილი. სიბრაღელის გრძნობას აღრმავებდა იმის შეგნება, თუ რა მწარე უნდა ყოფილიყო ცხოვრების გრძელი და ძნელი გზის გამოვლის შემდეგ ხანდაზმული ადამიანისთვის, რომელსაც ეგონა: აწი შეიძლება ცოტა შვებით ამოისუნთქოს ვაცმო, თავისი იმედგაცრუების მიხვედრა, იმ აზრის გაცნობიერება, ცხოვრებისთვის ბრძოლა თურმე თავიდან იწყებაო...

დაეშორდით თუ არა იმ კაცს, აღარ გავჩერებულვართ, მაშინვე გაფსწიეთ. მე არ მინდოდა, შემეხედა ბიძაჩემის სახიათვის; არ მინდოდა, შეცბუნებული ნირშეცვლილი მეხილა იგი. ეს გულისტკივილს გამიამყებდა. ჩემდაუნე-

ბურად მაინც გამეპარა ^{ერთი ნუღი} მადლიერი ვიყავ მისი, რომ არათერს იმჩნევდა იერი აღმღვრველი ჰქონდა. მხოლოდ დღემილი, დღემილის მძიმე ატმოსფერო, იმ კაცთან საუბრისგან გამოყოლილი, მაჭლაჭუნასავით გვაწვა.

ნადირობამ არ გავვიმართლა. ძლივს ერთი ტყის ქათამი აგვიფრინდა ევკალიპტების ძირას. სანამ ჩვენ სროლას მოვასწრებდით (მე მამაჩემის ნაქონი ერთლულიანი თოფი მეჭირა ხელში), მსწრაფლ შეტრიალდა და ევკალიპტის ხეების მჭიდრო რიგს იქით გაუჩინარდა.

ავტობუსი აქეთობისას წამოგვეწია. შევეტენეთ შიგ. ჯანჯღარ-ჯანჯღარით ჩავვიყვანა მოედნამდე. იქიდან ფეხით გავსწიეთ შინისაკენ ხელცარიელებმა.



პირობი ქაპთარაძე

საქართველო და კავკასიონი

(საქართველოს სახელმწიფოებრივი კონცეპციისათვის)

ახლა შევათანასწოროთ ნადირშა მეფე ვახტანგთან, რა განსხვავებაა იმაში? მაჰმადიანმა ნადირშა მეფემ ქართლი და კახეთი შეაერთა ერთს ქრისტიანეს სამეფოდ და ქრისტიანმა მეფე ვახტანგმა ქრისტიანეს მომხრეებითა საქართველო დააქციეს“. ამ აქტით სპარსეთის ნადირ შაჰს, საფიქრებელია რომ ვახტანგ VI-ის პრორუსული დასისა და მასთან ერთად რუსული ორიენტაციის მომხიბვლელობის შესუსტება სურდა ქართულ მოსახლეობაში.

თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის დროს ქრისტიანული მმართველობის აღდგენასთან ერთად ქვეყანაში მტკიცე წესრიგი დამყარდა. აყვავდა ვაჭრობა ვითარდებოდა ეკონომიკა, გამოცოცხლდა კულტურული ცხოვრება. ქართლ-კახეთი ამიერკავკასიის პეგემონად გადაიქცა; მას ემორჩილებოდნენ ამიერკავკასიის მუსლიმანური სახანოები, აღმოსავლეთის ხალხებში წარმოიშვა პრო-ქართული ორიენტაცია. ქართლ-კახეთთან კავშირისკენ მიისწრაფოდნენ მაჰმადიანი ქურთები, ყაბარდოელები, აზერბაიჯანელები, ქრისტიანი უღები, ბერძნები, სომხები, ასირიელები ქართველ მეფეებთან ქართულ-სომხური ერთიანი სახელმწიფოს პროექტით ჩამოვიდა

ინდოეთის სომხური ბურჟუაზიის წარმომადგენელი იოსებ ემინი: ისაია ასირიელია ეპისკოპოსმა წამოაყენა საქართველოსთან ასირიელი და იეზუდის თემების კავშირის იდეა. გაიზარდა ქართლ-კახეთის პოლიტიკური წონა ურაველ და ევკაპტელ მამულეებში, ისტორიულ მესხეთში, აჭარასა და ლაზეთში, განსაკუთრებით კი დასავლეთ საქართველოში.

ამ პერიოდში რუსეთთან მიმართებაში ერეკლეს თავი ერთობ გამოშწევად ეჭირა. ქართლ-კახეთის პოლიტიკური მდგომარეობის სტაბილურობისა და პერსპექტიულობის ფონზე რუსეთის ხელისუფალთათვის მიუღებელი არ უნდა ყოფილიყო, ერეკლე II-ის პატივმოყვარეობის მოსათოკად, პაატა ბატონიშვილის 1765 წლის შეთქმულების ნაწილობრივი მხარდაჭერა. ამავე დროს რუსი დიდი მოხელეები ერეკლეს „ქართლისა და კახეთის ბრწყინვალე მეფეს“ უწოდებენ. ერეკლეს პატივი არც ევროპელთაგან აკლდა; ქართლ-კახეთის ვიცე-კანცლერის სოლომონ ლიონიძის მიერ ერეკლეს დაკრძალვაზე წარმოთქმულ სიტყვიდან ირკვევა, რომ პრუსიის მეფეს ფრიდერიკოს დაუწერია: „ევროპაში მე ვარო და აზიაში — ღერკულეს უძლეველი. საქართველოს გეორგიანთ მეფეო“. იმავე ცნობას, ფრან-

გი ორიენტალისტი მარი ბროსეც იმეორებს როდესაც შენიშნავს, რომ პრუსიის მეფეს ფრიდრიხ II დიდს (1711-1786წწ) მიეწერება სიტყვები: „Moi en Europa, et en Asie l'invincible Heracle“. ერეკლეს სახელის ასეთი განდიდება შემთხვევითი არ უნდა ყოფილიყო, საქართველოს ელჩი რუსეთში თავად გარსევან ჭავჭავაძე რუსეთის საგარეო კოლეგიისადმი 1799 წლის 18 იანვარს მიწერილ წერილში, ქართლ-კახეთის სამეფოს ტერიტორიას შემდეგნაირად განსაზღვრავდა: „სამეფო საქართველომსა შოცულ არს ერთ-კრძოდ კავკასიის მთებითა და ჭარელთა ერთთა, ესრეთვე მეორე აღირბეჟანის მხარეს თვით არეზით...“. ერეკლე II-სა და საქართველოს იმდენად დიდი პრესტიჟი ჰქონიათ, რომ ჯერ კიდევ საქართველოს რუსეთთან დაახლოებამდე, საფრანგეთი ცდილა მიემხრო გაერთიანებული ქართლ-კახეთის ტახტზე ასული ერეკლე, რუსეთთან დასაპირისპირებლად რათა ამით რამდენადმე მაინც შეემსუბუქებინა პოლონეთის უშიშესი მდგომარეობა. აღსანიშნავია, რომ ფრანგ ფილოსოფოს ვოლტერისადმი მიწერილ წერილში, ეკატერინე დიდი იუწყებოდა, რომ თურქებთან წინააღმდეგ ბრძოლაში მას ეხმარებოდა ერეკლე, ყველაზე ძლიერი კავკასიის ხელისუფალთა შორის, მეფე უხვად დაჯილდოებული ინტელექტითა და მამაცობით. როგორც ჩანს, ერეკლეს სახელის შარავანდედი მის ძეს, გიორგი XII გადასწედენია, ვინაიდან მისთვის 1799 წლის აპრილში ევკიპტის ექსპედიციაში მყოფ ნაპოლეონ-ბონაპარტეს დესპანი გამოუგზავნია, თუმცა იგი ახალციხის ფაშას დოუკაჟეზია და სიკვდილითაც დაუსჯია.

პაატა ბატონიშვილის შეთქმულების განადგურების შემდეგ ერეკლე კურსს რუსეთთან დაახლოებაზე იღებს, რუსეთმა თავისდა სასიკეთოდ გამოიყენა მის მიერ უიღბლო ბატონიშვილის თავიდანვე წარუმატებლობისათვის განწირული ეს ამბოხი, ისევე როგორც

ალექსანდრე ბაქარის მისე შეთქმულებებზე აღსანიშნავია, რომ 1782 წელს ერეკლეს მიმართვა რუსეთის მფარველობაში მიღების თაობაზე, განაირობებელი ჩანს თვით რუსეთის საიმპერატორო კარის მიერ ინსპირირებული ერეკლეს მოთხოვნით აღიარებული ყოფილიყო ქართლ-კახეთის ტახტზე მისი უფლებები; ერეკლე II-ის გინცხადებით, რათა, ვინმე სხვას, ისეთივე შემოღობს, როგორც ბაქარის ძე ალექსანდრეა, ხალხის გონება არ აერია თავისი უვიცობით. თუმცა, მიუხედავად ამ გარემოებისა, ერეკლე აყვანებდა თავისი რწმუნებულებებს რუსეთში გაგზავნას და რუსეთის ხელისუფლებას, თურქეთთან მოსალოდნელი ომის სამზადისში, საკმაო ძალისხმევა დაჭირდა გეორგიევსკის ტრაქტატის ხელმოწერის დასაჩქარებლად.

1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის გაფორმებით ერეკლე II-მ საყრდენი გამოაცალა რუსეთის კარზე არსებულ ვახტანგ VI-ის შთამომავალთა მიერ ნასაზრდოებ ლეგიტიმისტურ ტენდენციებს — რუსეთის მიერ ერეკლე II და მისი შთამომავლობა აღიარებული იყო ქართლ-კახეთის ტახტის ერთადერთ კანონიერ მფლობელად.

მაგრამ ძირითადი ფაქტორი, რომელმაც განაპირობა ერეკლე II-ის რუსეთთან დაახლოება, საფიქრებელია იყო თავად გრიგორი პოტიომკინ-ტაუერინესკისა და ძმები პლატონ და ვალერიან ზუბოვების ე.წ. ბერძნული პროექტი. ეს პროექტი ითვალისწინებდა ოსმანთა იმპერიის დანაწევრებასა და მის ადგილზე ძველად არსებული ქრისტიანული სახელმწიფოების აღორძინებას, რომელთა შორისაც იმ დროისათვის მხოლოდ საქართველოა იყო შემორჩენილი. გრ. ვეშაპელის შეფასებით, ერეკლე II-ის პანქართული იდეისა და ეკატერინე II-ის პანქრისტიანული იდეის თანხვედრის შედეგად თბილისმა მიიღო რუსული პროტექტორატი, ხოლო რუსეთმა აღიარა მომავალში გაერთიანებული საქართველოს არსებობა, ვინაი-



დან 1783 წლის 24 ივლისის აქტის სამართლის ნორმები მოიცავენ არა მხოლოდ ქართლ-კახეთს, არამედ ისტორიული საქართველოს მთელს ტერიტორიას. ამის შემდეგ რუსეთი დიდხანს ევლინებოდა საქართველოს, მისი მიწების გამაერთიანებლის ნიღბით.

ქართლ-კახეთთან ტრაქტატის დადება რუსეთს დააჩქარებინა ერეკლეს 1782 წლის მიმართვამ ავსტრიის იმპერატორ იოსებ II-ისადმი და სხვა ევროპელ ხელისუფლებისადმი რათა დახმარებოდნენ მას ინსტრუქტორებითა და ფულით ევროპულად გაწვთენილი არმიის ჩამოსაყალიბებლად. რუსეთმა, რომელიც ყოველთვის მეტად მტკივნეულად რეაგირებდა საქართველოს ყოველგვარ კავშირზე ევროპულ სახელმწიფოებთან, მიიღო სათანადო ზომები, საყურადღებოა, ქართველ ხელისუფალთა და ავსტრიის იმპერატორის ურთიერთობის თაობაზე. ეკატერინე II-ის დირექტივა ვრ. პოტიომკინისადმი:

«Отклонить всякое их знакомство с Императором Римским и с другими христианскими державами, сказав, что они имеют условие не мешаться в дела до азиатских наших соседей касающиеся». ერეკლეს მიერ გავზავნილი პირველი ელჩი გზაში გარდაიცვალა, ხოლო მეორემ უცნობია ჩააღწია თუ არა ვენაში.

ჯერ კიდევ XVI საუკუნის დამლევეს რუსეთთან „ფიცის წიგნის“ ხელმოწერა ალექსანდრე კახთა მეფის მოსკოვში გავზავნილ დესპანებს რუსეთის სამეფო კარის მიერ აკრძალული ჰქონდათ უცხოელებთან მოლაპარაკება ან საქმის დაჭერა. რუსეთის მთავრობის განსაკუთრებული ნებართვის გარეშე ქართველი ელჩების თვით მხლებლებსაც კი არ შეეძლოთ შენობიდან გარეთ გასვლა. ივ. ჯავახიშვილის განმარტებით, რუსეთის მთავრობა ალბათ დარწმუნებული არ იყო, რომ ქართველი ელჩების უცხოელებთან ლაპარაკისა და მათგან ამბების შეტყობის შემდეგ, ისინი

ნი რუსთა მიერ საქართველოზე უზრახული პოლიტიკური ღრმადობის დამყარებას ხელსაყრელად ჩათვლიდნენ და თავიანთი ქვეყნისათვის დახმარებას სხვაგან სადმე რუსეთის გარეშე არ მოძებნიდნენ. რუსეთს თავის აკენტებად ერეკლე II-ისა და სოლომონ I-ის კარზე ჰყავდა მოწყობილი „ექიმები“, იაკობ რაინევი და ნიკოლაი ფონ ვიტენბურგი. ი. რაინევი ვრ. პოტიომკინისაგან და ეკატერინე II-თან შეთანხმებით დავალებული ჰქონდა ერეკლე დათანხმებინა რათა მას რუსეთის მფარველობა ეთხოვა.

შემთხვევითი არ არის, რომ გეორგიევსკის ტრაქტატის ძალით, საქართველოს ურთიერთობა უცხოურ ქვეყნებთან მთლიანად რუსეთის კონტროლის ქვეშ გადავიდა. ტრაქტატი, უ-ე-დ. აღენის თვალსაზრისით, რუსეთის პოლიტიკის ტრიუმფს წარმოადგენდა და შესაბამისად ამისა, იგი ქართული პოლიტიკის სრულ მარცხად უნდა იქნას მიჩნეული.

რუსეთის უმაღლესი მმართველი წრეების მიერ გეორგიევსკის ტრაქტატის ხელმოწერის მნიშვნელობის შეფასების დამახასიათებლად საკმარისია ვრ. პოტიომკინისა და ეკატერინე II-ს მიმოწერის გაცნობა:

«Вот и грузинские дела приведены к концу». — წერდა ვრ. პოტიომკინი იმპერატორს. — «Какой государь составил столь блестящую эпоху как вы? Не один блеск, польза еще большая. Земли, на которые Александр и Помпей, так сказать лишь поглядели, те вы привязали к скипетру российскому». 1783 წლის 23 ავისტოს რუსკრიბტი ეკატერინე პასუხობდა:

«Удовольствие о совершении сего дела есть равнос славе, из того приобретенной, и пользе несомненно ожидаемой».

წერდა ვრ. პოტიომკინი იმპერატორს.

ტრაქტატის ხელმოწერის პირველსავე წლებში რუსეთის სამეფო კარმა ბევრ სხვა სიკეთესთან ერთად ეშპქურად გამოიყენა ერეკლეს მრავალრიც-

ხოვანი და მრავალმხრივი კავშირები არა მხოლოდ კავკასიისა და ირანის ხელისუფლებთან, არამედ ერაყის, სირიის, ეგვიპტის მმართველებთან რომელია დიდი ნაწილიც ქართული წარმომავლობისა იყო.

მიუხედავად ალექსანდრე კახთა მეფისა და ვახტანგ VI-ის მწარე გამოცდილებისა, ერეკლე II, ზემომოყვანილი მიზეზებიდან გამომდინარე, მაინც მიენდო რუსეთს. ზ. ავალიშვილი მართებულად შენიშნავს, რომ XVIII ს. ქართული პოლიტიკა გასაოცარია თავისი აღმოსავალი პრინციპებისა და შეცდომების უცვლელით — ვახტანგის კატასტროფამ მათ ვერაფერი ვერ ასწავლა ვინაიდან მათი ინტერესები და კულტურა იგივე დარჩა. ქართველების პოლიტიკური მისწრაფებანი შეფერილი იყო რელიგიური წარმოდგენებით, ისინი სრული გულუბრყვილობით იყვნენ დაფუძნებულნი მართლმადიდებლობისა და „ურჯულოთა წინააღმდეგ ბრძოლის“ იდეებზე, მათ არ მიეცათ. შესაძლებლობა ამიღებულები იყვნენ უფრო რთული პოლიტიკური იდეების აღსაქმელად, ვინაიდან არ გააჩნდათ უფრო რთული ინტერესები, პრიმიტიული წყობა იწვევდა პრიმიტიულ აზროვნებას და პრიმიტიულ პოლიტიკას. დ. ლენგიც შენიშნავს, რომ ქართველი მმართველები რუსეთის მიმართ აუღენენ ბრმა და გულის ამარუყებელ ოპტიმიზმს. შედეგმაც არ დააყოვნა მას შემდეგ რაც ტრაქტატის ძალით რუსეთმა პოლიტიკური უწყობეები მიიღო საქართველოზე და სწულიად აღჭურვილი, როგორც მეთოდური დიპლომატიით, ისე რეგულარული ჯარით, მოადგა კავკასიონის ქედს, მისთვის უკვე საქართველოს ინკორპორაცია ვახდა მისაღები ფორმა და არა პროტექტორატი. რუსეთს საქართველოს ტერიტორია უკვე ავანოსტად ესაჭიროებოდა შემდგომი წინსვლისათვის. საქარველო გადაიქცა, კავკასიონის ქედის გადაღმა მდებარე, რუსეთის სამხედრო და პოლიტიკურ ბაზად.

დაიწყო შიდა და გარე პოლიტიკური ცვლილებებისა და წაქეზებით ქვეყნის ნგრევისა და განანაგების თერამპტულიანი პროცესი. რუსი ისტორიკოსი, ამ ამბავთა მხილველი, იმ ხანად სამხედრო პირი, პეტრე ბუტკოვი, რუსეთის კავკასიური პოლიტიკის თაობაზე წერდა:

«В то время наблюдаемо было правило древних Римлян, чтобы для пользы Кавказского края сосорить между собою разных кавказских народов, дабы они, ослабляя свои силы, оставляли больше нас в покое».

ერთ-ერთ მკვლევართად ამისა, პ. ბუტკოვს ჩვენებისა და ინგუშების ერთმანეთზე გადაკიდების ფაქტი მოჰყავს. კავკასიელი ხალხების ერთმანეთზე წაკიდების მცდელობა თვით ხაიმპერატორო კარის მიერ იყო რეკომენდირებული თავისი მოხელეებისადმი. 1790 წლის 6 სექტემბერს რუსეთის ჯარების მთავარსარდალი გრ. პოტიომკინი წერდა კავკასიის გამაგრებული ხაზის სარდალს დე ბალმენს:

«Ваше сиятельство должны войти, как можно короче, в обстоятельства взаимные между горскими народами, и стараться питать между ними несогласие».

ო. მარკოვა შენიშნავს, რომ რუსეთის მთავრობის თვალსაზრისის მიხედვით, იმპერიასთან კავკასიელი ხალხების შერწყმა ამ უკანასკნელთათვის სასიკეთო იქნებოდა.

ქართლ-კახეთის მდგომარეობა ერეკლეს მეფობის ხაწყის და შუა პერიოდში, ერთი მხრივ, და ბოლო პერიოდში, მეორე მხრივ, განსაკვირვებელ სხვაობას წარმოადგენდა. მთლიანად პარალიზებული იყო ერის ნება. რუსი სამხედრო ისტორიკოსი ნ. დებროვინი შენიშნავს, რომ ქართული ჯარები ისე იყვნენ დაშინებულნი, რომ რუსების დახმარების ვარუშე ყველაზე სუსტ მოწინააღმდეგესთანაც კი ბრძოლა აღარ შეუძლოთ. გასაოცარი მეტამორფოზაა. 1783 წლამდე, ქართველებმა არაერთი



ბრწყინვალე ბრძოლა მოიგეს „პატარა კახის“ წინამძღოლობით. ინგლისელი ისტორიკოსის დევიდ ლენგის შეფასებით, 1800 წლისათვის საქართველოს სახელმწიფოს დეზინეგრაციის პროცესმა კრიტიკულ სტადიას მიაღწია: ცენტრიდანული ძალები ზეიმობდნენ, განდევნილი იყო ცხოვრებიდან ცენტრალიზებული სამეფო ძალაუფლებისა და მმართველობის მოწესრიგებული სისტემის თვით კონცეპციაც კი.

არეულობამ და დევრადიციამ დაისადგურა სამეფო ოჯახში. დარეჯან დედოფლის ინიციატივითა და 1794 წლის 6 მარტის გადაწყვეტილებით ქვეყანა დაყოფილი იქნა ბატონიშვილების მამულებად, რომელთაც ქვეყნის უმეტესი ნაწილი გადაეცა. ამით სამეფო დომენის მთლიანობა დაირღვა. ერთმანეთთან დაპირისპირებული ბატონიშვილები თავს არ იშუებდნენ ქვეყნის სატკივროთ და მხოლოდ საკუთარი სამფლობელოების გამოცალკევებასა და მოწყობაზე ფიქრობდნენ. თითოეულ მათგანს კრწანისის ბრძოლისათვის 10 ათასი მეომარი უნდა გამოეყო; ნავარაუდები იყო 80 ათასიანი ლაშქრის შეგროვება. მაგრამ სინამდვილეში ერეკლემ, იმერეთიდან სოლომონ II-ის მეთაურობით გადმოყვანილი 2 ათას კაციანი ცხენოსანთა რაზმის ჩათვლით, სულ 5 ათასი კაცი შეაგროვა, რომელთაგან ბრძოლის წინ 1500 მეომარიდან შერჩა (ზოგიერთი ცნობით 2500-დან 3000-მდე). ბატონიშვილები მეფესა და მამას აღარაფერში უწევდნენ ანგარიშს სიცოცხლის ბოლო წლებში ერეკლეს თავადების ნაწილი განუდგა და ყმადნაფიცმა ხანებმაც უღალატეს. ერეკლე II გარდაიცვალა თელავში 1798 წლის 11 იანვარს. თანამედროვე პოლიტიკური მოღვაწის გრაფ ა. მუსინ-პუშკინის ცნობით, ერეკლეს მემკვიდრის, მძიმედ ავადყოფი გიორგი XII-ის ძმები ამჯობინებდნენ საქართველო რუსეთს რეპობად, ოღონდ კი გიორგის სიკვდილის შემდეგ, მისი ძე, დავითი არ

გამეფებულყო; თვით გიორგი XII-ის ძმები დაინტერესებული ნაინტერესებულნი იყვნენ საქართველოში შემოყვანით, რათა მის ძმებს მის ძეზე არ ეძალათ. ამ გარემოებით კარგად ინფორმირებული რუსეთის იმპერატორი პავლე I, თავისი ჯარების მთავარსარდალს, გენერალ-ლეიტენანტ კ. კნორინგს 1799 წლის 8 აგვისტოს მიწერილი რესკრიპტით ავალებს იმპერატორის სახელით განაცხადონ, რომ რუსეთის ჯარის საქართველოში შემოყვანა არ მოხდებოდა, ვიდრე საქართველოს სამხედრო გზა არ იქნებოდა წესრიგში მოყვანილი და მართლაც, გიორგი XII-ის მკვლელობით, იმავე წლის 12 ოქტომბრისათვის მთელი გზა მოხდოკიდან — თბილისამდე მოწესრიგებული იყო და უკვე 20 ოქტომბერს თბილისისკენ მომავალმა გენერალმაიორ ი. ლაზარევის პოლკმა თურგი გადმოლახა. გიორგი XII საკუთარ ტახტს ფაქტობრივად თავისივე ხელით ძირი გამოუთხარა — გიორგი XII ჯერ კიდევ არ იყო გარდაცვლილი, როდესაც იმპერატორმა პავლე I-მა საქართველოში სამეფო ხელისუფლება გააუქმა. 1800 წლის 22 დეკემბერს სანკტ-პეტერბურგში ხელი მოეწერა 18 დეკემბრის მანიფესტს საქართველოს რუსეთთან შეერთების შესახებ, ხოლო ექვსი დღის შემდეგ, 28 დეკემბერს გარდაიცვალა გიორგი XII. 1801 წლის 20 იანვარს თავისი ხელით დაწერილ, გენერალ კ. კნორინგისადმი ვაგზავნილ რესკრიპტში პავლე წერდა:

«Я хочу, чтоб Грузия была губернией».

იმ დროისათვის პოლიტიკური სექტრი საქართველოს დედაქალაქში შემდეგნაირად ნაწილდებოდა: პირველ პარტიას წარმოადგენდნენ ბატონიშვილ დავითის მიმდევრები, რომლებიც მხოლოდ ქართველ მეფეთა ტახტის შენარჩუნებაზე ზრუნავდნენ და სხვა მხრივ, ვველაფერში, რუსეთის საიმპერატორო კარს იყენენ მინდობილნი, მეორე, უფრო მრავალრიცხოვანი „პარტია“

ერეკლეს ძის იულიონის მეთაურობით, საქართველოს მომავალს მხოლოდ რუსეთის პროტექტორატის ქვეშ ხედავდა და ქვეყნის შინაურ საქმეებში სრულ ჩაურევლობას ითხოვდა, და ბოლოს, მესამე „პარტია“ ვველაზე მცირერიცხოვანი, მაგრამ ძალზე სახიფათო პირველი ორისათვის ქვეყანაში რუსის ჯარის დგომის გამო, საქართველოს „დამოუკიდებლობაზე“ უარის თქმასა და რუსეთთან სრულ შეერთებას მოითხოვდა. საქართველოს სამეფოს გაუქმების შემდეგ, პირველი ორი პარტია დაუფარავად დაუპირისპირდა რუსებს, ხოლო, მესამე რუსოფილური პარტიის უმეტესობა, — რომელიც მთავრობის მიერ ბოძებული უანგარო სიკეთის მოლოდინში იმყოფებოდა, სულ მალე, თვალახელილი ჩამოშორდა საქართველოს რუს მოსახლეებს, რომელთა „ერთგულიც“ დარჩა მხოლოდ შექმნილი მდგომარეობის გამოყენების გზით პირადი სარგებლობისათვის „მებრძოლი“, ანგარებიანი ადამიანების მცირე ჯგუფი.

1800 წლის მანიფესტი 1783 წლის ტრაქტატის ბუნებრივი შედეგი იყო. ზ. ავალიშვილი შენიშნავდა, რომ მას შემდეგ რაც ქვეყნის ძირითადი უფლებები გადაეცა რუსეთს, საქართველოს სამეფო ძალაუფლების მხოლოდ ფორმა შეინარჩუნა გარეშე, მსგავსად კვირციხის ცარიელი ნაჭუჭისა და აუცილებელი გახდა მისი შორს მოხროლა.

მანიფესტთან ერთად თბილისში ჩამოტანილ იქნა გენერალ კ. კნორინგის წერილები ბატონიშვილებისადმი, რომლებიც მიწვეულნი იყვნენ სანკტ-პეტერბურგში. ქალბატონებს ელოდათ სრული მატერიალური უზრუნველყოფა, ვაჟბატონებს — ჯილდოები და რუსული სოფლები საკუთრებაში; ხელმწიფე-იმპერატორის სამსახურში შესვლის შემთხვევაში მათ მიენიჭებოდათ მათი წოდების შესაბამისი ჩინები. 18 დეკემბრის მანიფესტი მხოლოდ 1801 წლის 16 თებერვალს წაუკითხეს ქარ-

თულ ენებზე გენერალ კ. კნორინგის მიერ საღვთო ლიტურჯის მიწვევით თბილისელ წარჩინებულებს, ხოლო მეორე დღეს, იგივე მანიფესტი, რომლის მიხედვითაც საქართველო რუსეთს უერთდებოდა «на вечные времена», რუსულ, სომხურ და ქართულ ენებზე წაკითხული იყო სომხურ ენაქში, სადაც ამ მოვლენას ესწრებოდა ენაიძინში მიმავალი და იმ დღეს თბილისში „შემთხვევით მყოფი“ სომეხთა კათალიკოსი ოსეფ არღუთინსკი-დოლოგორუკოვი, რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღოდა ერეკლეს დათანხმებაში ქართლ-კახეთის რუსეთის მფარველობაში შეყვანაზე. რამდენიმე დღის შემდეგ, 21 თებერვალს, კ. კნორინგისადმი მიწერილ წერილში ი. ლაზარევი შენიშნავდა, რომ მას არახსოვს, არსად, არ უნახავს ისეთი დიდი სიხარული, როგორც მანიფესტის გამოქვეყნებას გამოუწვევია თბილისელ მოქალაქეებში. ამ მოქალაქეთა გამო იგი დასტენდა:

«...они, даже можно сказать, что сердятся, если их назовут грузинами, а не говорят, что они русские».

ინტერესს იწვევს პავლე I-ის მიერ კ. კნორინგისადმი გაგზავნილი 1801 წლის 20 იანვრის რესკრიპტი, რომელშიც იმპერატორი მოუწოდებდა მთავარსარდალს მოემარაგებინა საქართველოში რუსეთის ტახტის ერთგულნი და განსაკუთრებით მიუთითებდა ამ მხრივ სომხობის მიმზრობა-დაახლოების საჭიროებაზე, რათა მათი საშუალებით უზრუნველყოფილიყო მომავალშიც მუდმივმოქმედი არხის არსებობა. ამ მხრივ, საყურადღებოა, რომ იმ პირთა შორის, რომლებიც, როგორც ვველაზე უფრო ღირსეულები, პირველ რიგში იმსახურებდნენ რუსული ჯვრებით დაჯილდოებას, რუს დიდ მოხელეთა მიერ დასახელებულნი იყვნენ მხოლოდ თავადები ვვანატე თუმანოვი, დარჩა ბუხუთოვი და სოლომონ არღუთინსკი-დოლოგორუკოვი. ანექსიის დროს ქართლ-კახეთის სომხური მოსახლეო-



ბის ნაწილის აქტიურობის თაობაზე თავადი ალ. ჯამბაკურ-ორბელიანიც იუწყება. ვახათელისწინებელია, რომ ჯერ კიდევ საქართველოს შეერთებამდე პავლე I-მა დააგადა თავის ელჩს საქართველოში სახელმწიფო მრჩეველს პ. კოვალენსკის შეწევით ხელი საქართველოში სომხურ თემთა ჩამოსახლებისათვის, მედიკებიტურთ და რომ მეფე გიორგის უზრუნველყო მათთვის პრივილეგიების მინიჭება. პავლე პირველად სომეხ მედიკებს, რომ სპარსეთიდან და თურქეთიდან საქართველოში გადმოსახლების შემთხვევაში მათ მიეცემოდათ საქართველოს ფარგლებში თავიანთი მოსახლეობის ავტონომიური მართვის უფლება. სომხური წარმომავლობის თანამედროვე ამერიკელი ისტორიკოსის გრიგოლ სუნის შეფასებით, მართალია საქართველოს სამეფოს გაუქმებით, სომხებმა თავისი ძველი პროტექტორი-ქართველი მონარქი დაკარგეს, მაგრამ მათ მეტი ფიზიკური უსაფრთხოება შეიძინეს რუსი სამხედროების ზურგს უკან. ამას თუ დაუმატებთ რუსეთის იმპერიის თვალწინდელი სივრცეების უპირატესობებსა და რუსეთის მოქალაქეობის შეღავათებს, ვასაგები ვახდება სომეხი ვაჭრების — სომეხი ერის ძირითადი წარმართველი ძალის პოზიცია აღნიშნულ საკითხში.

ვანსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო 1783 წლის ტრაქტატის მიღებით გამოწვეული შედეგების გამო საქართველოს ეკონომიკური ნგრევის მასშტაბები და შესაბამისად მოსახლეობის რიცხვის შემცირება. არასრული მონაცემებით, ქართლ-კახეთის სამეფოს შემოსავალი თუ XVIII ს. ორმოციან წლებში 700 ათას მანეთს შეადგენდა, იმავე საუკუნის დასასრულს 500 ათას მანეთს ძლივს აღწევდა, ხოლო ვაჭართა და ხელოსანთა რიცხვი ქ. თბილისში 18 %-ით იყო შემცირებული. დროის იმავე ხანმოკლე პერიოდში ქართლ-კახეთის მოსახლეობა 350 ათასი კაციდან 200 ათას კაცამდე შემცირდა. გე-

ნერალ კ. კნორინგის მიერ 1809 წელს 28 ივლისს სასაქართველოში გაგზავნილი პატაკის მიხედვით, ქართლ-კახეთის მოსახლეობის 61 ათასი კომლიდან 35 ათასამდე დასვლა გამოწვეული ყოფილა ალა-მაჰმადხანის შემოსევით. ამავე დროს, კარგად არის ცნობილი, რომ ერეკლე II 1795 წლის მარტიდან სექტემბრამდე ატყობინებდა მფარველ ქვეყანას — რუსეთს მოსახლოდნელი საფრთხის შესახებ და დაიმედებული უცდიდა ჩრდილოეთიდან 3 ათასი ჯარისკაცის შემოსვლებას არტილერიითურთ II სექტემბერს თბილისის აღებისა და განადგურების 18 დღის თავზე — I ოქტომბერს, მიიღო რუსეთის მონაპირე ჯარის უფროსმა თავისი მთავრობისაგან საქართველოს მეფის დახმარების უფლება და ეს მასველი ორი ბატალიონი საქართველოში 1795 წლის დეკემბრის დამდეგს მოვიდა.

საქართველოს ხელისუფალნი „არ ხელეპოდნენ“ მოვლენათა განვითარების მიმართ რუსეთის იმპერატორების წინასწარგანზრახვას და მხოლოდ მთავარსარდლებსა და სარდლებს სდებდნენ „ბრალს“. თითქოსდა ჯერ კიდევ გენერალ გოტლიბ კ. პ. ფონ ტოტლენბენს რომელსაც ერეკლე II-ის დამარცხება სურდა ოსმალებთან ბრძოლაში მისი ჩაბმით, საკუთარი ინიციატივით ქეონოდა გადაწყვეტილი ერეკლეს ტახტიდან ჩამოგდება, მისი და მისი მომხრე დიდებულების რუსეთში გადასახლება და ქართლ-კახეთის რუსეთთან შეერთება. საყურადღებოა, ამასთან დაკავშირებით კაპიტან-პორუნიკის ი. ლუვიის პოლკოვნიკ პერფილიევისადმი 1770 წლის მისხს ანანურიდან გაგზავნილი წერილის ცნობა, რომ რუს სამხედროებს გადაწყვეტილი ქეონათ, «...лождав Томский полк, с царя Ираклия орден отобрать и его самого в Россию отправить, князей противной партии так же, сколько можно будет, прижать и всю Грузию в подданство се величества привести...»

გიორგი XII კანკლერ ა. ბუხბოროდ-კოსადმი მიწერილ წერილში იხსენებდა: „არა დროს მაგ კარზედ (საიმპერატორო-გ.კ.) შემწე და ჩვენთვის მზრუნველი არა გვოლია, სანატრელ მამა ჩვენს (ერეკლე II-ს-გ.კ.) პქონდა სასოება დიდებულ კნიაზ პატემეინზედ, მაგრამ ის ჩვენ ვგატყუებდა, ის მხოლოდ თავის სახელის განდიდებას ეძებდა და არავის სხვისთვის ზრუნავდა“. იმპერატორი პავლე I-ს გიორგი XII წერდა: „სანატრელსა მეფესა, მამასა ჩემსა, აქუნდა ჩვეულებად მოწერა დამჭირნობისა თვისისა მოსახლერის მთავრისა მიმართ (იგულისხმება ალბათ გენერალი ი. გუდოვიჩი-გ.კ.), და ამით ესოდენ ვრძელდებოდა და გვიანდებოდა საქმე — რაოდენ აგრძნა თფილისშიან ხელითა მტაცებლისა აღამაჰმადხანისათა, ამისათვის ვითხოვ რათა მაქუნდეს ნება მოწერად პირის-პირ თქვენდა“, და შემდეგ დასძინდა: „...თუ ოდესმე სპარსთა, ან სხვის მძღავრ ჯარს ჩვენზედა მოსვლა ეგულეუბოდეს, ამისათვის ღინიაზე მყოფს ლენერალს პქონდეს ბრძანებამოუხსენებლად (ხაზი ჩვენია-გ.კ.) შვიდი ათასი სალდათი მოგვაშუქლოს და არა უშეტეს ამისა (ხაზი ჩვენია-გ.კ.), ჩვენის პურით“. სწორი უნდა იყოს, ზ. ავალიშვილის შენიშვნა, რომ გენერალი ი. გუდოვიჩი საკუთარი ნებით ვერ გადაწყვიტდა ერეკლესათვის დახმარების გაწევის საკითხს, ვინაიდან ჯერ კიდევ 1792 წლის ეკატერინე II-ის რესკრიპტით მას მოხსენდა, რომ საქართველოში ჯარის გაგზავნა „за благо не приемлется“. რუსეთი გარდა იმისა, რომ არ ასრულებდა თავის მოვალეობას საკუთარი ვასალის — საქართველოს მიმართ, უკრძალავდა კიდევ მას ჩრდილოკავკასიური მასშველი ჯარის დაქირაუებას, რაც, ჩრდილოეთ კავკასიაში რუსეთის გაბატონებამდე არავითარ სირთულეს არ წარმოადგენდა ქართველ ხელისუფალთათვის.

ნიშანდობლივია, კრწანისის ბრძოლის ერთი თვის თავზე, 1795 წლის 15 ოქტომბერს, ბაღდადში საფრანგეთის

კონსულის რუსოს მიერ ^{გენერალ-სარდლის} ^{გენერალ-სარდლის} თვალსაზრისი მომხდარ მოვლენათა შესახებ; რუსოს განცხადებით: „იმის გამო, რომ რუსებმა არანაირი შესაძრწველი დიპლომატიური ან სამხედრო ნაბიჯი არ გადადგეს თავიანთი მოკავშირის, საქართველოს მხარდასაჭერად, ამ უკანასკნელისადმი სპარსელების ყველა მტრული ქმედების საპასუხოდ, ბაღდადში იმ ხანად მყოფი ზოგიერთი სპარსელი და ქართველი დიდებული, ისევე როგორც ბევრი სხვა კარგად ინფორმირებული პირი, ფიქრობს და მიდის ხაკსებით მართებულად იმ დისკონამდე, რომ ეს გარემოება წარმოადგენს რუსეთის სამეფო კარის ბარბაროსულ პოლიტიკას ერეკლესა და საქართველოს გასანადგურებლად. აღამაჰმად-ხანის მიერ, რათა შემდეგ თავის ძალთა შემოტყუებით სპარსელებს წაართვას საქართველო და სამუდამოდ შეინარჩუნოს იგი დამპყრობლის უფლებით. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ივ. ჯავახიშვილი იზიარებდა რუსეთის ჯარის სარდლის შტაბის ადიუტანტის პ. ბუტკოვის აზრს, რომლის თანახმადაც ეკატერინე დიდს იმ იტომ აწყობდა სპარსელების მიერ საქართველოს აოხრება, რომ ამ საბაბით და აღამაჰმად-ხანის დასჯის მომიზეზებით, სპარსეთთან რუსეთის ვაჭრობა განსაკუთრებით განემტკიცებინა.

თუმცა, მიზეზთაგან დამოუკიდებლად ამკარაა, რომ რუსეთის საქართველოს მომძღაერება ხელს არ აძლევდა და ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა საქართველოს არ მოსტყმოდა დაწინაურებული სამხედრო ტექნიკისა და მეტადრე ზარბაზნების ჩამოსხმა - მოხმარების შესწავლის შესაძლებლობა. რუსეთის ასეთი პოლიტიკა საქართველოს მიმართ ახალი არ იყო, ჯერ კიდევ XVI საუკუნეში ალექსანდრე კანთა მეფის ყოველ თხოვნას ზარბაზნების გადაუღებელი მოწოდების საჭიროების თაობაზე, მოსკოვის სამეფო კარი მკადაგებლების გამოგზავნით პასუხობდა.



1801 წლის 12 მარტს, მას შემდეგ, რაც პაველ I შეთქმულების მსხვერპლი გახდა, რუსეთის ახალმა იმპერატორმა ალექსანდრე I-მა იმ მიზნით, რომ მამამისის მიერ საქართველოს დაპყრობის ფაქტით, ევროპის დიდი სახელმწიფოების შესვეურთა თვალში რუსეთს ჩირქი არ მოსცებოდა, საქართველოს საკითხი რუსეთის სახელმწიფოს წინაშე დასვა. შექმნილი მდგომარეობა რუსეთს სახარბიელო სახეს არ უქმნიდა; გიორგი XII-ის მემკვიდრე დავითი, თავის 1801 წლის 27 მაისის წერილით იტყობინებოდა, რომ მუფე გიორგის იმპერატორ პაველსათვის იმ მიზნით შეუწირავს თავისი სამეფო, რომ ამ უკანასკნელს მისი ძე დავითი დაეტოვებინა კანონიერ ტახტზე.

იმპერიის სახელმწიფო საბჭო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ

«простая протекция, какую с 1783 г. давала Россия Грузии, вовлекла сию несчастную землю в бездну зол, которыми она приведена в совершенное изнемождение и продолжение оной на тех же основаниях неминуемо ввергнет ее в совершенную погибель».

მართლაც, რომ ძალზე საყურადღებო შეფასებაა გეორგიევსკის ტრაქტატის შედეგებისა საქართველოს მიმართ, გაკეთებული თვით პროტექტორი მხარის მიერ. მაგრამ, მიუხედავად საქართველოსათვის, თავისი მფარველობის ამჟამად უარყოფითი შედეგებისა, რაც როგორც ჩანს, არცთუ უკანასკნელ რიგში, ამ ქვეყნის საბოლოო და მთლიანი დაუფლებიანათვის, საკუთრივ რუსეთის იმპერიული პოლიტიკის წინასწარგანზრახულ ქმედებას წარმოადგენდა, ვერც „სამართლიანობის აღდგენის“ მოსურნე ალექსანდრე I შეელოდა საქართველოს. სახელმწიფო საბჭოს დასკვნით, რუსეთისათვის განსაკუთრებით საზიანო იქნებოდა საქართველოს დატოვება, რადგან ამ შემთხვევაში ღონემიხდილ ქვეყანას ოსმალეთისათვის შეეძლო ეთხოვა მფარველობაში მიღება, ეს კი

ტრაგიკულ შედეგებს გამოიწვევდა რუსეთისათვის, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში ოსმალეთი რუსეთს კავკასიონის მთავარი ქედის გაყოლებაზე გაუმუშობლდებოდა. საბჭო შემდეგნაირად სვამდა საკითხს:

«Какими средствами оградить пространство более 800 верст, где с российской стороны представляется неприятелю свободный вход в места ровные, ничем неприкасаемые; с неприятельской же при первом шаге встречаются неприступные горы?»

რუსეთის სახელმწიფო საბჭოს ამ წინადადებაში დაუფარავად არის გაცხადებული ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი, რის გამოც რუსეთის სახიციოებლო მოთხოვნილებას წარმოადგენდა საქართველოს ტერიტორიის დაუფლება. ნიშანდობლივია, რომ გეორგიევსკის ტრაქტატის ხელმოწერის მომდევნო წელს, 1784 წელს, საქართველოს სამხედრო ზღის ჩრდილოეთ კიდეში პაველ პოტიომკინის მიერ აგებულ ფორტს **ვლადიკავკაზი** ეწოდა. ჯერ კიდევ 1770 წლის 16 ივლისს წერდა გრაფი ნ. პანინი გენერალ გ. ტოტლებენს, რომ მანძილის სიშორე და კავკასიონის ქედის გადალახვის სიმძნელე იმხანად შეუძლებელს ხდიდა საქართველოს მისაკუთრებას. ამ მიზნის განსახორციელებლად პირველ რიგში აუცილებელი იყო რუსული ძალაუფლების გავრცელება თურვის ნაპირებიდან კავკასიონის მთების ძირამდე და ციხე-სიმაგრის აგება დარიალის ხეობის შესასვლელთან, ჩრდილო კავკასიის აგრესიული ტომების მოსათოკავად. ამ ამოცანის შესრულება თავადმა გრიგორ პოტიომკინმა თავის ნათესავს გენერალ პორუნიკს, თავად პაველ პოტიომკინს დაუავლა.

რუსეთის ექსპანსიონისტური მიზნებისათვის, ისევე როგორც კავკასიონის ქედს ჩრდილოეთიდან მომდგარ ყველა ცენტრალურევრაზიული ძალისათვის, კომპრომის-სკვიტური ხანებიდან დაწყებული, ბუნებრივ მოთხოვნილებას

წარმოადგენდა ისეთი მნიშვნელოვანი წინაღობის გადალახვა, როგორც „სამეაროს ორად გამყოფი“ კავკასიონის მთავარი ქედი იყო. რაღა — თქმა უნდა, ალექსანდრე I-მა, სახელმწიფო საბჭოს კარნახით, გადაწვევითა საქართველოს „გაბედნიერება“ რუსეთთან მისი შეერთებით, რაც ალესრულა კიდეც 1801 წლის 12 სექტემბერს ახალი „უმალღესი მანიფესტი“, რომელიც პლატონ ზუბოვის მიერ იყო შედგენილი. მანიფესტი მოგვიანებით, მომდევნო წლის 8 მაისს გამოცხადდა თბილისში მოწვეულ წარჩინებულთა შეკრებაზე. ფიცის დადებისას მიპატივებულნი, გარშემორტყმული იყვნენ რუსის ჯარით, რომელსაც დავალება ჰქონდა წინააღმდეგობის ყოველგვარი ცდა იარაღის ძალით ჩაეხშო. უკმაყოფილონი დააპატიმრეს. გიორგი მეორემეტის ძეს დაეთო „მეთორმეტეს“ საქართველოს ტახტის ნაცვლად ალექსანდრე ნეველის ორდენი ერგო.

ერთი წელიც არ იყო გასული რუსეთთან ქართლ-კახეთის შეერთებიდან, რომ საქართველოში იფეთქა აჯანყებამ სამეფოს აღდგენის მოთხოვნით. თითქმის XIX ს. მთელი პირველი ნახევრის განმავლობაში ქვეყანაში არ წყდებოდა აჯანყებები და შეთქმულებები რუსული მმართველობის წინააღმდეგ. ადვილი არ იყო ორიათასსამას წლოვანი სახელმწიფოებრივი ტრადიციის გაუქმება. ერთი უდიდესი მორალური ტრამეა მიიღო. რუსეთის უმალღეს კარზე საქართველოს „სრულშემძღვრელი“ ლესპანი, თავადი გარსევან ჭავჭავაძე 1801 წელს სანკტ-პეტერბურგიდან იწერებოდა, რომ საქართველოს გაუქმების შესახებ იმპერატორის მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება მოხდა ქართველ წარმომადგენლებთან ყოველგვარ კონსულტაციების გარეშე და რომ რუსებმა არ შეასრულეს მეფე გიორგის არცერთი თხოვნა და ისე მოსპეს სამეფო და სამეფო ძალაუფლება. გარსევან ჭავჭავაძის სიტყვებით, არცერთი ქვეყანა არასოდეს არ ყოფილა

ისე დამცირებული, როგორც საქართველო. რუსეთის მმართველობისნაშინ კახეთის მოსახლეობის 1802 წლის 21 ივლისის მიმართვაშიც ნათქვამია, რომ არცერთ ურჯულო მტერს, რომელსაც საქართველო დაუპყრია, იმასაც კი არ გაუუქმებია არც სამეფო ძალაუფლება, არც მღვდელმთავრობა, არც თავდაზნაურობა და არც გლეხობა და ამდენად ერთმორწმუნე რუსეთის მფარველობაში შესვლით მეფე და ერი ბუნებრივია, დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მათ ღირსება და პატივი არ მოაკლდებოდათ. სპარსეთში ბრიტანეთის ელჩის მალქოლმის შენიშვნით, თითქოს საყოველთაოდ იყო ცნობილი, რომ საქართველო რუსეთის პროტექტორატში შევიდა, სინამდვილეში კი იგი რუსეთის პროვინციად იქცა. იმპერატორ პავლეს, და შემდეგ კარგველად ალბათ ალექსანდრე I-ის, გადაწყვეტილება საქართველოს რუსეთთან შეერთების თაობაზე, რამდენადმე განპირობებული ჩანს ცნობილი გეოლოგის გრაფ ა. მუხინ-პუშკინის მოხსენებით, რომელშიც დიდად იყო შეფასებული საქართველოს მინერალური რესურსების სიმდიდრე. ყურადღება მახვილდებოდა სპარსეთისა და ინდოეთის მიმართულებით ქვეყნის ხელსაყრელ სავაჭრო განლაგებაზე და მისი მდებარეობის სტრატეგიულ უპირატესობებზე, თურქეთთან და სპარსეთთან დაპირისპირებისას, ერთი მხრივ, და დალესტნის გარემოცვისა და ჩრდილო კავკასიის გამაგრებული ხაზის (ლინიის) თავდაცვის შესაძლებლობის თვალსაზრისით, მეორე მხრივ.

ალექსანდრე I-ის ბრძანებით საქართველოში დაბრუნებულმა გენერალმა კ. კნორინგმა გააერთიანა მთავარსარდლისა და მთავარმართველის სამხედრო და სამოქალაქო ფუნქციები და პირველივე ნაბიჯი, რომელიც მან გადადგა ალექსანდრე I-ის დავალებით, იყო ის, რომ „საქართველოს კეთილდღეობისათვის“ მიზანშეწონილად მიიჩნია, ბოლო ხანების მტრების შემოხვევების შედეგად (იგულისხმება რუსეთ-საქართ-



ველოს 1783 წლის ტრაქტატის ხელმოწერის შემდგომი პერიოდი-გ.ქ.) ადგილობრივი შეთხელებული მოსახლეობის შესავსებად შეზობელი ამიერკავკასიული სახანოებიდან არაქართული ქრისტიანული მოსახლეობის გადმოსახლება. მასვე იმპერატორისაგან დაკლებული ქონდა ახალმოსახლეთათვის საკმაო რაოდენობის მიწის გამოყოფა და მეურნეობის მოსაწყობად საჭირო მატერიალური დახმარების გაღება. ა. სურგულაძის შეფასებით, საქართველოს ტერიტორიაზე რუსი და სხვა არაქართველი ეროვნების ხალხთა ჩამოსახლება რუსეთის იმპერიის კოლონიური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი იყო. კოლონიზაცია უნდა გადაქცეულიყვნენ საიმედო დასაყრდენად ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ. 1817 წლიდან იწყება ამიერკავკასიაში გერმანელების ჩამოსახლება: ოციანი და ოცდაათიანი წლების მიჯნაზე რუსეთის შთაერობამ საქართველოში მასობრივად ჩამოსახლა ქრისტიანი სომხები და ბერძენები; სომხური მოსახლეობის მომდევნო ტალღებს მოჰყვა ასირიელებისა და ქურთი-იუზიდების იმიგრაცია. ოცდაათიანი წლების მიწურულიდან სავანეგო ვურადლება მიექცია საქართველოში რუსი სამხედრო დასახლებების მოწყობას. შავი ზღვის სანაპიროზე დაგეგმილი იყო და დაიწყო კიდევ კახათა ჩამოსახლება, რომელთა ნაწილი შემდეგ კოლხეთის ციებთანმა კავამ იმსხვერპლა.

რუსული კახაკობა რუსეთის ექსპანსიის მძლავრი და უმთავრესი იარაღი იყო კავკასიისა და შუა აზიის მიმართულებით. მიუხედავად ანარქიული მისწრაფებების სიმრავლისა, ისინი ქმედითად ასრულებდნენ თავიანთ სამხედრო და კოლონიზატორულ ფუნქციებს. უ.კ.დ. ალენისა და პ. მურატოვის აზრით, კახაკობა თავისებური და ორიგინალური გამოვლენა იყო რუსული გენიისა. თუმცა ცნობილი ორიენტალისტის ვ. ბ. შაითოვი¹ № 5.

მინორსკის შენიშვნით ამ მოვლენას უნდა ვერც ერთი რამ ქონდა საერთო საზღვრებთან თურქული ექსპანსიის მიმდინარეობასთან. XVIII ს. მეორე ნახევარში იმპერატორ ანას უცხოელმა მრეკლეებმა მუნიციპალიტეტები და ლაქიმ კახათა გავრცელებისა და კოლონიზაციის არსებული სისტემა დაუქვემდებარეს იმპერიის ტაქტიკას და ეს ნახევრადანარქიული თემები აქციეს კალკუირებული და შორსმჭვრეტელური პოლიტიკის იარაღად. კახაკური გამაგრებული ხაზები (ლინიები) — „სტანიცები“ თუ სამხედრო დასახლებები, ერთმანეთთან ციხე-სამაგრებით (ფორტებით) დაკავშირებულნი, ფართოდ იყო გავრცელებული რუსეთის საზღვრების სამხრეთის მთელს გავლებზე, მათ შორის კავკასიაშიც.

საიმპერატორო კარი, გარდა საქართველოს კოლონიზაციისა, ცდილობდა კავკასიონის კალთების ოსური მოსახლეობის მიმხრობას და წარმატებითაც. გაქრისტიანების საბაბით ხდებოდა მათი ბატონყმობისაგან (ქართველი, მათ შორის ნაოსარი თავადაზნაურობისაგან) განთავისუფლება, რაც განსაკუთრებული შემთხვევა იყო ბატონყმობის უკიდურესად ველური ფორმების მქონე რუსეთის ცხოვრებაში. ახალმოქცეულებს, რუსი სამღვდლოების დაევაკურთხევით, შესაძლებლობა ეძლეოდა ერიბია და ემარცვა ადგილობრივი ქართული მოსახლეობა, რა თქმა უნდა, არა მხოლოდ თავადაზნაურობა, არამედ ყმა-გლეხობაც. დამახასიათებელია, ამ მხრივ, თბილისის საოქალაქო გუბერნატორის გენერალ-მაიორ პოვენის შეკითხვა, როგორც ჩანს 1816 წლისა, მთავარსარდლის ა. ერმოლოვის სახელზე:

«Как должны поступать жители Карталинии с теми из крещеных осетин, кои будут уличены в разбое, ибо новокрещенцы сии, имея под видом единоверия свободный вход в Карталинию, позволяют себе, в надежде на покровительство тамошнего духовенства, грабежи и разбой, а карталинцы, боясь ответ-



ственности за убийство христианина, не смеют не только их преследовать, но даже и защищаться». ექვს ვარშეა, ოსური მოსახლეობისადმი ასეთი დამოკიდებულება, რომელიც ისევე როგორც რუსები, ქედის გადაღმა მდებარე მხარიდან იყო გადმოსახლებული, გამოწვეული იყო არა მისიონერული მოღვაწეობის ხიბლით, არამედ ოსების ბინადრობით რუსეთისათვის უადრესად მნიშვნელოვან სტრატეგიულ კვანძში – კავკასიონის მთავარი ქედის, როგორც ჩრდილოეთ, ასევე სამხრეთ კალიბრზე. უ.ე.დ. ალენისა და პ. შურატოვის აზრით, ოსები მთლიანობაში კეთილგანწყობილნი იყვნენ რუსეთის ხელისუფლებისადმი და მათმა განსახლებამ წვალგამყოფი ქედის ორივე მხარეს და საქართველოს სამხედრო გზის გასწვრივ გარკვეულად განაპირობა რუსული გავლენის შედარებით უსისხლო ექსპანსია ქედის ცენტრალური ნაწილის სამხრეთით. რაც შეეხება შიდა ქართლში ოსებისათვის განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობების შექმნას, ეს განპირობებული უნდა ყოფილიყო სურვილით, რომ მათი კომპაქტური დასახლების ჩამოყალიბების შედეგად, იმპერიის ხელისუფალით მიერთ კავკასიონის ქედის გადაღმა მდებარე პლაცდარში, რომლის სიახლოვეც კავკასიის გულთან, თბილისთან, საქართველოს დედაქალაქის კულტურული კონტროლის შესაძლებლობას მისცემდა იქ რუსეთისათვის არასახურველ მოვლენათა აღმოცენების შემთხვევაში.

რუსეთის იმპერიის შესვეურთა მიერ ჩატარებულმა დემოგრაფიულმა პოლიტიკამ საგრძნობი ცვლილებები გამოიწვია საქართველოს ეთნიკურ შემადგენლობაში, კერძოდ, ძალზე მნიშვნელოვანი იყო ამის შედეგი ქართველთა ხვედრით წილზე ამიერკავკასიის მოსახლეობაში. რუსეთის იმპერიაში ინკორპორაციის შედეგად, მართალია, ქართული მოსახლეობის აბსოლუტური რაოდენობა განუზრვლად იზრდებოდა,

ისევე როგორც იმავედროულად მსოფლიოს ერთა თითქმის აბსოლუტურად უმრავლესობისა, მაგრამ მისი ხვედრითი წილი ეცემოდა. 1800 წლის მონაცემებით, ქართველები ამიერკავკასიის მოსახლეობის 43,0% შეადგენდნენ და ეს მიუხედავად რუსეთის პროტექტორატის პირობებში, 1783 წლის მომდევნო პერიოდში, მათი რიცხვის თითქმის განახევრებისა, 1832 წ. მონაცემებით, ქართული მოსახლეობის ხვედრითი წილი 38,4 %-მდე დაეცა, 1865 წ.-35,6, 1886 წ.-30,7 %, 1897 წ.-28,8 %-მდე. ეს პროცესი XX ს. გრძელდებოდა, თუმცა 1926 წ. მონაცემებით ქართველთა პროცენტულმა რიცხვმა ამიერკავკასიის მოსახლეობაში რამდენადმე მოიმატა და 31,2 % შეადგინა, როგორც ჩანს, 1917 წ. რევოლუციის შედეგად იმპერიული პოლიტიკის უქონლობისა და საქართველოს ჭეშმარიტი დამოუკიდებლობის რამდენიმეწლიანი პერიოდის არსებობის გამო, თუმცა ოცდაათიანი წლებიდან საბჭოთა იმპერიის პირობებში ისევ აღინიშნა ქართული მოსახლეობის ხვედრითი წილის შემცირების ტენდენცია: 1959 წ.-27,3 %, 1970 წ. 25,5 %. 1988 წ. მონაცემებით ქართველების რიცხვი ამიერკავკასიის მოსახლეობის ოც პროცენტზე ოდნავ მეტს შეადგენდა, ხოლო ამჟამად (1995 წ.), ქართული მოსახლეობის მხარდი ემიგრაციის გამო, აღბათ კიდევ უფრო შემცირდებოდა.

მსოფლიოში არცერთი ერი არ ცხოვრობს და ვერც იცხოვრებს იზოლირებულად სხვათაგან, და ამდენად, ერის ხვედრითი მონაცემები, მისი დემოგრაფიული დინამიკა, სხვა, განსაკუთრებით მეზობელ ერთა მონაცემებთან შეფარდებით, არის ძირითადი საზომი ამა თუ იმ ერის თანამედროვე ადგილის, თუ მომავალი პერსპექტივის განმსაზღვრელი. ამ ასპექტით არ შეიძლება შემოთქვამს არ იწვევდეს ქართველი ერის ბედი.

რუსეთის იმპერიული პოლიტიკის სტრატეგიული მიზნებისათვის რა

თქმა უნდა დაუშვებელი იქნებოდა ცენტრალურ ამიერკავკასიაში მხარდი სტაბილური და სიცოცხლისუნარიანი ეროვნული ორგანიზმის არსებობა, რომლის სიმძლიერეც უკუპროპორციულია იქ რუსეთის ბატონობის ხარისხსა.

როგორც ჩანს, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის განმავლობაში საქმარისად იყვნენ რეალური ძალაუფლების მქონე პირები, რომელთათვის სასურველი იყო ა. ლობანოვ-როსტოცკის ლოზუნგი «Грузия без грузин!». იყვნენ ისეთი „მოამბეინი“ რომელთაც, ნ. ბერძენიშვილის სიტყვებით, საქართველო მხოლოდ დამონებული და პოლიტიკურად მკვდარი უყვარდათ; მართლაც „კლასიკურია“ ერთი მათგანის, «Люблю Грузию, только под властью России».

XIX ს. მეორე ნახევარში ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ საქართველოში ახალი სახე მიიღო; ილია ჭავჭავაძისა და სხვა „თერგდალეულების“ თაონობით, იგი საერთო ევროპული დონის ანალოგიურ მიმდინარეობებს გაუთანაბრდა თავისი შესაძლებლობებით, საშუალებებითა და მიზნებით.

საფურადღებოა მოსახზრება, რომ ვინაიდან, XIX ს. საქართველოში პოლიტიკური ძალაუფლება რუსული ბიუროკრატის ხელში აღმოჩნდა, ხოლო ეკონომიკური-სოცხური ბურჟუაზიისა, მარქსიზმი გახდა ის არანაციონალისტური იდეოლოგია, რომელიც მძლეური იარაღი გამოდგა ქართველთა ორივე ეთნიკურ მოწინააღმდეგესთან საბრძოლველად — რუსულ მმართველ კლასთან და სოცხურ ბურჟუაზიასთან.

1914 წლის აგვისტოში დაწყებულმა პირველმა მსოფლიო ომმა კალეიდოსკოპური სისწრაფით დააჩქარა მოვლენები, რომლებიც შემზადებული იყო დროის მსვლელობით — მსოფლიო ისტორიული განვითარების კანონზომიერებით. განსაკუთრებით დიდი ძვრებით აღინიშნება ეს ეპოქა რუსეთის, აკს-

ტრია-უნგრეთის, ოსმანთა და ბალკანეთის იმპერიებისათვის, რომლებიც კიდევაც შეეწირნენ ამ ომს.

პირველ მსოფლიო ომში საქართველომ გაგზავნა 320 ათასი კაცი, მაშინ, როდესაც იმპერიაში თავისი ზეადრითი წილისა და მობილიზაციის მასშტაბების მიხედვით უნდა გაეგზავნა მხოლოდ 160 ათასი, ანუ ორჯერ ნაკლები. ის რაოდენობა, რომელიც უნდა გაეგზავნა, დარჩა ბრძოლის ველზე; ხოლო 1921 წლის თებერვალში ბოლშევიკური რუსეთის თავდასხმის დროს, დედაქალაქის დასაცავად რამდენადმე მნიშვნელოვანი ძალის შეგროვებაც კი ვაჭირდა, ისევე როგორც 1795 წლის კრწანისის ბრძოლისას. მეორე მსოფლიო ომში საქართველოდან 750 ათასამდე მებრძოლი წავიდა. დამაფიქრებელი ფაქტია!

რუსეთის იმპერიის წგრევის შედეგად საქართველომ 1918 წლის 26 მაისს აღიდგინა თავისი სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი და გახდა თავისუფალი ქვეყანა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის ხანა, 1918 წლის მაისიდან 1921 წლის თებერვალამდე, სახელმწიფოებრივი ტრადიციის აღდგენის გარდა, იმითაც იყო უაღრესად მნიშვნელოვანი ქვეყნისათვის, რომ სწორედ ამ საშმა წელმა იხსნა ქვეყანა იმ ქაოსისა და წგრევისაგან, რაც სამოქალაქო ომმა დაატეხა რუსეთს. ადვილი წარმოსაადგენია, რა მდგომარეობაში ჩავარდებოდა საქართველო, თუ იგი მონაწილეობას მიიღებდა „თეთრებისა“ და „წითლების“ ურთიერთანგარიშსწორებაში.

დემოკრატიული საქართველოს მთავრობის მეთაური, ნოე ჟორდანიია, დენიკინური თეთრი არმიისა და ინგლისის სარდლობასთან მოლაპარაკებისას, ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ „Грузия не имеет ни малейшей охоты ввязываться в эту борьбу“. იმავე ხანებში ვერონტი ქიქოძე წერდა: „ქართველმა ხალხმა ნეიტრალიტეტი უნდა

დაიცვას რუსეთის სამოქალაქო ომში თავდაცვის ელემენტარული პრინციპის გამო, ვინაიდან ჩვენი ბიოლოგიური ენერგია ასმილიონიან ხალხთან შედარებით განსაზღვრულია და ჩვენ არ შეგვიძლია ხანგრძლივი კრიზისების ატანა.

ნოე ჟორდანიასა და საქართველოს დელეგაციის დენიკინელებთან და ინგლისელებთან მოლაპარაკების ძირითადი საკითხი იყო მეზადირისა ბზიფის შუამდინარეთის სტატუსი. ეს ტერიტორია, ე.წ. გავრის დეფილე, რომელსაც გენერალი ა. დენიკინი ომის შექარით ითხოვდა, საქართველოს დელეგაციის მიერ განიხილებოდა, როგორც საქართველოს მთელი ტერიტორიის სტრატეგიული გასაღები. ინგლისელი გენერლის უოქერის აზრით, სასაზღვრო ზონაში ინგლისური პიკეტების განლაგებით შესაძლებელი გახდებოდა საქართველოზე მოხალისეთა არმიის შეტევის შეჩერება. ნ. ჟორდანიამ მიუხედავად თავისი პრაქტიკული ქმედებისა გენერლის ოპტიმიზმი თეორიულად არ გაიზიარა; იგი ამბობდა:

«Генерал, очевидно не знает русских; мы же их изучили очень хорошо. Не будучи в состоянии идти на север, добровольческая армия развивает наступление в сторону наименьшего сопротивления».

თეთრგვარდიელთა გეგმებზე აღბათ ის გარემოებაც მოწმობს, რომ მოწინავე ნაწილების შემადგენლობაში მათ ადგილობრივი სომხები ჰყოლიათ.

ნ. ჟორდანიას შეფასებით, დემოკრატიული საქართველოს არსებობის ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში ყველაზე რთული 1919 წელი იყო. გარედან დენიკინელები უტყვევდნენ, ხოლო ქვეყნის შიგნით არეულობას იწვევდნენ თურქოფილები და განსაკუთრებით ბოლშევიკები, რომელთაც დარიალის ხეობით ჩრდილოეთიდან გადმოყავდათ დამხმარე ძალები აჯანყების მოსაწყობად; მოსკოვი, თურქეთი და თეთრგვარდიელები სხვადასხვა გზებითა და საშუალებებით, თითქოსდა ერთმანეთთან

შეთანხმებით ცდილობდნენ ქვეყნის დაქვევას; ნ. ჟორდანიას სურსასწრაფია სით, საქართველოს ორი მეზობელი. თურქეთი და რუსეთი, იყვნენ და არიან მისი ძირითადი მტრები.

რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველო წარმატებით ახერხებდა მტერთან გამკლავებას. საქართველოს ჯარების მთავარსარდალი გ. კვინიკაძე მიიხსენებდა, რომ რუსეთის იმპერიაში შემავალ ერთა შორის, ქართველებს ჰყავდათ ოფიცერთა შემადგენლობის ყველაზე მაღალი პროცენტი და რომ ეს ოფიცრები ისევე როგორც ქართველი ჯარისკაცები, საუკეთესო მხრით იყვნენ გამოჩენულნი რუსეთის არმიაში და დიდი გამოცდილებაც ჰქონდათ მიღებული, როგორც მშვიდობიანი ისე საბრძოლო ვითარებაში. გ. კვინიკაძის თვალსაზრისით, მით უფრო უცნაურია ის ფაქტი, რომ საქართველო წალეკა ბოლშევიკური რუსეთის ტალღამ, ხოლო სხვა, ასევე მცირე ზომის, სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები განაგრძობდნენ არსებობას. საქართველოს მთავარსარდალის შეფასებით:

«Все эти образования ни в коем случае не обладали теми благоприятными данными какими обладали мы. Кроме того нас отделял от России Кавказский хребет и тако-го помощника не было ни у Польши, ни у Латвии и Финляндии».

ის გარემოება, რომ საქართველოს ჩაოშორება რუსეთისაგან ხანგრძლივი არ გამოდგა, უნდა აიხსნას ბოლშევიკური რუსეთის მისწრაფებით, ჰქონოდა კავკასიონის ბუნებრივი ბარიერის გაღაღმა არსებული პლაკდარმი, ოღონდ ამჟამად უკვე კომუნისტური იდეოლოგიის გასაფრცელებლად. ამიერკავკასიაში რუსეთის შეღწევა თანდათანობით და მეთოდური იყო. ჯერ კიდევ 1920 წლის 7 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის „ცნობის“ ხანაცვლოდ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ ხელი მოაწერა „მეგობრობის“ ხელშეკრულებას რუსეთის სა-

ბჭოთა ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობასთან.

მართებული ჩანს იმ ისტორიკოსების აზრი, რომლებიც შენიშნავენ, რომ თუ, ერთი მხრივ, რუსეთთან სამშვიდობო და სამოკავშირეო ხელშეკრულების დადება განამტკიცა საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო ერთეულის საერთაშორისო ავტორიტეტი, მეორე მხრივ, მანვე შექმნა ხელსაყრელი პირობები რუსეთის მიერ საქართველოს დასაპყრობლად და რომ ასეთი შედეგები 1920 წლის ხელშეკრულება ჩამოგავდა 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატს. როდესაც რუსეთის მფარველობაში შესულით საქართველო თვით სთავაზობდა მის კლავდარმს საქართველოში და კავკასიაში გასაბატონებლად. ეს კი საქართველოს არსებობას რეგიონში ზედმეტს ხდიდა. 1920 წ. ხელშეკრულებით საქართველომ თანხმობა განაცხადა ყველა უცხოური სამხედრო ძალის გაყვანაზე მისი ტერიტორიიდან და საქართველოს ბოლშევიკური პარტიის ლეგალიზაციაზე. უკვე, ერთი თვის შემდეგ, 1920 წლის ივნისში, შიდა ქართლში, ჯავისა და როქის მხარის ოსურ სოფლებში დიწყო ბოლშევიკური ამბოხი. რომლის შესახებაც 1921 წლის „სახალხო საქმის“ საბალწლო გამოშვება აღნიშნავდა: „საქართველო დემოკრატიული ქვეყანაა, იგი მცირე ერებსაც შესაფერისი პატივისცემით მოეპყრობა, მაგრამ ჩრდილოეთის კარებს ვერავის გაუღებს და კარების დარაჯად ორგულთ ვერ დააყენებს. ეს უნდა შეიგნონ ყველა მათ, ვინც ერთა თვითგამორკვევის სახელით ჯავის ხეობის ცალკე სახელმწიფოდ გამოცხადების მომხრედ გამოდიოდა, ნაწილი უნდა ემორჩილებოდეს მთელს და ეს უკანასკნელი ვერასოდეს ვერ გასწირავს თავს უმცირესობის საამებლად“.

როგორც ირაკლია, მხოლოდ საკუთარი ადამიანური და მატერიალური რესურსებით საქართველოს ბოლშევიკებს სახელმწიფო გადატრიალების მოწყობა არ შეეძლოთ, ისინი უფრო უც-

ხო სახელმწიფოს „მეზუთე“ წარმოადგენდნენ ვიდრე ერს. გენერალ ნაწილს. საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები, იმხანად, ბრიტანეთის ხმელთაშუაზღვის რეგიონში მყოფი სამხედრო ძალების მთავარსარდლის მოხსენების თანახმად, თითქმის მთლიანად რუსებისა და სომხებისაგან შედგებოდნენ. საქართველოში ბოლშევიკური ორგანიზაციების სისუსტეზე მიუთითებს თუნდაც ის გარემოება, რომ იოსებ ჯუღაშვილსა და მის მეგობრებს სტოკოლმის 1906 წლის რუსეთის სოციალ-დემოკრატთა პარტიულ კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად ჩატანილი ჰქონიათ მანდატები ბორნალოს მახრისა, სადაც სინამდვილეში არავითარი პარტიული ორგანიზაციები არ არსებულა და, შესაბამისად, სამანდატო კომისიამ მათი მანდატები არ სცნო. სამაგიეროდ, რუსეთის სოციალ-დემოკრატთა შორის დიდ ძალას ქართველი მენშევიკები წარმოადგენდნენ, რასაც რუსი ბოლშევიკები, რომლებიც ამ პარტიის მართლაც დიდ უმრავლესობას შეადგენდნენ, ვერ მოიწონებდნენ. დამახასიათებელია ამ მხრივ 1907 წლის ლონდონის პარტიულ ფრილობაზე საქართველოდან 29 მენშევიკის ჩასვლასთან დაკავშირებით ვ. ლენინის მიერ ნ. ჟორდანიასათვის ნათქვამი სიტყვები:

«Грузинны, не вмешивайтесь в наши дела. Вы не знакомы с нашим народом, с его психологией, с его жизнью и бытом. И почему вы мешаете нам уладить наши дела по-русски. Получите автономию и делайте в Грузии, что хотите, мы не будем вмешиваться и вы не вмешивайтесь в наши дела».

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ და ოციანი წლების დასაწყისში დაპირისპირება ქართველ ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის, სერვო ორჯონიკიძის შეხედულებით, გამოწვეული იყო მათი განსხვავებული პოლიტიკური ორიენტაციით, რაც, თავის მხრივ, იმ ხანად არსებული მსოფლიო ძალთა დაპირისპირებით იყო განპირობებული;

თუ ბოლშევიკები კავკასიიდან რევოლუციური იდეებისა და თვით რევოლუციის „ექსპორტს“ ლაშობდნენ ინდოეთისაკენ და საზოგადოდ მთელ აღმოსავლეთში, მენშევიკები ორი ზღვიით ვარემოცულ კავკასიონის მასივს განიხილავდნენ როგორც ინგლისელთათვის საჭირო მძლავრ საყრდენს, ბურჯს, რომელიც სამუდამოდ ვზახს გადაუკეტავდა რუსეთს მესობოტამიისა და ინდოეთის ოკეანისაკენ და დასავლეთის ფლანგიდან საფრთხეს შეუქმნიდა იმიერკასპიისპირეთსა და თურქესტანში გამავალ რუსეთის კომუნიკაციებს ინდოეთის მიმართულებით ანუ სთავაზობდნენ ინგლისს უმოკლეს და ყველაზე ხელსაყრელ გზებს ევროპიდან შუა აზიისა და სპარსეთის მიმართულებით და საუკეთესო ბაზას სპარსეთზე და განსაკუთრებით თურქეთზე ეფექტური ზემოქმედებისათვის.

ს. ორჯონიკიძის ზემომოყვანილ შეხედულებაში, როგორც ჩანს, ახახულია ბოლშევიკური რუსეთის შიში, საქართველოს ინგლისური ორიენტაციის შესაძლო შედეგების გამო და ეს ალბათ უნდა ყოფილიყო ძირითადი მასტიმულირებელი ფაქტორი რუსეთისათვის საქართველოსთან 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების დადებისა. ამ ხელშეკრულებას ზ. ავალიშვილი სამართლიანად უწოდებდა „ევროპული ორიენტაციის“ დასასრულს საქართველოს საგარეო პოლიტიკაში. ავსტრიელი სპეციალისტის ე.მ. პირშის განცხადებითაც მიუხედავად, ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მოსკოვის მიერ საქართველოს *expressis verbis* ცნობისა, დადებული ხელშეკრულება უნდა იყოს განხილული როგორც ამკარა ნიშანი საქართველოს დასასრულის დასაწყისისა. 1921 წლის 26 თებერვალს ზემოაღნიშნული ხელშეკრულებით, მართლაც, „ხელშეკრული“ და გარე სამყაროსგან იზოლირებული, დამარცხებული საქართველოს რესპუბლიკის დედაქალაქი, თბილისი, სისხლისმღვრელი ბრძოლების შემდეგ

რუსეთის XI წითელი არმიის მიერ იყო აღებული.

მომხდარის გამო ერთა ლიგამ პროტესტი გამოთქვა. ძალზე წუხდნენ საქართველოს ბედზე დასავლეთევროპელი სოციალისტები და ემიგრაციაში მყოფი რუსი მენშევიკები — საქართველოს მოსკოვის იმპერიალიზმის მსხვერპლად მიიჩნევდნენ: აღინიშნებოდა რომ ბოლშევიკებმა მეფის რუსეთის კავკასიური პოლიტიკა აღადგინეს და რომ ამ აქტით ამკარა ხდებოდა რუსეთის მისწრაფება ახლო აღმოსავლეთში ჰეგემონიისაკენ.

გენერალი გ. კვინიკაძე რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის ძირითად მიზეზად ბაქოს ნავთის საკითხს მიიჩნევს. მისი აზრით, საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი რკინიგზის, ნავთსადენისა და ნავთსადენის ტერმინალის-ბათუმის ხელში ჩაგდების გარეშე საბჭოთა რუსეთი ვერ გამოიყენებდა ბაქოს ნავთს და შესაბამისად არც სხვა სახელმწიფოებს ექნებოდათ სტიმული მასთან ხელშეკრულების დადებისა. ზ. ავალიშვილიც იუწყება, რომ 1920 წელს საბჭოთა წარმომადგენლის ლ. კრახინის ლონდონში მოლაპარაკებისას, ცხადი გახდა, რომ ბაქოს ნავთი, რომელსაც მაშინ უკვე საბჭოთა რუსეთი განაგებდა, ძალზე უფასურდებოდა რუსეთისათვის ნავთსადენის მნიშვნელოვანი ნაწილისა და ბათუმის დამოუკიდებელი საქართველოს ფარგლებში მოქცევის გამო. საქართველოს პურობა, რომელიც ამიერკავკასიის დასაუფლებლად გასალებს წარმოადგენდა, გ. კვინიკაძის მიხედვით, ამავრებადა რუსეთის მდგომარეობას, ვინაიდან თავისუფალი საქართველოს არსებობა დაპყრობილი აზერბაიჯანისა და სომხეთის მოსახლეობისათვის ძლიერი ფსიქოლოგიური სტიმული იყო გამათავისუფლებელი მოძრაობის გასაჩივრებლად. საკუთრივ რუსეთში, როგორც „წითელი“ მთავრობის მიერ კაპიტალისტური ანტიანტის წინააღმდეგ ამხედრებული მუშურგლებური მასები, ასევე რუსი „ველი-

კოდერჯანიელები“, მხურვალედ უჭერდნენ მხარს საქართველოს დაპყრობას, როგორც, რუსეთის განუყოფელი ნაწილისას, რომელიც იმხანად რუსეთის მტრებთან იყო დაკავშირებული და რომლის მუშები და გლეხები თითქოს რუსეთს დახმარებას თხოვდნენ. ეს გარემოება გარკვეულად უფრო განამტკიცებდა მოსკოვის მთავრობის მდგომარეობას ქვეყნის შიგნით და მოსახლეობის ყურადღება გადაქონდა ეკონომიკური სიდუხჭირისაკენ. გარდა ამისა, დამოუკიდებელი საქართველო სოლიდით იყო შეჭრილი ბოლშევიკურ რუსეთსა და ქემალისტურ თურქეთს, ორ მოკავშირე ქვეყანას შორის და როგორც დასავლეთის სახელმწიფოების ბაზას, მას საფრთხეც კი შეექმნა ბაქოს ნავთისათვის.

ამდენად, როგორც საგარეო, ისე შიდა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, როგორც სამხედრო-სტრატეგიული, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით, საქართველოს დაპყრობა აუცილებლობას წარმოადგენდა რუსეთის მთავრობისათვის, სხვა საქმე იყო თუ თვით საქართველო დათანხმდებოდა განხორციელებულიყო რუსეთის ეს „აუცილებლობა“.

აღსანიშნავია, რომ დემოკრატიული საქართველოს მთავრობა ყოველგვარ, მათ შორის სამხედრო, დახმარებას უწყვედა ჩრდილოკავკასიელთა, ე.წ. მთიელთა რესპუბლიკას, რადგან ხელადა რომ ჩრდილოეთ კავკასიაში ძლიერი და დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის არსებობა, აუცილებელი იყო საქართველოს ჩრდილოეთი საზღვრის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ნ. ჟორდანიას სიტყვებით, მთიელთა რესპუბლიკა იყო ციხე-სიმაგრე მოსკოვის წინააღმდეგ. თურქი ქემალისტების პოზიცია ამ საკითხში სრულიად საპირისპირო იყო — ისინი ყველა ღონეს ხმარობდნენ მთის რესპუბლიკისა და აზერბაიჯანის ვასალუბებისათვის და მათი რუსეთთან შეერთების დასაჩქარებლად, რათა ამით საერ-

თო საზღვარი მიეღოთ ^{ჩრდილოეთის} და შემდეგ იქიდან (ჩრდილოეთიდან) დამხმარე ძალა გადმოეყვანათ „დასავლეთის იმპერიალისტებთან“ საბრძოლველად. სწორედ თურქი აგენტების წაქეზებით განაიარაღეს აზერბაიჯანელებმა ქართული რაზმები, რომლებიც მათი ტერიტორიის გავლით, ჩრდილოეთ კავკასიაში, მთიელთა რესპუბლიკის დასახმარებლად და ბოლშევიკთა წინააღმდეგ საბრძოლველად მიდიოდნენ. ნ. ჟორდანიას განცხადებით, 1921 წლის თებერვალ-მარტის საქართველოს მოელენებისას რუსეთმა თურქეთის ნეიტრალიტეტი ართვინისა და არტაანის ოლქების დათმობით იყიდა, რაც დადასტურდა წითელი არმიის შემოტევისთან ერთად თურქეთის თავდასხმით.

საქართველოს ვასალუბებიდან ორი წლის თავზე რუსეთის კომუნისტური პარტიის XII ყრილობაზე აღინიშნებოდა, რომ საქართველოს მხოლოდ საბჭოთა რუსეთთან მჭიდრო ეკონომიკური და სამხედრო კავშირით შეუძლია თავისი დამოუკიდებლობის „შენარუნება“. მიჩნეული იყო, რომ რუსეთის იმპერიაში შემავალი ხალხების თვითგამორკვევის შემდეგ, ამ ხალხთა სოციალისტები, თავისი ნებით შეეცდებიან ერთმანეთთან დაამყარონ კავშირი, ვინაიდან ეკონომიკურად ეს მათთვის მომგებიანი იქნებოდა და სამართლიან საფუძველზე მოხდებოდა რუსეთის იმპერიაში შემავალ ხალხთა ხელახალი გაერთიანება. აქ არ შეიძლება არ ითქვას, რომ დემოკრატიული საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა ბევრად უფრო მყარი იყო, ვიდრე იმავე ხანების საბჭოთა რუსეთისა.

საქართველოს ოკუპაციის შემდეგ ქართულმა ეროვნულმა ძალებმა სცადეს ბოლშევიკებთან თანამშრომლობა, ისინი მაინცდამაინც დიდ სხვაობას ვერ ხელაუდნენ მენშევიკებსა და ბოლშევიკებს შორის. ნ. ჟორდანიას შენიშნავდა, რომ ვერცერთი ხალხი სხვა ხალხისაგან ვერაფერს ვერ სწავლობს და ვერ იყენებს სხვის გამოცდილებას, გულის-

ხმოზდა რა ბოლშევიკური ტერორის საშინელებებს რუსეთში და მის გაუთვალისწინებლობას 1921 წლის საქართველოს საზოგადოებრიობის მიერ; მისი სიტყვებით, მიუხედავად ჩვენი პროპაგანდისა, ხალხი ვერ ხედავდა მოსკოვის ჭეშმარიტ ფიზიონომიას.

საქართველოს „გაწითლების“ შემდეგ ხელისუფლება პირველ ხანებში ძირითადად ე.წ. ქართველი ნაციონალურებისტების ხელში გადავიდა, რომლებიც ცდილობდნენ შეენარჩუნებინათ დამოუკიდებლობის გარკვეული ერზაცი მაინც. რასაც ვ. ლენინიც უწყობდა ხელს, როგორც ჩანს, ქართული ელემენტის რუსეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში არასასურველი მოძალების გამო: თუმცა ოციანი წლების შემდეგ სასაქართველოში გაბატონდა სტალინორჯონიკიძის კურსი. ეს ვითარება, სპეციალისტთა აზრით, საქართველოს ფაქტობრივ ანექსიას წარმოადგენდა. როგორც ვხედავთ, გასაბჭოების შემდეგაც საქართველოში გრძელდებოდა დაპირისპირება ადგილობრივ ბოლშევიკებს შორის არსებულ „ეროვნული“ და „ინტერნაციონალური“ ზულისკვეთების მქონე დაჯგუფებებს შორის.

ერთ-ერთი ძირითადი ბრალდება, რომელიც 1923 წლის იანვარში წაუყენა ს. ორჯონიკიძემ ბუღუ მდივანსა და სხვა ქართველ ნაციონალ-უკლონისტებს იყო ის, რომ მათ საზღვარი გადაუკეტეს ჩრდილოეთ კავკასიიდან და ვოლგისპირეთიდან საქართველოს შესეულ, შიშშილს გამოქცეულ ლტოლვილებს. უადრესად საყურადღებო ფაქტია, ჩვენი საკვლევი თემიდან გამომდინარე. ისტორიაში მართლაც ყველაფერი მეორდება.

ეროვნული მიმდინარეობის აღმოცენება საქართველოს მმართველ კომუნისტებს შორის, სპონტანურად უნდა მომხდარიყო, საქართველოს რუსეთისაგან განსხვავებულ გეოფიზიკურ და გეოპოლიტიკურ სივრცეში მდებარეობის ფაქტის ზეგავლენის შედეგად. ვფიქრობთ,

გარკვეული კორექტივებით, გასაღწევი ლისწინებელია ნიკო ნიკოლაძის იდეები, რომ ქვეყნის პოლიტიკურ ორიენტაციას ყოველთვის მისი გეოგრაფიული მდებარეობა განსაზღვრავს.

კავკასიონის წყალგამყოფი ქედის, მსოფლიოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ბუნებრივი გამოყოფის, ვადმოდმა საქართველოს მდებარეობა, როგორც ჩანს, თავისთავად არის მისი გეოპოლიტიკური პოზიციის დეტერმინანტი, ხოლო კავკასიონის ზეკარების კონტროლის საჭიროება — უმთავრესი სახელმწიფოებრივი ფუნქცია მსოფლიოს პოლიტიკის გადასახედიდან. საქმარისი იყო საკუთარ ფუნქციურ დანიშნულებაზე უარის თქმა და იგი სხვა, უფრო სამხრეთით მდებარე, სახელმწიფოებს დაეკისრებოდათ, მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ მათი გეოგრაფიული პარამეტრები არ იყო ორგანულ კავშირში ამ ფუნქციის შესრულების შესაძლებლობასთან ამდენად, იქმნებოდა მსოფლიო პოლიტიკურ ძალთა განაწილების არაბუნებრივი ბალანსი, რაც ვერ იქნებოდა სასარგებლო ვერც საქართველოსათვის და ვერც გარე სამყაროსათვის.

სპეციალისტთა მიერ შენიშნული, ქართული გეოპოლიტიკური ვექტორის მკვეთრი უკუქცევა შავი ზღვიდან, რაც, მათი აზრით, შესაძლოა საფუძველს უმაგრებდა საქართველოს გაერთიანების მიმართულელებას დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ, შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე, ვფიქრობთ, სწორედ ზემო აღნიშნული ფუნქციის-კავკასიონის ზეკარებზე ბატონობის — შესრულებისათვის სწრაფვის გამომხატველია. ამრიგად, ქართული პორიზონტალური ვექტორის ძირითად დანიშნულებად, წინამდებარე წერილში მოყვანილი მსჯელობიდან გამომდინარე, კავკასიონის ქედის სამხრეთით ვაერცობა და ჩრდილოეთ კავკასიიდან და სამხრეთ რუსეთის სტეპებიდან მომდინარე ვერტიკალურ ვექტორთა შემოღწევისათვის გზის გადაკეტვა ისახება. რაც შეეხება

ქართული ვექტორის მიმართულებას, დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ და არა პირუკუ, ეს იმის მანიშნებელი უნდა იყოს, რომ აღნიშნული ვექტორის ჩამოყალიბებისათვის საჭირო თავდაპირველი იმპულსი უნდა ჩასახულიყო დასავლურ, ანატოლიურ-ბერძნულ-რომაულ, ცივილიზებულ სამყაროში და არა აღმოსავლურ, ირანულ-მესოპოტამიურში, რაც ალბათ ბუნებრივად იყო, შაჰი ზღვა (პონტო), ხომ, გეოგრაფიულადაც ვეკოსურ — მედიტერანულ არეალითან ერთად, ატლანტის ოკეანის ნაწილია, წინააღმდეგ ინდოეთის ოკეანის წყლების შემცველ სპარსეთის ყურისა და არაბეთის ზღვისა, რომელთა ნაპირებთანაც მესოპოტამია და ირანი მდებარეობენ.

დასასრულ, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივი კონცეპცია, ძირითადი იდეა თუ „არსებობის აზრი“, გარდა დასავლეთ-აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ-სამხრეთის კულტურულ-ეკონომიკური დაკავშირებისა, იყო კავკასიონის ქედის ცენტრალურ და დასავლეთ ნაწილზე გადმოძვალზეკარებზე კონტროლის განხორციელება, რაც, თავის მხრივ, შემოაღნიშნულ დასავლეთ-აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ-სამხრეთის კავშირ-ურთიერთობათა ეფექტური ფუნქციონირების წინაპირობასაც წარმოადგენდა. ქვეყნის ეს გეოპოლიტიკური დანიშნულება მისი ფიზიკურ-გეოგრაფიული მონაცემ-

ბის ერთობლიობით იყო განპირობებული.

საფურნალო წერილს თავისი მოცულობითა და ხასიათით არ ძალუძს საკითხთა ფართო სპექტრის სრულყოფილად წარმოჩენა, რის გამოც ჩვენი მსჯელობა მხოლოდ ერთი, გარკვეული მიმართულებით არის წარმოდგენილი; ეს გარემოება, ერთი შეხედვით, ნაშრომის იოლი ოპონენციის საშუალებას იძლევა. აქვე შევნიშნავთ, რომ ჩვენი პოზიციის ჩამოყალიბებისას გათვალისწინებული გვაქვს პრობლემის სხვა ასპექტით გაშუქების შესაძლებლობაც. რაც შეეხება წინამდებარე წერილში განხილული საკითხის მიმართულებას საქართველოს თანამედროვე მდგომარეობასთან, დასკვნების გამოტანა მკიდებულებისათვის მივიწინააღმდეგებოდა. ჩვენ კი პოეტური სტრიქონებით დაწყებული წერილი, ისევე პოეტის სიტყვებით გვინდა დავასრულოთ:

„იმ ხმლის ნატეხი

ნახე, მოზარე,

მარაბდაში რომ გადამსხვრეულა;

მოჭრილ ძუძუთა სისხლს ეზიარე,

რომელშიც ერის ცრემლი რეულა.

არ გიტირნია

შოთას საფლავზე? —

იქიდან ლექსი ამორხეულა!

ისევე გრძელდება „ქართლის

ცხოვრება“,

ერთი ფურცელიც არ მიხეულა!“

ტიციან ტაბიძის პირი წერილის გაშე

ტიციან ტაბიძემ და მისმა თანამოაზრეებმა საუკუნის დასაწყისში იტიერთეს არა მარტო ქართული პოეზიის ევროპული რადიუსით გამართვის მისია, არამედ ეროვნული ლიტერატურის მედროშის როლიც და ქართულ ლიტერატურულ სამყაროში რადიკალური გადატრიალება მოახდინეს.

1923 წელს ჟურნალ „მეოცნებე ნიამორებში“ იბეჭდება ტიციან ტაბიძის წერილი „დადაიზმი და ცისფერი ყანწები“. 1916 წელს, როდესაც ქართულმა სიმბოლიზმმა ოფიციალურად აუწვა ლიტერატურულ სამყაროს თავისი არსებობის შესახებ, ევროპაში სიმბოლიზმი უკვე განვლილი ეტაპი იყო და ასპარეზზე გამოდიოდნენ ავანგარდისტები. 1916 წლის 14 ივლისს ტრისტან ტარამ „ბატონ ანტიპირინის მანიფესტი“ ლიტერატურულ ევროპას აცნობა დადაიზმის მოვლინების შესახებ.

1916 წლისათვის ქართველ მოდერნიზტებს უკვე ჰქონდათ ევროპულ ლიტერატურულ პროცესებთან ურთიერთობის გამოცდილება და ამიტომაც დადაიზმს სიმბოლიზმის მსგავსად საქართველოში დიდხანს არ დაუგვიანია. 1918 წელს დადაიზმის სიმპტომები უკვე არსებობდა და ქართველი დადაისტები, მათ შორის ტიციან ტაბიძე, გულმოდგინედ ცდილობდნენ რეალობად ექციათ იგი. ამისათვის ისინი აქვეყნებდნენ არა მარტო ორიგინალურ დადაისტურ ლექსებს,

არამედ თარგმნიდნენ ფრანგი და რუსი დადაისტების მანიფესტებს. რუსი დადაისტების ცენტრი იმხანად იყო თბილისში და იგი ფუნქციონირებდა „41“ სახელწოდებით.

ქართველ დადაისტებში ყველაზე კოლორიტულ ფიგურად მოხანან ტიციან ტაბიძე და გრ. ცეცხლაძე. მათ პოეტურ შემოქმედებაში ყველაზე მკაფიო ფორმით გამოვლინდა დადაისტური ტენდენციები, ჰქონდათ საკუთარი მანიფესტებიც. 70-იან წლებში მ. ქურდიანის მიერ მიკვლეულ იქნა ტიციან ტაბიძის 1923 წლის 22 ოქტომბრით დათარიღებული „დადას მანიფესტი“ მკვლევარის მიერ იგი თავის დროზე იქნა გამოქვეყნებული კრებულში „პოეზია“.

ლექსად დაწერილ დადაისტურ მანიფესტს მეტი დამაჯერებლობისათვის თეორიული სიმყარეც ესაჭიროებოდა. ეს მისია იტიერთა ტიციან ტაბიძემ თავისი წერილით „დადაიზმი თუ ცისფერი ყანწები“.

წერილის შესავალში ტიციან ტაბიძემ მოგვცა მოდერნიზმის, როგორც ლიტერატურული სკოლის დახასიათება და ხაზი გაუსვა მის უდიდეს პათოსსა და თვითდამკვიდრების სურვილს, ბრძოლისუნარიანობასა და ენთუზიაზმს. გაუგებრობები, რომელიც მოდერნიზმის თანამდგევი აღმოჩნდა, არ უნდა ყოფილიყო დაბრკოლება მისი არსებობისათვის ბრძოლაში. ის ფაქტი, რომ სიმ-



ბოლიშვის ფილოსოფია ბევრისათვის მიუწვდომელი და გაუგებარი აღმოჩნდა, სულაც არ ნიშნავდა მის მარცხს. ამ კანონზომიერ პროცესებს თავის დროზე ვერ აცდა სტ. მალარმეც — ფრანგული პოეზიის მეტრი, რომელიც თანამემამულეებსა გაუგებარ ავტორთა სიაში შეიტანეს.

ხსენებულ წერილში ამკარად იგრძნობა ავტორის დამოკიდებულების ცვლილება ფუტურნიზმთან დაკავშირებით, რაც სრულად ლოგიკურად მოჩანს მისი დადაიხმით გატაცების გამო.

საგრძნობი ცვლილება შეინიშნება ილია ჭავჭავაძესთან დამოკიდებულებაშიც, ტიციან ტაბიძე წერს: „მართალია ის იღვა, როგორც დარიალი, მას ეხეთქებოდა ყოველი შესაძლებლობა ქართული კულტურის ასახვისა. ის იყო ავტორი პროზის, პუბლიცისტი, ჟურნალისტი, ისტორიკოსი, ბანკირი, ორატორი, საზოგადო მოღვაწე, მეცენატი, პოლიტიკოსი და კიდევ სხვა, აგრეთვე პოეტიც, უფრო გამართლებული წიწამურით, მაგრამ ყველაფერი ეს არ იძლეოდა პაფოსს“. როგორც ვხედავთ, ავტორი ამჟამად მეტ ობიექტურობას იჩენს, ვიდრე თავის პირველ წერილში „ცისფერი ყანწებით“. მაგრამ ილიას პოეტობის დასახასიათებლად ეპითეტები მაინც არ ემეტება. ეს იმის ნიშანი გახლავთ, რომ ტიციან ტაბიძე ამ დროისათვის მტკიცედ იცავს მოსაზრებას, რომელიც ქართული ლექსის განახლების, ჭეშმარიტი პოეტური ხელოვნების საიდუმლოებათა ფლობის უპირატესობას, „ცისფერყანწელთა“ სკოლას აკეთებდა.

ტიციან ტაბიძეს კარგად ესმოდა, რომ მოდერნისტული ლექსის ხერხემალი მოდერნისტულ კრიტიკას უნდა გაემარგებინა. მოძველებული „მეშანური“ კრიტიკა იშხანად დაბრკოლებას უქმნიდა ახალი პოეტური სტილის დამკვიდრებას. იგი არ თმობდა პოზიციებს და ამიტომაც ტიციან ტაბიძე „ვეროპულად გამართული“ ლექსების პარალელურად მითითხოვდა მათი არსებობის გასამართლებელ

თეორიულ არგუმენტებს, ^{ერტყნულნი} ^{რეჟ დიქციონარი} ხაც თავად აწოდებდა ქართულ კრიტიკას. საჭირო იყო მოდერნისტული ანბანის მკითხველამდე მიტანა, ე. ი. არა მარტო ლექსის წერა, არამედ „ლექსზე წერა“. სამართლიანია ტიციან ტაბიძის მიერ წერილში გამოთქმული გულისწყრომა: „დღეს როგორც არავენ კითხულობს, ვინ ააშენა კავკასიონის ქედი, ისე არავენ კითხულობს, ვინ გადაავლო ქართული მწერლობიდან მუშანური კრიტიკა და შექმნა მოდერნისტული სტილი“-ო. „ცისფერყანწელთა“ დამახურებებს იმდროისათვის მართლაც აკლდა ობიექტური შეფასებები, სათანადო ლიტერატურული ფონის შექმნას კი ხელს უშლიდა არა მარტო ლიტერატურულ კრიტიკაში არსებული მოძველებული შეხედულებანი და კოდექსები, არამედ ის პოლიტიკური ატმოსფეროც, რომელიც წერილის ავტორის თქმით „მაგნე იმპორტის სახით მოვიდა პეტროგრადიდან“ ცხადია, თუ რა ჰქონდა მხედველობაში ტიციან ტაბიძეს. ეს არის სამოქალაქო ომი და რევოლუცია, „რომელმაც მოუსწრო ამ პოეტებს შემოქმედების დაწყებისას და ამასთან ეს რევოლუცია ორგანულად არ იყო გამოტანჯული ქართველი ხალხისაგან“. მისი აზრით, სწორედ ამ ხელისშემშლელი პირობების გამო ვერ ამოწურა ქართულმა სიმბოლიზმმა თავისი შესაძლებლობები, რასაც თან ერთვოდა ძველი ქართული მწერლობის საკმაოდ მყარი ტრადიციები და ისიც, რომ ამ დროისათვის ავანგარდისტულ ლიტერატურულ მიმდინარეობებს საკმაოდ დამაბული ურთიერთობა ჰქონდათ ერთმანეთთან. ამის განცდა ალაპარაკებს ავტორს, როცა აღნიშნავს: „დღეს პოეზია თვითონ ებრძვის თავის თავს. სასიკვდილოთ“-ო. ამ დამაბულობის საილუსტრაციოდ ტიციან ტაბიძე იკონებს კაფე „იმედში“ თბილისში მოღვაწე ფუტურისტების—ი. ზდანევიჩის, ა. კრუჩინინიხისა და ტერენტიევის მიერ ჩატარებულ საღამოს, სადაც ფუტურიზმის მძაფრი კრიტიკით დამსწრე საზო-

ეროვნული

გაღიების წინაშე წარსდგა ქართული მოღერნიზმის მეტრი გრ. რობაქიძე. მიუხედავად უდიდესი მოწინააღმდეგეობის მიმართ, ტიცთან ტაბიძემ გამოხატა თავისი გულისწყრომა: „რომ იმ დამეს გრ. რობაქიძე დარჩენილიყო თავისი თავის მიმდევარი, დადაიზმი უკვე ფაქტი იყო საქართველოში. ეს იყო დავუბუბული იარის ვახსნა, ბალამის დავწყობა“. გრ. რობაქიძის გამოსვლა, როგორც წერილიდან ვეუბუბობთ, საკმაოდ ემოციური უნდა ყოფილიყო. ტიცთან ტაბიძე გადმოგვცემს: „მას უღალატა ორატორის ზომიერებას, ის ყვიროდა, როგორც დაჭრილი ვეფხვი“-ო.

საუბედუროდ, ამ საღამოს თაობაზე სხვა ცნობების მიკვლევა ვერ მოხერხდა. არც გრ. რობაქიძის მიერ წარმოთქმულა სიტყვა შემორჩა ისტორიას. წერილიდან ცნობილი ხდება მხოლოდ მისი უარყოფითი დამოკიდებულება ფუტურიზმისა და კერძოდ, დადაიზმის მიმართ.

სხვათაშორის, ამ საღამოს ესწრებოდა ავანგარდისტი მხატვარი ლადო გუდიაშვილი. გრ. რობაქიძის ცეცხლოვან გამოსვლას დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია მასზე. ტიცთან ტაბიძის გადმოცემით, ლადო გუდიაშვილს შეუქმნია გრ. რობაქიძის პორტრეტი. „ამ დამის შემდეგ ჩაიკეტა თავის სახლში და დახატა გრ. რობაქიძის პორტრეტი: ეს არის უდიდესი, რაც შეუქმნია ლადო გუდიაშვილს: გრ. რობაქიძე არწივის თავით, რომელსაც გამოსდის ტინი ბალამივით და შუბლი შედრეკია ისე თითქოს მაცხოვარს ჩასცეს ღახვარი“. სამწუხაროა, რომ დღესდღეისობით ცნობილი არაა, თუ რა ბედი ეწია ამ ტილოს. იგი არ არის მოხსენიებული ლ. გუდიაშვილის რეპროდუქციათა არც ერთ კრებულში. ვფიქრობ, ხელოვნებათმცოდნეებს

დააინტერესებს ხსენებული ლინფორმაცია.

წერილში „დადაიზმი და ცისფერი ყანწები“ ტიცთან ტაბიძე გამოხატავს თავის აღფრთოვანებას ვაჟა-ფშაველას გენიით. ეს ბუმბერაზი ყოველთვის იყო მისთვის ქართული ეროვნული გენიის განუწიორებელი სიმბოლო. სხვებისაგან განსხვავებით, ვაჟასადამი მის დამოკიდებულებას ცვლილება არასოდეს განუცდია. ვაჟა-ფშაველას მხატვრული სამყაროს მკვეთრი ეროვნულობა, ხალხურობა და ქართულ მითოსთან სიახლოვე იყო ის საფარი, რამაც იხსნა იგი ახალი თაობის შემოტყვევისაგან.

დასასრულს, უნდა აღვნიშნოთ, რომ დადაიზმი, როგორც ლიტერატურული მოვლენა და ავანგარდისმის ერთ-ერთი გამოკვეთილი ფორმა, რასაკვირველია, ბევრით იყო დავალბებული მოღერნიზმისაგან. ამიტომ, ტიცთან ტაბიძის მიერ წერილში გამოთქმული მოსაზრება იმის თაობაზე, რომ „ცისფერ ყანწებს“ ვერაფერ არ ამოუწერავთ თავისი შესაძლებლობა და მის შემდგომ ტიცთან ტაბიძის პრაქტიკული და თეორიული საქმიანობაც ფაქტად ექცია დადაიზმი ქართულ მწერლობაში, მანიშნებელია იმისა, რომ იგი ვარკვეული იმედებით შესცქერადა ამ ლიტერატურულ სკოლას და ამით აპირებდა „ცისფერყანწელთა“ სკოლის დარგებში წამოწყებულიყო პრობლემატის მოგვარების დასრულება. მართალია, დადაისტები უფრო განსხვავებულ რაკესში ამჟღავნებენ თავიანთ სათქმელს, თანაც მათი ფესვები ფუტურიზმიდან მოდიოდა, მაგრამ მათ სიმბოლიზმთან აერთიანებდათ ძველის ნგრევის, ახლის, უწვეულოსა და არნახულის დამკვიდრების სურვილი.



„გველის მჭამელის“ პროკლეპტი და ლიტერატურული კრიტიკა

წერილი პირველი

პოემა „გველის მჭამელი“ ვაჟა-ფშაველამ 1901 წელს დაბეჭდა. ამ ნაწარმოებში დიდმა პოეტმა გადმოგვცა ერთი ადამიანის — მინდიას ტრაგედია, რომელიც თავისი მნიშვნელობით საზოგადოებრივი ხასიათისაა, ხოლო გაგების თვალსაზრისით — ზოგადსაკაცობრიო.

„გველის მჭამელმა“ თავიდანვე მიიქცია მკვლევართა ყურადღება. ყველა კრიტიკოსი, ვინც კი ვაჟას შემოქმედებას შეხებია, ცალკე ჩერდება ამ ნაწარმოებზე, მაგრამ პოემის ძირითადი საკითხების გაგებაში ერთსულელებია არახოდეს ყოფილა. თითოეულ მკვლევარს თავისებურად ესმის ნაწარმოების თემა და იდეა, პერსონაჟების ხასიათი და მსოფლმხედველობა, მინდიას სიბრძნის საზოგადოებრივი მნიშვნელობა და სხვა. ამის კვალობაზე სხვადასხვა აზრი აქვთ პოემის ზოგადლიტერატურულ ღირებულებაზეც.

კიტა აბაშიძე „გველის მჭამელის“ თემად მიიჩნევდა რწმუნის დაცვის საკითხს. იგი აღნიშნავს, რომ მინდიამ საზოგადოებრივი იდეალებისათვის ბრძოლაში სიმტიციე ვერ შეინარჩუნა, თავისი ნებისყოფის სისუსტის გამო, დაემორჩილა ცოლის „მეწერილმანურ შე-

ხედულებას“ და „ულალატა თავის... იდეალს, ულალატა თავის თავს, თავის პირადობას და კიდევ დაიღუპა სულით და ხორციით“ /კ. აბაშიძე, „ექიუდები მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურის შესახებ“, ტ. მე-2, გვ. 223/.

„გველის მჭამელის“ თემატურ-იდეური ანალიზის დროს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია პოემის ავტორის დამოკიდებულება ქართულ მითოსურ წარმოდგენებთან. როგორც გრიგოლ კიკნაძე წერდა: „მითოსური ვაჟას შემოქმედებაში გაიგება როგორც ამ მწერლის არაჩვეულებრივი უნარი — შეიტკრას უძველეს სააზროვნო მასალაში, წვდეს მითოლოგიური აზროვნების წყობას და ჩვენც განგვაცდევინოს მათი როგორც საგნობრივ-რეალური ძლიერება, ისე ესთეტიკური ღირებულება“ /„ვაჟა-ფშაველას ხუთი პოემა“, 1975, გვ. 26/.

„გველის მჭამელის“ ფაბულის მითოლოგიური თვალსაზრისით განხილვის პირველი მაგალითი გრიგოლ რობაქიძემ მოგვცა. 1909 წელს თბილისსა და ქუთაისში წაკითხულ საჯარო ლექციებში, ხოლო 1911 წელს ჟურნალ „Русская мысль“-ში დაბეჭდილ წერილში იგი ზოგადად აღნიშნავს: ვაჟა-ფშაველას შე-

მოქმედებითი ცნობიერება მითოლოგიური არისო და ამის ერთ-ერთ ნიმუშად „გველის მკამელს“ ასახელებს. მისი თქმით, მინდია ვარესამყაროს, ბუნებას შეიცნობს არაჩვეულებრივი უნარის ძალით, რაც „სხვად ქცევით“, ბუნებასთან სულიერად შეერთებით შეიძინა: „მან განასხეულა თავის თავით შემოქმედი გენია ბუნებისა და იქცა თვითონ ნამდვილ გენიოსად მსოფლიოს აზრით... იგი ერთვის მსოფლიოს სულს... იგი ცოცხლობს მსოფლიოს სიცოცხლით... ხოლო მსოფლიო ტრაგედიულია თავის-თავად, — და ნარნარი სული გველის მკამელისა ნახ ჭურჭლად იქცევა, რომელიც ივსება მსოფლიო ტანჯვით... მსოფლიოს იგი ვერ იხსნის, რადგან ერთია მხოლოდ, მსოფლიო ხსნიხთვის საჭიროა კრებული შემოქმედება... თავის თავს იგი ვერ იხსნის საბოლოოდ, რადგან შეუძლია ინდივიდუალური ხსნა ვარეშე მსოფლიურისა!... მინდიას წინაშე დგება არჩევანი: ან მოსცილდეს საზოგადოებას და იქცეს განდევნილად, ან მიიღოს ცხოვრება იმ სახით, როგორც არის და მიჰყვეს მის მსგეღელობას. მინდია ირჩევს მეორეს და აქედან იწყება საფრთხე, რომელსაც იგი სულიერ და ფიზიკურ სიკვდილამდე მიჰყავს.

გ. რობაქიძის ზოგადი დახვეწა ასეთია: „მინდიას დანაშაული არ არის პირადი მისი დანაშაული. მასში მთელს მსოფლიოს უდევს წილი. იგი ტრაგიული დანაშაულია და მინდია მსხვერპლია მისი მხოლოდ. ამისთვისაა, რომ ბედი მინდიასი თანაგრძნობას იწყევს და ტანჯვა მინდიასი — ვაწმენდას სულისას“ (გ. რობაქიძე, „ვაჟა-ფშაველა“, 1909 წელს წაკითხული ლექცია, „მნათობი“, 1987, N10, გვ. 168-171, პუბლიკაცია თ. ჩხენკელის და რ. ჩხეიძისა). გ. რობაქიძის მსჯელობაში მინდიას მოქმედების ასპარეზის გაფართოება და მისი მიზნების გაზვიადებაც შეინიშნება. ამის მიუხედავად, კრიტიკოსის დამსახურებაა, რომ მან ერთ-ერთმა პირველმა მოგვცა ამ თხზულების პოზიტიური შეფასება და საჭიროდ ჩათვალა მისი თემა-

ტიკის განხილვა ევროპულ-ლიტერატურულ ტურათმკოდნეობის მოთხოვნილებათა დონეზე.

მთოსხა და ბიბლიასთან პოემის ფაბულისა და სიუჟეტის კავშირის წარმოჩენის მხრავ მნიშვნელოვანია აგრეთვე ვახილ ბარნოვის წერილი „გველის მკამელი“ ვაჟა-ფშაველასი (ჟურნ. „ქართული მწერლობა“, 1928, N 1).

პოემაში ყურადღებას იქცევს მინდიას განსაკუთრებული პიროვნება, მისი სასწაულებრივი ცოდნა და ყოველსშემძლეობა. იპოლიტე ვართაგავა აღნიშნავს, რომ არაჩვეულებრივი გზით შეძენილი ცოდნა და საზოგადოებისაგან მკვეთრად გამოირჩეულობა მინდიას უბედურების, მისი ტანჯვა-წამების მიზეზი ხდება. კრიტიკოსი „გველის მკამელს“ თუქცა „ღრმა შინაარსიანს“ უწოდებს, მაინც არ მიიჩნევს მას პოეტური სრულყოფილების ნიმუშად და ამბობს: „მინდიას სახე თვისი მხატვრულის სიართულათ და ღირსებით ბევრად ჩამოუვარდება ალუდა ქეთელაურს“. მისი ვარაუდით, ასეა იმიტომ, რომ „გველის მკამელის“ დედააზრი „ხალხის საერთო სულიერი ძალითაა გამოქცედილი. მასში გატარებული იდეა ვაჟას გონების სინთეზის ნაყოფს ან ინტუიტიურად მის სულიერ ძალთა ქმნილებას არ წარმოაღვეს...

ჩვენმა პოეტმა არამც თუ ვერ გაართულა ეს ქმნილება ხალხის ფანტაზიისა, არამედ მას თავიც ვერ დაუღწევია მისი ზვეჯელეჩისაგან როგორც იდეის, ისე მომეტებულად ფორმის მხრით“ (ი. ვართაგავა, „სიმღერა მთის შეილის ვაჟა-ფშაველასი“, ჟურნ. „განათლება“, N 4, გვ. 241-243).

როგორც ცნობილია, ამ არასწორმა ინტერპრეტაციამ გამოიწვია ვაჟა-ფშაველას პასუხი „კრიტიკა ბ-ნ ი. ვართაგავასი“ (გაზ. „სახალხო ფურცელი“, 1914, N 21-23).

აქ ნახსენები მცდარი თვალსაზრისის მიუხედავად, ი. ვართაგავას ნარკვევაში იყო ასეთი ყურადღებები თეზისი: „ჩვენ მინდიას სახეს უყურებთ როგორც



სიმბოლოს: მთელს პოემას — როგორც ალეგორიას, როგორც ერთგვარ ხერხს და მანერას განყენებული აზრის განსახორციელებლად და არა როგორც დადებითი, იდეალური და სასურველი აზრ-შეხვედულობის გამოხატვას. გვეონია, რომ თვით ავტორსაც სხვა აზრით არ შეეძლო მინდიას ტიპის შექმნა. მართლაც, ვინ იტყვის, ... რომ მინდია რეალური ტიპია, რომ ცხოვრების სასურველ სინამდვილეს წარმოადგენსო“ (განათლება, 1914, N 4, გვ. 249). ამ დებულებამ შემდგომი თაობის მკვლევართა ნაშრომებში დიდხანს ვერ ჰყოვა სათანადო გაშლა და დასაბუთება.

ხერგი დანელია „გველის მჭამელში“ ინდივიდუალისტური მსოფლმხედველობის გამოხატვას ხედავდა, ხოლო მხატვრულობის მხრივ მას დაბალი დონის თხზულებად თვლიდა: „უნდა ითქვას, რო ვაჟა ვერ მორევია თავის გამოცანას, და, როგორც პოემა „გველის მჭამელი“ სუსტი ნაწარმოებია... ერთი ლოგიკური ხაზი არ არის მასში გატარებული; თვით მინდიას პიროვნება არ არის ჩამოყალიბებული და მხატვრული წინააღმდეგობებით არის საესე“ (ს. დანელია, „ვაჟა-ფშაველა და ქართული ერი“ 1927, გვ. 50-51).

ვახტანგ კოტეტიშვილი უფრო გამოკვეთა ინდივიდუალიზმის გამოვლინება „გველის მჭამელში“ და მინდიას სახეში ნიღმესეული „ზეკაცის“ ორული დიინახა. მისი თქმით: „მინდია დიდ გზას დადგა. იგი, ზეკაცის მსგავსად, ყველაფერ იმორჩილებდა, შემოქმედი იყო პირდაპირ უპოვარი. მაგრამ იყო, ვიდრე ინდივიდუალიზმის მწვერვალზე იდგა, ხდაც აღმაიანი თავის ბუღეში კი არ ზის, არამედ მთელ მსოფლიოს უერთდება, როგორც დიდი სიცოცხლის ერთი ნაწილი“ (ვ. კოტეტიშვილი, „ქართული ლიტერატურის ისტორია, XIX ს.“, 1959, გვ. 609).

„გველის მჭამელში“ დიდი ადგილი აქვს დათმობილი მინდიას დამოკიდებულებას ბუნებასთან. ამიტომ ზოგიერთმა კრიტიკოსმა სწორედ ამ მხარეს მიაქ-

ცია მეტი ყურადღება. მაგალითად ვხვდებით კიკნაძე „გველის მჭამელის“ შემდგომი ინტერპრეტაციის შედეგების, ბუნების ინტიქტურად წვდომის საკითხს: „მწერალი ამ პოემაში ვარემოს ინტიქტურად წვდომის ილუსტრაციის ამოცანით არის განსახლებული. ესაა ნაწარმოების თემა“ (გრ. კიკნაძე, ვაჟა-ფშაველას შემოქმედება, 1957, გვ. 144).

ზოგიერთი მკვლევარის ყურადღებას კი ის იქცევს, რომ მინდიამ სიბრძნე ქაჯებთან შეიძინა „გველის ხორცის ჭამით“. ამიტომ ნაწარმოების საიდუმლოს მინდიას „გველურ სიბრძნეში“ ეძებს. (იხ. ღ. ბენაშვილი, ვაჟა-ფშაველა შემოქმედი და მოაზროვნე, 1961, გვ. 11).

სრულიად ახალი კუთხით სცდა „გველის მჭამელის“ ძირითადი საკითხების ახსნა ალ. ქეთელიამ. მან ყურადღების ცენტრში დააყენა სიბრალულის საკითხი. მკვლევარის აზრით, ვაჟა-ფშაველა „გველის მჭამელში“ წვეტს საკითხს „სიბრალულის ფარგლების, საზღვრის შესახებ“ („ვაჟა-ფშაველა“, 1947, გვ. 149).

მკვლევართა ერთი ნაწილი კი ცდილობს „გველის მჭამელში“ დინახოს პიროვნებისა და საზოგადოების დაპირისპირება. ასე იხილავენ ამ პოემას მ. ზანდუკელი და ა. მახარაძე. პროფ. მ. ზანდუკელს მიაჩნია, რომ ამ ნაწარმოებში „ვაჟა-ფშაველამ გაშალა აღმაიანის ტრადეგია აღმოცენებული ძლიერი პიროვნებისა (ფართე შემეცნებისა და მაღალი სიყვარულის მატარებლის, ახალი მახებისათვის უკეთესი, აზრიანი, სამართლიანი ცხოვრების მაძიებლისა) და საზოგადოების (არსებულით კმაყოფილის) ურთიერთობისა და შეჯახების ნიადაგზე“ („ვაჟა-ფშაველა“, 1953, გვ. 126). ა. მახარაძის აზრით კი, ამ პოემის ძირითადი საკითხია, თუ „როგორი შეიძლება იყოს ხვედრი აღმაიანისა, რომელიც საზოგადოების საერთო შეგნებაზე იმდენად ამღლებულია, რომ ცხოვრებაში დასაყრდენს ვეღარ პოუ-

ლობს“ („ნარკვევები“, II, 1955, გვ. 471).

გამოქვეყნდა კიდევ რამდენიმე საფურადღებო გამოკვლევა აღნიშნულ ნაწარმოებზე. ასეთებია: დ. ქუმშიშვილის წერილი — „ვაჟა-ფშაველას „გველის მჭამელი“ (მნათობი“, 1956, N5); ა. გაჩეჩილაძის — „გადმოცემა „ხოვას მინდიზე“ და პოემა „გველის მჭამელი“ (1959 წ.), აღ. ჩაველიშვილის — „მზიას ხახუ უაჟაფშაველას „გველის მჭამელში““ („ლიტერატურის ისტორიისა და თეორიის საკითხები“, 1969 წ.). მაგრამ აღნიშნული პოეზიის ყველა სადავო საკითხის სრული და დამაჯერებელი გადწვევა არც ამ გამოკვლევებშია მოცემული.

ეს არ ეხება მხოლოდ პოემის თემის დადგენას. აზრთა ასეთივე სხვადასხვაობაა მინდიას ტრაგედიის მიზეზის, ნაწარმოების იდეის, მინდიასა და მზიას მსოფლმხედველობის გარკვევაში ტა. ა. შ.; მთავალითაღ, მ. ზანდუკელი მინდიას ყოვლად უნაკლო ვიორად მიიჩნევს, ხოლო მზიასა და ჩალხიას — კონსერვატორებად; ეგოისტებად, წამორჩენილებად. იპ. ვართაგავას კი პირიქით, მინდია — ნიადაგამოცლილ მერცხეებდ, საზოგადოებისათვის მკენე პიროვნებად, მიაჩნია, ხოლო მზია და ჩალხია — ჭეშმარიტების მქადაგებლებად.

აქ წარმოვადგინეთ რამდენიმე განსხვავებული თვალსაზრისი; მათში შედარებიდან ჩანს, თუ საკითხის რამდენად ბუნდოვანია და დაუდგენელი: არ შეიძლება ყველა ეს შეხედულება სწორი იყოს; ვინაიდან „უიუიოსუკე“ გამოირჩევა ერთიანი იურს.

„გველის მჭამელის“ მთავარი საკითხის (თემის) სწორად განსაზღვრისათვის უნდა გავითვალისწინოთ თვით ნაწარმოების შინაარსი; გავარკვიოთ — რას აქცევს პოეტი მთავარ ყურადღებას, რა საკითხებს აყენებს და როგორ წყვეტს მათ? ხელ არის პოემის კვანძი, კულმინაცია, კვანძის ვახსნა?

ერთი რამ უდავოა: პოემის ცენტრში მინდია დგას; ის არის ნაწარმოების

ერთადერთი მთავარი ვიორი. მინდია ტრაგიკული პიროვნებაა, რადგან მან დაკარგა ის განსაკუთრებული ცოდნა, რითაც საზოგადოებისათვის დიდი სარგებლობა და კეთილდღეობა მოჰქონდა. ამრიგად, მინდიას ტრაგედია საზოგადოებრივი ხასიათისაა.

სწორედ ამ ტრაგედიის ნაწარმოებში შეტანას მიიჩნევდა თავის დამსახურებად ვაჟა-ფშაველა. დანარჩენი, როგორც ცნობილია, მან ხალხური თქმულებიდან იხესხა. „გველის მჭამელის“ ხალხურ წყაროზე როცა ლაპარაკობს, ვაჟა შენიშნავს, რომ „ამბავი მინდიას სული არავითარ დრამატულს განცდას არ წარმოადგენს ხალხის თქმით“ (თხზულება, ტ. IX, გვ. 364). ამ დრამატული განცდის შეტანით „შეახსნა ახალი ხორცი და შთაბერა სული ცხოველი“ (როგორც თვით ვაჟა იტყობდა) ხალხურ თქმულებას და აიყვანა ის საკაცობრიო სიმძლავრეში.

მინდიას ტრაგედიის ასეთ გაგებას მკვლევართა ერთი ნაწილი იზიარებს, ტრაგედიის მიზეზის ახსნაში კი აზრთა აბსოლუტური სხვადასხვაობაა.

რადგანაც ამ საკითხის გაგებასთან არის დაკავშირებული ნაწარმოების თემისა და იდეის სწორი განსაზღვრა, ამიტომ ვერ უნდა გაირკვეს, რამ გამოიწვია მინდიას ტრაგედია, ე.ი. მისი გადაქცევა საზოგადოებისათვის უხარვეზლო აღაშინაღ?

ამ საკითხის გაკვევისათვის ცნობილ შეხედულებებს რომ მივმართოთ, ისეთ-სავე მდგომარეობაში აღმოვჩნდებით, როგორც პოემის თემის განსაზღვრის დროს. გავიხსენოთ ზოგიერთი მათგანი.

დ. ბენაშვილი ამ თხზულების განხილვას შემდეგი დებულებით იწყებს. „გველის მჭამელში“ ვაჟას სურს დაადისტუროს, რომ სიბრალულის გამო ბუნების განუსაზღვრელ სამეფოში პარმონიის იდეის განხორციელება და სულიერი კავშირის დამყარება უსულო ბუნებასთან ეწინააღმდეგება აღაშინური ცხოვრების უზენაეს კანონს“ (დასახ. წიგნი, გვ. 127). მაგრამ მისი მტკიცები-



სათვის გაშლილი მსჯელობა ზოგჯერ სცილდება ნაწარმოებში მოცემულ მხატვრულ სინამდვილეს და ამიტომ სადავო მოჩანს. მკვლევრის აზრით, მინდია თავისი სიბრძნით კაცობრიობას დაუბრუნისპირდა.

მან ფრინველთა და ბალახთა ენა „შეიძინა და ყველაზე უკეთესი გრძნობა კი დაკარგა... იგი ადამიანებს მოსწყდა და განურჩეველ ბუნებას შეუერთდა, როგორც ერთარსება. მას მახვილი სმენა ჰქონდა „უსულო და უასაკო“ საგანთა საიდუმლო ენის გაგებისათვის, მაგრამ ყრუ იყო ადამიანთა მეტყველებისადმი“ (დასახ. წიგნი, გვ. 129). მკვლევარი ცდილობს დაგვარწმუნოს, რომ მინდიას სიბრძნე, რომელიც „გველური საწყისიდან“ მომდინარეობს, უბრუნისპირდება „ადამიანურ საწყისს“ და მინდია შთამომავლობის გაგრძელების წინააღმდეგე ხდება. „გველა თავისი ბუნებრივი თვისება, დედობისადმი სიძულელი, ღრმად ჩაუნერგა მინდიას სულში და ეს თვისება, წარმართა მზიას, როგორც დედის, წინააღმდეგ“ (იქვე, გვ. 136).

უნდა აღინიშნოს, რომ მინდიას ცოდნის „გველურ საწყისზე“ მსჯელობა პირდაპირი მნიშვნელობით აქ გაუგებრობას იწვევს. ვაჟა-ფშაველას პოემა არც იმის მტკიცების საფუძველს იძლევა რომ მინდია შთამომავლობის გაგრძელების წინააღმდეგია.

მკვლევრები მ. ზანდუკელი, ა. მახარაძე, ღ. ქუშიშვილი „გველის მჭამელს“ საზოგადოებისა და პიროვნების წინააღმდეგობის თვალსაზრისით იხილავენ და მინდიას ტრაგედიასაც ამ დაპირისპირების ნიადაგზე ხსნიან.

მ. ზანდუკელი მინდიას 900-იანი წლების რევოლუციური ბრძოლის დასაწყისის უკავშირებს და მის პიროვნებაში ვაჟა-ფშაველას აზრებსა და მისწრაფებებს ხედავს: „მინდიას ეს ტკივილები და მწარე განცდები გამოწვეულია ეპოქაში (90-900-იანი წწ.) ამოძრავებულ მშრომელთა მასების მისწრაფებით — 9. „წაიბი“, № 5.

დაინგრეს უსამართლობის ქვეყნებში ურთიერთგაუგებრობის, ჩაგვრის, ექსპლოატაციის საფუძველზე და დამყარდეს ქვეყანა — ძმობა-ერთობისა, თანასწორობისა, სამართლიანობისა“ („ვაჟა-ფშაველა“, 1953, გვ. 140). ხოლო მინდიას დამარცხების შესახებ მკვლევარი შემდეგს წერს: „თუ მინდია (ე.ი. თვით ვაჟა-ფშაველა) თავისი მოქმედებით, პრაქტიკული ცხოვრებით მარცხდება, ეს იმიტომ, რომ ვაჟა-ფშაველა თავისი მოქმედებით, ცხოვრებით არ იყო მჭიდრო კავშირში ეპოქის რევოლუციურ მამოძრავებელ წამყვან ძალასთან — მუშათა კლასის მიერ წარმოებულ რევოლუციურ ბრძოლასთან“ (იქვე). შემდეგ კიდევ ასეთი აზრი მეორდება: „ვაჟა-ფშაველას შეხედულებით (რაც პოემა „გველის მჭამელის“ დედააზრით არის) მინდიას დამარცხება გამოწვეულია არა იმით, რომ მისი მაღალი მისწრაფება უსაფუძვლოა, უნიადგო, წარმოსახვის ფუჭი, ავადმყოფური ვარჯიშობის შედეგია, არამედ იმიტომ, რომ მინდიას ცხოვრების ახალი გაგება მასების და ინტელიგენციის დიდი უმრავლესობის შეგნებაზე ჯერ არ იყო დასული; მასა გონებით ჯერ ვერ ჩასწვდომოდა მინდიას „ღიდ ცნებას“ (იქვე, გვ. 144).

მკვლევარის მთავარი შეცდომა აქ ისაა, რომ იგი მინდიას მიიჩნევს ავტორის, ვაჟა-ფშაველას მსოფლმხედველობის გამომხატველად. ეს არასწორი საფუძველი განაპირობებს მთელი მსჯელობის უმართებულობას. ამ პოემაში რევოლუციური ეპოქის გამოძახილი შეიძლება დავინახოთ მხოლოდ უარყოფით ასპექტში, იმ აზრით, რომ ეროვნული ფსიქიკისა და ეკონომიური წყობისათვის უცხო, ზალხისათვის გაუგებარ და მიუღებელ იდეებს პიროვნებაც და მთელი ქვეყანაც დაღუპვამდე მიჰყავს. (XIX ს-ის დასასრულს რუსეთსა და საქართველოში გაგრძელებულ იდეებთან პიროვნების როლზე, კერძოდ, ინდივიდუალიზმის, ნიცშესეული „ზეკაცის“ თეორიასთან ვაჟა-ფშაველას დამოკიდებულების შესახებ არსებული მასალის

ანალიზი იხ. იუზა ვეგენიძის წიგნში „ვაჟა ფშაველას შემოქმედებითი ისტორიისათვის“ 1977, გვ. 167-188).

დ. ქუთაშვილის აზრით, მინდია დაიღუპა იმიტომ, რომ მთლიანად არ გაეთითმა საზოგადოებას. იგი შეცდომად მიიჩნეეს მინდიას მიერ ცოლის შერთვას და ამას შემდეგი მოსაზრებით ამართლებს: „მინდია ახალი იდეების მატარებელია, მან შეურიგებელი ბრძოლა გაიმოუტყადა თემის დახაკებულ მსოფლგაგებას... ამ აქტით კი (ცოლის შერთვით) იგი თავის თავს ხაფანგს უკებს, ამყარებს რა ურთიერთობას ძველთან... შხია თემის წარმომადგენელია; როგორც სხვა ზევსურებს, მასაც არ აქვს შეგნებული მინდიას მსოფლმხედველობის არსი და ქმრისაგან იგი ძველ ყაიდაზე ცხოვრებას მოითხოვს. ამ ნიადაგზე მინდიას და შხიას ხახით იწყება ბრძოლა ახალსა და ძველს შორის“ („მნათობი“, 1956, № 5, გვ. 165).

ჯერ ერთი, მინდიას თემისთვის არავითარი ბრძოლა არ გამოუცხადებია. ან რატომ უწოდებს მკვლევარი „დახაკებულ მსოფლგაგებას“ ხალხის მიერ ზეების ჭრასა და ნადირის ხოცვას? ამას ხომ დღესაც ჩადის ყველა ადამიანი. მეორეც, მინდიას ოჯახის გაჩენა სულაც არ შეუშლიდა ხელს საზოგადოების სამსახურში, აქ სხვა მიზეზი რომ არ ყოფილიყო, მაგრამ ამის შესახებ ქვემოთ. ახლა კი გავვინთ კიდევ ერთ შეხედულებას.

აღ. ქუთაიას აზრით, „მინდიას ტრაგიზმი სიბრაულის გრძნობის გაღატაკებაშია“ (ვაჟა-ფშაველა, 1947, გვ. 143). იგი ასე მსჯელობს: „მინდიას გულში და ცნობიერებაში სიბრაულის გრძნობა გავრდა და დაუპირისპირდა ერთიმეორეს. ხისა და ცხოველებისადმი სიბრაულის გრძნობას, მინდიას გულში გამჯდარს, დაუპირისპირდა სიბრაულის გრძნობა ცოლისა და... თავისი შვილებისადმი... სიბრაულის გრძნობა თავისი შვილებისა და ცოლის მიმართ სძლევს სიბრაულის გრძნობას ხისა და ცხოველების მიმართ... რო-

გორც კი მინდიამ თავის მსოფლმხედველობას, ე.ი. ბუნების საგანს [ქვემოთ] სიბრაულის გრძნობას [ქვემოთ] მაშინვე დაჰკარგა ყველაფრის განმჭვრეტი ცოდნა, მასთან ერთად... მხედართმთავრული ნიჭი, მაგრამ ამ უკანასკნელთან ერთად მან დაჰკარგა შესაძლებლობა თავისი ხალხის სამსახურისა და, მაშასადამე, თვით სიცოცხლეც კი, რადგან მინდიას სიცოცხლე თავის ხალხის მსახურების გარეშე ვერ წარმოუდგინა“ (გვ. 144-145).

მკვლევარის საბოლოო დასკვნა ასეთია: „ვაჟამ... გვიჩვენა, თუ როგორ შეიძლება დამახინჯებულ იქნას შებრალების იდეა მიხი ცალმხრივი განვითარების შეხებით, თუ როგორ შეიძლება ფორმალურ შეიძლება მიყვანილ იქნას იგი. ამას უძღვნა მან... „ველის მჭამელი“ (გვ. 150).

სინამდვილეში მინდიას მოქმედება არ აისახება სიბრაულის გრძნობით. ოჯახის შენახვა და შთამომავლობის გაზრდა სიბრაულთი ნაკარნახევი მოქმედება სულაც არაა.

ზემოთ მოტანილ ერთმანეთის საწინააღმდეგო შეხედულებათა გაცნობის შემდეგ მაინც ამოუხსნელი რჩება მინდიას მსოფლმხედველობა და მიხი სიბრძნის დაკარგვის მიზეზი. ამიტომ მივმართოთ თვით ნაწარმოებს. ზოგადი წარმოდგენით, მინდიას ცოდნა ხალხისათვის სახარებლო ცოდნაა. მინდია საზოგადოებას თავდადებით და ერთგულად ემსახურება. ხალხიც ენდობა მას და პატივს სცემს.

მინდიასა და საზოგადოებას შორის არ არსებობდა ისეთი შეურიგებელი წინააღმდეგობა, რომ მინდიას დაღუპვის მიზეზი გამხდარიყო, როგორც ამას არერთი კრიტიკოსი ამტკიცებს. მართალია, მინდია მოითხოვდა, რომ სხვებსაც იმასავით ეცხოვრათ, არ ეჭრათ ზეები და არ ეხოცათ ნადირი; ხალხი დარწმუნდა კიდევაც, რომ მინდია რაღაც განსაკუთრებულ უნარს ფლობდა, რომ მათზე მეტს გრძნობდა და განიცდი-

და; მაგრამ ხალხს არ შეეძლო მიეღო მინდიას რჩევა და კვლავ ძველებურად განაგრძობდა ცხოვრებას. ამით არავის არაფერი დაშავებია, არც მინდიასა და არც საზოგადოებას. სიმართლე რომ ითქვას, საზოგადოებისთვის არც იყო სავალდებულო ცხოვრების მინდიასეული პრინციპის დაცვა, რადგანაც მათ არავითარ სიახლეს არ უქადავდა. ის სასარგებლო და აუცილებელი იყო მხოლოდ მინდიასათვის, რადგანაც იგი ამ პრინციპის წყალობით ფლობდა თავის სიბრძნეს. ხალხი არ გაჰყვა მინდიას რჩევას, მაგრამ ამის გამო მინდია საზოგადოებას არ ვათიშვია და არც ხალხი ამბობდა უარს მისი სიბრძნის გამოყენებაზე. პირიქით, მინდიას ბელადობა, მისი თავკაცობა ხალხს დიდ სიკეთედ მიაჩნდა:

**მანამ მინდია კბელადობს,
ხევსურებს არა უშავთ-რა,
ვეღარვინ კბედავს რჩოლასა,
მყუდროობაა ყველგანა...
ნეტავი იმას, ვისაც კი
მადლიერი ჰყავს ქვეყანა.**

ხალხი ბოლომდე ერთგული დარჩა მინდიას ცოდნისა და უკანასკნელ ბრძოლაშიც კი, როცა მინდიამ უთხრა: „მე ვერას გირჩევთ, ხევსურნო, აღარ ვვარგვიარ მრჩეველია“, მას გადაჭრით უპასუხეს:

**ღმერთი გაუწყრეს და ხატი,
ვინც რომ შენ რჩევას იქითა
ფეხი გადადგას საომრად,
თუნდ თავში სცემონ მჯიღითა.**

ვფიქრობთ, პოემის ეს ადგილები სულაც არ ამართლებს მკვლევართა ზემოთ მოტანილ დებულებებს.

ზოგი კრიტიკოსი არ ითვალისწინებს, რომ თითქმის მთელი პოემა პირობით და სიმბოლური მნიშვნელობის მქონე ამბებსა და მოვლენებსა აგებული. ასე-
თია, მაგალითად, მინდიას მიერ „ქაჯუ-

რი“ სიბრძნის შეთვისება, ^{ერეკენსული} და ფრინველთა „ენის“ ცოდნა, ამ სიბრძნის მოულოდნელი დაკარგვა და სხვა.

„პოემა „ფაუსტი“ ფანტასტიკურ-ჯადოსნური ზღაპარი იქნებოდა ადამიანისა და ეშმაკის დამოკიდებულებაზე, ვიდრე ფილოსოფიური პოემა, ჩვენ რომ ფაუსტისა და მეფისტოფელის ურთიერთობა პირდაპირი მნიშვნელობით გაგვევო“, — მართებულად შენიშნავს ა. გაჩეჩილაძე. ასეთივე მდგომარეობაა „გველის მკამელშიც“. მეცნიერულად გაუმართლებელია, რომ ადამიანს ეს მოედეს ფრინველთა და ბალახთა „ენა“, ან უცებ დაკარგოს შეძენილი ცოდნა და სხვა. ამას აუცილებლად უნდა გაუწიოთ ანგარიში, ვენდით პოეტის ხელოვნებას და მოთმინებით მივეყვით ბოლომდე, ვიდრე მთლიანად არ გვეტყვის თავის სიმბოლურ თუ ალუგორიულ სათქმელს.

ჩვენი აზრით, ვაჟამ დაუშვა პირობითობა, რომ მინდიას გააჩნია ახალი ცოდნა, რომელიც ახალ იდეას, ცხოვრების ახალ პრინციპს კარნახობს. შემდეგ მინდიამ ეს ცოდნა დაკარგა. რა შოელის მინდიას ან საზოგადოებას ამის შემდეგ? ამ საკითხების გადაჭრას აქცევს პოეტი ძირითად ყურადღებას.

ვაჟა-ფშაველა გარკვევით გვეუბნება, რომ ოჯახის მოკიდების შემდეგ მინდიას მდგომარეობა ვართუღდა. ოჯახი მისგან ყურადღებას და მზრუნველობას მოითხოვდა. ეს კი საფრთხეს უქმნიდა მინდიას საზოგადოებრივ სამსახურს.

მაგრამ აქ წამოიჭრა ახალი საკითხი მზიას მხატვრული სახის გაგებასთან დაკავშირებით. ხომ არ ირის იგი მართლაც ეგოისტი, ანგარებიანი და პატიემოყვარე, როგორც მას ბევრი კრიტიკოსი ახასიათებს? რა თქმა უნდა, არა. მზია არ არის ეგოისტი და პატიემოყვარე და არ შეიძლება მისი შედარება გოგოთურის ცოლთან (პოემიდან „გოგოთურ და აფშინა“). თვით მოთ-

ხოვნა, რომ მინდიას მოეჭრა ხე და მო-
ეკლა ნადირი, არხებულ სიტუაციაში
სახვებით ბუნებრივია, რადგანაც მზი-
ა ვერ ხელდავდა სხვანაირად ცხოვრების
საფუძველს. მან არ იცის მინდიას სი-
ბრძნის საიდუმლო და მისი ქცევა უი-
ნაურად და გაუმართლებლად მიაჩნია,
სახვებით ბუნებრივია მზიას თავის მა-
როლებად:

ქო, თუ ბრალი მაქვს რაიმე,
ღირსიც ვიქნები დახჯისა,
ის ცოდვა რად უნდა ივოს,
ფიქრად რომ შივეც ვარჯისა?
ცოლ-შვილნ თუ უნდან ვაყვაცსა,
შნოც უნდა ჰქონდეს ხარჯისა.

მზია ამბობს: თუ რამე საფრთხე მოე-
ლოდა, ეს მინდიას თვითონ უნდა სცოდ-
ნოდო, და ის სახვებით მართალია. მინ-
დიას არც აუხსნია მისთვის, რომ ასეთი
მოქმედება შეიძლება საბედისწერო ვა-
მხდარიყო. ის დაემორჩილა ცოლის მო-
თხოვნას და დაიწყო ხეების ჭრა და ნა-
დირის ხოცვა, რამაც ტრაგედიაში მი-
ყვანა. მინდიას რომ არ სცოდნოდა, რა
მოჰყვებოდა მის მოქმედებას, მაშინ მი-
სი ტრაგედია ბედისწერით იქნებოდა
განპირობებული, მაგრამ მინდიას ტრა-
გედია ვერ აიხსნება ბედისწერის ვარ-
დუკალობით, ის წმინდა ადამიანური,
მინდიას შინაგანი ტრაგედიაა და ამი-
ტომ არის უფრო ძლიერი. და უფრო
მტკივნეული.

მინდიამ თითქმის იცოდა, რა საბე-
დისწერო გზას დაადგა. მან თვითონვე
სთხოვა ღმერთს, რომ დაბშობოდა მცენა-
რეთა და ცხოველთა ვედრების შესმენის
უნარი. ამის შესახებ ამბობს მინდია:

და მეც დღეს-ხვალეობითა,
ცოტ-ცოტად, ნელაობითა
დავიწყე თავის რწმენასთან
მოქცევა შელაობითა
დღეს მოვჭერ ერთი ჭანდარი,
თუმც მემუდარა ბევრია...

ხელ ორი მოვჭერ, ^{მეტი ვინაა}
გული დაიღვე ქვისაო,
რომ ხელ აღარა შევრძნო რა,
ძალაც ვითხოვე ღვთისაო.

ახე შეგნებულად დაადგა მინდია ხა-
ზოვადობისათვის სახარებლო სიბრძ-
ნის დაკარგვის გზას, რაზედაც შემდეგ
დიდად წუხს. მაგრამ სიბრძნის დაბრუ-
ნება შეუძლებელი აღმოჩნდა და შეცდო-
მა გამოუსწორებელი დარჩა.

თვითონ მინდია სიბრძნის დაკარგვა-
ში დამნაშავედ ცოლს და შვილებს
თვლის, რადგანაც მათზე ზრუნვამ ააღუ-
ბინა ხელი თავის პრინციპზე. ის დახო-
ცივითაც კი ეშუქრებოდა თავის ცოლ-
შვილს, რამაც ზოგიერთ მკვლევარს აფ-
იქრებინა, რომ მინდია საერთოდ შთამო-
მავლობის გაგრძელების წინააღმდეგია.

მინდიას საყველური არაა მოულოდნე-
ლი მის მღვთმარობაში მყოფი: ადამი-
ანისაგან, თუმცა ის არ არის მართალი,
როცა თავის უბედურების მიზეზს ოჯახ-
ში ეძებს. მინდიას არ სურდა ან არ შე-
ეძლო, თავი ეღიარებინა დამნაშავედ და
კვლავ ოცნებობდა დაკარგული სიბრძ-
ნის დაბრუნებაზე, მაგრამ ეს შეუძლებე-
ლი აღმოჩნდა. მინდიას ტრაგედია
კულმინაციურ წერტილს მიაღწია ბრძო-
ლის ველზე, როდესაც იგი საბოლოოდ
დარწმუნდა დაკარგული სიბრძნის დაბ-
რუნების შეუძლებლობასა და თავის უძ-
ღურებაში. აქ მან თავისთავს თვითონვე
გამოუტანა განაჩენი. მინდიას თვით-
მკვლელობით იხსნება ნაწარმოების
კვანძიც.

პოემის სიუჟეტის განვითარების მთელ
მანძილზე იგრძნობა ავტორის სიმპათია
მთავარი ვიროისადმი. პოეტს, მინდიას
არაჩვეულებრივი ხახის შემქმნელს, ენა-
ნება იგი როგორც ცხოვრების მკაცრ
ობიექტურ კანონზომიერებას შეჭიდებუ-
ლი და ტრაგიკულად დაღუპული დიდი
პიროვნება. ენანება მით უფრო, რომ
მინდიას დაღუპვა მისი არა მხოლოდ



ფიზიკური დამარცხებაა, არამედ მისი სამოქმედო იდეის, მისი სულიერი მისწრაფების მარცხიც არის. ამიტომაც მინდიას ცხოვრების მიწურული უფრო მძიმეა, ვიდრე ჯოჯოლას, ალუდას ან ქინირის ფიზიკური დამარცხება, რომელნიც საკუთარი სინდისისა და მრწამსის მიმართ ბოლომდე მართალნი არიან.

პოემის სიუჟეტური რკალი დასრულდა, მაგრამ ჩვენ ვნახეთ მხოლოდ ვარჯიშული სახე, ანუ პირდაპირი შინაარსი პოეტური ქმნილებისა. მკითხველისათვის ჯერ კიდევ უცნობია თხზულების ნამდვილი აზრი, რომელსაც მშვენიერი მხატვრული სამოსელი ფარავს. იმ მთავარ აზრამდე მისახველად კი აუცილებელია რამდენიმე საკითხის გარკვევა, თუნდაც ასეთის: რა ფუნქცია აქვს „გველის მჭამელში“ ადამიანისა და ბუნების ურთიერთობის ჩვენებას? ან როგორ უნდა განისაზღვროს მინდიას მიმართება არსებული სინამდვილისადმი, შეიძლება თუ არა მისი განსაკუთრებული უნარის შეფასება მეცნიერული ტერმინოლოგიით?

ბუნებისა და ადამიანის არაჩვეულებრივმა, მრავალმხრივმა და სხვადასხვა ვითარებაში წარმოდგენილმა ურთიერთობამ, ბუნების თითქმის საყოველთაო გაცოცხლებამ, გასულიერებამ, წარმოშვა საცდური, რომ მკვლევარებს ამ ურთიერთობაში დაენახათ ვაჟა-ფშაველას ზოგადი ფილოსოფიური თვალსაზრისის ანარეკლი ან საიმედო დასაყრდენი მისი მსოფლმხედველობის განსაზღვრისათვის. ასე იქცა ეს პოემა ვაჟას ანიმიზმობისა და პანთეისტობის მტკიცების ერთ-ერთ საფუძვლად და არგუმენტაციის წყაროდ.

გრ. კიკნაძემ სავესებით მართებულად უარყო აღნიშნულ მსოფლგაგებათა ვაჟასთვის მიწერის შესაძლებლობა (იხ. ვაჟა-ფშაველას შემოქმედება, 1957, გვ. 115-140) და შეეცადა, პოეტის მიერ შემნილ მხატვრულ სინამდვილეში სხვა

აზრი და დანიშნულება მოეძებნა. პოემაში მოცემული განსაკუთრებული ურთიერთობის მიხედვით თხზულების პრობლემატიკის ახალი, თავისებური გაგება წარმოადგინა; გრ. კიკნაძემ მიიჩნია, რომ მინდიას პიროვნების, მისი ცოდნისა და შეძლების განმსაზღვრელია ინსტინქტურ ქცევა და ინტუიციური მიხვედრილობა; რომ მინდია ამ გზით შეიძენებს უფრო მეტს და აღწევს უფრო მნიშვნელოვან შედეგს, ვიდრე სხვები ინტელექტის საშუალებით. ამიტომ მკვლევარმა ადამიანის ამ უნარის მნიშვნელობის გარკვევა ჩათვალა პოეტის მთავარ მიზნად და მისი „აზროვნების სიღრმის“ მაჩვენებლად. აი, რას წერს გრ. კიკნაძე ამის შესახებ: „მართალია, ვაჟასთან მინდიას მოქმედებას და მთელ მის ქცევას ინტელექტი არ განაგებს, მაგრამ სრულიად ნათელია, რომ „გველის მჭამელში“ წარმოდგენილია ბუნების წვლილისა და საჭირო მოქმედების წარმოების გრძობითი გზა. აქ ცხადად ჩანს ვაჟას აზრი, რომ ბუნებასთან სიახლოვე თავისებური გზით არის შესაძლებელი. ეს გზაა ინტუიციის გზა. ინტუიციით ბუნების წვლილის პრობლემატას მკაფიოდ „გველის მჭამელში“. უკეთ: ეს გზაა დასურათებული სრულიად მკაფიოდ, როგორც ფაქტი. მწერალი ამ პოემაში გარემოს ინტუიტურად წვდომის ილუსტრაციის ამოცანით არის განსაზღვრული. ესაა ნაწარმოების თემა. ეს ამოცანა ვაჟამ სრულქმნილად შეასრულა. მან მკაფიოდ დაგვანახა, რომ გარდა გონებისა არის კიდევ სხვა საშუალებაც — და ხშირად საუკეთესო საშუალებაც — გარემოში — გარკვევისა ქვეყნის საკეთილდღეოდ მოქმედებისა. ეს არის მოქმედება ინტუიციის კარნახით“ (ვაჟა ფშაველას ხუთი პოემა, თბ. 1975, გვ. 23-24. დაყოფა ჩემია — ვ.ა.). შემდეგ კიდევ: „ვაჟამ სწორედ ის გვიჩვენა, რომ გონების გვერდით ასეთი ადამიანური ინტუიციით შეიძლება გარემოს წვდომა, მისი ერთგვარი გაგება. ამაში მდგომარეობს „გველის მჭამელის“ მთავარი აზრი საკითხის ამგვარ დასმა-

შიც გამოვლინდა ვაჟა-ფშაველას დაკვირვებისა და აზროვნების სიღრმე“ (იქ. 33, გვ. 25).

განსვენებული მეცნიერის ამ ორიგინალურ დებულებას ვერ დავეთანხმებით შემდეგ გარემოთა გამო: 1. პოემის სიუჟეტური სქემა და კომპოზიციური აგებულება არ ამართლებს ინტუიციის დაყენებას ამ თხზულების ზოგად პრობლემად. ვაჟას მიზანი ამ საკითხის გარკვევა რომ ყოფილიყო, მაშინ პოემა იქ უნდა დაემთავრებინა, სადაც V თავი სრულდება (ამ ნაწილშია გადმოცემული მინდიას „გამეცნიერება“, მისი ურთიერთობა ბუნებასთან და ამ გზით მიღებული ინფორმაციის პრაქტიკულად გამოყენების შედეგიც); საჭირო აღარ იქნებოდა კიდევ პოემის 7 თავის (VI-XII) დაწერა, ახალი ეპიზოდებისა და მოტივების შეთხზვა, რომლებიც ინტუიციის პოზიტიურ შეფასებას არაფერს ჰმატებენ. მინდიას უნარი ბუნების შეცნობისა მწერლისათვის თვითმიზანი არაა; ის საშუალებაა ახალი მოქმედების შესაზღვრებად და იმის საჩვენებლად, რომ იგი ცხოვრების ახალ წესს სთავაზობს საზოგადოებას. რა პერსპექტივა აქვს ახალ იდეას? რამდენად საიმედოა ამ გზით სიარული? ვუფიქრობთ, ამის გარკვევა შეადგენდა ვაჟა-ფშაველას შემოქმედებით მიზანს.

2. ინსტიქტს ან ინტუიციას ვაჟა-ფშაველა ადამიანის ინტელექტზე მაღლა ვერ დააყენებდა. შეუძლებელია, მას ემტკიცებინა, რომ გარემოს ინტუიტიურად წვდომა მისი შემეცნების „საუკეთესო საშუალებაა“. ამის შესახებ მართებულად შენიშნავს ბ. დობორჯგინიძე: „ადამიანი: ტვინის სიცოცხლის — ფიქრისა და გონების მადურთებულ ვაჟას არ შეეძლო გარემოს ინსტიქტურად წვდომის პრობლემა დაესვა და დადებითად ეპასუხა მასზე... პოემის თემასა და ძირითად იდეას არავითარი საერთო არა აქვს ინსტიქტის პრობლემასთან“ (იხ. მისი „ბუნება და ადამიანი ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში“, 1962, გვ. 130).

ვაჟა ადამიანის გონებას უფრო მაღლა ვერ და გადაწყვეტ მნიშვნელობას გარემოს შემეცნების, ადამიანთა ცხოვრების კანონზომიერებაში გარკვევისა და საჭირო მოქმედების შესრულებისათვის. იგი ლოგიკურად აზროვნების უნარს გულისხმობს, როდესაც წერს: „ადამიანის ფიქრისა ერთი საქებური თვისება — მოვლენათა მიზეზის ძიებაა. როცა ადამიანის ფიქრი კითხულობს: „რადა? რისთვის? საიდან და როგორ!“ ეს ნიშანია ადამიანის კეთილგონიერებისა. სწორედ ამისთანა ფიქრების ბრალია კაცობრიობის წინსვლა...“ („ფიქრები“, 1902 წ.).

ვაჟას მხატვრულ შემოქმედებაში ან პუბლიცისტიკაში ვერ ვიპოვით იმის მაგალითს, რომ მწერალს სამყაროს შემეცნების უფრო ძლიერი საშუალება ეგულებოდა, ვიდრე ადამიანის ანალიტიკური გონებაა. თუ გამოწაკლისები არსებობს, როგორც, მაგალითად: მინდიას უნარი მცენარეთა თვისებების ცნობისა ან ყვავილთა და ცხოველ-ფრინველთა ენის გაგებისა, ან კუდიანი დედაბრის მიერ ჯაღო წამლის დამზადება (პოემაში „იფერი“) — ეს მოტივები უძველეს ზღაპრულ-მითოსურ გარემოს ეკუთვნის და იმ ხალხის რწმენას ასახავს, ვის ცხოვრებასაც პოეტი აღწერს. ამ მოტივებს იგი იყენებს როგორც მასალას ახალი მხატვრული სინამდვილის შესაქმნელად.

3. დაბოლოს, — ძნელია ინტუიციად ეწოდოს იმ უნარს, რომელსაც მინდია იყენებს გარემოში გარკვევისა და მასთან კონტაქტისათვის. ინტუიციად იქნებ იმიტომ იხსენება, რომ მისთვის სხვა, უფრო შესაფერი მეცნიერული ტერმინი ვერ მოიძებნა? ცნობილია, რომ ზოგიერთ ადამიანს გააჩნია მეცნიერებისგან ბოლომდე შეუსწავლელი შინაგანი უნარი, რომელსაც ნათელმხილველობას უწოდებენ. მაგრამ ინტუიციით და ნათელმხილველთა შეუძლებელია იმის „გაგება“, რასაც მინდია „იგებს“, ანდა მცენარეებთან და ფრინველებთან აზრობრივი კონტაქტის დამყარება, დედამიწისა



და ცის უჩინარ ძალებთან „საუბარი“ და სხვ. უთუოდ მნიშვნელოვანია ისიც, რომ პოემაში ბუნების „წვდომა“ ხდება ორმხრივი აქტიურობით, — საგნებსაც აქვთ „გონი“ და „ენა“, რითაც მინდიას აუწყებენ საკუთარ სურვილს. ხალხს სჯერა, რომ მინდიას ესაუბრება „ცა“ (ღმერთი და ვარსკვლავები). ეს კი ადამიანური ინტუიციის, თუნდაც ნათელი ხილვის საზღვრებს სცილდება. ეს ხომ ადამიანისგან დამოუკიდებლად არსებულ ბუნების სულდგულობის აღიარებაა. ასეთი რწმენა დამახასიათებელია წარმართული (პანთეისტური და პილოძოისტური) მსოფლმხედველობის მქონე ადამიანის გონებრივი დონისათვის.

მინდიას ცოდნას ზოგი „გველურ სიბრძნეს“ უწოდებს, ზოგი — „ქაჯურს“, ზოგიც — „ღვთიურს“. სულ ერთია, როგორც არ უნდა მივიჩნიოთ იგი, მინდიას უნარი ბუნებასთან ურთიერთობისა ადამიანური ინტუიციის ფარგლებში ვერაფრით ვერ მოთავსდება. მინდია იმაზე ბევრით მეტს აკეთებს, რის მიღწევაც ინტუიციით შეიძლება. მისი „ცოდნის“ მიღების გზა სასწაულებრივია და გამოყენების არეალიც ზღვარდაუღებელია.

ამრიგად, მინდიას მოქმედების წარმართველ უნარს არ შეესაბამება „ინტუიციის“ ცნება და, თუ ეს ასეა, ბუნების „ინტუიტურად წვდომის“ პრობლემა არ შეიძლება იყოს „გველის მჭამელის“ თემა.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, ბუნებასთან მინდიას ურთიერთობას თუ მივინც „ინტუიტურ წვდომას“ დავარქმევთ და ჩავივლით, რომ ვაჭა-ფშაველა სერიოზულად ფიქრობდა ამ პრობლემაზე, რომ ის აიღო ნაწარმოების თემად და მისი განხილვა, მისი „ფასონების“ დახატულება დაისახა მიზნად, მაშინ ისიც უნდა დავეუშვათ, რომ ვაჭას რეალობად მიაჩნდა ვეღვაფერი, რასაც მინდია აკეთებს პოემის ფაბულის მიხედვით. გამო-

დის, რომ ვაჭას სწამდა სხვადასხვა უმაღლი ძალების არსებობა და ზეცაში; სჯეროდა ქაჯების თუ გველის მუშევრებით გამეცნიერება? უსულო საგნებთან, (ზევთან), ჩიტებთან, ცის ბინადარ ღვთაებებთან, ვარსკვლავებთან „საუბრის“. შესაძლებლობა ა.შ. ამის შემდეგ უკვე გაგვიჭირდება ვაჭას მსოფლმხედველობის გამოჯნვა პოემის პერსონაჟის, მინდიას, მსოფლმხედველობისაგან და ძალაუნებურად მივაღწეოთ დიდი პოეტის წარმართობის აღიარებადმის.

უფიქრობთ, არ ღირს სიტყვის გავრძელება იმის შესახებ, რომ ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია ვაჭა-ფშაველასა და მინდიას მსოფლმხედველობათა გაიგივების ცდა. ეს საკითხი 50-იანი წლების შემდეგ სერიოზული მსჯელობის საგნად აღარ ითვლება, თუმცა ზოგიერთი დღესაც ცდილობს ამ უნიადავო ჰაიპოთეზის რეამინაციას.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ვრ. კიკნაძემ ვაჭას მდიდარი მხატვრული შემოქმედების მიხედვით დააბნეა ვაჭა-ფშაველას ანიმისტად, ანთროპომორფისტად ან პანთეისტად მიჩნევის უსაფუძვლოა, მაგრამ „გველის მჭამელის“ თემად ინტუიციის პრობლემის დაყენებით საკუთარ სწორ თვალსაზრისს თვითონვე დაუპირისპირდა.

ვაჭას წარმართად გამოცხადების საბაბს კი არც „გველის მჭამელი“ იძლევა და არც სხვა რომელიმე ნაწარმოები. საკმარისია ვაღაფათალიეროთ მისი ეთნოგრაფიული და პუბლიცისტური ნარკვევები: „წერილი ხევსურეთიდან“ (1879 წ.), „სოფელი ხახმატი“ (1880), „ფშაველების ამაოდ მორწმუნეობანი“ (1888), „რამე-რუმე მთისა“ (1892), „ფიქრები“ (1902), რათა დაერწმუნდეთ, როგორი წუხილით და ზოგჯერ მსუბუქი იუმორითაც წერს იგი მთელთა ცრუმორწმუნეობაზე, კლდეებსა და ყორეთა ნანგრევებში „დაბრძანებულ“ მათს ხატებზე (ღვთაებებზე), ეშმაკების, ღე-

ვების, წერა-მწერელის, მავნე სულების რწმენაზე, ქადაგებსა და მკითხავეებზე, „ქაჯავეთის ქვეყანაში“ ღვთიშვილთა“ (ხვესურეთის ღვთაებათა) ლაშქრობაზე და სხვ.

ამ წერილების ავტორზე არ შეიძლება იმის თქმა, რომ მას სჯეროდა მინდიას „გამეცნიერება“ და მისი „ცოდნის“ საშუალებით ბუნების საი-

ღუმლობათა წვდომის შესაძლებლობა. რატომ აიღო ვაჟამ მაინცდამაინც ეს მასალა, რისთვის მოიხმო მოულოდნელი გაბრძნობის უძველესი მითოსური თუ ზღაპრული მოტივი და როგორ გამოიყენა იგი ახალი შედეგის, საკუთარი მხატვრული თხზულების ასაგებად, ეს შემდგომი მსჯელობის საგნად რჩება.

□ ბ ა ბ რ ა ქ ე ლ ი ბ ა ი წ ნ ბ ა □



პირობი ნაღირაძე

ვის ეკუთვნის „ამარანტის“ განმარტება

ელისბეტური ხანის მეცნიერის და ეპიკოსი პოეტის აპოლონიოს როდოსელის (ძვ. წ. III საუკუნე) პოემაში „არგონავტიკა“ ნახსენებია არსებითი სახელი „ამარანტები“. სიტყვის მნიშვნელობა დიდხანს იყო აუხსნელი. დღეისათვის „არგონავტიკის“ ქართულ მკვლევართა უმრავლესობა აღიარებს, რომ „ამარანტები“ ან „ამარანტა“ ნიშნავს „ამირანმთას“ და მიიჩნიათ, რომ მოცემული სიტყვის ასეთი ახსნა ეკუთვნის აკაკი წერეთელს, რაც არავითარ შემთხვევაში არ არის სწორი.

ჩემი ამჟამინდელი მიზანია დაეახაბუთო, რომ სიტყვა „ამარანტას“ განმარტება ეკუთვნის ისტორიკოს სულხან გერმანოზის ძე ბარათაშვილს (1821—1866) და არა აკაკი წერეთელს. სულხან ბარათაშვილი, როგორც მკვლევარი, დიდ ყურადღებას უთმობდა ხალხურ გადმოცემებს და ზოგ შემთხვევაში მათ ისტორიულ წყაროდ მიიჩნევდა. ასეთი თვალსაზრისის მეოხებით ისტორიკოსმა ბეერ საინტერესო საკითხს მოუძებნა ახსნა. ხალხური გადმოცემებისადმი ს. ბარათაშვილის განსაკუთრებული ყურადღების შედეგია, რომ მან დამაჯერებლად ახსნა ბერძნულ წყაროში მოხსენიებული სახელწოდება „ამარანტი“.

ს. ბარათაშვილი იყო პირველი მკვლევარი, ვინც განაცხადა, რომ „ამარანტი“ უნდა მოდიოდეს საკუთარი სახელიდან ამირანი. თუ გავიზიარებთ აზრს, რომ ამირანი და პრომეთე მსოფლიო მნიშვნელობის მარადიული სახეებია და „მათი შესწავლა მეცნიერების კეთილშობილ ამოცანას წარმოადგენს“, მაშინ გასაკვირი იქნება თუ რა მნიშვნელობა აქვს ს. ბარათაშვილის წვლილს.

საესებით სამართლიანად აღნიშნავს მკვლევარი ც. გიგაური: „არგონავტების თქმულების საფუძველზე შექმნილ ნაწარმოებთა სიუჟეტების მთავარ წყაროებად მიჩნეულია ბერძენ ავტორთა თხზულებები, რომელთა მეშვეობითაც ჩვენამდე მოაღწია მხატვრულად დამუშავებულმა, კოლხეთში არგონავტთა ლაშქრობის ლეგენდარულმა ისტორიამ“² გასაზიარებელია მისივე აზრი იმის თაობაზე, რომ „რომაული ლიტერატურა ერთსულოვნად უჭერს მხარს იმ ბერძენ ავტორთა ცნობებს, რომლებიც პრომეთეს მიჯაჭვის ადგილად კავკასიონის ქედს ასახელებენ, პრომეთე და არგონავტთა კოლხეთში მოსვლის ეპიზოდი მრავალჯერ აღნიშნულია მეცნიერებაში. ეს კიდევ უფრო განამტკიცებს მისი კულტის კავკასიურ ამირანთან მიმართების თეორიას“³ ისე

რომ, საკითხთან დაკავშირებული ყოველი წერილმანი ღირებულია.

ს. ბარათაშვილის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ანტიკურ წყაროებში მოხსენიებული „ამირანტა“ ქართულ ზეპირსიტყვაობაში შემონახული ამირანის მთა არის, ფრიალ საინტერესო და მნიშვნელოვან მიგნებად უნდა ჩაითვალოს თუნდაც იმიტომ, რომ იგი მხარს უჭერს და ამაგრებს პრომეთესა და ამირანის იგივეობისა და „ბერძნული მითის ქართული წარმოშობის ჰიპოთეზას“.⁴

საინტერესოა გაეარკვიოთ საკითხის კვლევის დღევანდელი მდგომარეობა, რამდენად მართებულად თვლის ს. ბარათაშვილისეულ მოსაზრებას, ანდა რამდენად იცნობს ბარათაშვილის თვალსაზრისს.

პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ანტიკური ხანის ავტორები სიტყვა „ამირანტას“ სხვადასხვა მნიშვნელობას ანიჭებენ. ერთნი ვარაუდობენ, რომ იგი ქალაქის სახელწოდებაა პონტოში, ზოგს მიაჩნია, რომ ტომის სახელწოდებაა. „ბერძნებს უცდიათ ამ სახელწოდების ეტიმოლოგიური ახსნაც და მას უკავშირებდნენ ზედსართავს „უჭკნობი“... ჰეკატრატე ვფესელმარ, ამბობს სქოლიასტი, — რაკი საქმის ნამდვილი ვითარება არ იცოდა, ამირანტები უწოდა ფაზისის მდგლოებს, ვინაიდან მწვანით მოხილი და უჭკნობი არიან“.⁵

არის შემთხვევა, როცა უცხოელი ავტორი „ამირანტებს“ იმერეთს უკავშირებს.⁶ მართალია ავტორი სწორად იტყვია, როცა სიტყვის ახასხუნლად ქართულ გარემოს იშველიებს, „მაგრამ „იმერეთიდან“ „ამირანტების“ მიღება გაჭირდებოდა“⁷, საკითხთან დაკავშირებით ყველაზე მართებული და მისაღები წყარო არის ელინისტური ხანის მეცნიერისა და პოეტის აპოლონიოს როდოსელის პოემა „არგონავტიკა“, სადაც სრულყოფილად არის დამუშავებული თქმულება არგონავტებზე. „არგონავტიკა“ ჩვენს დრომდე სრული სახით არის მოღწეული. პოემა შეიცავს ბევრ საყურადღებო ცნობას, საქართველოს

უძველესი ისტორიის შესახებ. მისი „არგონავტიკაში“ მოცემული „ამირანტების“ მართებული განმარტება, კერძოდ ის, რომ იგი არის მთების სახელწოდება, საიდანაც ფაზისი მოედინება ფაზისი კოლხეთში „ამირანტის“ მთიდან ჩამოედინება — ამბობს პოემის ავტორი.

პოემამ ანტიკურ ხანაშივე მოიპოვა დიდი სახელი, თქმულება სიუჟეტის გადმოცემის მიხედვით დაკანონდა და მრავალი მიმბაძველიც გამოუჩნდა.

„არგონავტიკას“ მრავალი კომენტატორიც ჰყავდა, რომელთა განმარტებები პოემას ახლავს სქოლიონის სახით. „მათი მნიშვნელობა ფასდაუდებელია, სქოლიონებში ხშირად და მოწმებული და ციტირებული ანტიკური ხანის ისეთი ავტორები, რომელთაც მხოლოდ აქედანდა ვიცნობთ... სქოლიონებში რაც ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა, დაცულია ბევრი ძვირფასი ცნობა ძველი ქართული ტომებისა და მათი სამკვიდრებლის შესახებ“.⁸ მოხსენებულ სქოლიონებში არის არსებითი სახელის „ამირანტების“ სხვადასხვა ავტორთა განსხვავებული განმარტება: „ტომი კოლხების ზემოთ“, „ქალაქი პონტოში“, „მთები საიდანაც ფაზისი მოედინება“. დიდხანს იყო მეცნიერთა ცნობისმოყვარეობის საგანი თუ ნამდვილად რას ნიშნავდა „ამირანტა“. დღეს ქართულ ისტორიოგრაფიაში გაზიარებულია აზრი, რომ „ამირანტა“ და ამირანმთა — ერთი და იგივე მნიშვნელობის არსებითი სახელებია. ასეთი აზრისანი არიან მკვლევარები ა. ურუშაძე,⁹ დ. ჩაქვეტაძე,¹⁰ გ. ახელედიანი,¹¹ მ. ჩიქოვანი¹² და სხვები.

ბუნებრივია, ქართული ისტორიოგრაფიისათვის საინტერესო უნდა იყოს ვინ დაუღო საფუძველი, ანტიკურ წყაროებში მოხსენიებული სიტყვის „ამირანტა“, ზემოთ მოცემულ ახსნას.

როგორც ცნობილია, აპოლონიოს როდოსელის (ძვ. წ. III საუკუნე) პოემის „არგონავტიკის“ პირველი ქართული თარგმანი ეკუთვნის პროფესორ აკაკი ურუშაძეს. 1964 წელს მანვე გა-



მოსცა შესანიშნავი ნაშრომი „ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში“. წიგნში წარმოდგენილია დიდძალი მასალა, განხილულია წერილობითი წყაროები. ახლებურად არის შეფასებული პოემის კომენტარები და სქოლიონები. „მონოგრაფია გამოირჩევა დახვეწილი მეცნიერული განსჯით, ქართული სამყაროსათვის ძვირფასი ცნობების სიუხვით, ბერძნული ტექსტების, ქართული თარგმანების ზედმიწევნით სიზუსტით, მეცნიერული კეთილსინდისიერებით, იგი ნამდვილად სამაგიდო წიგნია.“¹³

ა. ურუშაძის რედაქტორობით გამოიცა „არგონავტიკის“ აკ. ველოვანიხეული პოეტური თარგმანიც. შეინიშნები, ნარკვევი და საძიებელი აკ. ურუშაძის ეკუთვნის, ბუნებრივია, როცა აკაკი ურუშაძე ყურადღებას ამახვილებს საკითხის შესახებ, რას უნდა ნიშნავდეს სიტყვა ამარანტები, მაგრამ მოულოდნელია, როდესაც „არგონავტიკის“ ასეთ საუცხოოდ მკოდნე მეცნიერს ჰგონია, რომ „ამარანტის“ და ამირანმთის იდენტურობა პირველად აკაკი წერეთელმა შეინიშნა.

„ა. როდოსელი ამარანტების მთებად უთუოდ გულისხმობს ფაზისის (რიონის) ნამდვილ ხათავეს რაჭის კავკასიონის ფასისის მთას, რომელსაც ზეპირსიტყვიანობა ამარანმთას უწოდებს. ეს მოსაზრება აკაკი წერეთელმა წამოაყენა „მედეას“ შენიშვნებში და გასაზიარებელიც ჩანს.“¹⁴

ასეთი არის ურუშაძის აზრი. დ. ჩაკვეტაძე წიგნში „აკაკი წერეთელი და საქართველოს ისტორია“ წერს: „აკაკის აზრით, ბერძნების მიერ მოხსენიებული „ამირანტა“, სადაც პრომეთეოსი იყო მიჯაჭვული, იგივე ქართული ამირანმთა... ეს მოსაზრება ისე ნათლად და დამაჯერებლად არის გამოთქმული, რომ მას თითქმის უცვლელად იმეორებენ შემდგომი დროის ქართველი მკვლევარები.“¹⁵ მგონი საგანგებო განმარტებას არ უნდა საჭიროებდეს ის ფაქტი, რომ დ. ჩაკვეტაძეც საკითხ-

თან დაკავშირებით პირველად მისივე წყარო რეთელს ანიჭებს.

მ. ჩიქოვანი, საერთოდ არ მიუთითებს ვის ეკუთვნის ახსნა, რომ „ამირანტა“ „ამირანის მთას“ ნიშნავს. იგი წერს — მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან მკვლევარები ასე ფიქრობენო.¹⁶

აკადემიკოსი შალვა ნუცუბიძე, ეხება რა საკითხს, წერს: „სიტყვა „ამარანტოს“ პოეტი (როდოსელი გ. ნ.) საკუთარ სახელად თვლის ისე, როგორც მაგალითად კირკოსს, ორივე კოლხიდაში ადგილების აღმნიშვნელია... ამარანტოს ბერძნულად ნიშნავს „უჭკნობს“...“¹⁷

როგორც ვხედავთ, შ. ნუცუბიძე იზიარებს აზრს „ამარანტოს“ ახსნის თაობაზე, ისევე როგორც ის მოცემულია პოემა „არგონავტების“ კომენტარებში. შ. ნუცუბიძემ იცის, რომ ხალხი, მთას, სადაც ამირანი იყო მიჯაჭვული, „ამირანმთას“ ეძახის, მაგრამ არაფერს ამბობს იმის შესახებ, რომ „ამარანტოს“ ამირანმთის ბერძნული ტრანსკრიფცია უნდა იყოს: „დამახასიათებელია, რომ „ამირანის მთის“ სახელი თვითონ ამირანის შესახებ თქმულებაში თითქოს არ შემონახულა, თუმცა... სრულიად ნათელია, რომ ამირანი კავკასიის მთებზე იყო მიჯაჭვული, სამაგიეროდ ხალხმა შეინახა ეს სახელწოდება და ყაზბეგის მცხოვრებნი ახლაც მიუთითებენ ამირანის მიჯაჭვის ადგილს, რომელსაც „ამირანის მთას“ ეძახიან.“¹⁸ მოტანილ ამონარიდში არაფერია თქმული ამირანმთის და „ამარანტას“ იგივეობის შესახებ, ჩანს შ. ნუცუბიძემ არ იცოდა ასეთი ვარაუდის თაობაზე, ან იქნებ არ იზიარებდა ასეთ აზრს და დუმილი ამჯობინა, რაც ნაკლებ სარწმუნოა.

მხოლოდ გ. ახვლედიანმა გამოთქვა მოსაზრება, რომ „ამარანტისა“ და ამირანმთის იდენტურობის იდეა სულხან ბარათაშვილს უნდა ეკუთვნოდესო. გ. ახვლედიანი არაფერს ამბობს იმის თაობაზე, თუ ვინ და რატომ არ უჭერს მხარს ს. ბარათაშვილის ავტორობას. „ეფიქრობ, აკაკი წერეთლის თვალსაზ-

რისი ამარანტის და ამირან-მთის იდენტურობაზე სულხან ბარათაშვილისაგან მომდინარეობს“¹⁹ საკვებით მართალია ვ. ახვლედიანი, როცა ამბობს, რომ საკითხის განმარტება ს. ბარათაშვილისაგან მომდინარეობს, მაგრამ ისიც დასაშვებია, რომ აკაკი წერეთელს არაფერი ცოდნოდა ასეთი მომდინარეობის“ შესახებ და დამოუკიდებლად მივიჩნიო, რომ „ამარანტა“ ამირანმთის ბერძნული ტრანსკრიფცია იყო. ასეთ აზრს ჩაგვაგონებს ა. წერეთლის მსჯელობის დამოუკიდებლობა: „აპოლონ როდოსელი ამტკიცებს, რომ მდინარე ფაზისი ამარანტის მთიდან გამოდისო, სადაც პრომეთეოსი იყო მიბმული, რა მთა არის ეს ამარანტა, ბერძნებისაგან მოხსენებული, რომ დღეს აღარ ვიცით? ეს ის მთა არის, რომელსაც ჩვენი ზეპირსიტყვაობა „ამირანმთას“ ეძახის“.²⁰

ისიც შეიძლება დაუშვათ, რომ ა. წერეთელმა იცოდა ს. ბარათაშვილის აზრი საკითხის შესახებ, მაგრამ საჭიროდ არ ჩათვალა, ეს ვარაუდობა საგანგებოდ აღენიშნა. ასეთ აზრს ა. წერეთლისეული ტექსტის სიტყვებიც ჩაგვაგონებს. „აღარ გამოუდგებთ წვრილმან რამეებს ჩვენი აზრის დასამტკიცებლად რაც ითქვა, ისიც საკმაოა“.²¹

საკითხისადმი აკაკი წერეთლის განწყობილების შესახებ იქნებ სხვაგვარი ვარაუდის გამოთქმაც შეიძლებოდეს, მაგრამ არცერთ შემთხვევაში, მკვლევარს უფლება არა აქვს სათანადო განმარტებას არ მიმართოს იმ მოტივით, რომ თითქოს აკაკის დიდი პიროვნება იმსახურებდეს ასეთი „უშინაშენლო“ პლაგიატის უფლებას.

რა საფუძველი გვაქვს დავასაბუთოთ, რომ „ამარანტას“ და „ამირანმთას“ ერთიდაიგივეობის მტკიცების პრიორიტეტი სულხან ბარათაშვილს ეკუთვნის?

1847 წელს ვახეთ „აკაკი წერეთლის“ იბეჭდა ს. ბარათაშვილის სტატია „სტატია თულ-მეგრული ტომის ხალხთა, რელიგიური ყოფის მოკლე მიმოხილვა მსოფლიო წარმართობის ეპოქაში“, სადაც ს. ბარათაშვილი წერს: არგონავტების ავტორი აღწერს რა მათ მოგზაურობას (არგონავტების ვ. ნ.), აღნიშნავს, რომ ფაზისი გამოდის ამარანტის მთებიდან. შესაძლოა, რომ ამარანტა ეს იყოს სახეშეცვლილი ამირანმთა“.²² ასეთი თვალსაზრისის პრიორიტეტი არ შეიძლება ეკუთვნოდეს აკაკი წერეთელს. იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ 1847 წელს იგი მხოლოდ 7 წლის იყო. მიუხედავად გულმოდგინე მცდელობისა, ვერ მივაკვლიეთ მკვლევარს, რომელსაც ბარათაშვილზე ადრე გამოეთქვას საკითხის შესახებ ზემოთ აღნიშნული თვალსაზრისი. ვფიქრობთ დაბეჯითებით შეიძლება განვაცხადოთ, რომ ს. ბარათაშვილი იყო პირველი მკვლევარი, ვინც აზრი გამოთქვა, რომ „ამარანტა“ და „ამირანმთა“ იდენტური შინაარსის შემცველი სიტყვები არის.

მეცნიერები, ვინც საკითხთან დაკავშირებით არაფერს ამბობენ ს. ბარათაშვილის თვალსაზრისის თაობაზე, ვფიქრობ არ იცნობენ ს. ბარათაშვილისეულ ზემოთ დასახელებულ ნაშრომს. საკითხის მკვლევარები ვალდებულნი არიან, იცოდნენ, რომ პოემა „არგონავტებში“ მოხსენიებული „ამირანტა“ წარმოადგენს ქართულ ზეპირსიტყვაობაში კარგად ცნობილი „ამირანმთის“ ბერძნულ ტრანსკრიფციას და რომ ამ მართებული განმარტების ავტორი არის ისტორიკოსი სულხან ბარათაშვილი და არა აკაკი წერეთელი, როგორც ეს დღეს ვაზიარებულია „არგონავტიკის“ ქართველ მკვლევართა მიერ.

შენიშვნები:

1. М. Чиковани, Необходимые поправки. «Литературная Грузия», № 8, 1959.

2. ც. გიგაური, კოლხეთი რომაულ მწერლობაში, 1985, გვ. 638.

3. იქვე, გვ. 63.

4. შ. ჩიქოვანი, მიჩაქველი ამირანი, თბილისი, 1947, გვ. 24.

5. ა. როდოსელი, არგონავტიკა, 1975 წ. კომენტარები პირველი წიგნისათვის, გვ. 208.

6. ა. როდოსელი, არგონავტოკა, 1975 წ., კომენტარები პირველი წიგნისათვის, გვ. 208.
 7. იქვე.
 8. ა. ურუშაძე, ქუთაისი ბერძნულ და რომაულ წყაროებში, 1993, გვ. 65.
 9. ა. როდოსელი, არგონავტოკა, კომენტარები II წიგნისათვის, გვ. 208.
 10. დ. ჩავეტაძე, აკაკი წერეთელი და საქართველოს ისტორიის საკითხები, 1978, გვ. 65.
 11. გ. აბულდიანი, XIX საუკუნის ქართული ისტორიკოსები და ფოლკლორი, 1990, გვ. 89-90.
 12. მ. ჩიქვანი, ქართული ეპოსი. წ. II; 1965, გვ. 129.
 13. ასათიანი. აკაკი ურუშაძე, 1995, გვ. 10.

14. ა. როდოსელი, არგონავტოკა, კომენტარები III წიგნისათვის, გვ. 208-209.
 15. დ. ჩავეტაძე, დას. ნაშრომი, გვ. 65-66.
 16. მ. ჩიქვანი, დას. ნაშრომი, გვ. 280-281.
 17. შ. ნუცუბიძე, შრომები, VIII, 1983, გვ. 100.
 18. შ. ნუცუბიძე, შრომები, VIII, 1983, გვ. 100.
 19. გ. აბულდიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 40.
 20. აკ. წერეთელი, ტ. III, 1940, გვ. 679.
 21. აკ. წერეთელი, ტ. III, 1940, გვ. 679.
 22. С. Баратов, «Краткое изображение религиозного быта народов грузино-мингрельского племени в эпоху всемирного язычества», «Кавказ», 1847, № 33.

სულხან ბარათაშვილი მითრიდატე ეპატორის მართვული ვინაობის შესახებ

სულხან ბარათაშვილის ძე ბარათაშვილი (1821-1866) არის ის ქართველი ისტორიკოსი, რომელსაც ეკუთვნის პირველი ცდა, გაერკვია მითრიდატე ეპატორის ეროვნული ვინაობა.

ს. ბარათაშვილმა საკითხს უძღვნა საგანგებო ნაშრომი „О происхождении Митридата Великого“.¹ საინტერესო და საკვირველია, რომ ქართული ისტორიოგრაფია არ იცნობს აღნიშნულ ნაშრომს. მითრიდატე ეპატორის ქართველ ბიოგრაფს ან პონტოს სახელმწიფოს მკვლევარს არასოდეს სიტყვა არ დასცდენია საკითხთან დაკავშირებით ს. ბარათაშვილის დამსახურებაზე, ან პირიქით.

ჩემი ამჟამინდელი მიზანია, წარმოვიჩინო ს. ბარათაშვილის თვალსაზრისი მითრიდატე ეპატორის ეროვნული ვინაობის თაობაზე.

ს; ბარათაშვილის მართებული მოსახრებით მითრიდატე ეპატორის ეროვნული ვინაობის დასადგენად უპირველეს ყოვლისა უნდა ვიცოდეთ, ვინ ცხოვრობდა პონტოში, როგორი იყო ამ ქვეყნის ეთნიკური შემადგენელი, „Какое пле-

мя его населяло“². საკითხისადმი ასეთი მიდგომა სრულიად მეცნიერულია, მეფის ეროვნული წარმომავლობის საკითხის კვლევა, როგორც წესი, უნდა დაიწყო იმის დადგენით, თუ რომელი ხალხის მეფე იყო იგი, არც იმას ჰქვს ნაკლები მნიშვნელობა ვინ არის ქვეყნის აბორიგენი მოსახლეობა. თუ ჩვენ გავიზიარებთ იმ აზრს, რომ პონტოს მოსახლეობის ძირითად ბირთვს ქართველი ტომები შეადგენდნენ, იმის ვარაუდიც ბუნებრივია, რომ ქართველების მეფე ქართველი უნდა ყოფილიყო. რა თქმა უნდა, ასეთი ლოგიკა ვერ გამოირიცხავს შესაძლებლობას, რომ პირიქითაც მომხდარიყო, მაგრამ უფრო მართებულია კვლევა მითრიდატეს ქართველობის სახარგებლოდ წარვმართოთ, ვიდრე პირიქით. მითუმეტეს, რომ არ არსებობს არავითარი უტყუარი წყარო მითრიდატეს არაქართველობის შესახებ. ერთი სიტყვით, ს. ბარათაშვილის ვარაუდი მითრიდატე პონტოელის ქართველობის სახარგებლოდ უსაფუძვლო არ ჩანს, რამაც გამოიწვია საკითხით ჩემი საგანგებო დაინტერესება,

თუმცა ასეც რომ არ ყოფილიყო, როგორც ს. ბარათაშვილის შემოქმედების მკვლევარს საკითხის შესახებ მიხი თვალსაზრისისათვის გვერდის ავლა არც სხვა შემთხვევაში შემძლეო. მითრიდატე ეპატორი, ძველი მსოფლიოს თვალსაჩინო პოლიტიკური მოღვაწე იყო. გამოჩენილ პოლიტიკოსებს თითქმის ყოველთვის ფაოტ ფანატიკურად მოყვარული და ფანატიკურად მოძულე ადამიანები.

ეპოთაღმწერლებიც, რომელთა შრომის უპირველესი დანიშნულებაა სიმართლის აღწერა, ხშირად ვერ ახერხებენ ისტორიული პიროვნების შეფასებისას თავიანთი სიმპათია-ანტიპათია არ გამოამჟღავნონ. ზოგჯერ კი თავიანთი განწყობილების შესაფერის ამბებს თხზავენ. მკვლევარის მისია არის, შეძლოს სიმართლის დადგენა, რაც ბუნებრივია, დიდ სიმწელებთან არის დაკავშირებული. ასეთი სიმართლე განსაკუთრებით მითრიდატე ეპატორზე ვრცელდება, რომლის ნამდვილ სახეს ბევრი ლეგენდა ფარავს ან აბუნდოვებს. მით უმეტეს, რომ ეხლანდელ მკვლევარსა და მითრიდატეს ხანას შორის, მრავალი საუკუნე დგას. მითრიდატე პონტოელის ვინაობის წარმოჩენა, ჩვენ შემთხვევაში არ გულისხმობს მიხი მოღვაწეობის ყოველმხრივ განხილვას. ჩემი მიზანია თავის დროზე მსოფლიოსათვის ცნობილ პონტოს მეფის ეროვნული ვინაობის ს. ბარათაშვილისეული პირობების წარმოჩენა და ასეთი ვარაუდისადმი დღევანდელი ქართული ისტორიოგრაფიის დამოკიდებულება.

ჩემი აზრით, მითრიდატე VI შესახებ დაწერილ შრომათა შორის ყველაზე სრულყოფილია გ. გოზალიშვილის წიგნი „მითრიდატე პონტოელი“. ნაშრომის საგანგებო თავში: „მითრიდატე ეპატორის ვინაობა და პიროვნება“ გარკვეული ყურადღება ეთმობა მითრიდატეს ეროვნული ვინაობის საკითხს.

გ. გოზალიშვილი იცნობს და ითვალისწინებს საკითხის შესახებ თითქმის ყველა მასალას და ავტორს, რის საფუძველზეც გეოგრაფიის თავის აზრს

მითრიდატე პონტოელის ეროვნული ვინაობის თაობაზე.

ჩვენთვის საინტერესო არის, რამდენად ახლოა, ს. ბარათაშვილის თვალსაზრისთან, საკითხის შესახებ, დღევანდელი, თუნდაც ზოგიერთი, მკვლევარის აზრი. სწორედ ამიტომ მიმანინა საჭიროდ საგანგებო ყურადღებით მოვეპყროთ პროფ. გიორგი გოზალიშვილის და არა მარტო მის მსჯელობას და დასკვნებს ჩვენთვის საინტერესო საკითხის თაობაზე.

მეცნიერული მტკიცების საფუძველზე გ. გოზალიშვილი, პირველ ყოვლისა, უარყოფს მითრიდატეს სპარსული წარმომავლობის ვერსიას. ჩემი აზრით, იგი ანგარიშგასაწვევი მოსაზრებებით ახერხებს პოლიბიოსის, ედ. მეიერის, აპიანეს, მ. მაქსიმოვას, თვალსაზრისის ნაკლებ საფუძვლიანობის დამტკიცებას. მითრიდატიდების სპარსელთაგან შთამომავლობის სასარგებლოდ. მაგალითად, ედ. მაიერის თვალსაზრისის თაობაზე გ. გოზალიშვილი ამბობს: „ედ. მაიერის არა ხყერა მითრიდატეს სპარსელ მეფეთაგან შთამომავლობა, სპარსელი მეფეების პონტოში პრძანებულობას იგი ზღაპარს უწოდებს (აქ გოზალიშვილი სათანადო წყაროს უთითებს) ამისდა მიუხედავად, ედ. მაიერი თავის ნაშრომში პონტოს მეფეებზე ლაპარაკობს მხოლოდ როგორც სპარსელ უფლისწულობასა და წარჩინებულობაზე“.³ პოლიბიოსის იმ ცნობას, სადაც „მითრიდატე იკვეზნიდა, რომ ის შთამომავალია ერთ-ერთი იმ შვიდი სპარსელისა, რომლებმაც მოკლეს მოკვი, და რომ ექვზინის პონტოს ქვეყნებზე მფლობელობა მან მიიღო... თავის წინაპართაგან, რომელთაც ის ნაბოძები ქონდათ დარიოსისაგან“⁴ გ. გოზალიშვილი ასეთ კომენტარს უკეთებს: პოლიბიოსი მითრიდატეს ეროვნული ვინაობის შესახებ მხოლოდ იმას გვეუბნება, რომ „თავით მითრიდატე იკვეზნიდა თავის სპარსულ შთამომავლობასო, ამით ამოიწურება პოლიბიოსის, როგორც პირველწყაროს მნიშვნელობა, პოლიბიოსის დროსაც მითრიდატიდე-

ბის საპარსული შთამომავლობის მა-
უწყებელი სხვა რამ წყარო არ არსე-
ბულა. პოლიბიოსის გამოთქმა, რომ
მითრიდატი იკეცხნიდაო, ამკარად და-
ლაღებს იმაზე, რომ მითრიდატიდების
სპარსულ მეფეთაგან შთამომავლობის
შესახებ ლეკენდა მხოლოდ თვით მით-
რიდატიდების მიერ იყო შეთხზული⁵.
თუ დაუშვებთ, რომ პონტოს მოსახ-
ლეობის ძირითად ნაწილს ქართველუ-
რი ტომები წარმოადგენდნენ, რისი და-
საბუთებაც თითქმის ხერხდება, მაშინ
იმის მტკიცება, რომ ლტოლვილმა უც-
ხო ტომის კაცმა, ალვილობრივ მოსახ-
ლეობაზე ძალაუფლება მოიპოვა, სა-
ფუძველს მოკლებული უნდა იყოს. ასე-
თია ვარაუდი, ყველა მათ წინააღმდეგ,
ვინც მხარს უჭერს ვერსიას, რომ მით-
რიდატიდების დინასტიის დამარსე-
ბელმა მითრიდატემ და მასთან ერთად
მოსულმა ხუთიოდე კაცმა შეძლო პონ-
ტოზე თავიანთი ძალაუფლების გავრცე-
ლება. „ისიც ხომ ცნობილია, რომ მით-
რიდატესა და მასთან ერთად მოსულ
რამდენიმე კაცს სხვა არავითარი ძალა
არ მოჰყოლია, რომელთაც შეეძლოთ
ეპატონათ პონტოელ ხალხზე“⁶. გასა-
გები მიზეზის გამო არ შემძლია სა-
კითხის შესახებ ყველა თვალსაზრისის
განხილვა, მითუმეტეს არ შემძლია ჩე-
მი თვალსაზრისის წარმოჩენა, თუნდაც
იმიტომ, რომ ძველი მსოფლიოს ისტო-
რიის მკვლევარი არა ვარ. მხოლოდ ის
შემძლია მოკრძალებით შევნიშნო, რომ
გ. ვოზალიშვილის მსჯელობაში, რო-
დესაც ის მითრიდატიდების სპარსული
წარმოშობის ვერსიას უარყოფს, ჩემი
აზრით არ არის დარღვეული ლოგიკუ-
რი დასკვნისათვის აუცილებელი პი-
რობები. მითუმეტეს, თუ არ არსებობს
რომელიმე პირველწყარო, რომელიც
მათს სპარსულ შთამომავლობას ვკი-
დასტურებდეს და აჰიანეს ცნობაც მხო-
ლოდ ზეპირსიტყვიანობით განმტკიცებუ-
ლი ტრადიციის განმეორებას წარმოად-
გენს, მაშინ ს. ბარათაშვილის კამოთე-
ზას გააჩნია არსებობისათვის რეალური

საფუძველი. გ. ვოზალიშვილის მსჯელობაში
გადაჭრით არ ამბობს, რომ მითრიდა-
ტი ქართველი იყო, მაგრამ მთელი მისი
მსჯელობა მიმართულია პონტოს სა-
ხელგანთქმული მეფის ქართველობის
სასარგებლოდ.

ეს ტენდენცია ამკარად ნანს, როცა
გ. ვოზალიშვილი ამბობს: „მითრიდატე
ეპატორის პირმშოს სახელი იყო მა-
ხარე, რაც ქართულის უბრალო მიბაძ-
ვით არ უნდა აიხსნებოდეს. ამ სახელში
გამოხატულია ის სიხარული და აღტა-
ცება, რომელსაც განიცდიდა მითრიდა-
ტეს ოჯახი პირმშოს ძისა და სამეფო
ტახტის მემკვიდრის დაბადების გამო.
აქ ჩვენ გვეცნობა ქართული ოჯახის
ტრადიცია და სულიერი სამყარო, უკა-
ნასკნელ დრომდე რომაა შემორჩენი-
ლი“⁷. მითრიდატეს ერთ-ერთ შვილს
რომ მახარე ერქვა, ეს საკამათო არ უნ-
და იყოს. ამ ფაქტს ხშირად აღნიშნავენ
ქართველი თუ უცხოელი ძველი თუ
ახალი დროის ისტორიკოს-მკვლევარე-
ბი.

აი, რა არის თქმული თუნდაც წიგნის
— „დიონ კასიოსის ცნობები საქართვე-
ლოს შესახებ“ — კომენტარებში „მით-
რიდატეს ვაჟის, მახარეს, ურნობის შე-
სახებ. იხილეთ აჰიანე, პლუტარქეს მო-
თხრობით, მახარემ ჯერ კიდევ ლუკ-
ლუსს შესთავაზა კავშირი“⁸. გასაგებია,
რომ დიონ კასიოსს, აჰიანეს, პლუტარ-
ქეს, ეჭვიც არ ეპარებათ, რომ მახარე,
რომელიც კარგად არის ცნობილი რო-
მაულ საისტორიო მწერლობაში, მით-
რიდატე ეპატორის ვაჟიშვილი იყო.

სხვა საქმეა, რამდენად მისაღებია,
მეცნიერული თვალსაზრისით ქართუ-
ლი სახელის, მახარეს გამოყენება, მით-
რიდატეს ქართველობის ვერსიის გასა-
მაგრებლად, მაგრამ ვოზალიშვილის ვა-
რაუდი კარგად წარმოაჩენს მის აზრს
მითრიდატეს ეროვნული ვინაობის თა-
ობაზე.

ს. ბარათაშვილს მიაჩნია, რომ „მით-
რიდატე დიდი ეპატორი დიონისე“⁹-ს
ქართული წარმოშობის მტკიცებისათ-
ვის, დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ
გარემოებას, რომ პონტოს მოსახლეო-

ბის ძირითად ნაწილს ქართველური ტომები შეადგენდა. მიუხედავად ასეთი მტკიცებისა, ვერსია მითრიდატე ევატორის ქართველობის შესახებ მაინც ვერსიად რჩება, მაგრამ ვფიქრობ, იმის თქმა შეიძლება, რომ მეცნიერული მსჯელობის ლოგიკა, ძველი პონტოს მოსახლეობის ეთნიკური ვინაობის საკითხში, ქართველური ტომების აბორიგენობის სასარგებლოდ მეტყველებს და გაცილებით მართებული მიმართულება არის, ვიდრე სხვაგვარი ახსნა. თუ ასეთ აზრს გავიზიარებთ, მაშინ არც იმის მტკიცება იქნება მოულოდნელი, რომ ქართველთა მეფე ქართველი ფოფილიყო, მით უმეტეს, რომ: „თუ ერთი მხრივ, ჩვენამდე მოაღწია პირდაპირმა საისტორიო წყარომ (დიონ კასიოსის ცნობა), რომელიც მითრიდატიდების აღვილობრივ წარმომავლობას გვაუწყებს, მეორე მხრივ არ არსებობს რომელიმე პირდაპირი პირველწყარო, რომელიც მათ სპარსულ შთამომავლობას გვიდასტურებდეს“.⁹

მკვლევარები, ვინც მითრიდატიდების სპარსული წარმომავლობის წინააღმდეგ გამოდიან ოპონენტების წინაშე „კომპრომისის“ შემთხვევაშიც, არ რჩებიან უნუკეზოდ და შეუძლიათ განაცხადონ: თუნდაც, რომ მითრიდატიდები სპარსული წარმომავლობის ყოფილიყვნენ „რალა უნდა შერჩენოდათ საუკუნეების მანძილზე ამ ობლად მოსული, ვითომდა სპარსული დიდაკობის შთამომავალი მითრიდატე დამარსებლის, შეილთა და შეილიშვილით სპარსელი „ან ბიოლოგიური და ან საზოგადოებრივი ცხოვრების ხაზით“.¹⁰ გასაკებია, რომ გ. გოზალიშვილი მოცემული მსჯელობის დროსაც მითრიდატე პონტოელის სპარსელობას უარყოფს და არც თუ ულოგიკოდ. ჩვენთვის საინტერესო ისიც არის, რომ გ. გოზალიშვილი ასი წლის შემდეგ მის ოპონენტებს იმასვე შეაგონებდა, რასაც ასი წლის წინათ სულხან ბარათაშვილი შენიშნავდა: „იმ შემთხვევაშიც კი თუ მითრიდატე დიდის გვარი არ იყო ქართული წარმოშობის, მისი შორეუ-

ლი წინაპრის მიერ დაარსებულ სატრაპიაში, რომელიც სამასი წლის მანძილზე, ყველა შესაძლებლობის მიხედვით ქართულ გარემოში არსებობდა, შთამომავლობა აუცილებლად გაითავისებდა საქართველოს და ქართულ ენას.“¹¹ როგორც ეხედავთ, მიუხედავად იმისა, რომ გ. გოზალიშვილს და ს. ბარათაშვილს ერთმანეთისაგან საუკუნე აშორებს, მითრიდატე ევატორის ეროვნული ვინაობის გარკვევას ერთი კრიტერიუმით უდგებიან. ასეთი დამთხვევა არ არის შემთხვევითი და უფრო ლოგიკითაა გამოწვეული.

გ. გოზალიშვილის წიგნში „მითრიდატე პონტოელი“ დამოწმებულ ავტორთა აზრის გათვალისწინებით, შეიძლება დავუშვათ, რომ ს. ბარათაშვილის ვერსიას მითრიდატე პონტოელის ქართველობის სასარგებლოდ, საკითხის შესწავლის დღევანდელი დონის პირობებშიც გააჩნია კანონიერი არსებობის უფლება.

ჩვენთვის საინტერესოა ისიც, რომ ს. ბარათაშვილი იყო პირველი ქართველი მკვლევარი, ვინც სათანადო ყურადღება მიაქცია პონტოს სამეფოს მოსახლეობის ეთნიკურ და მითრიდატე პონტოელის ეროვნული ვინაობის საკითხს.

მიუხედავად ასეთი ფაქტისა, როგორც ზემოთაც აღვნიშნე, მკვლევართაგან არავის არხად არ უხსენებია ს. ბარათაშვილი, რომელიც ნამდვილად არ იმსახურებს მსგავს დამოკიდებულებას. საყვედური ეხება პონტოს სამეფოს ისტორიის ბარათაშვილის შემდეგდროინდელ ყველა მკვლევარს, განსაკუთრებით კი „მითრიდატე პონტოელის“ ავტორს გ. გოზალიშვილს, ვისი წიგნიც ს. ბარათაშვილის ნააზრევის გათვალისწინებით გაცილებით სრულყოფილი იქნებოდა.

ძნელია, დაუშვა შესაძლებლობა, რომ გ. გოზალიშვილი არ იცნობდა ბარათაშვილის „საქართველოს ისტორიას“ ან შრომას „О происхождение Митридата Великогo“. უფრო ძნელია, იფიქრო, რომ ს. ბარათაშვილის თვალ-

საზრისი საკითხის შესახებ უკუღებულყოფილია.

გ. გოზალიშვილის კვლევის მიზანი და ინტერესი არ იძლევა ასეთი ვარაუდის საფუძველს, მით უმეტეს, რომ ს. ბარათაშვილი საკითხის შესახებ გ. გოზალიშვილის თანამოაზრეა. ერთი სიტყვით, „საბჭოთა“ მკვლევართა დამოკიდებულება უფრო სწორად „დამოუკიდებლობა“ საკითხის შესახებ ს. ბარათაშვილისეული ნაზრებისადმი, იძულებულს გვხდის დაუშვათ, რომ მკვლევარები ან არ იცნობდნენ ს. ბარათაშვილის წიგნს „საქართველოს ისტორია“ და შრომას „О происхождении Митридата Великого“, ანდა შეგნებულად ხდებდნენ, ერიებოდნენ ამ დროისათვის შერისხული „ველიკორუზინსკი“ „შოვინისტი“ ისტორიკოსის ხსენებას.

ს. ბარათაშვილს უკურადლებოდ არ დაუტოვებია ზოგიერთი შენიშვნა და 1861 წელს გაზეთ „კავკაზში“ № 70, გამოქვეყნებია სტატია: „Дополнение к вопросу о происхождении Митридата Великого“, სადაც ავტორი წერს: „გაზ. „კავკაზში“ ჩემი სტატიის „მითრიდატე დიდის წარმოშობის შესახებ“ გამოქვეყნების შემდეგ საუბარი მქონდა გენერალ ბართლომეისთან, რომელმაც ასეთი შენიშვნა მომცა, თუ მითრიდატე ქართული დინასტიიდან წარმოშობილია, რატომ იყო მის გერბზე გამოსახული მთვარე და ვარსკვლავები“¹² უეჭვოა, რომ ს. ბარათაშვილის მიერ ნახსენები გენერალი ბართლომეი არის ივანე ალექსის ძე, (1813 — პეტერბურგი, 1870, თბილისი) პეტერბურგის აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ცნობილი არქეოლოგი და ნუმიზმატი, რომელმაც ქართულ სიძველეთა შესწავლის მიზნით თითქმის მთელი საქართველო შემოიარა. შეკრიბა მრავალი ეპიგრაფიკული მასალა, ბართლომეის მასალები შემდგომში გამოაქვეყნა ბროსემ. როგორც ვხედავთ, ბართლომეის ვინაობა საკმაოდ შთამბეჭ-

დავია, რათა მისი დაინტერესება მთელი საღები იყოს.

ს. ბარათაშვილი მის ოპონენტს ი. ა. ბართლომეის. სხვათაშორის პასუხობს: მოსე ხორენელის მოწმობით მითრიდატე დიდი იყო იბერიაში დარიოსის სატრაქიის მითრიდატეს შთამომავალი. თუნდაც ამიტომ მის გერბზე, მთვარე და ვარსკვლავები ს. ბარათაშვილს სულაც არ მიაჩნია არაბუნებრივად.

ერთი სიტყვით, ს. ბარათაშვილი თავისებურად ასაბუთებს თუ რატომ არ არის მოულოდნელი, მითრიდატეს გერბზე მთვარე და ვარსკვლავები.¹³

საინტერესოა სტატიისათვის „О происхождении Митридата Великого“, გაზეთ „კავკაზის“ რედაქციული მინაწერი:

«Мы помещаем статью не более как вопрос и вместе с тем как образец честного рвения докапывается до отжитых исторических фактов глубокой древности, от которых по правде сказать, нам ни тепло ни холодно. Может быть и найдутся специалисты, которые докажут нам пользу и от того был ли Митридат греком, грузином или иным»¹⁴.

მოუხედავად იმისა, რომ მოყვანილ ამონარიდში, პირდაპირ არაფერია თქმული, ქართული საისტორიო მწერლობის წინააღმდეგ, შინაარსში აუცილებლად იგულისხმება, მისადმი ნიპილისტური დამოკიდებულება.

რედაქციის აზრით საჭიროებას არ წარმოადგენს ვარკვიით მითრიდატეს ეროვნული ვინაობა და თურმე სპეციალისტთა საგანგებო მცდელობამაც საუკუთა დაამტკიცოს, რა სარგებლობა შეიძლება მქონდეს იმის გარკვევას, რომელ ეროვნებას ეკუთვნოდა მითრიდატე პონტოელი. გაუგებარია რა სარგებლიანობაზე ლაპარაკობს რედაქცია. განა საგანგებო მტკიცება ჭირდება იმ აზრს, რომ ერის ისტორიიდან დიდი ადამიანის დაკარგვა ეროვნული დანაკლისია? არც ერთი ხალხი, თუ საშუალება გააჩნია, არ დაუშვებს, რომ მისი გამოჩენილი შვილი სხვა ხალხის შვილად იხსენიებოდეს. მითრიდატე VI-ს

10. „მნათობი“, № 5.

მიუხედავად როული და წინააღმდეგობით საესე პიროვნებისა, ავტორთა უმრავლესობა გენიალურ ადამიანად კი თვლის.

«Сула Лукулл и Помпей, по очереди ратовали с непримиримым Митридатом, Хотя побеждаемым, но всегда Грозным, потому что неудачи воспаляли его воинственный дух, усугубляли неистощимые способности его великого гения»¹⁵.

ბუნებრივია, ანტონ აშეიხეულ ასეთ დახასიათებას მითრიდატეს პიროვნების შეფასებისათვის კრიტიკულად ვერ გამოაცხადებთ, მაგრამ იგი არც მოულოდნელია და არც უსაფუძვლო. სურთოდ კი ანტიკურ საისტორიო მწერლობაში, საიდანაც ჩვენ მითრიდატის პიროვნებას ვეცნობით, ძალზე ხშირად ვხვდებით ერთმანეთის გამოხრიცხავ ცნობებს, რაც ხათავეს იღებს ავტორთა პირადი განწყობილებიდან. მითრიდატემ ხანგრძლივი სიცოცხლე რომელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლას შეაღია, რაც, ბუნებრივია, არ იწვევს რომელი მწერლობის აღფრთოვანებას. მიუხედავად მითრიდატის შესახებ ცნობათა სიჭრელისა, თუ მისი მეფობის 56-წლიან მოღვაწეობას სამშობლოს მტრების წინააღმდეგ მის ნამდვილად გმირულ ბრძოლას იმდროინდელი ვითარების გათვალისწინებით შევაფასებთ, იმულებული ვიქნებით, ვაღიაროთ, რომ მითრიდატე VI მსოფლიო მნიშვნელობის ისტორიული პიროვნება იყო.

სწორედ ასეთად მიაჩნდა იგი ისტორიკოს სულხან ბარათაშვილს, ამიტომ არ იყო სულერთი მისთვის რომელი ერის შეილად გამოაცხადებდა ისტორია მითრიდატე დიდს.

საჭიროდ მიმანია კვლავ გაეიმეორო, ზემოთ უკვე თქმული: ს. ბარათაშვილი იყო პირველი ქართველი მკვლევარი, ვინც საგანგებო შრომა უძღვნა მითრიდატე ვეპატორის ეროვნული ვი-

ნაობის საკითხს და არცთუ წარუშლელად. თუ გავითვალისწინებთ, რომ ნამედროვე მკვლევართა გარკვეული ნაწილის შეხედულება საკითხის შესახებ ემთხვევა ს. ბარათაშვილის თვალსაზრისს, ხავსებით ვახაგებია, რომ ისტორიის იდეალიზაცია მის ფალსიფიკაციას უდრის, მაგრამ ისტორიის მკვლევართა ალტრუიზმი უფრო დიდი ხევალებია. ჩემი აზრით აუცილებლად ყურადსადება ერთი გარემოება, რაც ხელს უშლიდა ქართულ ისტორიოგრაფიაში ეროვნული მიმართულების განვითარებას. თუ ამ აზრს კონკრეტულად მითრიდატე VI ხახელს დავუკავშირებთ, უნდა ვაღიაროთ, რომ ქართველი მკვლევარისათვის ძნელია ამტკიცოს, ამ მსოფლიო ხახელის მქონე პიროვნების ქართველობა, ვიდრე პრიქით. სხვა რომ არაფერი, ქართველ მკვლევარს ეროვნულ განწყობილებას მკრუხელობად უფელდენ. ახე იყო მეფის რუსეთის იმპერიაშიც და საბჭოთა რუსეთშიც. ვერც მცირერიცხოვანი ერის შეილისათვის დამახასიათებელ „მორცხობას“ გამოურიცხავთ. ასეთი რეალობა არცთუ იშვიათად მკვლევარს კარნახობს, აირჩიოს უზიფათო გზა, დაეთანხმოს უცხოელ ავტორიტეტებს.

მას მიაჩნია, რომ „მეცნიერული“ ალტრუიზმი იმპეკიანია და „ობიექტურობის“ ხარისხსაც იძლევა. ასეო პრაგმატიზმი, ქართული საისტორიო კვლევის საკმაოდ ხანგრძლივ პერიოდს მოიცავს, რამაც დიდი ზიანი მიაყენა ქართული საისტორიო მეცნიერული აზრის მართებულად წარმართვის საქმეს. საგანგებო აღნიშვნას იმსახურებს ის ფაქტი, რომ ს. ბარათაშვილი მითრიდატეს ეროვნული ენაობის კვლევისას თავისუფალია ყოველგვარი კონიუნქტურის, პრაგმატიზმის, ალტრუიზმის თუ „მორცხობისაგან“, რაც ისტორიკოსისათვის უპირველეს ღირსებად მიიჩნევა. საკითხთან დაკავშირებით ს. ბარათაშვილისეული ისტორიული კვლმართების გარკვევის ცდა და ამ მიმართებით გაწეული შრომა მიზნის მიუღწევაობის შემთხვევაშიც დიდი დამხა-

ხურებაა, მითუმეტეს, რომ ს. ბარათაშვილი არის საკითხის პირველმკვლევარი. საეჭვოა, რომ მითრიდატე პონტოელის ცხოვრების ქართველ მკვლევართათვის უცნობი იყოს საკითხისადმი ს. ბარათაშვილის დამოკიდებულება. მითუმეტეს, რომ ზოგ შემთხვევაში ჩვენი თანამედროვე მკვლევარის აზრი ზუსტად ან თითქმის ზუსტად ემთხვევა ს. ბარათაშვილისას. ასეთი მაგალითი შემოთ უკვე მოიყვანე გ. გოწალიშვილთან დაკავშირებით, მაგრამ კითხვა მითრიდატეს ცხოვრების მკვლევართაგან, რატომ სდუმს ყველა, ს. ბარათაშვილის

შრომის პირველობის და მნიშვნელობის შესახებ, უპასუხოდ რჩება.

თუ ს. ბარათაშვილის შრომა საბჭოთა პერიოდის მკვლევართათვის უცნობი არ არის, მაშინ მათ ღუმილს ს. ბარათაშვილის შესახებ, ჩემის აზრით, მხოლოდ ერთი ახსნა მოუპოვება: ისინი როგორც შემოთ აღვნიშნე, ერიდებიან საბჭოთა იდეოლოგიისათვის მიუღებელი და შერისხული მკვლევარის არა მარტო დამოწმებას, ხსენებასაც კი! ან არ იცნობენ ს. ბარათაშვილის შრომებს, ან წინასწარგანზრახვით სდუმან, სხვაგვარი ვარაუდი უნიადავია!

შ ა ნ ი შ კ ე ა ნ ი :

1. С. Баратов. О происхождении Митридата Великого. «Кавказ», 1861, № 53.
 2. ს. ბარათაშვილი, დასახ. ნაშრომი.
 3. გ. გოწალიშვილი, მითრიდატე პონტოელი, გვ. 242.
 4. იქვე, გვ. 238.
 5. გ. გოწალიშვილი, იქვე, გვ. 238.
 6. იქვე, გვ. 248.
 7. გ. გოწალიშვილი, იქვე, გვ. 241.
 8. დიონ კასიოსის ცნობები საქართველოს შესახებ, 1966, გვ. 98.

9. გ. გოწალიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 245.
 10. იქვე, გვ. 238-29.
 11. ს. ბარათაშვილი, დასახ. ნაშრომი.
 12. С. Баратов. Дополнение к вопросу о происхождении Митридата Великого. «Кавказ», 1861, № 70.
 13. ს. ბარათაშვილი, დასახ. ნაშრომი.
 14. გაზ. „კავკაზი“, № 70.
 15. Антон Ашик — Боспорское царство, ч. I, стр. 67.





პანტაფლი

რატომ არ მონაწილეობდა იმპერატორი კირაკლე 628 წელს თბილისის აღებაში?

საქართველოში უკვე ზაფხულის საცხეები იდგა, როცა თბილისის ქართველთათვის უცხო ლაშქარი მოადგა. ზოგ მეთმარს თავზე თმა სულ ვიდავებარსა, ზოგს ნაწნავეები ჰქონდა, უმრავლესობა კი „გრძელთმიანი ხალხი“ იყო. უცნაური შესახედაობისა და ჩაცმულობის მრავალრიცხოვანმა მეომრებმა თბილისის გაღების მიმდებარე ველებზე კარგები გაშალეს, ქალაქზე შეტევას კი არ ჩქარობდნენ. რამდენიმე დღის შემდეგ საომარი მანქანებით თბილისს ქართველთათვის კარგად ცნობილი ბერძნებიც (ბიზანტიელები) მოუახლოვდნენ. დამხვედური უცხოელები და მათი სარდლები დიდი სიხარულით შეხვდნენ ბიზანტიელებსა და მათ იმპერატორს. დიდი ღვინო და ღრეობა გამართეს. შემდეგ ორივე ლაშქარმა დაიხვეწა და ერთ დღეს, დილით ადრე თბილისის კედლებზე მდგომმა მეციხოვნეებმა შეაძინეს, რომ მომხდურნი ქალაქზე საიერიშოდ ემზადებოდნენ. მომხდურებმა გამართეს კედლის სანგრევი და ლოდსატყორცი მანქანები, მიაგორეს ისინი კედლებთან და დაიწყეს შეტევა.

ეს ამბავი თბილისის კედლებთან 627 წლის ზაფხულში მოხდა. თბილისის ბიზანტიის იმპერატორის ჰერაკლეს (610-

641) და მისი ახალი მოკავშირისა — თურქთა დასავლეთი კავანატის ლაშქარი უტევდა — იმ წელს, ორთვიანი ალყის მიუხედავად, მომხდურებმა თბილისის აღება ვერ შეძლეს. თბილისს გაეცალნენ და დატყვეს, მომავალ წელს, — ცხელი თვეების გასვლის შემდეგ — ისევ მოსულიყვნენ და კვლავ ერთად ეცადათ ქალაქის აღება.

რატომ გაეცალნენ ბიზანტიის იმპერატორი და მისი თურქი მოკავშირეები 627 წლის შემოდგომის დამდეგს თბილისის კედლებს?

მას შემდეგ, რაც 602 წლის 23 ნოემბერს ჯარისკაცმა ფოკამ ირანის შაჰის ზოსრო II ფარეზის (591-628) სიმამრი იმპერატორი მავრიკიოსი მოკლა და ტახტზე ავიდა, ბიზანტიასა და ირანს შორის არსებული მეგობრული ურთიერთობა მტრობით შეიცვალა. ზოსრო II-მ „იწყო ძებნად სისხლისა სიმამრისა“ და ბიზანტიის წინააღმდეგ ომი დაიწყო. ჩქარა დიდ წარმატებასაც მიაღწია. მდგომარეობის გამოსწორება ფოკას მაგიერ 610 წელს იმპერიის ტახტზე ასულმა ჰერაკლემაც ვერ შეძლო. 610-611 წელს ზოსრო II-ის სარდლებმა დაიპყრეს ბიზანტიის იმპერიის კუთვნილი სირია, ფინიკია, პალესტინა, სომ-

ხეთი. მცირეაზიული პროვინციები: კაპადოკია, გალატია, პაფლაგონია და ქალკედონამდე მიაღწიეს. 613 წელს აიღეს დამასკო, 614 წელს იერუსალიმი (ეს ქალაქი დაანგრიეს და გაიტაცეს „ძელი ცხოვრებისა“), 619 წელს დაიპყრეს პურით მდიდარი ეგვიპტე.

მაშინდელი ბიზანტიის იმპერიის რუკას რომ თვალი გადავაგლოთ, ადვილად მივხვდებით, დასახლებული ტერიტორიებია დაკარგვით იმპერია როგორ ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა. სასოწარკვეთილი იმპერატორი პერაკლე ერთხანს, თუქრობდა დედაქალაქი ჩრდ. აფრიკაში — კართაგენში გადაეტანა. განსაკუთრებით, რომელიც უკვე იმპერიის არსებობას ემუქრებოდა. მმართველი ზედაფენა აიძულა იმპერატორს მხარში ამოდგომოდა. დაიწყეს მზადება ირანის წინააღმდეგ საომრად, და ბოლოს, პერაკლემ 622 წელს შექლო ხოსრო II-ის მიერ დაპყრობილი იმპერიის მიწების დასაბრუნებლად ლაშქრობა მოეწყო. მეგრამ ეს ლაშქრობა ბიზანტიისათვის წარუმატებელი აღმოჩნდა. მოკავშირე ეგრისელებმა, აბაზგებმა, ზოგიერთი ცნობით იბერებმაც პერაკლე კრიტიკულ ვითარებაში მიატოვეს. იმპერატორი იძულებული შეიქმნა მარცხს დროებით შერიგებოდა.

ირანის წინააღმდეგ 622-624 წლების მარცხიანმა კამპანიამ პერაკლე დაარწმუნა, რომ ამიერკავკასიის ქრისტიანი ხალხების მხარდაჭერით ირანის დამარცხება შეუძლებელი იყო. გადაწყვიტა უფრო ძლიერი მოკავშირე მოენახა. განცდილი მარცხის შემდეგ, პერაკლე ლაშქრით მცირე აზიაში დაბრუნდა და მდ. პალისის (ახლანდ. ყიზილ-ირმაქი, თურქეთში) პირას დაბანაკდა. აქ განაგრძო ომისათვის მზადება. მას შემდეგ კი რაც კონსტანტინოპოლის დამცველებმა 626 წლის ზაფხულში ირანელთა და ავართა თავდასხმა მოიგერიეს, პერაკლემ „ერთი თავისი დიდებულთაგანი, კვიანის და განსწავლული კაცი, სახელად ანდრე... გაგზავნა პონებთან..

ოქროსმოყვარე და გრძელთმიანი... თან. მათ „პირდებოდა ურიცხვსა და უთვალავ განძეულობას თუ დაეხმარებოდნენ დიდ შურისძიებაში“ (9:72).

ვინ იყვნენ „ოქროსმოყვარე და გრძელთმიანი ხალხი“?

ქართულ ისტორიოგრაფიაში პერაკლეს მოკავშირეებად ხაზარებზე იყო მიჩნეული. 1977 წელს გამოქვეყნებულ გამოკვლევაში, ეფიქრობ, დამაჯერებლად ვაჩვენე პერაკლეს მოკავშირე თურქთა დასავლეთი კავანატი რომ იყო, ხოლო ხაზარებს 627 წლისათვის ჯერ კიდევ არ ჰქონდათ შექმნილი სახელმწიფო (დაწერილებით იხ. 3). იმ ხანად მათი ძირითადი მასა ჯერ კიდევ შუა აზიაში მომთაბარებოდა — ესენი იყვნენ თურქთა დას. კავანატში შემაჯავლი დულუს ტომის თურქები და აღმ. ევროპაში მოსულთ ხაზარები ეწოდათ მათი ბელადის „ხაზარის“ სახელის მიხედვით.

ამრიგად, „ოქროსმოყვარე და გრძელთმიანი ხალხში“ თურქთა დასავლეთი კავანატის ლაშქარი იგულისხმება. თურქთა დასავლეთ კავანატთან იმპერიას კარგა ხნის მეგობრობა ჰქონდა, თურქთა დასავლეთი კავანატის მბრძანებლის რეზიდენცია ჩაჩში (დღევანდ. ტაშკენტის მახლობლად) მდებარეობდა (კავანთა საზაფხულო სამყოფელი იყო მდ. თალასის სამხრეთით — მინ ბულაკი — „ათასი წყარო“, ჩინური წყაროების „ციან-ციუანი“, რაც ასევე „ათას წყაროს“ ნიშნავს).

თურქთა დასავლეთი კავანის რეზიდენციაში ჩასულ ანდრეს ელჩობას ხელსაყრელი ვითარება დაუხვდა, რათა თურქები უახლოეს დროში ირანის წინააღმდეგ ლაშქრობაზე დაეყოლიებინა. ხელსაყრელი ვითარება შემდეგით იყო გამოწვეული. როგორც ჩინური წყაროებიდან ვგებულობთ, 625 წლის ზაფხულში თურქთა დასავლეთი კავანატის მბრძანებელს ტუნ შექუს ჩინეთის იმპერატორისათვის ასული უთხოვია საცოლედ. დიდებულებს იმპერატორი-

სათვის ურჩევით ქორწილზე დათანხმებულიყო. მათი აზრით, ასეთი საქორწინო კავშირი მათ ჩრდილოელ მეზობელს, თურქთა აღმოსავლეთი კავანატის მბრძანებელს, კატილ ხანს დააშინებდა. როცა კატილ ხანმა ამ მოლაპარაკების შესახებ გაიგო, იგი საქორწინო კავშირის წინააღმდეგ გამოვიდა. რადგან ასეთი საქორწინო კავშირი მის სამხრეთელ მეზობელს — ჩინეთსა და დასავლელ ნათესავებს — თურქთა დასავლეთ კავანატს გააძლიერებდა, ჩაშლილი ქორწილის გამო კავანი ტუნ შეჭეწეწხდა. იმის ფიქრში იყო სად მოენახა საცოლეთ. სწორედ ამ დროს, ჩავიდა მასთან პერაკლეს ელჩი ანდრე.

თურქებთან მიმავალმა ანდრემ, რა თქმა უნდა, არ იცოდა თურქთა მბრძანებელი რომ საცოლეს ეძებდა. მაგრამ იქ ჩასულმა, როცა შეიტყო ტუნ შეჭეწეს გასაჭირი და ალბათ ისიც იცოდა იმპერატორს ლამაზი ასული რომ ჰყავდა, ცხადია, მოლაპარაკებისას ტუნ შეჭეწეს საცოლეთზე იქნებოდა საუბარი (ასე რომ აკ ყოფილიყო, პერაკლე თბილისში თავისი ქალიშვილის სურათს არ მოიტანდა). საქმის ასე კეთილად შემობრუნებით გახარებული კავანი ბიზანტიელთა ელჩს ირანთან ერთობლივ ომზე დათანხმდა. მითუმეტეს ტუნ შეჭეწესათვის პერაკლესათვის სამხედრო დახმარების გაწევა დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა. ჩინური წყაროები მას ახასიათებენ, როგორც მამაც და შორსმჭვრეტელ პიროვნებას, რომელსაც 100 ათასი მშვილდოსნის გამოყვანა შეეძლო. ტუნ შეჭეწეს უზარმაზარ სამფლობელოში მომთაბარე მუომარი ტომებისათვის ყოველი ახალი ლაშქრობა ზომიარცვა-გლეჯით გამდიდრების ძირითადი საშუალება იყო.

თავისთავად იგულისხმება, რომ მოკავშირეებს უშუალოდ ირანის წინააღმდეგ უნდა გაელაშქრათ. ბიზანტიის სამხედრო ძალები ირანს თუ მესოპოტამიიდან შეუტევენ, თურქები შუა აზიიდან აღმოსავლეთ ირანის პროვინცი-

ებში უნდა შეჭრილიყვნენ. მაგრამ ეს ასე არ მოხდა. საქმე ის იყო, რომ ბიზანტიისა და თურქთა დასავლეთი კავანატის სამხედრო კავშირი ირანის წინააღმდეგ ეკონომიკური (აბრეშუმით ვაჭრობა) და სამხედრო მეტოქეობაზე აღმოცენებულ ინტერესთა ერთობაზე იყო დაფუძნებული.

თურქთა მიერ შუა აზიის ოლქების დაპყრობის შედეგად, უძველესი დროიდან ამ რეგიონებზე გამავალი სავაჭრო-საქარაგნო გზა თურქთა ხელში მოექცა. აბრეშუმის დიდი სავაჭრო გზა ჩინეთიდან შუა აზიაზე, იქიდან ჩრდ. ირანზე გადიოდა. ირანი უწევდა კონტროლს მათ ქვეყანაში შეტანილ აბრეშუმს. ირანის ხელისუფლება ყოველნაირად ცდილობდა შეეზღუდა ბიზანტიაში გასატანი აბრეშუმის რაოდენობა, გაეზარდა ფასები აბრეშუმზე, მეტი მოგება თვითონ დარჩენოდა. ამით ბიზანტია ეკონომიკურად დაესუსტებინა. წაერთმია ომის დროს ევროპაში ჯარის დაქირავების საშუალება. მაგრამ ირანში შეტანილი ხაში აბრეშუმის მთლიანად შესყიდვა ირანელ ვაჭრებს არ შეეძლოთ. ამიტომ იძულებულნი იყვნენ, აბრეშუმის ნედლეული ნაწილობრივ ბიზანტიისაკენ გაეშვათ.

შუა აზიაში თურქთა მიერ ახლად დაპყრობილი ოლქებიდან ეკონომიკურად და კულტურულად ყველაზე დაწინაურებული აბრეშუმის მწარმოებელი ფერღანა და სოლდიანა იყო. ვაჭრობიდან და აბრეშუმიდან ამ მხარეთა უბრალო მოსახლეობასაც კი მნიშვნელოვანი შემოსავალი ჰქონდა. ამიტომ შემთხვევითი არ იყო, საქარაგნო გზის ბატონები — თურქთა დასავლეთი კავანატის მბრძანებლები თვითონაც რომ იწყებდნენ სავაჭრო ოპერაციებში მონაწილეობას. გაბატონებულ სამხედრო არისტოკრატისა და დამორჩილებულ სავაჭრო ზედაფენას შორის ისეთი მჭიდრო კონტაქტი დაყარდა, რომ ვაჭრობა და სავაჭრო გზები თურქთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის ქვეყნთხედი გახდა.



კაგანატის ვაჭრული ზედაფენა განსახლურავდა მათ ბატონთა საგარეო პოლიტიკას და ხშირად ბატონები იქ იწყებდნენ ომს, სადაც ომი მათ სავაჭრო ოპერაციებს არ ავნებდა. სოლდიელ ვაჭრებს მხოლოდ სავაჭრო მოგება აინტერესებდათ. მათ სულაც არ აშფოთებდათ, თავიანთი ბატონებისადმი შტრულად განწყობილ სახელმწიფოს — ირანს რომ ამდიდრებდნენ. თუმცა, ირანის წინააღმდეგ ომის დაწყებამდე კარგა ხნით ადრე, კასპიის ზღვის ჩრდილოეთიდან შემოვლით, შემდეგ კი სვანეთში გადასული ზეკარით სოლდიელმა ვაჭრებმა დაიწყეს აბრეშუმის გატანა ბიზანტიისაში. მაგრამ ეს გზა მოუხერხებელი იყო. უფრო ადვილად სავალი დარუბანდისა და დარიალის ზეკარებით კი გზა ირანის ქვეშევრდომ ალბანეთსა და ქართლში გადადიოდა. სოლდიელ ვაჭრებს, რომ დარუბანდისა და დარიალის ზეკარებით ესარგებლათ, საჭირო იყო ირანი ალბანეთიდან და ქართლიდან განედევნათ. ამიერკავკასიაში ომი ამიტომაც აწყობდათ სოლდიელ ვაჭრებს. მათი აზრით ასეთ სამხედრო ოპერაციას ირანი მაინცდამაინც არ უნდა გაელიზინებინა.

ამრიგად, სოლდიელმა ვაჭრებმა უშუალოდ ირანთან ომის დაწყება ვერ გაბედეს. მათ კარგად იცოდნენ, ირანთან ომში გამარჯვებუბს პერსპექტივა საეკვო რომ იყო. სავაჭრო ვარიეტებთან კი მოგება პირდაპირ მათ ჯიბეში მიდიოდა (4:158). ამიტომ ამჟობინებს ირანთან, ასე თუ ისე, მაინც კეთილშეზობლურ ურთიერთობაში დარჩენილიყვნენ, თავიანთი ვაჭრობის საქმე საეკვოად არ გაიხადეს. როგორც ლ. გუმილიოვი წერს, სოლდიელი ვაჭრები ურიგდებოდნენ რა თურქთა კაგანს ირანთან მომავალი ომის საქმეში, მათ აიძულებ იგი, ლაშქარი კასპიის ზღვის გადაღმა გადაესროლა და განადგურებისათვის ამიერკავკასიის ქვეყნები გაწირეს (4:159).

პერაკლე იძულებული იყო, თავის თურქ მოკავშირეებს თბილისთან შეხ-

ვედრაზე დათანხმებოდა. მკვეთრად იმედოვნებდა რომ არ გამოუწვევია, ეს კარგად ჩანს, იმ პასიურობით, რასაც იგი თბილისის აღების დროს იჩენდა. პერაკლეს ძირითადი ამოცანა, რა თქმა უნდა, თბილისის აღება არ იყო. მას ირანის დამარცხება აინტერესებდა. იმ ხანად ქართლი, მართალია, ირანის ქვეშევრდომი ქვეყანა იყო და თბილისის დამცველთა შორის ირანელებიც იყვნენ, მაგრამ თბილისის აღებით ირანის იმპერიას ბევრი არაფერი დააკლდებოდა. როგორც ქვემოთ ვნახავთ, პერაკლემ, მართლაც, მიატოვა ალყაშემორტყმული თბილისი და სალაშქროდ ირანისაკენ გაემართა.

როგორც VII ს. სოქები ისტორიკოსი მოვსეს კლანკატეცი წერს „ხოსროს ოცდამეჩვიდმეტე წლის დასაწყისში (ე. ი. 627 წ. დამდეგს. ვ. გ.) ჩრდილოეთის მეფემ (უნდა ვაგულისხმობ ტუნ შეჰუ. ვ. გ.) შეპირებული... ჯარი გაგზავნა. მხედართმთავრად დააყენა თავისი ძმისწული, რომელსაც სამთავროს პატივსაცემად შათს უწოდებდნენ“ (9:73). შათიმ „დალაშქრა აღვანეთის ქვეყნის ყველა საზღვარი და ატრპატაკანის ერთი ნაწილი“ (თან ხოსრო II-ს მუქარის წერილი გაუგზავნა). ამ ლაშქრობიდან შათიმ იმდენი ტყვე წაიყვანა და ნადავლი ჩაიტანა, რომ მისმა მამამ — ჯაბლუმ გადაწყვიტა მომავალ ლაშქრობაში თვითონაც მიეღო მონაწილეობა. ახალი ლაშქრობის შესახებ „ყველას აცნობა, ვინც მის ხელქვეით იმყოფებოდნენ... მთიელებსა და ბარელებს, ბინადარებს და მომთაბარეებს, ზღეასა თუ ზმელეთზე მცხოვრებთ, თმაგადაპარსულებსა და თმიანებს“ (9:68).

ასე შედგა თურქთა და მათ ხელქვეით გაერთიანებული ათეულობით მომთაბარე თუ ბინადარი ხალხისაგან დიდი არმია. 627 წლის ზაფხულში, ამჯერად უკვე „ჩრდილოეთის მეფის“ — ტუნ შეჰუს ძმის — ჯაბლუსა და „ჩრდილოეთის მეფის ძმისშვილის“ (ჯაბლუს ძის) — შათის სარდლობით პერაკლე-

სთან შეპირებისამებრ ისინი, როგორც იტყვა, თბილისს მოადგნენ.

თბილისის კედლებთან მოსულ მოკავშირეებს ქალაქი გამაგრებული დახვდათ. ქალაქზე შეტევის დაწყებამდე, როგორც ამ წერილის დასაწყისში ვწერდი, ჰერაკლემ და ჯაბლუმ ერთმანეთა მოიკითხეს და ერთერთს „მეფური საქმეები და საბოძერები მიაართვეს“. შემდეგ ჰერაკლემ თურქთა ჯარის სარდლები ღრეობაზე მიიწვია და აჩვენა თავისი ქალიშვილის — ევდოკიას გამოხატულება და უთხრა: „აი, ჩემი ქალიშვილი და რომელთა ავგუსტა“. სამაგიეროდ ჯაბლუმ ჰერაკლეს თავისი ძე შათი წარუდგინა. „თურქი, — წერს ნიკიფორე კონსტანტინოპოლელი, — სურათის სილამაზით აღფრთოვანებული და მისი სიყვარულით აღმოდებული უფრო მეტად მიემხრო კავშირს“.

ვისი საცოლე იყო ევდოკია, კავანტუნ შეჭვის, როგორც ამას ზემოთ ვწერდი, თუ ჯაბლუსი, როგორც ეს ნიკიფორეს ცნობიდან ივარაუდება?

ჰერაკლემ თავისი ასულის სურათი ჯაბლუს რომ უჩვენა, ვფიქრობ, ეს იმის მტკიცების საბაბს არ იძლევა, ევდოკია მაინცდამაინც ჯაბლუს (როგორც ამას ფიქრობენ: მ. არტამონოვი, ლ. გუმილიოვი, ა. ბოგვერაძე), წითუმეტეს შათის (ასე ფიქრობდა შ. მესხია, 6:16-17) საცოლედ მივიჩნით. ზემოთ ვნახეთ, 626 წელს საცოლეს თვით კავანი ტუნ შეჭვ ეძებდა და როგორც ვარაუდობენ, 626 წლის წინა ხანაში, იმ ელჩობას, რომელმაც ჩინეთის იმპერატორს ტუნ შეჭუსათვის საცოლე სთხოვა თუ, მართლაც, ჯაბლუ მეთაურობდა, მაშინ ადვილი ასახსნელია, ჰერაკლეს ლამაზი ასულის სურათის ხილვით ჯაბლუმ რატომ გაიხარა. 627 წლის შემოდგომაზე თბილისიდან უკან გაბრუნებულმა ჯაბლუმ, ალბათ, ევდოკიას სურათიც თან წაიღო, რათა თავისი უფროსი ძმისათვის ეჩვენებინა.

ახლა კვლავ თბილისის გარემოცვის ამბავს დაუბრუნდეთ.

თბილისის დაცვის გაძლიერებაზე ქართლის მაშინდელ სიუზერენს ხოსრო II-საც უზრუნვია. ქალაქის დამცველებს მან დამხმარე რაზმი — ათასამდე რჩეული მხედარი მიაშველა. თბილისის კედლებთან მდგარ მოკავშირეებს უზარმაზარი არმია ჰყავდათ. მათ შეტევებს ქალაქის დამცველები გამირულად იგერიებდნენ. ორთვიანი ალყის შემდეგ მოკავშირეებმა ქალაქზე შეტევა შეწყვიტეს. ჰერაკლე ირანისაკენ გაემართა, ჯაბლუ კი მომავალი წლის შემოდგომისათვის ისევ თბილისთან დაიბარა.

მოკავშირეთა შეტევას როგორ გაუძლო თბილისმა 627 წელს?

უნდა ვივარაუდოთ, რომ თურქების, განსაკუთრებით კი ბიზანტიის ლაშქრის შეტევა თბილისზე მაინცდამაინც იმტენსიური და თავგანწირული არ უნდა ყოფილიყო. როგორც ზემოთაც აღვნიშნე, თბილისის ალბა ჰერაკლეს არ აინტერესებდა, არ უნდოდა ძალები მისი ალებისათვის შეეღია. თურქებთან ერთად თბილისი რომ აეღო ხოლო ირანი დაუმარცხებელი დაეტოვებინა. ეს მას სულაც არ აძლევდა ხელს. მოსალოდნელი იყო თბილისის ალების შემდეგ თურქებს სამოკავშირეო ამოცანა შესრულებულად მიეჩნიათ. როცა ჰერაკლე თავისი ლაშქრობის ძირითად მიზანს განახორციელებდა ირანს დაუმარცხებდა და იერუსალიმიდან გატაცებული მაცხოვრის ძელს დაიბრუნებდა, მაშინ მას შეეძლო თურქებთან ერთად გულდამშვიდებულად ებრძოლა ირანის ამიერკავკასიული სამფლობელოების — ქართლისა და ალბანეთის დასამორჩილებლად.

ამრიგად, 627 წლის შემოდგომის დამდეგს ჰერაკლემ თბილისს ალყა მოხსნა და ჩქარი მარშით ირანისაკენ გაემართა. მაგრამ, ირანის შუაგულისაკენ მიმავალ ჰერაკლეს გზადაგზა თითქმის ყველა თურქი მოლაშქრე ჩამოცილდა. თურქი მოლაშქრეების ჩამოცილება ი. კულაიკოვსკიმ სიციხისა და მტრულ ქვეყა

ნაში ლაშქრობის მძიმე პირობებით ახსნა. მაგრამ, ასეთი ახსნა მთლად დამაჯერებელი არა ჩანს. ვფიქრობ, შუა აზიის გელეზზე მომთაბარე ხალხისათვის, სექტემბრის თვეში, ირანის ტერიტორიაზე სიარული მაინცდამაინც აუტანელი არ უნდა ყოფილიყო. თურქებმა მიერ ირანის წინააღმდეგ ლაშქრობისაგან თავის არიდება, თურქებთან მდიდარი ქვეშევრდომების, სოლდიერების ირანთან სავაჭრო პარტნიორობას უნდა განებრიობებინა. როგორც აღვნიშნე, თურქები არ იყვნენ დანტერესებულნი ირანში ლაშქრობით, ჯაბლუს უკან გაბრუნება ეჩქარებოდა, პერაკლეს კი ირანში ლაშქრობა. აღნიშნულით უნდა აიხსნას პერაკლემ თვით რომ შესთავაზა ჯაბლუს დაეტოვებინა თბილისი (9:71).

მოკავშირე თურქების ჩამოცილების მიუხედავად, პერაკლემ ლაშქრობა გააგრძელა და 627 წლის 12 დეკემბერს ქ. ნინევიის ნანგრევების ახლოს გადაწყვეტ ბრძოლაში ირანელები დაამარცხა. ამ გამარჯვების შემდეგ პერაკლე ირანის დედაქალაქ ქტეზიდონისაკენ გაემართა. ჩქარა მას გზა გადაუღობა ირანის არმიამ. პერაკლემ უკან დახევა გადაწყვიტა და განძაკისაკენ გაემართა. თითქოს უნდა განმეორებულიყო 624 წლის ამბავი, როცა ირანის სიღრმეში შეჭრილმა, ძლივს დააღწია თავი მტრის ალყას, მაგრამ ამჯერად მას ბედმა გაუღიმა. განძაკში მისულ იმპერატორს შეატყობინეს 29 თებერვალს ირანში მომხდარი ტახტის გადატრიალების ამბავი.

ირანის ტახტზე ასულმა ახალმა შაჰმა კავად-შიროემ პერაკლესთან დაუყოვნებლივ დაიწყო საზავო მოლაპარაკება. 628 წლის 3 აპრილს ზავი დაიდო (1:149). ლ. გუმელიძის თანახმად, რადგან პერაკლეს თურქი მოკავშირეები ზავის დადებაში არ მონაწილეობდნენ და პირიქით, ომს აგრძელებდნენ, ბიზანტიის მიერ ირანთან დადებული ზავი სეპარატული იყო. პერაკლე დგბდა რა ზავს ირანთან — დასძენს ლ. გუმელი-

ძვი, — იგი მხოლოდ იმ ხანად დაეშინებოდა, რომელი ვითარებით ხელმძღვანელობდა. აღნიშნულთან ერთად, პერაკლეს ალბათ არ სურდა დაუძღვრებული ირანის ნაცვლად თურქთა მრისხანე ძალა დამეზობლებოდა (4:195).

ზავით კავად-შიროემ იმპერიას ხოსრო II-ის მიერ დაპყრობილი ტერიტორიები დაუბრუნა. რის შედეგადაც, ორივე სახელმწიფო ხოსრო II-ისა და მავრიკიოსის დროინდელ (591 წლის) საზღვრებში აღდგა. დადებული ზავის შემდეგ პერაკლეს თითქოს ირანთან ომის გაგრძელების საბაზი აღარ ჰქონდა. მაგრამ ამ ზავმა ირანის ტერიტორიაზე გამავალი აბრეშუმის დიდი სავაჭრო გზის პრობლემა გადაუწყვეტელი დატოვა. აბრეშუმის დიდი სავაჭრო გზის მთავარი მაგისტრალი 591 წლის წინაც ირანისა იყო, ამიტომ, ზავის პირობები მას არ შეეხებოდა.

საკუთრივ ირანზე გამავალ აბრეშუმის დიდ გზაზე თურქთა და ბიზანტიელთა კონტროლის დამყარება იმ ხანად რადგან შეუძლებელი იყო, მოკავშირეები ჩრდ. კავკასიიდან ქართლსა და ალბანეთში გადმოშვალ დარიალისა და დარუბანდის გზებს მიიწე უნდა დაპატრონებოდნენ. 628 წლის 3 აპრილის ზავით დასახელებული ქვეყნები რადგან კვლავ ირანის ქვეშევრდომებად დარჩნენ, საჭირო იყო თბილისის ალემის შემდეგ ქართლსა და ალბანეთზე მოკავშირეთა ბატონობის დამყარება. რის შედეგადაც კავკასიის ყველა ზეკარი მოკავშირეთა ხელში იქნებოდა და აბრეშუმით ვაჭრობაში ირანის შუამავალი როლი გამოიირიცხებოდა.

ასე რომ, როგორც თურქების, ისე სოლდიერ და ბიზანტიელ ვაჭართა ინტერესებიდან გამომდინარე, თბილისის ასაღებად პერაკლეს ბრძოლა უნდა გაეგრძელებინა და მართლაც, 628 წლის «სხელი თვეების გასვლის შემდეგ» თურქთა ლაშქარი კვლავ თბილისის კედლებს მოადგა. მოვსეს კალანკატვაციის თანახმად «გამოვიდა გამანადგურებე-

ლი მხეცი თავისი სისხლისმსმელი ლეკვით, რომელსაც შათი ეწოდებოდა. მან თავისი სახე... ქალაქ ტფილისისაკენ მიმართა... ქალაქს ალყა შემოარტყა და ბრძოლა დაიწყო“. ორთვიანი ალყის შემდეგ „გამანადგურებელმა მხეცმა“ (როგორც მოვსესი ჯაბლუს უწოდებს) და მისმა ძემ „სისხლისმსმელმა ლეკვმა“ — შათიმ გადამწყვეტი შეტევა დაიწყო ქალაქის დამცველთა წინააღმდეგ. „ქალაქის უბედურ მცხოვრებლებს... ხელებში ღონე გამოელიათ და გალაგნიდან უკან დაიხიეს... მათ უკან [ოღნენ] შეუბრალელებელი მომკალნი, რომელთა ხელები სისხლის ნაკადებს აყენებდნენ, ფეხებით გვაძებს ქელავდნენ... როდესაც შეწყდა წუხილისა და გოდების ხმები და აღარც ერთი აკ და არცა ცოცხალი, მაშინ ისინიც მიხედნენ, რომ გამძლარიყვნენ მათი ხმლები“ (9:76-77).

როგორც ვნახეთ, მომხდურებმა თბილისი აიღეს და სასტიკად გაუსწორდნენ ქალაქის დამცველებსა და მოსახლეობას. განსაკუთრებული სიმკაცრით თბილისის დაცვის მეთაურები: ირანელი სარდალ და ქართლის ერისთავთმთავარი სტეფანოზ I დასაქვს (იხ. 2).

როგორ დგას თბილისის აღების საკითხი ქართულ ისტორიოგრაფიაში. ვის მიეწერება თბილისის აღება? ჩვენში არსებული მოსაზრებით თბილისი მხოლოდ ჯაბლუს ძემ — შათიმ აიღო. თბილისთან მყოფად ასახელებენ იმპერატორ პერაკლესაც.

მოსაზრება თბილისი თითქოს მხოლოდ შათის მიერ იქნა აღებული, ქართულ ისტორიოგრაფიაში ივ. ჯავახიშვილის ნაშრომზე დაყრდნობით დამკვიდრდა. „თბილისელებზე, — წერს იგი, — ჯავრი ჯიბლუს შვილმა შათიმ ამოიყარა“. შემდეგ იქვე დასძენს: „ქართულ და სომხურ ცნობათა უმთავრესი განსხვავება ის არის, რომ ქ. თბილისი „მოქცევი ქართლისაჲ“-თ ჯიბლუმ აიღო, მოსე კალანკატუელით კი მისმა შვილმა შათმა“. 1958

წელს, თბილისის ისტორიის კვლევითი ინსტიტუტის მისას შ. მესხიამ მოკავშირეთა მიერ „თბილისის ერთი ნაწილის“ აღება 626 წლით დაათარიღა (6:17). მომდევნო 627 წელს კი, მისი მტკიცებით, შათიმ კალა აიღო. შ. მესხიას თანახმად, კალას აღებისას იქვე იმყოფებოდა პერაკლე (6:18). სწორედ ივ. ჯავახიშვილისა და შ. მესხიას მოსაზრებებზე დაყრდნობით ეკამათებოდა ნ. ლომოური 1960 წელს კ. ტრევერს. ავტორი, — წერს ნ. ლომოური, — თბილისის აღებაზე საუბრისას არ ითვალისწინებს ქართველ ისტორიკოსთა შრომებს. რის შედეგადაც, თბილისის აღება 628 წლით დაათარიღა და ჯიბლუ ზაქანს მიაწერა. მაშინ როცა, ქართულ სპეციალურ ლიტერატურაში დადგენილია, რომ თბილისი აღებული იქნა 627 წელს ჯიბლუს ძის შათის მიერო (იხ. 5. ნიკოფორე კონსტანტინოპოლისის ცნობების ქართულად გადმოცემისას თბილისის აწლებად შათი მიიჩნია ალ. გამყრელიძემაც).

ამ ბოლო ხანს, თბილისის აღების თარიღად ზოგი ქართველი ავტორი რადგან სწორად მიუთითებს 628 წელს (8:29), დასახელებულ ავტორთა მიერ თბილისის აღების თარიღად მიჩნეული 627 წლის მცდარობაზე (ეს თარიღია მითითებული ქართ. საბჭ. ენციკლოპედიაშიც. იხ. სტ. თბილისი) აღარ შეკრებები. რაც შეეხება დასმულ საკითხს. მოვსეს კალანკატეციის თხზულებიდან შემომოტანილ ცნობაში განაშკარად არა ჩანს 628 წელს თბილისის კედლებთან ჯაბლუც რომ იყო?

კალანკატეციის ცნობებიდან გამომდინარე, პერაკლეს მოკავშირეობის დროს თურქებმა ამიერკავკასიაში სამჭერ ილაშქრეს. პირველად, როგორც ზემოთ ვნახეთ 627 წლის დამდეგს ამიერკავკასიაში თურქთა ლაშქარი შათის სარდლობით მოვიდა. 627 წლისვე ზაფხულში შათისთან ერთად მისი მამა — ჯაბლუც მოადგა თბილისის კედლებს. იმავე წლის შემოდგომის დამდეგს ჯაბლუც კვლავ გაბრუნდა უკან და პერაკ-

ლესთან შეთანხმებისამებრ ერთი წლის შემდეგ როცა 628 წლის „ცხელი თვეები“ გავიდა, ჯაბლუ თავის ძესთან — შათისთან ერთად გადმოვიდა. აი, როგორ აღწერს მათ მოსვლას კალანკატვაცი: „მოულოდნელად მეორედ დაუბერა ჩრდილოეთის ქარმა... გამოვიდა გამანადგურებელი მხეცი თავისი სისხლისმსმელი ლეკვით, რომელსაც შათი ეწოდებოდა“ (9:76).

„ჩრდილოეთის ქარის მეორედ დაბერვაში“ კალანკატვაცი, რა თქმა უნდა, ჯაბლუს მეთაურობით თბილისთან თურქთა მეორედ მოსვლას გულისხმობს, ხოლო „გამანადგურებელი მხეცი“ საეკვო არაა თვით ჯაბლუ რომაა. 628 წელს ჯაბლუც რომ იყო გადმოსული ამიერკავკასიაში, ეს კალანკატვაციის სხვა ცნობითაც დასტურდება.

627 წელს, როცა მოკავშირეებმა თბილისი ვერ აიღეს, გათამამებულმა დამცველებმა გოგრაზე ჯაბლუს სახე გამოხატეს. 628 წელს კი, როცა ჯაბლუმ თბილისის დედა ციხე — კალა აილო, მის წინაშე ქალაქის დამცველთაგან ორი ტყვე წარადგინეს, „მან (ე. ი. ჯაბლუმ. ვ. გ.) ბრძანა მათთვის თვალები დაეთხარათ, იმის სამაგიეროდ, რომ შეურაცხყოფის მიზნით მისი სახე სურათზე ბრმა დაბატეს“. კალანკატვაციისავე ცნობით, როცა მან (ჯაბლუმ. ვ. გ.) „თავისი სურვილი შეისრულა... თვითონ განძითურთ თავის მხარეში დაბრუნდა... ჯარი თავის შვილს შათის დაუტოვა, დამრიგებლებად მამაცი კაცები [დაუყენა]“ (9:77).

ზემომოტანილი მასალის შემდეგ, ვფიქრობ, საეკვო აღარ უნდა იყოს, მოვსეს კალანკატვაციის ცნობებიდან გამომდინარე 628 წელს თურქთა ლაშქარმა თბილისი ჯაბლუსი და შათის სარდლობით რომ აიღო. თბილისის ამღებად ჯაბლუს ასახელებს ჟუანშერი და „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ავტორი.

ამრიგად, 628 წელს თბილისი ჯაბლუმ და მისმა ძემ შათიმ აიღო. მეორე

მხრივ, თავისთავად იგულისხმება, როგორც თურქთა მოკავშირეს, თბილისის აღებაში მონაწილეობა უნდა მიეღო და ეს ასეცაა გააზრებული ქართულ ისტორიოგრაფიაში, როგორც ვნახეთ, შ. მესხია თბილისის ამღებად სწორედ ბიზანტიის იმპერატორს — ჰერაკლეს თვლიდა (6:17). ასევე, 628 წელს თბილისის აღებისას ჰერაკლეს თბილისთან ყოფნა იგულისხმება უახლეს სამეცნიერო ლიტერატურაში (იხ. საქართველოს ისტ. ნარკვევები, ტ. II, გვ. 282 და ამავე გამოცემის რუსული ვარიანტი, გვ. 170; შდრ., 8:29; 7:57). მაგრამ ის ძველი ქართველი და უცხოენოვანი ავტორები, რომლებიც 628 წელს თბილისის აღების ამბავს მოგვითხრობენ, თბილისის აღებისას ჰერაკლეს თბილისში კი არა, თბილისიდან აღმოსავლეთით, გარდაბნის პროვინციაში ყოფნაზე მიუთითებენ. ზემოთქმულის სისწორეში რომ დაერწმუნდეთ კვლავ წყაროთა მონაცემებს გადავხედოთ.

მოვსეს კალანკატვაცი ისე გადმოგვცემს 628 წელს ჯაბლუსა და შათის მიერ თბილისის აღების, გაძარცვისა და მის დამცველთა დასჯის ამბავს, რომ ჰერაკლეს არ იხსენიებს (6:76-77). ჟუანშერის ცნობით კი, როცა ჯაბლუმ თბილისის დედაციხე — კალა აილო, ტყვედ ჩაეარდნილ ციხისთავს „ტყავი ვახადა“, „ვახდილი ტყავი“ იმპერატორს „უკანა მისწია გარდაბანს“. ასეთივე ცნობაა „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მართანეში — „მერმე მრთელსა ტყავი ვახადა და მეფესა უკანა მისწია გარდაბანს ვარაზ გრიგოლისსა შინა“, სუმბატ დავითის ძის ცნობითაც, გარდაბანში მყოფმა ჰერაკლემ მხოლოდ მრავალი ღონისძიების გატარების შემდეგ შეიტყო „ჯაბლუმ... კალა და ციხე იგი ტფილისისა“ რომ „წარიღო“.

სუმბატ დავითის ძის ცნობა, ჰერაკლეს გარდაბანში ყოფნის შესახებ სწორედ 628 წლის შემოდგომას რომ ეკუ-

თენის, ეს შემდეგიდანაც ჩანს. როგორც კლანკატეაცი გადმოგვეცემს, ტახტზე ასვლისთანავე კავად-შიროეს ბრძანებით „გაანთავისუფლეს პატიმრები“. ამ პატიმართა შორის იყო 25 წლის მანძილზე ირანის შაჰის ხოსრო II-ის კარზე ტყვედ მყოფი, ალბანეთის „დიდი სამთავროს კათალიკოსი სახელად ვირო“ (9:75). ვირო დაბრუნდა სამშობლოში და ამის შემდეგ მონათლა „ალბანეთის პირველი იშხანი“ ვარაზ გრიგორი (9:88). ახლა იმასაც თუ გავისვენებთ, სუმატ დავითის ძის თანახმად, გარდაბანს მყოფმა ჰერაკლემ ნათელი რომ სცა „ვარაზ გრიგოლსა და ყოველსა ერსა მისსა“, ეკვი არ შეგვეპარება ორივე ცნობაში ალბანეთის კათალიკოსის ვიროს მიერ ვარაზ გრიგოლის მონათვლა რომ იგულისხმება.

ვარაზ გრიგოლი ვიროს მხოლოდ 628 წლის გაზაფხულის შემდეგ შეიძლება მოენათლა, როცა იგი ირანიდან ალბანეთში დაბრუნდა.

ასე რომ ჯაბლუსა და შათის მიერ 628 წელს თბილისის აღებისას, წყაროთა ერთობლივი მონაცემებით, ჰერაკლე გარდაბანში იმყოფებოდა, იქიდან ადევნებდა თვალს თავისი მოკავშირის ბრძოლას თბილისისათვის.

იმის ვასარკვევად თუ რატომ არ მონაწილეობდა ჰერაკლე თბილისის აღებაში და რატომ იმყოფებოდა გარდაბანში, 628 წლის ბიზანტია-ირანის ზავის პირობებს უნდა გადავხედოთ. ზემოთ, როცა ჰერაკლესა და კავად-შიროეს შორის ზავის დადებაზე ესაუბრობდი, მიუთითე, რომ ზავი სეპარატული იყო. რის გამოც, ჰერაკლეს მოკავშირენი ირანის წინააღმდეგ (ფაქტობრივად თბილისის ასაღებად) ომს აგრძელებდნენ. მეორე მხრივ, ზავის პირობებიდან გამომდინარე, ქართლი რადგან კვლავ ირანის ქვეშევრდომ ქვეყნად დარჩა, ამიტომ ჰერაკლეს ირანის ქვეშევრდომი ქართლის დედაქალაქის ასაღებად წარმოებულ ბრძოლაში მონაწილეობა აღარ უნდა მიეღო. მისი თბი-

ლისთან მოხვლა, რა თქმა უნდა, ზავის დარღვევა იქნებოდა, მაგრამ... როგორც იყო იგი თბილისის მახლობლად გარდაბანში?

დასმულ კითხვაზე რომ ნათელი წარმოდგენა შეგვექმნას ბიზანტია-ირანის ურთიერთობის 591 წლის წინა დროის ისტორია უნდა გავითვალისწინოთ.

589 წელს ჰერათის ბრძოლაში თურქებზე ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ, ირანის შაჰის პორმიზდ IV-ის ცნობილი სარდალი ბაჰრამ ჩუბინი „გააღვა სპარსთა მეფესა“ და თავი ირანის შაჰად გამოაცხადა. ამით ისარგებლეს შაჰის მმართველობით უკმაყოფილო დიდებულებმა, პორმიზდ IV ტახტიდან გადააყენეს... ტახტზე მისი ძე ხოსრო (გამეფების შემდეგ ხოსრო II ფარვიზი) დასვეს. ახალგაზრდა შაჰი ვერ გაუმკლავდა ძლევაშობილ სარდალს, დახმარების საძებნელად ბიზანტიაში გაიქცა და იმპერატორ მავრიკოსის შემწეობით ტახტი დაიბრუნა. ბიზანტიასა და ირანს შორის მანამდე არსებული მტრობა მეგობრობით შეიცვალა. ამ დახმარების სანაცვლოდ, სომეხი ისტორიკოსის სეპეოსის ცნობით, 591 წელს ხოსრო II-მ მავრიკოსის თავისი სამეფოს სხვა ტერიტორიებთან ერთად გადასცა „უდიდესი ნაწილი ქართლის ქვეყნისა ქალაქ ტფილისამდე“ (11:43).

ასე მიიღო ბიზანტიამ ირანისაგან 591 წელს თბილისის მომიჯნავე ქართლის ნაწილი. მართალია, 602 წლის 23 აპრილს ფოკას მიერ იმპერატორ მავრიკოსის მოკვლის შემდეგ, როცა ხოსრომ მავრიკოსის სისხლის საძიებლად ბიზანტიასთან ომი დაიწყო, ბიზანტიამ სხვა ტერიტორიებთან ერთად „ქართლის დიდი ნაწილი ტფილისამდე“-ც დაკარგა. მაგრამ 628 წლის 3 აპრილის ზავით, ორივე ქვეყანა რადგან 591 წლის საზღვრებში აღდგა, თბილისი ისევ ირანელთა ხელში დარჩა. „უდიდესი ნაწილი ქართლის ქვეყნისა ქალაქ ტფილისამდე“ კი კვლავ ბიზანტიას დაუბრუნ-



ნდა, იმ, რატომ იყო 628 წლის შემოდგომაზე პერაქლე გარდაბანში და იქ რატომ ელოდა თურქთაგან თბილისის აღებას. პერაქლემ გარდაბანში ყოფნით 628 წელს კავად-შიროესთან დადებული ზავის პირობები დაიცვა. 628 წლის შემოდგომაზე ამიერკავკასიაში შემოსული პერაქლე ქართლის იმ ნაწილში რომ არ გაჩერებულყო, რომელიც 591 წელს მავრიკოსმა ხოსრო II-საგან მიიღო და თბილისთან მოაულიყო, ამით იურიდიულად ზავის პირობები დაირღვეოდა.

ახლა რაც შეეხება გარდაბანის მდებარეობას. გარდაბანი ძველი ქართლის სამეფოს სამხრეთ-აღმოსავლეთი განაპირა პროვინცია იყო ცენტრით ზუნანში. მოიცავდა ახლანდელი აზერბაიჯანის სამხრეთ-დასავლეთ მხარეს, მდინარეების: ძეგამჩაის, თაუზჩაისა და აღსთაფაჩაის აუზებს. ისტორიულ წყაროებში ქართული გარდაბანი ემთხვევა ალბანეთის გარდმანის დასახლებას. ქართული და ალბანური პროვინციების სახელწოდებათა საერთო წარმოშობა უეჭველია და მოწმობს, გარკვეულ პერიოდში მათ პოლიტიკურ, შესაძლებელია ეთნიკურ ერთობას (იხ. ქსე, ტ. 2,

სტ-ები გარდაბანი და გარდაბანი (მ. მუსხელიშვილი).

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ შეიძლება დავასკვნათ: 628 წელს თბილისი მხოლოდ ბიზანტიის იმპერატორის — პერაქლეს მოკავშირეთა, თურქთა დასავლეთი კავანატის სარდლების ჯაბლუსა და მისი ძის — შათის მიერ იქნა აღებული. თვით პერაქლეს 628 წლის შემოდგომაზე თბილისის ასაღებად გამართულ ბრძოლაში მონაწილეობა არ მიუღია. იგი ამ დროს იმპერიის კუთვნილ ქართლის ნაწილში — გარდაბანში იმყოფებოდა და იქიდან ადევნებდა თვალს თბილისისათვის ბრძოლას. გარდაბანში ყოფნით, პერაქლემ 628 წლის 3 აპრილს ირანის შაჰთან კავად-შიროესთან დადებული ზავის პირობები დაიცვა. თურქთა მიერ თბილისის აღების შემდეგ, როცა მოკავშირეებმა ამიერკავკასიაში დაპყრობილი ტერიტორიები გაინაწილეს, ირანის კუთვნილი ქართლის ნაწილი პერაქლემ თურქთაგან მიიღო. ასე გადავიდა მთელი ქართლი ბიზანტიის მფლობელობაში. თუმცა მცირე ხნით, 642/643 წლებში ქართლს არაბები მოადგნენ. ქართლში „არაბობა“ დაიწყო.

გამოყენებული ლიტერატურა

1. არტამონოვი მ., ზაზართა ისტორია, ლენინგრადი, 1962 (რუს ენაზე).
2. გვილაძე ვ., ქართლის ერისთავთა-მთავარსტეფანოზ I, „მნათობი“, 1992, № 2.
3. გვილაძე ვ., ქვანუგის თხზულებაში მოხსენიებული „თურქთა მეფე ხაბა“ და „ჩიბლა ერისთავი“, „მაცნე“ ისტორიის... ხეობა, 1977, № 2.
4. გუმბელიოვი ლ., ძველი თურქები, მოსკოვი, 1967.
5. „ვესტნიკ დრევენეი ისტორია“, 1960 № 3 (6. ლომოურის რეცენზია კ. ტრევერის მონოგრაფიაზე — „ნარკვევები“ ქვ. წ. IV — აბ. წ.

- VII ს. ალბანეთის ისტორიისა და კულტურის ისტორიიდან), რუს. ენაზე.
6. თბილისის ისტორია, თბ., 1958.
7. თბილისის ისტორია, ტ. I, თბ., 1990.
8. ლორთქიფანიძე მ., თბილისი (IV-XII ს. დამდეგი), თბ., 1991 (რუს. ენაზე).
9. შოვსეს კალანკატუაცი, ალანთა ქვეყნის ისტორია, ძველი სომხურიდან თარგმნა ლ. დავლიანიძე-ტატიშვილმა, თბ., 1985.
10. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, თბ., 1973.
11. „სტეფანოს ტარონელის მსოფლიო ისტორია“... სომხურიდან რუსულად თარგმნა ი. ემი-58ა, მოსკოვი, 1864 (რუს ენაზე).

რამდენიმე საკითხი მესხეთის ქართულ კათოლიკეთს ისტორიიდან

„მაგრამ რა ვქნა თუ მოყვასი მტრულად კარზე მომდგომია... ამბობს: „ჩემი ხომ ჩემია?! რაც შენია სულ ჩემია?!“

აკაკი

ამ რამდენიმე წლის წინ სამცხე-ჯავახეთში საქართველოს სხვა კუთხებიდან შესვლა არც ისე ადვილი იყო. აწყურში მდგომი საბჭოთა ჯარი მკაცრად აკონტროლებდა, რომ სავანებო სამეის ან ადგილობრივი ჩაწერის გარეშე იქ არავინ შესულიყო. ამ დაბრკოლების გამო მესხეთში ბევრი ქართველი ნამყოფიც არ იყო, ამიტომაც იქაურ მაცხოვრებელთა ზნე-ჩვეულებებსა და ცხოვრების წესზე უამრავი ჭორ-მართლის მოსმენა შეიძლებოდა, მაგალითად გაიკონებდით თითქოს ახალციხის მხარეში ქართულად მოლაპარაკე ფრანგები ცხოვრობდნენ. მხოლოდ ვიწრო წრეებში იცოდნენ, რომ ესენი იყვნენ ქართველი კათოლიკეები, რომლებიც კათოლიკური მრწამსის გამო თავს მართლაც ფრანგებს უწოდებენ. ბევრმა დღესაც არ იცის რაოდენ დიდი ტანჯვა-წამება გამოიარა ამ კონფესიურმა ჯგუფმა, რათა ქრისტიანობა და ქართველობა შეენარჩუნებინა.

მე-19 საუკუნეში სომეხი და რუსი მეცნიერები დაჯინებით ცდილობდნენ დამტკიცებინათ, რომ ცნება ქართველი კათოლიკე საერთოდ არ არსებობდა და ყველა ქართველ კათოლიკეს სომხად მიიჩნევდნენ. სწორედ ამის გამოა, რომ გასული საუკუნის რუსულენოვან სამეცნიერო ლიტერატურაში ქართველი კათოლიკე თითქმის არ შეგხვდებათ. ასეთმა მიდგომამ ერთგვარი სტიმულიც კი მი-

სცა მესხეთის ქართველ კათოლიკეთს წრიდან გამოსული ინტელიგენციის დაინტერესებას საქართველოში კათოლიკური ქრისტიანობის ისტორიით. ისინი მეცნიერულად არგუმენტირებული დებულებებით დაუპირისპირდნენ ზემოთ ნახსენებ სომხურ თეორიას. ამასთან მათ ერთი საინტერესო შტრიხიც შენიშნეს: „მრავალი ხალხია კათოლიკე და ყველა თავის გვარტომობის პატივისმცემელი არიან, მხოლოდ ეგრეთ მოძალეობა მართო სომხებაშია, რომ ყველა ვინც სომხის ტიპიკონში იპოვეს — ასირიელი, ქურთი, ბერძენი, ქართველი თუ თარაქამა ყველას ასომხებენ“ — წერდა „ვინმე მესხი“ (ივანე გვარამაძე).¹

სამცხე-ჯავახეთში მსგავს პროცესებს ხელს ისიც უწყობდა, რომ რუსეთ-თურქეთის 1828-1829 წწ. ომის შემდეგ დადებული ადრიანოპოლის საზავო ხელშეკრულების ძალით, რუსეთის იმპერიულმა მმართველობამ თურქეთიდან აქ 30 ათასამდე სომეხი ჩამოასახლა, რომელთა ერთი ნაწილი კათოლიკეებიც იყვნენ. ამის შემდეგ მესხეთის კათოლიკე ქართველთა სომხებისათვის მიწერა შედარებით ადვილი ჩანდა და ხელს შეუწყობდა მოსახლეობის ზეადრითი წილის მათ სასარგებლოდ შეცვლას.

უძველესი ქართული მხარე მესხეთი, რომლის მხოლოდ მცირე ნაწილია დღეს საქართველოს სახელმწიფოს შემადგე-

ნლობაში, მრავალი ისტორიული კატაკლიზმის მომსწრეა. განსაკუთრებული დავა მის ბედს თურქთა ორსაუკუნოვანმა ბატონობამ დაასვა. საუკუნეების განმავლობაში ამ კუთხიდან თავანკარა ქართული კულტურა საქართველოს სხვა მხარეებში მიედინებოდა. იქ სადაც ქართველ კაცს უშენებია ვარძია და საფარა, ზარზმა და ოშკი, სადაც მუხლჩაუხრეულად იღწოდა ქართველთა შორის ქრისტიანობის განმტკიცებისათვის წმინდა გრიგოლ ხანძთელი, საიდანაც მთლად საქართველოს გადაწვდა ბაგრატიონთა მრავალსაუკუნოვანი მეფობა, მე-17 საუკუნიდან ოსმალთა ბატონობას დაექვემდებარა. პირველ რიგში საფრთხე დაემუქრა „ქართველობას“, რაც მაშინ ქრისტიანული (მართლმადიდებლური) კულტურის მატარებლობად აღიქმებოდა. გადასხვარჯულების მაგალითის უბრალო ხალხს ხშირად მთავარ-დიდებულები აძლევდნენ, რომლებიც მუსულმანობას ებულობდნენ თურქთა მიერ მინიჭებული პრივილეგიების გამო. ოსმალეთის ხელისუფლების წარმომადგენლები ამკარად თუ შეფარვით დევნიდნენ ქართულ ქრისტიანობას და ცდილობდნენ მისი ადგილი მაჰმადიანურ-სუნიტური რელიგიისათვის დაესაკუთრებინათ. მეტად შეიზღუდა დედასამშობლოს მოწყვეტილი ქართული ეკლესიის უფლებები. ასეთ პირობებში მრავალი მართლმადიდებელი ქრისტიანი სარწმუნოების შენარჩუნების მიზნით ცდილობდა შედარებით პრივილეგირებულ მდგომარეობაში მყოფი სხვა ქრისტიანული მიმდინარეობის ეკლესიებისათვის შეეფარებინა თავი. ასეთებად კი ოსმალეთის იმპერიაში ითვლებოდა სომხური გრიგორიანული და კათოლიკური, აგრეთვე ბერძნული მართლმადიდებლური ეკლესია. სხვებთან შედარებით უპირატესობას ქართველები როგორც ჩანს კათოლიკობას აძლევენ და მაშინ ბევრი ქართველი მართლმადიდებელი გადავიდა ამ მრწამსზე.

ჩვენში ევროპელი მისიონერები ჯერ კიდევ მე-13 საუკუნის პირველ ნახევარში

გამოჩნდნენ, ისინი ფრანკების ეკლესიის ორდენს ეკუთვნოდნენ. *ნიკელნიქოსი*

მე-13-14 საუკუნეებში ჩვენ ქვეყანაში მოღვაწეობდნენ ფრანკისკანელი და ღმინიკანელი მისიონერები. ისინი კათოლიკობის ქადაგების გარდა მოსახლეობის სამედიცინო დახმარებას ეწეოდნენ და ფრიად განსწავლულ მკურნალებად ითვლებოდნენ. ამ ორდენთა წევრები კარგად ფლობდნენ მეცნიერების სხვადასხვა დარგებს და განმანათლებლობასაც მიხედვდნენ. ამის გამო საკმაო პოპულარობით სარგებლობდნენ და კათოლიკური ეკლესიის მრევლიც იმდენად მომრავლდა, რომ რომმა საკითხი დასვა სმირნის საეპისკოპოსოს თბილისში გაღმობის შესახებ, მით უფრო რომ მაშინ სმირნის კათოლიკური საეპისკოპოსო ძლიერ შევიწროებას განიცდიდა მოძღვარებული თურქ-ოსმალეებისაგან. მართლაც 1329 წლიდან თბილისში დაარსდა კათოლიკური საეპისკოპოსო, ეპისკოპოსად დანიშნული იოანე ფლორენციელი კარგად იცნობდა ჩვენი ქვეყნის პირობებსა და ზნე-ჩვეულებებს.² ამასთანავე როგორც ჩანს ღვთისმსახურება ლათინურ-ქართულად სრულდებოდა, რადგანაც პაპის ბულა ეპისკოპოსს ავალდებულებდა ლათინური მოძღვრების ქართულად გაღმობას.³

1453 წელს თურქ-ოსმალებმა კონსტანტინოპოლი აიღეს, დაეცა ბიზანტიის იმპერია, საქართველოსა და ევროპას შორის ოსმალეთის მაჰმადიანური სახელმწიფო ჩადგა, იგი თავად ისწრაფოდა ამიერკავკასიის დაპყრობას და ქართულ სამეფო-სამთავროებს ევროპისაკენ გზას უღობავდა. ამ პირობებში ვაჭარდა საქართველოში დაარსებული კათოლიკური საეპისკოპოსოს რომთან ურთიერთობა და მისი თანდათანობით დაკნინება დაიწყო. ქართველი მეფე-მთავრები კარგად გრძნობდნენ კარს მომდგარ საფრთხეს და ერთხანს უზუნ-პასანსა და ევროპელ სახელმწიფოებთან ერთად თურქების წინააღმდეგ ჯვაროსნული ლაშქრობის გეგმას ადგენდნენ, მაგრამ ეს გეგმა ჩაიშალა და საქართველო მე-15 საუკუნის

ტრიარქოს დიდძალი ქონება ჰქონდა და ხშირად ისტორიული სომხეთის გარეთ, მათ შორის საქართველოშიც, ყიდულობდა მამულებს. ამ მამულებში მოსახლე ქართველ გლეხებს მათთვის უკითხავად სომხურ რჯულზე წერდნენ და ეჯმია-წინის მრევლს აკუთნებდნენ. „ქართველობას“ ძლიერი საფრთხე დაემუქრა.

ქართული ეკლესია პოზიციებს არ თმობდა და რამდენადაც ამის საშუალება ჰქონდა, წინააღმდეგობას უწევდა ქართველთა სხვა რჯულზე მიქცევას. მე-17 საუკუნის 30-იან წლებში საქართველოს პატრიარქმა გორელი ნასყიდა ლოპომანის კათოლიკობაზე მიქცევის გამო სავანებო კრებაც კი მოიწვია. სხვათა შორის ამ კრებაზე ლოპომანს დასაცავად ნიკოლოზ ჩილოყაშვილის მიერ წარმოთქმული სიტყვით დასტურდება, რომ მამინ ქართველთა მიერ რჯულის შეცვლის მრავალ ფაქტს ჰქონია ადგილი.

უფრო შტკაენული იყო თურქეთის მიერ დაპყრობილ მესხეთის მკვიდრ მოსახლეობაში მიმდინარე ეთნოსოციალური პროცესები. თუ საქართველოს სხვა სამეფო-სამთავროებში მე-17 საუკუნიდან ისევ აღწევდნენ ევროპელი კათოლიკე მისიონერები, სამცხე-საათაბაგოს ტერიტორიაზე მათი შესვლა მრავალ სირთულეს აწყდებოდა. ყველაზე აქტიურად ევროპელთა შემოსვლას სომხური ეკლესია ეწინააღმდეგებოდა, რადგანაც შიშობდა ევროპელთა გამოისობით მრევლი არ დაეკარგათ. ობიექტურობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ სომხურ ეკლესიას უდავოდ დიდი ღვაწლი მიუძღვის სამხრეთ საქართველოს მოსახლეობაში ქრისტიანობის შენარჩუნების საქმეში. სომხურ ტიპიკონზე გადასვლით ქართველი კათოლიკეები გამუსულმანების საფრთხეს იშორებდნენ, მაგრამ ისინი ვეღარც მოგვიანებით პოულობდნენ საშუალებას ლათინურ ან ქართულ რატს დაბრუნებოდნენ, რადგან ეს სასტიკად იყო აკრძალული თურქეთის მთავრობის მიერ.⁷ ამიერიდან მესხეთის კათოლიკე ქართველები კონსტანტინო-

პოლის სომხურ საემისკოპოსოს დეკანოზორჩილეს. პირველ რიგში ეკლესიის მართლმადიდებლობის სიმკაცრით გვარების სომხურ ყაიდაზე გადაკეთება რადგან ნათლობისა და გვარების აღრიცხვის საქმე აქაც, ისევე როგორც ყველგან, ეკლესიის ხელში იყო.

ჩვენი საუკუნის 90-იან წლებში სამცხე-ჯავახეთში ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის კავკასიის ეთნოგრაფიის განყოფილებამ მოაწყო ეთნოგრაფიული ექსპედიციები, რომლის დროსაც დაფიქსირდა, რომ გვარშეცვლილი ქართველების დიდმა ნაწილმა ისევ დაიბრუნა გვარის ქართული ფორმა, იშვიათად კი ძველი გვარიც; უნდა აღინიშნოს ისიც, რომ, სომხურ ყაიდაზე გვარშეცვლილ ქართველებს მიუხედავად დიდი დროის გასვლისა კარგად ახსოვთ თავიანთი ქართული წარმომობა და ხშირ შემთხვევაში ძველი გვარებიც.⁸

მე-18 საუკუნის დასაწყისში თბილისში მყოფმა კაპუცინებმა ახალციხეში მისიონის დაარსება გადაწყვიტეს, მაგრამ ამის გაკეთება შეუძლებელი აღმოჩნდა, რადგან თვით ახალციხის ფაშის მხარდაჭერის შემთხვევაშიც არსებობდა საშიშროება, რომ უნიტორები თავიანთ კონკურენტად შერაცხულ მისიონერებს თურქებთან დაასმენდნენ. იმავე საუკუნის 30-იან წლებში ევროპელებმა კვლავ დააპირეს სამცხეში მისიონის დაარსება, მაგრამ უნიტორებმა კვლავ ძლიერი წინააღმდეგობა გაუწიეს, რადგან შიშობდნენ, რომ ახალციხეში პატრების მისიონის დაარსებისა და საყდრის აგების შემთხვევაში მათ ეკლესიას მრევლი შემოაკლდებოდა და ქრთამის გაღებასაც არ მოერიდნენ პატრების განზრახვის ჩასაშლელად.⁹ მრევლის ასეთ მერყეე ნაწილს ეტყობა კათოლიკე ქართველები წარმოადგენდნენ, რომლებიც უნიტორთა ეკლესიაში იმის გამო დადიოდნენ, რომ სხვა გამოსავალი არ იყო. ნახევნიდან ჩამოსულმა ბერებმა ქართული არ იცოდნენ და საეკლესიო რიტუალს ქართული მრევლისათვის უცნობ სომხურ

ენაზე ატარებდნენ, ამიტომ ხმოვანი წირვის დროს მრევლი ქართულად პასუხობდა ხოლმე. ქართველი კათოლიკეები უფრო ახალციხის ქართულ-კათოლიკურ ეკლესიას იცნობდნენ. უნიტორებს ამის გამო რომშიც კი უწივლიათ "როგორ იქნებაო, რომ ტიპიკონის ენაზე წირვა-ლოცვა არ მიდის და აქაური მღვდლები ნებადაურთველი ენით (ე. ი. ქართულით) ქადაგებენო, ასეთ ხაზი-ჯარს სრულიად საპირისპირო რეაქცია მოჰყვა და 1757 წელს რომში შემდგარმა კრებამ ორენოვანი (ლათინურ-ქართული) რიტუალი ოფიციალურად დაამტკიცა.

რომის მკურ ხომხებისათვის არასასურველი დღეგინილების მიღებას ეკამაწინის კათალიკოსის სიმონის ქრისტანესათვის საკმაოდ შეუფერებელი ქედება მოჰყვა. მან ახალციხის ფაშას დღობალი ქრთამი მისცა, ახალციხის ქართველ კათოლიკეთა მონასტერი ააკლევებინა და ხუცები კი დააბატონებინა.¹⁰ სომეხი გრიგორიანები უკიდურეს არაკეთილგანწყობას ამჟღავნებდნენ კათოლიკე მიხიონერების მიმართ თვით ქართლშიც კი, სადაც ევროპელები ქართველი მეფის მხარდაჭერით სარგებლობდნენ და თურქებს ხელი არ მოუწვდებოდათ. ისინი დიდად ავნებდნენ მიხიონერებს, რომ მათ ქართველები არ გამოხარნღვობდნენ. ქართველების კი სომეხებს ემინიათ, რადგან ქართველები ჭეშმარიტების მოყვარული არიან, წერდა მ. თამარაშვილი, თუმცა მაინც მრავალი მაგალითი აქვს მოტანილი იმის შესახებ თუ როგორ ავიწროებდნენ მიხიონერებს სომეხები. ქართულ პოლიტიკურ ერთეულებში კათოლიკე მიხიონერები ქართველების ერთგვარი დაცვით მაინც სარგებლობდნენ, სულთანის გამგებლობაში მოქცეული ახალციხის სწავლაში კი მსგავს შემწეობას სრულიად მოკლებული იყვნენ. და სომხური ეკლესიის შემოტევა რა თქმა უნდა იქ უფრო ძლიერი იყო. მათთვის ერთადერთ დაბრკოლებას მხოლოდ სომხური ეთნიკური ერთეულის სიმცირე წარმოადგენდა.

1828-29 წწ. რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ სამცხე-ჯავახეთი კრუხიციის მხარეში პერიამ შემოიერთა და იქ მრავალრიცხოვანი სომხური მოსახლეობა შემოიყვანა თურქეთიდან (დაახლოებით 30 ათასი ადამიანი). ამის შემდეგ იქაურ ქართველ კათოლიკეთა მდგომარეობა კიდევ გაუარესდა. ისინი რუსულმა მმართველობამაც სომეხებს მიაწერა, რადგან ლათინურ ენაზე ღვთისმსახურთ უნდაობლად ეკიდებოდა, ხოლო სომხური გრიგორიანული და კათოლიკური ეკლესიებისადმი კეთილად იყო განწყობილი. ამიტომ რუსებს სასურველადაც კი მიანდნათ თუ სამცხე-ჯავახეთში მცხოვრები ყველა კათოლიკე სომხურ ტიპიკონზე გადავიდოდა. ასეთმა მიდგომამ საკმაოდ ცუდი შედეგები გამოიღო. ზოგიერთი ქართველი საეკლესიო გასომხდა. დრამატულად განუთარდა თურქეთიდან დიდი არტაანის ვილაიეთის ხოფ. ველიდან შემოსახლდებული ქართველი კათოლიკეების ბედი. ისინი ახალქალაქის მახლობელ ზოფლებში ბავრას, ხელგუშოსა და კარტიკაში დასახლდნენ. თურქეთიდან გამუსულმანების საფრთხეს გამოქცეულნი სომხურ ეთნიკურ გარემოში მოხედნენ და მილიანად გასომხდნენ.¹¹

ოფიციალური ხელისუფლების ხურვილს ქართველი კათოლიკეების გასომხების შესახებ საკმაოდ სწრაფად აუღეს აღლო სომხური სამეცნიერო წრეების ზოგიერთმა წარმომადგენლებმა და პრესის ფურცლებზე გახშირდა პუბლიკაციები რომლებშიც საერთოდ უარყოფდნენ ქართველ კათოლიკეთა არსებობას.

ამ ტენდენციას ზოგი რენეგატიც უწყობდა ხელს. მაგალითად არქიმანდრიტი პ. შაჰყულიანი (ჭილიშუზაშვილი) ყველა საშუალებას ხმარობდა, რომ მესხეთის მთელი კათოლიკური მრევლი სომხურ ტიპიკონზე გადაეყვანა.

პროსომხურ ტენდენციას აქტიურ წინააღმდეგობას უწევდნენ ქართველ კათოლიკეთა წრიდან გამოსული საეკლესიო მოღვაწეები. გრიგოლ მაქანდარიანთი (მაქანდარაშვილი) და გრიგოლ ბატონჯანისძე (კრუხიჭამაშვილი), ჯერ კიდევ



მე-18 საუკუნეში იბრძოდნენ ქართული ტიპიკონის დახამკიდრებად. შემდგომში მათი საქმე სხვებმა გააგრძელეს. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს პეტრე ხარისჭირაშვილის ღვაწლი, რომელმაც განათლება კონსტანტინოპოლში მიიღო და სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ქართული სასულიერო სასწავლებლის გახსნაზე დაიწყო ზრუნვა. ამ ნიადაგზე მას ღაბუნიანი და შაყულიანი და პეტრე იშულებული გახდა ქუთაისში გადასულიყო. პეტრე ხარისჭირაშვილის მოღვაწეობის მეორე პერიოდი საზღვარგარეთ მიმდინარეობდა. მის სახელს უკავშირდება სტამბოლში ქართველ კათოლიკეთა სამშოს დაარსება ფერეიქოვის ქართველ კათოლიკეთა მონასტრის აგება, რომელიც მალე ქართული კულტურის ცენტრად იქცა. გაიხსნა სტამბა, გახსნილი საუკუნის 70-იანი წლებიდან აქვე ამოქმედდა ქართული სკოლა და ა. შ. შემდგომში სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა სამშო ისე მოძღვარდა, რომ მათ საფრანგეთში, მონთობანში დაარსეს ქართველ კათოლიკეთა ახალი სამშო. ქართულმა სტამბამ მალე საფრანგეთშიც დაიწყო ფუნქციონირება. პეტრე ხარისჭირაშვილის ჩარევამ ხელს მალე ქართველთათვის სახარებლო ნაწილი გამოიღო. ფერეიქოვისა და მონთობანის სამშოთა და სკოლის მიერ აღზრდილმა მოღვაწეებმა დიდი როლი ითამაშეს ქართველ კათოლიკეთა შორის ეროვნული შეგნების გაღრმავებისა და განსაკუთრებით ქართველთა შორის კათოლიკური ქრისტიანობის გავრცელების ისტორიის გეგმის საქმეში.

განსაკუთრებით უნდა გამოიყოს მ. თამარაშვილის დამსახურება. მისი რუდუნების, საოცარი ნებისყოფის, ღრმად განსწავლულობისა და ვატიკანის არქივებში მრავალწლიანი შრომის შედეგად შეიქმნა დღევანდელი ნაშრომი „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“, რომელსაც გვერდს ვერ აუკლის საქართველოს ისტორიით დაინტერესებულნი

ვერც ერთი მკვლევარი. გიორგი მთაწარი საქართველოს გასახვობების შემდეგ კონფესიური კუთვნილების საკითხი საერთოდ მოიხსნა დღის წესრიგიდან, რადგან კომუნისტური მშენებლობაში მონაწილეობის უფლება მხოლოდ უღმერთოთა პეროვგატივად გამოცხადდა, რელიგიურობა კი სოციალიზმამდელი ფორმაციების გადმონაშთად, რომელსაც წითელი ატრეისტიკები ცეცხლითა და მახვილით ებრძოდნენ. ანტირელიგიური შემოტევების ინტენსიურობის მიუხედავად ქართველობა მაინც ღრმად ინახავდა ხსოვნას თავისი ქრისტიანობის შესახებ და შეძლებისდაგვარად ღვთისმსახურებასაც ასრულებდა.

რელიგიურ კუთვნილებას ინარჩუნებდნენ მესხეთში კომპაქტურად მოსახლე ქართველი კათოლიკეებიც, რომლებიც ღღემდე ცხოვრობენ ახალციხეში, ვალეში, ხიზამბარაში, უღვში, არალში და ა. შ. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ 70-იანი წლების დასაწყისში იგრძნობოდა ამ მიმდინარეობის ქართველთა მართლმადიდებლობაზე მოქცევის ტენდენციაც. ხელთ ნახსენები ეთნოგრაფიული ექსპედიციის წევრებს არაერთხელ ქონიათ ურთიერთობა ასეთ პიროვნებებთან.

როგორც უკვე აღინიშნა ქართველი კათოლიკეები, ან ფრანგები როგორც ისინი თავიანთ თავს უწოდებენ, წარმოშობით, ზნე-ჩვეულებებით, ენით, ცხოვრების წესითა და ეთნიკური თვითშეგნებით ნამდვილი ქართველები არიან, მათი მიკუთვნება სხვა რომელიმე ერი-სადმი აშკარად ანტიმეცნიერულ ხასიათს ატარებს და შორს დგას ისტორიული ჭეშმარიტებისაგან. ამასთანავე ქართველ კათოლიკეებთან ურთიერთობა განსაკუთრებით სათუთ და გულდასაწყობად მოქმედებულებას მოითხოვს როგორც ოფიციალური ხელისუფლების, ისე რიგითი ქართველებისაგანაც. არ უნდა დაკვიფრდეთ, რომ მათმა წინაპრებმაც დიდი ღვაწლი შეიტანეს ქართული მატერიალური და სულიერი კულტურის შენარჩუნების საქმეში.

შ ე ნ ი მ ე ნ ი ს ი ა

1 სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმის არქივი № 2412 ფ. 1 № 314.
 2. ი. ტაბაღაძე, საქართველოს ევროპის-არქივებში და წიგნსაცავებში, თბ., 1984, გვ. 218.
 3. შ. ლომსაძე, ახალციხური ქრონიკები, თბ., 1979, გვ. 12.
 4. შ. ლომსაძე, დასახლებული ნაშრომი, გვ. 28.
 5. შ. ლომსაძე, დასახ., ნაშრომი, გვ. 42.

6 იქვე, გვ. 29.
 7 შ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფ. 1902, გვ. 412
 8 ლ. ჯანაშვილი, სამცხე-ჯავახეთის ექსპედიციის დღიური, № 1, 1991, გვ. 2-3.
 9 შ. თამარაშვილი, დასახლებული ნაშრომი, გვ. 417.
 10 შ. ლომსაძე, დასახლებული ნაშრომი, გვ. 57-60.
 11 შ. ბერიძე, ჯავახეთი, თბ., 1992, გვ. 108.



პიორგი ნაღარკოშვილი

ფორმალური ხანის ქართულ ისტორიულ-იურიდიული საბუთების ორი კლასულის შესახებ

(„უკვაროვით დამტკიცება“ და „ამაჰალი კაცი“)

ქართული სამართლებრივი საბუთების წიაღში იურიდიული ყოფის მრავალი საინტერესო დეტალი იმალება. იურიდიულ ყოფა-ცხოვრების ამსახველ ბუთებში გვხვდება საუკუნეების განმავლობაში გამომუშავებული სამართლებრივი მნიშვნელობის მოკლე ლაბილარული იურიდიული გამოთქმები და ფორმულა-კლავზულები. ზოგი მათგანის შინაარსი უკვე ამოხსნილია. მრავალი მათგანი კი კვლავ მოელის მკვლევარს. ერთი რამ ცხადია: მანამ სანამ ქართული ისტორიულ-სამართლებრივი ხასიათის საბუთებში უზვად დაცული სამართლებრივი შინაარსის კლავზულები (ფორმულები) ბოლომდე არ იქნება ამოხსნილი, ქართული სამართლის ისტორია და საერთოდ საქართველოს შინაგანი ისტორია, სრულყოფილად ვერ დაიწერება. თანაც ზოგიერთი იურიდიული ტერმინი და ფორმულა-კლავზულა შეიძლება გაქვეყნებული სახით შეიცავდეს მრავალი საუკუნის წინათ არსებული ვითარების სწორ, და მართებულ სურათს. გამონაკლის შემთხვევებში იურიდიული კლავზულების გარეგნულ სიტყვიერ საფარველქვეშ შეიძლება იმალებოდეს ისეთი შინაარსი,

რომელიც შედარებით ძნელი წარმოსადგენია მოცემული იურიდიული ფორმულის შინაარსად.

მაგალითად, ფეოდალური ხანის საბუთებში გვხვდება იურიდიული გამოთქმა — კლავზულა „უჯუარობით დამტკიცება“.

მეფე დავით აღმაშენებლის ანდერძში. რომელიც დაახლოებით 1124 წელსაა შედგენილი, საბუთის ბოლოს უმაღლესი საეკლესიო პირებისადმი მიმართვაში, ნათქვამია: „უკეთუ ყამი მომცეს ღმერთმან და სხუი უახლოესი ანდერძი დავწერო, იგი თქუენ, თქუენლერითა კანონითა, უჯუარობითა. წყევსთა და შეჩუენებითა დაამტკიცეთ. წმიდაო მეუფეო, ქართლისა კათალიკოზო და ყოველნო მღვდელთმოძღვარნო!.

გიორგი მესამის 1170 წლით დათარიღებულ სიგელში გვითხვობთ: „აწ ვინცა ჰნახოთ ბრძანებას და სიგელი იხე ჩუენი, ყოველთავე დაუმტკიცეთ და ნუ ვინ უშალავთ, თუნიერ შეწყვისა და თანადგომისა და თქუენ წმიდაო მამათავარო ქართლისა კათალიკოზო. და წმინდანო მღვდელთმოძღვარნო უჯუარობითა დაამტკიცეთ“.

ცნობილ ოპიზის სიგელში, რომელიც

XI საუკუნეში ბაგრატ მეოთხის (1027-1072) დროსაა შედგენილი, საბუთის ბოლოს, რომელსაც ჩვენამდე სრული სახით არ მოუღწევია, ნათქვამია: „და თქვენ, წმიდაო მეუფეო ქართლისა კათალიკოზო, და წმინდანო მღვდელთმოდლეთნო უჯუარო...“

მოსალოდნელია, რომ წინადადება მთავრდებოდა ფრაზით — „უჯუარობით დამტკიცეთ...“ და საბუთის გამომცემლებსაც ასე აქვთ აღდგენილი ტექსტის ნაკლები ნაწილი.

მეფე გიორგი მეორის შეუვალობის განახლების სიგელში შიო მღვიმისადმი, რომელიც 1072 წელსაა დაწერილი, ვკითხულობთ: „და, თქვენ, წმიდაო მეუფეო ქართლისა კათალიკოზო და ყოველნო მღვდელთმოდლეთნო უჯუარობითა და წყევით დაუმტკიცეთ დაწერილი და სიგელი ესე...“

1187 წელს შედგენილ თამარ მეფის სიგელში გელათისადმი, რომელსაც ახლავს კრუღვითი და განკარგულებაბრძანებითი ნაწილიც, ვკითხულობთ: „და თქვენ, წმიდანო კათალიკოზნო და წმიდანო მღვდელთმოდლეთნო, უჯუარობით დაუმტკიცეთ“.

ზემრხსენებულ სიგელს ერთვის „ქრისტეს მიერ ქართლის კათალიკოზის“ თედორეს მტკიცებითი ხასიათის მინაწერი („მოწამე და დამამტკიცებელი ვარ“). ამ მინაწერში ვკითხულობთ:

„ვინ და რამანცა გუარმან კაცმან რაისაც ჟამსა, რაისაცა მიზეზის მოღებითა ხელ-ყოს შლად და ქვევად ამას ბრძანებასა და გაგებულსა, კრულმცა არს პირველად დაუსამაზოისა ღმრთისა პირითა, ათორმეტთა მოციქულთა ჟუარითა, შეიდთა კრებათა მადლითა, ხუთთა პატრიარქთა ჟუარითა...“ ვთოლიკე ეკლესიისა და შენ, ღმრთივადმართებულის სუტისა ცხოველის მადლით, ყოველთა პატრიარქთა ჟუარითა და მღვდელთმოდლეთართა და ჩემ, გლახაქისადა, ჟუარითა...“

ერთ-ერთ XIII საუკუნის სიგელში გელათისადმი ვკითხულობთ: „და თქვენ, წმინდანო მეუფენო: აფხაზთა და ქართლისა კათალიკოზნო და წმინდანო

მღვდელთმოდლეთართო, დამტკიცეთ“.

„უჯუარობით დამტკიცების“ ფორმულა-გამოთქმა ქართულ ისტორიულიურიდიულ საბუთებში მოჩანს XVI საუკუნემდე (ჩათვლით); მომდევნო ხანაში ის ქრება. განსაკუთრებით ხშირად ის მოჩანს XI-XIII საუკუნეებში.

აქ შეიძლება გავიხსენოთ 1282 წელს ნიკოლოზ ქართლის კათალიკოსის მიერ გაემუღო საბუთი ასეთი კრუღვითი მინაწერით:

„და ვინ და რამანცა გუარმან კაცმან, რა: გინდა მიზეზის მიღებითა შევიცვალოს, რისხავსცა მამაი, ძე და სული წმიდაი, კრულმცა არს დაუსამაზოისა ღმრთისა პირითა, ათორმეტთა წმიდათა მოციქულთა ჟუარითა და მადლითა. შეიდთა კრებათა მადლითა და ჟუარითა, ხუთთა პატრიარქთა ჟუარითა და მადლითა...“

ჩვენამდე მოღწეულია ერთი საინტერესო საბუთი — ერთგულების წიგნი მანგლელ-თბილელ იოანესი კათალიკოს თეოდორესადმი, რომელიც შედგენილია დაახლოებით 1437 წელს, სადაც ვკითხულობთ: „ესე წიგნი გადრეთ და მოგახსენეთ, თქვენ წმიდასა დედაქალაქსა მცხეთასა, ქართლისა კათალიკოზსა თეოდორეს მე. მანგლელ-თბილელ მთავარებისკოპოსმან იოანე, მას ჟამსა ოდეს გამოწყერ და ომფორი წამიღე და მერმე კიდევ მიბოძე. და მე ესე საერთგულო წიგნი მოგახსენე“.

„...ვისცა გაუწყრეთ და შეაჩუნენეთ, ჩვენცა შევაჩუნეთ და უჯუარო ვყუენეთ; და ვისცა თქვენ სწყალობდეთ, ჩვენცა მათნი მლოცველნი ვიყვენთ...“

როგორც ვნახეთ, ზემოთ მოტანილ საბუთში გამოთქმა „უჯუარო ვყუენეთ“ შეჩვენებას უკავშირდება და ამ შეჩვენებას ამაგრებს ფიქრობთ, რომ არამხოლოდ XV საუკუნის საბუთში არამედ, ჩვენს მიერ სხვა საბუთებშიც „უჯუარობა“ და „უჯუარობით დამტკიცება“ შეჩვენებას ნიშნავს უშუალოდ ან შეჩვენებას მაინც უკავშირდება. ეს ჩანს დავით აღმაშენებლის ანდერძიდა-

ნაც. მეფე მიმართავს რა უმალღეს სასულიერო პირებს. მათ მიანიშნებს, რომ თუ ის მათს წინაშე დაწერილს ანდერძს მომავალში სხვა უახლოესი ანდერძით შეცვლის, უმალღესი საეკლესიო პირები ამ ანდერძს მხარს დაუჭერენ და თანახმად საეკლესიო კანონებისა „უჭუარობით — წყევით და შეჩვენებით — დაამტკიცებენ“. მაშასადამე, იმას, ვინც ანდერძში გამოთქმულ მეფის კანონიერება-სურვილს წინ აღუდგება „უჭუარობით დამტკიცება“ ანუ წყევლა და შეჩვენება ელოდა.

XV საუკუნეში, დაახლოებით 1459 წელს შედგენილ იოვანე კუმურდოელი ლასურისძის მიერ კათალიკოზ დავითისადმი მიცემულ ერთგულების წიგნში ნათქვამია: „...ოდეს მანუყურელი და სამცხისა ეპისკოპოზნი თქუენგან უჭუარო და შეუნდობელნი იყუნეს საფარისა თავზედა; და თქუენ დიდითა ზუაიშნითა მაკურთხეთ. აჲ დღესითგან წალმა ჩემად დღედ სიკუდილამდე ვიყო თქუენისა საყდრისა ერთგული მეფეთა მლოცველი და ყოველთა წირვათა და ლოცვათა შინა თქუენ მოგიხსენებდეთ...“.

„ვინ თქუენგან უჭუარო და შეუნდობელნი იყუნენ. ჩუენგანცა უჭუარო და შეუნდობელი იყოს; თქუენგან შეუნდობელთა ეპისკოპოსთა გუერდით ეამი არა ვწიროთ და არცა მათსა სამწყუსოსა უწიროთ. სადამდის თქუენგან ახსნობისა და შენდობისა ნიშანი არა მოგუივიდეს“.

როგორც მოტანილ საბუთიდან ვხედავთ უჭუარობა-ჭვრით ლოცვა-კურთხევას აღკვეთა და შეუნდობლობა ერთმანეთის მსგავსი ერთმანეთთან დაკავშირებული ღონისძიება იყო.

კუმურდოელი პირდება ქართლის კათალიკოზს, რომ ვისაც ის უჭუაროდ და შეუნდობლად გამოაცხადებს, თვითონაც ისევე მოეპყრობა როგორც „უჭუაროსა“ და შეუნდობელს.

ჩვენამდე მოღწეულია „ერთგულების წიგნი“ ზოსიმე კუმურდოელისა ბასილ კათალიკოსისადმი (შედგენილი დაახლოებით 1529 წელს).

ზოსიმე კუმურდოელი პირდება კათალიკოსს, რომ მუდამ მისსავე წინაშე იქნება და ვისაც „სჯულისსა“ და „სჯულისსა“ კათალიკოზ-პატრიარქი ბასილი გაუწყურება და შეუნდობლად ამყოფებს, კუმურდოელისაგან შეუნდობელი იქნება. ხსენებული „ერთგულების წიგნის“ ბოლოს ნათქვამია:

„ვინც ეს გიტყუოს, თქუენგან უჭუარო იყოს და წმიდათა მოციქულთა და მამათა კანონთა ქუეშემც მყოფ არს“. ვფიქრობთ. მოტანილიდან აშკარად ჩანს, რომ „უჭუაროდ ყოფნა“ გარკვეული საეკლესიო სასჯელიც იყო.

სპეციალური გამოთქმა „უჭუარობით დამტკიცება“ ემსახურებოდა საბუთის სიმტკიცეს, სიგელის სიმტკიცეს. ვინც ხელს შეუშლოდა მეფის მიერ გაცემული სიგლის სიმტკიცეს — „ხელყოფდა“ მას „შლად და ქცევად“, მას აღეკვეთებოდა ჭვარის მადლი და შეჩვენებული იქნებოდა.

დაახლოებით 1250 წელს შედგენილ ჭრიგოლ სურამელის „დაწერილს“ შიომღვიმისადმი თან ახლავს კრულვითი ნაწილიც, სადაც ნათქვამია, რომ თუ ვინმე ხსენებულ საბუთში დადგენილ-დაწესებულს დაშლის და ხელყოფს. მას თავისი ჭვარით რისხავდესო ქრისტე ღმრთის ხატი, რომელიც „მდგომარე არს სამთავროს ტაძარსა შინაო“. ვინც საბუთში — „დაწერილში“ დადგენილს დაარღვევს, ის ქართლის კათალიკოსის „ჭუარით კრულია ცოცხალი და მკუდარი გაუხსნელად“.

ზემოთ მოტანილ საბუთს თან ახლავს მინაწერი „უჭუარობითა და კანონით დამტკიცების“ შესახებ — „უჭუარობითა და კანონითა დაუმტკიცებია“ არსენ მანგლელსო.

„უჭუარობით დამტკიცების“ რეალური შინაარსი, ვფიქრობთ, გაირკვევა.

ახლა ვნახოთ, თუ რას ნიშნავდა „ამავალი კაცი“ გვიანი საშუალო საუკუნეების დასავლეთ საქართველოს ისტორიულ-იურიდიულ საბუთების მიხედვით.

ჩვენი აზრით ქართული წყაროების „ამავალი კაცი“ იყო სასამართლოს მიერ მოფიცრად დასახელებული პირის სოციალური და სამართლებრივი მდგომარეობით ტოლი. უმტერ-უმოყვრო, მიუკერძოებელი კაცი.

მოვიტანოთ ერთი მაგალითი ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცულ საბუთიდან. დავით აბაშიძე და საჩინო ჭაფარიძე ადგილ-მამულზე დაობდნენ. რადგან სხვა საიმედო მტკიცებულება არ ჩანდა, სასამართლომ საქმის ფიცის მეშვეობით გადაწყვეტა არჩია: „რამდენს ათ მარჩილათ ის სადაო ალაგი ღირდეს, იმდენი გლეხკაცი და ან ამავალი სხვა კაცი წამოაყენოს დავით აბაშიძემ...“ და „სამანზე შედგეს და საზღვარგარეთ შემოუაროს და დაიფიცოსო“ ნათქვამია ხსენებულ საბუთში.

1818 წლით დათარიღებულ განჩინებაში გიგო დიდიას ხატის საქმეზე ვკითხულობთ, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებით რამდენადაც დიდა თავის სარჩელს ხუთას მარჩილად აფასებდა, მას ევალებოდა წამოეყენებინა ოცდახუთი გლეხი კაცი ან ამავალი სხვა კაცი, რომ მათთან ერთად ფიცით დაედასტურებინა თავისი სარჩლის კეშმარიტება.

ზემოთ მოტანილი განჩინების მიხედვით „ამავალი კაცის“ ქვეშ უნდა ვიგულისხმოთ დასახელებული გლეხკაცთა სოციალურად ტოლფასი კაცი ან კაცნი კერძოდ ისეთი ან ისეთნი, რომელთა ფიცსაც სასამართლოში იგივე მტკიცებულებითი ძალა და მნიშვნელობა ექნებოდა, როგორიც 25 გლეხკაცის ფიცს.

XIX საუკუნის დასაწყისის ერთი განჩინების მიხედვით ზაალ ლალიძე და გოგია შვიანიძე დაობენ. შვიანიძემ ისარჩლა: გლეხი ავეყანდაძე გრიგოლ კათალიკოსმა მე მიბოძა და წყალობის წერილიც ბელთა მაქვს და შენ კი ჩემს ყმას არ მანებებო.

თავის მხრივ ზაალ ლალიძემ შვიანიძეს დაობის მიხედვითაც მოსარჩლის პაპას — გიორგი ზუცეს შვიანიძეს და თენიკა ავეყანდაძე ზაალ ლალიძის მამისათვის „დაეწინდებინა“ და შერმედ „ხელმოწყვეტ წერილით მიეყიდნა“.

სასამართლომ გასინჯა ლალიძისა და შვიანიძის საჩივარი და ასეთი გადაწყვეტილება მიიღო: წამოაყენოს ზაალ ლალიძემ თორმეტი გლეხი კაცი და ან თითონ ზაალ და სხვა ამავალი აზნაურ-შვილი და ასე შეფიცოს შვიანიძეს. თავმა მოფიცარმა ნასყიდობის წერილი ხელთ დაიკავოს და ასე იფიცოს: ეს ნასყიდობის წერილი ბაბუაშენს გიორგი ზუცესს რამაზა ლალიძისათვის მოეცეს, არც ტყუილი წიგნი იყოს და „კიდევ ნასყიდი იყოს“.

სასამართლოს გადაწყვეტილებით წერილობითი საბუთის უტყუარობა ფიცით უნდა დამტკიცებულყო. ზაალ ლალიძეს თავისი სიმართლე უნდა დაედასტურებინა თორმეტ გლეხთან ერთად ფიცით. და თუ ზაალ ლალიძე თითონ არ მოისურვებდა ფიცს, მაშინ მას თავის სანაცვლოდ უნდა წამოეყენებინა „სხვა ამავალი აზნაურ-შვილი“. მოცემულ განჩინებაში „ამავალი აზნაურ-შვილი“ ნიშნავს შესაძარ, ტოლ აზნაურ-შვილს, ისეთ პიროვნებას, რომლის ფიცის მტკიცებულებითი ძალა არ იქნებოდა ნაკლები ზაალ ლალიძის ფიცისა.

მაკავარიანები და პაატელა ოყრეშიძე დაობენ. მაკავარიანებს ოყრეშიძე თავიანთ ყმად მიაჩნიათ. ოყრეშიძეს კი ხელთა აქვს გათავისუფლების წერილი. სასამართლომ დაადგინა:

„ოყრეშიძემ მაკავარიანს თავის ქვეყნის და გარეშემოს უმტერ-უმოყვრო, თავის ყმას გარდაის, სხვა თორმეტი გლეხი კაცი შეუსახელოს და თორმეტისაგან მაკავარიანმა ექვსი იშოვოს და თორმეტი გლეხი კაცი სხვა შეუსახელებელი ამოატანოს და იმ თორმე-

ტის კაცის ან ამაველი უფროსი სხვა კაცი და ასე დაუფიცოს, წიგნი თავმა მოფიცარმა ბელთ დაიკავოს და წარმოსთქვას: „ეს წიგნი ნიკოლოზ ბერს მაჭავარიანს ბაბუიშენისთვის და მამის შენისთვის არ მიეცეს და არც გაშვების თავისუფლობა არ ეალნებოის თუ ასე იფიცოს. მაჭავარიანი გამართლდეს...“

მოტანილი საბუთის მიხედვით ჩვენს წინაშე წარმოსდგება ფეოდალური სასამართლო პროცესი, რომლის მიხედვითაც მტკიცების ტვირთი აწევთ ერთმანეთთან მოდავე მხარეებს. სასამართლო მხოლოდ განსაზღვრავდა, თუ რომელ მხარეს აწვა ვალდებულება — დემტკიცებინა ესა თუ ის, საქმის გადაწყვეტისათვის აუცილებელი დოკუმენტის ან ფაქტის არსებობა. სასამართლო აწესებდა აგრეთვე იმასაც, თუ მხარეს რა წესით უნდა ემტკიცებინა — ქეშმარიტება.

ყველაზე სრულყოფილ საბუთად ითვლებოდა მოპასუხის მიერ სასარჩელო მოთხოვნის უნობა ან ბრალდებულის მიერ თავისი ბრალეულობის აღიარება.

დიდგვარიანის ფიცს უპირატესობა ჰქონდა დაბალი გვარის, მდაბიო წარმოშობის ადამიანის ფიცთან შედარებით. დიდგვაროვანის ფიცს მდაბიო — წარმოშობის რამოდენიმე ათეული ადამიანის ფიცი თუ გაუტოლდებოდა „ამავალი კაცი“ ფიცით მტკიცების პროცესში შეიძლებოდა ყოფილიყო ერთი „კეთილშობილი“ — აზნაური თუ თავადი.

სასამართლო სისტემა მთლიანად დამყარებული იყო წოდებრივ პრინციპზე და ეს სისტემა არსებითად შეესატყვისებოდა ქართულ ფეოდალურ წესწყობილებას.

ქართული სასამართლო წიგნები ფიცს თვლიდნენ მნიშვნელოვან მტკიცებულებად და ამასთანავე მოპასუხის ფიცი საპირობების შემთხვევაში გემაგრებულ-

განმტკიცებელი უნდა ყოფილიყო თანამოფიცართა ფიცითაც, ეს წესი უნობილი იყო შეუსაუფუნეების ევროპაშიც. ამ მხრივ ქართული სასამართლოს „რიგი“ ევროპულს (რომანულ-გერმანულს) შეესატყვისებოდა. ფეოდალური ევროპის სამართლის წიგნების ზოგიერთ ლათინურ ტექსტში თანამოფიცართა ფიცს ეწოდებოდა „იურამენტულ კრედულიტატის“.

ქართული სამართლის ძეგლები თანამოფიცარს „მოფიცრად“ მოიხსენიებენ. რაც უფრო დიდგვაროვანი იქნებოდა თანამოფიცარი, მით უფრო ნაკლები რაოდენობისა იქნებოდა საკმარისი საქმის გადასაწყვეტად, ხოლო „გვარდაბალი“ კი მეტი რაოდენობისა უნდა ყოფილიყო. ერთი დიდგვაროვანი მოფიცრის „ამავალი კაცი“ იქნებოდა რამოდენიმე გვარდაბალი.

სასამართლო პროცესში მონაწილე მოფიცართა ოდენობა დამოკიდებული იყო მათ სოციალურ მდგომარეობაზე. რაც უფრო დიდგვარიანი იყო მოფიცარი, მისი ფიცი და მისი სიტყვა მით უფრო ფასობდა.

გამოთქმა „ამავალი კაცი“ არ ჩანს აღმოსავლეთ საქართველოდან ჩვენამდე მოღწეულ ისტორიულ იურიდიულ საბუთებში. ეს გვაფიქრებინებს, რომ ხსენებული სპეციფიკური გამოთქმა დასავლეთ საქართველოშია წარმოშობილი. არ არის გამორიცხული, რომ ის წარმოიშვა მეგრულ-გურულ. იმერულ მოსახლეობის წიაღში მეგრული გამოთქმის „ემალუ კათას“ ანუ „ემალუ კოჩის“ ზეგავლენით.

ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცული ერთი საბუთი ერთმანეთის გვერდით იხსენიებს ორ ერთმანეთის ანალოგიურ გამოთქმას „სუფთა თავის ტოლ კაცს“ და „ამავალ კაცსაც“. სასამართლო მოპასუხეს ავალებს, რომ მან „სუფთა თავისი ტოლი კაცი“ თან ჩაიტანოს, თუ თავისი ტოლი კაცი ვერ იშოვნოს,

ამაველი ვაჭარი თან ჩაიტანოს და ასე უფიცოს: „შენ რომ დავით მეფესთან დასმენას მეწამები, არც შენ და არც შენი კაცი მე დავით მეფესთან არ დამესმინოს...“

გამოთქმა „ტოლი კაცი“ ქართულ ისტორიულ-იურიდიულ საბუთებსა და სამართლის წიგნებში გვიან შუა საუკუნეებში ჩნდება. თანამოციტრად „ტო-

ლი კაცის“ შოენა ჭირდა და ამიტომაც საჭირო ხდებოდა „ტოლის კაცის“ „ამაველი“ კაცების შოენა. ოცდამოთხი გლეხის „ამაველი“ თანამოციტარი აზნაურშვილი შეიძლებაოდა ყოფილიყო რაოდენობრივად გაცილებით ნაკლები, ვთქვათ ოთხი. მაგრამ ოთხი აზნაურის ფიცს ისეთი მტკიცებითი ძალა ექნებოდა. როგორც 24 გლეხისას.

შენიშვნები:

1. „ქართული ისტორიული საბუთები IX-XIII საუკუნეებისა. შეადგინეს და გამოაცემად მოამზადეს თ. ვნუქიძემ, ვ. ხილოვაჯამ, ნ. შოთაშვილმა. „მეცნიერება“ 1954, ნაბ. № 8. 25-84.

2. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გამ. „მეცნიერება“, 1970 დოკ. № 26, ტექსტები გამოსცა კროტ, ი. დოლიძემ.

პიესტონე ჩარნილი

პალული სურთხე

ნაფხვატაპი ფიზნიდან „პეპსარკვი“

თაზო 111

დაზაკებიდან 1922 წლის მიწურულამდე — ანუ ინგლისში ხელისუფლების შეცვლამდე ჩაელილ ოთხ წელიწადში მიღებული ზოგიერთი შთაბეჭდილება შევაჯამე ჩემს წიგნში „შედეგები.“ 1928-ში, ამ წიგნის წერისას, მთელი ხიღრმით შევიგრძნობდი მოახლოებულ კატასტროფას.

ქრისტიანული ერის მეოცე საუკუნის გარიჟრაჟამდე არც ერთი ომი არ მოუღინებია თვის საბრძანებელს, როგორც კაცობრიობის პოტენციური გამანადგურებელი. ადამიანთა გაერთიანებამ დიდ სახელმწიფოებად თუ იმპერიებად და ერთობლივი თვითშეგნების გაღვიძებამ შესაძლებელი გახადა იმგვარად ჩაფიქრებული და ისეთი მასშტაბების მქონე ზოცვა-ვლექტის გაჩაღება, რომლის მსგავსს წინათ ვერაფერ წარმოიდგენდა. კერძო კაცთა უმეტესი და უკეთესი ღირსებანი ერთ მთლიანობად შეიარწყა, რათა მეტი სიმძლავრით წარმოჩენილიყო ღიანგის ყოვლისმსახურალი ქმედითუნარიანობა. დიდძალმა ფინანსებმა, მსოფლიო მასშტაბის კრედიტების მი-

ღება-გაცემისა თუ ვაჭრობის შესაძლებლობამ, გუარიანმა კაპიტალდამანდებებმა ბიძგი მისცა მიღეთის ხალხთა ცხოველმყოფლობას, რამაც მათხრებულ ქმედებებში იზინა თავი. დემოკრატიულმა ინსტიტუტებმა გზა გაუხსნა მილიონთა ნების გამოვლენას. განათლებამ არა მარტო ყოველი კაცის შემეცნებისათვის მისაწვდომი გახადა არსი კონფლიქტის მსუველობისა, არამედ ერთობ საჭირობოტოდ წარმოაჩინა თითოეული პიროვნების საქმიანობა დასახული მიზნის აღსრულებაში. პრესა მოგვევლინა როგორც გაერთიანების, ასევე ურთიერთაფორიაქების საშუალებად. რელიგია, რომელიც კეთილგონიერულად თავს არიდებდა განხეთქილების არსში ჩაწვდომა-ჩაღრმავებას, ყველა ღონეს ხმარობდა და სრული მიუკერძოებლობით გულს უკეთებდა და ანუგეშებდა ყველა მებრძოდ მხარეს. და ბოლოს ადამიანთა უკიდურესად გამძაფრებული მაძიებლობის დასაოკებლად მეცნიერებამ სამშეოზე გამოიტანა თვისი განძეულობა თუ საიდუმლოებანი და მათ ხელთ მოაქცია ღამის სწორუპოვარი



ღირსებების მქონე ხელსაწყო-აპარატურა.

აქედან გამომდინარე, თავი იჩინა მრავალრიცხოვანმა სიახლეებმა გამაგრებული ქალაქების დამშენის სანაცვლოდ, ახლა უკვე მთელი ქვეყნების მეთოდურ დახმებას ესწრაფოდნენ შიმშილით დათრგუნვის გზით. მეტ-ნაკლებად მთელი მოსახლეობა მონაწილეობდა ომში; ყველანი თანაბარწილად შეიქნენ თავდასხმის ობიექტები. ვაიხსნა საპაერო გზები, რომელთა მეშვეობითაც სიკვდილი თუ ტერორი ნაღდი ფრონტის ხაზს იქით კარგა მანძილზე შეიძლება და თავს დასტყდომოდა ქალებს, ბავშვებს, მოხუცებსა და სნეულებს — მათ, ვისაც უწინდელ ბრძოლებში, უკვკველია, თითოსაც არაფერი დააკარებდა. შეხანიშნავად ორგანიზებული რკინიგზები, სახლეთო თუ საავტომობილო ტრანსპორტი შესაძლებელს ხდიდა ათეულ მილიონობით ადამიანის ცამკზავრება-დაბინავებასა და ხანგრძლივ დასაქმებას. თავის საქმეში ბრწყინვალედ დახელოვნებული მკურნალ-დასტაქარნი ისევ და ისევ სასაკლაოზე აბრუნებდნენ მათ. ვერვინ ელეოდა იმას რაც ხელს შეუწყობდა განლევა-გაჩანაგებას. სულთმობრძავეის უკანასკნელი გაბრძოლებაც კი სამხედრო საჭიროებებს ხმარდებოდა.

მაგრამ ის, რაც დიდი ომის იმ ოთხ წელიწადში დატრიალდა, მხოლოდ წინათქმა გახლდათ მეხუთე წელს გამართული სამზადისისა. 1919 წელს გაჩაღებული კამპანია შემუხსერულ ძალთა უზომო აღზევების მადასტურებლად თუ წარმოვეიდგებოდა. გერმანელებს რაინზე მშვიდობიანად უკანდახევისათვის აუცილებელი ზნეობრივი წონასწორობა რომ შეენარჩუნებინათ, 1919 წლის ზაფხულში მათ იმნაირი ძალებითა და ისეთი შემზარავი მეთოდებით შემოუტყვდნენ, მანამდე რომ არც მოლანდებია არავის. ათასობით თვითმფრინავი გააცამტვერებდა მათ ქალაქებს. ათეულობით ქვემეხი ააფეთქებდა მათ მოწინავე პოზიციებს. ათასგვარი გასაჭირით დამ-

ძიმებული ასეულ ათასობით გერმანულ-დროულად და განუწყვეტლივ გადასევდათ ქვეყნის ერთი ბოლოდან მეორეში სამანქანო ტრანსპორტით, დღეში ათ-თხუტმეტ მილს რომ გადაიოდა. წარმოუდგენლად მანევ მოშწამეღული გაზები, რომელთაც მხოლოდ ფარული ნიღაბი აუენებლებდა (გერმანელებმა დროულად რომ ვერ ჩაიგდეს ხელთ), ყველანაირ შეუპოვრობას მოდრეკდა და სიცოცხლეს მოუსწრაფებდა ყოველ სულიერს იერიშიმტანილ მტრის ფრონტზე. გერმანელებსაც, უცილობლად, თავიანთი გვემები ექნებოდათ. ოღონდ, მრისხანების დრო-ყამი უკვე გადასულიყო. გაიხმიანა სიგნალმა ფერისცვალებისა და 1919 წლის ეღდა და ზარი დიდ ანტაგონისტთა არქივებში დარჩა დამარხული.

ომის შეწყვეტაც ისევე უცაბელი და ყოვლისმომცველი იყო, როგორც მისი დაწყება. კაცობრიობამ თავი აიღერა, თვალი მოავლო პარტახად ქეეულ არემიადმოს და მძღვეელმაცა და ძღვეულმაც ერთნაირად მოითქვა სული. ასეულობით ლაბორატორიაში, ათასობით არსენალსა, ქარხანასა თუ ბიუროში ადამიანებმა ერთბაშად მიანებეს თავი მუშაობას და პირი იბრუნეს იმ საქმიანობისაგან, რომელშიაც ჩაფლულიყვნენ მთელი არსებით. მათი პროექტები, დაუმთავრებელი და განუხორციელებელი, გვერდზე გადაიღო, თუმც ცოდნა ხომ შერჩათ! მათი მონაცემები, გამოთვლები და აღმოჩენები სამხედრო უწყებებმა ყველა ქვეყანაში სასწრაფოდ შეკრიბეს, დასტებად შეკრეს და ზედ წააწერეს: „შემდგომი განხილვისათვის“. 1919 წლის კამპანია აღარ გაჩაღებულა; მაგრამ აზრები, მის საფუძველთა საფუძველს რომ წარმოადგენს, კვლავაც მწყობრად ენაცვლებიან ერთმანეთს. მათ ყველა ქვეყნის ვარში მშვიდობის საფარველში მხვევენ, შემდეგ კი შეიმეტნებენ, ხვეწენ, სრულყოფენ; ხოლო ომი თუ კვლავ თავს დაატყდა მსოფლიოს, ბრძოლა გაჩაღდება არა 1919 წლისათვის მოხაზირებული იარაღ-საშუალებების

მეშვეობით, არამედ იმ სრულქმნილი და გაუმჯობესებული აზროვნების შემწეობით, ბევრად უფრო შემადრწუნებელიც რომ არის და საბედისწეროც.

აი, ამგვარ ვითარებაში შევდგით ფეხი ილაჯგანვევების იმ ხანაში, „მშვიდობიანად“ რომ მიინათლა. იგი ზოგადი ვითარების გაცნობიერების საშუალებას მაინც იძლევა. ჩამოწოლილ ნისლში ამოზრდილ მათაა მოზაზულობის მსგავსად იკვეთება რიგი შავნული, შეუვალი, უღმობელი ფაქტებისა. დადგინდა, რომ ამიერიდან ომში მონაწილეობას მიიღებდა სრულიად ქვეყნების მოსახლეობა, მთელ თავის ძალისხმევას რომ მოუხმობდა და საკუთარ თავზე გამოცდიდა მტრის მძევინვარებას. დადგენილია, რომ ერები, რომელთაც სჯერათ, რომ მათი ყოფნა-არყოფნა ბევრზე უკან არ დაიხვეწენ, საკსებით შესამლებელია, უფრო სწორად, უმჭკველია, რომ იმ ზერხებში, რომელთა გამოყენება სამერძისოდ მათ ზელთ იქნება, აღმოჩნდება საყოველთაო განადგურების ისეთი შეუზღუდავი მეთოდები და საშუალებანი, რომ, ალბათ, ერთხელ ნაცადი, არანაირ კონტროლს აღარ დაექვემდებარება.

ამგვარ ყოფაში წინათ არასდროს ჩავარდნილა კაცობრიობა. მას, ღირსებათა ვერც თუ დიდად სრულქმნელსა და ვერც უფრო ბრძნული მმართველობის მომხვეჭელს, პირველად ჩაუვარდა ზელთ იარაღი, რომლის მეშვეობითაც შეძლებს საკუთარი თავის პირწმინდად დასამარებას. ესაა სამანი კაცთა ზვედრისა, რომელსაც მიაახლა მოკვდავნი ჭაპანწვევტამა თუ განცხრომა-ნეტარებამ. უპრიანი იქნებოდა, სული მოეთქვათ და თავიანთ აზრ ვალდებულებებზე დაფიქრებულიყვნენ. სიკვდილი ფხიზლობს, დამყოლი, მოძლოდინე, მზადმყოფი ხელის აღსაყრობად და კაცობრიობის დედაბუდიანად ამოსაწვევტად, მზადმყოფი პირველსავე დამახილზე მიწის პირისაგან აღსავევლად ციცილიზაციის ყოველგვარი გადმონაშ-

თისა. იგი მხოლოდ განსრულდება ელის; ელის უმწეო, თავგზაბნული არსებისაგან — ოდიოტანვე მის ზვარაკად რომ ქცეულა, — ამ ერთხელ კი, ამ ერთადერთხელ, მბრძანებლად მოვლინებია.



ეს ვველაფერი გამოქვეყნდა 1929 წლის 1 იანვარს. ახლაც, დღევანდელ ახალ წელს, თვრამეტი წლის შემდეგ, სხვაგვარად ვერ დაწერდი. ყოველი სიტყვა თუ ქმედება, რომლებზედაც პასუხისმგებლობა მაკისრია ომიდან ომამდე განვლილი დროის მონაკვეთებში, გამიხსნული გახლდათ მხოლოდ და მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის თავიდან ასაცილებლად და — რა თქმა უნდა, თუ მაინც უბედურება გვეწერა — გამარჯვების უზრუნველსაყოფად ან, უკიდურეს შემთხვევაში, ჭირსა შიგან გასამაგრებლად. არა მგონია, შესაძლებელი ყოფილიყო სხვა რომელიმე ომის თავიდან არიდება ისე იოლად, როგორც ამ მეორე არმავედონისა. მე მუდამ მომხრე ვარ ძალის გამოყენებისა ტირანიის წინააღმდეგ გასალაშქრებლად, ან კიდევ, ნგრევა-განადგურების თავიდან ასაცილებლად. და მაინც, ამ ჩვენ ბრიტანელთა, ამერიკელთა თუ სხვა მოკავშირეთა ქმედებებს რიგიანი საოჯახო მეურნეობისთვის საჭირო უბრალო თანმიმდევრულობა და საღი აზრი რომ ზღუდოდა გზის გამკვალავად, აღარც კანონით ზურგგაუმაგრებელი ძალმომრეობა შეიქნებოდა აუცილებელი. ის კი არადა, სისხლისღერის უმცირესი ალბათობის შემცველი იმულებაც მართალ საქმეს მოხმარდებოდა. არათუ მიზანსწრაფვადაკარგული, არამედ თვით საკითხთა არსშიაც ვერგარკვეული ბრიტანეთი, საფრანგეთი თუ სხვა ქვეყნების უმეტესობა წრფელი გულით მიენდნენ ვეებერთელა ძალაუფლებითა და მიუკერძოებლობით აღჭურვილ შეერთებულ შტატებს; მოვლენები კი, მათივე მიყურისძირებით, თანდათანობით იმგვარად წა-



რიმართა და განვითარების ისეთ მწვერვალს მიაღწია, იმთავითვე შიშის ზარს რომ სცემდა ვეღას. საკმარისია ასეთივე კეთილი ზრახვებით გამსჭვალული, წინდაუხედავი საქციელის გამოვრება სადღეისოდ ჩვენ წინ წამოჭრილ უწვეულოდ ერთსახოვან, ახალ პრობლემებთან მიმართებაში, რომ ახლა უკვე მესამედ შევივრძნოთ ნიადაგის ისეთი რყევა, რომლის წყალობით ამბის მომყოლიც აღარაეინ დარჩება.

კიდევ უფრო ადრე, 1925 წელს, ჩაიწერე ზოგიერთი ჩემი მოსაზრება და ტექნიკური ხასიათის შენიშვნა, რომელთათვისაც გვერდის ავლას დღესდღეობით მართებულად ვერ მივიჩნევდი:

„ნუთუ არ არსებობს აქამდე შესწავლილზე გაცილებით უფრო ქმედითი საშუალებანი აფეთქების ენერგიის გამოყენებისა? ნუთუ არ მოიძებნება ყუმბარა, სიდიდით არა უმეტესი ფორთოხლისა და მატარებელი მთელი საცხოვრებელი მასივის გამანადგურებელი იდუმალი ძალისა; — უფრო მეტიც, ისეთი, ათასტონოვანი უკვამლო ღენთის ტოლფას ძალას რომ ითავსებდეს, რათა ერთი დაკვრით ალგავოს პირისხვან მიწისა მთელი დასახლებანი?! ნუთუ შეუძლებელია, რომ თუნდაც უკვე არსებული ასაფეთქებელა საშუალებანი ავტომატურად, უპილოტოდ იმართებოდეს თვითმფრინავებში, რადიო-თუ სხვა სხივების შეშვებით და უწყვეტ ნაკადად იზზაუნებოდეს მტრისეული ქალაქის, არხენალის, ბანაკისა თუ გემთსაშენის დასაბომბად?!“

რაც შეეხება მომწამლელ გაზებსა და ქიმიური ომის წარმართვის ყველანაირ სხვა ზერხს, ამის თაობაზე შემადრწუნებელი წიგნის მხოლოდ პირველი თავია დაწერილი. დიხაბაც, როგორც რაინს ვაღმა, ისე მის გამოღმა ისეთი მეცნიერული გულმოადგინებითა და მოთ-

მინებით იკვლევენ თითოეულს განადგურების ამ ახალ საშუალებათაგან, როგორც კი ხელეწიფება აღმოჩნს. და რად უნდა ვეუარაუდოთ ამ შესაძლებლობათა შემოფარგვლა არაორგანული ქიმიის დარგით?! ცხადია, არა ერთი და ორი დიდი სახელმწიფოს ლაბორატორიებში იკვლევ-იძიებენ სნეულებებს — მეთოდურად გამოწვეულ და აღმოჩენებსა თუ მხეცებში შეგნებულად გავრცელებულ სხვადასხვაგვარ მოარულ სენს. ხორბლულისათვის დამლუბველი ჟანგა, ცხენისა და საქონლისათვის მომაკვდინებელი ციმბირის წყლული, ჭირი, არათუ ჯარს, მთელს უბნებს რომ ეღება შხამად, — აი, ხარბიელი სამხედრო მეცნიერებისა, სადაც უღმობლად წინ მიიწევს იგი.“

ეს ვველაფერი თითქმის მეოთხედი საუკუნის წინაა დაწერილი.

საკესებით ბუნებრივია, რომ ომში ძლეული ამჟამ ხალხი მალევე ეშურება კვლავ იარაღით აღჭურვას. მას ვერ მოსთხოვ, მეტისმეტი სისათუთით მოეიდოს წნების ქვეშ ფოფნისას მისგან გამოძალული ხელშეკრულების შესრულებას.

„... თავისუფლება ავგხსნიდა აღთქმას, ნაშობს ტკივილით, ურგებსა და თვითნებობით თავსმოხვეულს.“

აქედან გამომდინარე, მძლეველს ეკისრება პასუხისმგებლობა იმაზე, რომ ძლეული მოქიმპე ნიდავ იარაღაყრღი ეგულუბოდეს. ამ მიზნის მისაღწევად მან ორმხრივ პოლიტიკას უნდა მიმართოს. ჯერ ერთი, თავად საკმარისად შეიარაღებულმა, დაულაღავად, მთელის გულისფრითა და დიდის ძალისხმევით უნდა იღვაწოს ხელშეკრულების იმ მუხლების ხორცშესახსმელად. მის გუშინდელ მეტოქეს სამხედრო ძალების აღდგენა-განახლებას რომ უკრძალავს. ამას გარდა, ყველა ღონე უნდა იხმაროს დამარცხებული ხალხის ბედთან

შესარიგებლად, მადლი ქნას და ხეავი და ბარაქა არ დაიშუროს ძლეული ქვეყნისათვის; ყოველნაირად გაისარჯოს საამიხოდ, რომ საფუძველი ჩაუყაროს ქვეშაირი მგვობობასა თუ ინტერესთა ერთიანობას, რათა სულ უფრო და უფრო ნაკლებად იჩინოს თავი იარაღისაკენ ხელახალმა სწრაფვამ. „მძლეველთაგან იარაღის დაყრაზე უფრო საშური ძლეულთა გულისტიკვილის დაამებაა“, — ამგვარია იმ წლების ჩემული ნააზრევი. როგორც ნახავთ, ბრიტანეთმა შეერთებულმა შტატებმა და საფრანგეთმა მეტწილად დინების საპირისპიროდ აიღეს გეზი. ამის თაობაზე კიდევ ბევრი რამ შეიძლება ითქვას.

შექმნა ისეთი არმიისა, ძლიერი ქვეყნის მთელ სამეოს რომ სწვდებოდეს, ვებერთელა სირთულის ამოცანაა. გამარჯვებულმა მოკავშირეებმა, ლოიდ ჯორჯის წინადადებით, გერმანული არმიის შემადგენლობა ახი ათას კაცამდე შეზღუდეს და აკრძალეს სავალდებულო სამხედრო სამსახური. გამოძინარე აქედან, ეს ძალა იქცა ჩანასახად და სასინჯ ქვად, საიდანაც — თუკი საამისოდ ვითარება მომწიფდებოდა — კვლავაც წარმოიქმნებოდა ლაშქარი, დამტვევი მილიონობით კაციხა. ახი ათასი კაცი იგივე იყო, რაც ახი ათასი წინამძღოლი. როგორც კი გადაწყდებოდა არმიის შემადგენლობის გაზრდა, რიგითები, შესაძლოა, სერჟანტებად მოგვლენოდნენ, სერჟანტები კი — ოფიცრებად. და მაინც, გერმანული არმიის აღორძინების ჩასაფუშად შემუშავებული ლოიდ ჯორჯისეული გეგმა არც თუ ურიგოდ გახლდათ ჩაფიქრებული. მშვიდობიანობის დროს უცხო თვალი ვერა და ვერ დაადგენდა, რა თვისებებით იყო დაჯილდოებული ნაწვალობევი ის ახი ათასი კაცი, მაგრამ, საბოლოო ჯამში, არც ამას ჰქონდა დიდი მნიშვნელობა. სამი-ოთხი მილიონი გაწვრთნილი ჯა-

რისკაცი მარტო გერმანიის სახელმწიფოს დაცვას დასჭირდებოდა. ისეთი ზოგადეროვნული არმიის შექმნა კი, საფრანგეთის არმიას რომ გაუტოლდებოდა, ან, მით უმეტეს, აჯობებდა, — მოითხოვდა არა მარტო მეთაურთა კადრების მომზადებასა და ძველი ბატალიონებისა თუ საბრძოლო წყობის აღდგენას, არამედ ყოველწლიური საყოველთაო სამხედრო სამსახურის დაწესებას წვევამდელთათვის. მოხალისეთა რაზმები, ახალგაზრდული მოძრაობის ორგანიზაციები, საპოლიციო და კონსტებლთა ძალების ნაირგვარი სახეცვლილებანი, ძველ თანამებრძოლთა ასოციაციები — ყველა ხაზის არაოფიციალური და არსებითად არალეგალური ორგანიზაცია თავის სიტყვას იტყოდა დროის გარკვეულ, შუალედურ მონაკვეთში. მაგრამ საყოველთაო სამხედრო სამსახურის გარეშე ჩონჩხი ფერხორცს ვერა და ვერ შეიხადდა.

გამომდინარე აქედან, იმ რამდენიმე წლის მანძილზე — ვიდრე სავალდებულო სამხედრო სამსახურის შემოღებამდე — გერმანიას არ გააჩნდა არანაირი შესაძლებლობა ისეთი ჯარის შექმნისა, ფრანგულ არმიას რომ გაუწვევდა მეტოქეობას. ეს ის ზღვარი იყო, რომელსაც ვერვის გადაბიჯებდა ვერხალის ხელშეკრულების ამკარა, შეუწყნარებელი უკუღებელყოფის გარეშე. წინდაწინვე შეიძლებოდა შენიღბული, კარგად გააზრებული, ოსტატური სამზადისის გაჩაღება, მაგრამ რუბიკონის გადალახვისა და გამარჯვებულებთან შებმის დროც უნდა დაძდგარიყო. მისტერ ლოიდ ჯორჯის პრინციპი, ამდენად, მყარ საფუძველს როდი იყო მოკლებული; ამისთანავე, სიღარბისილითა და კეთილგონიერულად რომ ყოფილიყო გამტკიცებული, ველარც გერმანიის სამხედრო მანქანა ამოქმედდებოდა ხელახლა. ყოველწლიურად გაწვეული წვევამდენი, რავინდ კარგად არ უნდა ყოფილიყვნენ წინასწარ გაწვრთნილნი, სულ მცირე ორი წლით მაინც უნდა დარჩენილიყვნენ საბოლოო თუ სხვა შენაერთებში, და მხო-

ლოდ ამ საწვრთნელი კადის გასვლის შემდეგ ხდებოდა შესაძლებელი თანდათანობით დარაზმვა და ჩამოყალიბება სათადარიგო ნაწილებისა, რომელთა თვინიერ წარმოუდგენელია თანამედროვე ჯარის არსებობა. საფრანგეთმა რომლის საძეო სასტიკად გასტეხა წელში წინანდელმა ომმა, მაინც შეძლო შეენარჩუნებინა რეგულარული უწყვეტი სამხედრო განაწესი ახალწვეულთა ყოველწლიური წვრთნისა და გაწვრთნილ ჯარისკაცთა გადაყენისა სათადარიგო შემადგენლობაში, რაც ამხელდა სრულიად ქვეყნის მამაკაცთა ბრძოლისუნარიანობას. მსგავსი სათადარიგო ნაწილების ყოლის უფლება ვერ მოიხვეჭა გერმანიამ თხუთმეტი წლის განმავლობაში. ამ წლებში გერმანელ ლაშქარს შეეძლო ელვიკებისა და ესათუებისა თავისი მებრძოლი სული და ტრადიციები, მაგრამ ოცნებითაც კი ვერ იოცნებებდა იმაზე, რომ მეტოქეობა გაეცნია კარგა ხნის წინ დაღვინებული, უხადო სრულქმნილებისათვის აკაზმული, გამობრძმედილი, ერთ ყალიბში მოქცეული მამაკაცური ძალმოსილებისა, ძალდაუტანებლად რომ მოედინებოდა ფრანგული სამხედრო ხისტიმის წიაღიდან და ღვარად იკვრებოდა.

1920-დან 1934 წლამდე მარსელის სკოლის ხელმძღვანელი არმიის საჭიროებათა განყოფილებაში იმის დასაბუთებას იკვლიდა, რომ ემოქმედა. ასე მაგალითად, ხელშეკრულება მოითხოვდა ოფიცერთა კორპუსის შემცირებას ოცდაათოთხმეტი ათასიდან ოთხი ათას კაცამდე. ვველა გზა მოიხიჯა ამ საბედისწერო დაბრკოლების გადასახალხავად და, მოკავშირეთა საკონტროლო კომისიის მეტადინეობის მიუხედავად, მაინც ვრძელდებოდა გვეგების შემუშავება გერმანული არმიის ასაღორძინებლად.

მტერმა (ამბობს სექტის ბიოგრაფი) ყოველი ღონე იხმარა გენერალური შტაბის გახანადგურებლად, რასაც მხარი აუბეს გერმანიაში არსებულმა პოლიტიკურმა პარტიებმა. სამოკავშირეთა ამორიხი კონტროლი, მისი თვალსაზრისით, წლების მანძილზე მართებულად ესწრაფოდა მაღალ ეშელონებში ერთობ მდარე საწვრთნელი სამუშაოების ჩატარებას, რათა გენერალურ შტაბს ვეღარ ებოვიანა. ისინი გაბედულად შეეცადნენ იმის გამოძიებას, თუ როგორ წვრთნიდნენ გენერალური შტაბის ოფიცრებს, მაგრამ ჩვენც ყოჩაღად დავუხვდით და ვერაფერს გამოგვრჩენენ, — ვერც ხისტიმისა გაიგეს რამე და ვერც სწავლებისა. სექტი არ გატყდა, რადგან გენერალური შტაბი რომ დამოლიდიყო, გაჭირდებოდა მისი აღდგენა..... და თუმც იერსახე უთუოდ უნდა შებღალულიყო, არსი ვადარჩა. მართლაც, ბერლინში თავი მოეყარა სამოქალაქო ტანსაცმელში ვადამულ ასი ათას შტაბის ოფიცერს თანაშემწეებითურთ, რეკონსტრუქციის, მეცნიერებისა და კულტურის დარგების წარმომადგენლებად რომ ახალგაზრდნი თავს და წარსულსა თუ მომავალზე ხაგულდაგულო ფიქრსა და განსჯას მისცემოდნენ.

რაბენაუ ამ ამბავს ასეთნაირად განმარტავს:

„სექტი რომ არა, დღესდღეობით (1940 წელს) არც ის გერმანული აზრისმიერი გენერალური შტაბი გვექნებოდა, თობათა ძალისხმევის ნაყოფი რომაა და ერთ და ორ დღეში რომ ვერა და ვერ

მომავალი გერმანული არმიის ბირთვისა და სტრუქტურის შემოქმედი ვახლდათ გენერალი ფონ სექტი. ვერ კიდევ 1921-ში სექტი იმით იყო დაკავებული, რომ — მალულად იქნებოდა ეს საჯარო გამოსვლებში — სრულფასოვანი გერმანული ჯარის შექმნას გვემედა და მოკრძალებულად ეკამათებოდა კონტროლის სამოკავშირეთა ამორიხი სამხედრო კომისიას თავისი მრავალმხრივი მოღვაწეობის თაობაზე. 1840 წლის საზეიმო დღეებში მისი ბიოგრაფი ვენერალი ფონ რაბენაუ წერდა: „მწელი იქნებოდა იმ სამუშაოს ჩატარება, 1935-1939 წლებში რომ განხორციელდა,

შეიქმნება, რაკინდ ნიჭიერებითა და გულმოდგინებით იყოს აღბეჭდილი ოფიცერთა მოღვაწეობა. ცნების განუყოფლობაა წინამძღოლობის უსაშისროების უტყუარი საწინდარი სინამდვილის მშფოთვარე გამოცდათა ხანაში. ცალკეულ პიროვნებათა უნარიანობა და განსწავლულობა აღარა კმარა. ომიანობისას აუცილებელია შინაგანი თანაზიარობით აღბეჭდილი უკიდურესი გონებამოქნილობა უმრავლესობისა, ამისათვის კი ათწლეულებია საჭირო... სუსტი, ასიათასიანი არმიის პატრონებს თუ არ გვხურდა, რომ გენერლებიც უუნარონი გამომდგარიყვნენ, უცილობლად ფართო ასპარეზი უნდა დაგვეთმო თეორიული აზრისათვის. ამ მიზნით შემოიღეს ჯარების ფართომასშტაბიანი პრაქტიკული სამწვობრო მზადება და სამხედრო ასპარეზობანი... არა იმდენად გენერალური შტაბის საწრთობად, რამდენადც მეთაურთა უმაღლესი კატეგორიის დასაარსებლად“.

ეს უკანასკნელი შეიძლებდნენ ჰემ-მარიტი სამხედრო კატეგორიებით აზროვნებას.

სექტი დაეინებით მოითხოვდა თავის დაღწევას ცრუ დოქტრინებისაგან, მავანთა და შავანთა დიდი ომიდან გამოყოლილი პირადი გამოცდილებითგან რომ მომდინარეობდა. ამ ომის ყოველი გაკეთილი გულმოდგინედ და სისტიმურად შეისწავლებოდა. შემოიღეს წვრთნის ახალი პრინციპები და უაღრესად მრავალფეროვანი სასწავლო კურსები. ყველა არსებული ცნობარი თუ სახელმძღვანელო ახლიდან გადაიწერა არა ასიათასიანი არმიის, არამედ გერმანული რაიხის შეიარაღებულ ძალოსათვის. გულის გამაწვრილებელი ცნობისწადილით შეპყრობილ მოკავშირეთათვის თევზის ასაბნევად. აბირებულად ქვეყნდებოდა ნაწყვეტები ამ სახელმძღვანელოებიდან; შინაგანი ჯარებისათვის გამიზნული ცნობარები კი საიდუმლოდ ინახებოდა. ამოსავალ წერტილად იქცა ყველა სახის შეიარაღებულ ძალთა უმჭიდროესი თანასაქმიანობა. ტაქტი-

კურად უნდა გადაჭლართყოფილ ეროვნებაში არა მარტო ძირითადი სახეობანი ჯარისა, როგორცაა ქვეითი თუ მოტორიზებული ცხენოსანი ჯარი და არტილერია, არამედ ასევე უნდა შეთანხმდებულყოფილ სატყვიამფრქვევო, ნაღმსატყორცი, საავტომატო ქვედანაყოფები თუ ტანკსაწინააღმდეგო აღჭურვილობა, სამხედრო-საჰაერო ესკადრონები და კიდევ ბევრი სხვა მისთანა. სწორედ ამას მიაწერეს გერმანელმა სამხედრო მესვეურებმა თავიანთი ტაქტიკური წარმატებანი 1939-1940 წლების კამპანიაში. 1924 წლისათვის სექტს უკვე შეეძლო ეგუანა, რომ გერმანული არმიის ცხოველყოფილობა ძალას იკრეფდა და თანდათანობით გადალახავდა ასიათასიანი არმიისათვის დადებულ მიჯნას. „ამან მხოლოდ ათი წლის შემდეგ გამოიღო ნაყოფიო“, — გვამცნობს მისი ბიოგრაფი. 1925-ში მოხუცმა ფელდმარშალმა ფონ მაკენზენმა სექტს რაიხსვერის აშენება მიულოცა და არც თუ უმართებულოდ შეადარა იგი შარნჰორსოს, რომელმაც მალულად მოამზადა საპასუხო იერიში ნაპოლეონის წინააღმდეგ იენის შემდეგ საფრანგეთის გერმანიაზე გაბატონების წლებში. „უწინდებური ცეცხლი კლავაც გიზგიზებდა და სამოკავშირეთაშორისო კონტროლისაგან თვალმედვეობამ ვერ წაშალა უცვეთი ნიშანკვალი გერმანიის ძლევამოსილებისა“.

1926 წლის ზაფხულში სექტმა ჩაატარა თავისი ყველაზე დიდი სამხედრო-სამწვობრო შეცადინეობა მეთაურთათვის... ლაშქარი არა მხოლოდ, მაგრამ არსებითად ყველა გენერალი, ხელმძღვანელი ოფიცერი თუ გენერალური შტაბის ოფიცრობა აზიარა სამხედრო ხელოვნებასა და მის ურიცხვ ტექნიკურ პრობლემას, გამომდინარე მასშტაბებიდან გერმანული არმიისა, რომელსაც, თავის დროზე, გერმანელი ერი უწინდებურ სიმაღლეებზე უნდა აეტყორცნა.



რამდენიმე წლის განმავლობაში მცირე მასშტაბებში ზორციელებოდა ჯარისკაცთა მოკლევადიანი წვრთნა ოფიციალურად დაწესებული ჩარჩოების დარღვევით. ეს ჯარისკაცები „შავებად“ ანუ არარეგულარულად მონათლეს. 1925 წლიდან მოყოლებული, „შავების“ ხფერო მთლიანად რაიხსვერის სამინისტროს ხელში მოექცა და მას ეროვნული ფონდებიდან უმართავდნენ ხელს. გენერალური შტაბის მიერ 1925 წელს შემუშავებული გეგმა, რომელიც არმიის სრულყოფასა და რიცხოზობის ზრდას გულისხმობდა იმ ზღუდეების მოშლის საფუძველზე, სამშვიდობო ხელშეკრულება რომ ითვალისწინებდა, მიზნად ისახავდა იმხანად არსებული შვიდაღეგარული ქვეითი დივიზიის ჯერ გაორმაგებას, შემდეგ კი — გასამშავებას. თუმცა, სექტის საბოლოო მიზანი იყო, სულ ცოტა, სამოცდასამი დივიზიის ჩამოყალიბება. 1926 წლიდან ამ გეგმის განხორციელებას უმთავრესად წინ ეღობებოდა პრუსიის სოციალისტური ზელისუფლება. მალე ეს დაბრკობაც აღმოიფხვრა. 1933 წლის აპრილამდე ოფიციალურად არ უღიარებიათ ასიათასიანი არმიის ზღვრული რიცხოზობის გადაშტაბა, თუმცა იგი უკვე კარგა ხანია ღონეს იკრეფდა და მოსთვის დაწესებულ ზღვარს სცილდებოდა.



სწორედ იმ დროს, ლოკარნოს მოლაპარაკების შემდეგ კეთილმოხურნობისა და სასოების განწყობილებამ რომ დაინადგურა, ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობებმა მიიღეს საექსპო, თუმცა არა საბედისწერო, გადაწყვეტილება. სამოკავშირეთაშორისო კონტროლის კომისიას უნდი გამოსთხოვებოდნენ და ადგილი დაეთმოთ ერთა ლიგის მიერ შემუშავებული მსგავსი კვლევითი სისტემისათვის, აქეთა თუ იქითა მხარის მოწადინებისთანავე რომ ამოქმედდებოდა. ვარაუდობდნენ, რომ ამგვარი ღონისძიება, „მთიობი“, № 5.

ნისძიება სრულქმნიდა ლოკარნოს ხელშეკრულებას. იმედი გაცრუდა. მარშალმა ფოშმა განაცხადა, რომ გერმანია მართლაც სამაგალითოდ განაიარაღეს; ოღონდაც, საჭირო იყო იმის აღიარება, რომ სამოცდახუთმილიონიან ერს სამუდამოდ ვერ აჰყრიდი იარაღს და აუცილებელი იყო გარკვეული ზომების მიღება. დაბოლოს, 1927 წლის იანვარში კონტროლის კომისია გაიწვიეს გერმანიიდან. ამასობაში ცნობილი შეიქნა, რომ გერმანელები ათასნაირი შენიღბული თუ ფარული ზრიკით აუკუღმართებდნენ ხელშეკრულების შინაარსს და უთუოდ შვეით თეთრზე იბეჭდადნენ თავიანთ ჩანაფიქრს კვლავ მეომარ სახელმწიფოდ გარდასახვისა. უკვე ჰყავდათ ბოისკაუტები, კადეტთა კორპუსი და როგორც ახალბედა, ისე ხანდაზმულ მოხალისეთაგან შემდგარი არაერთი ორგანიზაცია სამხედრო აკაზმულობის გარეშე და მიინც, აღიარების თვინიერ, ვერც არშია და ვერცა ფლოტი ბევრს ვერაფერს გააწყობდა. საუღღებულო სამსახურის შემოღება, სამხედრო-საჰაერო ძალების ჩამოყალიბება თუ სამხედრო გემთმშენებლობისათვის საფუძვლის ჩაყრა, ხელშეკრულებით დაწესებულ ფარგლებს რომ სცილდებოდა, გერმანელთაგან ვალდებულებათა აშკარა შეუსრულებლობას ნიშნავდა, რის თაობაზეც ნებისმიერ დროს შეიძლებოდა საკითხი წამოეჭრა ერთა ლიგას, რომლის წევრობაც გერმანიას უკვე გავინადლებინა.

საჰაერო საზღვრების დაწესება გაცილებით უფრო რთული იყო. სამშვიდობო ხელშეკრულება გერმანიას უკრძალავდა სამხედრო ავიაციის ყოლას და 1920 წლის მაისში იგი ოფიციალურად დაიშალა. თავის გამოსათხოვარ განკარგულებაში სექტი იმედს გამოთქვამდა რომ ის კვლავაც აღორძინდებოდა, მაშინვე კი არ განუღებოდა მისი სულისკვეთება. იგი იმთავითვე ყველანაირად ზურგს უმაგრებდა ამ თაოსნობას. მისი პირველი ნაბიჯი იყო რაიხსვერის სამინისტროს ფარგლებში ავიაციაში ნამსა-

ხურევი გამოცდილ ოფიცერთა იმ საკან-
გებო ჯგუფის შექმნა, რომლის არსებო-
ბასაც უმაღლესდენ მოკავშირეთა საკონ-
ტროლო კომისიას და რომელსაც იფა-
რავდნენ თავისივე საკუთარი მთავრო-
ბისაგან. ეს ჯგუფი ნელ-ნელა იზრდე-
ბოდა, ვიდრე სამინისტროში შემავალ
ნაირგვარ სამმართველოებსა თუ საინ-
სპექციო ორგანოებში არ შეიქმნა „სა-
ავიაციო უჯრედები“, სამხედრო-საჰაერ-
ო პერსონალი კი თანდათანობით არ
შეიჭრა არმიის კადრებში. სამოქალაქო
ავიაციის დეპარტამენტის სათავეში იღ-
ვა სექტისაგან ხელდასხმული, ომგამოვ-
ლილი და ნაცადი ოფიცერი, რომლის
მოღვაწეობაც იქითკენ იყო მიმართული,
რომ სამოქალაქო ავიაციის განვითარე-
ბა და მასზე მეთვალყურეობა სამხედრო-
საჰაეროებათათვის შეეხამებინა. ეს დე-
პარტამენტი, ისევე, როგორც გერმა-
ნიის სამოქალაქო ავიატრანსპორტის
სამმართველო და ბევრი-სხვა შენიღბუ-
ლი სამხედრო თუ საზღვაო-საჰაერო
დაწესებულება, უმეტესწილად დაკომ-
პლექტებული იყო ყოფილ ოფიცერ-
მფრინავთაგან, რომელთაც ბევრი არა-
ფერი გაეგებოდათ კომერციული ავია-
ციისა.

გერმანიაში ჯერ კიდევ 1924 წლამ-
დე ჩაიხსნა აეროდრომებისა თუ სამო-
ქალაქო თვითმფრინავმშენებლობის ქარ-
ხნების ქსელი და ხელი მიჰყვეს პილო-
ტების წვრთნასა და პასიური საჰაერო
თავდაცვის კურსის სწავლებას. უკვე
გონივრული თანამიმდევრულობით იკ-
ვეთებოდა კომერციული ავიაციის გან-
ვითარების უტყუარი ნიშნები, ხოლო
საპლანური კლუბების ქსელის წარმო-
ქმნამ ფრენოსნობის საღერდელი აუშა-
ლა არა ერთსა და ორ გერმანელს — კა-
ცხა თუ ქალს. ფრენოსნობის უფლება-
მინიჭებულ მოსამსახურეთა რაოდენობა
ქალღმად მკაცრად იყო ჩარჩოვებში მო-
ქცეული. თუმცა ამ წეს-კანონებს, ისევე,
როგორც ბევრ სხვას, გვერდი აუარა
სექტმა რომელმაც გერმანიის სატრან-
სპორტო სამინისტროს ფარული შეკუ-
ლიანებით წარმატებით გაართვა თავა

მყარი საფუძვლის ჩაყრას ურეგულურ
მართული საავიაციო მრეწველობის
მომავალი სამხედრო-საჰაერო შეიარა-
ღებისათვის. ამ წრეგადასულობისათ-
ვის გერმანელთათვის მთლად ველში ხე-
ლის წაჭერა მათი ეროვნული ღირსების
შელახვა იქნებოდა, — ასე განსაჯეს 1926
წლის სულიკვეთებით გამსჭვალულმა
მოკავშირეებმა, პოლა, გამარჯვებულე-
ბა ის სამართალი იქმარეს, გერმანელებს
სამხედრო-საჰაერო ძალების ყოლას
რომ უკრძალავდა. ამას ცხადყოფდა
ძალზე მკრთალი და ბუნდოვანი საზ-
ღვალი.

საზღვაო ფლოტთან მიმართებაშიაც
მსგავს ხრიკებს იშველებდნენ გერმა-
ნელები. ვერსალის ხელშეკრულების მი-
ხედვით გერმანიას უფლება ჰქონდა
შეენარჩუნებინა მხოლოდ მცირე ოდენ-
ობის სამხედრო-საზღვაო ძალები, დი-
დი-დიდი, თხუთმეტი ათასი კაცი შე-
მადგენლობით. ამ შემადგენლობის გა-
საზრდელად რა ხიმამსკობას აღარ მი-
მართავდნენ ისინი! სამოქალაქო სამი-
ნისტროთა შემადგენლობაში მალულად
ჩართეს სამხედრო-საზღვაო ორგანიზა-
ციები. არც კუნძულ ჰელიგოლანდზე და
არც სხვაგან არ მოუშლიათ არმიის სა-
ნაპირო სიმაგრეები, როგორც ამას სამ-
შეიღობო ხელშეკრულება აწესებდა და
ხულ მალე მათ დაუფლდა გერმანული
საზღვაო არტილერია. გერმანელები
ნების დაურთველად აგებდნენ წყალქვე-
შა ნაუებს, მათი ოფიცერები და მეზღვა-
ურები კი სხვა ქვეყნებში ეწაფებოდნენ
სამხედრო ხელოვნებას. რაც კი შეიძ-
ლებოდა, ვველაფერი კეთებოდა კაიზე-
რის ფლოტის გადასარჩენად და იმ დღი-
სათვის თადარიგის დასაჭერად, როდესაც
იგი კვლავ დაუფარავად შეიძლებდა
თავისი ადგილის მოპოვებას ზღვათა
ზედა.

ერთობ საგულისხმო სხვა მიმართები-
თაც ხერითხულ პროგრესს მიაღწიეს.
ჰერ რატენაუმ, რეკონსტრუქციის სამი-
ნისტროში თანამდებობაზე ყოფნისას
1919 წელს, ერთობ ფართო გახსიანა
მისცა გერმანიის სამხედრო ინდუსტ-



რიის აღორძინებას. „ოქვენს იარაღს მუსრი ვააუღეს, მაგრამ მას მაინც უცილობლად ვაფლი ვაუვიდოდა შემდეგი ომის დაწყებამდე. იმ ომში უახლესი იარაღით იომებთ და ჯარსაც რაც ნაკლებად ექნება შებორკილი ხელ-ფეხადრომოქმული აღჭურვილობით, მით მეტ უპირატესობას მოიხვეჭსო“, — არსებითად ამგვარი რამ უთქვამს მას გენერლებისათვის.

და მაინც, მთელი იმ წლების მანძილზე, გერმანელებზე მეთვალყურეობა რომ იყო დაწესებული, მათი სამხედრო პირები მედგრად იბრძოდნენ იარაღის დასანარჩუნებლად. ყოველი ხრიკი, გზების დახლართვის ყოველგვარი მცდელობა თავგზას უზნეულად მოკავშირეთა კომისიას. ზედმიწევნით მწყობრი ხასიათი მიიღო ათასნაირი ფანდისა თუ ილეითს მოხმარიებამ. გერმანული-პოლიცია, თავდაპირველად ვველაფერში ცხვირს რომ ყოფდა, თანდათანობით რაიხსვერის თანამონაწილე შეიქნა იარაღის შუგროვების საქმეში. შეიქმნა ორგანიზაცია, სამოქალაქო ფორმით შენიღბული იარაღაღჭურვილობის მარაგს რომ იცავდა. 1926 წლიდან ამ ორგანიზაციის წარმომადგენლები სრულიად გერმანიას მოედვნენ და მალე მთელი ქსელი ჩამოყალიბდა ვველანაირი საწყობებისა. კიდევ მეტი ქმედითუნარიანობა გამოავლინეს სამერმისოდ მახალათა წარმოებისათვის საჭირო მანქანა-დანადგარების გამართვისას. სამხედრო მიზნებისათვის ვარგისი სახარატო ჩარხები, რომელთა გამოყენება იქნება კვლავაც დასჭირებოდათ ამავე მოსაზრებებით, იმაზე გაცილებით მეტი რაოდენობით შეინარჩუნეს სამოქალაქო საწარმოებში, ვიდრე ამას ჩვეულებრივი კომერციული საჭიროებანი მოითხოვდა. ომის დროს გამართული სახელმწიფო არსენალები არ დახურულა, თუმცა ამას გულისხმობდა სამშვიდობო ხელშეკრულება.

ასე რომ, ამოქმედდა ერთიანი პროგრამა, რომლის თანახმადაც ვველა ახალი, ისევე როგორც სარეკონსტრუქციო საქმიანობისათვის შემოთავაზებულია

ამერიკული და ბრიტანული მეშვეობით აგებული ბევრი ძველი ქანახანა, იმთავითვე განსაზღვრული იყო სამხედრო წარმოებაზე ერთბაშად გადასასვლელად; და ტომეულები შეიძლება მიუძღვნა იმას, თუ როგორი ზედმიწევნითი საფუძვლიანობითა და გამოწვლილვითი ჩაიკრიტებით ივეგებოდა ეს ვველაფერი. ჰერ რატენაუ იმ ანტიემპიტური და ახლადგამოჩენილი ნაციტური საიდუმლო ორგანიზაციების მიერ ჩაფიქრებული მხეცური მკვლელობის მსხვერპლი შეიქნა, რომელთაც თავიანთი კაცთმოძულეობა გერმანიისათვის ერთგულად დამაშურალ ამ ებრაელზე ვადმოანთხიეს. 1929 წელს ზელისუფლებაში მოქცეული ჰერ ბრაუნინგის ყოველი ქმედება დიდი გულმოდგინებითა და წინდახედულებით ვახლდათ აღბეჭდილი. ასე რომ, იმ დროს, როცა გამარჯვებული სახელმწიფოები მათ ხელთ დახვევებული დრომოქმული იარაღის იმედად დარჩენილიყვნენ, გერმანიაში წლიდან წლამდე იქმნებოდა უზარმაზარი პოტენციალი ახალი სახეობის საბრძოლო აღჭურვილობის საწარმოებლად.

1919-ში სამხედრო კაბინეტის გადაწყვეტილებით დამხმარე დეპარტამენტებს თავიანთი ხარჯთაღრიცხვა, როგორც შემადგენელი საწილი ეკონომიკური კამპანიისა, უნდა ვაეთვალათ იმ ანგარიშით, რომ „ბრიტანეთის იმპერია არ ჩაებმებოდა არც ერთ დიდმასშტაბიან ომში შემდგომი ათი წლის განმავლობაში და არანაირი საექსპედიციო ვარების საჭიროება არ შეიქმნებოდა“... 1924-ში, დიდი ბრიტანეთის ფინანსთა მინისტრი რომ ვავხდი, საიმპერატორო დაცვის კომიტეტს ვთხოვე, ვადეხინჯა ეს დადგენილება, მაგრამ მიხი ვადახალისების მიზანშეწონილობის ვადასტურებელი არანაირი ვამოხმავურება ამას არ მოვყოლია. 1927-ში სამხედრო სამინისტრომ წამოჭრა საკითხი 1919-

მიღებული გადაწყვეტილებების „დღეის იქით“ მხოლოდ ათწლიანი უფლებამოსილების შესახებ არმიასთან მიმართებაში. ეს წინადადება მიზანშეწონილად მიიჩნია როგორც სამხედრო კაბინეტმა, ისე საიმპერატორო დაცვის კომიტეტმა. ამ საკითხზე შემდგომი მსჯელობა გაიმართა 1928 წლის 5 ივლისს, როდესაც გამოუთქვი ჩემი კეთილგანწყობის მადასტურებელი ვარაუდი იმის თაობაზე, რომ „დამხმარე დეპარტამენტთა ხარჯთაღრიცხვის ქვაკუთხედი უნდა დაფუძნებოდა მტკიცებას, რომელიც გამორიცხავდა დიდ ომში ჩაბმას მომდევნო ათწლეულში და რომ ეს ქვაკუთხედი დღითიდღე უნდა გამყარებულიყო, გარნა იგივე მოსაზრება ყოველწლიურად უნდა გადაეხინჯა საიმპერატორო დაცვის კომიტეტს“. ეს საკითხი დიად დატოვეს და მისი გადაწყვეტა მიანდეს ნებისმიერ დამხმარე დეპარტამენტსა თუ დომინიონ მთავრობას, რომელიც კვლავ წამოჭრიდა მას, თუკი საჭიროდ მიიჩნევა.

ცხადი შეიქნა ის, რომ ამ პრინციპის აყვალამ სამხედრო უწყებებს უსაშიშროების ცრუ რწმენა ჩაუნერგა; ის, რომ მაძიებელი გონება დაიბინდა; და რომ ისეთმა აზრებმა იბარტყა, რომელთაც დიდი დღე არ ეწერათ, მით უფრო, თუ საქმე ხარჯებზე მიდგებოდა. 1929 წლამდე, ვიდრე სამინისტროდან წავიდოდი, იმდენად სარწმუნოდ მესახებოდა მსოფლიოში მშვიდობიანობის შენარჩუნება, რომ ვერ ვხედავდი მიზეზს რაიმე ახალი გადაწყვეტილების მიღებისა; არცა ვაგრძეობათ დაუდასტურები-

ათ ჩემი თვალსაზრისის უმართლმართლობა. 1939 წლის შემოდგომამდე არანაირ ომს არ უფეთქია. ათი წელი მართლაც რომ ბევრია ამ წუთისოფლისთვის. ათწლიანმა დადგენილებამ, დღითიდღე რომ მყარდებოდა, 1932 წლამდე გაძლო, ვიდრე 23 მარტს მისტერ მაკდონალდის მთავრობამ მართებულად არ აღიარა, რომ მისი წაბრძანება, ალბათ, შესაწყნარისად ჩაითვლებოდა.

მთელი ამ ხნის განმავლობაში მოკავშირეებს ჰქონდათ იმდენი ძალა და უფლება, ნებისმიერ დროს წინ აღსდგომოდნენ გერმანიის ხელახალ შეიარაღებას, საგრძნობიც რომ იყო და თვალშისაცემიც; ხოლო გერმანია უნდა დამორჩილებოდა ბრიტანეთის, საფრანგეთისა და იტალიის მტკიცე და ერთსულოვან მოთხოვნას და თავისი ქმედებანი დაექვემდებარებინა სამშვიდობო ხელშეკრულებათა გადაწყვეტილებებისათვის. ამ რვაწლიან ისტორიულ მონაკვეთს — 1930-დან 1938-მდე — კიდევ ერთხელ რომ გადავავლებთ ხოლმე თვალს, მაშინდა ვხვდებით, თუ რამდენი დრო ყოფილა ჩვენს განკარგულებაში. თუ უფრო მოგვიანებით არა, 1934 წლამდე ხომ მაინც შესაძლებელი იყო გერმანიის ხელახალი შეიარაღების თავიდან არიდება ისე, რომ ამას ერთი ადამიანის სიცოცხლეც კი არ შესწირვოდა მსხვერპლად! დროის უქონლობა არაფერ შუაშია.

ინგლისურიდან თარგმნა
რუსულად მანათიასკი





სტრიქონები ჩატეული სიბრძნე და ფერები

ლექსებს ნულარ დამიტოვებ უოქმელს,
რათა ქვაში ია გამოვკვეთო,
უსიძლეროდ გატარებულ წუთებს
სიცოცხლეში ნუ ჩამითვლი, ღმერთო!

ეს სტრიქონები პოეტ ომარ შამათავას კეთენის. იგი ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის ნაკლებად ცნობილი როგორც პოეტი, თუმცა რა გასაკვირია, ბოლო წლებამდე მისმა ზოგიერთმა ახლო მეგობარმა კი არ იცოდა, რომ იგი ლექსებს წერდა.

ო. შამათავას პირველი პოეტური კრებული „სულის სიმები“ 1994 წელს გამოიცა, რომელშიც თავმოყრილია უკანასკნელი ექვსი წლის მანძილზე შექმნილი ლექსები, რომლებიც ავტორს თავადვე დაუფიქრებია პოეტურ ციკლებად: გულთამბილველი; საქართველო – სატკივარი გულის; ფილოსოფიური გააზრებანი; მოზაიკური სურათები; ფერების ფერება; არ შეკვეცია ოცნებას ფრთები; გადაუხდელი ვალი.

„ომარ შამათავა სიყვარულის პოეტია. მშობლიური მიწის და ენის სიყვარულმა შექმნა იგი პოეტად“, – წერს არჩილ სულაკაური წიგნის წინასიტყვაობაში, „სიყვარულის პოეტი“ რომ უწოდა. კრებულში მითავსებული ლექსების კითხვისას ვრწმუნდებით ამ შეფასების ჭეშმარიტებაში. პოეტი ისე თავდავიწყებით უმღერის ქართულ ცას, ქართულ ენას, ქართულ ჩუქურთმასა და ფრესკას, უღამაზეს ქართულ ბუნებას, ისე რომანტიულადაა წარმოჩენილი სურათები საქართველოს წარსულიდან, ისე მძაფრადაა განცდილი დედა საქართველოს ახ-

ალი იარები და ტკივილები, არ შეიძლება ეჭვი შეგეპაროს მის უზალო ერისკაცობაში.

„ზღაპრული სფინქსის სულის მქონე“, „ორ ზღვას შუა ჩაკარგული“, „გულში მოსაძებნი“, „საირმე და საარწივე მხარე“ არის ის, ურომლისოდ პოეტს სიცოცხლეზე ფიქრიც არ უნდა, ჩვენს ქართველობას, მაშასადამე, ჩვენს არსებობას, აზრი არა აქვს, „თუ საქართველო არ იხედება მარადისობის ლურჯი სარკმლიდან“. სწორედ ამიტომ განსაკუთრებით უნდა გვეშინოდეს მისი დაკარგვისა, უნდა გავუფრთხილდეთ მის სიყვარულს, რადგან სწორედ ხამშობლოს სიყვარულია ღვთაებრივი ნიჭის შუქი, – ასე მიაჩნია პოეტს და ყოველი ლექსით ცდილობს ამ ნიჭის ნაპერწკალი კოცონად ააბრიალოს ყოველი ქართველის გულში. იგი წარსულიდან გამოუხმობს თავდადებულ ქართველებს: თორელსა და კახაბერს, დადიანსა და ჭყონდიდელს, პატახასა და შანშე ერისთავს და სხვებს, რათა ცხოვრების ლაბირინთებში შუქურასავით გვინათებდნენ გზას. თუ გვინდა ისე შევძლოთ დავითობა, ცოტნეობა, თველორობა, თუ გვსურს ჩვენს მომავალს სუდარა არ დაეფაროს და საქართველო რუკიდან არ გაქრეს, მუდამ უნდა გვახსოვდეს დიდგორი და ბასიანი, ბაზალეთი და კრწანისი. და, რაც მთავარზე უმთავრესია, თუ გვინდა ჩვენმა შეილებმა იქართველონ, საქართველო უნდა ვასწავლოთ, რადგან „ვისი წყალიც დალია, მისი ალიკვალა“, – ასე სწამს პოეტს და ცდილობს ეს რწმენა ჩვენც ჩავგინერგოს.

გულთამხილველობის ნიჭი უდიდესი ნიჭია ლეთისაგან ბოძებული, ამ ნიჭით არიან დაჯილდოებული ხელოვანი ადამიანები, ომარ შამათავას ლექსებიც სწორედ ამ ნიჭითაა ვაცისკროვნებული, მისი სტრიქონები თითქოს გულს ვიხსნიან და მასში დავენებულ ტკივილსა თუ სიხარულს იზიარებენ. ყოველივე ეს კარგად ჩანს ჩვენს დღევანდლობაზე შექმნილ ყოფით ლექსებში.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კრებულში თავმოყრილია უკანასკნელი ექვსი წლის მანძილზე შექმნილი ლექსები. ჩვენთვის, მკითხველისათვის კი კარგადაა ცნობილი, თუ ეს ექვსი წელი რა ექვსი წელი იყო — ქარიშხლიანი ვნებების, სიცოცხლური გარდაქმნების, სულიერი გარდატეხის, ზნეობრივი გარდასახვის სისხლიანი და კვამლიანი წლები. რა თქმა უნდა, ამ მოვლენებს გვერდს ვერც ო. შამათავა აუვლიდა. იგი მტკივნეულად განიცდის ცხოვრების უკუღმართობას და სულიერ ვადარჩენას რწმენაში ხედავს:

„ღმერთო, შენთან,
ღმერთო, შენით,
ღმერთო, მხოლოდ შენდა!
შენი რწმენა თუ მიშველის
სულის მოსარჩენად“.

პოეტი ისევ და ისევ საქართველოს და ქართულ ენას აკედრებს გამჩენს. იგი ჯერ კიდევ 1988 წელს ვეაფრთხილებდა: „ნუ შევიქნებით ისე მკაცრები, არ დაეპბრუნეთ მიწაზე ღმერთი“.

კრებულის წინასიტყვაობაში მოხსენიებული რომ არ ყოფილიყო პოეტის პროფესია, ამის გამოცნობა არ გააკვივრებდა. მისი ლექსების დახმარებით. მისი პოეტური ციკლი „ფილოსოფიური გააზრებანი“ მიზნად ისახავს გააცნობიეროს სიკეთისა და ბოროტების, სიცოცხლისა და სიყვარულის საკითხები, შთაავონოს თანამემამულეებს თავისუფლებისათვის ბრძოლის არსი. ფილოსოფიური ციკლის ლექსებში ორიგინალური პოეტური სენტენციებია. პოეტი ცდილობს

წარსული ცხოვრების ცოდნის, ჯე ქეხე ქ რძის შუქით ვაანათოს რძე ქეხე ქ ნაალმდევეობებით აღსაქვე დღევანდელი ცხოვრების ლაბირინთები და გვაფრთხილებს:

„სანამ ბლაგვი თოხი გდია მოსაპირი,
სანამ სხვისი ჭირი არის ღობის ჩხირი,
სანამ მოფეხისთვის ხელის შემშველება
სისხლში არ გაგვიჯდა, — არა
გვეშველება“.

სიყვარულმა ასაკი არ იცისო ამბობენ და, რა თქმა უნდა, ვიდრე ადამიანი ცოცხალია, უსიყვარულოდ რა გააძლევიანებს! თანაც პოეტის სიყვარულს არასდროს ეკვეცება ფრთები, რადგან ნამდვილი, წრფელი სიყვარული მარადიულია. ეს უღამაზესი და უფაქიზესი გრძნობა ასევე ლამაზად და უფაქიზადაა გაღმოცმული შამათავას პოეტურ ციკლში „არ შეკვიცია ოცნებებს ფრთები“. იმ პირველი ფაწვილური სიყვარულის შემდგომ, რომელიც უპასუხოდ დარჩა, არ შენკლებულა პოეტის გულში სიყვარულისაკენ ღტოლვა, რადგან, როგორც თავად ამბობს, „უსიყვარულოდ, იავ, ყოფნას რა ყოფნა ჰქვია?!“ პოეტი უდიდესი სიბოთით ხატავს შეყვარებულნი ადამიანის სახეებს, თვითონაც გულში უსაზღვრო სიყვარულის მატარებელი, ცდილობს მოეფეროს ყველა შეყვარებულს. და ღმერთს ევედრება შეყვარებულთა წყაროსთან მისავალი გზა-ბილიკები არ მოგვიშალო, რამეთუ სიყვარულია, საყვაროს რომ ამოძრავებს, ის ლეთიური ძალა.

ასეთივე სინაზება ჩაქსოვილი ლექსებში, სადაც თავის ბავშვობას იხსენებს. „მისი მეხსიერება დახუნძლულია კოლხური შთაბეჭდილებებით, — წერს ა. სულაკაური, — იმ ადამიანებით, იმ ყოფით, თუნდაც იმ საგნებითა და ნივთებით, რომელთა შორის დაიბადა, გაიზარდა და ცხოვრების გარკვეული გზა გაიარა“. ამიტომაც სწორედ ასე შთაბეჭდავი ეს სურათები. ბავშვობა, როგორც ლამაზი ოცნება, ბავშვობა, როგორც ჯადოსნური

ზღაპარი ადამიანის გულში ღამაზ მო-
გონებად რჩება. ამიტომაა მიმზიდველი
ის მეგრული კოლორიტი, რაც ასე სა-
თუთადაა ახახული ო. შამათავას ლექსე-
ბში.

საერთოდ უნდა შევნიშნოთ, ომარ შა-
მათავა ფერების ოსტატია. მისი ლექსე-
ბის კითხვისას გვრჩება შთაბეჭდილება,
თითქოს ჯადოსნური ფუნჯით მოხატულ
ტილოს ეუმზერთ, რაც მკითხველზე უდ-
იდეს შთაბეჭდილებას ახდენს, და ჩნდება
ეჭვი: იქნებ, ბატონი ომარი ფერმწერი-
ცაა, ჩვენ კი მოგვიანებით შევიტყობთ
ამასაც. აბა, რას უნდა ნიშნავდეს მისი
„ფერების ფერება“, რომელიც გვაოცებს
თავისი ფერადონებით, დახვეწილი გე-
მოვნებით და სინატიფით. პოეტი ბუნებ-
რივ ფერებს არჩევს: იასამანი, მთებზე
ფაფუკი ნისლი, ღალისთვალა პირიმზე,
ცისფერკაბა კესანე, ყაყაჩოში გართიმუ-
ლი წითელი და შავი ფერი, იისფერი,
გეორგიანის ფერთა სიხარული. აი, რა
ჰქმნის მის ფერთა გამას. „ალბათ, გული
ფერით მიცემს, ალბათ, ფერით ხანთელს
კანთებ“, — ამბობს თავადვე. ცდილობს
გაარკვიოს — „ბუნება-ღმერთი — ფერთა
გამრიგე, — რა ფუნჯით ხატავს ვარდებს
თუ მწერებს, ფერებ-ფერებით რარივ
არიგებს ცის სიმფონიას და მიწის ფე-
რებს“.

ამ ზღვისა და ამ ცის ფერების ჩატე-
ვა სტრიქონში, „ალმასცერიანი ვარდე-
ბის კრეფა“ და „ცისკრის მარჯნის საყე-
ლოს ხატვა“, აი, რა არის მისთვის მთა-
ვარი. მომხვეჭელობის სენით, ოქრო-
ვერცხლის დაგროვების მანიით კი არაა
შაყრობილი:

„ფერებს ნაფერებს მივევები აწი,
ყოელისმხილველი რითმის თამაშით,
ვისხატავ ფერებს ამ მიწის, ამ ცის
და ღმერთს ვპოულობ ფერთა გამაში“.

„ცისა და მიწის ერთობაშია“
მშვენიერების ეს პარმონიკა, რა
არის, პოეტის აზრით, სიცოცხლის არ-
სი, და ამ სიცოცხლის არსს იგი ყვაე-
ლებში პოულობს:

„ღურჯთვალა იაც და კამელიაც
შხის სხატოზე საქმეველია ...
როცა ყვაელებს ველზე ელიან,
შხის ჩასახედი სარკე ველია.
რაც გვირილებად ველზე წერია,
ან ვარსკვლავებად შემოგეჭერია,
ცაო, ნამდვილად მშვენიერია,
ღეთაებრივი და შენშიერია“.

მართლაც, რომ მშვენიერი სტრიქო-
ნებია!

კრებულში მრავლადაა ასეთი ლაღი და
ღამაზი ლექსები, რომლებიც შემოქმე-
დის ფაქიზ სულსა და ნატიფ გემოვნება-
ზე შეტყვევებენ.

ო. შამათავას პოეტურ სამყაროზე სა-
უბრისას, ყურადღება მის მხატვრულ
სტილზეც უნდა ვავამახვილოთ. სხარტი
და ლაღი ხალექსო ფრაზა, მძივებივით
აკინძული მრავალფეროვანი, „ყოელის-
მხილველი“ რითმა, რიტმის კეთილზოვა-
ნება, ღამაზი მეტაფორები და შედარე-
ბები — ყოველივე ერთად აღამაზებს მის
ლექსს და სიამოვნებას ანიჭებს მკით-
ხველს.

„როცა შეიხსნის უშბა თოელის პერან-
გის ღილეზს, ადიდებული ენგურივით
ჩამოდის ღილე“, „ჩანჩქერები მთების
რძეა, ჭავლი ქვა-პიტალოს სირმად უე-
ლის“, „იით ხომ იცინის მიწის პირი?!
მერცხლებს ფრთები აქეთ თუ სიხარუ-
ლი?!“ — ასეთი მეტაფორები როგორ არ
შეგვიფრთხილებენ გულს და არ ავიჟ-
ღერებენ სულის სიმებს, ალბათ, ამიტო-
მაც და გადაუჭარბებლად უწოდა კრე-
კლს ომარ შამათავამ „სულის სიმები“.

სოფიო მახაბაშვილი



95

13/11/97
ქართული ენციკლოპედია

●
თბილისი რუბინაძეების ქ. № 28

●
ტელეფონები: შთ. რედაქტორის — 99-81-81.
შთ. რედაქტორის მოადგილის 99-91-00, პ/მგ.
მღვწის 99-91-00, და განყოფილებების —
99-91-00.

გადაეცა ანაწილებად 17. 04. 97 წ., ხელმოწერი-
ლია დასაბეჭდად 14. 05. 97 წ., ანაწილების ზომა
7 1/4 X 12, ჭაღალდის ფორმატი 70X108. ფი-
ზიკური ნაბეჭდი ფურცელი 12, პარობითი ნა-
ბეჭდი ფურცელი 15,5. საილრ.-სავაჭროცემლო
ლაბახი 13,8. ტირაჟი 700. შეკვეთა 512.
ფერწარმ.-ვაჭურების გამომცემლობა „სამშობლო“,
კოსტაიბ * 16 14.

91/2

94-95



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა

76128

ფანი სახელმძივრებო

12. მძივრ